ნ. რუხაძე

შოთა რუსთაველი სკოლაში



რეკომენდებულია საქართველოს სახალხო განათლების სამინისტროს მიერ დამხმარე სახელმძღვანელოდ მასწავლებელთათვის

რედაქტორი პროფ. ლ. მენაბდე

გამომცემლობა „განათლება“
თბილისი — 1992

83.3.1
რ 97

ნაშრომში განხილულია „ვეფხისტყაოსნის“ სწავლების ისტორიის, პოემის ტექსტზე მუშაობის და მისი ანალიზის, აგრეთვე რუსთაველის ბიოგრაფიის საკითხები. მასალა დაფუძნებულია სათანადო მეცნიერულ, მეთოდიკურ ლიტერატურასა და ავტორის ხანგრძლივ პედაგოგიურ გამოცდილებაზე. გათვალისწინებულია ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგებისა და ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის.

რეცენზენტები: პროფ. მ. თაბორიძე,
დოც. ლ. გრიგოლაშვილი,
დოც. ც. კვინტრაძე,
მეთოდისტი მ. ანდრიაძე

4306010000—117
P M—602(08)—91 142—92

© ნ. რუხაძე, 1992

ISBN 5—505—01447—X

შესავალი

რუსთაველის სწავლებაზე ნაშრომის დაწერისათვის დაგვჭირდა არსებული უამრავი მეცნიერული და მეთოდური ლიტერატურის გაცნობა. „ვეფხისტყაოსნის“ სწავლების ისტორიისათვის კი ამასთან ერთად საჭირო გახდა არქივის მასალებზე მუშაობა, რადგან ძველისძველი პროგრამების დიდი ნაწილი სტამბური წესით არ დაბეჭდილა და მათი მოძიება შესაძლებელი გახდა მხოლოდ ხელნაწერთა ინსტიტუტის მასალებში.

დასახული მიზნის განხორციელებისათვის მოგვიხდა არსებული მასალების არა უბრალო შემოხილვა, არამედ მხატვრული ნაწარმოების ანალიზის რიგი ცნებების (მოტივი, თემა, იდეა, დედააზრი და ა. შ.). დაზუსტება (ამ საკითხს ჩვენ მივუძღვენით სპეციალური გამოკვლევა, რომელიც გამოქვეყნდა ჟურნალ „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, 1982 წ., № 1).

რუსთველოლოგიაში დღეისათვის ზღვა მასალა მოგროვებულა, რომელიც ყოველწლიურად ივსება ახალ-ახალი საკითხებით და იგი კიდევ უფრო მრავალფეროვანი ხდება. ზოგჯერ ერთსა და იმავე საკითხზე გვაქვს არა მხოლოდ მრავალგვარი, არამედ ურთიერთგამომრიცხველი მოსაზრებებიც. ამიტომ საჭიროდ ჩავთვალეთ არსებითი ხასიათის თვალსაზრისთა მოტანა, ჩვენი აზრით, უფრო მართებულის შერჩევა, ამ მოტივით მისი დასაბუთება; ზოგის თვალსაზრისი კი უშუალოდ ჩავრთეთ ჩვენს მსჯელობაში. ასე რომ, ნაშრომი აგებულია მსჯელობებზე; იგი მიზნად ისახავს მასწავლებელთა გაცნობიერებასა და ორიენტირებას იმ ზღვა მასალაში, რომელიც ჩვენდა საბედნიეროდ, გვაქვს რუსთველოლოგიაში, მაგრამ, სამწუხაროდ, რასაც ვერ ვიტყვით მათს სწავლებაზე.

რუსთაველის სწავლებისადმი ჩვენი ინტერესი განაპირობა მრავალმა ფაქტორმა. მათ შორის უპირველესია ის წინააღმდეგობები, რომლებიც შეინიშნება პოემის რიგი საკითხების გაშუქებაში, — რუსთაველის იდეების მარად სიახლემ, აქტუალურობამ და მისმა განუზომელმა მნიშვნელობამ მოზარდთა სწავლა-აღზრდაში. მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ მოსწავლეთა უმრავლესობა რუსთაველს საშუალო სკოლაში სწავლობს და ძირითადად ამ ცოდნით რჩება. ეს ფაქტორი გათვალისწინებულია ქართული ლიტერატურის უახლეს (1990 წ.) პროგრამაში (ძველი ქართული ლიტერატურის გამეორებას XI კლასში

ეთმობა 25 საათი), რომელშიც გამეორების მიზანი ასეა განმარტებული: „გამეორებას, ცხადია, გარკვეული დრო ეთმობა ყველა კლასში, მაგრამ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მას XI კლასში... ახლა, ამ კლასის გადასახედიდან, ახალგაზრდები უფრო ღრმად ჩასწვდებიან და შეაფასებენ ძველი ქართული მწერლობის როლსა და ადგილს არა მარტო ქართული, არამედ მსოფლიო ლიტერატურის განვითარების საქმეში“.

აქვე მითითებულია საწრეო მუშაობისა და ფაკულტატიური მეცადინეობის მნიშვნელობაზე, რაც მასწავლებელს დაეხმარება მოსწავლეთა თვალსაწიერის გაფართოებასა და ნაწარმოების ესთეტიკური ღირებულების გარკვევაში; ყოველივე ამას დიდი ადგილი უჭირავს, და მომავალში მეტს დაიკავებს დიფერენცირებული კლასების პროგრამაში, რადგან ღღითი ღღე იზრდება მათი რიცხვი.

გავითვალისწინეთ რა ყოველივე ზემოთქმული, ჩვენც მიზნად დავისახეთ პოემის ძირითადი პრობლემატიკის არა მარტო მეცნიერულ-მეთოდური ანალიზი, არამედ ძირითადი მოტივების (მიჯნურობა, მეგობრობა, პატრიოტიზმი) არსობრივად წარმოდგენა, რათა მოზარდმა სწორედ რუსთაველის პოემის მეშვეობით შეძლოს მათი გააზრება და ამ ღირსებათა მატარებელი გმირების იდეალად დასახვა.

ნაშრომში გათვალისწინებულია თითქმის ყველა ის ძირითადი საკითხი, რომლებიც დასმულა რუსთაველის გენიალობის წარმოსაჩენად და მის შესამეცნებლად, მაგალითად, მისი შემოქმედების მიმართება ქართულ სინამდვილესთან, წინამორბედ და მის თანამედროვე ქართველ და უცხოელ ფილოსოფოსთა ნააზრევთან, თეოლოგიასთან და სხვ. ამასთან დაკავშირებით წარმოდგენილია საკითხი — რუსთაველი ქართული რენესანსის მეთაური და მისი მიმართება ევროპულ რენესანსთან, რომლის გარეშე შეუძლებელია „ვეფხისტყაოსნის“ ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის წარმოჩენა.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი ადრე (1983 წ.) გამოქვეყნებული ნაშრომი „ვეფხისტყაოსნის“ ძირითადი საკითხების სწავლება“ ვერც ტირაჟით (2000). ვერც შინაარსით ვერ დააკმაყოფილებს რუსთაველის სწავლებისადმი გაზრდილ მოთხოვნებს, ამდენად, გადავწყვიტეთ გაკვეთილებად დაყოფით წარმოგვედინა პოემის როგორც ტექსტზე მუშაობა, ისე მისი იდეურ-მხატვრული ანალიზი. ამასთან, ზოგი გაკვეთილი არ არის გაშლილი, რადგან გამოიყენება ანალოგიის ხერხი, ზოგი კი წარმოდგენილია მხოლოდ ფართო მასალებით (გაკვეთილის ჩარჩოებს არ ექვემდებარება), რომელთა გამოყენება მასწავლებელს შეუძლია როგორც მეცხრე, ისე მომდევნო კლასებში მსგავსი საკითხების შესწავლისა და გამეორების დროს.

„ვეფხისტყაოსნის“ სწავლების ისტორია

„ვეფხისტყაოსნის“ მეცნიერული შესწავლის ისტორია უკავშირდება ვახტანგ VI-ის სახელს, რომელმაც ტექსტი საგანგებო კომენტარების დართვით პირველად დასტამბა 1712 წელს. ვახტანგის კომენტარებმა დიდად შეუწყო ხელი პოემის ტექსტის გაგებას და საფუძვლად დაედო როგორც რუსთველოლოგიურ მეცნიერებას, ისე პოემის სწავლებას.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულია სახელმძღვანელოს ტიპის კრებული, რომელშიც შეტანილია ნაწყვეტები „ვეფხისტყაოსნიდან“. ამ კრებულზე (1874 წ.) ნიკოლოზ ჩაჩიკაშვილის მინაწერი გვაუწყებს, რომ გათვალისწინებული ყოფილა „უმთავრესად სკოლებში სახმარ, სასწავლო წიგნად ყრმათათვის“.

XIX საუკუნის 40-იან წლებში დ. ჩუბინაშვილი ადგენს წიგნს „ქართული ქრისტომატია ანუ გამოკრებილნი ადგილები ქართულთა წერილთაგან დ. ჩუბინოვის მიერ“. „ქრისტომატიამ“ დიდი როლი შეასრულა ქართული მწერლობის საკითხების შესწავლაში. იგი ორჯერ დაისტამბა (1846 წ., 1878 წ.); მეორე გამოცემა გაცილებით სრულია, შევსებულია სხვადასხვა მასალით. 1878 წლის გაზეთ „დროების“ მითითებით, „ეს წიგნი გიმნაზიის მესამე და მეოთხე კლასში სახმარებელი“[1] ყოფილა.

ი. გოგებაშვილის „ბუნების კარში“ (1876 წ.) შეტანილია მოკლე საცნობარო სტატია რუსთაველზე და რამდენიმე ნიმუში „ვეფხისტყაოსნიდან“. აქვეა მისი ზოგიერთი აფორიზმის ახსნა-განმარტება და ფრაგმენტები ვ. ორბელიანის ლექსიდან „ობოლი“, რომელიც თამარ მეფესა და შოთა რუსთაველს ეხება.

1893 წელს გამოვიდა სურათებიანი „ვეფხისტყაოსანი“, ნაამბობი მოზრდილის უმაწვილებისათვის გ. იოსელიანის მიერ“.

მ. კელენჯერიძე შრომაში „სახალხო პოეზია და მისი საპედაგოგო, საესტეტიკო და სამეცნიერო მნიშვნელობა“ ქართული კულტურის, მწერლობისა და ფოლკლორის სხვადასხვა საკითხებზე მსჯელობისას, მსოფლიო ლიტერატურის გმირებს შორის ასახელებს რუსთაველის გმირებს და დასძენს, რომ „ხალხს მათ გარდა სხვა იდეალი არ უნდა... ამ პოემაში პოვა ხალხმა თავისი საყვარელი გმირები, რის გამო მთელ

[1] გაზ. „დროება“, 1878, № 211.

საქართველოს „ვეფხისტყაოსანი“ მეორე სახარებად გადაექცა. მის დიდებას ვერა სკეპტიკოსი და კრიტიკოსი ვერ შეარყევს“[1].

კირიონისა (კათალიკოსი საძაგლიშვილი), და გრ. ყიფშიძის „სიტყვიერების თეორიაში“ (1898 წ.) სათანადო ადგილი ეთმობა „ვეფხისტყაოსანს“ ჟანრობრივი მხარის გარკვევას. იგი შედარებულია ანალოგიურ საგმირო პოემებთან („ოდისეა“, „ილიადა“ და სხვ.) და კლასიკური პოემის ნიმუშადაა მიჩნეული.

1907 წლიდან სკოლებში ფეხს იკიდებს პედაგოგ ს. გორგაძის ცალკე შედგენილი ქრესტომათია — „ჩვენი მწერლობა“.

1915 წელს მანვე გამოსცა სასკოლო სახელმძღვანელო ქრესტომათია „ჩვენი ძველი მწერლობა და ქართული პოეზია“,[2] რომელშიც მოთავსებულია შ. რუსთაველის ბიოგრაფიული ცნობები, XII საუკუნის საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკურ-კულტურული მდგომარეობის ზოგადი დახასიათება და „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი. რასაც თან ერთვის უცნობი სიტყვებისა და გამოთქმების ახსნა.

საყურადღებოა ი. გომელაურის სახელმძღვანელო „სკოლებში შესასწავლი ქართული მწერლები“, რომელიც სამ წიგნად გამოიცა. მათ შორის პირველი — 1906 წელს, მეორე — 1911, ხოლო მესამე — 1919 წელს. ამ უკანასკნელში შეტანილია „ვეფხისტყაოსანი“. წიგნი განკუთვნილია ახალხო სკოლების მეორე საფეხურის (ე. წ. დაწყებით სასწავლებლებში) ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის შესასწავლად.

როგორც ს. გორგაძის, ისე ი. გომელაურის სახელმძღვანელოებში გამოსვლები სიტყვიერების ისტორიის სწავლებაში ქრონოლოგიური პრინციპის უგულებელყოფის ვ. სტოიუნინისეული და ვ. ოსტროგორსკისეული პოზიცია (ე. ი. მომხრენი არიან, რომ ძველი ლიტერატურის სწავლება გადატანილ იქნეს უკანასკნელი საფეხურის კლასებსა და კურსებზე).

* *

შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ შესწავლას, ოფიციალურად თუ არაოფიციალურად, ადრიდანვე ჩაყრია საფუძველი. მაგრამ 1852 წელზე ადრინდელ პროგრამებს ვერსად მივაკვლიეთ. ეს ფაქტი, როგორც მკვლევართა უმრავლესობა ვარაუდობს, განპირობებულია იმ

---

[1] შ. ქ ე ლ ე ნ ჯ ე რ ი ძ ე, სახალხო პოეზია და მისი საპედაგოგო, საესტეტიკო და სამეცნიერო მნიშვნელობა, თბ., 1896, გვ. 35.

[2] ეს გამოცემა გამეორდა 1919, 1922, 1925 წლებში.

გარემოებით, რომ ამ დროის საქართველოში საერთოდ შეზღუდული იყო ქართული ენის სწავლება[1].

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში აღმოჩნდა 1851 წლის ქართული ენის პროგრამის ავტოგრაფი,[2] რომელსაც თან ერთვის სათანადო წიგნებას სია. პროგრამა ითვალისწინებს ძველი ქართული ლიტერატურის გაცნობას წიგნების სიაში შეტანილია „ვეფხისტყაოსანი".

დ. ყიფიანის ერთ-ერთი ბარათით ირკვევა, რომ პირველ კლასში ქართული ენის შესასწავლად განკუთვნილი ყოფილა კვირაში სამი საათი, II—IV კლასებისათვის ორ-ორი საათი, V—VII კლასებში კი — თითო. ძველი ქართული ლიტერატურის შესწავლა გათვალისწინებული ყოფილა V კლასში[3]. ადვილი წარმოსადგენია, თუ როგორი მდგომარეობა იქნებოდა საერთოდ ქართული ლიტერატურის და კერძოდ, „ვეფხისტყაოსნის" სწავლების მხრივ.

1896 წლის პროგრამით, რომელიც განკუთვნილია „ტფილისის სათავადაზნაურო სკოლის მოსამზადებელი კლასებისათვის, ქართული ენის სახელმძღვანელო წიგნად" დასახელებულია ი. გოგებაშვილის „ბენების კარი", რომელშიც დაბეჭდილია ნაწყვეტები „ვეფხისტყაოსნიდან".

ხელნაწერთა ინსტიტუტში აღმოჩნდა ქართული ენისა და ლიტერატურის პროგრამა, რომლითაც ძველი ქართული მწერლობა ისწავლებოდა VII კლასში და კვირაში ეთმობოდა 3 საათი. ამ პროგრამით „ვეფხისტყაოსნის" შესწავლა გათვალისწინებულია შემდეგნაირად: პოემის შინაარსი, მოქმედი პირების დახასიათება, რჩეული ადგილების კითხვა და გარჩევა[4].

საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცულია ქართული ენის პროგრამა, რომელიც თავფურცლის დაზიანების გამო პირობით დათარიღებულია 1904 წლით. იგი განკუთვნილია „ტფილისის ქართული

---

[1] გ. თავზიშვილი, სახალხო განათლებისა და პედაგოგიური აზროვნების ისტორია საქართველოში 1801—1870 წწ., თბ., 1948, გვ. 262.
თ. ქორდანია, ქართული ენისათვის ბრძოლა 1682—1910 წლებში, ქუთაისი, 1913, გვ. 14.

[2] ავტოგრაფი ეკუთვნის თბილისის გიმნაზიის უფროს მასწავლებელ ზ. ყორღანოვს. პროგრამა ეფუძნება 1851 წლის 10 დეკემბრის კომიტეტის დადგენილებას (დ. ყიფიანის ფონდი № 238).

[3] დ. ყიფიანის პასუხი ბარონ ნიკოლაისადმი ქართული ენის გაკვეთილების განწესების შესახებ მასზე დართული ცხრილით, 1854 წ. 14/III (დ. ყიფიანის ფონდი № 252).

[4] ავტოგრაფი ეკუთვნის ს. გიორგაძეს, იგი დათარიღებულია 1907 წლის აპრილის 25, 26, 29 (იხ. Н ფონდი, № 839).

სათავადაზნაურო გიმნაზიისათვის". ამ პროგრამით „ვეფხისტყაოსნის" შესწავლა გათვალისწინებულია VII კლასში.[1]

ქუთაისის გიმნაზიის 1911 წლის პროგრამით „ვეფხისტყაოსანი" ისწავლება VII კლასში შემდეგი მითითებით: „ვეფხისტყაოსნის" კითხვას იწყებენ, შინაარსს ეცნობიან და არჩევენ". VIII კლასში სიტყვიერების ისტორიიდან შესასწავლად გათვალისწინებულია თამარის ეპოქის მწერლობა. პოემის შესწავლასთან დაკავშირებით მითითებულია: „ვეფხისტყაოსანი" სავსებით უნდა განიხილონ და საყურადღებო სენტენციები ზეპირად დაისწავლონ[2].

1918/19 სასწავლო წლის პროგრამით, რომელსაც ხელს აწერს ი. გომელაური, VI კლასში შეტანილია ძველი მწერლობის ზოგადი მიმოხილვა — „ვეფხისტყაოსანი" და მისი მნიშვნელობა ქართული ენისა და ქართველი ერისათვის[3].

ამავე სასწავლო წლის მერვე კლასის პროგრამაში, რომელსაც ხელს აწერს პ. მირიანაშვილი, შეტანილია „ძველი მწერლობა დასაწყისითგან მე-12 საუკუნის დასასრულამდე".[4]

1919/20 სასწავლო წლის პროგრამით V—VI კლასებში ქართულ ენას კვირაში ეთმობა 4 გაკვეთილი. „ვეფხისტყაოსნის" შესწავლა გათვალისწინებულია მეექვსე კლასში შემდეგი მითითებებით: „შინაარსი, რჩეული ადგილების წაკითხვა ტექსტიდან, ზოგიერთი ადგილების და აფორიზმების ზეპირად დასწავლა, გმირთა დახასიათება, საკითხი პოემის ორიგინალობის შესახებ."[5]

1920/21 სასწავლო წლის პროგრამაში სახელმძღვანელო წიგნად მითითებულია გ. იოსელიანის „გადმოკეთებული" „ვეფხისტყაოსანი", აქაც გათვალისწინებულია საუკეთესო ადგილების შესწავლა. ასევეა „ვეფხისტყაოსნის" შესწავლა წარმოდგენილი სოციალურ-ჰუმანური ტექნიკუმების 1921/22 სასწავლო წლის პროგრამითაც.

„ვეფხისტყაოსნის" შესწავლისათვის განკუთვნილი დრო და სა-

---

[1] ვ. მახარაძე ასაბუთებს, რომ „ეს პროგრამა შეუძლებელია გამოსულიყო 1910 წლამდე (ვაჟა-ფშაველას შემოქმედების სწავლება საშუალო სკოლაში, თბ., 1963, გვ. 11).

[2] ქუთაისის ქართული გიმნაზიის პროგრამები, მხოლოდ ქართული ენის, 1911, გვ. 30—31.

[3] პროგრამა ქართული ენისა 8 კლასისათვის, გვ. 48 (საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, № 158).

[4] იქვე. გვ. 47.

[5] პროგრამა საშუალო სკოლისათვის ქართული სიტყვიერების, საქართველოს ისტორიის და საქართველოსა და მოსაზღვრე ქვეყნების გეოგრაფიისა, 1919, გვ. 6.

ხელმძღვანელოში შეტანილი ნაწყვეტების შესწავლა რომ არ აკმაყოფილებდა მოსწავლეებს, ეს დასტურდება ბევრი ფაქტით.[1]

აკ. თოფურია წიგნში „ქართული მეთოდიკური აზროვნების ისტორია“ გარკვეულ ადგილს უთმობს „ვეფხისტყაოსნის“ სწავლების საკითხებს:

„მოსწავლეთა დიდი ინტერესითა და „ვეფხისტყაოსნის“ იდეურ-მხატვრული სიდიადით აიხსნება ის გარემოება, რომ მე-19 საუკუნის 90-იან წლებში მისი სწავლების კონკრეტულ-მეთოდიკური საკითხი პრესის ფურცლებზე სპეციალური მსჯელობის და აზრთა ცხოველი გაცვლა-გამოცვლის საგანი ყოფილა. ასეთი საგანგებო მეთოდიკური პოლემიკა არ წარმოშობილა რევოლუციამდელ პერიოდში არც ერთი ლიტერატურული ნაწარმოების სწავლების საკითხზე არათუ ჩვენში, არამედ რუსეთის სინამდვილეში“[2].

პოემის სწავლების შესახებ არსებული რევოლუციამდელი მასალების უმეტესი ნაწილი შეიცავს პოლემიკას, რომელიც გამოუწვევია „ვეფხისტყაოსნის“ მთლიანად სწავლებისა და მისი ადგილის განსაზღვრის საკითხს.

უცნობი ავტორი ქ. უ. „მწყემსის“ ფურცლებზე 1884 წელს მეთოდიკურ წერილში აღნიშნავს, რომ რუსთაველი უკვდავია, უწინარეს ყოვლისა, „თავისი ღრმა იდიათი“, „ჰაზრებით“, თავისი ღრმა პოეზიით, „ღრმა ენით“, რომელთა მთლიანობაში აღქმა და გაგება ძნელია „პირველი ოთხი კლასის მოსწავლეებისათვის“. ამიტომ შეცდომად მიაჩნია მათთვის „მთელი წელიწადი „ვეფხისტყაოსნის“ მთლიანი ტექსტების მშრალი, არაფრის მომცემი კითხვის პრაქტიკა. იგი მ. ნასიძესთან კამათში იზიარებს ი. გოგებაშვილის შეხედულებას, რომელმაც, როგორც ნიმუში, ენის შესასწავლად, ოთხი კლასის მოსწავლეებისათვის გამოსადეგ მასალად ჩათვალა შოთას პოემის „ზოგ-ზოგი თავები“ და არა მათი მთლიანი შესწავლა.

„ვეფხისტყაოსნის“ სწავლების სიძნელეებთან ბრძოლა, ვახტანგ VI-ის კომენტარებით დაწყებული, გრძელდება. ამ საკითხის უშუალო გამოძახილად უნდა ჩაითვალოს 1893 წელს გამოცემული სურათებიანი „ვეფხისტყაოსანი“, ნაამბობი მოზრდილის ყმაწვილებისათვის გ. იოსელიანის მიერ“, რომელსაც დიდი გამოხმაურება მოჰყვა.

1893 წელს „ივერიის“ 44-ე ნომერში გამოქვეყნდა ლალიაგორელის პირველი რეცენზია — „პედაგოგიური შეცდომა“.

---

[1] იხ. ა) ქართული ენის მასწავლებლის წერილი — მცირე პედაგოგიური შენიშვნა, „მწყემსი“, 1893, № 7, გვ. 8; ბ) ს. მამალაძის მოგონება, გაზ. „განათლება“, 1916, № 8—9, გვ. 532.

[2] ა. თ ო ფ უ რ ი ა, ქართული მეთოდიკური აზროვნების ისტორია, თბ., 1969, გვ. 135.

ავტორს „ვეფხისტყაოსნის“ სწავლების გამარტივების ეს გზა „არ შესაწყნარებელ ცოდვად“ მიაჩნია. აგრეთვე იგი ილაშქრებს პოემის ნაადრევად შესწავლის წინააღმდეგ.

[illegible] წელს „მწყემსის“ ფურცლებზე უცნობი ავტორი კიცხავს პირველ რეცენზენტს: „ნუთუ ლალიაგორელს ჰგონია, ვითომ მშვენიერის რაიმე ხელოვნებითი ნაწარმოების და მისი ძალის შესაგნებად არავითარი ჯიქვის წაკვრა, არავითარი ხელის შეწყობა საჭირო არაა. ნუთუ იგი ფიქრობს, რომ ყმაწვილები და ხალხი თავისთავად შეიგრძნებენ მშვენიერების გამომჟღავნებას და გატაცებული იქნებიან [illegible] რომელ ხელოვანს მოუცია ისეთი ნაწარმოები, რომ ერთსა და იმავე დროს საყოველთაოთ მისაწვდომიც იყოს და დიდებულიც?“[1] მას საჭიროდ მიაჩნია, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის შესწავლამდე მასწავლებელმა მოსწავლეებს წინასწარ გააცნოს მოკლე შინაარსი.

ლალიაგორელისათვის სათანადო პასუხი გაუცია გ. იოსელიანს[2].

ძალზე მკაცრი წერილი გამოუქვეყნებია ვინმე პაატას. იგი მხარს უჭერდა ლალიაგორელს[3].

მიუხედავად იმისა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ და ქართული ლიტერატურის სწავლების არც სათანადო პირობები იყო და არც გამოცდილება, იგი მაინც დიდ აღმზრდელობით როლს ასრულებდა [illegible] საშუალებით. [illegible] საუკეთესო მაგალითია ვ. კაკაბაძის „ქართი ძოგონება“.

„რუსთაველზე მშობლების საუბრები ჩვენში აღვივებდა სამშობლოებრივ უსაზღვრო სიყვარულს, მტრისადმი სიძულვილის გრძნობას. ამასთანავე იგი გვინერგავდა სამართლიანობისა და ქვეყნის კეთილდღეობისათვის თავგანწირული ბრძოლის აუცილებლობას... ასეთი სულისკვეთების წერას რომ შევუდექი, თურმე იმ დროისათვის მიუღებელი აზრები გამოვთქვი... და შამის მიერ შთაგონებულმა რუსთველურ-პატრიოტულმა იდეებმა, რომლის გავლენით დავწერე „სამშობლოს სიყვარულის თემა“, კინაღამ გამრიცხა სკოლიდან[4]“.

„ვეფხისტყაოსნის“ სწავლების გაუმჯობესებისათვის ზრუნვის გამოხატულებად უნდა მივიჩნიოთ სათანადო სახელმძღვანელოს შექმნა, ასეთ კვალიფიცირებულ სახელმძღვანელოდ უნდა ჩაითვალოს 1922 წელს ჟურნალ „კოპერაციის“ რედაქციით გამოცემული სილოვან ხუნდაძის ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელო „შოთა რუსთაველი“

---

[1] [illegible]. 1893, № 7, გვ. 7.

[2] „[illegible]. 1893, № 11, გვ. 18—20.

[3] „[illegible]. 1893, № 60.

[4] გაზ. „[illegible] კომუნისტი“, 1966, № 87.

სახელმძღვანელო იწყება რუსთაველის ბიოგრაფიით, რომელიც ძირითადად ეყრდნობა ხალხურ გადმოცემებს. წიგნში ცალკე თავი ეძღვნება „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერებს. აქვე თავმოყრილია დ. ჩუბინაშვილის, ილიას, აკაკის, ნ. მარის, ა. ხახანაშვილის, იუსტ. აბულაძის და ს. კაკაბაძის შეხედულებები „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ; პროლოგი დაყოფილია ნაწილებად და მოცემულია ზოგი სადაო სტროფის განმარტება. ცალკეა გამოყოფილი შაირობა და მეჯნეობა. სახელმძღვანელოში პატრიოტული მოტივი საერთოდ არ არის გაშუქებული. ცალკე თავები ეთმობა „ვეფხისტყაოსნის“ ესტეტიკურებას, ცალკე — ომონიმ-რითმებს. ავტორის აზრით, რუსთაველის ფილოსოფია ნეოპლატონურია. ტარიელი გამოყვანილია მხოლოდ მეჯნურად, ავთანდილი კი მისისეულია რუსთაველის შესაღეულებათა გამომხატველად, განსაკუთრებით გულია და გონების ჰარმონიული მეთანხმების საკითხში.

სახელმძღვანელოს არც ყდა, არც თავფურცელი არ მიუთითებს, როშელი კლასისათვისაც იყო იგი განკუთვნილი.

1925 წლიდან რესპუბლიკის სკოლებში ფეხს იკიდებს უცხო და შავნე კომპლექსური სისტემა, რის გამოც როგორც სხვა დისციპლინები, ასევე ქართული ლიტერატურაც დაქვემდებარებია საფაბრიკო-საქარხნო წარმოებებსა და სოფლის მეურნეობას. ამ-ტომ მათი სწავლება მიმდინარეობდა უგეგმოდ შემთხვევიდან შემთხვევამდე.[1]

შვიდი, რვა და ცხრაწლიანი შრომის სკოლების პროგრამებში 1924 წლიდან 1926 წლის ჩათვლით, საერთოდ არაა გათვალისწინებული ძველი ქართული მწერლობის შესწავლა.

„1925 წლის პროგრამა ლიტერატურაში მთლიანად აუქმებდა ძველი ქართული კლასიკური ლიტერატურის სწავლებას. ძველი ქართული კლასიკური ლიტერატურის ზოგიერთი ძეგლის გაცნობა გათვალისწინებული იყო ხალხური სიტყვიერების თემებთან დაკავშირებით, ზოგადად, მხოლოდ ზოგჯერ პროგრამაში არ იყო ნახსენები“[2], რაც დასტურდება 1929 წლის პროგრამითაც.

სოციოლოგიური სქემატიზმი, კლასიკური ლიტერატურის მემკვიდრეობისადმი მჭირდავი დამოკიდებულება ფართოდ იკიდებდა ფეხს სამუშაო სკოლის დამამთავრებელი საფეხურის მშობლიურ ლიტერატურაში. ამის ნიმუშად შეიძლება დავასახელოთ „სამუშაო წიგნი ლიტერატურაში ტექნიკუმებისა და მუშფაკებისათვის“ შედგენილი ს. გაჩეჩილაძის მიერ. აგრეთვე, პ. გელეიშვილს ქრესტომათია.

---

[1] სახალხო განათლება და პედაგოგიკის მეცნიერებანი საბჭოთა საქართველოში 1921—1961 წწ. თბ., „ცოდნა“ 1962, გვ. 202—203.

[2] უ. ობოლაძე, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა საბჭოთა საქართველოში, თბ., 1962, გვ. 38.

ერთი სიტყვით, 1932 წლამდე ქართული ლიტერატურის შესწავლა სხვა გარემოებებთან ერთად შეზღუდული იყო იმითაც, რომ იგი ენასთან ერთად ისწავლებოდა. ენისა და ლიტერატურის სწავლების შემდგომი აღმავლობის საქმეში უდიდესი როლი შეასრულა 1931 წლის 5 სექტემბრის, 1932 წლის 25 აგვისტოს დადგენილებებმა სტაბილური პროგრამების შედგენისა და სახელმძღვანელოების შესახებ, 1932 წლის ქართული ენისა და ლიტერატურის პროგრამის პროექტით „ვეფხისტყაოსნის“ მთლიანად შესწავლაა გათვალისწინებული, რაც ჩანს თვით პროგრამის შინაარსიდან.[1]

ერთი სიტყვით, „ვეფხისტყაოსნის“ მთლიანი შესწავლა იწყება 1933 წლიდან. ამ წლის თბილისის კომუნალური მშენებლობის ტექნიკუმის პროგრამაში, რომელიც შედგენილია მასწავლებელ გ. შანიძის მიერ, „ვეფხისტყაოსანს“ ეთმობა 36 საათი, წერითი მუშაობისათვის კი ცალკე 4 საათია გამოყოფილი. პროგრამაში მითითებულია როგორც ეპოქის, ისე მწერლის ბიოგრაფიისა და პოემის ძირითად საკითხებზე.

ამ პროგრამის განმარტებით ბარათში აღნიშნულია: „შვიდწლედზე მეტად ტექნიკუმებში გვეძლევა საშუალება მოწაფეს მივცეთ ღრმა და საფუძვლიანი წარმოდგენა ისტორიულ-ლიტერატურულ პროცესზე დასაწყისიდან დღევანდლამდე“.[2]

1934 წლიდან გამოდის ა. შანიძის, ა. ბარამიძისა და ი. აბულაძის მიერ შედგენილი ქრესტომათია „ძველი ქართული მწერლობა“, რომელშიც შეტანილია ნაწყვეტები „ვეფხისტყაოსნიდან“. მას წინ უძღვის რუსთაველის მოკლე ბიოგრაფიული ცნობები და მისი შემოქმედების ზოგადი მიმოხილვა.

* * *

„ვეფხისტყაოსნის“ სწავლების შესახებ გამოქვეყნებული მასალებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია კრებული „რუსთაველი სკოლაში“, რომელიც გამოიცა პოემის იუბილესთან (750 წლისთავი) დაკავშირებით, 1937 წელს. თუ წიგნის სახელწოდებით ვიმსჯელებთ, იგი ერთადერთია, რომელიც საშუალო სკოლაში რუსთაველის შემოქმედების სწავლებას ითვალისწინებს. მასში ძირითადად განხილულია რთული რუსთველოლოგიური საკითხები: შ. ნუცუბიძის „ადაშიანის იდეა და აღზრდის პრობლემა „ვეფხისტყაოსანში“, კ. კეკელიძის — „საქართვე-

[1] იხ. ქართული ლიტერატურისა და ენის პროგრამის პროექტი ტექნიკუმებისათვის, თბ., 1932, გვ. 12.

[2] იხ. ტფილისის კომუნალური მშენებლობის ტექნიკუმის პროგრამები, 1933, გვ. 10.

ლოს პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური ვითარება რუსთაველის ეპოქაში", ი. აბულაძის „ვეფხისტყაოსანი" და მისი ავტორის ვინაობის საკითხთა კვლევის ისტორია", კ. კაპანელის „შ. რუსთაველის ესთეტიკური შეხედულებანი", შ. დოლაქიძის „ვეფხისტყაოსნის" პოეტიკიდან და სხვ., რომლებსაც პედაგოგებისათვის დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა.

პოემის სწავლებას უშუალოდ ეხება ამავე კრებულში მოთავსებული ე. ხუროძის ნაშრომი „ვეფხისტყაოსნის" სწავლებისათვის სკოლაში".

ავტორი ძირითადად ყურადღებას ამახვილებს პოემის ტექსტის სწავლებაზე. მას „ვეფხისტყაოსნის" სწავლების მთავარ ამოცანად მიაჩნია ტექსტის კითხვის სწორი ორგანიზება. მისი აზრით, მასწავლებლის როლი „განსაკუთრებით დიდია დედააზრის გამოყვანისას. აქ აუცილებელია ფართო განმარტებები. შეიძლება გაკვეთილის დიდი ნაწილი ლექციური მეთოდითაც კი ჩატარდეს, რის გამო თავისთავად იგულისხმება, რომ თვითონ მასწავლებელი სათანადოდ უნდა იყოს გარკვეული „ვეფხისტყაოსნის" საკითხებში, რათა მუშაობას მისცეს მაღალი ხარისხი და ღრმა მნიშვნელობა".[1]

ტექსტის შესწავლა დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული, რის გამოც, ავტორის აზრით, ტექსტის ანალიზისათვის აუცილებელი იქნება კლასგარეშე კითხვის და ლიტერატურის წრეების ფართოდ გამოყენება.

უნდა აღინიშნოს, რომ ე. ხუროძის მიერ მინიშნებული ეს ზოგადმეთოდიკური მითითებები დღეისათვისაც ყურადსაღებია.

ზემოთ დასახელებული მასალების უმეტესობა უცვლელადაა გადაბეჭდილი ჟურნალში: „კომუნისტური აღზრდისათვის" (1937 წლის № 11—12).[2]

კ. გაგუა წიგნში „მხატვრული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკა საშუალო სკოლაში", რომელიც გამოიცა 1940 წელს, ცალკე იხილავს „ვეფხისტყაოსნის" სწავლების საკითხებს.

საყურადღებოა ნ. კანდელაკის სადისერტაციო ნაშრომი — „ვეფხისტყაოსნის" სწავლების მეთოდიკა" (იგი არ გამოქვეყნებულა). მას, როგორც ავტორი აღნიშნავს, ორი მხარე გააჩნია — ზოგადი და კერძო[3].

---

[1] რუსთაველი სკოლაში, თბ., 1937, გვ. 277.

[2] დამატებით აქ შეტანილია: გ. თაზიშვილის „აღზრდის იდეები ვეფხისტყაოსანში", ო. შუშანიას „ვეფხისტყაოსნის" ძირითადი მოტივები" და სხვ.

[3] ნაშრომი ორსათაურიანია, ერთი — მხატვრული. ნაწარმოების სწავლების მეთოდიკის პრინციპული საფუძვლები, მეორე — „ვეფხისტყაოსნის" სწავლების მეთოდიკა (1942 წ.).

შესავალში მკვლევარი არკვევს, თუ რამდენად კანონზომიერია „ვეფხისტყაოსნის“ სწავლება საშუალო სკოლის VIII კლასში. პედაგოგიური ფსიქოლოგიის მონაპოვრებზე დაყრდნობით იგი ასაბუთებს „ვეფხისტყაოსნის სწავლების მართებულობას 15—16 წლის ასაკის მოსწავლეთათვის.

პირველ თავში ავტორი ყურადღებას ამახვილებს ბჭწერლის ბიოგრაფიისა და შესაბამისი ეპოქის სწავლებაზე.

მეორე თავი ეძღვნება „ვეფხისტყაოსნის“ შინაარსობრივ გარჩევას. ამ თავში განხილული საკითხების თეორიული გაშუქება სწავლების პროცესის ღრმა გაგებას ეწყარება და მისგანვე გამომდინარეობს,

შრომის ავტორი ყურადღებას ამახვილებს პოემის შედგენილობასა და ტექსტის შესწავლის კონკრეტულ ხერხზე. მისი აზრით „პოემის შესწავლა უნდა დაიწყოს ძირითადი ტექსტიდან, ხოლო კრიტიკული ანალიზი — პროლოგიდან. ძირითადი ტექსტის კრიტიკული ანალიზი უნდა მოჰყვეს პროლოგის კრიტიკულ ანალიზს“. (ამ საკითხის მიმართ ჩვენი თვალსაზრისი წარმოდგენილი იქნება ქვემოთ). ნაშრომში ფართო თეორიული ასპექტითაა გაშუქებული გამომეტყველებითი კითხვის დაუფლების აუცილებელი კომპონენტები: პაუზა და მახვილი.

ჩვენი ინტერესიდან გამომდინარე, ყველაზე მეტად ყურადღებას იპყრობს ნაშრომის III თავი — „ვეფხისტყაოსნის“ კრიტიკული გარჩევა.

ეს თავი ორი მთავარი ნაწილისაგან შედგება: „იდეური ანალიზი“ და „ფორმული ანალიზი“ (თითოეული ნაწილი ითვალისწინებს საკითხების თეორიულ გაშუქებას და პრაქტიკულ შესრულებას).

პირველი ნაწილი — იდეური ანალიზი შეიცავს 3 ქვესაკითხს: 1. მხატვრული სახეების დახასიათება, 2. იდეური მოტივის გარჩევა და 3. იდეური შინაარსის გამოვლენა.

იდეური ანალიზის თეორიული წანამძღვრების მიხედვით პირველი ქვესაკითხის (მხატვრული სახეების დახასიათება) არსი შედგომარეობს შემდეგში: „რთულნადგენი“ ქმნილების დაშლის აუცილებლობა მისი საბოლოო სინთეზირების საფუძველია.

ავტორი იძლევა მხატვრული სახის ორგვარ განმარტებას, რომელთაგან I ნათელია და მკაფიო. II — ბუნდოვანი[1].

ნ. კანდელაკი. საკუთარ სამართლიანად, მხატვრული ნაწარმოების კომპონენტთა შორის (ცოცხალი ქმნილებანი, ბუნების სურათები, ხელოვნური საგნები. პერსონაჟები, პეიზაჟი და სხვა) უმთავრესად პერსონაჟს მიიჩნევს. იგი მისი როლის სწორ შეფასებას იძლევა და ყურადღებას ამახვილებს მოქმედ პირთა კლასიფიკაციაზე.

[1] დასახელებული ნაშრომი, გვ. 103.

ნაშრომში საკმაოდ დიდი ადგილი ეთმობა პოეტური ქმნილების მეორე ძირითადი ერთეულის — მოტივის ცნების დადგენას. შეიძლება ითქვას, ავტორი პრობლემურად აყენებს ამ ცნების როგორც თეორიულ, ისე პოემის შექმნაზე მისი პრაქტიკულად გადაწყვეტის საკითხს. იგი მოტივს განიხილავს თემასა და იდეასთან მიმართებაში, მაგრამ საბოლოოდ ისევ პერსონაჟს უკავშირებს და ასეთ კლასიფიკაციას გვთავაზობს:

„ვეფხისტყაოსნის" იდეური მოტივების კლასიფიკაცია

ძირითადი მოტივები	დამხმარე
სიყვარული (მათ შორის მთავარი)	პატრიოტიზმი
მეგობრობა	პიროვნების თავისუფლება
გმირობა	ქალის კულტი
ერთა სოლიდარობა	
საყოველთაო სიკეთის იდეალი	

როგორც ვხედავთ, ძირითად მოტივთა შორის მთავარია სიყვარული. ცალკე ქვეთავის (იდეური შინაარსის გამოვლენა) დასკვნაში ვკითხულობთ: „სიყვარული, გმირობა, მეგობრობა, პოემის ძირითადი თემატური ელემენტებია. რომელთა ურთიერთმიმართების მიხედვით სიყვარული და მეგობრობა ავტორის მიერ იდეალიზებულია, რადგან მათი ნატარებელი გმირები უბადლო და დაუჯერებელი გმირები არიან. ამრიგად, თემა უბადლო გმირთა იდეალიზებული სიყვარული და მეგობრობაა".

ისმის კითხვა — განა სიყვარულსა და მეგობრობას ერთხელ უკვე მოტივთა შორის არ დაემკვიდრა ადგილი? (იხ. სქემა). როგორ მოხდა, რომ ერთი და იგივე რამ ერთიც არის და მეორეც?

აშკარად დგება თემის, როგორც ნაწარმოების იდეური ანალიზის ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტის, გაორთებული გაგების საჭიროება. ნაშრომში ვხვდებით თემის ასეთ განმარტებას „თემა სახვის მასალაა", რაც ვფიქრობთ, დაზუსტებას მოითხოვს.

ნ. კანდელაკი იდეას განიხილავს დედააზრთან მიმართებაში. იგი მათ შორის საკმაოდ დიდ ზღვარს დებს და გარკვეულ შემთხვევაშიც კი სინონიმურ სიტყვებად ხმარებას გამორიცხავს. თავისთავად ეს საკითხი საინტერესოა, მაგრამ დედააზრის იდეისაგან ასე დაშორება სადავოა.

ავტორი იდეის საყურადღებო და საგულისხმო განმარტებას იძლევა (იდეა ნაწარმოებში გამოხატული ძირითადი აზრის განზოგადოებული სახეა, დასკვნაა) და ახლოს მიდის პოემის მთავარი იდეის გამო-

ხატვასთან, მაგრამ ეს უკანასკნელი სრულყოფილად და დამაჯერებლად არ არის წარმოდგენილი.

ახლა განვიხილოთ ავტორის მიერ მოცემული გმირთა დახასიათების პრაქტიკული საკითხები.

ტარიელის დახასიათების საორიენტაციო გეგმასთან დაკავშირებით ისმის კითხვა — როგორია გმირობის რუსთველური კონცეფცია? გმირობა ითავსებს თუ არა პატრიოტიზმის გაგებას? თუ ეს ასეა, მაშინ ავტორისეული ტარიელის დახასიათების გეგმა დღესაც კარგი ნიმუშია. ვასზე მხოლოდ მცირე შენიშვნით დავკმაყოფილდებოდით.[1] მაგრამ არის კი გმირობა პატრიოტიზმის შემცველი ნ. კანდელაკის ნაშრომის მიხედვით?

ჩვენი აზრით, აქ მთავარია ამ საკითხის არა მარტო პრინციპული მხარე, არამედ მასზე დამოკიდებული სხვა უფრო მნიშვნელოვანი საკითხის გარკვევა — ტარიელის პიროვნების ხასიათის ჩვენება, რაც ნაშრომში სათანადოდ არაა გაშუქებული.

ტარიელის პიროვნებასთან დაკავშირებით, როგორც პრაქტიკულმა გამოცდილებამ გვიჩვენა, მოსწავლეები ბევრ სხვა საინტერესო საკითხს წამოჭრიან, მათ შორის — გმირობისა და ვაჟკაცობის ცნებების და მათი ურთიერთმიმართების გარკვევას.

ნ. კანდელაკის მიერ იდეური მოტივის გარჩევაში ყურადღებას იპყრობს „ვეფხისტყაოსნის" მეგობრობის ანალიზის გეგმა. საერთოდ, ავტორის მიერ შემოთავაზებული ყველა სახის გეგმა გონივრულადაა შედგენილი. მას თან ახლავს პრაქტიკულად შესრულების ასევე კარგად ჰოფიქრებული მითითებები (საკითხის გვერდით მიწერილია სათანადო ციტატები). ამ უკანასკნელ გეგმასთან დაკავშირებით მხოლოდ ერთი უნდა შევნიშნოთ — მეგობრობის მსაზღვრელ ნიშანთაგან არ ჩანს ყველაზე მთავარი — სიყვარული (არა მიჯნურობა, არამედ მეგობრული სიყვარული). ამ საკითხთან დაკავშირებითაც უამრავი კითხვა უჩნდებათ მოსწავლეებს. ამხანაგობა იგივეა თუ არა, რაც მეგობრობა? რა განსხვავებაა მათ შორის? ეს და სხვა ამგვარი კითხვები, შექმნილი პრობლემური სიტუაციების შედეგად წამოჭრილი ქმნის რეალურ საფუძველს პაექრობისა და სასკოლო ლექციებისათვის.

ავტორს კრიტიკული გარჩევის ყველაზე ეფექტურ მეთოდად ლექცია მიაჩნია, მაგრამ ნაშრომში არ არის მითითებული, თუ როგორ მზადდება ნიადაგი სასკოლო ლექციისათვის. იგი გვაძლევს გეგმებსა და სქემებს და დასძენს, რომ მათ ადგენენ კლასში.

[1] გმირის ფიზიკური და სულიერი მხარეების ჩვენებას სასურველია, ყოველთვის წინ უძღოდეს მისი ვინაობა. გეგმაში კი ეს მხარე სულ გამოტოვებულია.

ნაშრომის მე-4 თავი ეძღვნება პოემის „ფორმულ ანალიზს“.

მეთოდიკურად პერსპექტიულ სიახლედ მოჩანს ტროპის სახეების (კერძოდ მეტაფორისა და შედარების) თვალსაჩინოებით შესწავლის ხერხი. იგი ადგენს სპეციალურ ტაბულას, სადაც მეტაფორისა და შედარების შეგავება-განსხვავებაა დადგენილი.

მიუხედავად იმისა, ნაშრომი არ გამოქვეყნებულა, შეიძლება თამამად ითქვას, რომ ნ. კანდელაკის ყველა საუკეთესო მეთოდური მითითება დანერგილია სკოლებში. ამაში დაგვარწმუნა, როგორც სხვადასხვა სკოლის მასწავლებელთა გამოცდილების გაცნობამ, ისე ჩატარებულმა ექსპერიმენტულმა მუშაობამ. კიდევ მეტი: ნ. კანდელაკის შრომის დედააზრი გამოსჭვივის შემდეგდროინდელ მეთოდიკურ წიგნებსა და წერილებში, რაც ნაშრომის დიდ ღირსებაზე მეტყველებს.

გ. ბარამიძე სპეციალურ ნაშრომს უძღვნის ძველი ქართული ლიტერატურის სწავლებას საშუალო სკოლაში.

იდეურ ანალიზთან დაკავშირებით ავტორი იძლევა საგულისხმო მითითებას: „ენობრივი სიძნელის გამო ტექსტზე მუშაობის დროს მთელი ყურადღება გადაქვთ ნაწარმოების მხოლოდ სიუჟეტურ მხარეზე, მოთხრობილი ამბის გაგებაზე, ხოლო ნაწარმოების წაკითხვის შემდეგ კითხვის დასმა ნაწარმოების გასაანალიზებლად ვეღარ იძლევა საჭირო ეფექტს: მოსწავლეები ვეღარ ახერხებენ გაიხსენონ ტექსტის სათანადო ადგილები, იმსჯელონ მათ შესახებ და სათანადო დასკვნები გააკეთონ, ამიტომ ძველი ტექსტების სწავლებისას უფრო მეტად არის საჭირო, რომ სანამ მასწავლებელი ნაწარმოების კითხვას დაიწყებდეს, მას კარგად ჰქონდეს წარმოდგენილი საკითხთა ის წრე, რომლის განხილვაც აუცილებელი იქნება ნაწარმოების გასარჩევად. კარგად ჰქონდეს გათვალისწინებული, ნაწარმოების რომელ ადგილზე დაყრდნობით მოხდეს ამ საკითხთა ანალიზი, რა მასალა უნდა იქნეს ტექსტიდან გამოყენებული ნაწარმოების თემისა და იდეის გასარკვევად, პერსონაჟის დასახასიათებლად, მწერლის ენისა და მხატვრული გამოსახვის საშუალებათა გასაანალიზებლად“.[1]

დასახელებულ ნაშრომში ავტორი ზოგადად მიმოიხილავს ძველი ქართული მწერლობის წარმომადგენელთა შემოქმედებას და გაკვრით ეხება რუსთაველსაც. იგი შენიშნავს: „მართალია, გაცილებით დიდია თანამედროვე ლიტერატურის როლი მოსწავლეთა ჯანსაღი მსოფლმხედველობის ფორმირების საქმეში. მაგრამ გარკვეულ შემთხვევაში არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება ძველი ქართული ლიტერატურის ნიმუშების შესწავლასაც“.[2]

---

[1] გ. ბარამიძე, ძველი ქართული ლიტერატურის სწავლების ძირითადი საფუძვლები საშუალო სკოლაში, 1949, გვ. 110 (ავტორეფერატი).

[2] იქვე, გვ. 110.

„ვეფხისტყაოსნის“ სრულყოფილად სწავლების შესახებ საყურადღებო აზრს გამოთქვამს მ.ზანდუკელი. მისი შეხედულებით „ვეფხისტყაოსანი“ თავისი შინაარსითა და პოეტური თვისებებით იმდენად მდიდარია, რომ შესაძლებელია იგი განხილული და გააზრებული იყოს ყოველმხრივ: ისტორიული ეპოქის სხვადასხვა პრობლემის, მწერლის ვინაობის, მისი მსოფლმხედველობის, მიმართულების, ნაწარმოების იდეური ხასიათის, ძირითადი და მეორეხარისხოვანი გმირების ურთიერთობის, ნაწარმოების პოეტური მხარეების, ჟანრის, ენის, პოეტური ლექსიკის, ლექსთწყობის, რიტმის, რითმის მიხედვით და უნდა გაირკვეს მისი ეროვნული და საკაცობრიო მნიშვნელობა“.[1]

პოემის ტექსტზე მუშაობის შესახებ სხვადასხვა დროს საყურადღებო სტატიები გამოქვეყნდა[2], მაგრამ დღითი დღე ფართოვდება რუსთველოლოგიური კვლევა-ძიების სფერო, იზრდება ინტერესიც რუსთაველის, როგორც პოეტისა და მოაზროვნის, ღრმა და ყოველმხრივი შესწავლისა მსოფლიო მასშტაბით. ამის ერთ-ერთი ნათელი დადასტურება იყო იუბილე, მიძღვნილი რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისადმი.

ფილოლოგიური კვლევა-ძიების შესაბამისად იზრდება „ვეფხისტყაოსნის სწავლების ინტერესიც.

„ვეფხისტყაოსანი“ სახელმძღვანელოებსა და პროგრამებში

1944 წელს გამოვიდა გ. ჯაკობაიას და გ. ბარამიძის მიერ შედგენილი VIII კლასის ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელო, რომელშიც მტკიცე საფუძველი ჩაეყარა ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის სწავლებას.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „ვეფხისტყაოსნის“ მთლიანი შესწავლა ნავარაუდევია 1933 წლის პროგრამით, მაგრამ ფაქტობრივად მისი შესწავლისათვის სათანადო პირობა შეიქმნა 1937 წლიდან, რო-

---

[1] ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკა, თბ., 1959, გვ. 111.

[2] გ. ღ ლ ო ნ ტ ი, როგორ ვამუშავებ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტს IX კლასში (კრებული, ქართული ენა და ლიტერატურა, მასწავლებელთა გამოცდილებიდან, 1957, № 6); ა. მ ჭ ე დ ლ ი ძ ე, „ვეფხისტყაოსნის“ სწავლების საორიენტაციო თემატიკური გეგმა („სკოლა და ცხოვრება“, 1965, № 10); მ დ ო ჭ ვ ი რ ი, სკოლაში „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის შესწავლისათვის (სახალხო განათლება, 1966, № 2; შ. ქ უ რ დ ა ძ ე, ილია „ვეფხისტყაოსნის“ სწავლების თაობაზე (სახალხო განათლება, 1966, № 34). ე. ხ ი ნ თ ი ბ ი ძ ე, „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის შესწავლისათვის („ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, 1966, № 2).

გ. ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი, როგორ ვასწავლი „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგს („ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, 1966, № 3), და ა. შ.

ცა „ვეფხისტყაოსნის“ სრული ტექსტი გასულ წლებთან შედარებით უფრო ხელმისაწვდომი გახდა სკოლებისათვის[1].

აღნიშნული საიუბილეო გამოცემა განმეორდა 1951, 1957 წლებში. 1966 წ. რუსთაველის დაბადების 800 წლის საიუბილეო დღეებში „ვეფხისტყაოსნის“ რამდენამდე შეცვლილი ტექსტი გამოვიდა. ამის შემდეგ სკოლა ხელმძღვანელობს ამ გამოცემით, მაგრამ რა თქმა უნდა, მანაც ვერ მოხსნა ის პრობლემები, რომლებიც მასწავლებლების წინაშე იდგა. სკოლისთვის საჭირო იყო სპეციალური გამოცემის მომზადება, რაც გათვალისწინებულ იქნა. გამომცემლობა „განათლებამ“ 1974 წ. გამოსცა ფართოდ კომენტირებული „ვეფხისტყაოსანი“. გამოცემის ტექსტი შეადგინა, შესავალი და კომენტარები დაურთო ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა ნ. ნათაძემ.

დასახელებულ წიგნში ნ. ნათაძის მიერ წარმოდგენილი კომენტარები, მართალია, სცილდება სასკოლო პროგრამით გათვალისწინებული ცოდნის ფარგლებს, მაგრამ სწორედ ისაა მისი ღირსება, რომ იგი საკმაოდ სრული და ღრმაა.

კომენტარი არ არის სიტყვის უბრალო ახსნა. იგი თვალსაზრისის შემცველია, ე. ი. კრიტიკული შეფასების ნიშნის მქონე განმარტებაა. წიგნში ხშირად კომენტარის ორი და მეტი ვარიანტია წარმოდგენილი, რაც კიდევ უფრო ზრდის ამ წიგნის ღირებულებას.

„ვეფხისტყაოსნის“ სწავლების საერთო სურათის წარმოსადგენად გავეცნოთ პროგრამების ნუსხას 1933/34 სასწავლო წლიდან 1991/92 სასწავლო წლის ჩათვლით.

	პროგრამების გამოცემის წელი	კლასები	საათების რაოდენობა
1	1933/34 სასწ. წლიდან 1944/45 სასწავლო წლამდე	ტექნიკ. VIII	36 (40)
2	1946/47	VIII	35
3	1947/48—1948/49	IX	35
4	1949—50-დან 1953/54	IX	32
5	1954/55	IX	35
6	1955/56	VIII	35
7	1956/57-დან 1957/58	VIII	41
8	1958/59	VIII	50
9	1959/60	IX	40 (35)
10	1960/61-დან 1961/62	VIII	50
11	1962/63	IX	50
12	1963/64-დან 1965/67	IX	34 (31)
13	1967/68-დან 1969/70	VIII—IX	34
14	1970/71-დან 1974/75	VIII	30
15	1975/76-დან 1977/78	VIII	30 (40)
16	1978/79-დან 1979/80	VIII	30
17	1980/81-დან 1986/87	VIII	42
18	1987/88-დან 1991/92	IX	42
19	1991/92-დან ———	IX	45

[1] 30 საათი არაა საკმარი, პოემას დაახლოებით 40 საათი დასჭირდება — ვ. ხუროძე, „ვეფხისტყაოსანი“ სკოლაში, ჟურნ. „კომუნისტური აღზრდისათვის“, 1937, № 11—12, გვ. 31.

* * *

„ვეფხისტყაოსნის“ სწავლების ისტორიის მოკლე ექსკურსის, ლიტერატურისმცოდნეობის ზოგიერთი საკითხის კრიტიკული შეფასების, პრაქტიკული მასწავლებლებისა და პირადი გამოცდილების შედეგად ჩვენს წინაშე დადგა როგორც ზოგადი, ასევე კონკრეტული ხასიათის საკითხების გარკვევის საჭიროება.

ზ ო გ ა დ ი ხ ა ს ი ა თ ი ს კ ი თ ხ ვ ე ბ ი ა:

1. მოგვეპოვება თუ არა ლიტერატურის თეორიის ცნებების— თემა, მოტივი, იდეა, ზუსტი განსაზღვრა და რამდენად შეესაბამება მას კრიტიკულ ლიტერატურაში მოცემული ანალიზი?
2. საჭირო ხომ არაა ამ ცნებათა ურთიერთმიმართებაში მეტი სიცხადის შეტანა?
3. საჭიროა თუ არა მოსწავლეებს მივცეთ პერსონაჟთა დახასიათების საორიენტაციო-სანიმუშო და „ვეფხისტყაოსნის“ ძირითად საკითხთა კონკრეტული გეგმები?
4. როგორი უნდა იყოს მასწავლებლის ყოველდღიური გაკვეთილის გეგმა?

კ ო ნ კ რ ე ტ უ ლ ი ხ ა ს ი ა თ ი ს ა ა:

1. შეესაბამება თუ არა „ვეფხისტყაოსნის“ სწავლება მე-9 კლასის მოსწავლეთა ასაკს. ძალუძთ თუ არა ისინი მას?
2. რა არის „ვეფხისტყაოსნის“ თემა-პრობლემა, რომელია მისი ძირითადი საკითხები და რა იდეები ესადაგება თითოეულ მათგანს?
3. საჭიროა თუ არა რუსთაველისა და რენესანსის საკითხების გაცნობა მოსწავლეთათვის? თუ საჭიროა, რა მასშტაბით და როგორ გავაცნოთ იგი?
4. როგორ გამოვიყენოთ კლასგარეშე საკითხავი მასალები და ლიტერატურის წრეები „ვეფხისტყაოსნის“ უკვდავი იდეების ფართო შემეცნების, მოსწავლეთა ჯანსაღი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებისა და მხატვრული აზროვნების განვითარებისათვის?

* * *

გაკვეთილისათვის მასწავლებლის მზადება თავისთავზე მუშაობის ერთ-ერთი ფორმაა. განსაკუთრებით მნიშვნელოვან თანამიმდევრულ და დაძაბულ შრომას მოითხოვს დიდტანიანი ნაწარმოების სწავლება.

ამასთან დაკავშირებით აი რას ვურჩევდით მაწავლებლებს: დროის რაციონალურად გამოყენების მიზნით მოსწავლეებს სასწავლო წლის ბოლოს ჩააწერინონ როგორც კლასგარეშე საკითხავი ნაწარმოებები (ეს ეხება თითქმის ყველა კლასს), ისე პროგრამით შესასწავლი ძეწრლებიც და დაავალონ (ეს ეხება IX კლასის მოსწავლეებს), მოსინჯონ თავიანთი ძალები „ვეფხისტყაოსნის“ დამოუკიდებლად წასაკითხად. შესასწავლ მწერლებზე მოძიებული მასალები (თვალსაჩინო, კრიტიკული) სკოლაში მოიტანონ.

პრაქტიკულმა გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ დიდი მოცულობის ნაწარმოებზე მუშაობისათვის როგორც მასწავლებელმა, ისე მოსწავლემ სასურველია აიღოს ცალკე რვეული, რომელსაც ყდაზე დაეწერება თემა, ვთქვათ, „შოთა რუსთაველი და მისი „ვეფხისტყაოსანი“.

მასწავლებლის სამუშაო რვეულის პირველი 2—3 ფურცელი დაეთმობა თემატიკურ გეგმას, შემდეგი — მწერლის სწავლების ძირითად მიზანდასახულებას — პრობლემატიკის გამოყოფას; მომდევნო ფურცლები — გაცნობილი ლიტერატურის სიას, დანარჩენი კი — გაკვეთილების გეგმებს, რომლებიც უმეტესად შეიცავს ძირითად საკითხებსა და კითხვებს: ეს გეგმები გამოცდილების კვალდაკვალ დაიხვეწება, შეივსება და გამდიდრდება. მისი ყოველწლიურად გადაწერა საჭირო არ იქნება, თუ შევსება-გამდიდრებისათვის თავის დროზე გამოვტოვებთ სათანადო ადგილებს. რვეულში დაგროვდება ამონაწერები სხვადასხვა წყაროდან, რაც იქცევა თავისთავზე მუშაობის აუცილებელ კომპონენტად — გზად და საშუალებად.

დიდტანიან ნაწარმოებზე მუშაობა უფრო ეფექტური და შედეგიანი რომ იყოს, ე. ი. მოსწავლე სხვა დროს ჩვენ გარეშეც რომ ჩაწვდეს ნაწარმოების არსს, ამოიცნოს მწერლის მიზანდასახულება, მისი შეხედულებები, აუცილებელია მას სკოლაშივე მივცეთ წიგნზე დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევა. ეს კი შესაძლებელია ამგვარად: დიდტანიან ნაწარმოებზე მუშაობისათვის განკუთვნილ რვეულებში მოსწავლე ჩვენი მითითებით შეადგენს ნაწარმოების შინაარსის გეგმას (რომელიც იწყება ტექსტზე მუშაობის დაწყებისას და გრძელდება ბოლომდე) თავებისა და გვერდების ჩვენებით (არეზე შესაბამისად იწერება შესრულების რიცხვი). რვეულის გარკვეულ ნაწილს დაყოფენ მონაკვეთებად, რომელიც მოხმარდება მთავარი მოქმედი გმირების დახასიათებას.

მთავარი მოქმედი პირებისათვის განკუთვნილი ადგილები იყოფა ნაწილებად (ცარცისა და დაფის გამოყენებით ვუჩვენებთ ნიმუშს), რომელსაც დაეწერება გასათვალისწინებელი საკითხები. მაგალითად, „ვეფხისტყაოსნის“ გმირები უნდა დახასიათდეს მიჯნურობის, მეგობრობის, პატრიოტიზმისა და პერსონაჟის საორიენტაციო გეგმით გათ-

ვალისწინებული სხვა ნიშნების მიხედვით. სანიმუშოდ მოგვაქვს ერთ-ერთი მოსწავლის ნამუშევარი.

ავთანდილი. ვინაობა, სოციალური წრე: 40 სტრ. 148...[1].

დამახასიათებელი თვისებები:

საუკეთესო მოასპარეზე, მშვილდოსანი — 80, 81, 1002.
დაკვირვებული — 212
მუსიკალური — 119, 956
მოხერხებული — 1061
კონფლიქტური სიტუაციები 177, 178, 188, 717, 825.
ამტანი, ძლიერი ნებისყოფის — 865, 877, 881.
შეხედულება ადამიანის რაობასა და დანიშნულებაზე, მთლიანად ანდერძი — განსაკ. 865, 892.
ღვინატკბილად მოუბარი — 891, 701.
განგების გარდუვალობის წინააღმდეგ მებრძოლი — 893.
მამაცი, გაბედული, შიშშეუვალი — 1028, 1029, 1030, 1032.
ჰუმანური — 794, 795. 1023.
რწმენის მქონე — 1027, 1034.
ოპტიმისტი — 919. 904.
მიჯნური — ერთფერობა, მოცალეობა — 23, 1454.
ურთიერთგაგება — 135, 692, 697.
თავდადება — 133, 179. 825.
ფარული გრძნობა — 41.
მძაფრი განცდა — 138. 139, 825, 179.
წინააღმდეგობის შემცველი გრძნობა — 41. 704..., 698.
განშორების მწვავე განცდა — 824, 825.
მეგობარი — ერთფერობა — 279...
ურთიერთგაგება — 825. 662.
თავდადება — 295, 656, 694, 990.
ძლიერი გრძნობა, დიდი სიყვარული — 990, 759, 724, 659...
პატრიოტი — 143. 161, 165. 736, 771...

შეკითხვებისათვის: — 1. თინათინი ავთანდილს ხომ არ უბრძანებს როგორც ქვეშევრდომს?

2. თინათინი ავთანდილის შიმართ ისევე მოიქცეოდა თუ არა ავთანდილი მეფე. თინათინი კი ყმა რომ ყოფილიყო?

ამგვარად, ყოველი მთავარი პერსონაჟისათვის განკუთვნილ ფურცელზე თავს მოიყრის საანალიზო მასალა. პერსონაჟის დამახასიათებელი ადგილების სრული ამოწერა საჭირო არაა. აქ იქნება მინიშნება არსებითზე, რომელიც უმეტესად ციტატურია; ზოგ შემთხვევაში

[1] სტროფის ნომრები აღებულია „ვეფხისტყაოსნის“ 1966 წლის საიუბილეო გამოცემიდან.

კი მოსწავლე რვეულში შეიტანს იმ სახასიათო ნიშნებს, რომლებსაც შემოქმედი უშუალოდ კი არ იძლევა, არამედ ავლენს გმირის ქცევა-მოქმედებაში, მაშასადამე, იგი ამოსაცნობია. რაც უფრო დროულად (მხედველობაშია ტექსტზე მუშაობა) მოძებნის მოსწავლე პერსონაჟის დახასიათების მისადაგებულ სიტყვას, მით უფრო გაუადვილდება მუშაობა და გმირის სახის ორიგინალურად გაშუქება. ტექსტზე მუშაობის დროსვე ხდება მხატვრული გამოსახვის საშუალებებზე დაკვირვება, რომელთა მოკლე ციტატური ამონაწერებიც იმავე რვეულში მოთავსდება.

რვეულში ცალკე ადგილი დაეთმობა კითხვებს, რომლებიც ბავშვებს ნაწარმოებზე მუშაობის დროს დაებადებათ ან, რომლებსაც მასწავლებელი ჩააწერინებს ტექსტის დაკვირვებით წაკითხვისა და პასუხების დამოუკიდებლად მომზადების მიზნით (ეს კითხვები შეიძლება ჩაიწეროს გმირთა დამახასიათებელი ადგილებისათვის განკუთვნილი ფურცლების ბოლოს, გააჩნია ვის და რას ეხება იგი).

ცნობილია, რომ მთავარი მოქმედი პირები ცალ-ცალკე, ზოგჯერ პერსონაჟთა ჯგუფებიც, მწერლის ჩანაფიქრის განმახორციელებელ-გამომხატველნი არიან, ამდენად, მოსწავლეთა მიერ ამოცნობილი სახასიათო თვისებები, რომელთა მთლიანობა პერსონაჟის სახეს ქმნის, თავისთავად ხელს უწყობს ნაწარმოებში დასმული საკითხების წარმოჩენას, რომელთა სისტემაში მოყვანა მოსწავლეთა აქტიური მონაწილეობითაც შეიძლება.

ამრიგად, მოკლეული მასალები გამოიყენება როგორც გმირთა დახასიათების, ისე ცალკეული მოტივის გაშუქების დროს.

გარდამავალი ასაკის მოზარდის თავისებურებანი და „ვეფხისტყაოსნის“ სწავლებისას მასწავლებლის წინაშე მდგარი ამოცანები

როგორც ცნობილია, „ვეფხისტყაოსანი“ IX კლასში ისწავლება. ამ კლასის მოსწავლეები 14—15 წლისანი არიან, ეს ასაკი ფსიქოლოგიაში ცნობილია გარდამავალი ასაკის მეორე ფაზად. რაც დიდი პასუხისმგებლობის წინაშე აყენებს მასწავლებელს.

პირველი კითხვა, რომელიც პედაგოგს „ვეფხისტყაოსნის“ სწავლებისას ებადება, შეეხება მოსწავლეთა ინტელექტუალურ და ემოციურ შესაძლებლობებს. 14—15 წლის მოზარდს შეუძლია თუ არა აღიქვას და ჩასწვდეს რუსთაველის მიერ მაღალმხატვრული სამკაულებით წარმოდგენილ ბრძნული აზრების სიღრმეს? ამ ასაკის ბავშვს შესწევს თუ არა ძალა შეიცნოს რუსთველური, მაღალადამიანური გრძნობის — სიყვარულის იდუმალი ბუნება?

პოემის სათანადო გაგება რომ უჭირთ მოსწავლეებს, ეს ნათლად ჩანს, როგორც მასწავლებელთა განაცხადიდან, ისე მოსწავლეთა ნაშუშევრებიდან და მათთან საგანგებოდ შეტანილი მიზნობრივი კი-

თხვების[1] პასუხებიდან, მაგრამ ისიც ცხადია, რომ აღნიშნული საკითხი მოსწავლეთა დიდი დაინტერესების საგანი ხდება, რაც, თავის მხრივ, განპირობებულია მათი ასაკობრივი თავისებურებითაც. ჩვენს წინაშეა „მოზარდი, რომლის მთელი ყურადღება აქამდე მიმართული იყო გარე სინამდვილის მოვლენებისაკენ... იგი ახლა ერთბაშად ახდენს შემობრუნებას შინაგანი სამყაროსაკენ და დაკვირვების, მსჯელობისა და შეფასების საგნად პიროვნების თვისებებს იხდის“.[2] სწორედ ამიტომ მოსწავლეთა დიდ ინტერესს იწვევს ადამიანის განცდებზე, გრძნობებზე, ფიქრებზე დაწერილი წიგნები.

ე. შპრანგერი თავის საინტერესო ნაშრომში „მოზარდის ფსიქოლოგია“ საკმაოდ საფუძვლიანად იხილავს რა მოზარდთა ემოციური გრძნობების რეალურ შესაძლებლობას, შემდეგ აზრს ავითარებს: „მართალია, ამ ასაკის მოზარდები სქესობრივი მომწიფების პერიოდში არიან, მაგრამ სქესობრივ ლტოლვაზე ადრე მოზარდში იღვიძებს ეროტიკული სიყვარული, ე. ი. სიყვარული ლამაზი სხეულისა და აგრ სხეულებრივში გამონათებული სულისა. იგი სიყვარულის სულიერ ფორმას წარმოადგენს და ესთეტიკურ ხასიათს ატარებს. ამის საფუძველზე მოზარდს უჩნდება ე. წ. სიყვარულის მოთხოვნილება. მოთხოვნილება ეძებს ან თვით ქმნის საყვარელი ობიექტის წარმტაც სახეს“.[3]

ე. შპრანგერის ამ მითითებას ბუნებრივად მივყავართ დასკვნამდე: ვიდრე სქესობრივი მომწიფება დასრულდება და ეროტიკულს სექსუალური მიზნისკენ მიმართულების გრძნობაც შეუწყვილდება, სწორედ მანამ და ამ დროს არის საჭირო ბავშვისათვის დახმარების გაწევა, რაც უნდა განხორციელდეს სწავლა-აღზრდის სწორად წარმართვით. ერთ-ერთ ასეთ სწორ გზად ამ შემთხვევაში მიგვაჩნია მიჯნურობის, როგორც გრძნობის, გაცნობიერება არსებით ნიშანთა გაანალიზების საფუძველზე. ამ კუთხით წამოჭრილი სწავლა-აღზრდის სიძნელე არ გვათავისუფლებს მოვალეობისაგან, რომ ჩვენს მიერ გადაცემული გაკვეთილები ემყარებოდეს ცოდნის შეგნებულად ათვისების პრინციპს.

---

[1] მოსწავლეებს მიეცათ ასეთი კითხვები:

— რა წიგნები წაგიკითხავთ სიყვარულზე, რომელი გმირი მოგწონთ ყველაზე მეტად? (დახასიათეთ იგი).

— თუ გყვარებიათ ვინმე, ან გგონიათ სურვილი — გიყვარდეთ და უყვარდეთ ვინმეს? (ანონიმურად. მაგრამ წრფელად აღწერეთ თქვენი განცდები).

—ვინ არის თქვენს ოცნებაში ლამაზი, მშვენიერი? აღწერეთ იგი.

ექსპერიმენტული მუშაობის პირველ ეტაპზე. ვიდრე მოსწავლეები „ვეფხისტყაოსანს“ გაეცნობოდნენ, მოსწავლეთა უმრავლესობა თავს არიდებდა პასუხებს. პოემის გაცნობის შემდეგ (ექსპერიმენტული მუშაობის II ეტაპზე) მათი მოწონების ობიექტები ხდება რუსთაველის დადებითი გმირები.

[2] პედაგოგიური ფსიქოლოგია, თბ., „განათლება“, ნაწ. II, თბ., 1965, გვ. 34.

[3] იქვე, გვ. 26.

შეგნებული ცოდნა განაპირობებს აღზრდის სწორ მიმართულებას. არსად ისე მკვეთრად არ ჩანს სწავლებისა და აღზრდის მტკიცე ურთიერთობის საჭიროება, როგორც ინტიმურ გრძნობებზე საუბრისას. აქ თავს იჩენს პრობლემა აღზრდისა და თვითაღზრდისა, რომელთაგან უკანასკნელი, თუ სწორად წარიმართა, მთელი სიცოცხლის მანძილზე გაგრძელდება.

„ვეფხისტყაოსნის" მთავარი თემა, ძირითადი საკითხები და იდეები

პოემის სწავლებას სწორი ორიენტაციისათვის აუცილებელია გაირკვეს პოემის მთავარი თემა, ძირითადი საკითხები და იდეები, რისთვისაც გთავაზობთ არსებულ მოსაზრებათა მიმოხილვას და მათ საფუძველზე გამოტანილ დასკვნებს.

ა. ს. გაჩეჩილაძის აზრით, „პოემის ძირითადი თემის გამოვლენა ძნელდება იმის გამო, რომ პოეტის მიერ ნაჩვენები ძირითადი მოქმედების გამოკვეთა არავის უცდია". ამ გარემოებამ კი, მისი ფიქრით, იქამდე მიგვიყვანა, რომ პოემის თემატიკაში ერთნაირი მნიშვნელობა ენიჭება სიყვარულს, გმირობას, პატრიოტიზმსა და მეგობრობას. მკვლევრის აზრით, სიყვარული თუ სხვა საკითხები „ვეფხისტყაოსნის" თემატიკის მნიშვნელოვანი საორიენტაციო ელემენტებია და არა თემა".[1]

„ტრადიციული თვალსაზრისით, — აღნიშნავს ალ. ბარამიძე, — „ვეფხისტყაოსნის" მთავარ თემად მიჩნეული იყო სიყვარული. ეს თვალსაზრისი საეჭვოდ გახადა ნ. მარმა, რომლის მოსაზრებით, რუსთველის მთავარი თემაა ძმობა, ძმადნაფიცობა. ნ. მარს ამ საკითხში დაეთანხმა ივ. ჯავახიშვილიც. იგი წერდა: „უაღრესად საინტერესოა იმის გადაწყვეტა, თუ რა შეადგენს ამ პოემის ძირითად იდეას: რაინდული სიყვარული თუ ძმადნაფიცობის იდეა, როგორც აქ არის დახატული. მე მგონია, სავსებით უეჭველია, რომ სწორედ მეორე ნაწილი — იდეა ძმობისა... წარმოადგენს იდეას, რომლის გულისთვისაც დაიწერა რუსთაველის ეს გენიალური პოემა".[2]

საკითხის ამგვარად დასმა ალ. ბარამიძეს უმართებულოდ მიაჩნია. აქ ერთმანეთისადმი დაპირისპირებულად გამოდის — ორი ძირითადი თემა. მისი აზრით, პოემის ძირითადი თემის საკითხი ბუნებრივად უკავშირდება მისი პერსონაჟების საკითხს. თემის საკითხმა, — აღნიშნავს ალ. ბარამიძე (იმოწმებს ვ. შიშმარიოვის აზრსაც), —

---

[1] ს. გაჩეჩილაძე. ლიტერატურისმცოდნეობის საფუძვლები, 1961, გვ. 18.
[2] ა. ბარამიძე, შოთა რუსთველი და მისი პოემა, თბ., 1966, გვ. 96.

თაეისთავად გამოიწვია დავა, თუ რომელი წყვილი ჩაითვალოს მთავარ ფიგურად.

ალ. ბარამიძე მთავარი ფიგურის საკითხს უკავშირებს პოემის სახელწოდებას, ნესტანის დაკარგვის ამბავს, პოემის ფინალს და განსაკუთრებით კი პროლოგს, სადაც ტარიელი ორჯერ არის ნახსენები („მით შევეწივნეთ ტარიელს“... „მო, დავსხდეთ ტარიელისთვის“) და ამ გზით აღტკიცებს მიჯნურობის თემის უპირატესობას. იგი ამბობ „ვეფხისტყაოსნის“ ძირითადი თემა სიყვარულია“. ეს აზრი გაიზიარეს რუსთველოლოგებმა და, ამრიგად, პოემის მთავარი თემის შესახებ არსებული ტრადიციული თვალსაზრისი ძალაში დარჩა.

მაგრამ შ. ნუცუბიძემ იგივე საკითხი სხვაგვარ ასპექტში განიხილა: „მართალია, „ვეფხისტყაოსანი“ უმღერის რაინდობასა და სიყვარულს, მაგრამ ეს როდია მხატვრული ასახვის მთავარი საგანი. ადამიანი, მისი ხვედრი, წუთისოფელი — აი, რა არის ადრეული აღორძინების ხანის ჰუმანისტური პოემის ძირითადი თემა“.[1] ეს მოსაზრებაც შეწუნარებულია იმავე რუსთველოლოგების მიერ, რომლებიც პირველ მოსაზრებას იზიარებენ; მათ შორის ალ. ბარამიძე, ეხება რ.. რუსთაველის ჰუმანისტური მსოფლმხედველობის საკითხს, შ. ნუცუბიძეს ეთანხმება მთავარი თემის საკითხის გადაწყვეტაში და იქვე მოაქვს უცხოელი მკვლევრის — ედმონ ჟალუს სიტყვები: „ვეფხისტყაოსანი აპოლოგიაა ადამიანისა“[2].

ისმის კითხვა: როგორ უთავსდება ერთმანეთს პოემის ძირითადი თემის ტრადიციული გაგება და თანამედროვე რუსთველოლოგიაში მეტად პოპულარული აზრი — პოემის მთავარი თემა ადამიანია?

ბუნებრივად დგება საკითხი თემის, როგორც ლიტერატურისმცოდნეობის ცნების, მართლგაგებისა. პირველ რიგში გასარკვევია, არის თუ არა თემა ნაწარმოების ანალიზის ისეთი მყარი, სტაბილური ელემენტი, რომლის მიგნება-ამოცნობა ყოველთვის ერთი და იმავე გზით არის შესაძლებელი?

საერთოდ ლიტერატურის გაცნობამ დაადასტურა, რომ ლიტერატურული ცნების „თემის“ გაგებაში აზრთა სხვადასხვაობაა: ზოგიერთი მკვლევრის აზრით, ნაწარმოების თემა არის ცხოვრების სინამდვილის ამა თუ იმ მხარის ასახვა, რომელიც ხშირად შინაარსის განმაზოგადებელ ფონს ქმნის; ზოგიერთის აზრით, კი — ნაწარმოებში დასმული მთავარი პრობლემა. აქვე შევნიშნავთ, რომ ეს უკანასკნელი ზოგჯერ უშუალო კავშირშია პირველთან და მის ფონზე წარმოგვიდგება როგორც თემა-პრობლემა.

---

[1] შ. ნ უ ც უ ბ ი ძ ე. **Творчество Руставели**, თბ., 1958, გვ. 16 (იგივე აზრი შ. ნუცუბიძემ გაიმეორა თავის წიგნში „კრიტიკული ნარკვევები“, თბ., 1969, გვ. 72).

[2] ციტირებულია ალ. ბარამიძის დასახელებული ნაშრომიდან, გვ. 225.

თემის ცნების პირველი გაგება მოცემულია ბ. ტომაშევსკის, ს. გაჩეჩილაძის, ნ. კანდელაკის, გ. ბარამიძის, ვ. მახარაძის ნაშრომებსა და სახელმძღვანელოებში (ნაწილობრივ ლ. ტიმოფეევთანაც).[1] მეორის, ე. ი. „თემის“ პრობლემასთან“ გაიგივებას ადგილი აქვს ლ. ტიმოფეევის, ა. თოფურიას, ა. ჭილაიას ნაშრომებში[2].

თემა, როგორც ასახვის მასალისა და პრობლემის ერთობლიობა, წარმოდგენილია ლ. ტიმოფეევის, გ. ბარამიძის, ნ. კანდელაკის თეორიულ მსჯელობებში, სათანადო მაგალითებს კი ვხედებით როგორც დასახელებულ მკვლევართა, ისე სხვათა შრომებშიაც.

თემის ცნებათა განსხვავებულმა განმარტებებმა, რაც ძირითადად მისი მიგნება-ამოცნობის განსხვავებულ მოტივირებებში გამოიხატა, ასახვა ჰპოვა სათანადო კრიტიკულ ლიტერატურაში.

ჩვენი აზრით, შექმნილი ვითარების (აღრევების) დადასტურებაა „ეეფხისტყაოსნის“ თემის დადგენის თაობაზე 70-იან წლებში გამართული პოლემიკა, რასაც ადგილი ჰქონდა გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე[3].

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ თემა არ არის ანალიზის მყარი, სტაბილური ელემენტი, მაგალითად, ზოგჯერ თემის წარმოჩენის საფუძვლად მიჩნეულია ნაწარმოების თუ საერთოდ შემოქმედების ზოგადი ასპექტი, ზოგჯერ კი — კონკრეტული. მაშინ, როცა საკითხის მართებულად დასმისა და გადაწყვეტისათვის ხშირად საჭიროა ორივე მათგანის გათვალისწინება, რაც აგრეთვე თემის კონკრეტულ ასპექტად მიიჩნევა. საჭიროა აღინიშნოს, რომ თემა ორგვარია: ზოგადი და კონკრეტული. ზოგადი თემა ხშირად იგივეა, რაც ნაწარ-

---

[1] იხ. Б. Томашевский, Теория литературы, М., 1931, გვ. 131; Л. Тимофеев. Краткий словарь литературоведческих терминов. М., 1963, გვ. 157.

ს. გაჩეჩილაძე. ლიტერატურისმცოდნეობის საფუძვლები, თბ., 1957, გვ. 104.

ვ. მახარაძე. ლიტერატურის თეორია სკოლაში, თბ., 1973, გვ. 73.

ნ. კანდელაკი, მხატვრული ნაწარმოების სწავლების მეთოდიკა, დისერტაცია, 1942, გვ. 47.

[2] იხ. ლ. ტიმოფეევის დასახ. ნაშრომი, გვ. 158.

გ. ბარამიძე, ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკა. თბ., 1965, გვ. 229.

ა. თოფურია, ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკა. თბ., 1974, გვ. 155.

ა. ჭილაია, ლიტერატურისმცოდნეობის ძირითადი ცნებები, თბ., 1971, გვ. 159—160.

[3] ა) სამწუხარო შეცდომა, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1972, № 32.

ბ) სამწუხარო შეცდომის გამო, „ლიტერატურული საქართველო“, 1972, № 35.

გ) „ეეფხისტყაოსნის“ იდეურ-თემატიკური შინაარსის სწავლების შესახებ, „სახალხო განათლება“, 1973, № 102.

მოების ფონი (ისტორიულ-ყოფითი განფენილობა), კონკრეტული კი — პრობლემა, რომელიც მწერალს აუღია გადასაწყვეტად. ისიც უნდა ითქვას, რომ როგორც ფიგურა არ არსებობს ფონის გარეშე, ასევე პრობლემა „ასახვის მასალის“ გარეშე, მაგრამ მათი ერთმანეთთან გაიგივება არასწორია. კონკრეტული თემის, ანუ პრობლემის დასმა ნაწარმოების იდეის, ე. ი. ამა თუ იმ საკითხზე მწერლის შეხედულების (ზოგჯერ მსოფლმხედველობის) გამოვლენის საფუძველია. ზოგადი თემა კი, მართლაც მხოლოდ მიგვანიშნებს ცხოვრებისეული სინამდვილის ამა თუ იმ მხარეზე.

აქედან დასკვნა ერთია: რაკი თემა-პრობლემა იდეის (მწერლის მსოფლმხედველობის) საფუძველია, ამდენად „ვეფხისტყაოსნის“ მთავარი პრობლემა ადამიანია (პიროვნება), ხოლო სიყვარული, ფართო გაგებით. — შინაარსის განმაზოგადებელი თემა (სიყვარული აქ უდრის კაცთმოყვარეობას, რის დასტურადაც ავთანდილის ანდერძიდან მკვლევართა მიერვე მოტანილი ციტატი — „სიყვარული აღგვამაღლებს“ გამოგვადგება).

მოსწავლეთათვის ნათელი რომ გახდეს პოემის დედააზრი, შეგვიძლია, გამოვიყენოთ თემის შერჩევის ორივე გზა. (ზოგადი, კონკრეტული). ამასთან დაკავშირებით ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ „ვეფხისტყაოსნის“ მთავარი თემა-პრობლემა ადამიანია. ესაა პრობლემა კაცობრიობის აზროვნებისა, ფიქრისა, ძიებისა, რომლის გაშუქებას რუსთაველი იძლევა სიყვარულის (კაცთმოყვარეობის — ჰუმანიზმის) ფონზე. ამდენად სიყვარული ფართო გაგებით (და არა მხოლოდ მისი ერთ-ერთი სახე, ვთქვათ, მიჯნურობა), იქცევა „ვეფხისტყაოსნის“ მთავარი პრობლემის ფონად, შინაარსის განმაზოგადებელ თემად. ამის გამოა, რომ პირველი სიტყვა, რომელსაც პოემის ყველა შემფასებელი, მართლაც, უნებლიეთ წარმოთქვამს, არის — „ვეფხისტყაოსანი“ სიყვარულის პოემაა.[1]

უდავოა მტკიცება, რომ თემის ზოგადი ფორმულირება ზოგჯერ სრულიადაც არ ეწოწურავს ნაწარმოებში დაყენებულ პრობლემატიკას,

---

[1] შინაარსის განმაზოგადებელ თემად (ფონად) შეგვიძლია მიჯნურობაც მივიჩნიოთ სწორედ ამ გაგებითაა „ვეფხისტყაოსანი“ სიყვარულის პოემა ი. ლუპოლის, გ. შიშმარიოვის, მ. ბოცარას, ალ. ბარამიძის, გ. იმედაშვილის, ს. ცაიშვილის და სხვათა მოსაზრებით. მაგრამ იმის გამო, რომ რუსთაველი მთელი პოემის იდეური გაანალიზების მომცველ თქმას—„სიყვარული აგვამაღლებს“.—უშუალოდ კაცთმოყვარეობის შინაარსით იყენებს, უმჯობესია ასეთ განმაზოგადებელ თემა-ფონად ჩავთვალოთ სიყვარულის ფართო გაგება. მით უმეტეს, ეს უკანასკნელი უფრო ესადაგება მთავარ პრობლემას „ადამიანი“ და რუსთაველის მსოფლმხედველობის ძირითადი ნიშნის — ჰუმანიზმის უშუალო საყრდენად წარმოგვიდგება.

[1] Л. Тимофеев, Анализ художественного произведения, გვ. 152.

ამიტომაც აუცილებელია მისი კონკრეტიზაცია, ცალკეულ საკითხებად დაშლა.[1]

მართლაც, ისტორიულ-ყოფითი განფენილობისა და შინაარსის განმაზოგადებელი ასპექტის მიხედვით თემის ძიება და მიგნება შედარებით ადვილია, ზოგჯერ იგი სათაურშივეა მოცემული („შუშანიკის წამება“, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ „ვეფხისტყაოსანი“, „ქართლის ჭირი“, „ბედი ქართლისა“, „გამზრდელი“, „ჯანყი გურიაში“ და სხვ.), რთულია მთავარი პრობლემის მიგნება და კიდევ უფრო რთული — მასზე დაქვემდებარებული საკითხების ამოცნობა.

რა არის მოტივი? ამ კითხვის დასმა განპირობებულია ორი მიზეზით: 1. სახელმძღვანელოში ეს ტერმინი ბევრჯერ არის გამოყენებული („სეედის მოტივი“, „პატრიოტული მოტივი“ და სხვ.), მაგრამ მის, როგორც ლიტერატურული ტერმინის, განმარტებას მოსწავლე ვერსად ნახულობს, მათ შორის, ვერც სკოლისათვის განკუთვნილ ლიტერატურის თეორიის სახელმძღვანელოში. 2. ამ ცნების განმარტებაც საკამათოა.

ბ. ტომაშევსკის[2] იგი ნაწარმოების დაუშლელ ნაწილად მიაჩნია, ლ. ტიმოფეევი მას მეორეხარისხოვან თემად თვლის[3], ა. ჭილაიას განმარტებით, „მოტივი არის მწერლის იდეური გააზრების საფუძველი, მაგრამ იგი თემატიკის რკალს უფრო უახლოვდება, ვიდრე იდეურს“.[4] ნ. კანდელაკის აზრით, „მოტივი ნაწარმოების იდეური შინაარსის განმსაზღვრელი ელემენტია“. აკად. ა. ბარამიძეს, საერთაშორისოდ, მოტივი ორიენტირად მიაჩნია და მას იდეურ-თემატიკურ ერთეულად თვლის.

აი, როგორ გვესახება მოტივის, როგორც იდეურ-თემატიკური ელემენტის ფუნქცია. თუ მწერალი მიზნად ისახავს პრობლემის ღრმად და ამომწურავად გაშუქებას, ნაწარმოებში სვამს ისეთ საკითხებს და ხატავს ისეთ სურათებს, რომლებიც განაპირობებს ამ ჩანაფიქრის (იდეის) მკაფიოდ განხორციელებას; ეს საკითხები და მათი შესატყვისი მასალები ზოგჯერ თავისთავადაც იმდენად ფრიშენელოვანია (მაგ-

---

[1] ა. თოფურია, ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკა, თბ., 1983, გვ. 183.

[2] Б. Томашевский, Теория литературы, 1952. გვ. 137.

[3] Л. Тимофеев. Краткий словарь. 1963, გვ. 90.

[4] ა. ჭილაია, ლიტერატურისმცოდნეობის ძირითადი ცნებები, გვ. 277. აქვე უნდა დავძინოთ, რომ მოტივი, როგორც ლიტერატურული ტერმინი, ლ. ტიმოფეევისა და ა. ჭილაიას შენიშვნით, „მოჭვლებულია და სიტყვათსმარებიდან გასულის ნიშნებს ამჟღავნებს“. სახელმძღვანელოებშიც მართლაც აშკარად იგრძნობა მოტივის და თემის სინონიმური სიტყვებით (საკითხი, პრობლემა, მაგისტრალური თემა, დაქვემდებარებული თემა) შეცვლის ტენდენცია. მაგრამ საქმე ასე არ არის. ეს ტერმინები საჭიროებამ წარმოშვა და მათ შენარჩუნებას გარკვეულ შემთხვევაში, რადგან სტილური ფუნქცია ენიჭებათ. აუცილებლობა განაპირობებს.


რამ უფრო დიდ მნიშვნელობას, რა თქმა უნდა, მთავართან დამოკიდებულებაში ამჟღავნებენ), მათ თავისი იდეებიც აქვთ, მაგრამ სხვა დაჭვემდებარებულ წვრილმან საკითხებს ასეთი რამ არ გააჩნია. და ისინი, როგორც მხოლოდ საშუალებანი, ამ უფლებით შეიმოდიან ნაწარმოებში.

ამრიგად, ის ძირითადი საკვანძო საკითხები, რომლებიც პრობლემურადაა დასმული და ამდენად დამოუკიდებელი მნიშვნელობებიც გააჩნია, მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, მთავარი პრობლემის გადაწყვეტის აუცილებელ კომპონენტებს წარმოადგენს, იწოდება მოტივებად.

ამ თავიანთი განსაკუთრებული ფუნქციის გამოა, რომ ისინი დამხმარე თემებადაც მიაჩნიათ, მაგრამ იდეასთან მიმართებაში იდეურ თემებს კი არ უწოდებენ. არამედ — იდეურ მოტივებს. ორივეს გათვალისწინებით კი იგი სამართლიანადაა მიჩნეული იდეურ-თემატიკურ მოტივად.

რა ურთიერთმიმართებაში წარმოგვიდგება თემა, მოტივი და იდეა? თემა ნაწარმოებში დასმული მთავარი პრობლემაა (ზოგჯერ იგი წარმოდგენილია, როგორც ასახვის ობიექტი, პრობლემის ფონი). მოტივი ძირითადი საკითხია, მთავარი პრობლემის გადაწყვეტის აუცილებელი კომპონენტი, იდეის ზოგადი დასკვნაა, რომელსაც სისტემაში მოჰყავს მთავარი პრობლემის გადაჭრისათვის საჭირო მასალა და მისგან კანონზომიერად გამომდინარეობს. როგორც მწერლის გარკვეული მსოფლმხედველობა.

„ვეფხისტყაოსნის“ იდეური ანალიზის ძირითადი კომპონენტების მთლიანობაში ნათლად წარმოდგენის მიზნით შევიმუშავეთ სქემა.



[1] ამ იდეის განმარტება იხილეთ პატრიოტულ მოტივთან დაკავშირებით, გვ.. 174.

მაშასადამე, ადამიანი (პიროვნება) არის პოემის მთავარი პრობლემა, ხოლო სიყვარული (ფართო გაგებით) — შინაარსის განმაზოგადებელი თემა. მიჯნურობა, მეგობრობა, პატრიოტიზმი ძირითადი მოტივებია.[1] თითოეული მათგანი, როგორც სიყვარულის სახეები და კაცთმოყვარეობის გამოხატულებები, ნაწარმოებში ისეა წარმოდგენილი, რომ ისინი ცალ-ცალკეც ამაშაღლებელი გრძნობებია. ამდენად რუსთაველის ფიგურალური თქმა „სიყვარული აღგვამაღლებს“ წარმოგვიდგება როგორც პოემის ძირითადი მოტივების გამამთლიანებელი იდეა. რუსთაველის გმირები სამივე სახის სიყვარულის მატარებელნი არიან შეიძლება ითქვას, „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის (ფახრ უდ-დინ გორგანელის) თქმას — „ვინცა მიჯნური არ არის, არცა კაციაო“ — რუსთაველმა დაუპირისპირა აზრი: ვისაც მიჯნურობის მადლი დაებედა, ის უდიდესი მეგობარიცაა და დიდი პატრიოტული აღტყინების ადამიანიც.

სიყვარული კაცის ნების სასიკეთო საქმისაკენ წარმმართველი ძალაა, მაცოცხლებელი სტიმულია, აქტივობაა. სიყვარული მეგობრობაა და მეგობრობის საფუძველიცაა, საზოგადოებრივი და პირადული ინტერესების შემთანხმებელი პათოსია. ამიტომაა, რომ რუსთაველისმიერი სიყვარულის სამივე სახე ამაშაღლებელია. ისინი განაპირობებენ ერთმანეთს და კაცის, ადამიანის, უდიდეს ღირსებებად გვევლინებიან.

რით განსხვავდება იდეა დედააზრისაგან?

იდეა ცალკეულ შემთხვევაში ხშირად და ლაკონიური ფრთიანი ფრაზითაც შეიძლება გამოიხატოს. დედააზრი კი ანგარიშს უწევს რა ნაწარმოებში შემავალ ძირითად საკითხებს, მასთან შედარებით უფრო ვრცელ ფორმულირებას საჭიროებს.

„ვეფხისტყაოსნის“ დედააზრი მოკლედ შეიძლება ასე გამოიხატოს: სრულყოფილი ადამიანის (განურჩეველად სჭესისა) განმსაზღვრელი მოტივებია: მიჯნურობა, მეგობრობა და პატრიოტიზმი. ეს ღირსებები, როგორც სიყვარულის სახეები (კაცთმოყვარეობის გამოხატულებები) ამაშაღლებელი გრძნობები და მისწრაფებებია. რაც უფრო ძლიერი და მაღალია ეს მისწრაფებები, მით უფრო დიდ დაბრკოლებებს ხვდება იგი ცხოვრებაში (მით უმეტეს, ეს ითქმის ადრეული საზოგადოებრივი ურთიერთობების მიმართ, როდესაც ღირსებები ხშირად ითრგუნებოდა, გენიის მონაპოვარი კი ცაზე მეტეორის გამოჩენასავით აფრთხობდა ჯერ კიდევ სიბნელით მოსილ კერპებს), მაგრამ ადამიანი არ უნდა შეუშინდეს დაბრკოლებებს, აუცილებელია აღიჭურვოს რკინისებური ნებისყოფით, დაუკავშირდეს თანამოაზრეს და მის მხარ-

[1] ა. ბარამიძე თავის წიგნში იდეურ-თემატიკურ მოტივებში აერთიანებს საკითხებს: 1. სიყვარული და ქალის თაყვანისცემა, 2. ძმობა-მეგობრობა და ძმადნაფიცობა, ხალხთა მეგობრობა, 3. პატრიოტიზმი.

დამხარ იბრძოლოს ყოველგვარი ბოროტების — უსამართლობის, კონსერვატიზმისა და ფორმალიზმის წინააღმდეგ; სწამდეს, რომ სიკეთე უსათუოდ გაიმარჯვებს. „ბედი ცდაა, გამარჯვება, ღმერთსა უნდეს, მო-ცა-გხვდების“ — ასეთია, რუსთაველის გაგებით, ადამიანის ცხოვრების აზრი. ბრძოლაა ცხოვრების მიზანი, ბრძოლის შინაარსს კი პიროვნების მისწრაფებები, მიზნები და რეალური ვითარება განაპირობებს.

რუსთაველის გმირები თავიანთი მსოფლმხედველობრივი მრწამსით მრავალმხრივ უბირისპირდებიან რელიგიურ დოქტრინებს, მაგრამ ისინი უმეტესად მაინც — თეისტები არიან, ამ მხრივ საჭიროა გაიშიფროს ტაეპი — „ბედი ცდაა, გამარჯვება, ღმერთსა უნდეს, მო-ცა-გხვდების“. „ბედი ცდაა“, ე. ი. ადამიანი ბრძოლით, ცდით ხელს უწყობს თავისი ბედის ხორცშესხმას, ამიტომ უნდა გაისარჯოს... „გამარჯვება, ღმერთსა უნდეს, მო-ცა-გხვდების“ — რადგან ღმერთი კეთილია, სიკეთის გამარჯვების მესვეური, რაშიც ეჭვის შეტანაც კი არ შეიძლება („ბოროტიმცა რად შეექმნა კეთილისა შემოქმედსა?!“), ამდენად, კეთილი მიზნით აღძრული ბრძოლა გამარჯვებით დასრულდება — აი, რუსთაველის გმირთა ოპტიმიზმის საფუძველი, რაც პოემის ფინალში ნათლადაა გამოხატული: „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“.[1]

გარკვევით დგება საკითხები 1. საერთოდ ჰუმანიზმის ცნების გაგებისა, 2. ჰუმანიზმის რუსთველური კონცეფციის გამოკვეთისა და 3. პოეტის სახელის რუნესანსთან დაკავშირებისა.

* * *

ნათლად რომ წარმოვიდგინოთ „ვეფხისტყაოსანზე“ მუშაობის მთელი გზა, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, უპირველეს ყოვლისა, გავეცნოთ მისი სწავლების **საორიენტაციო თემატიკურ გეგმას.**

1991/92 სასწავლო წლის პროგრამით პოემის სწავლებას ეთმობა 45 საათი, რომელიც შეიძლება ასეთნაირად განაწილდეს:

I. შესავალი მეცადინეობა ბიოგრაფიითურთ — 2 საათი.
II. ტექსტის კომენტირება და შესწავლა — 27 საათი.
III. ტექსტის ანალიზი — 16 საათი.

ეს საათები ცალკეულ გაკვეთილებად საორიენტაციოდ შეიძლება ასე დაიყოს:

შესავალი მეცადინეობა 2 საათი

[1] ოპტიმიზმის ამგვარი გაგება შეიძლება მიეიჩნიოთ რუსთაველის მიერ განგების, როგორც ძალის, რწმენის გამოხატულებად: ამ რწმენას ადამიანური ცხოვრების მსაზღვრელი კანონზომიერების ელფერი დაჰკრავს, რის გამო მას უარყოფა არ უწერია.

1-ლი გაკვეთილი 1. „ვეფხისტყაოსნის“ შექმნის რეალური საფუძვლები. 2. რუსთაველი და ხალხური ზეპირსიტყვიერება.

მე-2 გაკვეთილი რუსთაველის ზედწოდების, სახელისა და პორტრეტის შესახებ მეცნიერული წყაროებისა და პოემის დასაწყისი 11 სტროფის გათვალისწინებით.

ტექსტზე მუშაობა[1]

მე-3 გაკვეთილი ამბავი როსტევან არაბთა მეფისა; როსტევან მეფისაგან და ავთანდილისაგან ნადირობა.

მე-4 გაკვეთილი ნახვა არაბთა მეფისაგან მის ყმისა ვეფხისტყაოსნის; თინათინისაგან ავთანდილის გაგზავნა მის ყმის საძებრად.

მე-5 გაკვეთილი წიგნი ავთანდილისა თავის ყმათა თანა; ავთანდილისაგან მის ყმის ძებნად წასვლა.

მე-6 გაკვეთილი ამბავი ავთანდილისა ასმათს რომ ეუბნების ქვაბშიგან; შეყრა ტარიელისა და ავთანდილისა.

მე-7 გაკვეთილი ტარიელისაგან თავის ამბის მბობა, ოდეს ავთანდილს უამბო: ამბავი ტარიელის გამიჯნურებისა, პირველ რომ გამიჯნურდა.

მე-8 გაკვეთილი წიგნი ნესტან-დარეჯანისა საყვარელსა თანა მიწერილი პირველი, ვიდრე — ტარიელისა და ნესტანის პირის-პირ შეყრა.

მე-9 გაკვეთილი ტარიელისა და ნესტანის პირის-პირ შეყრა, ვიდრე — წიგნი ტარიელსა ინდოთ მეფის წინაშე და გამარჯვებით დამოქცევა (ჩათვლით)

მე-10 გაკვეთილი წიგნი ნესტან-დარეჯანისა საყვარელსა თანა მიწერილი, ვიდრე — ტარიელისა და ნესტანის თათბირი და გამორჩევა.

მე-11 გაკვეთილი ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის თათბირი და გამორჩევა, ვიდრე ამბის ცნობა ტარიელისაგან ნესტანის დაკარგვისა.

მე-12 გაკვეთილი ამბის ცნობა ტარიელისაგან ნესტანის დაკარგვისა, ვიდრე — ფრიდონისაგან ნესტან-დარეჯანის ამბის მბობა.

მე-13 გაკვეთილი ფრიდონისაგან ნესტან-დარეჯანის ამბის მბობა; ამბავი ავთანდილისა არაბეთს შექცევისა.

მე-14 გაკვეთილი დათხოვა ავთანდილისა როსტევან მეფესთანა და ვაზირის საუბარი; ავთანდილისაგან შერმადინის საუბარი.

მე-15 გაკვეთილი ანდერძი ავთანდილისა როსტევან მეფის წინაშე, ოდეს გაიპარა; ლოცვა ავთანდილისა.

---

[1] გამოყენებულია „ვეფხისტყაოსნის“ სასკოლო გამოცემა, თბ., „განათლება“, 1974.

მე-16 გაკვეთილი ცნობა როსტევან მეფისაგან ავთანდილის გაპარვისა; წასვლა ავთანდილისაგან ტარიელის შეყრად მეორედ.

მე-17 გაკვეთილი პოვნა ავთანდილისაგან დაბნედილის ტარიელისა; ვიდრე — აქა ტარიელისაგან და ავთანდილისაგან ქვაბს მისლვა და ასმათის ნახვა.

მე-18 გაკვეთილი აქა ტარიელისაგან და ავთანდილისაგან ქვაბს მისლვა და ასმათის ნახვა; ვიდრე — წასლვა ავთანდილისაგან ნესტან-დარეჯანის საძებრად და ქარავანთა შეყრა (ჩათვლით).

მე-19 გაკვეთილი ამბავი ავთანდილისაგან გულანშარის მისლვისა; ვიდრე — აქა ფატმანისაგან ნესტან-დარეჯანის ამბის მბობა.

მე-20 გაკვეთილი აქა ფატმანისაგან ნესტანის ამბის მბობა; ვიდრე — წიგნი ფატმანისა ნესტან-დარეჯანის წინაშე მიწერილი.

21-ე გაკვეთილი წიგნი ფატმანისა ნესტან-დარეჯანის წინაშე მიწერილი; წიგნი ნესტან-დარეჯანისა ფატმანთანა.

22-ე გაკვეთილი წიგნი ნესტან-დერეჯანისა საყვარელთან მიწერილი; წიგნი ავთანდილისა ფრიდონთან მიწერილი.

23-ე გაკვეთილი წასლვა ავთანდილისა გულანშაროთ და ტარიელის შეყრა; ტარიელისა და ავთანდილისაგან წასლვა ფრიდონისასა.

24-ე გაკვეთილი თათბირი ნურადინ ფრიდონისა, თათბირი ავთანდილისა; თათბირი ტარიელისა.

25-ე გაკვეთილი ტარიელისაგან ზღვათა მეფისას მისლვა; ვიდრე—სამთაგანვე ქვაბს მისლვა და მუნით არაბეთს წასლვა.

26-ე გაკვეთილი სამთაგანვე ქვაბს მისლვა და მუნით არაბეთს წასლვა; ქორწილი ავთანდილისა და თინათინისა არაბთა მეფისაგან.

27-ე გაკვეთილი ტარიელისაგან ინდოთ მეფის სიკვდილის ცნობა; ტარიელისაგან ინდოეთს მისლვა და ხატაელთა დამორჩილება.

28-ე გაკვეთილი ქორწილი ტარიელისა და ნესტან-დარეჯანისა; დასასრული.

29-ე გაკვეთილი პოემის შინაარსის მაგისტრალური ხაზების განვითარებისა და ამბის წყობის შესახებ; პერსონაჟთა კლასიფიკაცია.

იდეურ-მხატვრული ანალიზი

30-ე გაკვეთილი რაინდთა სახეები: ტარიელის დახასიათება.

31-ე გაკვეთილი ავთანდილის დახასიათება, ფრიდონის დახასიათება.

32-ე გაკვეთილი ტარიელისა და ავთანდილის შედარებითი დახასიათება.

33-ე გაკვეთილი ქალთა სახეები; ნესტანის დახასიათება.

34-ე გაკვეთილი თინათინის დახასიათება.

35-ე გაკვეთილი ნესტანისა და თინათინის შედარებითი დახასიათება.

36-ე გაკვეთილი ასმათის დახასიათება; ფატმანის დახასიათება.

37-ე გაკვეთილი მეფეთა სახეები (როსტევანი, ფარსადანი, სარიდანი) საქართველოს ისტორიული სინამდვილის გათვალისწინებით.

38-ე გაკვეთილი მიჯნურობა პროლოგის შესაბამისი ადგილების ახსნითა და შესწავლით.

39-ე გაკვეთილი მეგობრობა.

მე-40 გაკვეთილი პატრიოტიზმი.

41-ე გაკვეთილი — საინტერესო ჩანართი საკითხები „ვეფხისტყაოსანში“.

42-ე გაკვეთილი რუსთაველის შეხედულება შაირობაზე პროლოგის სათანადო ადგილების ახსნითა და შესწავლით.

43-ე გაკვეთილი პოემის მხატვრული მხარე.

44-ე გაკვეთილი რუსთაველი — ქართული რენესანსის მეთაური.

45-ე გაკვეთილი დასკვნითი მუშაობა. რუსთაველის მნიშვნელობა და ადგილი მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში.

გზადაგზა საწერ თემებზე მუშაობა.[1]

გაკვეთილის ტიპები „ვეფხისტყაოსანზე“ მუშაობის გათვალისწინებით

პირველი და აუცილებელი პირობა სწავლა-აღზრდაში ინტერესის აღძვრაა. რუსთაველის შესწავლისადმი ინტერესი კი ნაწილობრივ განპირობებულია ჩვენს გარეშე არსებული ფაქტორებითაც, ესენია: 1. რუსთაველის სახელის პოპულარობა. 2 წინა კლასებში რუსთაველის აფორიზმების სწავლება. 3. „ვეფხისტყაოსნის“ თემა და მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებანი 4. პოემის დამოუკიდებლად წაკითხვის ნაადრევი ცდები და სხვ.ეს ინტერესი რომ უფრო ინტენსიური და მყარი გავხადოთ, ამისათვის აუცილებელია, მტკიცედ დავიცვათ სწავლების პრინციპები, მაგრამ არ შემოვიფარგლოთ სწავლა-აღზრდის მხოლოდ გატკბნილი გზებითა და საშუალებებით.

„ვეფხისტყაოსნის“ სწავლება ყველაზე კარგ პირობას იძლევა იმისათვის, რომ მოსწავლეებს პოემის ძირითადი მოტივები, შესაძ-

[1] სასურველია თემების შესასწორებლად, საკონტროლოების შესასრულებლად გამოვიყენოთ ენის საათები. თხზულებების ორიგინალურად გაშუქების გზებზე კი ვესაუბროთ საგანგებოდ და შევუმუშაოთ ჩვენი დამოუკიდებელი აზროვნებისა.

ლებლობის ფარგლებში, გავაცნოთ თვით ცნებათა ღრმა გააზრების თვალსაზრისითაც. საკითხის ამგვარად შესწავლა ბუნებრივად აყენებს პარალელებისა და შეპირისპირების საჭიროებას პოეტის წინამორბედების, მისი და ჩვენი თანამედროვეების შეხედულებებთან, რაც კარგ ნიადაგს ქმნის პრობლემების ღრმად გაგებისათვის. ეს უკანასკნელი, ჩვენი აზრით, არა მარტო წარმოაჩენს რუსთაველის, როგორც პოეტისა და მოაზროვნის, ნამდვილ ღირსებას, არამედ გაზრდის ლიტერატურის, როგორც შემეცნებით, ისე აღმზრდელობით ფუნქციას; ხელს შეუწყობს მოსწავლეთა მსოფლმხედველობის სწორ ორიენტაციას და გაკვეთილი არ იქცევა მოსაბეზრებელ პროცესად.

„ვეფხისტყაოსნის“ უკეთ სწავლების მიზნით აუცილებელია გავითვალისწინოთ შემდეგი:

1. შესავალი მეცადინეობისას 1. ბავშვებს მოვაგონოთ: ა. ლიტერატურის, როგორც ხელოვნების ერთ-ერთი დარგის, ფუნქცია და მისი საზოგადოებრივი მნიშვნელობა: ბ. საერთოდ ლიტერატურის ისტორიის ძირითადი ნაწილები და, კერძოდ, ძველი ქართული მწერლობის პერიოდიზაცია. 2. მოსწავლეთა აქტიური მონაწილეობით მოკლედ წარმოვადგინოთ რუსთაველისდროინდელი საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ვითარების სურათი. 3. შევეხოთ ძველი ქართული მწერლობის პირველი და მეორე პერიოდის განმასხვავებელ არსებით ნიშნებს ისე, რომ მოსწავლეებმა ნათლად აღიქვან ლიტერატურის ფუნქცია და მისი როლი საზოგადოერივი ცხოვრების გარდაქმნის საქმეში. 4. მათვე უნდა გავუცნობიეროთ საკითხი, თუ რამ განაპირობა რუსთაველის შემოქმედების მთავარ თემად „ადამიანისა და ადამიანურობის“ პრობლემურად დასმა 5. საჭიროა ბიოგრაფიული ცნობების ხალხური ზეპირსიტყვიერების მაგალითებით გამდიდრება.

II. ტექსტის შესწავლისას 1. მასწავლებლის უშუალო ხელმძღვანელობით საჭიროა შეიქმნას პრობლემური სიტუაციები და ამ გზით მოხდეს როგორც ტექსტის ღრმად შესწავლა, ასევე პოემაში დასმული ძირითადი საკვანძო საკითხებისადმი მოსწავლეთა ყურადღების გამახვილება, მათი (როგორც ზოგადმნიშვნელოვანი საკითხების) არსებითი ნიშნების ძიება და ამოწერა. 2. რუსთაველის პოეტური ენის აღქმისა და ტექსტის იდეურ-მხატვრული გააზრებისათვის მასწავლებელი გადასაცემი მასალის უმნიშვნელოვანეს ადგილებს კითხულობს გამომეტყველებით (ფაბულისაგან მოუწყვეტლად) და მოსწავლეთა აქტიური მონაწილეობით აკეთებს სიტყვიერ-ფრაზეოლოგიურ კომენტარს. 3. ტექსტზე მუშაობისას პოემის ღრმა შესწავლისათვის ვიყენებთ რვეულებს. ჩვენი ხელმძღვანელობით მოსწავლეთა ჩა-

ნაწერებს თავიდანვე ვაძლევთ სისტემის ხასიათს, ე. ი. საკითხებს ვაჯგუფებთ.

III. იდეურ-მხატვრული ანალიზის დროს 1. მოსწავლეთა აქტიური მონაწილეობით ხდება პერსონაჟთა კლასიფიკაცია. 2. ეძლევათ გმირის დახასიათების შედარებით სრულყოფილი საორიენტაციო სანიმუშო გეგმა სათანადო კომენტარით და ერთ-ერთი მათგანი გაკვეთილზე კიდეც დახასიათდება, 3. მოსწავლეთა მონაწილეობით ირკვევა პოემის თემა, ძირითადი მოტივები და მათი შესაბამისი იდეები. 4. მოსწავლეები იწერენ თითოეული მოტივის გეგმას. მასთან დაკავშირებით კი ვაძლევთ ამ გეგმის გამოყენების, ე. ი. მის მიხედვით თხრობის ლოგიკურად ჩამოყალიბების ნიმუშს. 5. პოემის დედააზრის მთლიანობაში წარმოდგენის მიზნით ვიყენებთ ამისათვის საგანგებოდ შედგენილ სქემას და ვატარებთ სასკოლო ლექციას — რუსთაველი ქართული რენესანსის მესვეური. 6. რუსთაველის პოეტური ენის მხატვრული გააზრებისათვის და სათანადო უნარ-ჩვევების გამომუშავებისათვის არ უნდა დავუშვათ პოეტური სახეების მოუმარჯვებლად არამც თუ თხრობა, კითხვებზე მოკლე პასუხებიც კი.

IV. დასკვნისას, კლასში და კლასგარეშე მუშაობის შედეგად მიღებული ცოდნის განმტკიცებისა და რუსთაველის პოპულარობის უკეთ შემეცნების მიზნით, ჯერ ვასწავლით[1] და შემდეგ მოსწავლეთა აქტიური მონაწილეობით პარალელს ვავლებთ საზღვარგარეთის მწერალთა სანიმუშო ძეგლებში დასმულ პრობლემებთან, ვახდენთ მასალების სინთეზს და ვატარებთ საუბარს — რუსთაველის ადგილი და მნიშვნელობა მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში.

ყოველივე ზემოთქმულის ნათლად წარმოდგენის მიზნით რეკომენდაციებს ვთავაზობთ სათანადო მასალებით, რომლებითაც მასწავლებელი იხელმძღვანელებს როგორც გაკვეთილის მზადების პროცესში, ისე გაკვეთილზეც.

შესავალი მეცადინეობა

—

I-ლი გაკვეთილი

ძირითადი საკითხები:

1. ძველი ქართული მწერლობის უკვე შესწავლილ მწერალთა ღვაწლის შეფასება-შეჯამება.

2. XI—XII საუკუნეების საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურული ვითარების მოკლე მიმოხილვა.

[1] მხედველობაში გვაქვს ახალი პროგრამებით დანტეს, შექსპირისა და სხვათა ნაწარმოებებიდან ნაწყვეტების შესწავლა VI—VII კლასებში და მათი გახსენება, უფრო ღრმად წვდომის მიზნით კი, „ვეფხისტყაოსნის“ პარალელურად, მათი ფაკულტატიურად შესწავლა.

3. „ვეფხისტყაოსნის“ შექმნის რეალური საფუძვლები.

4. რუსთაველი ქართულ ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში.

მეთოდები და დიდაქტიკური მასალები: საუბარი, თხრობა, ან სასკოლო ლექცია; შოთა რუსთაველის პორტრეტები.

შესავალი მეცადინეობიდან საუბრის ნიმუშისათვის საჭიროდ მიგვაჩნია ყურადღება გავამახვილოთ მთავარ და ამავე დროს ძნელად გამოსაკვეთ საკითხებზე. ესენია მე-4 და მე-5 პუნქტები, რომლებიც შეიძლება გავაერთიანოთ და ასე დავასათაუროთ:

პოემის შექმნის რეალური საფუძვლები (საუბარი წინ უძღვის ტექსტის შესწავლას).

ძველი ქართული მწერლობის პირველი პერიოდის დახასიათებისას შევეხეთ რა ქრისტიანული რელიგიის წარმოშობას,[1] ჩვენთვის ნათელი გახდა მისი როლი ადამიანთა ცხოვრების ისტორიაში.

ქრისტიანობა სხვა რელიგიებთან შედარებით უფრო ჰუმანურ სარწმუნოებადაა მიჩნეული, რაშიც დაგვარწმუნა ჰაგიოგრაფიულ თხზულებათა შესწავლამ. ჩვენთვის ისიც გახდა ცხადი, თუ რა როლს ასრულებდა სასულიერო ლიტერატურა ერის თვითმყოფობის შემეცნებაში.

„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ შესწავლამ თვალწინ გადაგვაშალა „წმიდა მამების“ ცხოვრების ნათელი სურათი; მამებისა, რომლებიც იმქვეყნად „მარადიული სუფევის“ დამკვიდრებისათვის უდიდეს სამსახურს უწევდნენ სამშობლოს დამოუკიდებლობის შენარჩუნებასა და ძლიერების მოპოვებაში. ამის უტყუარი დადასტურებაა გრიგოლ ხანძთელის თუ სხვა „წმიდა მამათა“ მოღვაწეობა, რომელთა თაოსნობით აგებული ეკლესია-მონასტრები მშვიდობიანი ცხოვრების დროს ადამიანთა სამლოცველო ტაძრები იყო, ბრძოლის დროს კი გარკვეულ ციხესიმაგრეებად იქცეოდა.

ამავე ნაწარმოებით ჩვენთვის ისიც გახდა ნათელი, რომ IX—X საუკუნეებში ღვთისმსახურთა ძალაუფლება ისეა გაზრდილი, რომ ისინი ამქვეყნის გამგებელთაც კი უპირისპირდებიან და თავიანთი საკაცობრიო მისია მეფეზე აღმატებულად მიაჩნიათ, რაც კარგად იხატება საბა ოშხნელის როგორც მოქმედებაში (მეფის დაძახილზე არ გამოცხადდა, გრიგოლის წერილის შემდეგ კი ეწვია მეფეს), ისე შე-

---

[1] ძველი ქართელი მწერლობის შესწავლის წინ მოსწავლეებს ყოველთვის ესაუბრებოდით საერთოდ რელიგიის და კერძოდ ქრისტიანული სარწმუნოების წარმოშობის შესახებ, რადგან ამის გარეშე შეუძლებლად მიგვაჩნია, პირველ რიგში ჰაგიოგრაფიული მწერლობის და საერთოდ ძველი ქართული მწერლობის გაგება-შესწავლა.

ფისადმი მიმართვაში: „დიდებულო მეფეო, შენ ქუეყანისა ხელმწიფე ხარ, ხოლო ქრისტე ზეცისა და ქუეყანისა და ქუესკნელთა“... ამასვე გვიდასტურებს გრიგოლ ხანძთელის ქცევა (იგი მეფის პირად ცხოვრებაში ერევა და მას ზნეობრივი სიწმინდის დაცვისაკენ მოუწოდებს) და სიტყვები: „სარწმუნონი და ჴეშმარიტნი მონაზონნი ქუეყანასა ზედა არა ვისა ხელმწიფებასა ქუეშე არიან“.

(ეს „არდამორჩილება მეფისადი“ სულაც არ ნიშნავს საქვეყნო ინტერესებისაგან მოწყვეტას; პირიქით, ეს იყო ეპოქა, როცა სასულიერო პირები საჭიროების შემთხვევაში მეფეთა ცხოვრებაშიც კი იჭრებოდნენ და მათ საქვეყნო-სამაგალითო „ყოფისაკენ“ მოუწოდებდნენ. სწორედ ამგვარი ერთსულოვანი თანამშრომლობის შედეგი იყო, რომ გრიგოლი აშოტ მეფის გვერდით ტაო-კლარჯეთში იწყებს მოღვაწეობას: იქ აფუძნებს ეკლესიებს და ამრავლებს მრევლს... სულიერად და ფიზიკურად განამტკიცებს ქვეყნის ორთიანობის იდეას...

ქვეყნის აღმვალობით აღფრთოვანებული მწერალი — გიორგი მერჩულე ნაწარმოების დასასრულს ამბობს: „ქართულად ფრიადი ქუეყანაი აღირიცხების რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების“...).

მე-11 საუკუნის საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურული ვითარების მიმოხილვისას იმასაც გავეცანით, თუ როგორ გაძლიერდნენ მეფენი („მძლავრობენ მეუფენი ამა ქვეყნისანი“). ამ დროისათვის დავით აღმაშენებელი ქვეყნის ერთიანობისა და ძლიერებისათვის. ბრძოლას ეკლესიის უღირს მსახურთა ძალაუფლების შეზღუდვით იწყებს.

ერთ დროს ადამიანის შემწედ და ქომაგად მიჩნეული სარწმუნოება (რომლის მსახურნი კულტურისა და წინსვლის მესვეურნიც იყვნენ, ამავე დროს) და ეკლესია, რომელშიც შეიჭრა მავნე ტენდენციები, იქცა საზოგადოებრივი ცხოვრების წინსვლის ბორკილად. ეს ფაქტი თავის მხრივ განაპირობა შემდეგმა გარემოებამ: რაც უფრო იღვიძებდა ადამიანის გონება და მეტად მიილტვოდა ბუნების საიდუმლოებათა შემეცნებისაკენ, ეკლესიის ზოგი „მსახური“ უფრო ცდილობდა ადამიანის ყურადღების მოწყვეტას რეალური სინამდვილისაგან და მათი ინტერესების სფეროდ მხოლოდ საიქიო ცხოვრებისათვის ზრუნვას სახავდა[1], რითაც ადამიანი ზეცას ეჯაჭვებოდა; ირღვეოდა ჰარმონია მიწისა და ზეცის სამსახურისა. ცხოვრება კი თავისას ითხოვდა. საჭი-

[1] ამ დროისათვის სასულიერო პირთა არცთუ მცირე ნაწილი ჩაებღაუჭა რა მოციქულთა ნათქვამს: „ვიტყუ უქორწინებელთა მათ და ქურივთა: უკეთეს არს მათა უკეთუ ეგნენ ესრეთ ვითარცა მე“ (კორინთელთა მიმართ, 7/8), ადამიანისაგან მოითხოვა ხორციელ მოთხოვნათა უკიდურესი დათრგუნვა, სოფლის გმობა და მის იდეალად ასკეტი დასახა.

რო იყო ბრძოლა ქვეყნის ერთიანობისა და ძლიერებისათვის. ეკლესიის მსახურთა ერთი ნაწილის მიერ არასწორად გაგებული მცნება — „მტერიც უნდა გიყვარდეს“ და აქედან გამომდინარე მრწამსი კი ადამიანს, როგორც მებრძოლს, ადუნებდა.

დავით აღმაშენებელმა, ფრიად განათლებულმა ადამიანმა და შესანიშნავმა ორგანიზატორმა, შეძლო ეკლესიის უღირს მსახურთა თავიდან მოცილება, ღირსეულთა აღორძინება და მათი მრწამსის მთლიანად ქვეყნის ინტერესებისადმი დაქვემდებარება.

მეფემ ქვეყნის გაძლიერების (ერთიანი ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნის) სხვა ხერხსაც მიმართა. იგი არ დაეყრდნო ურთიერთმოქიშპე ფეოდალებს, ყივჩაყები გადმოასახლა და შეადგინა რეგულარული არმია, რითაც უზრუნველყო ქვეყნის ერთიანობა და ძლიერება.

დავით აღმაშენებლიდან ვიდრე თამარის მეფობამდე, არსებითად არაფერი შეცვლილა. ეკლესია დაექვემდებარა სახელმწიფოს, მეფეს: იგი ამ უკანასკნელს რაცხს ღვთის სწორად და ხალხისაგან მოითხოვს მეფის განდიდებას „ვითარცა ღვთისას“... ადამიანი კიდევ უფრო კარგავს თავისუფლებას. იგი თანდათან იქცევა ორი კერპის მონად, — მონად ღმერთისა და მონად მეფისა.

მეფე, განურჩევლად იმისა, არსებული კანონმდებლობა და მისი ერთპიროვნული განმგებლობა სამართლიანია თუ არა, ადამიანისაგან მოითხოვს ბრმა მორჩილებას. ამ ორი კერპის მსახურებამ ფეოდალურ საზოგადოებაში გააბატონა შეხედულება — „რაცა ვის რა ბედმან მისცეს, დასჯერდეს“... და იგი კანონად აქცია.

რაც უფრო მძლავრობს ადამიანის ნებაზე „ღვთისა“ თუ მეფის ბატონობის სურვილი, მით უფრო ფხიზლდება ადამიანი. მას შინაგანი ადამიანური ტენდენცია უბიძგებს „შეიცნოს თავი თვისი“ და მოწახოს ადგილი, უპირველეს ყოვლისა, ამქვეყანად...

ფეოდალური ხანის საქართველომ როგორც ეკონომიკურად, ისე კულტურის მხრივ განვითარების ზენიტს მიაღწია თამარის მეფობის პერიოდში.

თამარის, როგორც პიროვნებისა და მეფის, ღირსებები ხოტბის საგანი შეიქნა მემატიანეთა და მის თანამედროვე პოეტთა შემოქმედებისა (შავთელი; ჩახრუხაძე), მაგრამ რუსთაველმა უფრო ღრმად აღიქვა იგივე აწმყო, სულ სხვა რაკ შთააგონა მას თამარის მეფურმა და პიროვნულმა ღირსებებმა და სხვაგვარი ასპექტით წარმოაჩენინა ადამიანური ყოფის მომავალი. შეიძლება ითქვას. სწორედ ამ ხანაში, თამარის, როგორც ფეოდალური ხანის უკანასკნელი ძლიერი მონარქის. მეფობის დროს, ერთდროულად დაისვა მრავალი პრობლემის გადაჭრის აუცილებლობა, პრობლემებისა, რომელთა ნასკვი თვით ადამიანის,

როგორც პიროვნების, საზოგადოებრივი არსების, როლისა და დანიშნულების აზრნაში იყრიდა თავს. ამ საკითხის არნახულად გარდასახვა და მისი ჯეროვანი გადაწყვეტა მოგვცა რუსთაველმა.

რა ვიცით ამ ჩვენი სასიქადულო პოეტისა და მამულიშვილის ვინაობისა და ცხოვრების შესახებ?

შეიძლება ითქვას, რომ ძალიან ცოტა რამ. რაკი წერილობითი წყაროები არ მოიპოვება, მისი ბიოგრაფიის აღსადგენად მკვლევარნი მითებს, გადმოცემებსა და ლეგენდებსაც კი იყენებენ.

დღემდე ჩაწერილია 50-ზე მეტი გადმოცემა, რომელთა უმეტესი ნაწილი გამოქვეყნებულია. მათგან გთავაზობთ სამ უმნიშვნელოვანესს ი. მეგრელიძის ნაშრომის მიხედვით (რუსთაველი ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში. თბ., საზ. „ცოდნა", 1965).

რუსთაველის ხალხური ბიოგრაფიიდან

რუსთაველი მესხეთის რუსთავში დაბადებულა. იგი 7 წლისა დაობლებულა. მამიდასა და ბიძას ბავშვი ტბეთის მონასტერში წაუყვანიათ. ჯერ თვითონ უწვრთიათ, შემდეგ ზარზმაში გაუგზავნიათ სასწაულებლად. ბოლოს სწავლა კახეთში, იყალთოს აკადემიაში გაუგრძელებია...

16 წლის რუსთაველი. როგორც უნიჭიერესი მოსწავლე, ათენში გაუგზავნიათ. იქ 6 წელი დარჩენილა, შემდეგ იერუსალიმში წასულა, სადაც შეუსწავლია ბერძნული. არაბული და სპარსული ენები. იგი განსაკუთრებით გაუტაცნია ჰომეროსის ნაწარმოებს... საქართველოში. ხმა გავარდნილა, უგანათლებულესი ქართველი ბრუნდებაო...

შოთა მართლაც დაბრუნებულა. მას სამშობლოში დიდი ზეიმით შეხვედრიან...

შოთა თამარ ვეზირად დაუნიშნავს. ვეზირს ხელმწიფე შეჰყვარებია, მაგრამ დედოფალი ვეზირს ცოლად ვერ გაჰყვებოდა და შოთა არც მტრობას, არც შურს, არც სხვა ამგვარს, არამედ სიყვარულს სამშობლოდან გარდუხვეწია... ამბობენ ივი შავ მთას შეკედლებიაო... იქვე გარდაცვლილა და ქართველ ბერებს დიდი პატივით მიუბარებიათ მიწისათვის...

რუსთაველისადმი მიძღვნილი ტურნირი

რუსთაველის მიერ „ვეფხისტყაოსნის" დასრულებასთან დაკავშირებით დიდების მინდორზე ტურნირი გაუმართავთ. მასში მონაწილეობდნენ საქართველოს რჩეული რაინდები, უმაღლესი მეომრები, მუტრიბები და პოეტები.

ბრწყინვალე რაინდებითა და მანდილოსნებით გარშემოტყმულ

თამარ მეფეს ოქროს ვარსკვლავებით მოქარგული საჩრდილობელი ამკობდა.

შეჯიბრი გაიმართა ჯირითში, შუბის ტყორცნაში, ჭიდაობასა და მუშტიკაში. რუსთაველი გახდა ზეიმის გმირი არა მარტო იმისათვის, რომ ტურნირი პოემის დასრულებისადმი იყო მიძღვნილი, არამედ იმიტომაც, რომ მან, როგორც საუკეთესო მხედარმა, მოჯირითემ და შესანიშნავმა დამკვრელმა, ყველას აჯობა; ამან დამსწრენი, განსაკუთრებით თამარ მეფე და კარის მანდილოსნები, დიდად განაცვიფრა. გამარჯვებულებს დათქმული საჩუქრები რომ დაურიგეს, თამარ მეფემ ბრძანა: ყველასათვის გასაგონად გამოაცხადეთ, რომ უკანასკნელსა და ყველაზე ძვირფას ჯილდოს—ოქროს გვირგვინს, ის მიიღებს, ვინც ისარს იმ ვაშლს მოახვედრებს, რომელიც მე თითებით თავზემოთ მეკვეთება. ცნობისმოყვარეობააგზნებული მანდილოსნები მოუთმენლად ელოდნენ მეფის მიერ დათქმული შეჯიბრების შედეგს:

მოთათბირების შემდეგ რჩეული მოისარნი — როსტომ, დონიკე, ზურაბ და ამირინდრო თამარის წინ წარსდგნენ, დედოფალს დაუჩოქეს და შეევედრნენ, რომ მას ესოდენ სახიფათო შეჯიბრება მოეხსნა... რომ ბრძანოთ, რომელიმე ჩვენგანმა თავი მოიკლას. არც ერთს ხელი არ აგვითრთოლდება, მაგრამ თქვენი სისხლი თუნდაც უნებლიეთ დაიღვაროს, ჩვენცა და ჩვენს მომავალს წყევლად დაედებათ: თამარმა ღიმილით უპასუხა: „არაფერი სახიფათო და საშიში აქ არ არის. მოხერხებითა და სურვილით ამოცანას ადვილად გადაჭრით“.

ამ დროს შოთა რუსთაველი წარსდგა წინ და თამარს მიმართა: „დედოფალო, აიღეთ ხელში ვაშლი, მე ვბედავ მას ისარი მოვაზვედრო“. რუსთაველის გაბედულებამ ყველა გააკვირვა. მას რაინდებმაც ალხოვეს, რომ სახიფათო ცდისათვის თავი მოერიდებინა. მაგრამ რუსთაველმა მათ ყური არ უგდო. ის დედოფლისა და ვაშლისაკენ იყურებოდა.

დედოფალმა ცერითა და საჩვენებელი თითით ვაშლი აიღო და თავზემოთ გაიჩერა...

გაიფიქრეს: ნუთუ ეს ისეთი გიჟია, ამ ვაშლს ისარს ესვრისო? ისარი თუნდაც რომ ვაშლს მოხვდეს, მას გასცილდება და შეიძლება ჭოკლას დედოფლისუკან მდგომი რომელიმე მანდილოსანიო.

რუსთაველმა, ყველასათვის მოულოდნელად, აიღო ისარი, მიეიდა დედოფალთან, მარცხენა ხელით დედოფლის ვაშლიანი ხელი დაიჭირა, მარჯვენათი ვაშლში ისარი შეასო; დედოფალმა ვაშლს თითები მოაშორა და რუსთაველმა ისრითვე მაღლა ასწია... უკვე ყველა მიხვდა, რომ დედოფლის მიერ გამოცანა იყო თქმული, რომელიც რუსთაველმა ჭკვიანურად და სწრაფად ახსნა.

— რუსთაველმა გაიმარჯვა, — დაიძახა დედოფალმა, — ოქროს გვირგვინიც მან დაიმსახურა. მე გეუბნებოდით, რომ ამ შეჯიბრში სახიფათო არაფერი იყო. თქვენ მხედველობიდან გაუშვით, რომ მე წინადადებას გაძლევდით, ეაშლისათვის ისარი მოგეხვედრებინათ, მაგრამ მანძილი, რომლიდანაც ეს უნდა შეგესრულებინათ, მე არ დამითქვამს...

აქ დედოფალმა რუსთაველს გვირგვინი დაადგა და ხელზე კოცნის ნება დართო.

დაიწყო რუსთაველისადმი მიძღვნილი ზეიმი. მთელი ხალხი პოეტისა და დედოფლის სადიდებელს მღეროდა...

სტუმრად კახაბერთან

თამარ მეფის დროს რაჭაში ცხოვრობდა კახაბერ ერისთავი. მას პყავდა ერთი ასული, მოსამსახურედ ედგა აზნაური პავლია გოცირიძე. მას და თავადის ქალს ერთმანეთი შეუყვარდათ. ეს დედამ ქალისაგან გაიგო, მაგრამ ქმარს ვერ გაუმხილა და თამარ მეფეს მისწერა.

თამარი მაშინდელი მწერლების თანხლებით ესტუმრა კახაბერს რაჭაში. სტუმრებს პავლია და კახაბერის ასული ემსახურებოდნენ. მეფემ უთხრა კახაბერს: ძალიან მომწონს შენი ქალიშვილისა და პავლია გოცირიძის სამსახური; ურიგო არ იქნება, ესენი შეუღლდნენო.

კახაბერს ეს სიტყვები ეწყინა და გული წაუვიდა. თამარმა კახაბერი დაამშვიდა. თავის მწერლებს უბრძანა, რომ ადამიანი და მისი ღირსება დაეახასიათონ გვარიშვილობით.

შავთელმა თქვა: „როგორც მზე ალმობრწყინდება და მისი სხივით სულდგმულობს ყოველივე არსი, ისე გვარიშვილობით ფასდება კაცი. შეიძლება ვარდი ნეხვზეც ამოვიდეს, მაგრამ მას სუნი ნეხვისა ექნებაო“.

შემდეგ თამარმა სხვებსაც მისცა სიტყვა, მათაც შავთელის აზრი გაიზიარეს. ბოლოს თამარმა შოთას მიმართა: ათინაში როგორ უყურებენ გვარიშვილობას და პირად ღირსებასო. შოთა ადგა და დინჯად მოახსენა:

ფილოსოფოსნი შემოკრბენ, ამაზე ჰქონდათ ცილობა:
ბატონი ყმასა ასაქმებს და ჭკუას — გამოცდილობა.
ათასად გვარი დაფასდა, ათიათასად — ზრდილობა;
თუ კაცი თვითონ არ ვარგა, რას არგებს გვარიშვილობა!

შოთამ ამით მოიგო თამარის გული, მაგრამ მხარგრძელების სიძულვილი დაიმსახურა.

თამარმა მოიხმო მდივანი და უბრძანა დაეწერა: „მე, თამარ შეფე, მპყრობელი სრულიად საქართველოისა, ადერბაიჯანისა, ტრაპიზონისა

და სხვათა მრავალთა მხარეთა, ვბრძანებ: პავლია გოცირიძეს დღეს ჩემგან ეძლევა თავადიშვილობა და ერთი მაზრის ყმა და მამული".

შემდეგ დედოფალი კვლავ მიუბრუნდა კახაბერს და შეეკითხა: პავლია გოცირიძეს არც ახლა მისცემ ქალსო?

კახაბერმა მოახსენა: თუ თავადი პავლია ჩემს შვილს შეირთავს და ბედნიერს გამხდის, ეს ჩემთვის ღვთის წყალობა იქნებაო.

შიათხოვეს კახაბერის ასული პავლიას და ტკბილად ცხოვრობდნენ.

მე-9 გაკვეთილი

ძირითადი საკითხები:

1. რუსთაველის ზედწოდების, სახელისა და პორტრეტის შესახებ (წყაროები და ვარაუდები), 2. ზოგიერთი ცნობა რუსთაველის ვინაობის შესახებ თვითონ პოემიდან.

მეთოდები: სასკოლო ლექცია, კომენტირებული კითხვა.

დიდაქტიკური მასალა: ბ. კანდელაკის „ასი პორტრეტი" და სხვა თვალსაჩინოებები.

რუსთაველის ზედწოდების, სახელისა და პორტრეტის შესახებ

იერუსალიმის ჯვრის მონასტერში შოთა რუსთაველის პორტრეტის ძიებასთან დაკავშირებით ცნობილია:

1. საეკლესიო მწერალი და მოგზაური ტიმოთე გაბაშვილი (გარდაიცვალა 1764 წ.), მაღალი რანგის საეკლესიო მოღვაწე „მიმოსლვაში" წერს: „მთქმელი ლექსთა ბოროტთა, რომულმან ასწავლა ქართველთა სიწმიდისა წილ ბილწება და განრყვნა ქრისტიანობა, ხოლო უწინარეს ჩვენსა უმეცართა საღმრთოდ თარგმნეს ბოროტი ლექსი მისი. აღსწერა ქალისა ვისთვისმე: თვალი მელნისა, პირი ბროლისა, ღაწვი ძოწისა, და ამისა გამო დედანი საქართველოსნი ხატად ღმთისა შექმნილსა სახისა წილ ფერადთა წამალთა იცხებენ და მიცვალებულთა თმათა მოიბენ საბრხედ სულთა". მასვე უთქვამს: „ჯვარის მო-

[1] ელ. მეტრეველმა რუსთაველის პოეზიაზე კლერიკალური შეხედულების შემუშავების ვითარებასთან დაკავშირებით შეისწავლა „მიმოსლვის" ტექსტის ავტორაფები და დაასკვნა, რომ რუსთაველის განმაჭიქებელი შეხედულება გამოთქმული ტიმოთეს მიერ პირველად ჩნდება რედაქციაში მინაწერის სახით, რაც არ გამომდინარეობს იმ მასალიდან რაც ტიმოთეს ჰქონდა. ავტორის დაკვირვებით ტიმოთე ეხება რუსთაველის არა პოეზიას, არამედ მის მოღვაწეობას იერუსალიმის ჯვრის მონასტრის აღდგენის საქმეში. აქ ტიმოთეს რუსთაველი მოხსენიებული ჰყავს იმ ქართველ მეფეთა და დიდებულთა სიაში, რომელთაც დიდი ღვაწლი დადეს მონასტრების დაცვა-აღდგენის საქმეს. მისი ფიქრით, ტიმოთემ რუსთაველის გამკილავი ცნობა ხელნაწერში შეიტანა საქართველოში დაბრუნების შემდეგ, როცა გადაამუშავა თავისი ნაშრომი მაშინდელი სოციალ-პოლიტიკური შეხედულებების გავლენით (ტიმოთე გაბაშვილის „მიმოსლვა", თბ., 1956 წ.).

ხასტერი დაძველებულა და გუმბათს ქვეით სვეტნი გაუახლებია და დაუხატვინებია შოთა რუსთველს, მეჯურჭლეთ-უხუცესს, თითონაც შიგ ხიტია მოხუცებული".

2. ტიმოთეს ცნობებს ავრცობს თეიმურაზ ბაგრატიონი: „შოთა რუსთაველი იყო მთავარი რუსთავისა და პალატსა შინა მეფეთასა დიდად პატივცემული და სახელოვანი, მოლარეთა, ანუ მეჯურჭლეთ-უხუცესი (მინისტრ-ფინანსი)... უკანასკნელ შოთა რუსთველმან დაუტევა სოფელი ესე და ყოველიე დიდება და წარვიდა წმიდად იერუსალიმად და შეეიდა მონასტერსა შინა ქართველთასა, რომელიც აღშენებულ არს... სახელსა ზედა ცხოველსმყოფელისა ჯუარისასა... განაახლა მონასტერი იგი შოთა რუსთველმან, რამეთუ ფრიადნი სიმდიდრენი შესწირნა მონასტერსა მას... ხოლო იყოფოდა იგი მონასტერსა შინა ჯუარისასა ვიდრე აღსრულებამდე მისსა, თუმცა სახითა ერისკაცისათა... დაეფლა მუნვე ჯუარა მონასტერსა შინა, სადაც გამოხატულ არს სახე მისი".

3. 1845 წელს ჯვრის მონასტერი ინახულა ნაკოლოზ ჩუბინაშვილმა. იგი მოგვითხრობს: „ამას ქვემოდამ (სვეტზე) დახატულნი არიან წმ. მაქსიმე აღმსარებელი და იოანე დამასკელი. ამათ შუა მუხლზე მდგომი მოხუცი, თეთრი, სქელი და გრძელი წვერითა; თავზედ ხერავს მაღალი თეთრი არაღჩინი, შავი ძაღაშემოდებული მწვანე კაბა, წითელი ჩარტყელი და ზედამ ასხია ჯიგრის ფერი ხირღა საერისკაცო, თეთრის საჰხრითა. ამას აწერია: „ამისა დამხატავს შეუნდოს ღმერთმან. ამინ. შოთა რუსთველი."

მასვე ადგილზე დაუმზადებია სურათის ჩანახატი, რის საფუძველზე პეტერბურგში შეუქმნიათ მდარე პორტრეტი (მისივე შრომაშია).

4. 1866 წელს რუსთაველის სურათი ჯვრის მონასტრის კედელზე უნახავს ბერმონაზონ ბენედიტე ბარკალაიას.

5. 1883 წელს იერუსალიმს ეწვია პროფ. ალ. ცაგარელი, რომელმაც შედარებით დაწვრილებით აღწერა იქაური ქართული სიძველენი და შეადგინა ქართულ ხელნაწერთა კატალოგი, დამატებით. „ხელები ზევით აქვს მიპყრობილი, სახით მიქცეულია იოანე დამასკელისაკენ. გამოსახულებას ზემოდან აქვს ნუსხური წარწერა"... (რაც ზემოთ იყო). მას კალკით გადაუღია შოთას ფრესკული გამოსახულების პირი. ამის მიხედვით გაკეთებულია ალ. თარხნიშვილისეული ქანდაკება.

6. ცაგარელის იერუსალიმში ყოფნის შემდეგ რუსთაველის სურათი დაკარგულა.

6. 1899 წელს სურათი ვერ იპოვა მოგზაურმა პეტრე კენჭოშვილმა.

7. 1902 წელს მოეწყო სპეციალური ექსპედიცია ნიკო მარის მეთაურობით. პორტრეტი მართლაც აღარ იყო. დ. კარიჭაშვილი წერდა: უკანასკნელს წლამდე ყოფილა ეს პორტრეტი, რაც ამ ბოლო დროს უმეცარს ბერებს წაუშლიათ.

ნ. მარმა აღმოაჩინა, რომ აღაპთა წიგნში (შემწირველთა სიების წიგნი) მოხსენებულია შოთა მეჯურჭლეთუხუცესი.

8. 1939 წელს ამ საკითხს სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა კ. კეკელიძემ. მისი აზრით, რუსთაველი და მეჯურჭლეთუხუცესი შოთა ერთი და იგივე პირი არ არის.

9. შ. ნუცუბიძის აზრით, „სურათზე გამოსახულია შოთა რუსთაველის შერიგება ეკლესიასთან. ამასთან, შოთა მეჯურჭლეთუხუცესი და შოთა რუსთაველი ერთი და იგივეა (50-იანი წლები).

10. ელენე მეტრეველს ადრე სათუოდ მოაჩნდა, რომ „შოთა რუსთაველი იგივე იერუსალიმში და პალესტინაში მოხსენიებული შოთა მეჯურჭლეთუხუცესი იყოს“ (1956 წ.).

11. უკრაინელი მწერლის გრიგოლ პლოტკინის პატარა წიგნში „პოეზდკა ვ იზრაილ“ (მოსკოვი, 1959) არის სპეციალური თავი „რუსთაველის საფლავი“, სადაც ვკითხულობთ, რომ ისრაელში ჩასულ უკრაინელ ტურისტებს აცნობეს, ჯვრის მონასტერში დასაფლავებულია დიდი ქართველი პოეტი რუსთაველი.

მონასტრის წინამძღვარ ბერ სოფოკლეუსს უამბნია, რომ არსებული ლეგენდების ძიხედვით, პოეტ შოთა რუსთაველს თავისი ნებით უთქვამს უარი საქართველოში კარისკაცის თანამდებობაზე, აღკვეცილა ბერად და ფეხშიშველი წამოსულა იერუსალიმს, „წმიდა ადგილისაკენ“. დიდებული ქართველი პოეტი დასახლებულა წმ. ჯვრის მონასტერში და თავისი მეგობარი ბერების დახმარებით მოურთავს ამ ტაძრის კედლები საუცხოო ფრესკებით, რომლებიც ასახავს მშობლიურ კავკასიურ პეიზაჟებს და საქართველოს ისტორიის ზოგიერთ სიუჟეტს. სიკვდილის შემდეგ პოეტისადმი განსაკუთრებული პატივისცემა გამოუჩენიათ ბერებს: მისი ნეშტი დაუკრძალავთ ერთ-ერთ მარჯვენა სვეტის ძირში, რომელზეც დაყრდნობილია ტაძრის თაღი. ტურისტებს ცოცხალი ყვავილებით შეუმკავთ ის ნაჩუქნები ადგილი.

ამას მოჰყვა დისკუსია.

12. დისკუსიის შედეგად 1960 წელს, ოქტომბერში, იერუსალიმს გაგზავნა სპეციალური სამეცნიერო ექსპედიცია აკაკი შანიძის, გიორგი წერეთლისა და ირაკლი აბაშიძის შემადგენლობით.

მოგვაქვს ნაწყვეტები ირ. აბაშიძის „პალესტინის დღიურებიდან“. დიდი იმედებით წასულა. ბევრი ლოდინი, ბევრჯერ იმედის გაცრუება... ბერძნების მართლმადიდებელი ეკლესიის პამამთავარი პალესტინაში, იერუსალიმის პატრიარქი ბენედიქტე II, იორდანიის იერუ-

სალომში ზის, სადაც, რელიგიური გადმოცემით, ქრისტეს საფლავი. ექსპედიციის წევრებს ნებას არ რთავს იგი, რომ სასურველ მიზანს მიაღწიონ...

...„ქსანტოპულოსი ვირთხაავით შეძვრა საკურთხეველში. ტრაპეზის ძირში, იქ, სადაც ქრისტეს ჯვარის ლეგენდარული ხის ძირია, ფარულად ღრმად გამოკვეთილ ქვაში მოთავსებული იყო ვერცხლის ყუთი, რომელშიც დიდი ოქროს ჯვარი იდო, ძვირფასი თვალმარგალიტით მოოპვილი. ეს ჯვარი 1643 წელს შეუწირავს მონასტრისათვის, დადიანის დავალებით, ჯვარის მაპას — ნიკიფორე ჩოლოყაშვილს. ქსანტოპულოსიც იქ მივიდა და თავისთან მოიხმო პატრიარქის თანმხლები მღვდელი. უცებ არქიმანდრიტ ქრისანთის ხელში გაიელვა ამ უნიკალურმა ვერცხლის ყუთმა... ქართული წარწერებით, ძვირფასი თვლებით მოოპვილმა ოქროს ჯვარმა (ეს ჯვარი არავის უნახავს ჩვენთაგანს მანამ, და არც არავის შეუსწავლია). არქიმანდრიტის თვალები ელავდნენ მტაცებლის თვალთა ელვარებით. ჩვენი თხოვნის მიუხედავად, ის წაიღეს; ჩვენი მოთხოვნა სასაცილოდ არ ეყოთ. ცრუ დაპირება (საკონსულოში იქნება ჯვარი და იქ გადაიღეთ ფოტოსურათიო). ჯიბის ენით ლაპარაკი დასჭირდათ მეცნიერებს. ამან გასჭრა ყველაზე მეტად. დაძაბული მუშაობა. საღებავისა და კირის სქელ ფენაში ჩაკარგული რუსთაველის ფრესკული გამოსახულების პოვნა. პირის გადაღება,

...„ჩემს თვალწინ იდგა ორი ქვეყანა კი არა, ორი ეპოქა — ეპოქა მეცნიერებისა და უვიცობის ეპოქა. უვიცი სამღვდელოების წარმომადგენლებით..."

...„მონასტრის ეზოში მიწაში კი არა, კლდეში ჩათხრილია ვეებერთელა გვირაბები... ჩასძახებ შიგ და მიწა გუგუნებს. შიგ ჩაშვება აგრე იოლად როდი მოხერხდება. წინათ იქნებ კიბეები ჰქონდათ ჩასასვლელად, ახლა იგი აღარ ჩანს, თოკით თუ ჩაეშვები, ეტყობა, იქ რაღაც დარბაზებია. საწყობები, წყალსაცავები. იქნებ სამარხებიც და აკლდამებიც. საჭიროა მათი შესწავლა არქეოლოგიურად. საერთოდ, ყოველმხრივი მეცნიერული შესწავლა... თუმცა ცნობილია, რომ ქარიშხლიანი ისტორიის მანძილზე გაუძარცვავი ერთი სამარხიც არ დარჩენილა... მონასტერში დღეს ორას სამოცდაათ ოთახამდეა. თავის დროზე იქ ოთხას ოთახამდე ყოფილა და შიგ ერთდროულად ორასზე მეტ ბერს უცხოვრია.

მე იმ ადგილას, სადაც, ლეგენდის მიხედვით, შოთას საფლავი უნდა იყოს, იმ სვეტთან, რომელზედაც რუსთაველის სურათია, იატაკს მაგრად ვცემ ფეხს: თითქოს რაღაც ყრუ, მეტად ყრუ გუგუნი მომესმის ქვემოდან...

რა უნდა იყოს. აკლდამა?

ჩვენი დაინტერესება ამაო გამოდგა, იმ ადგილას სარდაფი ვიბო-
ქეთ...

6 ნოემბერი. კვირაა... ადრიანად მოვდივართ საქმეზე, მონასტრის კარებს გვიღებს ბიკენტიუსი, ...ვეკვეთეთ რუსთაველის შავ ხალებავს ახალი საშუალებებით... გამოდის, გამოდის... სულ უფრო და უფრო იწმინდება რუსთველის წითელი ტანსაცმელი... ნაშუალამევი.., ვაშა, გამოჩნდა დიდებული სახე ბრძენი მოხუცისა. ამაყი, მაგრამ ღრმად კაეშნიანი...

მთელ სვეტზე აღმართული წმინდანების: იოანე დამასკელისა და მაქსიმე აღმსარებლის ფერხთა შორის დგას იგი ხელაპყრობილი... იმავე წარწერით, რაზეც ზემოთ გვქონდა საუბარი რუსთაველის პორტრეტის ისტორიასთან დაკავშირებით (ტიმოთე გაბაშვილის ალწერა)...

გადავიღეთ, რისი გადაღებაც შეიძლებოდა...

(ი. აბაშიძე, „პალესტინის დღიურები", თბ., 1961).

როგორც დავინახეთ, პოეტის სახელი და ზედწოდება ერთად შეგვხვდა მხოლოდ იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ერთ-ერთ სვეტზე გამოსახული მისივე პორტრეტის ქვემოთ (ეს სურათი, როგორც მეცნიერები ვარაუდობენ, შექმნილია XIII საუკუნის შუა წლებში). უთუოდ არსებობდა პოეტის სახელისა და გვარის ერთად მოხსენიების სხვა დოკუმენტებიც, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო იგი დღემდე არ შემოგვენახა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზეპირსიტყვიერებას, რომელიც, ვინ იცის, როდის შეიქმნა. ასევე არავინ იცის, რა წყაროებს დაეყრდნო XVII საუკუნის ცნობილი პოეტი თეიმურაზ I-ლი, რომელიც „იოსებზილიხანიანის" წინასიტყვაობაში წერს: „ესენი (იგულისხმება „ვეფხისტყაოსნის" გმირები. — ნ. რ.) შოთა რუსთველმან შეამკო არსთა მკობითა"[1].

რა დასკვნის გაკეთება შეიძლება დღეისათვის რუსთაველის ვინაობისა და ზედწოდების შესახებ. რა მიემატა ზემოთქმულს?

ტრადიციულ შეხედულებას, რომ შოთა იყო მესხეთიდან, კერძოდ, ასპინძის ახლომდებარე რუსთავიდან, უკანასკნელ ხანებში შეემატა

---

[1] „ვეფხისტყაოსნის" ავტორის ვინაობის, სახელისა და ზედწოდების დადგენას ხშირად დროს მიეძღვნა უამრავი სტატია და ნაშრომი. გამოითქვა სხვადასხვა აზრი: „შოთა რუსთაველი იგივე შოთა ართავაჩესია, რომელიც გიორგი III-ის წინააღმდეგ დემნას მიერ 1177 წ. მოწყობილ აჯანყებაში მონაწილეობდა და ჰერეთის შეტაკებაში დაიღუპა"... შოთა რუსთაველი არის შოთა კუპარი (კუპრი), რუსუდან დედოფლის თანამედროვე და მონღოლთა შემოსევის შემსწრე, „არათა ნიჭთა მჭვრებელი", ჰერეთის რუსთავიდან... შოთა რუსთაველი სარგის თმოგველია, მე-13 საუკუნის პოლიტიკური მოღვაწე. სულ ვარიანტით, სარგის თმოგველის შვილიშვილია... რუსთაველი იგივე ჩახრუხაძეა. ავტორი „თამარიანისა"... პ. ინგოროყვას აზრით, პოემის ავტორი არის „ჰერეთის ერისთავი შოთა, ჰერეთის ბაგრატიონთა გვარისა"— თხზ. კრებ., ტ. I, თბ., 1973, გვ. 85.

ზოგი ახალი მონაცემი. ამ მხრივ ძალზე საყურადღებოა ქვაბისხევის მონასტერში არსებული XII საუკუნის ფრესკა, რომელზეც გამოსახულია ჭაბუკი ფეოდალი „შოთა“ და ალბათ მძიეე დედა ან დაი, „იაი“. ფრესკა აღმოაჩინა აკად. ნ. ბერძენიშვილმა.

უკანასკნელ ხანებში რუსთველოლოგთა აზრი იხრება იქითკენ, რომ შოთა იყო თორელი (მესხი) დიდებულის, ჰიაბერის ვაჟი, რომელსაც მამამისის კვალობაზე დაუმსახურებია დიდი პატივი და მაღალი თანამდებობა თამარის კარზე. კერძოდ, 1202—1220 წლებში იგი მეჯურჭლეთუხუცესად დაუნიშნავთ.

რუსთაველი (ზედწოდება) წარმომდგარი უნდა იყოს ცხრე-სიმაგრის. ან დასახლებული პუნქტის რუსთავის სახელწოდებიდან ისე, როგორც შუა საუკუნეებში იქმნებოდა ახალი ფეოდალური გვარები — თმოგველი, ჯაყელი, მაწყვერელი და სხვ.

„უფრო რეალური ჩანს იმის დაშვება, რომ შოთა თორელმა, შემდგომში მეჯურჭლეთუხუცესმა, რუსთაველობა მიიღო თორშივე შეშაეალი რუსთავისაგან“ (ს. ცაიშვილი, „მარადიული სახეები“, თბ., საბჭოთა საქართველო, 1981).

როგორც ვიცით, ზოგიერთ ცნობას „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის ვინაობის გასათვალისწინებლად თვითონ პოემაში ვხვდებით. ვიდრე მასზე შეეჩერდებოდეთ, გთავაზობთ რეკომენდაციას პროლოგის სწავლების თაობაზე:

ტექსტზე მუშაობის დაწყებისას, უმჯობესია მოსწავლეებს გავაცნოთ პროლოგის მხოლოდ 11 სტროფი (ღვთისადმი მიმართვიდან დაწყებული ვიდრე — „შაირობა პირველადვე“), ხოლო დანარჩენი ნაწილის შესწავლა დავუკავშიროთ პოემის იდეურ-მხატვრულ ანალიზს (მოსწავლეები დამოუკიდებლად კითხულობენ პროლოგის დანარჩენ სტროფებსაც).

ეს სტროფები ჩვენი შესაეალი საუბრის ერთგვარი დასაბუთებაა. აქ ჩანს პოეტის მიზანდასახულება, ნახსენებია სახოტბო პირები (ვისდამ^ც არის ეს ნაწარმოები მიძღვნილი) და მთავარი გმირი. მინიშნებულია მთავარ პრობლემაზე. აქ შემოდის სტროფი — „ესე ამბავი სპარსული“... რაც მოსწავლეთა ინტერესის აღძვრის კიდევ ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად უნდა ვაქციოთ.

ტექსტის შესწავლამდე პოეტის შეხედულებების გაცნობა (ეს იქნება პოეზიის დანიშნულების საკითხი თუ მიჯნურობა, რომელიც პროლოგის დანარჩენ ნაწილშია თავმოყრილი) ზღუდავს მოსწავლის ინიციატივას — თვითონ გააკეთოს დასკვნები. პროლოგის სრულყოფილად გაცნობა უნდა გამოვიყენოთ მოსწავლეთა დამოუკიდებელი აზროვნების შედეგად გამოტანილი დასკვნების შემოწმებისა და პოეტის შეხედულებათა დადგენის საშუალებად.

გამოცდილებამ ცხადყო, რომ, თუ კლასი ძლიერია, რუსთაველის შეხედულებათა გაცნობის ინდუქციური გზა უფრო შედეგიანია, რა თქმა უნდა, გამორიცხული არ არის დედუქციის გზაც, ე. ი. ჯერ პროლოგის მთლიანად სწავლება, შემდეგ კი ტექსტისა. ამ შემთხვევაში პროლოგის გამეორებას მიექცევა განსაკუთრებული ყურადღება, რათა გამთლიანდეს შესავალში მოცემული თეორიული მსჯელობა და ტექსტიდან გამომდინარე დასკვნები.

ტექსტზე მუშაობა[1]

მუშაობის დაწყების წინ, ამავე გაკვეთილზე (მე-2), მოსწავლეებს ვესაუბრებით „ვეფხისტყაოსნის“ სასკოლო გამოცემის აგებულებისა და გამოყენების შესახებ, ამასთანავე, ვაცნობთ პოემის საერთო შედგენილობას, ვუხსნით, რომ იგი შედგება სამი ნაწილისაგან: პროლოგის, ძირითადი ამბისა და დასასრულისაგან, განვმარტავთ, რომ პროლოგი მთელი პოემის ერთგვარი თეორიული ნაწილია (საუბარია მიჯნურობის რაობაზე, პოეზიის დანიშნულებაზე), რომლის გაშლას ემსახურება პოემის ძირითადი ამბავი; ამდენად, ჯერჯერობით შესავლის მხოლოდ 11 სტროფს გავეცნობით, დანარჩენი შეისწავლება სათანადო ადგილას. მოგვაქვს პროლოგის შესავალი ნაწილის (11 სტრ.) მეთოდური დამუშავების ნიმუში. პროლოგის ამ ნაწილს ტექსტზე მუშაობის პროცესშივე მოსწავლეთა აქტიური მონაწილეობით ვყოფთ ქვესაკითხებად:

1. ღ ვ თ ი ს ა დ მ ი მ ი მ ა რ თ ვ ა, რომელშიც მოცემულია ღმერთის მიერ სამყაროსა და ადამიანის შექმნის ბიბლიური სურათის გააზრება და პოეტის ვედრება, რომ მას შემწედ ექმნეს დასახული მიზნის განხორციელებაში.

აქვე მოსწავლეებს ავუხსნით „სატანის“ როგორც პირდაპირ (ავი სული, ეშმაკი), ისე გადატანით (კონსერვატიზმის — უსამართლობისა და ყოველგვარი ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლა) მნიშვნელობას და ინტერესის აღძვრის მიზნით დავსძენთ, რომ პოემის ტექსტის შესწავ-

[1] რადგან ტექსტზე მუშაობისას თითქმის ყოველთვის ერთსა და იმავე მეთოდებს (გამომეტყველებითი კითხვა, სიტყვიერ-ფრაზეოლოგიური კომენტარი—რაშიც უდიდეს სამსახურს გვიწევს ნ. ნათაძის მიერ მომზადებული სასკოლო გამოცემა) ვიყენებთ და მიზანიც უმთავრესად ერთია—ღრმად შევასწავლოთ ტექსტი, ნიადაგი მოვამზადოთ იდეურ-მხატვრული ანალიზისათვის. ამდენად საორიენტაციოდ შედგენილ გაკვეთილის გეგმებში წინა პლანზე იქნება წამოწეული გადასაცემ გაკვეთილში გასათვალისწინებელი კითხვები და საკითხები, რომლებიც, თავის მხრივ, წარმოაჩენს და ემსახურება მასწავლებლის მიზანდასახულობას; იქვე, საჭიროებისამებრ, მოვუთითებთ დავალებაზე, დიდაქტიკურ მასალაზე და ა. შ.

ლა დაგვანახვებს, თუ რამდენად შეძლო რუსთაველმა თავისი მიზნის განხორციელება.

2. სახოტბო პირების ხსენება (ე. ი. იმ პირებისა, ვისაც უძღვნის ნაწარმოებს) და მათი ქება, თამარ მეფისადმი პოეტის დამოკიდებულების გამჟღავნება. კომენტარი — პოეტი შესაფერ ქებას უძღვნას მეფეს, რომლის მეფურმა და პიროვნულმა ღირსებებმა შთააგონეს მას ამ პოემის დაწერა.

3. პოემის ორიგინალობის საკითხი (მე-8 სტროფი). ამასთან დაკავშირებით დავძენთ: ჯერ შევისწავლოთ ტექსტი და შემდეგ ვიმსჯელოთ იმაზე, თუ რად დასჭირდა პოეტს პოემის ამბის გაუცხოება.

4. პოეტის ვინაობა და პოემის გმირის სახელის ხსენება. კომენტარი — „ხელობას“ ორგვარი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს: 1-ლი პროფესია (ე. ი. ამ შემთხვევაში კარის პოეტი), მე-2 ხელობა — შმაგობა (ხელობით ე. ი. შმაგობით, სიყვარულით, შთაგონებით).

სახოტბო პირების (თამარის, დავითის) შემდეგ პოემის გმირის სახელის ხსენება სახოტბო პირთა პოეტურ გარდასახვაზე მიგვანიშნებს. საინტერესოა, ვის გულისხმობს პოეტი ტარიელში?

5. ადამიანი და მისი ბედი ფეოდალური წყობილების პირობებში (მე-11 სტროფი). ადამიანის ბედი ამ დროისათვის ღმერთისა და მეფისადმი მონობით არის განპირობებული.

ამის შემდეგ მოსწავლეებს ავუხსნით პროლოგის შესწავლის აქ შეწყვეტის მიზეზს და განვიხილავთ ძირითად ამბავს.

მე-3 გაკვეთილი.

ამბავი როსტევან არაბთა მეფისა

ძირითადი საკითხები და კითხვები:

1. როსტევანის მეფური და პიროვნული თვისებების მოკლედ, ლაპიდარულად გამოხატვა (შესაბამისი სტროფები ზეპირად).

2. მეფის ერთადერთი ქალის („მარტოასულის“, მხოლოდშობილის) პორტრეტი (ნებისმიერი საზეპირო).

რა გზითა და ხერხით აღწევს პოეტი ვრცელი შინაარსის მოკლედ გამოხატვას?

3. მეფის საუბარი ვეზირებთან ანუ „მეფემან იხმნა ვაზირნი“...

როგორ ახასიათებს მეფე-მონარქს ეს თათბირი? — ვეზირებს?

აფორიზმები: „რაღაა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია?!“

„ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია“

(ზეპირად)

4. ავთანდილის პორტრეტი (ნებისმიერი საზეპირო).

აფორიზმი — „საბრალოა სიყვარული, კაცსა შეიქმს გულმოკლულად“

5. თინათინის გამეფების სურათი.

დავალება: ა. თინათინის გამეფების სურათის შედარება თამარის მეფედ დასმის ცერემონიალთან (კლასში სპეციალურადაა გამოფენილი საგანგებო ლიტერატურა, ზოგი გადაშლილია, გახაზულია შესაბამისი ადგილები). ბ. ლ. სანიკიძის „უქარქაშო ხმლებიდან“ გიორგი III-ის შესახებ მასალების წაკითხვა და მისი გამოყენებით მამისაგან შვილის შეგონების გამომხატველ სტროფების — 48, 49, 50 მოწაფეთაგან ახსნა.

6. მეფის სადარდელი ანუ „მეფე ცუდსა გონებასა ჩავარდნილა“... რატომ?

როგორ ახასიათებს მეფეს ეს სადარდელი, პირადული ინტერესებითაა იგი გამოწვეული თუ სახელმწიფოებრივით? ციტატების მოშველიებით დაასაბუთეთ თქვენი აზრი.

7. სანაძლეო. პირობა

დ ა ვ ა ლ ე ბ ა: 1. გმირთა დამახასიათებელი თვისებებისათვის სიტყვების შერჩევა-მისადაგება და ტექსტზე მუშაობის რეეულებში გადატანა. 2. დასაწერად — თინათინის გამეფება.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: გამოძახებულ მოსწავლეს ან კლასს თითქმის ყოველ გაკვეთილზე ვეკითხებით, რომელი მხატვრული ადგილი, თქმა მოეწონათ განსაკუთრებით და რატომ. ვარკვევინებთ ნაცნობ მხატვრულ ხერხებს; გზადაგზა ვაცნობთ ომონიმურ რითმებს; ყურადღებას ვაქცევინებთ მაღალი და დაბალი შაირის მონაცვლეობაზე და სხვ.

როსტევან მეფისაგან და ავთანდილისაგან ნადირობა

1. ავთანდილის პორტრეტის თანდათანობითი სრულყოფა.

2. „გულით ამოსლვა დარდისა“...

ეს უკანასკნელი როგორ ახასიათებს მეფეს? — ავთანდილს?

როგორ გავიგოთ ფრაზა „აქვს მიჯნურობა ამისი, ვითა ბულბულსა ვარდისა?“ მაშინ, როცა აქ საუბარია მამაკაცზე?

დ ა ვ ა ლ ე ბ ა: 1 საზეპირო ადგილების გამოყენებით მოცემული თავების შინაარსის მომზადება.

2. „ვეფხისტყაოსნის“ ლექსის ზომის გარკვევა, რითმაზე დაკვირვება.

ნაწყვა არაბთა მეფისაგან მის ყმისა მეფხისტყაოსნისა

ძირითადი საკითხები და კითხვები

1. ამ თავის I სტროფის (86-ე) წაკითხვაზე დაკვირვება. მისი შედარება 33-ე სტროფის წაკითხვასთან და შაირის სახეთა გაცნობა.
2. უცხო მოყმის პორტრეტი (86-ე, 87-ე სტროფები ნებისმიერ საზეპიროდ).
3. მეფის მიერ უცხო მოყმის ხმობა...
4. უცხო მოყმის მიერ „მეფის ჯირის არგანკურნა", გაუჩინარება (კვანძი).

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: მასწავლებელი აქ თვითონვე დასძენს, თუ რა იკვრება შემდგომი აზრების განვითარების კვანძი.

რას გაექცა უცხო მოყმე და რატომ? დაასაბუთეთ!

5. მეფის ახალი სადარდელი.
6. მამა-შვილის დამოკიდებულება.
7. თინათინის სიბრძნის დამადასტურებელი ადგილებისა და აფორიზმების ამოცნობა.
8. შედარება სტრიქონებისა:

„მეფე ბრძანებს: მართალ იყო ასული და ჩემი ძე" — 122
„სხვა ძე არ ესვა მეფესა, მართ ოდენ მარტოდ ასული — 34.

და „ძისა" და „ასულის" ცნებათა გარკვევა. მათი სემანტიკური მნიშვნელობების ავტორისეული გაგების ამოცნობა: 1. ძე — შვილი რაც ხაზგასმულ სიტყვათა ცალ-ცალკე მართლწერის საფუძველია. 2. „ასული და ჩემი ძე". ე. ი. გვარის გამგრძელებელი, მეფე.

თინათინისაგან ავთანდილის გაგზავნა მის ყმის საძებრად

ძირითადი საკითხები და კითხვები:

რა ვიცით წინა მასალიდან ავთანდილისა და თინათინის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ?

როგორ ახასიათებს რუსთაველი სიყვარულს („საბრალოა სიყვარული, კაცსა შეიქმს გულმოკლულად")? — ხალხური სიბრძნე? რა გსმენიათ ამის შესახებ?

მოსწავლეები ამყღავნებენ არა მარტო ინტერესს, არამედ ერთგვარ ცოდნასაც:
„სიყვარული ტანჯვა არის, არა სრული ნეტარება,
მაგრამ მაინც ყველას გული ამ სატანჯველს ეტანება";
„სიყვარულსა მალვა უნდა, ვითა ცხენსა ნაპარავსა" და სხვ.

მასწავლებელი დასძენს: ვნახოთ, როგორ ცხადდება ხალხური სიბრძნე რუსთაველის გმირთა სიყვარულის მაგალითზე.

1. თინათინის მიერ ავთანდილის ხმობა. შეხვედრა. საუბარი...

2 სიყვარულის გამხელის თუ აღიარების საკითხი.

3. თინათინის დავალება.

4. სიყვარულის აღიარება. ფიცი. ლაღობა.

როგორია მათი სიყვარული, რა ნიშნებით ხასიათდება მათეული გრძნობა?

(შეარჩიეთ, მოძებნეთ ამ ნიშანთა გამომხატველი სიტყვები და თქვენს თხრობაში მიეცით მას ეპითეტის ადგილი. მაგალითად, ყოველთვის ამ გზით კი არ ახასიათოთ გმირი: „თინათინი მოკრძალებული, წინდახედული და გონიერი ქალია, რაც იქიდან ჩანს"... და მოიტანოთ ციტატი, არამედ უმეტესად ასე: წინდახედული და გონიერი ქალიშვილი (მეფის ასული) საგონებელში ჩავარდნილ მამას ასეთ რჩევას აძლევს: „კაცმან საქმე მოიგვაროს, ვეჭვ, ჭმუნვასა ესე სჯობდეს" და სხვ.).

5. ავთანდილი თავის განზრახვას მეფეს ატყობინებს („მეფესა ეთქვა ამისი დიადი მადლიერობა"). ამ უკანასკნელს ეს ამბავი კიდეც ახარებს და კიდეც აღონებს. რატომ? დაასაბუთეთ ერთიცა და მეორეც.

6. როგორია ავთანდილის პირადული და საზოგადოებრივი ინტერესები, ამ მიმართებით მისი დახასიათება.

7. ავთანდილისა და შერმადინის საუბარი.

ვის უმჟღავნებს ავთანდილი თავის ხვაშიადს?

ვის შეიძლება გაენდოს ასეთი გრძნობა?

ყოველივე ეს როგორ ახასიათებს პატრონ-ყმის ურთიერთობას?

სად, რომელ სიტყვებში იხატება აზრი იმის თაობაზე, რომ ყმას შეუძლია პატრონის ადგილის დაჭერა, მისი შეცვლა?

დავალება: ა. ზმნის ფორმებზე დაკვირვება (გა-ცაწყრა), რუსთველური კომპოზიტების (ლაგამ-აბჯარ-უნაგირსა) ამოწერა და მათი გამოყენების პოეტური მიზანდასახულობის ამოხსნა ენასთან კავშირის გათვალისწინებით.

ბ. გმირთა სახასიათოდ შერჩეული ეპითეტების რეეულებში შეტანა.

ტექსტზე მუშაობის პროცესის უფრო ნათლად წარმოდგენის მიზნით სანიმუშოდ ავიღოთ იგივე თავი — „თინათინისაგან ავთანდილის გაგზავნა მის ყმის საძებრად".

წინა მასალიდან მოსწავლეთათვის ცნობილია მხოლოდ ის, რომ „მას (ავთანდილს) თინათინის გონება (მოგონება) ჰკვლიდის წამწამთა ჯარისა"-41, ე. ი. რაინდს თვალწარმტაცი სატრფოს წარმოდგენა-

წარმოსახვა „ჰკვლიდის“, ანუ დიდ ბედნიერებასაც ანიშნებდა და კიდეც ტანჯავდა (სიყარულის ორმაგი ბუნება). ასახსნელი მასალის პირველ სტროფში მიჯნური ავთანდილი კვლავ სატრფოს მოგონების ტყვეობაშია: მარტოა საწოლ ოთახში, წინ უდგას ჩანგი, უკრავს და მღერის... ამ დროს შემოდის „მონა ზანგი და მოახსენებს: „გიბარებსო ტანი ალვა, პირი მანგი“. მომდევნო სტროფში ვკითხულობთ: „ავთანდილ მიჰხვდა მოსმენა საქმისა სანატრელისა, ადგა და კაბა ჩაიცვა, მჯობი ყოვლისა ჭრელისა, უხარის ნახვა ვარდისა, არ ერთგან შეუყრელისა“[1]. ავტორის რემარკა: „ამოა ჭერეტა ტურფისა, სიახლე (სიახლოვე) საყვარელისა“.

ავთანდილი ამჯერად ლაღი და უკადრია, ამაყად მიდის, არავისი არ ცხვენია, რადგან სატრფოს მიერაა ხმობილი. „მას ნახავს, ვისთა ეამთაგან ცრემლი მრავალჯერ სდენია“, (დავუკვირდეთ, რაინდები როდის, რა შემთხვევაში ტირიან!). შეხვედრა. „იგი (თინათინი) უებრო (სწორუპოვარი) ქუაბად (მწყარალად) ჯდა“, მაგრამ მაინც „ელვისა მსგავსად შეენოდა, მთვარესა მისთა შუქთაგან უკუნი გარდაჰფენოდა“ ე. ი. მშვენიერებით, სხივოსნობით მთვარეს ჩაგრავდა. ელვასთან მისი მშვენების შედარება მარტო სხივოსნობის სიმძლიერეს კი არ უსვამს ხაზს, მისი ძლიერი, მტანჯველი და ცვალებადი განცდის შესატყვისია. 127-ე სტროფში მოცემულია თინათინის შედარებით სრული, დეტალური აღწერა ჩაცმულობის გათვალისწინებით. 128-ე სტროფის პირველი სტრიქონი აერთიანებს წინა ორ სტროფში გამოხატულ აზრს: „დაღრეჯით იყო მჯდომარე, ძოწეულითა რიდითა“, „ავთანდილს უთხრა დაჯდომა წუნარად, ცნობითა მშვიდითა“...

ხმობილიც მონის მიერ მირთმეულ სკამზე ჯდება „კრძალვით და რიდითა“, თან მას თვალებში შეჰყურებს „საცნე ლხინითა დიდითა“.

თინათინმა თქვა: თუმცა მიმძიმს იმაზე საუბარი, რისიც „მწადდა

---

[1] შედარებით იოლად გასაგები ტექსტები შეიძლება წავაკითხოთ გამომეტყველებით კითხვას დაუფლებულ მოსწავლეს, ყურადღება გავამახვილოთ მნიშვნელოვან ადგილებზე, თქმებზე, ზოგჯერ კითხვის დასმით ჩავერიოთ და დავეხმაროთ ამა თუ იმ ფრაზის ახსნაში, მოვუხმოთ ანალოგიებს შესწავლილი მასალებიდან; საჭიროების შემთხვევაში რამდენიმე სტროფის შინაარსი გადმოვცეთ მოკლედ, გავაკეთოთ კომენტარი და სხვ. ამასთან, აქ ჩართული შინაარსის გეგმები, მაგალითად, როგორიცაა თინათინის მიერ ავთანდილის ხმობა, შეხვედრა, სიყვარულის აღიარება, ფიცი, ლაღობა და მისთანანი ზოგჯერ (დროის მოგების მიზნით) ამავე ფორმით გამოვიყენოთ, მაგრამ არ უნდა გამოვტოვოთ ამ მონაკვეთებში ჩაქსოვილი მნიშვნელოვანი საკვანძო საკითხები. ამგვარი შემოკლებები დასაშვებია როგორც ახსნის, ისე გამოკითხვის დროს, მხოლოდ შემდეგის გათვალისწინებით: თუ მასალის ახსნა-ჩას გეგმით გადმოცემული მასალა სათანადოდ იქნა დამუშავებული, მაშინ ამ მეთოდს (ე. ი. სახელდებითი წინადადებების გამოყენებას) მივმართავთ გამოკითხვის დროს, თუ პირიქით, ე. ი. ახსნის დროს შევამოკლეთ სათქმელი, გამოკითხვისას ჭათზე მეტად გაშხვეულდება ყურადღება.

არა-თქმა“, მაგრამ სხვა გამოსავალს ვერ ვხედავო. მან თითქოს კიდეც მოსინჯა ავთანდილის გუმანი, ხმობის მიზეზი ხომ არ გამოიცნოო (...„იცია მიზეზი შენისა აქა ხმობისა, რად ვზი ქუშად და დაღრეჯით ასე მიხდილი ცნობისა?“).

გაურკვეველ მდგომარეობაში მყოფმა რაინდმა ძლივს შებედა პასუხად სატრფოს: განა შეიძლება შენი შეხედვით გაბედნიერებულს შენგან თქმული რაიმე საზარო (ზარდამცემი მეჩვენოს შენთან ახლოს ყოფნით მე ფიქრისა და აზრის უნარი დამიკარგავს (მეტაფორულად: „მზესა მთვარე შეეყაროს, დაილევის, და-ცა-ჴნების“), სხვაგვარად: შენი ბრწყინვალებით გონდაჩრდილულს : ღარაფერი მესმის, თუ რა ხდება ჩემ თავზე, ამიტომ შენ თვითონ მითხარი დაუფარავად, რა გაწუხებს, რით ხარ შეშფოთებული, რა გიხსნის ასეთი შწუხარებისაგან, რომ მე შევძლო დახმარება. აქვე დავძენთ: ეი ყოველივე ეს ლექსად რა მოკლედ გამოითქმის (განმეორებით ვკითხულობთ სტროფს, ან პირველად — სწორედ ამ საუბრის შემდეგ)... ამ აზრს დებს რუსთაველი შესავალში: „გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, შაირია ამად კარგი“ (შესავალი საერთოდ ყველას წაკითხული აქვს, ეს აფორიზმი კი წინა კლასებშია შესწავლილი).

ვაგრძელებთ ახსნით კითხვას: „ქალმა უთხრა საუბარი კეკლუცსიტყვად, არ დუხჭირად“ (როგორც ვხედავთ, განწყობა წამით იცვლება)... „თუმცა აქანამდის ჩემგან შორს ხარ დანამჭირად, მიკვირს მოგხვდა წამის ყოფად საქმე შენგან საეჭვი რად“, ე. ი. თუმცა აქამდე თავს შორს ვიჭერდი ჩემთან შენს სიახლოვეზე, მაგრამ, ჩვენდა გასაკვირად (იგულისხმება: ვითარება ისე სწრაფად შეიცვალა), ჩემმა მოულოდნელმა მოხმობამ შენც დაგაბნია, დაგაეჭვაო (ეს მისი განწყობის მეორე მხარეა). ამჯერად სიტყვა ისევ პირველწუხილის საგანზე გადააქვს: „გითხრა პირველ ხვალმე, სენი მე მჭირს რაცა ჭირად“. მან ავთანდილს მოაგონა ნადირობისას ნახული მტირალი უცხო ყმის ამბავი, მას დაუკავშირა თავისი წუხილის მიზეზი („მას უკანით გონებამან მისმან ასრე დამამხოცა“), შემდეგ კი პირდაპირ განუცხადა: „შენ გენუკვი მონახვასა, კიდით კიდე. მოლახო ცა“; და იქვე დასძინა:

„აქანამდის ნაუბარსა თუცა ვერას ვერ გეტყვია,
მაგრა შორით სიყვარული შენგან ჩემი შემიტყვია“ — 133.

მასწავლებელი: საიდან, რა წყაროთი ამოიცნო თინათინმა ავთანდილის გულისთქმა?

კითხვა ისევ გრძელდება (დასმულ კითხვაზე პასუხს იქვე არ ვითხოვთ, მოსწავლეები სტროფის შესაბამის სიტყვებს ფანქრით კითხ-

ვის ნიშანს უსვამენ, რაც იმას ნიშნავს, რომ კითხვა ისევ გამეორდება და აიხსნება ანალოგიებით).

მრავალმხრივაა საყურადღებო მომდევნო სტროფი (134). მას ჩვენვე ვკითხულობთ სათანადო ინტონაციით, რათა წარმოვაჩინოთ აზრი იქვე განმარტებული ტაეპებისა:

> „ასრე გითხრა, სამსახური ჩემი გმართებს ამად ორად:
> პირველ, ყმა ხარ, ხ ო რ ც ი ე ლ ი არავინ გყავს შენად ს წ ო რ ა დ,
> მერმე, ჩემი მიჯნური ხარ, დ ა ს ტ უ რ ი ა, არ ნაშორაღ“ — 134.

მუხლი — „პირველ ყმა ხარ“ ავტორისავე მოცემული განმარტების („ხორციელი არავინ გყავს შენად სწორად“) მიუხედავად, ხშირად ბადებს კითხვას: როგორია თინათინის მიმართვის ტონი, იგი ავთანდილს ხომ არ უბრძანებს, როგორც ქვეშევრდომს?

ამ შემთხვევაში მივუთითებთ, რომ ამ კითხვაზე პასუხი ნაწილობრივ ამავე თავშია წარმოდგენილი, რისთვისაც საჭიროა ტექსტის დაკვირვებით წაკითხვა, მაგრამ, რა თქმა უნდა, ჩვენ ამ ორაზროვან განმონათქვამს აუხსნელს არ ვტოვებთ, რადგან 159-ე სტროფში მოცემული ავთანდილის სიტყვები — „პირველ, ყმა ვარ, წასლვა მინდა პატრონისა სამსახურად“, სათანადო განმარტების გარეშე მკითხველს ისევ იმ აზრს განუმტკიცებს, რაც დასმულ კითხვაშია გატარებული. ამიტომ მას თავის დროზე ასე განვმარტავთ: ავთანდილი თინათინის მიერ ორაზროვნად ნათქვამ სიტყვებს იმიტომ იმეორებს შერმადინთან საუბარში, რომ ამ უკანასკნელმა (ავთანდილის ყმამ) პატრონისადმი საჭირო ერთგულებისა და სამსახურის მაგალითი მისგანვე აღლოს. მით უფრო ეს საჭიროა ახლა, როცა პატრონი თავის ადგილზე სწორედ მას (შერმადინს), ტოვებს („ხამს მეფეთა ერთგულება, ყოფა გემართებს ყმასა ყმურად“). და თუ ზოგჯერ ყველაფერს იქვე, თანაც ჩვენივე არ ვხსნით, მხოლოდ იმ აზრით, რომ, თუ კლასი ძლიერია, მათთვის საინტერესო კითხვებს იქნებ, ტექსტის ღრმა შესწავლის კვალობაზე, თვითონვე გასცენ პასუხი. სწორედ ამის ამსახველია დისპუტის მასალები (იხ. ამავე ნაშრომის თავი „ღონისძიებანი „ვეფხისტყაოსნის“ გაღრმავებით შესწავლისათვის“). აქვეა ზემოთ დასმული კაკითხის „სიყვარულის გამხელა თუ აღიარება?“ პასუხიც. მეტი სიცხადისათვის მის მოკლე პასუხს აქაც ჩავრთავთ: ტრადიციული გაგების მიხედვით, ქალები პირველნი უმხელენ ვაჟებს სიყვარულს. ჩვენი ღრმა რწმენით, კი ეს ასე არ არის... მეფე-ქალები (ნესტანის შემთხვევაში სამეფო ქალი) პირველები კი არ უმხელენ ვაჟებს სიყვარულს, არამედ ისინი (სატრფოები) მიჯნურებს უდასტურებენ იმას (სიყვარულს), რაც ორივეში (ტარიელში ერთბაშად, ავთანდილში — თანდათან) წარმოშობილა, ერთხანს ფარულად უტარებიათ. მაგრამ ის

გრძნობები გაუმხელია, გაუცია მათსავე თვალებს და, ამდენად, ეს ფაქტი ორიენსათვის ცხადი გამხდარა. ამისათვის უმჯობესია ვიხმაროთ არა სიტყვა „გამხელა“ (ეს რამდენადმე შეურაცხყოფს მეფეჭალებს), არამედ „აღიარება“. სწორედ უსიტყვოდ წარმოშობილ ამ გრძნობის სინამდვილეს პირველები ადასტურებენ ქალები იმიტომ, რომ პრივილეგირებული ამ შემთხვევაში თვითონ არიან... ვიმეორებთ, თუ ყოველივე ამას მაშინვე არ ვამბობთ, მხოლოდ იმიტომ, რომ: ჯერ ერთი, ნესტანის უფრო ცხადი, მაგრამ ანალოგიური მაგალითი შესასწავლი გვაქვს, მეორეც, გვინდა მოსწავლეები მივიყვანოთ ამ გრძნობის რუსთველური კონცეფციის ღრმა გაცნობიერება-გაგებამდე, შესაძლებლობის შემთხვევაში, მის თვითწვდომამდე.

ვაგრძელებთ ახსნით კითხვას: მომდევნო სტროფები იმდენად ცხადია, არაფერს ვამბობთ თინათინის პირობა-აღთქმაზე, ფიცზე... ყურადღებას შევაჩერებთ ავთანდილის პასუხზე (138). „მოახსენა ყმამან: მზეო“, (ვისაც წამწამები სიშავითა და მშვენებით გიშრისათვის დაგიმსგავსებია); განა შემიძლია რაიმე სხვა პასუხი შეგაძარო ან ეჭვი შევიტანო შენი ნათქვამის ჭეშმარიტებაში, რაც ჩემთვის კანონია... ნე სიკვდილს ველოდი უშენოდ, შენ კი ეს წამი (იგულისხმება სიყვარულის აღიარება) ჩემთვის მთელი ჩემი სიცოცხლის ტოლფასად აქციე... რაღა თქმა უნდა. მე იმ უცხო ყმის მოსაძებნად, ე, ი, შენს „სამსახურად“, „ვითა მონა“ წავალ... წავალ კი არა, ახლავე მივეშურები, „განაღამცა წავე, წა-მე!“

ასევე ნათელია 139-ე, 140-ე სტროფები, თუმცა ამ უკანასკნელის ერთ ტაეპს — „სიცოცხლისა უკეთესი რამც მიბოძე. რამც ვივალე“, შეიძლება გავუკეთოთ კომენტარი: ადამიანისათვის სიცოცხლის ტოლფასი მართლაც არაფერია. ამას კი ავთანდილი თინათინისაგან ბოძებულად მიიჩნევს, რადგან, მისი აზრითვე, სიცოცხლეს მაშინ აქვს ფასი, როცა ადამიანს სამოქმედოდ დიადი მიზანი (ე. ი. ორმხრივი— პირადული და საზოგადო) იწვევს, სხვაგვარად; ადამიანური ყოფის საფუძველი დიადი მიზნის განხორციელებაა. სატრფოს ეს დავალებაც სწორედ ამგვარია, ამდენად, თინათინის მიერ ბოძებული, ანუ მისი მიზეზით ასე გამშვენიერებული ავთანდილის სიცოცხლე მარტო სამსახურის გაწევა კი არა, ვ ა ლ ი ა („ვივალე“), ამავე აზრის ერთგვარ ინტერპრეტაციას წარმოადგენს 152-ე სტროფში გატარებული იდეა:

„გ მოემართა ავთანდილ, მოყმე მზნე, ლაღად მავალი,

. . . . . .

იგია ლხინი სოფლისა, იგია ნივთი და ვალი
არ მისცილდების თინათინ მისი მას, ვისგან სწვავ ალი“ (152).

ამიტომაა სიყვარული მიჩნეული სიცოცხლის მარტო სტიმულად კი არა, — ა ზ რ ა დ, ხოლო მისი მატარებელი ადამიანები, რუსთაველის თქმით, „სოფლის ლხინად, ნივთად და ვალად“.

ახლა ცოტა უკან დავიხიოთ. არაფერს ვიტყვით იმაზე, რომ სატრფოთ და მიჯნურმა „კვლავ შეჰფიცეს ერთმანეთსა“ (141), არც იმაზე, რომ „ერთგან დასხდეს, ილაღობეს, საუბარი ასად აგეს“... (სიტყვის სიმრავლე ამ შემთხვევაში „ჭირგადანახადი“ გრძნობის შემდგომი ბუნებრივი ეტაპია, რუსთაველის თქმით: „გაადვილდა, აქანამდის გარდეხადა რაცა ჭირი“ — 141. ყურადღებას გავამახვილებთ, შემდეგზე: ავთანდილმა უნდა დატოვოს სატრფო, რომლის „სიშორესა.. მისსა ვერ გასძლებდა“ (143), ესეც მზიან-ჩრდილიანი დიდი გრძნობის ატრიბუტია: „ბროლსა სეტყვეს და ვარდსა აზრობს, ტანსა მშვენრსა ათრთოლებდა“.

— როგორ აღვიქვამთ ამ შემთხვევაში ვაჟკაცის ტირილს? (რა თქმა უნდა, დიდი გრძნობის, მძაფრი ემოციის გამოხატულებად, რომელიც კი არ აკნინებს მის ვაჟკაცურ იერსახეს, პირიქით, ამშვენებს).

მართალია, სიყვარულის მოულოდნელმა „აღიარებამ“ ავთანდილს თინათინის „შეჭის“ (ღიმილის, სიყვარულის) მოპოვება იაფ შენაძენად მიაჩნევინა, მაგრამ მან კარგად იცის, რომ ის, რასაც სატრფოსთან „გაცვლილი გული“ ავალებდა, არ იყო იოლი შესასრულებელი (ეს სამწლიანი დაყალება არ გამორიცხავდა მის სიკვდილსაც კი). სწორედ ამ აზრის გამოხატულებაა ამ საკითხზე შერმადინთან ნათქვამი სიტყვები: „მარგალიტი არვის მიხვდეს უსასყიდლოდ. უვაჭრელად“ (აქ გაურჯელად). ავთანდილმა ისიც იცის, რომ საწადელის მიღწევისათვის უმთავრესია ვაჟკაცური გარჯა (ცდა), მაგრამ იგი მიზნის მიღწევის ერთადერთი პირობა არაა. გამარჯვება დამოკიდებულია განგებაზეც. ამიტომ შერმადინს, რომელიც მზადაა, მასთან ერთად გაიპაროს და ამით გამოხატოს მისდამი თანაგრძნობა, ეუბნება: „ფათერაკი (განგება) სწორად მოჰკლავს, ერთი იყოს, თუნდა ასი“ (169). ამდენად, აქ გზაზე მისი მარტოობა ამ მხრივ არაა საშიში, მთავარია „მცავდეს ცისა ძალთა დასი“ (ანგელოზები). რომლებიც ღმერთის ნების (ეს ნება კი ყოველთვის კეთილია) აღმსრულებლები არიან (ეს აზრია გატარებული 150-ე სტროფის მე-3 და მე-4 ტაეპშიც), ე. ი. მიუხედავად იმისა, რომ ამ გზაზე ავთანდილი არ გამორიცხავს სიკვდილსაც კი, მაინც ასეთ დიადმიზნურ გარჯაში ხედავს ადამიანის სიცოცხლის აზრს... „ხამს მოყვრისათვის სიკვდილი, ესე მე დამიც წესად-რე“ (144). (სწორედ ესეცაა ერთ-ერთი არგუმენტი იმისა, რომ მიჯნურობა, ჩვენი აზრით, მეგობრობის საუკეთესო სახეობაა. ამ შემთხვევაში მოყვარეში იგულისხმება თინათინი, ის პიროვნება, ვისთვისაც, უპირველეს ყოვლისა, თავს დებს ავთანდილი).

არაფერს ვამბობთ ამ თავის სხვა სტროფებზე, რადგან წინა პლანზე წამოსაწევი საკითხები გათვალისწინებულია ამავე თავის ზემოთ მოცემულ გეგმა-საკითხებში.

ანალოგიური მუშაობა ჩატარდება სხვა თავების შინაარსის გაგებისა და იდეურ-მხატვრული ანალიზისათვის ნიადაგის მოსამზადებლად

მე-6 გაკვეთილი

წიგნი ავთანდილისა თავის ჴმათა თანა

ძირითადი საკითხები და კითხვები

1. ავთანდილის პატრიოტული მისწრაფება (172-ე სტროფის მე-3 და მ-4 სტრიქ. ზეპ.).

როგორ ახასიათებს ეს „წიგნი“ ავთანდილს როგორც მწიგნობარს („წყლიანმა და სიტყვანაზმა“) და როგორც პატრონს? (შორსმჭვრეტელი).

როგორ შეხვდნენ „მისნი სპანი“ ავთანდილის ამ ნაბიჯს?

ავთანდილისაგან მის ჴმისა ძებნად წასლვა

საჭიროდ მიგვაჩნია წარმოვადგინოთ ამ თავის დამუშავების ნიმუშიც:

მასწავლებლის საუბარი: 182-ე სტროფში რუსთაველი შეგვახსენებს სიყვარულისთვის დამახასიათებელ ნიშანს — „საბრალოა (ე. ი. ბრალის დასადებია) სიყვარული, კაცსა შეიქმს გულმოკლულად“ (42), ოღონდ სხვაგვარი ვარიაციით „საბრალოა, ოდეს ვარდი დაერთვიოს, და-ცე-ეზროს“... ე. ი. საბრალოა იმის გამო, რომ თავისი სურვილის (სატრფოსთან სიახლოვის ნდომის) საწინააღმდეგოდ იქცევა: ტოვებს სატრფოს და მშობლიურ მხარეს. მოცემულ სტროფში გატარებულია აზრი (რასაც პოეტი დიონისე არეოპაგელს, ზოგთა აზრით, იმავე პეტრე იბერს (V საუკ.) და XII საუკ. არაბ პოეტ ეზრას მიაწერს), რომ მიჯნურისაგან ასეთი ნაბიჯის გადადგმა აუცილებელია, რათა გამოსცადოს სიყვარულის სიღრმე, გამძლეობა (ხანიერება). მასწავლებელი კითხულობს 182-ე სტროფს, უკეთებს კომენტარს და დასძენს: სატრფოსთან განშორებით გამოწვეული მწვავე განცდები ენამზე რუსთაველის მიერ ბევრგან და ბევრნაირადაა გამოხატული... ამის შემდეგ სხვა სტროფები შეიძლება წავაკითხოთ კარგად მეტყველ მოსწავლეებს:

„აეთანდილ იგი მინდორი ოთხ-ახმით გარდაიარა,
დაიგდო ზღვარი არაბთა, სხვათ ზღვართა არე იარა,
მაგრა მის მზისა გაყრამან სიცოცხლე გაუზიარა“ — 183 (გაუყო, გაუნახევრა).

მასწავლებელი — ამ ძნელად სავალ გზაზე ავთანდილს ასაზრდოებს სატრფოს დავალების აღსრულებისა და მასთან შეხვედრის იმედი: „თქვა: თუ მე მასცა ვეახელ, აწ ცხელსა ცრემლსა ეღვრი არა“ (ამიტომ არის სიყვარული ტკბილ-მწარე განცდა). კითხვას განაგრძობს მეორე მოსწავლე:

„ახალმან ფიფქმან დათოვა, ეარდი დათრთვილა, დანასა;
ბოუნდის გულსა დაცემა, ზოგჯერ მიჰმართის დანასა;
თქვის: „ჰირი ჩემი სოფელმან ოთხმოცდაათი ბანასა,
მოეშორდი ლხინსა ყველასა, ჩანგსა, ბარბითსა და ნასა“ (184).

განაგრძობს მესამე:

„ეარდი მის მზისა გაყრილი უფრო და უფრო ჰნებოდა,
ვულსა უთხრა თუ დათმეო, ამად არ დია ბნდებოდა“.

მასწავლებელი — გონება გულს მოთმინებას ურჩევდა და ეს აძლებინებდა.

„უცხო უცხოთა არგა- საძებრად ვარებოდა.
მჯავრთა პოითხვიდის ამბავთა, მუნ თანა — ემოყვრებოდა“.

განაგრძობს მეოთხე:

„მუნ ეძებს, ცრემლი მტირალსა სდის ზღვათა შესართავისად,
უჩნდის ქვეყანა ტახტად და მკლავი სადებლად თავისად;
თქვის: საყვარელო, მოგშორდი, გული შენ დაგრჩა, ვთქვა ვისად?
შენთვის სიკვდილი მეყოფის ლხინად ჩემისა თავისად“ (186).

ამგვარი მუშაობით ნათელი ხდება თითქმის ერთი და იმავე აზრის სხვადასხვაგვარად გამოხატვის რუსთველური მანერა, რაც ემოციური ზემოქმედების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა, საფუძველია „სიტყვისა, გულისა გასაგმირეთა“...

ამის შემდეგ. დროის მოგების მიზნით, შეიძლება მომდევნო სტროფების (187—220) შინაარსის მოკლედ გადმოცემა, ციტატების მოშველიება: „ყოვლი პირი ქვეყანისა მოვლო...“ მაგრა მის ამბის მსმენელს“ ვერ შეხვდა. ამასობაში დათქმული 3 წელიწადი „სამ თვედ მიიყარა“ ...„მიჰხვდა რასმე ქვეყანასა უგემურსა, მეტად მჭისსა, თვე ერთ კაცსა ვერა ნახავს“... „მას მიჰხვდა წვერი სადგურად მაღლისა მთისა დიდისა“... ორი თველა დარჩა... „საგონებელი შეექნა, დადგა საქმისა მრჩეველად“... უკან თუ დაებრუნდი, რა ეუთხრა სატრფოს... არ დაებრუნდე, დათქმულისამებრ. სახელმწიფოში გლოვას გამოაცხადებენ და მერე მივიდე... — უარესი „ავსა კარგად ვერვინ შეცვლის, თავსა ახლად ვერვინ იშობს“... საკუთარ თავს ტუქსავს:

„მოკვე, გიჯობს სიცოცხლეს აუგიანსაო“; ბოლოს ისევ მოთმინებას არჩევს და განგებას მიენდობა — „განგებასა ვერვინ შესცვლის, არ-საქმნელი არ იქმნებისო“... ბჭობას და ტირილს თავი ანება, მაგრამ განგების იმედით გულზე ხელები როდი დაიკრიფა, ძებნა განაგრძო: „მთით ჩავიდა, გავლნა წყალნი და ტყენია; „თუცა მხეცქმნილა ავ-თანდილ (ამდენი) გულამოსკვნით და კვნესითა“, მაგრამ მასაც „ჭამა მოუნდების ადამის ტომთა წესითა“ (198—200).

ხატაელ ძმებთან შეხვედრა. ამბის ცნობა შავ ტაიჭზე მჯდომ მოყმესთან შეხვედრის თაობაზე... „მისი მოგვინდა შ ე პ ყ რ ო ბ ა, ვ კ ა დ რ ე თ და შ ე ვ ე ც ა დ ე ნ ი თ“... ეს ეპიზოდი ამ სურვილი-თა და მისი ვერგანხორციელების შედეგით მოგვაგონებს როსტევანის ჰმუნვის მიზეზთა ისტორიას...

„კაცსა მიჰხვდეს საწადელი, რას ეძებდეს მისი პოვნა,
მაშინ მისგან აღარა ხამს გარდასრულთა ჰირთა ხსოვნა“ (216).

ხატაელ ძმებს „უჩვენა მისი სადგომი“... თვითონ კი „ცხენი გაჰ-ქუსლა დეზითა, ვითა გავაზი გაფრინდა“.

ავთანდილის წინდახედულება, დაკვირვებულობა-გონიერება. კვლავ ბჭობა თავისთავთან ანუ მონოლოგი უცხო მოყმესთან შეყრის თაო-ბაზე; შერჩეული ადგილების კითხვა.

„საუბარმან უმეცარმან შმაგი უფრო გააშმაგოს;
ხამს, თუ კაცმან გონიერმან ძნელი საქმე გამოაგოს,
არ-სიწყნარე გონებისა მოიძულოს, მოიძაგოს“ (220).

„რათგან კაცსა არ მიუშვებს საუბრად და მისად ჭვრეტად...“ არ იქნება, „სადმე არ ედგნეს ბუდენი... სადაცა მივა, მიჰყვები“... „წინა-უკანა იარნეს ორნი დღენი და ღამენი“... „მან ყმამან ქვაბ-სა მიჰმართა... ავთანდილ ცხენსა გარდახდა, მონახა დიდი ხენია“...

უცხო ყმისა და შაოსანი ქალის შეხვედრა. ავთანდილის გაკვირ-ვება. დილით ყმის წასვლა. ავთანდილის გადაწყვეტილება: „ქალ-ო შევიპყრა, მის ყმისა ამბავი ვაამბობინო, ჩემიცა ვუთხრა ყველაი, მართალი გავაბრუბინო, მას ყმასა ხრმალი არა ვჰკრა, არც მისი დავისობინო“ (234).

დავალება: ეპიზოდებისა და ქცევაში წარმოჩენილ გმირთა დამა-ხასიათებელი თვისებებისათვის შესაფერი სიტყვების შერჩევა და რეპლიკებში შეტანა, თხრობისას კი მათი გამოყენება, ანუ თხრობა მსჯელობის ელემენტებით.

მე-6 გაკვეთილი

ამბავი ავთანდილისა, ასმათს რომ ეუბნების ქვაბშიგან

ამ ეპიზოდსაც წინა თავის ანალოგიურად ვამუშავებთ, ოღონდ ტექსტის მეტ ნაწილს გაკვეთილზევე ვკითხულობთ. ამ თავის შინაარსის გეგმა და გასათვალისწინებელი კითხვები ასე გვესახება:

1. ავთანდილის შეხვედრა შაოსან ქალთან. კონფლიქტური სიტუაცია.
2. დიალოგი.
3. ტარიელის დაბრუნება.
4. ტარიელისა და ასმათის საუბარი.

მოცემულ ეპიზოდში ავთანდილისა და ასმათის რა სახასიათო ნიშნები მჟღავნდება? ამოიცანით და სათანადო ციტატებით შეიტანეთ რვეულებში. არაკი (259, 260) ისწავლეთ ზეპირად და ამოიცანით ავტორისაგან მისი მოხმობის მიზანდასახულობა.

შეურა ტარიელისა და ავთანდილისა

ძირითადი საკითხები და კითხვები:

1. ტარიელისა და ავთანდილის შეხვედრს სურათი (288-ე სტრ. ნებისმიერ საზეპიროდ).

დააკვირდით და ამოიცანით, რატომ ტირიან (რა შემთხვევაში ტირიან) გმირები საერთოდ და კერძოდ ამ ეპიზოდის გათვალისწინებით?

2. ასმათის მიმართვა — „თავთა ნუ დაჰხოცთ, ნუ ბნელ-იქმთ მზესა თქვენითა ბნელითა“... (მეტაფორული სტრიქონის მოსწავლეთა მონაწილეობით ახსნა — თქვენი დაუძლურებით მზის — ნესტანის, ძიების საქმეც არ შეაფერხოთო)[1].

---

[1] პოემის ამ თავში გმირები მზესთან ხუთჯერაა შედარებული (286-ე, 287-ე, 289-ე, 302-ე, 303-ე სტროფებში), მაგრამ არაერთგვაროვნად, მზეში ზოგჯერ პიროვნება იგულისხმება, ზოგჯერ კი სახე (ღმერთი). შევჩერდებით ორ მეტად მნიშვნელოვან 289-სა და 302-ე სტროფებზე.

ზემომოტანილ 289-ე სტროფში („თავთა ნუ დახოცთ, ნუ ბნელ-იქმთ მ ზ ე ს ა თქვენითა ბნელითა“.) ერთი შეხედვით, თითქოს საუბარია ტარიელისა და ავთანდილის პირისახეებზე, რადგან მომდევნო სტროფში (290), მართლაც, ტარიელის სახეზე მახვილდება ყურადღება: „ტარიელის ვარდი იყო დათრთვილული, არ დაზეული“ (ე. ი. ფერგამქრთალი, მაგრამ სხივმოუკლებელი), მაგრამ აზრობრივად აქ მზეში ნესტანის გულისხმობა უფროა საგულვებელი, ვიდრე გმირთა პირისახეებისა, მით უფრო, რომ ამგვარ გაგებას პარალელი ეძებნება ისევ ასმათის სხვა დროს ნათქვამ სიტყვებში: „მ ზ ე მ ა ნ დაგწვნა და დაგდაგნა ცისა მნათობნი ზენანი“ (953). მესამე აზრი — მზეში ღმერთის გულისხმობა გამორიცხული არაა, მაგრამ ეს ეჭვის შეტანაა ღმრთის სიკეთეში.

კიდევ უფრო მნიშვნელოვანია 303-ე სტროფი. ავთანდილი ტარიელს მიმართავს: „სახე ხარ მ ზ ი ს ა ე რ თ ი ს ა, ზ ე ც ი თ მ ნ ა თ ი ს ა ზ ე ნ ი ს ა“. აშკარაა, რომ ხაზგასმული სიტყვები ის ნამდვილად საღმრთო ეპითეტებია, რომლებსაც რუსთაველი მიაწერს მის იდეალურ გმირებს, ე. ი. ადგილი აქვს ადამიანის გაღვთაებრივებას, რაც რენესანსის გამოხატულებაა.

3. ავთანდილი აცნობს ტარიელს თავის ვინაობას, მოაგონებს მასთან ადრე უნებლიე შეყრის ამბავს და უხსნის მისი აქ მოსვლის მიზეზს.

— რით ავხსნათ, როგორ გავიგოთ ტარიელისაგან როსტევანის სპათა და ხატაელ ძმათა უმოწყალო ხოცვა („არ ვეპვ რომე ჩემდა ნაცვლად თანა მკვდართა მიიტანდით")?, რით იმართლებს თავს ტარიელი და რამდენად მართალია იგი ამ ამბავში, იმსჯელეთ ციტატების მოშველიებით.

4. 304-ე სტრ. „ამა დღემან დამავიწყა, გული ჩემი ვინ დაბინდა"...დავისწავლოთ ზეპირად და გავარკვიოთ, რისი თქმა სურს ავთანდილს.

ძმობა-მეგობრობის ამ კოდექსის „ვინცა კაცმან ძმა იძმოს. თუ დაცა იდოს, ხამს თუ მისთვის სიკვდილსა და ჭირსა თავი არ დაჰრიდოს" უშუალო გამოხატულებად რას მიიჩნევდით ტარიელისაგან, ავთანდილისაგან. ასმათისაგან?

მოცემულ ეპიზოდში როგორაა დახასიათებული მეფე?

ვის გულისხმობს ტარიელი სიტყვა „წარმწყმედელში"? (იხ. სტრ. 298).

დავალება: ამოიცანით ამ ეპიზოდში ჩართული აფორიზმები და 302-ე, 305-ე სტროფები ისწავლეთ ზეპირად, შინაარსი მოამზადეთ მსჯელობის ელემენტებით.

მე-7 გაკვეთილი.

ტარიელისაგან თავის ამბის მგონია, ოდეს ავთანდილს უამბო.

ძირითადი საკითხები და კითხვები:

1. ინდოეთის სამეფოსა და მეფის დახასიათება. მოცემული დახასიათება შეადარეთ როსტევანისას და გამოიტანეთ დასკვნა, თუ რა გზით აღწევს პოეტი ვრცელი შინაარსის მოკლედ გამოხატვას.

2. სარიდანი. რა განსხვავებული თვისებით ხასიათდება ტარიელის მამა?

3. ფარსადანის სამეფო კარისა და ოჯახური მდგომარეობის იდილიური სურათი (ნებისმიერად შერჩეული სტრიქონების დაზეპირება);

4. ნესტანის დაბადება და აღზრდა.

5. ტარიელის მდგომარეობა სამეფო კარზე. მეფე-დედოფლის დამოკიდებულება მისადმი.

6. „ცრუ და მუხთალი სოფელი მიწყივ ავისა მქმნელია"...

დავალება: 1. ამოიცანით, მოცემულ ეპიზოდში როგორ აირეკლა

რეალური სინამდვილე. თქვენი აზრი დაასაბუთეთ ისტორიიდან და ლიტერატურიდან მოხმობილი ფაქტებით.

2. ნესტანის. დამახასიათებელი ადგილები დაისწავლეთ ზეპირად.

ამბავი ტარიელის გამიჯნურებისა, პირველ რიგ გაუმიჯნურდა

ტექსტის შერჩევით კითხვა ან შინ დამოუკიდებლად წაკითხვა შემდეგი ძირითადი საკითხებისა და კითხვების გათვალისწინებით:

1. ნადირობის შემდეგ მეფისაგან თავისი ქალის მონახულება...

2. ტარიელის მიერ ნესტანის დანახვა და დაბნედვა („ქალსა შევხედენ, ლახვარი მეცა ცნობაცა და გულსა“...)

3. ტარიელის აზრი საწუთროსადმი „მინდობილთა“ და პირუკუ — „მეურჩეთა“ მიმართ (353-ე სტროფის კომენტირება და, როგორც აფორიზმის, ზეპირად დასწავლა).

თვითონ ტარიელი რომელი ნაბიჯის („მეურჩისა“ თუ „მინდობისა“) განხორციელებლად გესახებათ? დააკვირდით მის ცხოვრებას და ტექსტზე მუშაობის დამთავრების შემდეგ გამეცით პასუხი (კითხვას ინიშნავენ რვეულში).

4. სამეფო კარის მიერ ტარიელის დაბნედვის მიზეზის შეცნობის ამაო ცდა. მეფე-დედოფლის გულწრფელი „განსაცდელი.“

5. ასმათის „მოციქულობა“ „მოჯობინებულ“ ტარიელთან.

6. ასმათის დამახასიათებელი თვისებები.

დავალება: შინაარსი საზეპიროებითა და მსჯელობის ელემენტებით.

მე-8 გაკვეთილი

წიგნი ნესტან-დარეჯანისა საუბარელსა თანა მინერილი პირველი

(სათანადო კომენტარებით კლასში ბოლომდე წაკითხვა)

კითხვები:

ტარიელი წინა თავში თვითონვე შენიშნავდა, რომ „ვერავინ შეატყო დება ცეცხლისა ცხელისა“. აქ კი ვეცნობით, რომ ნესტანი იმთავითვე ყველაფერს მიმხვდარა. ისმის კითხვა: საიდან და როგორ ამოიცნო ნესტანმა ტარიელის დაბნედვის მიზეზი? რა არგუმენტებს უმყარებს მისი რწმუნება ასე. გაბედვით რომ სწერს ტარიელს: „ნუ დაიმჩნევ ლომო, წყლულსა, მე შენი ვარ. ნუ მოკვდები“ და ასევე გაბედვით უგმობს მას „ბედით ბნედას“ (უსარგებლო ვაებას). იქნებ მეფის ასულობით სარგებლობს და თავს ახვევს ტარიელს მის სიყვარულს?

ნესტანის აზრით რაა აუცილებელი და საჭირო მიჯნურისათვის? ვინ, როგორი ადამიანი ესახება მას გმირად?

რა დავალებას აძლევს და რა სიტყვებით აიმედებს ნესტანი ტარიელს?

როგორ გავიგოთ სიტყვები: „შენგან ჩემისა ქმრობისა წინასცა ვიყავ შნდომია“.

დაუკვირდით და ამოიცანით დაკარგულა თუ არა ეს ფიქრი უკვალოდ? რა გასცემს ადამიანის ფიქრს ყველაზე მეტად? (სახე—გამომეტყველება, თვალები, სიტყვა).

წიგნი ტარიელისა საყვარელსა თანა მიწერილი პირველი

მასწავლებლის კომენტარი: ნესტანის წერილით „იმედებული“ ტარიელი მოკლე პასუხს სწერს სატრფოს: „რადგან მზეო, ჩემთვის ნათლად აღმოხდება („მკვდარი გამაცოცხლე“), ამას იქით აღარ ვბნდებიო“. ტარიელს თავის თავი ნესტანის შესაფერად, მოცალედ მიაჩნია; გრძნობს, რომ ისინი „ერთფერნი“ არიან, რაც დიდი გრძნობის აღმოცენებისა და გაზრდა-გამშტკიცების აუცილებელი პირობაა; ამიტომ იგი მზადაა სათანადო სამსახურისათვის, დავალების შესრულებისათვის, რამაც ამ გრძნობის ნამდვილობა უნდა გამოსცადოს და დაადასტუროს.

ამ სიყვარულის შესახებ, როგორც ჩანს, არავინ არაფერი არ უნდა იცოდეს; საჭიროების შემთხვევაში მეგობარს შეიძლება გაენდოს. მოიგონეთ, ავთანდილმა რა შემთხვევის გამო გაანდო თავისი განცდა სხვას, კერძოდ, ვის? ნესტანმა — ვის?

1. საიდუმლო პირობა (ტარიელი ვითომ ასმათს ეაშიკება).

რა სიტყვას მიუსადაგებთ ასმათის ქცევას — ჯამით მირთმეულ ძვირფასეულობიდან მხოლოდ ერთ ბეჭედს რომ იღებს? და იმ მძიმე ტვირთს, ნესტანისათვის ტარიელის მოაშიკედ რომ მიაჩნევინებს თავს საზოგადოებას?

წიგნი ტარიელისა ხატაელთა თანა და ქაცის გაგზავნა

როგორ ახასიათებს ტარიელის პიროვნებას ხატაელთა წინაშე გაზავნილი წერილი;

როგორია ამ სახელმწიფოებს შორის დამოკიდებულება და რა განაპირობებს ამას?

მასწავლებლის კომენტარი: სახელმწიფოებს შორის ამგვარ დამოკიდებულებას განაპირობებს ფეოდალური წყობა, ერთმანეთის ექსპლუატაციაზე დამყარებული ურთიერთობა; შემდგომ ვნახოთ, რამდენად მართებულად მიაჩნია რუსთაველს ასეთი რამ, როგორია მისი იდეალი.

ნესტანისაგან ტარიელის ხსოვნა

ასმათი თავის „მოვალეობას“ პირნათლად ასრულებს. 401-ე სტროფი ნებისმიერ საზეპიროდ.

რით ხასიათდება ამაღლებული, დიდი გრძნობა? (უტყუვობით).

სად, რომელ ფრაზაში ჩანს, რომ სიყვარული ტკბილ-მწარე გრძნობაა?

ფიქრი ხატაელთა მეფისა ტარიელის ფიანაშე მიწერილი

როგორი ურთიერთობა ყოფილა ხატაეთისა (ჩინეთის) და ინდოეთის ქვეყნებს შორის?

ტარიელი გადაწყვეტილებას იღებს. რომელი ქვეყნის მდგომარეობის ასოციაციებს იწვევს ინდოეთის სამეფოს მდგომარეობა?

როგორი გრძნობაა სიყვარული, რა როლს თამაშობს იგი ტარიელის ცხოვრებაში?

სად ჩანს, რომ იგი არ არის ვიწრო ინტერესების მომცველი გრძნობა?

მე-9 გაკვეთილი

ტარიელისა და ნესტანის პირის-პირ შეყრა

(შერჩეული ადგილების წაკითხვა და კომენტარი)

ძირითადი საკითხები და კითხვები:

1. ნესტანი კვლავ იხმობს ტარიელს. ნესტანის მოკრძალებულობა; მისი აზრი დედაკაცისა და მამაკაცის დამოკიდებულებაზე.

2. პირისპირ შეყრა და საუბარი („ძოლან გეწყინა გაშვება უებარისა“...).

3. სიყვარულის აღიარება („ერთმანერთისა, მას აქათ, რაცა ორთავე ვიცითა“...) და ფიცი.

4. ტარიელისათვის მიცემული დავალების აღსრულებისაკენ მოწოდება: „წა, შეები ხატაელთა, ილაშქრე და ინაპირე“...

(ხაზგასმა იმისა, რომ სიყვარული ტკბილ-მწარე განცდაა, მაგრამ მასტიმულირებელი, ამამაღლებელი გრძნობა).

რა ნიშნებით ხასიათდება ტარიელისა და ნესტანის სიყვარული? როგორ გავიგოთ ნესტანის სიტყვები: „გული მომეც გაუყრელად, ჩემი შენთვის დაიჭირე?“

ტარიელისაგან ხატაეთს ფასლვა და დიდი ომი

(ადგილების შერჩევით წაკითხვა და კომენტარი)

ძირითადი საკითხები და კითხვები:

1. ტარიელის საბრძოლო განწყობილება...

2. „ხატაეთის ხანის“, რამაზის, ცდა...

სად მჟღავნდება ტარიელის წინდახედულება, საბრძოლო ტაქტი, სტრატეგიული ნიჭი?

3. ბრძოლის სურათის აღწერა (შერჩეული ადგილები ნებისმიერ საზეპიროდ).

4. ტარიელის ჰუმანიზმი (დამოკიდებულება დამარცხებული მეფისა და მებრძოლებისადმი).

5. „ნაალაფარიდან“ სატრფოსთვის საძღვნოს შერჩევა.

ᲬᲘᲒᲜᲘ ᲢᲐᲠᲘᲔᲚᲘᲡᲐ ᲘᲜᲓᲝᲗ ᲛᲔᲤᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲛᲝᲙᲪᲔᲕᲐ

(შინ დამოუკიდებლად წაკითხვა)

ძირითადი საკითხები და კითხვები:

1. მოხარკე ქვეყნის „პირუმტკიცი“ მეფის, რამაზის, ინდოთ ხელმწიფის წინაშე წარდგენა.

2. მეფისაგან მეფის შეწუხარება, მაგრამ სავალდებულო ხარკის გაზრდა. პირობის ჩამორთმევა („მაგრა ნუ გნახავთ კვლაცაღა ჩვენს ჯიშა გაწბილებულსა“ (476) გაფრთხილება).

3. მეფე-დედოფლის „იდუმალი ბაასი“ — ყურადღების გამახვილება 481—492-ე სტროფებზე.

4. ნადიმი, ტარიელისა და ნესტანის პირის-პირ სხდომა — ყურადღების გამახვილება 484-ე სტროფზე.

რა ახლადგამოვლენილმა ღირსებამ შემატა მშვენება ისედაც მოხდენილ ვაჟკაცს — ტარიელს?

მე-10 გაკვეთილი

ᲬᲘᲒᲜᲘ ᲜᲔᲡᲢᲐᲜ-ᲓᲐᲠᲔᲯᲐᲜᲘᲡᲐ ᲡᲐᲣᲕᲐᲠᲔᲚᲖᲐ ᲗᲐᲜᲐ ᲛᲘᲬᲔᲠᲘᲚᲘ

ძირითადი საკითხები და კითხვები:

1. ნესტანის მიერ ტარიელის „მშვენების ზრდის“ მიზეზის ახსნა... (499, 501).

2. ყურადღების გამახვილება მე-500 — 501-ე სტროფებზე. ერთგულების ფიცი და თხოვნა: „იგი მე მომცენ რიდენი, რომელნი წეღან გშვენოდეს“.

ომორითმა, მისი მნიშვნელობის ახსნა (ნებისმიერი საზეპირო).

3. ნესტანის მიერ ტარიელისათვის სამკლავეს გაგზავნა.

ტარიელის ტირილი და დაბნედვა

(მასწავლებლის საუბარი და შერჩეული ადგილების წაკითხვა)

1. ნესტანის ამბის თხრობა, ტარიელის მწვავე განცდები, დაბნედვა.

2. ასმათისა და ავთანდილის განსაცდელი, მათ მიერ ტარიელის მოსულიერება და ამბის გაგრძელება.

ნიგნი ტარიელისა საუკარელსა თანა მინერილი

(შერჩ. სტრიქონების წაკითხვა).

1. ამბის შეტყობინება ნესტანისათვის მისგან მიძღვნილი სამკლავეს მიღებისა და რიდეს გაგზავნის შესახებ.

2. ზმანება.

რჩევა ნესტან-დარეჯანის გათხოვებისა

(ძირითადად მუშავდება კლასში).

ძირითადი საკითხები და კითხვები:

1. ტარიელის სასახლეში ხმობა. მეფე-დედოფლის თათბირი.

2. სამეფო კარზე შექმნილი მდგომარეობის განსჯა. თავშეყრის მიზეზის გაცხადება: „აწ ქალისა ჩვენისათვის ქმარი გვინდა... რომე ვაცსცეთ ტახტი ჩვენი... სამეფოსა ვაპატრონოთ... არ ამოვწყდეთ, შტეოთა ჩვეხთა ხრმალი ჩვენთვის არ ვამახოთ“ (515).

3. თათბირის მიზეზის ახსნას სურვილის გაცხადებაც მოჰყვა, რომელიც გადაწყვეტილებასაც შეიცავდა: მეფემან ბრძანა: „ხვარაზმშა, ხელმწიფე ხვარაზმელია, თუ მოგვცემს შვილსა სასიძოდ, ჩისებრი არ-რომელია“.

რისთვის უხმეს ტარიელს?

როგორ ახასიათებს ტარიელს მისივე რჩევა-დარიგება (516).

რა მიზეზით, რატომ იკავებს თავს ტარიელი სურვილის გამომჟღავნებაზე?

მისივე სიტყვების გამოყენებით დაასაბუთეთ თქვენი შეხედულება. თქვენი აზრი.

4. მეფე-დედოფალი ზრუნავს გადაწყვეტილების გასახორციელებლად: „გაგზავნეს კაცი ხვარაზმშას“. (522).

„კაცი მოვიდა“... „კვლა გაგზავნეს სხვანი კაცნი სასიძოსა მოყვანებად, დაჰვედრეს, თუ „ნუ აყოვნებთ, მოდით ჩვენად ნაბრძანებად“...

როგორ ავხსნათ, გავიგოთ ტარიელის სიტყვები: „მე მაშვრალი ნაბურთალი საწოლს შევე მოსვენებად“ (522)?

მე-11 გაკვეთილი

ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის თათბირი და გამორჩევა

(ადგილების უმეტესი ნაწილის კითხვა და კომენტარი)

ძირითადი საკითხები და კითხვები:

1. ყურადღების გამახვილება 528-ე სტროფზე, სადაც გამოხატულია ნესტანის განწყობილება — პორტრეტი.

2. ნესტანის მიერ ტარიელის საქციელის გმობა და მუქარა.

რატომ არის ნესტანის მიმართვა ასე მკაცრი, მუქარა — მწვავე?

რატომ ვერ ხვდება ტარიელი ნესტანის წყრომის მიზეზს?

როგორ გავიგოთ ტარიელის ნათქვამი — „რა მესმა ესე მისგან, მეიმედა მეტისმეტად“.

როგორ იმართლებს თავს ტარიელი, რამდენად მართებულია მისი მსჯელობა (559—540-ე სტროფები)?

ამ საქმეში ვინ არის ნამდვილი დამნაშავე და რატომ? დაასაბუთეთ თქვენი აზრი.

რა რეაგირება მოახდინა ტარიელის მსჯელობამ ნესტანზე?

რა ამაღლებს მათ სიყვარულს (როგორია ქვეყნის ბედისადმი მათი დამოკიდებულება სიყვარულის საბედისწერო, კრიტიკულ მდგომარეობაში ყოფნის დროსაც კი).

სად ჩანს ტარიელის პატრიოტული აღტყინება? — ნესტანისა?

(საზეპირო ადგილების ნებისმიერად შერჩევა და დასწავლა).

რაში ხედავს ნესტანი შექმნილი სიტუაციიდან გამოსავალს?

როგორ გავიგოთ სიტყვები — „ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად“? ვის მიმართ იქნებიან ისინი მართალნი?

რა რჩევა-დარიგებას აძლევს ნესტანი ტარიელს?

სად, რომელ სიტყვებში ჩანს, რომ მათი ტრფობა ხორციელ წადილს არ გამორიცხავს, მაგრამ ნებისყოფით, შეგნებით ითრგუნება? (552).

როგორია ნესტანის იდეალი ქორწინების ქვეყნის ბედთან მიმართებაზე? (მონახეთ სათანადო ადგილები და დაისწავლეთ ზეპირად).

ხვარაზმშას შვილის ინდოეთს მისვლა საქორწინოდ და ტარიელისაგან მისი მოკლვა

(ადგილების შერჩევით კითხვა)

ძირითადი საკითხები და კითხვები:

1. მეფის დავალება ტარიელისადმი სასიძოს ღირსეულად შეხვედრა-დახვდომის შესახებ.

2. ნესტანისაგან ტარიელის კვლავ ხმობა და მკაცრი ბრძანება დათქმული პირობის დროულად შესრულებაზე.

რით ავხსნათ, რას მივაწეროთ ნესტანის დავალების შესრულებისადმი (სასიძოს მოკვლა) ტარიელის აუჩქარებლობა, ყოყმანიც კი?

3. ტარიელი ბრძოლისათვის თადარიგს იჭერს და დანაპირებს ასრულებს.

ა ლ ი ტ ე რ ა ც ი ა — „კარვის კალთა ჩახლართული, ჩავჭერ, ჩავაკარაბაკე“ (563).

4. მეფისაგან დიდებულების გაგზავნა ტარიელთან და დანიშნულების გადაცემა: „ღმერთმან იცის გამეზარდე ვითა შვილად“... „ხვარაზმშას სისხლი უბრალო სახლად რად დამადებინე“...

დ ა ვ ა ლ ე ბ ა: რამდენადაა მეფე მართალი ტარიელის წინაშე? მიმოიხილეთ ტარიელის თავგადასავალი; გაიხსენეთ სწორად 569-ე, 570-ე, 571-ე, 572-ე სტროფებში გამოხატული ვითარება და პასუხი მოამზადეთ.

მე-12 გაკვეთილი

ამბის ცნობა ტარიელისაგან ნესტან-დარეჯანის დაკარგვისა

ძ ი რ ი თ ა დ ი ს ა კ ი თ ხ ე ბ ი დ ა კ ი თ ხ ვ ე ბ ი:

1. ტარიელის სულიერი მდგომარეობა სასიძოს მოკვლის შემდეგ.

2. ტარიელს შეხვედრა ამათთან და მისგან ნესტანის ამბის შეტყობა:

ა) მეფის მიერ ტარიელის ძებნა;

ბ) მეფე ხედება საქმის ვითარებას:... „ვიცი ვიცი, მეტად კარგად შემიგნიან, მას უყვარდა ჭალი ჩემი“...

გ) მეფის მუქარა ნესტანის გამზრდელი დისადმი;

დ) დავარისაგან ამბის შეტყობა და ნესტანის დასჯა. დავარის თვითმკელელობა.

3. ტარიელი რჩეული 160 მოყმით ერთ წლამდე ეძებს ნესტანს.

როგორ ფიქრობთ, მეფე ტარიელისაგან სასიძოს მოკვლის შემდეგ ხედება საქმის ნამდვილ ვითარებას, თუ მანამდეც გრძნობდა ტარიელისა და ნესტანის დამოკიდებულებას? მოიგონეთ „ომიდან“ მობრუნებული ტარიელის შესახებ მეფე-დედოფლის „საიდუმლო საუბარი“ (481—482) და გააკეთეთ დასკვნა.

ამბავი ნურადინ-ფრიდონისა

ძ ი რ ი თ ა დ ი ს ა კ ი თ ხ ე ბ ი დ ა კ ი თ ხ ვ ე ბ ი:

1. ავთანდილის მიერ ნესტანის ძიება ზღვის პირას დაჭრილ მოყმესთან შეხვედრა.

(„შემომხედნა მოეწონე სიარული დაითმინა“ (601) გაცნობა.

მოიგონეთ როგორ შეხვდნენ ერთმანეთს ავთანდილი და ტარიელი.

2. ამბავი ნურადინ-ფრიდონისა.

გაიხსენეთ რა აღუთქვა ავთანდილმა ახალგაცნობილ ტარიელს, ამჯერად კი — ფრიდონმა იმავე მოყმეს („დღედ სიკვდილამდის სიცოცხლე შენ ჩემი დაგემონების").

მოძებნეთ აფორიზმი და გაარკვიეთ, რა ნიშნით ახასიათებს იგი მოყმეთ?

3. ორივეს ქალაქს მისვლა.

რაზე მიგვანიშნებს ტარიელისა და ავთანდილის, ფრიდონისა და ტარიელის ურთიერთშეხვედრისა და აღთქმის მსგავსება? (ავთანდილი: „შენ გეახლო სიკვდილამდის, ამის მეტი არა მინდა").

რომელი რუსთველური თქმა თუ აფორიზმი გამოხატავს (მიესადაგება) ყველაზე მეტად ამ სამი გმირი რაინდის ურთიერთდამოკიდებულებას? („მათ სამთა გმირთა მნათობთა, სჭირს ერთმანერთის მონება").

შვედა ტარიელისაგან ფრიდონისა

ძირითადი საკითხები და კითხვები:

1. ფრიდონის პორტრეტი და თვისებები ტარიელს შეფასებით:

„მუნ მომეწონეს ფრიდონის სიქველე-სიმკვირცხლენია,
იბრძვის ლომი და პირად მზე, იგი ალვისაც ხენია".

გავარკვიოთ მეტაფორულად გამოხატული ბოლო ტაეპის მხატვრულ სახეთა მნიშვნელობები:

ა) ლომის მეტაფორისა (ძლიერი, მკვრივად ნაგები, ვაჟკაცი),

ბ) პირად მზისა (ლამაზი, მშვენიერი, მოხდენილი, სახენათელი)

გ) ალვისა ხისა (მაღალი, ახოვანი, სწორნაკვთოვანი).

2. ფრიდონისა და ტარიელის „ბიძაშვილებთან" შებრძოლება.

რატომ მოეპყრნენ ფრიდონი და ტარიელი მახლობლებს ასე მკაცრად (623)? მოიგონეთ წინა თავში გადმოცემული ამბავი და თქვენი აზრი დაასაბუთეთ.

3. ქალაქს დაბრუნება და ომგადახდილთა ნადიმი. ტარიელის მოწყენილობა.

მე-13 თავი

ფრიდონისაგან ნესტან-დარეჯანის ამბის მცოდნე

(შერჩეული ადგილების წაკითხვა და კომენტარი)

ძირითადი საკითხები და კითხვები:

1. ფრიდონისა და ტარიელის სანადიროდ გასვლა.

2. ფრიდონის მიერ საკვირველი ამბის მცოდნე.

..როგორ ახასიათებს ფრიდონს მომხიბლავი ქალის დანახვით აღმოძხდარი სიტყვები: „სიხარულმან ამაჩქარა, ამათრთოლა, დამლეწა“... „გამშორვებოდეს, წამსვლოდეს, ამისთვის დავეწვი ალსა“ (633—634).

3. ტარიელის განცდა. ფრიდონის გადაწყვეტილება: „აწ გიამბობ, რათგან თავი გინდა ჩემად ამხანაგად“.

ვის შეიძლება ეწოდოს ამხანაგი და რა მიზანს ისახავს ამხანაგობა? იფიქრეთ ამაზე და თანაკლასელთა მაგალითების მოშველიებით გაიაზრეთ „ამხანაგის“ ცნება.

ტექსტის კითხვისას ყურადღება მიაქციეთ თუ შეგხვდეთ სიტყვა „მეგობარი“.

4. ფრიდონისათვის თავგადასავლის ზეპირი ტარიელისაგან. ფრიდონის ოპტიმიზმი (639).

ვის სიტყვებს მოგაგონებთ ტარიელის განაცხადი: „მაშა რათგან ბეგემცენ, ამის მეტი რაღ რა მინდა?“ (640).

— ფრიდონის პასუხი? „ერთი ვარ მონა მონებად წინაშე თქვენსა მდგომელი“ (642).

5. ფრიდონისაგან ტარიელის საშველად დახმარების აღმოჩენის ამაო ცდა.

6. ფრიდონისაგან ტარიელისათვის ცხენის ძღვნად მირთმევა და გაყრა. კვლავ ამაო ძებნა ნესტანისა.

7. ტარიელი ავთანდილს ქვაბის პოვნის ამბავს მოუთხრობს და ვეფხის ტყავის ტარების საიდუმლოს უხსნის (662).

8. ტარიელი ავთანდილს შინ წასვლას და „მის მზის“ ნახვას ურჩევს.

9. ავთანდილი გაყრის აუცილებლობით გამოწვეულ ტკივილზეც მიანიშნებს და პირუთვნელად შენიშნავს: „შენ ვისთვის ჰკვდები, მაგითა მას არა არ ელხინების“, (666). თან არიგებს კიდეც: „რა აქმი დასნეულდეს...“ (667-ე სტრ. ზეპირად).

10. ავთანდილი კვლავ მოსვლას და დახმარებას აღუთქვამს ტარიელს:

„კვლა მოვიდე შენად ნახვად. შენთვს მოვკვდე, შენთვის ვირო,
ღმერთსა უნდეს, ვისთვის კვდები, მისთვის ეგრე არ გატირო“.

11. ტარიელის გაკვირვება...

„ჩუხოს უცხო აგრე ვითა შეგიყვარდი?
გასაყრელად გეძნელება, იადონსა ვითა ვარდი“.

12. ავტორის რემარკა:

„შეუყვარდა ერთმანერთი, სწვიდეს მიწყივ გულსა დანგი,
მას ღამესა ერთად იყვნეს მვენიერნი ამხანაგნი“ (673).

რა გესახებათ მეგობრობის აუცილებელ პირობად?

ხომ ვერ დაასახელებთ „მშვენიერი ამხანაგის“ ტოლფარდ-სინონიმურ სიტყვას?

13. ასმათის მუდარა („ადრე მოსლვასა ჰვედრებდა, მართ ვითა ია ჩნებოდა“). ავთანდილის პირობა და შეგონება (676-ე სტროფი ნებისმიერ საზეპიროდ).

ამგვარი ავთანდილისა არაბეთს შეკცევია

(შერჩეული ადგილების კითხვა.

ძირითადი საკითხები და კითხვები:

1. ავთანდილის დაბრუნება. „დაყრილ სპასთან“ შეხვედრა.

2. შერმადინთან შეხვედრა და საუბარი: „უმიჯოდ მყოფსა სწორად მიჩანს ჩემთვის დარბაზი და ხული“ (682). — ამბობს ავთანდილი. რისი თქმა სურს ამით მას, ანუ მეგობრობის რა ნიშანს ეძმება ხაზი?

3. „სავალი სამ დღე ვლო დღისა ათისა, მას ლომსა ნახვა უხარის; მის მზისა მოკამათისა“ (684).

4. შერმადინის მოციქულობა მეფესთან.

დააკვირდით 690-ე სტროფში გამოხატულ აზრს და შეეცადეთ ერთი ან ორი სიტყვით შეცვალოთ იგი (უზომოდ გაიხარეს). რატომ მიმართავს გრძელსიტყვაობას ავტორი, რა მიზანს ემსახურება იგი?

შეადარეთ მეფე როსტევანისა და ავთანდილის დამოკიდებულება „დიდი ომიდან“ გამარჯვებით შემოქცეულ ტარიელისა და ფარსადან მეფის დამოკიდებულებას და გააკეთეთ დასკვნა.

5. ავთანდილის მიერ მეფისათვის უცხო მოყმის ამბის მბობა.

მიაქციეთ ყურადღება 698-ე სტროფს. აქ ავთანდილი დახასიათებულია ახალი მდგომარეობის მიხედვით, მაგრამ როგორ გავიგოთ მე-4 ტაეპი: „მაგრა ჰქონდა გულისათვის გული გულსა განაცვალი?“ (იგივე სიტყვები შეგვხვდა ტარიელ-ნესტანის სიყვარულის მიმართაც — 420) შეიძლება ითქვას, რომ იგივე აზრია გამოხატული ხალხური ლექსის ამ ტაეპშიც: „მე მსურს, ჩემი სიცოცხლე შენს სიცოცხლედ მიგაჩნდეს“. ამ აზრის სხვაგვარი ვარიაციაა რუთველური სტრიქონი: „შენთვის სიკვდილი მეყოფის ჩემად იმედად თავისად“).

6. ავთანდილისა და თინათინის შეხვედრა.

რომელი ადრე შესწავლილი აფორიზმის პერიფრაზაა ეს სტრიქონები:

...„რა კაცსა სოფელმან მისცეს წადილი გულისა.
ხსოვნა არა ხამს ჭირისა, ვით დღისა გარდასულისა?“.

პ ა ს უ ხ ი:

„კაცსა მიჰხვდეს საწადელი, რას ეძებდეს მისი პოვნა,
შეშინ მისგან აღარა ხამს გარდასრულთა ჭირთა ხსოვნა“ (216).

ავთანდილი უზომოდ აქებს ტარიელს:

„ნუ მკითხავ ქება რა გკადრო, ჩემგან რა გაგეგონების,
მისსა მნახავსა ნახული არღარა მოეწონების“ (704). როგორ ახა-
სიათებს ეს თვისება თვით მაქებარს?

როგორ ახასიათებს თინათინს „ტყვედქმნილი“ ტარიელის ამბის მოსმენის შემდეგ გულიდან ამომხდარი სიტყვები: „რაა წამალი მისისა წყლულისა განკურნებისა?“ (706).

7. ავთანდილის პასუხი: „დრო დამიც ჩემგან მისლვისა, მითქვამს დადება თავისა“ (707) და მეგობრობის მისეული გაგება: „ხამს მოყვარე მოყვრისათვის...“ (708) ზეპირად.

8. თინათინი იწონებს ავთანდილის გადაწყვეტილებას:

„შენ არ გატეხა კარგი გჭირს ზენაარისა ფიცისა,
ხამს გასრულება მოყვრისა სიყვარულსა მტკიცისა“ (711).

როგორ ახასიათებს ორივეს მათივე გადაწყვეტილება და ქმედება? რას დაარქმევდით ამგვარ ურთიერთგაგებას? (პასუხი: მეგობრობას).

თინათინს ახარებს მისგან ჩანერგილი სიყვარულის ზრდა ავთანდილში. რაში გამოიხატა „ზრდა სიყვარულისა“ ავთანდილში? (მეგობრისათვის თავდადების სურვილსა და გადაწყვეტილების მიღებაში— დაბრუნდეს და დახმარება აღმოუჩინოს). ამ აზრით როგორი სიყვარული შეიძლება ეწოდოს თინათინისა და ავთანდილის სიყვარულს? (ამაღლებული სიყვარული).

9. საწუთრის დამოკიდებულება ადამიანისადმი: „საწუთრო კაცსა ყოველსა ვითა ტაროსი უხვდების: ზოგჯერ მზეა და ოდესმე ცა რისხვით მოუქუხდების“.

როგორ ცხადდება ბუნების ეს კანონზომიერება ავთანდილ-თინათინის ცხოვრების მაგალითზე?

10. ავთანდილი თინათინისაგან ითხოვს მათი სიყვარულის სამახსოვრო (საიმედო) ნიშანს.

რით აეხსნათ ის გარემოება, რომ რუსთაველის გმირები, კერძოდ, არაბი ავთანდილი და თინათინი „ტკბილქართულით“ საუბრობენ? (715)[1].

კვლავ გრძელდება მიჯნურთა ტკბილ-მწარე განცდებით ცხოგრება. დამოუკიდებლად წაიკითხეთ 717-დან 722-ის ჩათვლით სტროფები და ციტატებით დაადასტურეთ ზემოთ მოყვანილი არგუმენტები (ე. ი. „საყვარლისა სიახლესა მოშორება (რომ) გაამწარებს“).

[1] გ. იმედაშვილის ინტერპრეტაციით, „ტკბილქართულში“ მხოლოდ ტკბილი საუბარი იგულისხმება, ჩვენ კი არ გამოვრიცხავთ პოეტის მინიშნებას იმაზე, რომ პოემის ამბავს იგი გარკვეული მიზნით აუცხოებს, თორემ მისი გმირები ქართველები არიან.

დაკვირვებით წაიკითხეთ 723-ე სტროფი და იმსჯელეთ ადამიანის გული-ს აქ წარმოდგენილი დახასიათება-შეფასების მართებულობაზე.

რამდენად და როგორ იმორჩილებს ავთანდილი გულს? ყურადღება გაამახვილეთ 724—731—732—733-ე სტროფებზე.

ავთანდილის აზრით, დიდი დაბრკოლების მიუხედავად, როგორი უნდა იყოს ადამიანის დამოკიდებულება სიცოცხლისა და საწუთროსადმი?

რა აზრისაა ავთანდილი სიყვარულის „დაჩნევის" (გამომჟღავნების) შესახებ? (მოსწავლეებს კითხვები შეაქვთ რვეულებში, მათთვის გათვალისწინებულ ადგილებზე).

მე-14 გაკვეთილი

დათხოვა ავთანდილისა როსტევან მეფესთანა და ვაზირის საუბარი

(მნიშვნელოვანი აქცენტების კითხვა სიუჟეტის გაუწყვეტლად, ანუ თხრობის ჩართვით).

ძირითადი საკითხები და კითხვები:

1. „ხამს სტუმარი პასუხველი, მასპინძელი მხიარული" ანუ ავთანდილის სტუმრობა ვეზირთან.

2. ავთანდილის მიერ ვეზირისათვის თავისი მდგომარეობისა და გაბჭწყვეტილების განდობა და მეფის წინაშე მოცქუილობის თხოვნა-მუდარა (739—744-ე სტროფების კითხვა).

როგორ ახასიათებს ავთანდილს თავისივე სიტყვები:

„მის ყმისა ცეცხლის მედების, წვა მჭირს მისისა მწველისა" (739);

„ვერ გავუტეხ ზენაარსა, ვერ გავწირავ ხელი ხელსა,
რამცა სადა გაუმარჯვდა კაცსა, ფიცთა გამტხელსა!" (742).

„გული მას აქვს, უგულოსა აქა ხელი რა მეხდების?" (745).

— მეფისადმი შენათვალი? „წასლვა ჩემი გულსა თქვენსა არ ეწყინოს, არ დაჭმუნდეს" (746).

— ვეზირისადმი ქრთამის შეძლევა? „ასი ათასი წითელი შენ ქრთაბად შეიწირეო" (747).

მონახეთ ომორითმული სტროფი და მასალაზე დართული კომენტარების გამოყენებით ახსენით თითოეულის მნიშვნელობა.

3. ვეზირის პასუხი (749—751-ე სტროფების წაკითხვა, შერჩეული სტრიქონების ნებისმიერად დაზეპირება).

4. ავთანდილი ნების აღსრულებისაკენ ისწრაფვის:

„მეფე ანუ მისნი სპანი, ნეტარ, ხელსა რასა მხდიან" (754);

„არ გამიშვებს, გავიპარვი, წავალ მათგან შეუგებლად" (756).

5. „ზოგჯერ თქმა ჯობს არა თქმასა. ზოგჯერ თქმითაც დაშავდებას“ (757), ანუ ვეზირის მოციქულობა (759—763-ე სტროფების წაკითხვა, დანარჩენებიდან კი შერჩეული სტრიქონების მოხმობა და მათი საუბარში ჩართვა)...

6. „ვაზირი გაწბილებული ჩიეა ბედითა შავითა“... 770-ე სტროფის წაკითხვა, აფორიზმის დაზეპირება („თქმულა: ქრთამი საურავსა ჯოჯოხეთსაც დაიურვებს“ (770).

7. ავთანდილის გადაწყვეტილება ურყევია (176-ე სტროფის წაკითხვა), მას გარეგნულად ჩაეარდნილი პიროვნებისათვის დახმარების გაწევა ადამიანის უპირველეს მოვალეობად მიაჩნია.

8. ავთანდილი ვეზირს დანაპირებ ქრთამს აძლევს. ეს ფაქტი ერთგვარ ახასიათებს ვეზირს (რამდენად წრფელია მისი სიტყვა: „შენთვის სიკვდილი ლხინად მიჩნს“...), ხომ არ ამცირებს ეს აქტი თვით ავთანდილსაც? იმსჯელეთ ავთანდილის ქცევის მართებულობაზე. ყურადღება გაამახვილეთ 779-ე სტროფზე, რომელიც ოცმარცვლიანია და, ამდენად, განსხვავებული მთელს პოემაში.

9. ავთანდილისადმი ავტორისეული დამოკიდებულების გამჟღავნება ანუ ლირიკული გადახვევა 781-ე სტროფის წაკითხვა და ნებისმიერად დაზეპირება:

> „ჰე ვითა ვთქვა უებრობა, სიკეთე და ქება მისი!
> კაცი იყო საქმისაცა შესაფერი, შესატყვისი
> ძნრე უნდა მოხმარება, გაკეთილდეს ვისცა ვისი.
> ოდეს კაცსა დაეჭიროს, მაშინ უნდა ძმა და თვისი“.

დააკვირდით და ამოიცანით მეფესა და ავთანდილს შორის ვის უპყრია პოეტი მხარს და რატომ? (აქედან და 777-ე სტროფის გათვალისწინებით დასტურდება, რომ პიროვნების პრობლემა უპირველესი და უმთავრესი საკითხია პოემისა).

ავთანდილისაგან შერმადინის საუბარი

(ტექსტზე მუშაობის პროცესის შეხსენებისა და კლასის ცოდნის შემოწმების საორიენტაციოდ ამ მონაკვეთზეც საგანგებოდ შეეჩერდებით).

მ ა ს წ ა ვ ლ ე ბ ე ლ ი: ავთანდილი ყველაფერზე მაღლა აყენებს პიროვნების მოსარჩლეობის საკითხს. ამ აზრით გმობს თვით მეფე როსტევანის (რომელიც სპეციალურ ლიტერატურაში საკმაებით დადებით, უნივერსალურ მეფედაც კია მიჩნეული) ქცევასაც კი და „იტყვის: როსტან არ გამიშვა, არცა სიტყვა მომისმინა;
მან არ იცის, რათა, ვინა და სულ-დგმული ვისგან ვინა;
უმისოდმცა ნუ ცოცხალ ვარ ნუცა გ-რე, ნუცა შინ;
რაცა საქმე უსამართლო ღმერთმან ვისმცა შეარჩინა!“ (783).

უკანასკნელ სტრიქონში გამოთქმულია აზრი, რომ უზენაესისაგან განკითხვა ერთნაირად ეხება როგორც მეფეს, ისე ყველა ჭეშმარიტ პიროვნებას.

ავთანდილს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ტარიელის შველა. მისი აზრით, იგი, როგორც მეგობარი, ორმაგადაა ვალდებული გადაწყვეტილება სისრულეში მოიყვანოს. მისი შეხედულება მეგობრობაზე ასეთია:

„სამი არის მოყვრისაგან მოყვრობისა გამოჩენა:
პირველ, ნდომა სიახლისა, სიშორისა ვერ მოთმენა,
მიცემა და არას შური, ჩუქებისა არ მოწყენა,
გავლენა და მოხმარება, მისად რგებად ველთა რბენა“ (785).

მოსწავლეთა აქტიური მონაწილეობით კონკრეტდება მეგობრობისათვის დამახასიათებელი სამივე ნიშანი: დიდი სიყვარული, უშურველობა — სიუხვე, საჭიროების შემთხვევაში, ურთიერთდახმარება, თავდადება.

მ ა ს წ ა ვ ლ ე ბ ე ლ ი: ავთანდილი, მართალია, მეფეს ეურჩება, მის თხოვნას ვერ ასრულებს, მაგრამ ქვეყანას უმეთვალყურეოდ როდი ტოვებს. იგი ერთგულ ყმას, შერმადინს, ავალებს მისი მაგიერობის გაწევას და ასეთ რჩევა-დარიგებას აძლევს:

„აწ მეფეთა სამსახურად პირველ თავი დაამზადე“... (787).
„მტერთა ჩემთა ენაპირე, ძალი ნუცა მოგაკლდების“... (788).

ავთანდილი შერმადინის მუდარას — „წამიტანე სამსახურად, მოგეხმარო სადცა გინდი“ — არ შეისმენს, მაგრამ აუხსნის მისი თხოვნის აუსრულებლობის მიზეზს („გაჭრა ხელია მიჯნურთა, რად სცალს თავისა ბერებად“)[1], კვლავ შეაგონებს, ქვეყნისა და ადამიანის ჭეშმარიტი სიყვარული მისეულ გაგებას და მოუწოდებს:

„რა მოგშორდე, მახსენებდი, სიყვარული ჩემი გქონდეს!
არ ვეშიშვი მტერთა ჩემთა, თავი მონად მომიმონდეს!
ხამს. მამაცი გაგულოვნდეს, ჰირსა შიგან არ დაღონდეს.
ძულს, რა კაცსა საუგო საქმე არად არ შეწონდეს“ (793).

სტროფის აზრი ასეთია: ავთანდილი შერმადინისაგან (თანამდებობრივად შემცველი პიროვნებისა და მეგობრისაგან), რომელსაც თავის

[1] ადვილი შესაძლებელია ჩვენამდე მოუღწეველ რომელიმე ხელნაწერში „ბერებად“ სიტყვის ნაცვლად იყო „ფერებად“, რადგან იგი უფრო ესადაგება სტროფში გამოხატულ აზრს: ავთანდილი მიმართავს შერმადინს, რომ მჯერა შენი სიყვარულისა და წაღილისა — თანადგომით (წაყოლით) ჰირი შემომსუბუქო, მაგრამ განა ახლა თავის ფერების დრო მაქვსო? ამდენად იგი წინა სტრიქონში მოცემულ სიტყვისაგან „ფერებად“ (სისხლისფერი ცრემლი) სავსებით განსხვავებული შინაარსის ომორითმა იქნება.

ყოველ საიდუმლოს და გადაწყვეტილებას უზიარებს, მოითხოვს არა გულუბრყვილო, სულმწრაფ სიყვარულს (რომელიც მხოლოდ „სიშორისა ვერმოთმენაში“ შეიძლება გამოიხატოს), არამედ ისეთ მყარ და საქმიან სიყვარულს. რომელიც მისი იქ არყოფნის დროს მინდობილი საქმის ღირსეულად აღსრულებაში გამოიხატება. მართალია, ამჯერად მტრისგან „მონების“ საშიშროება არ დგას, მამაცობა მაინც საჭიროა, რაც გულოვნებასა და „ჭირსა შიგან გამაგრებაში“ უნდა გამოვლინდეს. იგი გმობს ტყუილუბრალო წუწუნს, მას ვაჟკაცისათვის საუგო საქმედ მიიჩნევს.

ავთანდილი წინა პლანზე აყენებს ღირსეული პიროვნების დაფასების, საჭიროების შემთხვევაში, მხარში ამოდგომის (თანადგომის — უკეთესი სინონიმია) და მისთვის თავდადება თავგანწირვის საკითხს. ამ საქმეს, მისი აზრით, თუ საჭიროება მოითხოვს, ყველაფერი (პირადი ინტერესები — მიჯნურობის გრძნობა, საკუთარი თანამდებობრივი და სხვა პრივილეგიური მდგომარეობაც კი) უნდა შეეწიროს. აი როგორ ძერწავს ამ აზრს თვით რუსთაველი:

„მე იგი ვარ, ვინ სოფელსა არ ამოვჰკრეფ კიტრად ბ-რად,
ვის სიკვდილი მოყვრისათვის თამ:შად და მიჩანს მღერად:
ჩემსა მზესა დავეთხოვე. გავუშვივარ, დავდგე მე რად!
ძას თუ დავსთმობ, სახლსა ჩემსა ვეღარ დავსთმობ ვისსა ვერად?“ (794).

პირველი სტრიქონი პირადი ნების თავისუფლებისა და მისი აღსრულებისაკენ სწრაფვის საკაცობრიო საგალობელია.

საინტერესოა ამ თავის ბოლო სტროფიც: ავანდილი შერმადინს მეფისათვის ანდერძის გადაცემას სთხოვს, რომელშიც, უპირველეს ყოვლისა, ყურადღება გამახვილებულია საზოგადო სატკივარზე — „შენ შეგვედრებ დაგიჭიროს ვითა გმართებს ჩემსა ზრდილსა“. რაც შეეხება საპირადოს, იგი მას მეორე პლანზე აყენებს: „მოვკვდე, თავსა ნუ მოიკლავ, სატანისგან ნუ იქმ ქმნილსა“, ე. ი. სულიერად ნუ დაეცემი, ნუ დაძაბუნდები, ღირსეული შემცვლელი აღმოჩნდი — შენც საზოგადო საქმისა და სხვათა სიცოცხლის დაზოგვისათვის იზრუნე. მე თუ ღირსვარ „თვალთა მილის დადებისა“ მხოლოდ ამ მხრივ, ამ აზრითო. (მოვიგონოთ ვეზირის სიტყვები: „თუ მეფეცა გაგიშვებდეს, თვით ლაშქარნი რად მოღორდენ“ (751).

მასალის ასე დეტალურად ახსნის შემდეგ, მოსწავლეთა ცოდნის შემოწმებისა და განმტკიცების მიზნით, ვსვამთ კითხვებს:

როგორ ესმის ავთანდილს მეგობრობა?

როგორია მისივე შეხედულება პირადული და საზოგადოებრივი ინტერესების მიმართებაზე (მსჯელობა შერჩეული სტრიქონების მოშველიებით).

მე-15 გაკვეთილი.

ანდერძი ავთანდილისა როსტევან მეფის წინაშე, ოდეს გაიპარა

(კომენტირებული კითხვა)

ძირითადი საკითხები და კითხვები:

1. ავთანდილის მიმართვა მეფისადმი, რომელშიც გამოსჭვივის დიდი მოკრძალება — პატივისცემა.

2. რწმენა იმისა, რომ მეფე (ბრძენკაცი) ბოლოს და ბოლოს გაუგებს მას და არ დაუგმობს ნაბიჯს: „კაცი ბრძენი ვერ გაწირავს მოყვარესა მოყვარულსა"...

3. განსწავლულ პიროვნებათა (კერძოდ, ბერძენი ფილოსოფოსი პლატონის) შეგონების მოშველიება თავისი ნაბიჯის გასამართლებლად: „სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა მერმე სულსა".

4. ლოგიკური აქსიომა: „რადგან თავია სიცრუე ყოველსა უბადობისა, მე რად გავწირო მოყვარე"...

5. თვითკრიტიკა (შეფარვით მეფისა) თეორიული განსწავლულობის პრაქტიკულად განუხორციელობლობის შემთხვევაში:

„არა ვიქმ, ცოდნა რას მარგებს ფილოსოფოსთა ბრძნობისა,
მით ვისწავლებით, მოგვეცეს შერთვა ზესთ მწყობრთა წყობისა"

6. შეფარვით თქმულიდან აშკარა კრიტიკასა და შეგონებაზე გადასვლა (წინაალმდეგობის დანახვება-დასაბუთება):

„წაგიკითხავს, სიყვარულსა მოციქულნი რაგვარ წერენ?
ვით იტყვიან, ვით აქებენ? ცან, ცნობანი მიაფერენ!
„სიყვარული აღგვამაღლებს", ვით ეყვანნი ამას ყელერე!
შენ არ ჯერ ხარ, უსწავლელნი კაცნი ვითმცა შეეჯერენ!"(799).

7. განგების ძალის რწმენა, „ღმერთის" ქრისტიანული გაგება... (800).

8. ბედისწერის რწმენა — ღმერთის ნება (განგება — 801).

9. უნებური წყენინებისათვის შენდობის თხოვა, წასვლის აუცილებლობის მიზეზის ახსნა. პიროვნული ნების თავისუფლების უპირველესობის შეხსენება (801).

10. კვლავ „განგების ძალის" შეხსენება: „არვის ძალ-უც ხორციელსა განგებისა გარდავლენა" (803).

11. ბედისწერის რწმუნება, ოპტიმისტური განწყობა და პიროვნული მდგომარეობის გამოხატვა უსასოდ მყოფი ყმისადმი დამოკიდებულების ფონზე: „მას რა ვარგო, დიდებად და კმაური ესე ჩემად დაკლად" (804).

12. რწმენა იმისა, რომ მეფე მის ნაბიჯს მოიწონებს. სიცრუის გადაჭრით გმობა.

13. მეგობრობა-მოყვრობა ადამიანის უდიდესი საწყაო:

ა. დაბრკოლებათა მიუხედავად, მოყვრისათვის (ღირსეული პიროვნებისათვის) თავდადება, დახმარების აღმოჩენა, მოსარჩლეობა — ვაჟკაცობის აუცილებელი პირობაა. სახელის მოხვეჭის საწინდარია (806—807).

ბ. სიკვდილი ბუნების გარდუვალი კანონია. ხანგრძლივ უსახელო (უმიზნო) ან ნაზრახ სიცოცხლეს სჯობს „სიკვდილი სახელოვანი" (803).

14. ზოგადი მწყრალობის საპირადოზე გადატანა (809), „ყოელის დამამხობელი საწუთროსაგან" ნაადრევად თავსდატეხილი უბედურების შემთხვევაში მუდარა და შეწყალების თხოვნა მეფისაგან (810).

15. ანდერძი: ა. ურიცხვი ქონების მოვლა-პატრონობის შესახებ, ბ. თხოვნა ღმრთისადმი საქიოში შესაფერი ადგილის მიკუთვნება-მიჩენაზე (მის მიერ ხელდასმულ გლახაკთა ლოცვა-ვედრების გაჩვალისწინებით), საზოგადოებაში მისი სახელის ღირსეულად მოგონებასა ანუ შესაფერი ადგილის დაკავებაზე (813).

გ. ვედრება მეფისადმი შერმადინის მიმართ ყურადღების გამოჩენის შესახებ (816).

დ. გამომშვიდობება და მეფეთა (თინათინი, როსტევანი) გამხნევება, რომ არც მისი გზაა საშმუნავ-საგოდებელი, და არც მათი მდგომარეობა, რადგან „მტერთაცა საკრძალველი სუფევით" განაგებენ ქვეყანას (817).

16. ანდერძის გადაცემა შერმადინისადმი და გამოთხოვება (818).

დავალება: ნებისმიერად შერჩეული ადგილების ზეპირად დასწავლა, დასაწერად — რას გვასწავლის ავთანდილის ანდერძი.

ლოცვა ავთანდილისა

1. მიმართვა ღმრთისადმი, მისი დახასიათება, რაც ემთხვევა ღმერთის ქრისტიანულ გაგებას, და თხოვნა: ა. ...„მომეც დათმობა სურვილთა მფლობელო გულის-თქმათაო. ბ. ...„ნუ ამოჰფხვრი სიყვარულსა, მისგან ჩემთვის დანათესსა!"...

გ. ...„მტერთა ძლევა, ზღვათა ღელვა, ღამით მავნე გამარიდე.

2. აღთქმა: ...„თუღა დავრჩე, გმსახურებდე, შენდა მსხვერპლსა შევწირვიდე".

3. ავტორის თხრობა და რემარკა: ...„პატრონისა ვერა-მჭვრეტმან ყმამან რამცა გაიხარნა!"

პოემის რომელ ადგილს მოგაგონებთ ეს ეპიზოდი, ვის სიტყვებს და რა მხრივ? სად ჩანს პატრონ-ყმური ურთიერთობის აპოლოგია?

ცნობა როსტევან მეფისაგან ავთანდილის გაპარვისა

(თხრობის გაუწყვეტლად შერჩეული ადგილების კითხვა)

ძირითადი საკითხები და კითხვები:

მასწავლებელი — ავტორი ეხმიანება მკითხველს: „აწ ამბავი სხვა დავიწყო. — ყმას არ წავყვე წარმავალსა".

მეფისაგან ვეზირის ხმობა... სიფიცხის ახსნა ბრძენთა ნათქვამით— „წყენაო ჭირთა ბადე".

ვეზირის თავშეკავება. როსტევანის ეჭვი: „უცილოდ გაიპარა, ვინ მარტომან ასთა ავნის".

დააკვირდით მოტანილ სტრიქონში ჩაქსოვილ აზრს და იმსჯელეთ, რას გამოუწვევია მისი ეგზომ გარისხება — პირად კაპრიზებს თუ სხვა უფრო მნიშვნელოვან ფაქტორს?

როგორ ახასიათებს ყოველივე ეს ავთანდილს, მოიგონეთ ვეზირის აზრი ამ საკითხზე („თუ მეფეცა გაგიშვებდეს, ლაშქარნიცა რად მოღორდენ?").

მონახეთ ტაეპი, სადაც ავთანდილის წასვლით გამოწვეული სევდა გამოხატულია ალიტერაციულად („მზე აღარ მზეობს ჩვენთანა, დარი არ დარობს დარულად" (830).

იგივე აზრი, მოთქმის სახით ასეა გაცხადებული: „სად წაჰხე და სად დაჰკარგენ სინათლისა ეგე სვეტნი?" (831), რაც ავთანდილის ღირსებისა და როსტევანის გულწრფელობის ნათელი დადასტურებაა. ამავე აზრს ამდიდრებს და განამტკიცებს სტროფები (832, 833, 834):

„თუ თავი შენი შენ გახლავს, ღარიბად არ იხსენები" (832).

„აწ უშენოდ რა, გლახ, ვუყო საჯდომსა და სრასა სრულსა?" (833).

მეფეს პირადი სატკივარიც არ ავიწყდება: "...თუ მოვკვდე, გაზრდილო, ვისგანღა დავიტირები?" (834).

ხაზგასმა ლაშქართა და დიდებულთა განცდებისა. ვეზირის მიერ მეფისათვის ანდერძის გადაცემა. ავთანდილის წინათგრძნობის ნაწილობრივ ახდენა; მეფე ღმერთს შეჰსთხოვს: „ვამლოცველნეთ დავრდომილნი, ობოლნი და ქვრივნი სხვანი", შეევედრნეთ, მშვიდობისა ნუთუ მისცეს ღმერთმან გზანი" (839).

ნაწყვეტი ავთანდილისაგან ტარიელის შეყრად მეორედ

ავტორი კვლავ ეხმიანება მკითხველს, შეახსენებს ამბის მსვლელობას: „აწყა დავიწყეთ ამბავსა, მის ყმისა წარმავალობასა".

მრავალ ამბავთაგან რამდენი მთავარია ამბის (მაგისტრალური ხაზის) გამოყოფა შეიძლება და რომელია ეს ამბები?

840-ე სტროფში ავთანდილის განწყობა გადმოცემულია კონტრასტის გზით; ამასთან, იგი ასტრონომიულ სიცხადესაც გამოხატავს (პირდაპირი გაგებით) და ავთანდილის მწვავე განცდასაც (მეტაფორის ენით):

„მთვარე მზესა მოეშორების, მოშორება გაანათლებს...
მაგრა ვარდსა უმზეობა გაახმობს და ფერსა აკლებს“ (840).

სხვაგვარად რომ ვთქვათ: ავტორი თავისი გმირების სიმბოლოებად ხშირად იყენებს მნათობთა სახელებს — მზეს, მთვარეს, ვარსკვლავებს, მაგრამ მათ ბუნებას არა მარტო მკვეთრად განასხვავებს, არამედ კიდეც უპირისპირებს ერთმანეთს. რუსთაველი მისთვის ჩვეული მეთოდით მოტანილი სტრიქონების განმარტებასაც იქვე იძლევა: „ჩვენ ვერ ჰვრეტა საყვარლისა ჭირსა ძველსა გაგვიახლებს“.

ავთანდილის ურვა-წუხილი გამოხატულია მომდევნო სტროფებშიც (841—850). ამათგან საყურადღებოა მოთქმის ფორმები, რომლებშიც ჩაქსოვილია უდიდესი აზრები: მხნეობის, რწმენის, გონებისა და გულის თანხვდომისა, იმედი — სატრფოს მიჯნურთან დაბრუნებისა („რათგან შენ დაგრჩა გონება, გული შენკენვე დაბრუნდეს“); მიმართვა და თხოვნა-მუდარა მნათობებისადმი (მათ შორის მზისადმი, როგორც ღმერთის ხატებისადმი — პეტრიწი); „მიაჯე შეყრა პირისა, შენ გამო შენებრ მშვენისა“...

იმავე სტროფებში მკვეთრად ვლინდება აგრეთვე სიყვარულის წინააღმდეგობრივი ბუნებაც — „მაშინ ვერ გავძელ სიახლე, აწ სიშორესა ვინანი“... და სხვა მხარეები მიჯნურთა სწრაფვა-სურვილებისა, რომლებიც წინა თავებში გამოხატულ აზრთა და ფორმათა ასოციაციებს იწვევს.

დავალება: გავიხსენოთ ანალოგიური შინაარსისა და ფორმების მქონე სტრიქონები და გამოვიყენოთ მსჯელობის ელემენტებით თხრობისას.

ქვაბში მისვლა. ასმათის ნახვა; „კაცი კაცსა მოელოდეს, მოსლვა ღია ეამების“.

ავთანდილს ესმის, ღრმადაც წვდება მეგობრის ტკივილს, მაგრამ რამდენჯერ ეძიოს?.. ეწყინა ტარიელისაგან მიცემული ფიცის გატეხა:

„უშა დაჰმუნდა, ვითამც რამე ჰკრეს ლახვარი გულსა შუა;
ქალსა ეტყვის: აჰა, დაო, ეგეთიცა კაცი ნუა,
იგი ფიცი ვით გატეხა, არ ვეცრუე, ვით მეცრუა,
ვერ იქმოდა, რად მიქადდა, თუ მიქადდა, რად მეტყუა?“

ასმათი თავგამოდებით იცავს მეგობარს: „არ გული უნდა ფიცის და პირისა გასრულებასა?“

ბრძნული შეგონება:

„გული ცნობა და გონება ერთმანერთზედა ჰკიდიან:
რა გული წაა, იგიცა წაელენ და მისკენ მიდიან;
უგული კაცი ვერ კაცობს, კაცთაგან განაკიდიან...“

ასმათი მრავალფერი სურათით ხატავს ტარიელის უდიდეს გაწსაცდელს (858. 859), არ სჯერა, რომ ავთანდილი ტარიელის მდგომარეობას მისგვარად განიცდიდეს. თუმცა მას ამის საფუძველიც აქვს; რადგან არ უნახავს. არ იცის „მას რომე ცრემლი სდენია“. ამის გამო ავთანდილსაც არ ამტყუნებს და ეუბნება: „თვით რაცა ჰბრძანოთ, მართალ ხართ; ხბვა სხვისა ომსა ბრძენია“. მერე გადასცემს ტარიელის დანაბარებს — „აქვე ვიქნებიო“ და ავთანდილს კიდევ ასეთ სიბრძნეს აწვეთებს:

„ესე არაკი, მართალი, ჩინს ქვასა ზედა სწერია:
„ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია“ (863)[1]

თან დაუმატებს: „თუღა მოჰნახავ, მონახე, ჰქმენ, რაცა შენი ფერიაო“.

როგორ გგონიათ, ყმაწვილებო, იგი ამის გარეშე თავს მიანებებდა ტარიელის ძებნას? დააკვირდით ჰოყერის კვლავ საძებრად ამხედრებული მოყმის გულისთქმას:

„მას თუ გამყრი, საწუთროო, ჩემი ლხინი გარდასრულა,
სხვა მოყვარე თვალსა ჩემსა გაიცხელა, გაბასრულა“ (871).

მე-17 გაკვეთილი.

პოვნა ავთანდილისაგან დაგნედილის ტარიელისა

(საჭიროდ მიგვაჩნია ამ თავის დაწვრილებითი ახსნა)

აქ შევხვდებით ორი დიდი ადამიანის პიროვნულ თავისებურებათა შეჯახებას (რუსთაველის ორ „მეს“), რითაც შემოქმედი წარმოჩინდება როგორც დიდი ფსიქოლოგი.

რუსთაველი იშვიათად ხატავს პეიზაჟს უფრო სწორად, კი არ ხატავს, მხოლოდ მიგვანიშნებს რაღაც დეტალებით: ავთანდილმა რომ „ქვაბი ჩაცლო, წყალსა გახდა, შამბი გაცლო, ველს გავიდა“ (869); „ქედსა რაამე გარდაადგა, ველი აჩნდა მზიან-ჩრდილი“ (875).

ესაა აზრის, სათქმელის მაქსიმალური კონდენსირება. ამაზეა ნათქვამი „გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმისო“... ველის მზიან-ჩრდილია-

[1] ასმათის ეს ნათქვამი სინამდვილეა. ჩინეთში, უძველესი კულტურის ქვეყანაში, „VII საუკუნიდანვე ყოფილა გავრცელებული ფაიფურისაგან (ფაიფური ჩინეთის იმპერატორის სახელწოდებაა), ქართულად „ჩინის-ქვის“-აგან, პატარა ქანდაკებებისა და ძეგლების, სამკაულიი ნივთების, ჭურჭლის დამზადება, რომელსაც ხშირად ბრძნულ გამონათქვამებს აწერდნენ (ვ. ნოზაძე, ვეფხისტყაოსნის განკითხვანი, ბუენოს ასირეს, 1954, გვ. 120).

ნობამ გარემოს მთელი პანორამა წარმოგვიდგინა. ავტორი აქვე ჯერ მხოლოდ სიმბოლურად მიგვანიშნებს სიხარულის მომტან საგანზე: „ნახა შავი შამბთა პირსა დგა სადავე-უკუყრილი... თქვა: „უცილოდ იგიაო, არა უნდა ამას ცილი". ამით გამოწვეული აღტაცება კი მეტაფორიათა და სახელების გაზმნავებით პოეტმა ასე გამოხატა: „ვარდმან ფერი განანათლა, ბროლი ბროლდა, სათი სათდა", ე. ი. მისმა სახემ ბუნებრივი ელვარება დაიბრუნა, მაგრამ, „ვით გრიგალმან რომ ჩაირბინა", საოცარი სურათის წინაშე დადგა: (ტარიელს) „საყელონი გარდეხივნეს, სოფლით გაღმა გაებიჯა..." (877). „ერთ-ქერძ უც ლომი ცოკლული და ხრმალი სისხლ-მოცხებული"... მეორე მხარეს—„ვეფხი უსულო", თვითონ კი „მიახლებოდა სიკვდილსა, მოშორვებოდა თმობასა".. (აზრობრივი ტავტოლოგია).

ავთანდილი გადაიჯერება და „ძმა გამოაჩენს ძმობასა"... „ახლოს უზის და უზახის მართ სახელდებით სახელსა" („პოეტური ლიცენცია, ალიტერაცია) და, როგორღაც მოასულიერმოაცნობიერებს: „მაშინღა იცნა, აკოცა, მოეკვდო, მოეძმობილა... ვიმოწმებ ღმერთსა ცხოველსა, მათებრი არვინ შობილა" (პოეტის რემარკა)...

მეგობრობა როგორც ფორმით, ასევე შინაარსით მშვენიერებაა: ავთანდილმა, დინჯმა და დაკვირვებულმა ყმამ, საჭიროდ ცნო მაუბუქი ფორმით მაინც ესაყვედურებინა ტარიელისათვის, მაგრამ, რაკი ტარიელმა თავის მართლება დაასწრო (882), მეგობარი ისევ გონივრულ შეგონებას მიმართავს:

„ვინ მიჯნური არ ყოფილა, ვის სახმილი არა სწვავსა....
რად სატანას წაულიხარ?, რად მოიკლავ ნებით თავსა?" (883).

მართლაც. ტარიელი თითქოს განუდგა ყველას და ყველაფერ გონივრულს: ნესტანის კვალის გაუჩინარებამ სიცოცხლე გაუუფასურა.

იგი მეგობარს მხოლოდ ერთს სთხოვს: „გვედრებ დამარხვასა, მხეცთა საჭმლად არ მივიცე" (882).

ავთანდილი ამაოდ ენამზეობს:

„თუ ბრძენი ხარ, ყოვნი ბრძენნი აპირებენ ამა პირსა
ხამს მამაცი მამაცურა, სჯობს რაზომცა ნელად ტირსა,
ჰირსა შიგან გამაგრება ასრე უნდა, ვით ქვითკირსა,
თავისისა ცნობისაგან ჩავარდების კაცი ჰირსა" (884).

ავთანდილი პირდაპირი ნათქვამით რომ ვერ მიაღწევს საწადელს, არაკობას მიმართავს (887, 888), ბოლოს კი უშუალოდ, თითქმის ბრძანებანარევი კილოთი ეტყვის:

„ნუ მიჰყოლიხარ თავისსა თათბირსა გაგონებასა,
რაცა არ გწადდეს, იგი ქმენ, ნუ სდევ წადილთა ნებასა!" (889).

ე. ი. გულისთქმის დათმობას, მოთმინებას, გონების მოკრებას და ნებისყოფის გამოჩენას მოითხოვს მისგან.

ტარიელი სრულიად არ უსმენს მას და საიქიოში ნესტანთან შეხვედრაზე ოცნებობს. თუმცა თავის მეობას მაინც აგრძნობინებს მეგობარს და საესებით საწინააღმდეგო აზრს ავითარებს:

„ჰკითხე ასთა, ქმენ გულისა, რა გინდ, არ ვინ გივაზიროს!“ (892).

„ჰქმენ გულისაო“, — ამბობს იგი და არსებითად უპირისპირდება „გონებაზე“ დანდობილ ძმობილს.

ავთანდილი იმაზე მეტ გასაჭირში ჩავარდება, ვიდრე ასმათთან პირველი შეხვედრისას აღმოჩნდა. „ჰქმენ გულისაო“ უკიჟინებს მეგობარი მაშინ, როცა ავთანდილის თვალში

„გული კრულია კაცისა, ხარბი და გაუძღომელი,
გული — ჟამ-ჟამად ყოველთა პირთა მთმო, ლხინთა მნდომელი,
გული — ბრმა, ურჩი ხედვისა, თვით ვერას ვერ გამზომელი!“ (723).

(მე-4 სტრიქონით ნათქვამია: ადამიანის გულს ვერავინ და ვერაფერი იმორჩილებს, თვით სიკვდილის შიშიც კი — „ვერცა ჰპატრონობს სიკვდილი, ვერცა პატრონი რომელი“).

კიდევ მეტი. მეგობარი გონს მოსვლისა და დაყოლიების ნაცვლად აქეთ უტევს, უმხედრდება: ისე მესაუბრები, როგორც ბრძენსო; მე კი...

„ბრძენი, ვინ ბრძენი, რა ბრძენი, ხელი ვითა იქმს ბრძნობასა!
ეგ საუბარი მაშინ ხამს, თუცაღა ვიყო ცნობასა;
მაწყენ, დამეხსენ, არა მცალს, არღაცა ვახლავ თმობასა“ (895).

ერთი სიტყვით, ავთანდილმა ტარიელი ვერასგზით ვერ გადაიბირა: „ვერ წაიყვანა, ვერა ქმნა სიტყვითა ვერა-ვერითა“. თითქოს ავთანდილმაც ხელი ჩაიქნია, კარგიო, უთხრა:

„აღარ გაწყენს ენა ჩემი,
აქამდისცა ცუდად მცდარა.
თუ სიკვდილი გიჯობს, მოკვე,
ვარდი დაჭნეს, და-ცა-მჭნარა“ (897).

მაგრამ ღონემიხდილმა თავი მაინც ვერ შეიკავა და მიმართა: „ერთსა რასმე გეაჯები, მიყავ! — ცრემლი ამდუღარა“.

როგორც ვხედავთ, ასმათთან პირველი შეხვედრის მსგავსი სიტუაციაა. საინტერესოა გაირკვეს: ავთანდილის მიერ გადადგმული ნაბიჯი ბუნებრივი გაგრძელებაა მისი ქცევისა, თუ წინდახედულად გეზის შეცვლის გამოხატულება?

ავთანდილს საუბარი საკუთარ თავზე გადააქვს, მეგობარს შეახსენებს თავის გასაჭირს, რაშიც საყვედურის მსუბუქი ტონიც იგრძნობა: „ვერ დამიჭირა მეფემან მშობლურად საუბარითა, სატრფოსაც მოვეშორვე“. შენ კი „არ შემიყრი, გამიყრი, აწ ჩემი ლხინი ვთქვა ვითა?“ ჩანს. ტარიელმა ყური მიაპყრო, ავთანდილმა მუდარა გააათკეცა:

„ნუ გამგზავნი გელ—მოკლულსა, ერთი მიყავ საწადელი,
„ერთხელ შეჯე, ცხენოსანი განახო ჩემი სულთა მხდელი“...
„ეხვეწებოდა: „შეჯეო“, აჯას ხვეწნითა არვებდა,
იცოდა, რომე შეჯდომა კაეშანს მოაქარვებდა“ (900).

ტარიელი „გულის“ კაცია და არ შეუძლია მოაჯეს ანგარიში არ ეპუწროს, ძმა გულმოკლული დატოვოს. მოვიგონოთ მისივე აზრი:

„...ვინცა კაცმან ძმა იძმოს, თუ დაცა იდოს,
ს. მს, თუ მისთვის სიკვდილსა და ჭირსა თავი არ დაჰრიდოს“ (311).

და ქცევა— ცრემლით დავალებულ მოყმეს თავგადასავალი რომ უამბო, რაც მისგან სიკვდილს მიახლების ტოლფასი იყო. (310—311).

„ცხადად უთხრა: „შეჯდებიო, მომიყვანე ცხენი წინა“...
მინდორთაკე წაიყვანა, ტანი შეკვრი აძვრევინა,
ხანი წავლეს, სიარულმან მოჯობება დააჩინა“ (901).
...„რა შეატყო შოჯობება მან, სევდისმა მეფარახმან,
...ცნობიერი სიტყვა უთხრა უცნობოსა რასმე მზრახმან“.

დაეუკვირდეთ და ავხსნათ, რა იყო ეს ცნობიერი სიტყვა:

„ერთსა რასმე მოგახსენებ, გამიცხადე დაფარული:
ეგე სამხრე მისეული, შენ გაჩნია ვისგან წყლული,
რაგვარ გიყვარს?“... (904).

— „ესეა ჩემი სიცოცხლე, ჩემი მომცემი ახისაო“, — უპასუხა ლოგიკამ ისევ აიდგა ფეხი, მაგრამ მგრძნობელობით სამყაროში. თუ მისეული უსულო საგანი ასე გიყვარს, ასმათმა— „გლახ, მისმა ნაკვერჩხალმა, მერე შენმა დობილმა“, რაღა დააშავა, არ ვნახოთო?

„მან უბრძანა: „რაცა გითქვამს უმართლე ხარ მეტის მეტად“; მე სიცოცხლეზე არც ვფიქრობდი; „შენ მომესწარ ცეცხლთა შრეტად“, თორემ...

გულის კარი ნახა რა ღია, ავთანდილი შეპარებულად ისევ გონივრულ რჩევაზე გადავიდა.

„გული, ცნობა და გონება ერთმანერთზედა ჰკიდიაო“, რომ გემოძღვრაედა ასმათი, მართალი გამოდგა. ანდერძში მეფის მისამართით გამოთქმული საყვედური „არა ვიქმ ცოდნა რას მარგებსო“ ავთანდილმა ტარიელთან რბილად ასე გამოხატა:

„არას გარგებს სწავლულება, თუ არა იქმ ბრძენთა თქმულსა,
არ იხმარებ, რა ხელსა ჰხდი საუნჯესა დაფარულსა?“ (911)
„...არ თუ იცი, უგანგებოდ არაო კაცი არ მოკვდების?“ (912).

შემდეგ კვლავ ნესტანზე ჩამოუგდო სიტყვა და მისი ნახვის იმედი ჩაუსახა.

„მზისა შუქთა მომლოდინე ვარდი სამ დღე არ დაჰნების,
ბედი ცდაა, გამარჯვება, ღმერთსა უნდეს, მო-ცა-გხვდების“ (912).

ე. ი. ბედი ბრძოლით, ცდით, იქედება და არა გულზე ხელების დაკრეფით (ანალოგიური აზრია გატარებული ტარიელის სიტყვებში, რომლითაც მან მიმართა ახალგაცნობილ ავთანდილს: „ღმერთმან ქმნა და გიპოვნივარ, შენცა ცდილხარ მამაცურად“ (306)[1].

ავთანდილმა გულზე, ანუ გრძნობაზე დაყრდნობით შეძლო ტარიელის ცნობიერებაში „შეღწევა“. ამ აზრით „დამარცხებული“ ტარიელი „გამარჯვებულ“ მეგობარს მოახსენებს:

...„ეგე სწავლა ჩემთვის ყოველად სოფლად ღირდეს.
გონიერთა მწვრთელი უყვარს, უგუნურთა გულსა ჰგმირდეს“ (913).

(ტექსტის ამგვარი დეტალური ახსნა-განმარტების შედეგი გახლავთ ის, რომ უშაწვილებს ენიშნებათ ამ გენიალური თქმის სიმართლე).

ტარიელმა მაინც არ აპატია მეგობარს მისი შეცდომა და იგავურად უთხრა:

„ცვილსა ცეცხლის სიმხურვალე უგავს, ამად აენთების,
მაგრამ წყალსა არსით ახლავს, თუ ჩავარდეს და-ცა-შრტების“.

---

[1] „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერებში და, აქედან გამომდინარე, ზოგიერთ გამოცემაში განხილული ფრაზა ასეა წარმოდგენილი: „ბედი, ცდა და გამარჯვება, ღმერთსა უნდეს, მო-ცა-გხვდების“.

პირველისაგან განსხვავებით აქ ასეთი აზრია გატარებული: მარტო ცდა (გარჯა) არ არის გამარჯვების ერთადერთი პირობა, საჭიროა ბედიც. მაგრამ ესენიც (ე. ი. მცდელობა და ბედი) არ განაპირობებს საბოლოო გამარჯვებას. ეს უკანასკნელი დამოკიდებულია ღმერთის ნება-სურვილზე. ღმერთი, როგორც აღვნიშნეთ, სიკეთის გამარჯვების მესვეურია, ამდენად, სიკეთის ნიშნით აღძრული დიდი ბრძოლა მისი ნებითვე გარანტირებულია გასამარჯვებლად. ამასვე ადასტურებს ანალოგისათვის მოტანილი ფრაზაც, რომელსაც ტარიელი წარმოთქვამს „ღ მ ე რ თ მ ა ნ ქ მ ნ ა და გიპოვნივარ, შენცა ცდილხარ მამაცურად“.

ეს უკანასკნელი ფრაზა საყურადღებოა იმ მხრივაც, რომ მასში ბ ე დ ი გამარჯვების ცალკე პირობად არ ჩანს. იგი, შეიძლება ითქვას, გაიგივებულია თუ იგულისხმება ღმერთის ნებაში. ანალოგიური აზრია გატარებული 923-ე, 939-ე და სხვ. სტროფებში.

დასკვნა: ცდა გამარჯვების აუცილებელი პირობაა, მაგრამ არა ერთადერთი, მასთან ერთად საჭიროა „ბედის გაღიმება“, რაც იგივეობრივია „ღმერთის წყალობისა“, ბედი ზიგზაგოვნად ვითარდება (ცნობილია გამოთქმა „ბედის ტრიალი... რუსთაველი ავთანდილს ათქმევინებს: „ბედსა ნუ (მიცელი) მიქცევ“...). ღმერთი სიკეთის მუსვეურია... „ღმერთი ბოროტს არ დაბადებს“... ღმერთის წყალობას მოკლებულობა უბედობად განიცდება, ტარიელ ერთგან ამბობს: „ღმერთსა ჩემი უბედობა უნდა, მემცა რას ვეცადე“, ე. ი. უბედობის ანუ საბოლოო ხვედრის საუფლოც არ რჩება „ავ ბედს“.

ამდენად, უფრო მართებულია „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის მერე ფრაზის შესწორება — „ბედი ცდაა, გამარჯვება, ღმერთსა უნდეს, მო-ცა-გხვდე-ბის.“.

განმარტებით ლექსიკონებშიც განგება, ბედისწერა, სვე, იღბალი შეტ-ნაკლებად. მაგრამ მაინც სინონიმური სიტყვებია. განგება (უზენაესი ძალა) და ღმერთი რუსთაველთან ადეკვატური ცნებებია.

ყველაფერი გასაგებია, მაგრამ რუსთაველი, როგორც ყოველთვის, იგავს იქვე „თარგმნის“:

„რაცა ვისცა საქმე თვით სჭირს, სხვათათვისცა ევარგების,
თავიდალმა რად არ იცი, გული ჩემი რაგვარ დნებისს (914).

სწორედ ამგვარი თადარიგიანი, სწორად გამიზნული და დროული საუბარი აქვს მხედველობაში პოეტს, როცა ამბობს: „გველსა ხვრელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი“.

ახლა თქვენ გააკეთეთ დასკვნა, რა ყოფილა საჭირო იმისათვის, რომ სიტყვამ შთამაგონებელი ძალა შეიძინოს...

კ ი თ ხ ვ ა-დ ა ვ ა ლ ე ბ ა დისპუტისათვის: რომელი გმირი არის რუსთაველის იდეური მრწამსის გამომხატველი? (თუ ამ თავში მოცემულ განმარტებებს გონივრულად ჩაუღრმავდებით, თვითონვე მიხვალთ მართებულ დასკვნამდე).

მგოზა ტარიელისაგან ლომ-ვეფხის დახოცვისა

შეუძლებელია, რომ ეს თავი მოსწავლეებს შინ წაუკითხად მიეცეთ ამგვარი დავალებით: შინაარსის გაცნობა, საზეპირო სტროფებისა თუ სტრიქონების ნებისმიერად შერჩევა და პასუხების მომზადება კითხვებსა და საკითხებზე:

1. აღწერა ლომ-ვეფხვის შეყრისა და შებმისა.

2. ავთანდილის ოპტიმისტური შეხედულება ფათერაკიან ცხოვრებაზე, სიყვარულის წინააღმდეგობრივ ბუნებაზე, მაგრამ მის მასტიმულირებელ ძალაზე.

კ ი დ ე ვ სად რა სიტყვებით მიგვანიშნა ავტორმა, რომ ვეფხვი ტარიელში ნესტანის სახის ასოციაციას იწვევს? (იხ. სტროფი 528).

როგორ ახასიათებს მოცემული ეპიზოდი ტარიელს? (როგორც შმაგ მიჯნურს, რაც თვით სიტყვა „მიჯნურის“ განმარტების გამოხატულებაცაა).

მე-18 გაკვეთილი
აჟა ტარიელისაგან და ავთანდილისაგან ჟვაბს ვისლვა და ასმათის ნახვა

(ადგილების შერჩევით კითხვა)

ძ ი რ ი თ ა დ ი ს ა კ ი თ ხ ე ბ ი (თეზისები) დ ა კ ი თ ხ ვ ე ბ ი:

1. ასმათთან შეხვედრა.

გავიხსენოთ ავთანდილის აზრი საწუთროზე (710) და ავხსნათ სტროფი, რომელშიც მოცემულია ტარიელის მდგომარეობა საწუთროს წესის გათვალისწინებით (927).

2. 928-ე სტროფში ხაზგასმულია გმირთა ცრემლდენის უნაპირობა-უსაზღვრობა.

დააკვირდით და ამოიცანით ყოველთვის ერთსა და იმავე მიზანს ემსახურება თუ არა გმირთა ამგვარი ტირილი? ანუ რისი თქმა სურს ამით პოეტს?

3. „პურობა მსგავსი ჟამისა“...

აფორიზმი — „დიდი ლხინია ჭირთა თქმა, თუ კაცსა მოუხდებოდეს“... (933).

4. „მას ღამესა ერთგად იყვნეს იგი ლომნი, იგი გმირნი“...

როგორ აფასებს ტარიელი მეგობრის თავდადებას და რას სთხოვს მას?

6. ავთანდილის შეხედულება ღმერთსა და სოფელზე, ოპტიმიზმი (938—941). 941-ე სტროფი — „ნეტარ მამაცი სხვა რაა, არ გაძლოს რაცა ჭირია,“ როგორ ახასიათებს ავთანდილს, ხოლო სიტყვები — „შენგან მისსა გავლენასა მე დავიჩენ სამსახურად“ — თინათინს?

7. ავთანდილის აღთქმა ტარიელისადმი — „შენ ვერას ირგებ, მე გარგებ, ძმა ძმისა უნდა ძმობილი“ — ადრე შესწავლილი რომელი სტრიქონების ასოციაციებს იწვევს?

8. საუბარი და გადაწყვეტილება (ავთანდილმა ეძებოს ნესტანი, ტარიელი დანიშნულ დროსა და ადგილს შეხვდეს მას).

9. პოეტი კვლავ ეხმიანება მკითხველს, ესარჩლება და თანაუგრძნობს გმირებს (951).

10. „აწ მე მუნ მივალ, მასწავლე გზა ძმად-ფიცისა შენისა“... „ტარიელ სიტყვით ასწავლის მხარსა ფრიდონის გზისასა“.. (956).

11. „გაიყარნეს ტირილითა“... (959).

ᲜᲐᲡᲚᲕᲐ ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲤᲠᲘᲓᲝᲜᲘᲡᲐᲡᲐ

(ადგილების შერჩევით კითხვა)

ძ ი რ ი თ ა დ ი ს ა კ ი თ ხ ე ბ ი დ ა კ ი თ ხ ვ ე ბ ი:

1. საწუთრო სოფლის სამდურავი... ღმერთი სიკეთის სინონიმი (960-ე სტრ. ზეპირად).

რისი თქმა სურს პოეტს აფორიზმით — „კაცი არ ყველა სწორია, დიდი ძეს კაცით კაცამდის“ (961).

2. „მიმავალი (ავთანდილი) ცასა შესტირს“ (966—973).

რაზე მეტყველებს ავთანდილის მიმართვა ციური მნათობებისადმი, რას შესთხოვს მათ?

სად, რომელ სიტყვებში ჩანს, რომ ავთანდილი თრგუნავს გულისთქმას და თავს გამძლეობისაკენ მოუწოდებს? ...„მაგრა თუ ჭირსა არ დასთმობ, ლხინი რა დასათმობია!“ (974).

3. „რა ესმოდის შღერა ყმისა, სმენად მხეცნი მოვიდიან...“ (976-ე სტრ. ზეპირად). რაზე მიგვანიშნებს ავთანდილის სიმღერის „საყოველთაო“ მოსმენა-აღიარება (977-ე სტრ.)? (ეშმარიტი ხელოვნება ერთნაირად გასაგებია ყველასათვის, შეიძლება ითქვას, იგი „ინტერნაციონალური ენაა“).

ავთანდილისაგან ფრიდონისას მისვლა, ტარიელს რომ გაეყარა

(ადგილების შერჩევით კითხვა)

1. „ყმა მტირალი სამოც-ათ ღღე ზღვისა პირსა მიევა გზასა“....

დააკვირდით 979-ე სტროფში გამოხატულ აზრს („აქამდის ზღვარი თურქთაა“...) და გააკეთეთ დასკვნა, რომელი ქვეყნის ამბავს ეხმიანება ავტორი.

2. მენავენი ფრიდონის შესახებ (980—982).

3. ავთანდილის პორტრეტის სრულყოფა (985—999).

როგორ ახასიათებს „ყმას“ ორბის ოსტატურად მოკვლა;

„შესტყორცა და ჩამოაგდო, დაეცა და სისხლი სდინდა,
გარდახდა და ფრთენი დასჭრნა, წუნარად შეჯდა, არ აქშინდა“ (989).

4. ავთანდილისა და ფრიდონის შეხვედრა („მოეხვივნეს ერთმანერთსა, უცხოობით არ დაჰრიდონ“...) და საუბარი.

რა სიტყვებით გაშოხატავს ავტორი ტარიელისადმი მეგობართა უდიდეს სიყვარულს და მისთვის თავდადების სურვილს? (ავთანდილი— 1011, ფრიდონი — 1017).

5. ავთანდილი ფრიდონს ეთხოვება და ნესტანის საძებრად მიდის.

წასვლა ავთანდილისაგან ნესტან-დარეჯანის საძებრად და ჟარავანთა შეყრა

(ადგილების შერჩევით კითხვა ან შინ დამოუკიდებლად წაკითხვა)

ძ ი რ ი თ ა დ ი ს ა კ ი თ ხ ე ბ ი (თეზისები) და კ ი თ ხ ვ ე ბ ი:

1. თინათინის ხატება თან სდევს ავთანდილს და სტიმულს აძლევს დასახული მიზნის განხორციელებაში. ომორითმიანი სტროფის (1035-ე) ახსნა.

კელავ როგორ ესახება ავთანდილს სატრფიალო-სამოყვარულო გრძნობა?

2. მეგობრის წამლის საძებრად ამხედრებული მოყმის წინ ზღვის პირის დიდებული პანორამა იშლება (1036).

3. ავთანდილი წააწყდება მოქარავნეთ, რომელნიც „ზღვის პირსა დაყრით დგეს, დაყმუვნებულნი“... (1037)“.

4. ავთანდილის მიერ მოქარავნეთათვის დახმარების აღმოჩენა. ყურადღების გამახვილება (1048—1055-ე სტროფებზე, რომლებშიც ავთან-

დილი ავლუნს ღრმა რწმენას ბედისადმი, და ტაეპზე — „მართლად იტყვის მოციქული: „შიში შეიქმს სიყვარულსა (1054).“

რა შემთხვევაში ამშვენებს ჭრილობა ან ნაჭრილობევი მამაკაცს? (1061).

5. ავთანდილი უარს ამბობს ვაჭართა მიერ შეთავაზებულ სიმდიდრეზე და ითხოვს „ჟამამდის ჩემსა ნუ იტყვით არ თქვენსა პატრონობასა“ (1067).

როგორ ახასიათებს ავთანდილს მოქარავნეებთან შეხვედრა და დახმარების აღმოჩენა?

— ვაჭრებს?

მე-19 გაკვეთილი

ამბავი ავთანდილისაგან გულანშაროს მიწლვისა

(ტექსტის შერჩევით კითხვა და კომენტირება)

ძირითადი საკითხები და კითხვები:

1. „გულანშარო — ქალაქი, სავსე ტურფითა მრავლითა... მელიჭ სურხავი ხელმწიფობს, სრული სვითა და დავლითა“... (1074).

2. მებაღე დიდვაჭართა ცხოვრების შესახებ; ცნობები ფატმან ხათუნის შესახებ. გაცნობა.

1089 სტროფით — „ფატმანს ჰკვლიდა უმისობა, რამინისა ვი ვისსა“... რაზე მიგვანიშნებს ავტორი? (ხორციელ გატაცებაზე).

ფატმანისაგან ავთანდილის გამოჯნურება

1. ავტორის გაფრთხილება — რემარკა თავისუფალი ქცევის ქალებისადმი დამოკიდებულების საკითხზე (1090).

2. ფატმანი ყოყმანობს ავთანდილთან თავისი „ხვაშიადის“ გამხელას, ბოლოს გადაწყვეტს: „მას მკურნალმან რაგვარ ჰკურნოს, თუ არ უთხრას, რაცა სჭირდეს“ (1092).

მოვიგონოთ როგორ იდგა ეს საკითხი ნამდვილი და აშაღლებული სიყვარულის შემთხვევაში?

ნიგნი ფატმანისა ავთანდილთანა საჯიჯნურო

(შინ წასაკითხად)

რატომ არის (რის მიხედვით) ფატმანის „უსტარი შესანახავი, არ ცუდად დასახეველი“ (1093)?

როგორია ავთანდილის პირველი რეაგირება ფატმანის წერილზე, რა სიტყვებით გამოხატავს ავტორი ავთანდილის გულისწყრომას?

რით ამართლებს ფატმანთან ურთიერთობას, როგორი ზრისაა იგი თავისუფალი ყოფაქცევის ქალებზე?

როგორ, რა მხრივ ესადაგება ფატმანის ქცევას დიდებული აფორიზმი: „კოკაზა შიგან რაცა დგას, იგივე წარმოსდინდებას?“

ᲬᲘᲒᲜᲘ ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚᲘᲡᲐ ᲤᲐᲢᲛᲐᲜᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲐᲓ ᲛᲘᲬᲔᲠᲘᲚᲘ

(ᲕᲘᲜ ᲬᲐᲡᲐᲙᲘᲗᲮᲐᲓ)

ავთანდილი „უთმობს“ დიაცს, მიჰყვება ნება-ნებასა... რატომ? ყოველივე ამას რა კავშირი აქვს მის პირდაპირ მიზანთან?

რატომ კლავს ავთანდილი „ვინმე კეკლუც ყმას“, როგორ შეესაბამება ასეთი ქცევა მის ჰუმანისტურ იდეალებს?

სად ელინდება (რაში გამოიხატება) კეკლუც დიაცთამი ადრე მინიშნებული თვისება? („დიაცსა ვინცა უყვარს... რაცა იცის, გაუცხადებს“ (1102), მართლაც, „თავითგან გითხრობ ყველაზა, თქვენ სმენად დაეშზადენით“ — ფატმანი).

მე-20 გაკვეთილი

ᲐᲮᲐ ᲤᲐᲢᲛᲐᲜᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲜᲔᲡᲢᲐᲜ-ᲓᲐᲠᲔᲯᲐᲜᲘᲡ ᲐᲛᲒᲘᲖ ᲛᲒᲝᲑᲐ

(თხრობის გაუწყვეტლად შერჩეული ადგილების კლასში კითხვა)

ძირითადი საკითხები და კითხვები:

1. სავაჭრო ქალაქის (გულანშაროს) მცხოვრებთა საახალწლო ადათ-წესები.

2. „უცხოთა რათმე ტანჯა“ მჭონის ყოველთვის უჩვეულო ვითარებაში გაელვება-გამოჩენა...

მოიგონეთ ფრიდონის ნათქვამი (631—634), შეადარეთ ფატმანისას (1137—1140) და იფიქრეთ, რატომ აქცევს პოეტი არაჩვეულებრივ სანახაობად ამ წყვილთა (ნესტანი, ტარიელი) გამოჩენას; კიდევ მეტი — მათ ზღაპრულობის ელფერით მოსავს?

3. ფატმანის მიერ ნესტანის შეფარება და მხრუნველობა. ტყვექმნილის მდგომარეობის აღწერა.

4. ფატმანის მიერ ქმრისთვის საიდუმლოს განდობა. უსენის უპატრობა...

5. ფატმანის მიერ ნესტანის მეორედ დახსნა, ანუ სახლიდან მისი გაპარება.

როგორ ახასიათებს ნესტანი თავის ბედს და მდგომარეობას? (1184-ე ნებისმიერ საზეპიროდ).

როგორი აზრისაა ნესტანი თვითმკვლელობის შესახებ? (1200-ე სტრ. საზეპიროდ).

რა აზრია გატარებული (და როგორაა გამოხატული) ქრთამის („ოქროს") შესახებ?

კიდევ სად შეგვხვდა მსგავსი აზრი მსგავსადვე გამოხატული (770)?

რით შეიძლება აიხსნას ფატმანის ეგოდენი გულუხვობა და თავგამოდება ნესტანისადმი?

როგორ აფასებს ფატმანის ამაგს ნესტანი, როგორ მიმართავს მას?

რა აზრისაა ავთანდილი „მოყვარე მტრის" შესახებ? (1220) — აფორიზმი საზეპიროდ.

ამბავი ნესტან-დარეჯანისა ქაჯთაგან შეპყრობისა

(ადგილების შერჩევით. კითხვა)

ძირითადი საკითხები და კითხვები:

1. ფატმანის განცდები, გამოწვეული ნესტანის გაყრითა და მისი უბედობით.

2. ფატმანის მონისაგან ამბის მოსმენა: ა. ქაჯთა სამეფოს კარი, ბ. ხელმწიფის წასვლა დის დასატირებლად, გ. ნესტანის კვლავ არაჩვეულებრივ ვითარებაში წარმოჩენა, დ. დულარდუხტის მონათა მიერ ნესტანის შეპყრობა, ე. როშაქის გადაწყვეტილება (მეფეს მივუძღვნათ არმაღანად), ვ. ამბის მთხრობელის, რომელიც ნესტანის შეპყრობის ერთ-ერთი მონაწილეთაგანია, რაღაც საქმისათვის გულანშაროს მოსვლა.

3. მონის ნაამბობში ნესტანის შეცნობა და ფატმანის ზრუნვა მისი შემდგომი ამბის შესატყობად: ქაჯეთს მონების გაგზავნა, ამბის შეტყობინების შესახებ.

4. ფატმანი ქაჯთა ქალაქისა და სამეფოს შესახებ (1250—1252).

5. ავთანდილის მიერ სალხინო ამბის შეტყობა, მაგრამ თავშეკავება („რა მოისმინა, ეამა, სხვად არა გაუცხადა მან").

6. ავთანდილის გაკვირვება — „ქაჯნი უხორცონი, რაა აქნევან, მიკვირს ქალსა?"

7. ფატმანი ქაჯთა შესახებ (ნამდვილი ვითარების ახსნა, 1256—1258).

8. ავთანდილისა და ფატმანის ურთიერთობის მხატვრული გაცხადება: „თუ ყვავი ვარდსა იშოვებს, თავი ბულბული ჰგონია" (1263).

9. ავთანდილის მიერ ვინაობისა და წამოსვლის მიზეზის გაცნობა-გაცხადება.

10. ავთანდილის თხოვნა ფატმანისადმი — „მოდი და, ფატმან, მეწიე, ვეცაღნეთ მათსა რგებასა (1275)“.

11. ფატმანი თანადგომას აღუთქვამს ავთანდილს.

21-ე გაკვეთილი

წიგნი ფატმანისა ნესტან-დარეჯანის წინაშე მიწერილი

6 სტროფის თანამიმდევრულად წაკითხვა და კომენტირება, დანარჩენებისა — შერჩევით).

ძირითადი საკითხები და კითხვები:

1. მიმართვა ნესტანისადმი და მისი დახასიათება (1279).

დააკვირდით, თითქმის ყოველი დახასიათების დროს პიროვნების რა ღირსებებს ესმება ხაზი („სიტყვა-მჭევრო და წყლიანო, ტურფაო, ლამაზ-ენაო“... (1279)?

სიტყვამჭევრობა, ლამაზენობა, ენაწყლიანობა თავის მხრივ რით არის განპირობებული (რა აუცილებელ პირობას ეფუძნება იგი)?

2. ფატმანის მსუბუქი საყვედური ნესტანისადმი (1280), ამბის შეტყობინება (1281) და თხოვნა (1281—83).

3. „წადი, უსტარო, ისწრაფე... გნახვენ დამწველის თვალები“...

4. გრძნეული მონისათვის წერილის გატანება. ამ გზაზე დაბრკოლებების იოლად გადალახვა...

5. ზონა-ზანგის ნესტანთან შეხვედრა („პირმზე ჯერ დაჰკრთა“... მერე „გაჰკვირდა ფატმანის ამბითა საკვირველითა“) და საუბარი.

წიგნი ნესტან-დარეჯანისა ფატმანთანა

(წაკითხვა, კომენტირება, საზეპირო ადგილების შერჩევა)

1. მიმართვა ფატმანისადმი („აჰა, ხათუნო, დედისა მჯობო დედაო!“...), მისი ამაგის მოხსენიება და ვითარების შეტყობინება.

2. ნესტანის თხოვნა — ხელი აიღონ მის დახსნაზე და მუდარა (1299).

3. „მისეული რიდის ნაკვეთის“ ნიშნად გაგზავნა (1300).

22-ე გაკვეთილი

წიგნი ნესტან-დარეჯანისა საყვარელთან მიწერილი

ტექსტის თანამიმდევრულად წაკითხვა, კომენტირება და მისი უმეტესი ნაწილის საზეპიროდ მიცემა.

ძირითადი საკითხები და კითხვები:

1. „აწ საყვარელსა მიუწერს გულ-ამოსკვნილი მტირალი“... (1301), ამოიცნოთ ვარდის მეტაფორა.

2. საწუთრო სოფლის სამდურავი... (1302—03).

3. მიმართვა ტარიელისადმი (1305).

დავალება: ამოიცანით სტროფები, რომლებშიც მეტრფეთა სიცოცხლე მიჩნეულია ერთმანეთის სიცოცხლედ — უდიდესი სიყვარულის გამოხატულებად და დაისწავლეთ ზეპირად (1305—06).

სად ჩანს, რომ ნესტანი მდგომარეობის ამგვარ გაუკუღმართებას ბედისწერას (განგებას) მიაწერს?

4. ნესტანის სამყოფი ადგილისა და ქაჯთა ზნე-ხასიათის აღწერა.

5. ნესტანის ფიქრი და გადაწყვეტილება (1311—12).

6. ნესტანის შეხედულება სიკვდილზე (1313).

7. თხოვნა ტარიელისადმი ანუ ნესტანის პატრიოტული სულისკვეთება (1316).

8. ტარიელისათვის „ნიშნის“ გაგზავნა.

როგორ შევუთავსოთ ერთმანეთს ფაქტები: დიდი გრძნობის უტყვობისა და უხვსიტყვაობისაც გარკვეულ შემთხვევაში? ანუ როდის და რა შემთხვევაში არ სიტყვაძვირობენ მეტრფე და მიჯნური თავიანთი გრძნობების გამოხატვისას?

9. „იგი მონა წამოვიდა, გულანშაროს მომავალი“ ანუ მონის მიერ ფატმანისათვის ამბის მიტანა.

10. რა ავთანდილს „გაუსრულდა ჟამად საქმე საწადელი“, გადაწყვიტა „ფიცხლა ქაჯეთს მოვიყვანო მათი მომსპობ-ამწყვედელი“ (1321).

11. ფატმანი აჩქარებს რაინდს „ჩემი ნუ გაგეა... თუ ქაჯნი მოგესწრებიან, მუნ მისლვა გაგიძნელდების... (1322)“.

როგორ ახასიათებს ყოველივე ეს ფატმანს?

12. ავთანდილის მიერ ფრიდონის ყმების დასაჩუქრება და მათი უკანვე დაბრუნება. ფრიდონისათვის ამბის შეტყობინება.

ფიქრი ავთანდილისა ფრიდონთან მიწევრილი

(შინ წასაკითხად)

ძირითადი საკითხები და კითხვები

1. მიმართვა ფრიდონისადმი და ამ უკანასკნელის დახასიათება (1327).

2. ავთანდილი ფრიდონსა და ტარიელს მომავალი ბრძოლის გმირებად სახავს:

„სადაცა შენ და შენი ძმა ხართ, ძნელი გაადვილდების...
არ თურე კაცმან დაგიდგნეს, ვეშვე, კლდეცა გაგილბილდების“ (1333).

მეგობრობის რა ნიშანი იხატება ამ სიტყვებში?

3. ფრიდონი მადლობას უხდის და აფასებს მონათა გარჯილობას.

4. ავთანდილის გამომშვიდობება გულანშაროელ მეგობრებთან. ამ უკანასკნელთა განცდები, ავთანდილის „მოშორებით“ გამოწვეული.

ჯმ-ე გაკვეთილი

ფანტა ავთანდილისა გულანშაროთ და ტარიელის შეყრა

ძირითადი საკითხები და კითხვები

1. პეიზაჟი „მიწურვილ იყო ზაფხული“... (1337—38).

2. პირმზიარული ავთანდილი ტაიჭს „მიაცორავებს“, ტარიელთან შეყრას ეწერაფვის „მართ სახელ-დებით უყივის ხმითა მით სახარულითა“... (1342).

3. „ცოტაი წაველო, გამოჩნდა შუბ სინათლითა სრულითა... ტარიელს ლომი მოეკლა“...

4. ტარიელისა და ავთანდილის შეხვედრა; „რათგან შენ გნახე, რა მცამა, პატიჟი მჭირდეს მევ რებილ“ (1345).

5. „ტარიელ ტირს და ავთანდილ სიცილით ეუბნებოდა... ეცანო ამბავი, შენ რომე გეამებოდა“ (1346).

6. იმედგადაწყვეტილ ტარიელს ავთანდილის ნათქვამი არ სჯერა, მის უბედობას განგებას მიაწერს (1347).

7. „რა ტარიელ არ შესჯერდა, ავთანდილცა არ დაწუნარდა... გამოიღო რიდე მისიე, ვინ ბაგეთათ ვარდი ვარდა“ (1348).

8. ტარიელის დაბნედვა...

9. ავთანდილის უღონობა (1351-ე მეტაფორული სტროფის მოსწავლეთა მონაწილეობით ახსნა და საზეპიროდ მიცემა) და მწვავე განცდები. აფორიზმი „სიწყნარე გმობილი სჯობს სიჩქარესა ქებულსა“ (1353).

10. ავთანდილის მიერ ტარიელის გონს მოყვანა.

11. ტარიელისა და ავთანდილის მდგომარეობათა ახსნა ბუნებიეს მოვლენათა მაგალითზე (1356), დაკვირვება ტაეპზე: „ოგი შიენდოს სოფელსა, ვინცა თავისა მტერია“ (1357).

რას მოითხოვს პოეტი ადამიანისაგან?

12. ტარიელის მიერ ნესტანის წერილის შეშფოთებით კითხვა. ავთანდილის შეგონება და თხოვნა.

13. ტარიელმა ავთანდილს „მადლი უბრძანა“, მერე „შესხდეს და წავიდეს“...

14. ასმათთან მისვლა: „ორნივე ტურფად იმღერდეს, ვით ბადონი მგოსანი... (ასმათმა) იცნა, ავარდა მოშლილი, პერანგოსანი“... (1364),

15. „ჰე, ასმათო, მოგვივიდა მოწყალება ღმრთისა ზენით“.. მეტაფორებზე დაკვირვება: „მზე მოგვეახლა, მოგვეცა ჩვენ მოშორვება ბრდღვისა“; სხვა ვარიაციით, „მზე მოგვეახლა, უკუნი ჩვენთვის აღარა ბნელია“. აფორიზმი: „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“ (1370).

ყურადღების გამახვილება იმაზეც, რომ ღმერთი სიკეთის სიმბოლოდაა მიჩნეული— „კაცსა ღმერთი არ გაჰწირავს, თუმცა კაცი შეიგებდა“ (1371).

16. ტარიელის მიერ „დევთა საგანძეს“ გახსნა და 3 ხელი აბჯრისა და მუზარადის, ანუ საბრძოლო აღკაზმულობის პოვნა (ზღაპრული ელემენტები).

ტარიელისა და ავთანდილისაგან ნასლვა ფრიდონისასა

(ადგილების შერჩევით კითხვა და კომენტირება)

ძირითადი საკითხები და კითხვები

1. „რა გათენდა, გაემართნეს, წარიტანეს ასმათ თანა“... (1382).

2. „მუნ ავთანდილს ინდო ეტყვის: „მოდი, ფრიდონ ველაღობნეთ“ (1383).

3. „დაუწყეს პყრობა ტაიჭთა ფრიდონის უკეთესებსა“...

დაკვირვება — მეჯოგეთა მიერ ფრიდონის დახასიათებაზე — „ჯოგი მისია, ვინ მტერსა ჰკრავს ხრმალსა, არ აკენესებსა“ (1385).

4. „მეჯოგენი მიიზახდეს... გვიშველეთო, მეკობრეთა ამოგვწყვიდნეს“... (1386).

5. „შეეკაზმა ფრიდონ, შეჯდა, შეკაზმული გამოვიდა... რა ტარიელ ფრიდონ იცნა, უთხრა: „რასა ჰლამი, ჩვენი მოსლვა რას გეწყინა? პურად ავი მასპინძელი მოგვეგებვი ომად წინა“ (1388) (მეგობრობა— ესთეტიკური ფენომენი).

6. „ფრიდონ ფიცხლა გარდაიჭრა, დავარდა და თაყვანის-სცა“... ერთმანერთი დააშვენეს, გაემართნეს“ (1389—90).

7. ფრიდონისაგან მოყმეთა მასპინძლობა; ამ უკანასკნელთა მიერ კი აბჯრის ბოძება.

8. ფრიდონი მოყმეთ საომრად აჩქარებს, ჭაჯებთან ბრძოლის საიდუმლოს აცნობს, და მოძმეთ სათანადო რჩევა-დარიგებას აძლევს. თქვეს: „ვითათბიროთ, ვითა ვქმნათ, აწ გამორჩევა ძნელია: ასი ათასსა აჯობებს, თუ გამორჩევით მქმნელია“ (1400).

24-ე გაკვეთილი

თათბირი ნურადინ-ფრიდონისა

ძირითადი საკითხები და კითხვები

1. შექმნილი ვითარების აწონ-დაწონა, შეფასება: „ჩვენ ცოტანი ვართ, ქალაქი დიდთაგან საომარია“, გადაწყვეტილება — „პირისპირ ომი არ ძალ-გვიც“... (1401).

2. სათანადო საბუთით ფრიდონი თვითონვე კისრულობს უმძიმეს დავალებას.

როგორ ახასიათებს ფრიდონს მისივე წინადადება? ამასთან, მეგობრობის რა ნიშანი წარმოჩინდება?

თათბირი ავთანდილისა

ძირითადი საკითხები და კითხვები

1. ავთანდილის მიერ ფრიდონის თათბირის მიუღებლობის მოტივირება (1405—06).

2. ავთანდილის წინადადება — „სავაჭროთა შევეკაზმვი... მე მარტო შევალ“... როგორ ახასიათებს ავთანდილს მისივე წინადადება? — მეგობრობას? მოიგონეთ შესაბამისი აფორიზმები და სტრიქონები მეგობრობაზე!

თათბირი ტარიელისა

(შერჩეული ადგილების კითხვა და კომენტარი. ყურადღების გამახვილება გმირობასა და მეგობრობაზე, როგორც ესთეტიკურ ფენომენებზე).

ძირითადი საკითხები და კითხვები:

1. ტარიელის მიერ ძმადნაფიცთა თავგამოდების (თათბირების) შეფასება — „თქვენსა ძალ-გულსა თქვენივე ჰგავს თათბირობა, პირობა“... (1410).

2. ტარიელის ხუმრობა ძმადფიცთა თათბირების განხორციელებაზე (1411).

3. ტარიელის წინადადება, ბრძოლის გეგმა („მაგა თათბირსა ესე სჯობს: სამთავე სამგნით მივჰმართოთ... ფიცხლა შევებნეთ, შევსჯარნეთ“... (1412—13)

როგორ ახასიათებს ტარიელს მისივე წინადადება და გეგმა?

4. „ერთმანერთსა ელაღობნეს ლაღობითა, მათთა მშვენთა“...

5. ტარიელის წინადადებისა და გეგმის მოწონება. მზადება. (1415—1416).

6. შექმნილი სერათის აღწერა — ლირიკული გადახვევა (1417).

მ ა ს წ ა ვ ლ ე ბ ე ლ ი: პოემაში ბევრჯერ ვხვდებით ადგილებს, როცა ავტორი მეტაფორას იქვე ან მომდევნო სტროფებში ხსნის, ზოგჯერ პირიქითაც ხდება, მონათხრობს მეტაფორულად გარდასახავს. რა მდგომარეობა გვაქვს ამ მხრივ 1418-ე სტროფში, ვის ეკუთვნის სიტყვები — „ჩემი აწ ესე ნათქვამი მათი სახე და დარიგა“... და რა იგულისხმება მასში?

7. ავტორი ავთანდილ-ფრიდონის სიკეთე-ქველობასა და „ტარიას“ გამორჩეულობაზე.

8. ტარიელის საბრძოლო გეგმის განხორციელების დაწყება. „სამთავე სამად გაიყვეს, თვითომან თვითო კარები...“ (1420).

9. „სამთავე სამგნით მიჰმართეს... შეიქმნა ბუკთა ტკრციალი“... (1422)

10. „მაშინ ქაჯეთს მოიწია უსაზომო რისხვა ღმრთისა“... (1423-ე სტრ. ნებისმიერ საზეპიროდ).

11. ტარიელის გაშმაგება „კაცსა უკრავად დაბნედდის ხმა ტარიელის ხაფისა“... (1424).

12. ავთანდილისა და ფრიდონის შეხვედრა ანუ „ავთანდილ და ღომი ფრიდონ შიგნით ერთგან შეიყარნეს“ (1425).

13. ავთანდილისა და ფრიდონის მიერ ტარიელის ძებნა...

14. „გზანი დაჰხვდეს შეკაფულნი, შევიდეს და გაძვრეს ხვრელსა, ნახეს, მზისა შესაყრელად გამოეშვა მთვარე გველსა“ (1428 — ზეპირად).

15. „აწ ესენიცა გავიდეს, შეკრბეს სამნივე ძმობილნი, მას მზესა მიხცეს სალამი, წადგეს მართ ვითა ხმობილნი“ (მეგობრობა-ესთეტიკური ფენომენი — 1430).

16. „ტარიელსცა ესალამნეს... მიულოცეს გამარჯვება“... (1432).

17. ფრიდონის „მზიაჲ-ჩრდილიანი ხიხარული“... (1433).

18. „მოკრიფეს ჯორი, აქლემი... სამოცი კაცი დააგდეს ქაჯეთს ციხისა მცველია“...

19. „იგი მზე შესვეს კუბოსა... თქვეს ფატმან ვნახოთ“... (1434).

ამ ეპიზოდის რა ადგილები მოგეწონათ ყველაზე მეტად და რატომ?

25-ე გაკვეთილი

ტარიელისაგან ზღვათა მეფისას მისლვა

ძ ი რ ი თ ა დ ი ს ა კ ი თ ხ ე ბ ი და კ ი თ ხ ვ ე ბ ი:

1. ზღვათა მეფის წინაშე მახარობლის გაგზავნა.

2. ფატმანის მადლის სანაცვლოდ „სრულად ქაჯთა სამეფოსა გიძღვნი, ჩემგან შეიწირე“... (1438).

3. ფატმანისა და ზღვათა მეფის მიერ ათი დღის სავალი გზის გაველა და გამარჯვებულებთან შეხვედრა.

4. „შორს გაეგუბნეს სამნივე დიდსა მეფესა ზღვათასა"...

დაკვირვება სტრიქონზე — „დიდება ღმერთსა, მართლისა მბრძოლსა" (1440). ყურადღების გამახვილება ფატმანის სიტყვებზე: „ვცან სიმოკლე ბოროტისა, კეთილია მისი გრძელი" (1443).

5. „ზღვათა მეფე გარდაიხდის მუნ ქორწილსა მეტად დიდსა"... ურთიერთისათვის საჩუქრების უხვად ბოძება.

სად, რომელ სიტყვებში ჩანს ავტორის ირონიული დამოკიდებულება. ვაჭართა წრისადმი (1451)?

6.. „მეფემან ნავი მოკაზმა... გამოვლნეს ზღვანი სამთავე ერთგან ძმად შენაფიცართა...

ჰშვენის მღერა და სიცილი მათ, მისთა არ — უიცართა" (მეგობრობა ესთეტიკური ფენომენი).

ეს უკანასკნელი ტაეპი როგორ, რა ნიშნით ახასიათებს გმირებს?

7. „მუნით კაცი ასმათს თანა მათ გაგზავნეს მახარობლად" — (1457).

8. ასმათისა და ნესტანის შეხვედრა (1459).

10. ასმათის მრწამსი — „სჯობან ყოვლთა მოყვარულთა პატრონ-ყმანი მოყვარულნი".

11. ფრიდონს სპათა „დახოცვა ტკივის და სატკივარია".

ყურადღების გამახვილება ფრიდონისადმი დიდებულთა მიმართვაზე: „თქვენთვის სიკვდილი დია ჯობს მიწყათა ზედა რებასა" — რომელი აფორიზმის ასოციაციებს იწვევს?

12. მულღაზანზარს მისვლა... (1468).

რა ნიშნით ხასიათდება პატრონყმობა, რით განსხვავდება იგი ბატონყმობისაგან?

რა დამოკიდებულებას ავლენს პოეტი პატრონყმობისადმი, ვისი პირით, როგორაა იგი გაცხადებული?

ქორწილი ტარიელისა და ნესტან-დარეჯანისა ფრიდონისაგან

მირითადი საკითხები და კითხვები:

1. „მათ ქალ-ყმათათვის საჯდომი დაედგა თეთრ-ძოწეული" (1471).

2. „ქორწილი ქმნეს და გამრავლდა ძღვნობა ლალისა ლბილისა" (პოეტური ლიცენცია).

სად, რომელ სტრიქონებში ჩანს, რომ ნესტანი და ტარიელი ერთფერნი, მოცალენი, არიან? („აჰა, მიჰხვდეს შესაფერნი ყმა ქალსა და ქალი ყმასა" (1476).

3. ტარიელი ფრიდონს მოციქულად გზავნის ავთანდილთან...

ყურადღების გამახვილება ტარიელის გადაწყვეტილებაზე: „თუ შენ შენს ცოლსა არ შეგრთავ, მე ჩემსა არ ვექმარები“ (1480).

ეს მოციქულობა, ურთიერთპასუხი, როგორ ახასიათებს ძმადნაფიცებს და საერთოდ მეგობრობას? (პასუხი 1488-ე სტროფშია).

რუსთაველის ადრე ნათქვამ რომელ სიტყვებს გაგონებთ ავთანდილის განაცხადი: „ვარ მუცლითგანვე დედისათ თქვენად სამონოდ შობილი“ (1484)?

4. ტარიელის გადაწყვეტილება ურყევია — ნახოს როსტევან მეფე და „სთხოვოს ქალი მისი“.

ყურადღების გამახვილება მეფისადმი ავთანდილის მოკრძალებულობასა და პოეტის რემარკაზე: „ასრე ხამს რიდი მეფეთა, ყმათაგან მოკრძალულობა“ (1491).

ავთანდილი გმობს მეფისადმი ყოველგვარ ძალმომრეობას ქალის ან მიცემის შემთხვევაშიც:

„რასაცა ჰლამი, არ მოგცემს მას ღმრთისა სამართალია,
გამზრდელსა ჩემსა ვით ვჰკადრო მე საქმე სამუხთალიან!
მე მისთვის ხელი ვით გავძრა, ვინ ჩემთვის ფერ-ნამკრთალია!
ვით მოხმაროს მონამან პატრონსა ზედა ხრმალიან!“ (1493).

მასწავლებელი — საპირისპირო სიტუაცია იქმნება, ვიდრე ნესტან-ტარიელსა და ფარსადანს შორის იყო: „ეგე საქმე მე და ჩემსა საყვარელსა შეგვამდურვებს“. ისმის კითხვა: რა განაპირობებს ავთანდილ-თინათინისა და ნესტან-ტარიელის განსხვავებულ შეხედულებას ამ საკითხზე?

5. ტარიელი გმობს ავთანდილის მეტისმეტ მოკრძალებას („დია მძულს მეტი მოყვრისა შიში, კრძალვა და რიდობა“ და ხელს არ ღებს განზრახვაზე:

„ამას ოდენ მოვახსენებ მუდარით და შეპოვნებით,
რომე მოგცეს ქალი მისი მან მისითა მოგონებით;
რათგან ბოლო შეყრაფია, სიშორესა ვით ეთნებით?
დაშვენდეთ ერთმანერთი, თავის-თავის ნუ დაჰკნებით“ (1498).

როგორ ახასიათებს ტარიელს ეს სტროფი, მოიგონეთ მისი სიტყვები საწუთროსა და ადამიანის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ და გააკეთეთ მართებული დასკვნა!

6. სამთავეს ერთი გზით წასვლა...

26-ე გაკვეთილი

სამთაბანვე ქვაბსა მისლვა და მუნით არაგეთს წასლვა

(აგილებიბ შერჩევით წაკითხვა)

ძირითადი საკითხები და კითხვები:

1. სიკეთის გარდუვალად გამარჯვების ანუ ადამიანთა ოპტიმიზმის საფუძველი (ღმერთი-სიკეთის ხატება, „ღმერთი კეთილს მოაელინებს, მით ბოროტსა არ დაჰბადებს“)[1].

2. გამარჯვებულთა საზეიმო განწყობილება...

მოიგონეთ მათი უნაპირო ლხინის, ლაღობის გამამართლებელი აფორიზმი!

3. ტარიელის მიერ ფრიდონისადმი მადლის სიტყვითა და საქმით გამოხატვა და ფრიდონის პასუხი (1510—12).

4. „აწ მუნითცა გაემართნეს არაბეთად წავლად გზისად, ავთანდილ-ა გალეული შესაყრელად მთვარე მზისად“ (1510).

5. რა „შიჰხვდეს არაბთ საზღვარსა... ტარიელ კაცი გაგზავნა წინაშე როსტან მეფისა...“ (1511—12).

6. ტარიელი მეფეს შეუთვლის: „მაშინ თქვენ ჩემი გეწყინა ნახვა მიწისა შენისა, ...აწ ამოდ მოვალ წინაშე დავყარენ ჩემნი გზანია, ოდენ ძღვნად თქვენი ავთანდილ მე თქვენთვის მომიტანია“ (1514).

7. „რა მოუვიდა მეფესა მახარობელი ჟამისა,
ვით გაეხარნეს, ვერ იტყვის ენა ერთისა წამისა“...
თინათინს ღაწვთა ემატა ელვა შუქისა სამისა“ (1515).

8. „მეფე შეჯდა, გაეგებნეს თავადნი და სრულად სპანი“... (1517).

9. ავთანდილი ეკრძალვის მეფესთან შეხვედრას და ტარიელსა და ფრიდონს გზავნის...

10. მეფისა და მოყმეთა შეხვედრა.

11. ტარიელის თხოვნა მეფისადმი და მახარობლად თავის მოკაზმვა.

ყურადღების გამახვილება ქართულ ადათზე „ამოიღო ხელშახდილი, მოინახკვა ზედა ყელსა“ (1531).

12. მეფის პასუხი: „მე სიძესა ავთანდილის უკეთესსა ვპოვებ ვერა, თვით მეფობა ქალსა ჩემსა მივეც, აქვს და მას ეფერა“ (1534).

ყურადღების გამახვილება იმაზე, რომ როსტევანი თანახმაა სი-

---

[1] იოანე დამასკელის აზრით, ღმერთს მიეწერება შემდეგი პრედიკატები: სიკეთე და ყოველისმომცველობა. აქ დამასკელი ფსევდო-დიონისეს იმოწმებს, რომლის თანახმად, ღმერთის უპირველესი სახელია სიკეთე. ამ მოსაზრებებში უპირველესად იგულისხმება, რომ ღმერთი და სიკეთე განუყოფელია ერთმანეთისაგან, ამიტომ ვამბობთ — ღმერთი — და მასში უკვე ვგულისხმობთ სიკეთეს და პირიქით.

ძედ ღირსეული პიროვნება მოიკიდოს და არა აუცილებლად რომელიმე ქვეყნის მეფისწული ეძიოს.

რა კავშირი აქვს ყოველივე ამას საქართველოს სინამდვილესთან, რა გვითხრა ამით რუსთაველმა?

13. „რა ტარიელ მეფისაგან ესე სიტყვა მოისმინა... ფრიდონ შეჯდა, ავთანდილის მახარობლად გაექანა... წავიდა და წაჰოუძღვა, მოიყვანა, მოჰყვა თანა“ (1537).

14. ავთანდილის რიდი და მორცხვობა... მეფესთან შეხვედრის სურათი (1540), ომორითმების გაშიფვრა.

15. „მეფე ყელსა ეხვეოდა მას ლომსა და ვითა გმირსა... მაშინ ლხინი ამო არის, რა გარდიხდის კაცი ჭირსა“ (1541).

დააკვირდით და ამოიცანით, რომელია აფორიზმი და როგორია მისი მიმართება ეპიზოდის შინაარსთან, (პასუხი: აფორიზმი უმეტეს შემთხვევაში ეპიზოდის შინაარსის გახმაწოგადებელი დასკვნაა).

16. მეფისა და ნესტანის შეხვედრა. ნესტანის შვენებისაგან „გაჰკვირდეს ყოვლნი მხედველნი“... (1546).

17. თინათინის შეხვედრა — „ტარიელ და ცოლმან მისმან ქალსა მდაბლად უსალამეს“.

18. „ორთავე ხელი მოჰკიდეს, დასვეს ტახტსავე თავისსა,
გვერდსა დაუსვეს ავთანდილ, სურვილსა მოეკლა ვისსა“ (1551).

19. თინათინის შეკრთომა. მეფის მიერ დამშვიდება, თახჩობის გამოცხადება და დალოცვა.

20. როსტევანის მიერ ავთანდილის მეფედ გამოცხადება.

21. ტარიელი „ქალსა ეტყვის: ქმარი შენი ძმაა ჩემი, აგრეცა მწადს თქვენი დება“ (1554).

ჟორჟილი ავთანდილისა და თინათინისა არაბთა მეფისაგან

(შინ წასაკითხად)

ძირითადი საკითხები და კითხვები:

1. ქორწილის დღეს... „ჰგავს, თუ ცა მოდრკა ქვეყანად, შეყრილან ოთხნი მზენია“.

„შეიქმნა ძღვნობა ძღვენისა, მათისა შესაძსგავსისა...
...არა დარჩა უსაბოძვრო არ კოჭლი და არ საპყარი...
სამ დღე იყო ინდოთ მეფე ავთანდილის ვით მაყარი“ (1557—61).

ყურადღების გამახვილება პურობა-ლხინის ქართულ ადათ-წესთან მსგავსებაზე.

2. ტარიელსა და ნესტანსაც დაუდგეს ტახტი „მათად სწორად... ძღვენი ტარიასთვის მოიღიან, იდვის გორად“. მეფე ისე ეჭცევა მათ, „ვითა სიძე-სძალსა“. (1565).

3. „ფრიდონს უძღვნა ცხრა ტაბიკი მარგალიტი თავ-შედგმული“... (1567)“.

4. ტარიელის თხოვნა მეფისადმი დათხოვნის თაობაზე და გუშანი — „მტერთა აქვს ჩემი სამეფო, ვიცი მუნ შიგან მძოველად“ (1564).

5. ავთანდილისა და ტარიელის ლაღობა წაყოლა-არწაყოლაზე. „კაცსა მოყვრისა გაწირვა, ახ, მოუხდების, ახ, ავად“... (1573).

6. „შეყარნა სპანი არაბეთს, აღარა ხანსა ზმულია...
არაბთა მეფე მათითა გაყრითა ნაღველ-ჭმულია“ (1575).

7. დად-ფიცთა, დობილთა, გაყრა (1576) ტარიელის გამომშვიდობება მეფესთან.

8. ...„გაემართნეს და წავიდეს დია სპითა და ბარგითა... სამ თვესვლეს“... (1585 — 86).

27-ე გაკვეთილი

ტარიელისაგან ინდოთ მეფის სიკვდილის ცნობა

ძირითადი საკითხები და კითხვები:

1. შაოსანთა ქარავანის გამოჩენა. მათთან შეხვედრა და გასაუბრება: „თვით მათვე მათსა ამბავსა უამბობს“... (1590).

2. ინდოთ მეფის სიკვდილის შეტყობა. ტარიელისა და ნესტანის რეაგირება.

3. „მოსრულა ხატათ ლაშქარი, ქალაქსა შემოსდგომია... ჯერთ დედოფალი ცოცხალ-ა ...იბრძვის ინდოთა ლაშქარი“... (1600 — 1601).

4. „რა ტარიელს ესე ესმა, მეტად ფიცხლად აიყარა, ეჯი სამ დღე წასავალი ერთსა დღესა წაიარა, დროშა მისი აიმართა“... (1602).

ტარიელისაგან ინდოეთს მიხლვა და სატაელთა დაბორჩილება

(ადგილების შერჩევით კითხვა)

1. ტარიელის მრწამსი ღმერთისა და ბედის შესახებ (1603).

მოვიგონოთ ავთანდილის აზრი ბრძოლაში ბედისა და ღმერთის შემწეობაზე („ბედი ცდაა, გამარჯვება ღმერთსა უნდეს, მო-ცა-გხვდების“), შევუდაროთ ტარიელისას (...„ადრე მოვიცლი იმათგან, ღმერთი და ჩემი ბედია“) და ამოვიცნოთ, საიდან მომდინარეობს გმირთა ოპტიმიზმი.

2. მოყმეთა შეხვედრა რამაზის მიერ დაბრიყვებულ მცველებთან და მათი გაგზავნა პატრონთან ტარიელის შემონათვალის გადასაცემად.

3. ტარიელის განზრახვა პირისპირ შეებას ფიცის გამტეხ რამაზს,

4. მეგობრობა უძლეველობის გამოხატულებაა, გაშარჯვების საწინდარია (1612-ე სტროფის წაკითხვა, რომელიც აღნიშნული თეზისის კომენტარია).

5. უტარიელოდ დარჩენილი ქვეყნის სურათი...

6. მტრის თავკაცთა ხვეწნა-მუდარა (აჯა) ტარიელისადმი.

7. ტარიელის მიერ მუქარის ლმობიერებით შეცვლა — „ღმერთი ალხენს მონანულთა, არ შეუნდობს კაცი ვინა?“ (1614).

8. ტარიელის შეხვედრა დიდებულებთან, ნესტანისა — დედასთან.

9. ტარიელისაგან დედოფლისათვის ავთანდილისა და ფრიდონის წარდგენა და გაცნობა: „ამათგან გვაქვს ჩვენ ორთავე სიცოცხლისა მოპოვნება“ (1634).

10. დედოფლის ბრძანებით გლოვის „დაგდება“ და „ზათქ-ზეიმის“ გამოცხადება.

28-ე გაკვეთილი

ქორწილი ტარიელისა და ნესტან-დარეჯანისა

1. დედოფალმა ცოლ-ქმარი სამეფო ტახტზე დასხა და ბრძანა: „ქორწილი დავიწყოთ, რათგან ლხინი დაგვებადა“... (1638).

2. ტარიელს და ცოლსა მისსა მიჰხვდა მათი საწადელი“...[1] (1640).

დააკვირდით აფორიზმს — „ყოლა ლხინთა ვერ იამებს კაცი ჭირთა გარდუხდელი“, და იმსჯელეთ ტექსტთან მის მიმართებაზე!

3. ავთანდილისა და ფრიდონისათვის სათანადო პატივის მიგება — „ავთანდილ და ფრიდონისთვის ორნი ტახტნი დაამზადნეს“... (1642).

4. ინდოთ მეფისაგან ასმათისათვის „საჩაგიეროს“ მიზღვა:

„ინდოთ მეფე უბრძანებდა ასმათს, მისსა შეკედომილსა:
„რაცა შენ ჰქმენ არ უქმნია არ გამზრდელსა, არცა ზრდილსა,
აწ ინდოეთს სამეფოსა მეშვიდესა, ერთა წილსა
ზედა დაგსვამ, შენი იყოს, გვმსახურებდი ტკბილი ტკბილსა“... (1645—5)

მოიგონეთ ტარიელის მამის — სარიდანის ქცევა, შეადარეთ ტარიელის ახლანდელ მოქმედებას და იმსჯელეთ — იგი ისევ ქვეყნის დაუცმაცებისაკენ ხომ არ ისწრაფვის?

როგორ გავიგოთ ასმათის პასუხი: „მონებისა უკეთესი რამც ვიშოვე, რამც ვიქონე?“ (1646).

5. ავთანდილსა და ფრიდონს შინ წასვლის სურვილი დაეტყოთ...

6. ტარიელის მიერ მათი სურვილის ასრულება...

როგორ აეხსნათ შინ მიმავალი ავთანდილის სიტყვები: „მომკლავ დედოფლისა მე საშსალამა“ (1653).

7. „ერთგან ფრიდონ და ავთანდილ იარნეს დღენი მცირენი“.. (1654).

8. მათი შინ მისვლა და შინაურთა გახარება.

9. ავტორი სამივე ხელმწიფის მეგობრული ურთიერთობით სამეფოში შექმნილი ვითარების შესახებ: „მათ სამთავე ხელმწიფეთა ერთმანერთი არა სძულდეს“... (1656).

დ ა ს ა ს რ უ ლ ი

ძირითადი საკითხები და კითხვები:

1. სოფლისათვის „საწუთროს“ შერქმევის საფუძველი და ძისი სიმუხთლის მიზეზის ახსნა.

2. რუსთაველის ხსენება სადაურობის ძინიშნებით (საუბარი დასასრულის სხვა ვარიანტსა და მათს შინაარსობრივ განსხვავებულობაზე).

3. პროლოგში მოხსენიებული სახოტბო პირის — დავითის კვლავ ხსენება.

რას ნიშნავს „ესე ამბავი გავლექსე მე მათად მოსახმარებლად“. (სხვა ვარიანტში,—„მათდა საკაძათებლად?“).

4. დავითის ქება და პოემის შემქმნელის შემოქმედებითი მისია („ეპოვენ და ლექსად გარდავთქვენ“—1660).

5. კვლავ საწუთროს, სოფლის სამდურავი.

6. მოსე ხომელის, შავთელის, სარგის თმოგველისა და რუსთაველის ხსენება თავიანთ ლიტერატურულ გმირებთან დაკავშირებით.

დ ა ვ ა ლ ე ბ ა: შევადაროთ ერთმანეთს პროლოგის შესავალი ნაწილი (11 სტროფი) და ეპილოგი სახოტბო **პირთა მოხსენიების** თვალსაზრისით, გავაკეთოთ დასკვნა და ვიფიქროთ, ვინ უნდა იყოს ტარიელი?

საჭიროა ყურადღება გავამახვილოთ ზოგიერთ საკითხზე:

ა. „ს ო ფ ე ლ ი“ იმიტომაა წუთიერი („წუთისოფელი“), რომ იგი მარადიულობასთან მიმართებაშია გააზრებული. (თუმცა მარადიულობაც დასაზღვრულია ესქატოლოგიით, კერძოდ, განკითხვის დღით).

ბ. ჩვენ ვემხრობით იმ თვალსაზრისს, რომ აქ ნახსენები „შესხი მელექსე“ იგივე რუსთაველია. ეს იგივეობა ადრინდელ მწერლობაში სათუოდ არ მიაჩნდათ. არჩილ მეფე პოემაში „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“ თეიმურაზს რუსთაველის მიმართ ათქმევინებს:

„ღაზოდა სთქვი, შემოიღე ჯ ა ვ ა ხ უ რ ი ენა მძიმე“...
„უყურე ბრიყვსა მ ე ს ხ ს ა და ამაყსა შეუპოვარსა“...

არჩილი აქ შოთა რუსთაველს პირდაპირ უწოდებს მესხსაც და ჯავახსაც. მკვლევარ პრ. რატიანის მტკიცებით, ეს „იმის უდავო მაჩვენებელია, რომ აღორძინების ხანის მწერლებს „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი მიაჩნდათ საერთოდ სამხრეთ საქართველოს ანუ მესხეთის, კერძოდ, კი იმ მესხეთის მკვიდრად, რომელსაც ჯავახეთი ეწოდება და რომელიც საუკუნეთა მანძილზე ითვლებოდა ქართული კულტურის ერთ-ერთ მოწინავე კერად. აღსანიშნავია, რომ ზემოთ მოტანილ აზრს მხარს უჭერს ხალხური შემოქმედების მონაცემები და, რაც მთავარია, თვით „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის ჩვენებანი“[1] ამდენად, დასასრული. მათ შორის ტაეპი—„ვწერ ვინმე მესხი მელექსე მე რუსთველისად ამისად“ თვით პოეტს ეკუთვნის, რაც იმას ნიშნავს, რომ „ვწერ ვინმე მესხი მელექსე რუსთაველის ფსევდონიმით“... გამორიცხული არაა, რომ რუსთაველის მსოფლმხედველობის პოეტი, რომელსაც სწამს: „რასა ვინ ეძებთ, რას აქნევთ? ბედია მაყივნებელი“ (და რაც თავის თავზე იწვნია უთუოდ), ცხოვრების დაღმართზე მყოფი, მართლაც გამხდარიყო ჭეშმარიტი ღვთისმსახური და „ცოდვათა შესამსუბუქებლად“ სამუდამო სავანე პალესტინის ჯვრის მონასტერში ეპოვა, როგორც ბერს...

გ. პოეტი აშკარად მიგვანიშნებს თავის „ღვწის“ მრზანზე: „ესე ამბავი გავლექსე მე მათად (მათდა) მოსახმარებლად (საკაძათებლად)“.

ვინ იგულისხმება „მათ“ში“?

პირველ ყოვლისა, სახოტბო პირები, სამეფო კარი, ამასთან, მთელი ქართველი საზოგადოებრიობა, მთელი იმდროინდელი (და, როგორც დავიწახეთ, შემდეგდროინდელი) კაცობრიობაც კი...

დ. 1661-ე სტროფში პოეტი ხაზს უსვამს რა ადამიანთა სიცოცხლის ხანმოკლეობას, კაცთა ცხოვრების გახმსაზღვრელად ბედს ძიძიჩნევს: „რასა ვინ ეძებთ, რას აქმნევთ? ბედია მაყივნებელი“ და იქვე დასძენს: „ვის არ შეუცვლის, კარგია, ორისავ იყოს მხლებელი“. აქ სიტყვა ორისავ. მართალია, სააქაოსა და საიქიოს უნდა ნიშნავდეს, მაგრამ, ჩვენი აზრით, არ გამორიცხავს წყვილის (მოცალეთ) ხვედრსაც. რადგან სატრფოსა და მიჯნურის ბედი გადაჯაჭვულია ერთმანეთზე, ერთის ბედნიერება მეორისას განაპირობებს და პირიქით, ამდენად, ბედის კარგობა ორივეს თანხლებაში უნდა გამოვლინდეს, „ორისავ იყოს მხლებელი“.

[1] რატიანი, „ვეფხისტყაოსანი“ და მისი ავტორი, თბ., „მერანი“, 1975, გვ. 424.

პოემის შინაარსის მაგისტრალური ხაზი, ანუ სიუჟეტური კომპოზიცია

გაკვეთილის მიზანი: 1. პოემის შინაარსის მთლიანობაში მოყვანა;
2. მოსწავლეთა აქტიური მოხაწილეობით პოემის შინაარსის მაგისტრალური ხაზის გამოყოფა, რაც პერსონაჟთა კლასიფიკაციის საფუძველია.
3. პერსონაჟთა კლასიფიკაცია.

გამოყენებული მეთოდი — საუბარი, სასკოლო ლექცია.

თვალსაჩინო მასალა — სქემა: „ვეფხისტყაოსნის“ ძირითადი სიუჟეტური კომპოზიცია.

„ვეფხისტყაოსნის“ შედარებით მარტივი აგებაა გართულებულია სიუჟეტური წყობით. პოემის მოკლე შინაარსი შეიძლება ასე გადმოვცეთ:

ინდოეთის ამირბარსა და ამაღე ქვეყნის ასულს ერთმანეთი შეუყვარდათ. მშობლები სხვაზე აპირებდნენ ქალის გათხოვებას. ნესტანის რჩევით ტარიელმა სასიძო მოკლა. მეფესა და ამირბარს შორის შეიქმნა მწვავე კონფლიქტი. ნესტანი გამზრდელმა დასაჯა. ტარიელი დიდხანს ეძებდა სატრფოს, ბოლოს გაშორდა საზოგადოებას და უდაბნოში დაიდო ბინა. ტარიელს შემთხვევით წააწყდა მეფის ასულზე გამიჯნურებული სპასპეტი ავთანდილი. ისინი დაძმობილდნენ. ავთანდილი ნესტანის ძიებას შეუდგა. მიაგნო კვალს. იგი აღმოჩნდა დატყვევებული მიუვალ ქაჯეთის ციხეში. ტარიელმა ავთანდილისა და მესამე ძმობილის — ფრიდონის დახმარებით აიღო ციხე. ნესტანი გაათავისუფლეს. გამარჯვებული ჰაბუკები დაბრუნდნენ თავიანთ ქვეყნებში, იქორწინეს და ძმური კავშირი დაამყარეს ერთმანეთთან. თავიანთ სახელმწიფოებში შექმნეს კაცთა ყოფის იდეალური ვითარება.

მოსწავლებს ეძლევათ დავალება ახალოგიურად წარმოადგინოს შინაარსი პოემაში მოცემული წყობის მიხედვით. იგი დაახლოებით ასეთ სახეს მიიღებს:

არაბეთის მეფემ, როსტევანმა, მოხუცების გამო ტახტზე აიყვანა თავის ერთადერთი ასული თინათინი. მას და სპასპეტს ერთმანეთი უყვარდათ. ერთხელ, ნადირობის დროს, მეფე და ავთანდილი წყლის პირას წააწყდნენ მტირალ უცხო მოყმეს. მეფემ მისი გაცნობა მოისურვა, მაგრამ იგი გაუჩინარდა. მეფე დანაღვლიანდა. თინათინმა მოჯ-

ნურს უცხო მოყმის მოძებნა დაავალა. ავთანდილმა სამი წლის ძებნის შემდეგ იპოვა მოყმე, მოისმინა მისი ტრაგიკული ამბავი. დაუძმობილდა. ალუთქვა დახმარება. მიაგნო ტარიელის დაკარგული სატრფოს კვალს. ძმადნაფიცებმა იხსნეს ქაჯთაგან შეპყრობილი ნესტანი. ტარიელმა ნესტანზე, ხოლო ავთანდილმა თინათინზე იქორწინა.

მოსწავლეები ასკვნიან, რომ ორივე ამბავი ისეა ერთმანეთზე გადაჯაჭვული, ძნელია გარჩევა, რომელი რომელს განაპირობებს...

მასწავლებელი — სწორედ ეს გახლავთ საფუძველი, პოემის ორმაგ სიუჟეტიანობისა და პოემის უმთავრეს გმირებად ტარიელ-ნესტანისა და თინათინ-ავთანდილის მიჩნევისა. თუ სათაურს გავითვალისწინებთ, ამოვხსნით ავტორის მიზანდასახულებასაც — პოემის ცენტრალური ფიგურა ვეფხისტყაოსანი ჰაბუკი ტარიელია. ნაწარმოებში გარკვეულ როლს ასრულებენ სხვა მოქმედი პირებიც: ფრიდონი. ასმათი, ფატმანი, მეფეები — როსტევანი, ფარსადანი, მათ შორის მთავარია ფრიდონი.

ორი სიუჟეტური ხაზი გამდიდრებულია შენაკადი ეპიზოდებით— ფრიდონის ამბავი, ფატმანის ამბავი. ისინი, თავის მხრივ, შეიცავენ ბევრ სამოტივო დეტალსა და რთულ სიტუაციებს.

რუსთაველის თხზვის ორიგინალობა იმაშია, რომ უმეტეს შემთხვევაში თითოეული თავი ცალკე დასრულებული ამბის სახეს ღებულობს. მაგალითად, ნადირობის ამბავს აქვს ყველა საჭირო სიუჟეტური კომპონენტი: 1. ექსპოზიცია — მეფე როსტევანის „დაღრეჯვა“ და მასთან დაკავშირებული გარემოებანი. 2. კვანძი — ნაძლევის დადება. 3. კვანძის გახსნა — ნადირობის აღწერა. 4. ფინალი — ნადირობის შედეგი. ამავე დროს ნადირობის ეპიზოდი ორგანული ნაწილია „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთი სიუჟეტური ხაზისა (ავთანდილის თავგადასავალი) და მაგისტრალური სამოთხრობო ღერძისაც (უცხო მოყმის ამბავი), ამით ნადირობის ეპიზოდს ეძლევა ცენტრალური სიუჟეტური ამბის საკვანძო პუნქტის მნიშვნელობა. ასეთი უშუალობით არის ერთმანეთთან გადახლართული „ვეფხისტყაოსნის“ სხვადასხვა სასიუჟეტო ძაფები, სამოტივო სიტუაციები.

რუსთაველი ამბავს ავითარებს სწრაფი ტემპით, მოხრობის მთავარი ხაზიდან გადაუხვევლად, თუმცა სააშისოდ ბევრი „საცთური“ ჰქონდა — გმირთა თავგადასავლები გაემდიდრებინა მეტი ჩახართი ეპიზოდებით, როგორც ამას ვხვდებით შუა საუკუნეების ავტორთა შემოქმედებაში (ისინი მოთხრობას აჭიანურებდნენ, ძირითად ამბავს ხერგავდნენ სათავგადასავლო დამატებითი ეპიზოდური ამბებით). რუსთაველი ამბავს არ ტვირთავს მეორეხარისხოვანი სიტუაციებით, არ ჩერდება წვრილმანებზე, მოქმედების ტემპს არ ანელებს, მკითხველის ყურადღებას არ ღლის. რუსთაველს სიუჟეტში შეძლია

მხოლოდ ისეთი ეპიზოდები, რომლებიც ინტერესს აცხოველებს ხელს უწყობს მთავარი ამბის მწყობრსა და ბუნებრივ დინებას. ზავალითად, ავთანდილის ქარავანთა ჯგუფთან შეყრა პოეტს დასჭირდა ვაჭართა საზოგადოების დასახასიათებლად.

ამრიგად, რუსთაველი სიუჟეტურ ამბავს ავითარებს მოკლედ, დახვეწილად, სწრაფი დინამიკური ტემპით. პოეტი ზოგავს, დროს, მასალას და, რაც მთავარია, იცავს თავის პრინციპს — არ გააჭიანუროს, არ გააგრძელოს ამბავი („რადღა ვაგრძელებ სიტყვასა, ჟამია შემოკლებისა"; „რას ვაგრძელებდე! გატეხა ფიცი, სიძკიცე სჯულისა" და სხვ.). „ვეფხისტყაოსნის" ერთი პერსონაჟი აფრთხილებს მოსაუბრეს „მოკლედ მოგახსენოო". რასაკვირველია, რუსთაველი მოსაწყენად თვლის გაჭიანურებულ, მოსაბეზრებლად გაგრძელებულ თხრობას საერთოდ და არა თავისთავად გრძელ ამბავს (დიდ თემას).

თავისი სიუჟეტით „ვეფხისტყაოსანი" დღემდე რჩება ძლიერ მიმზიდველ საკითხავ წიგნად...

იშვიათი ხელოვნებით, თანამიმდევრულად და ლოგიკურად კრავს და ხსნის რუსთაველი სიუჟეტურ ხლართებს, თანდათანობით ართულებს და ამძაფრებს სიტუაციებს, უფრო დ უფრო ძაბავს მკითხველის ყურადღებას, აღვიძებს ინტერესს შემდგომი ამბებისადმი. სიუჟეტური თხრობის განვითარებაზე ძალადაუტანებლად, სრულყოფილად ხსნის პოემის პერსონაჟების ინდივიდუალურსა და ტიპოლოგიურ ხასიათებს. პერსონაჟების ხასიათების გახსნას ემსახურება ავტორისეული მხატვრული აზროვნების სისტემა, ავტორისეული მხატვრულ-შემოქმედებითი მეთოდი[1].

შენიშვნა: სიუჟეტის განვითარების ამგვარი სქემა შეიძლება ცალკეც აიგოს ტარიელის თავგადასავლის გათვალისწინებით. არ არის გამორიცხული, იგი მივანდოთ მოსწავლეებს.

10-ე გაკვეთილი.

რაინდთა სახეები

ტარიელი, ავთანდილი, ფრიდონი

გაკვეთილის მიზანი — პერსონაჟის დახასიათების საორიენტაციო გეგმის გათვალისწინებით ტარიელის პიროვნულ თვისებათა წარმოჩენა, მოსწავლეთათვის იმ ზოგადადამიანური და კაცობრიული ღირსებების ჩვენება, რომლებიც ყოველი ქვეყნისა და ყოველი დროის ადამიანს დააფასებინებს.

[1] ეს მონაკვეთი ძირითადად დაწერილია აღ. ბარამიძის წიგნის „შოთა რუსთველი და მისი პოემა „მოხედვით თბ., „მეცნიერება", 1966.

გამოყენებული მეთოდი — სასკოლო ლექცია. საუბარი.

თვალსაჩინო მასალა — პერსონაჟის დახასიათების საორიენტაციო გეგმა:

ბ. ტარიელის მხატვრული დახასიათება.

შესავალ საუბარში აღვნიშნავთ, რომ პოემის ყურადღების ცენტრშია მაღალი საზოგადოებრივი წრის ადამიანი (პიროვნება) თავისი რთული შინაგანი ბუნებითა და ამქვეყნიური საზოგადოებრივი ცხოვრების დანიშნულების ნაირსახეობით. მიუხედავად იმისა, რომ პოემის მოქმედება გაშლილია დიდ გეოგრაფიულ არეზე და მოქმედი პირები სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები არიან, აშკარად იგრძნობა, რომ რუსთაველი ხატავს თავისი დროის ქართული სოციალური სინამდვილის სურათებს. რუსთაველის პერსონაჟები XI—XII საუკუნის ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ნიადაგზე აღმოცენებული ცოცხალი ინდივიდუალიზებული ხასიათებია. მართალია, ამ ხასიათებს დაჰკრავს რომანტიზაციისა და იდეალიზაციის ელფერი, მაგრამ ნამდვილი ტიპოლოგიური განზოგადებაა მიღწეული.

ზოგიერთი მოსაზრების[1] მიუხედავად, მოსწავლეებს ვაძლევთ მოჭშედ პირთა დახასიათების საორიენტაციო გეგმის ნიმუშს, რომელიც პერსონაჟთა დახასიათების უფრო მაღალ საფეხურს ითვალისწინებს (ამგვარი დახასიათება თავისუფლად შეიძლება ვაწერინოთ IX—XI კლასებში).

გმირთა დახასიათების საორიენტაციო-სანიმუშო გეგმა[2]

I. შესავალი: ა. მწერალი, ეპოქა. ნაწარმოები (მითითება),
ბ. პერსონაჟის ადგილი ნაწარმოებში.

II. ძირითადი ნაწილი:

1. ვინაობა (სოც. წრე),
2. პორტრეტი (გარეგნობა, ჩაცმულობა),

---

[1] თითოეულ ლიტერატურულ ნაწარმოებში მხატვრული სახის აგების სისტემა იმდენად თავისებურია, რომ შეუძლებელია მისი ანალიზის რომელიმე სახის სქემაში მოქცევა (В. И. Сорокин, Анализ литературного произведения в школе. М., 1955, გვ. 131).

[2] ლიტერატურული გმირი ერთსა და იმავე დროს ადამიანის განზოგადებული საზეცაა (ხშირად ტიპია) და კონკრეტული პიროვნებაც, ხოლო ადამიანი სხვადასხვა მეცნიერების შესწავლის საგანია. ამის გამო აუცილებელია პიროვნების ბუნების გამოსაელინებლად გვქონდეს ერთიანი აზრი, გარკვეული თვალსაზრისი, რათა ობიექტურად და ნათლად შეგვეძლოს მისი დახასიათება. ადამიანის ხასიათზე ასეთი ერთობლივი (ესთეტიკის, ლიტერატურული კრიტიკის, მეცნიერული ფსიქოლოგიის) აზრის გამოხატულებად ელ. ნორაკიძე სამართლიანად მიიჩნევს 3 მხარის გათვა-

3. განათლება (საერთო განვითარება, გონიერულობა).

4. მიზნები, მისწრაფებები (პირადული, საზოგადოებრივი), ანუ პიროვნების მსაზღვრელი მოტივები;

5. ხასიათის თვისებები: ა) სიდინჯე-დაკვირვებულობა, ბ. დიდსულოვნება-თავმოყვარეობა, გ. ნებისყოფა, დ. აქტივობა და შედეგისადმი რეაგირება, პრინციპულობა და სხვ.

III. დასკვნა: 1. მწერალი და პერსონაჟი (სიმპათია-ანტიპათია)

2. მკითხველის თვალით.

შენიშვნა: 1. ცალკეულ გმირთა დახასიათების გეგმა, როძელსაც თვითონ მოსწავლე ადგენს, ოდნავ განსხვავდება ამ სანიმუშო გეგმისაგან: მაგალითად, მესამე პუნქტში (ხასიათის თვისებები) მოსწავლეები პირდაპირ დაასახელებენ გმირის დამახასიათებელ თვისებებს. მეოთხე პუნქტს მიემატება შენიშვნა — გავითვალისწინოთ გმირის ცხოვრების პერიოდული ხასათი. მსაზღვრელ მოტივებში კი შევა; ტარიელი როგორც მიჯნური, მეგობარი და პატრიოტი.

2. გეგმები მოსწავლეებს ეძლევათ სათანადო კომენტარებით. მათ უნდა ავუხსნათ, რომ: ა. გეგმა გვეხმარება იმ პრინციპების გაცნობაში, რომლის საფუძველზეც უნდა აიგოს (დაიწეროს თუ გაიშალოს) ამ შემთხვევაში პერსონაჟის დახასიათება, ბ. გეგმაში მოცემული პუნქტების გათვალისწინება აუცილებელია იმისათვის, რომ თხზულება იყოს სრულყოფილი (რადგან ადამიანი, პერსონაჟი საზოგადოებრივი არსებაა იგი უნდა დახასიათდეს იმ თვისებების გათვალისწინებით, რაც საჭიროა პერსონაჟზე სრულყოფილი წარმოდგენის შესაქმნელად. მართალია, ზოგჯერ თითქოს თვით ნაწარმოები არ იძლევა პერსონაჟის სრულყოფილად დახასიათებას საშუალებას, მაგრამ ეს მხო-

---

ლისწინებას: 1. რა მოტივები, მიზნები ამოქმედებს მას, როგორია ამ მოტივების პერსონალური და სოციალური ღირებულება (ამ უკანასკნელთან დაკავშირებულია პიროვნების „მაღალი" და „დაბალი" ზნეობრივი თვისებები, სიკეთისა და ბოროტებისადმი მისი მიდრეკილება და ა. შ., 2) რამდენად ძლიერია პიროვნება ამ თავისი მამოძრავებელი იმპულსებისადმი ბრძოლაში — რამდენად შეუდრეკელია მისი ნებელობა, სუსტია იგი თუ მტკიცე. 3) რამდენად შეწყობილია ურთიერთთან პიროვნების ცალკეული თვისებები, კერძოდ, პიროვნების შინაგანი ბუნება, მისი ცენტრალური მისწრაფება, მისი საზოგადოებრივი მოქმედება, ე. ი. ჰარმონიულია იგი თუ კონფლიქტური. (ვ. ნორაკიძე, ადამიანობის იდეა „ვეფხისტყაოსანში", თბ., 1966, გვ. 174). ელ. ნორაკიძის შენიშვნით — „ხასიათი პიროვნების სინონიმი არ არის, ეს უკანასკნელი მჭიდრო კავშირშია გონიერებასთან, ტემპერამენტთან", (ვ. ნორაკიძე, ხასიათის ფსიქოლოგია და მხატვრული ლიტერატურა, თბ., 1972, გვ. 161).

ლოდ ერთი შეხედვით; სინამდვილეში შემოქმედი მთავარ პერსონაჟზე მაინც სრულყოფილ წარმოდგენას გვიქმნის პირდაპირი თუ არაპირდაპირი გზების მეშვეობით. მაგალითად, იაკობ ცურტაველი „შუშანიკის წამებაში“ უშუალოდ არ გვიხატავს არც შუშანიკისა და არც ვარსქენის პორტრეტებს, მაგრამ მკითხველს გარკვეული წარმოდგენა (ხატი, სურათიც კი) ექმნება თითოეულ მათგანზე. თუ ღრმად განვიკვრეტთ, მივხვდებით, რომ ამის საფუძველია პერსონაჟის შინაგანი ბუნების (თვისებების) მკაფიო ხატვა... მართალია. ამის გამო წარმოდგენილი სახეები შეიძლება დიდად განსხვავდებოდეს ერთმანეთისაგან, მაგრამ წარმომსახველს უნდა დაევალოს მისი წარმოდგენის აღწერა.

3. გეგმა შაბლონად არ უნდა მივიჩნიოთ, მოსწავლეს შეუძლია საკითხების როგორც გადაადგილება, ისე მის მიერ მიზანმიწონილად ჩათვლილი სხვა პუნქტებით თემის გამდიდრება. ამ აზრით მათ უნდა მივცეთ გეგმების გამოყენებით თემების მრავალნაირად გაშლის ვარიანტების ნიმუშები. ეს უნდა გაგრძელდეს მანამ, სანამ მათ იგი ჩვევად და უნარად არ ექცევათ.

4. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საორიენტაციო და ინდივიდუალური გეგმების გამოყენებით გმირთა დახასიათება სულაც არ შექმნის სირთულეს, თუ ტექსტზე მუშაობისას გარკვეული ყურადღება დაეთმობა ხასიათის თვისებათა გამოკვეთას, რომლებიც მოსწავლეებს მაშინვე შეაქვთ რვეულებში. ახლა კონკრეტულ შემთხვევას თუ ავიღებთ, ტარიელის დახასიათებაც არაა ძნელი ჩამოთვლილი პუნქტების გათვალისწინებით. გამონაკლისს წარმოადგენს მსაზღვრელ მოტივთაგან (მიჯნურობა, მეგობრობა, პატრიოტიზმი) მისი დახასიათება პატრიოტიზმის მიხედვით. ეს საკითხი იმდენად ფართო და ღრმა გაშუქებას საჭიროებს (ავტორი იძლევა გმირობის ცნების, იგივე პატრიოტიზმის, იმგვარ გააზრებას), უპრიანი იქნება ტარიელის ამ ნიშნით დახასიათების მთლიანად პატრიოტულ მოტივში გაღრმავება. პედაგოგები, რა თქმა უნდა, მას უფრო ვიწროდ გამოიყენებენ ტარიელის თავის ადგილას დახასიათების დროსაც (იხ. გვ. 167—181).

31-ე გაკვეთილი

ავთანდილის დახასიათება

მუშაობა წარიმართება მოცემული საორიენტაციო გეგმის გამოყენებით, ამდენად მასზე აქ არ შევჩერდებით. მხოლოდ დავსძენთ, რომ ავთანდილის ინდივიდუალობა გამოჩნდება ტარიელისა და ავთანდილის შედარებითი დახასიათების დროსაც.

ავთანდილისა და ტარიელის შედარებითი დახასიათება

გაკვეთილის მიზანი:
1. გმირთა მსგავსება-განსხვავების წარმოჩენა.
2. მინიშნება გმირთა დუბლირების პოეტურ მიზანდასახულებაზე.
3. გმირთა ღირსებების წარმოჩენით მოსწავლეთა იდეალების შეძენა.

მასალებს წარმოვადგენთ შეძოკლებით:

ვ. ნორაკიძე მართებულ აზრს ავითარებს იმის შესახებ, რომ ტარიელი. ავთანდილი და ფრიდონი თავიანთ მისწრაფებებსა და სურვილებში ერთფერნი არიან, მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს მათი ხასიათების აბსოლუტურ დამთხვევას. „ზოგიერთი მსგავსი დამახასიათებელი თვისების მიუხედავად, ტარიელი და ავთანდილი გამოკვეთილი ინდივიდუალიზებული სახეებია.“[1] ჩვენი აზრითაც მათი სხვადასხვაგვარი ქცევა ძირითადად მაინც განპირობებულია რამდენადმე განსხვავებული ხასიათებით, მაგრამ ამჯერად ჩვენთვის საინტერესოა არა სხვაობის, არამედ სწორედ ამ გმირთა ერთფერობის საფუძველი. ეს უკანასკნელი კი ისაზღვრება მიზნების, მისწრაფებების, ქცევის მოტივების სფეროთი. როგორც ტარიელისათვის, ასევე ავთანდილისათვისაც ქცევის მსაზღვრელი მოტივებია: მეგობრობა, მოყვნურობა, პატრიოტიზმი.

ავთანდილიც ტოვებს თავის სახელმწიფოს მოხუცი მეფისა და დედოფლის ანაბარად და მეგობრის დასახმარებლად მიემართება. თუმცა იგი მისი მოვალეობის შესრულებას ერთგულ და სანდო ადამიანს, შერმადინს, ავალებს და ქვეშევრდომებს სთხოვს, იზრუნონ ქვეყნისათვის, მაგრამ მისი შეცვლა სხვას აგრერიგად არ ძალუძს.

ავთანდილი ქვეყნისათვის ისეთივე ძალა და ძლიერებაა, როგორც — ტარიელი. აი, რას ეუბნება მეფესთან სათხოვნელად წარგზავნილი ვაზირი ავთანდილს:

> თუ მეფეცა გაგიშვებდეს, თვით ლაშქარნი რად მოღორდენ!
> რად გაგიშვან, რად დაღონდნენ, ანუ მზესა რად მოშორდენ?
> შენ წახვიდე, მტერნი ჩვენნი დაგვთამამდენ, გაგვიწყრომდენ.
> ეგე ასრე არ იქმნების, ვითა ჩიტნი არ გაქორდენ“ (756).

---

[1] ალ. ბარამიძე, შოთა რუსთველი და მისი პოემა, გვ. 110—111.

როგორც ვხედავთ, ქვეყნის პატრონობა მოყმე რაინდისათვის ვალია. ეს საქვეყნო ვალი კარგად აქვთ შეგნებული ტარიელსაც და ავთანდილსაც. იგი მათი მოწოდება და ცხოვრების ერთ-ერთი მსაზღვრელი მოტივია, მაგრამ სამშობლოს სიყვარული და მისი სიკეთისათვის ბრძოლის მოვალეობა თუ დაუპირისპირდა პირად ადამიანურ ინტერესებს და მისი არაკანონიერი დათრგუნვა მოითხოვა, თუ საქვეყნო ინტერესები უნდა განხორციელდეს პირადული ინტერესებისა და ღირსებების შელახვის ხარჯზე, მაშინ პიროვნება იძულებული ხდება აუმხედრდეს უკანონო მსაჯულებს. ამ აზრის გამოხატულებად მიგვაჩნია ავთანდილის ანდერძი მთლიანად და განსაკუთრებით 797, 798, 799-ე სტროფები.

მოგვაქვს მასალები (მკვლევართა აზრები) გმირთა დუბლირების თაობაზე:

ვ. ნორაკიძე მართებულად მსჯელობს იმ მხრივაც, რომ „ვეფხისტყაოსნის“ გარკვეული კატეგორიის პერსონაჟები ერთი „გვარისანი“ — რამდენადმე „ერთფერნი“ (აშბებიც ერთმანეთს უახლოვდება შინაარსობლივ-თემატიკურად, მაგალითად, სიყვარულისა და შეძკვიდრეობის თემებით) არიან, მაგრამ ეს არ ნიშნავს იგივეობას.

ტარიელი და ავთანდილი სოციალური ნიადაგის დაახლოებით ერთგვაროვნების მიუხედავად, ინდივიდუალიზებულსა და იდეალიზებულ სახეებს გამოხატავენ ერთსა და იმავე დროს,“ ამიტომ ისინი ერთმანეთს ჰგვანან ფიზიკურად, გონებრივად, ზნეობრივად და სხვა მხრივაც, მაგრამ ერთმანეთისაგან დიდადაც განსხვავდებიან: ტარიელი უპირატესად ემოციური პიროვნებაა, გულისთქმის მიმყოლი. მისი დევიზია: „ჰკითხე ასთა, ქმენ გულისა, რა გინდ რა ვინ გივაზიროს“. ავთანდილი ასევე უპირატესად ინტელექტუალური საწყისის გამომხატველი ინდივიდუმია, უფრო თავდაჭერილი და წინდახედული; იგი გულისთქმის წადილს ყოველთვის უმორჩილებს გონებრივ გახსჯას. ავთანდილის სამოქმედო პრინციპია: „რაც არა გწადდეს, იგი ქმენ, ნუ სდევ წადილთა ნებასა“. აღნიშნული ისე უნდა გავიგოთ, რომ რუსთაველი ერთგვარად ხაზს უსვამს ტარიელისა და ავთანდილის სახასიათო თვისებათა თავისებურებას, თორემ ტარიელიც ინტელექტუალური ბუნების ადამიანია, ისევე, როგორც ავთანდილი უაღრესად გრძნობიერი პიროვნებაა.

იმ დებულების გასაბათილებლად, ვითომ „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟები ერთგვარ სიტუაციაში ყოველთვის ერთგვარად იქცევიანო, ალ. ბარამიძეს სავსებით საფუძვლიანად მოყავს ორი მაგალითი. ერთი შეეხება ქალთა, მეორე — ვაჟთა წრეს.

პირველის მაგალითად აღებულია ნესტანისა და ტარიელის შეხვედრა, რომელიც გაუსაუბრებლად დამთავრდა და რომელსაც ილიამ

ასეთი შეფასება მისცა: „აი, გულთამხილავი რუსთაველი, რამ-სიდიდე გრძნობას ხედავს ნესტან-დარეჯანის გულში და რა ხატით გვაჩვენებს ჩვენც მის ძლიერებას, სიდიადეს, ძლევამოსილებას: ქალმა ვეღარა თქვა რა, სიტყვა შეეკრაო. ეგ რატომ არ მოუვიდა თინათინს, როცა ავთანდილი დაიბარა პირველად სალაპარაკოდ? იმიტომ, რომ ღრმად კაცად-კაცის მცოდნე რუსთაველმა იცოდა, რომ თინათინი სხვა ბუნებისაა და ნესტან-დარეჯანი სხვა".

ჩვენი აზრით, იგივე სიყვარულის გრძნობა, მისი აღმოცენება და გმირთა რეაქციებიც საუკეთესო მაგალითია ვაჟთა განსხვავებული ბუნების დასადასტურებლად. ასაკში მოსული ნესტანის ერთი თვალის მოკვრის უმალვე იფეთქა ტარიელში სიყვარულმა, თანაც ისეთი ძალით, რომ „დაბნედა" „(ქალსა შეეხედენ, ლასვარი მეცა ცნობასა და გულსა"... — დავეცი, დავბნდი, წამიხდა, ძალი მხართა და მკლავ[illegible]სა" — (350—354), ისიც ვიცით, რომ იგი ბევრჯერ ბრძებოდა თვით ამბის მოგონების დროსაც, მაშინ, როცა თინათინმა ავთანდილი მიჯნურად რომ აღიარა, ყმა არა თუ „დაბნდა", თითქოს არც დაობნა. ასევე წლების მანძილზე ავთანდილი დიდსულოვნად იტანდა სატრფოსთან განშორებას, კიდევ მეტი: მისთვის უპირველესი საბრძოლო ამოცანა გახდა „დასნეულებული აქიმისათვის" მკურნალობის გაწევა. მისივე ხასიათის (რკინისებრი ნებისყოფის) გამოხატულებაა სიტყვები: „ამა დღემან დამავიწყა, გული ჩემი ვინ დაბინდა..." ერთი სიტყვით, ორივე მოყმეში სიყვარულის სხვადასხვაგვარად აღმოცენება-დაბადება მათი განსხვავებული ბუნების დამადასტურებელია.

მეორე საბუთად ალ. ბარამიძეს მოყავს ასეთი მაგალითი: არსებითად ერთგვარ სიტუაციაში იმყოფებოდნენ ტარიელი, ავთანდილი და ფრიდონი ქაჯების ციხესთან. გმირებმა თათბირი გამართეს საბრძოლო გეგმის შესადგენად, თითოეულმა თავისი პროექტი წარმოადგინა. გეგმებმა, მართალია, გამოავლინეს ბრძოლის სიმძიმის თავის-თავზე გადატანის დიდი სურვილი (მაშასადამე, მეგობრული თავგამოდებიხ ყოველმხრივ დასაბუთება), მაგრამ ამავე დროს — გახსხვავებული ინდივიდუალური სახასიათო თვისებებიც. მაშასადამე, ერთგვარი სიტუაციის მიუხედავად, მივიღეთ სამი განსხვავებული წინადადება. ეს იმას ნიშნავს, რომ ტარიელი არ არის იგივე ავთანდილი. საგულისხმოა, რომ რუსთაველმა საჭიროდ დაიხახა აღენიშნა ტარიელის უპირატესობა სამხედრო ქველობის მხრით სწორედ ქაჯეთან ბრძოლის წინ.

ავთანდილსა და ტარიელს სხვა მხარეებიც აქვთ განსხვავებული. მათი ამოცნობა მოსწავლეებს მივანდოთ. ეს უკანასკნელი განაპირობებს მათ მიერ შედგენილი თემების ორიგინალურობასაც.

ანალოგიური მსჯელობა გაიმართება ფრიდონის სახის გაშოკვე-

თის დროსაც. (რადგან რაინდთა სახეებს ვიხილავთ, ორიოდე სიტყვით მასაც შევეხებით და გავაკეთებთ დასკვნას).

ფრიდონიც იმდენად დიდად ჰგავს პირველ ორს (ტარიელს, ავთანდილს), რომ ზოგი მკვლევარი, გარკვეული აზრით, სამივეს ერთი პიროვნების (შესაძლოა რუსთაველის) სამსახეობადაც კი ხიიჩხევს, რაც. რა თქმა უნდა, არ იქნება სავსებით მართალი (ყოველ შემთხვევაში იგი ჯერაც დაუსაბუთებელ ჰიპოთეზად მოჩანს). საკმარისია, მკითხველმა გაისიგრძეგანოს თითოეულის ცხოვრება, რომ თვალწინ წარმოუდგეს არა მარტო გარეგნულად განსხვავებული იხდივიდები, არამედ საუკეთესო თვისებებითაც საკმაოდ განსხვავებული პიროვნებებიც...

რითი გვახან ისინი ერთმანეთს?

როგორც ვიცით, ფრიდონის ქცევის მსაზღვრელი ძოტივებიც შეგობრობა, პატრიოტიზმი და, შეიძლება ითქვას, მიჯნურობაცაა. ისიც ვიცით, თუ როგორ მხურვალედ უყვარდა თავისი ქვეყანა ნურადინ ფრიდონს, მაგრამ, როცა უკანონოდ დასჯილი ღირსეული პიროვნების ისტორიას გაეცნო, მისდამი შეგობრული გრძნობით განიმსჭვალა; საჭიროების შემთხვევაში, თავისი ბრძოლის პირველ ამოცანად მანაც შეგობრისადმი დახმარების გაწევა დაისახა...

მართალია, იგი მიჯნური არ ყოფილა, მაგრამ ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ჯერ კიდევ არ შეხვედრია მოცალეს. სამაგიეროდ, სილამაზის შეეარძნება, მიჯნურობის გრძნობა და მისკენ მისწრაფება რომ მისი პიროვნული თვისებაა, ამაში გვარწმუნებს მთლიანად ეპიზოდი „ფრიდონისაგან ნესტან-დარეჯანის ამბის მბობა“:

„...მთვარე უჯდა კიდობანსა, ცა მეშვიდე მასმცა ვეცი“ (631).
...„მას რომე ელვა ჰკრთებოდა, ფერნიცა ჰგვანდეს რისანი!
მან განანათლა სამყარო, გაცუდდეს შუქნი მზისანი!“ (632).
„სიხაოულძან ამაჩქარა, ამათოთოლა, და-ცა-მლეწა,
იგი ვარდი შემიყვარდა, რომე თოვლსა არ ეხეწა“ (628).
„...გამშორეებოდეს, წამსელოდეს, ამისთვის დაეწვი ალსა“ (634).

რითი განსხვავდებიან?

მართალია, ავთანდილისაგან განსხვავებით, ფრიდონი ძეფეა („ლაშქარნი ფრიდონს მეფედ და მიხმობდეს მეფეთ-მეფობით“—627) და ამდენად, შესაძლოა, არც ეცალა, ტარიელისათვის ისეთი თავგამოდება გამოეჩინა, როგორსაც ავთანდილი იჩენს. მაგრამ, ეფიქრობთ, ფრიდონის მდგომარეობაშიც კი ავთანდილი სხვაგვარად ძოიქცეოდა... გმირთა რამდენადმე განსხვავებული თავისებურებები ჩახს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქაჯეთის ციხის აღების წინ გამართულ თათბირზე წამოყენებულ წინადადებებში. სხვა განმასხვავებელი

ნიშნების მოძებნაც შეიძლება, მაგრამ ისინი იქნება არაარსებითი, ამდენად შეიძლება ითქვას, რომ გმირები ერთფერნი არიან.

სიუჟეტისა და გმირთა დუბლირებით პოეტი, აშკარაა, მიზნად ისახავს ამბის გაუცხოებას, შეფარვით სინამდვილის ხატვას, მაგრამ სხვადასხვა ასპექტით: რეალურ, შესაძლებელ და საიდეალო ვითარების წარმოსახვით. ამ უკანასკნელის კომენტირებულ დასკვნაზე საუბარი უპრიანი იქნება ქალთა სახეების განხილვის შემდეგ.

33-ე (ნესტანის დახასიათება), 34-ე (თინათინის დახასიათება), 35-ე (ნესტანისა და თინათინის შედარებითი დახასიათება) გაკვეთილებზე მუშაობა წარიმართება იმავე პრინციპისა და ხერხების გამოყენებით, რომლითაც ვისარგებლეთ რაინდთა სახეებზე მსჯელობისას.

შესავალ საუბარში ხაზი გაესმება იმას, რომ პოემაში ქალები ისევე სრულყოფილად არიან დახატულნი, როგორც მამაკაცები, აქედანაც, მათ დასახასიათებლადაც გამოვიყენებთ იმავე საორიენტაციო ბეგმას, რომლითაც ვისარგებლეთ რაინდთა სახეების გარჩევისას. ამავე გეგმით დახასიათდება ასმათიც, რომელიც თავისი სოციალური მდგომარეობის გამო, მართალია, უშუალოდ არ მოხაწილეობს საქვეყნო საქმინობაში, მაგრამ უთუოდ დიდი პიროვნებაა; ძნელბედობის ჟამს მის მიერ პოემის გმირ ქალთა და მამაკაცთა თანადგომა საკმაო საფუძველს იძლევა იმისას, რომ ისიც მათ მსგავსად დახასიათდეს.

როგორც ვიცით, პოემის ფინალში ასმათიც სახელმწიფოს მართვა-გამგეობის თანამონაწილე ხდება (ეს იქნება 36-ე გაკვეთილი).

ზემოთ მივუთითებდით, რომ ქალთა პერსონაჟების დახასიათების შემდეგაც შეიძლებოდა გაკეთებულიყო საერთო დასკვნა გმირ ქალთა და მამაკაცთა სახეების დუბლირების თაობაზე, მაგრამ ეს შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს რეალური სინამდვილე მოსწავლეებს სათანადოდ ეცოდინებოდათ. რადგან მასზე ჩვენ საგანგებოდ არ შევჩერებულვართ. ამასთან, საინტერესოა მეფეთა სახეების დუბლირების საკითხიც, ამდენად, უმჯობესი იქნება ამჯერად შევჩერდეთ თამარისდროინდელ ეპოქასა და „ვეფხტყაოსანში“ ასახულ ამბავზე, მათ ურთიერთმიმართებაზე, რაც ნათელს მოჰფენს მეფეთა სახეებსაც.

ისტორიული სინამდვილე და მისი ასახვა „ვეფხისტყაოსანში". მეფეთა სახელები

(როსტევანი, ფარსადანი, სარიდანი)

გაკვეთილის მიზანი: 1. თამარისდროინდელ ეპოქაზე გარკვეული ცოდნის შეძენა.
2. ისტორიული სინამდვილისა და პოემაში ასახული ამბის მიმართებების წარმოჩენა.
3. გმირთა დუბლირების პოეტისეული ჩანაფიქრის ამოხსნის ცდა.

გამოყენებული მეთოდი — სასკოლო ლექცია, საუბარი.

თვალსაჩინო-დიდაქტიკური მასალა — მეფეთა გენიალოგია, საქართველოს რუკა.

თამარის ეპოქა, მეფობის დროს (1184—1210) ხასიათდება ქართული ფეოდალური სახელმწიფოს პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული აღმავლობით. თამარმა შემკვიდრეობით მიიღო ძლიერი ცენტრალიზებული ფეოდალური სახელმწიფო, რომელსაც საერთაშორისო პოლიტიკის სარბიელზე მეზობელი ქვეყნები სათანადო ანგარიშს უწევდნენ, მაგრამ...

თამარის გამეფება მოჰყვა დიდ პოლიტიკურ შეთქმულებას, რომელსაც სათავეში ედგა სამეფო ტახტის მემკვიდრე დემნა დავითის ძე ბაგრატიონი.

დემეტრე მეფის (1125—1154) გარდაცვალების შემდეგ სამეფო ტახტზე ავიდა მისი უფროსი შვილი დავითი. მან ორი წელი იმეფა. 1156 წელს განმგებლობა ჩააბარეს უძეო ძმას, გიორგის, იმ პირობით, რომ, როდესაც დავითის შვილი — დემნა სრულწლოვანი გახდებოდა, გიორგი ნებით დაუთმობდა მას სამეფო ტახტს. მაგრამ გიორგის შეეძინა შვილი, თამარი. მეფის საზრუნავიც ეს ერთადერთი ქალიშვილი გახდა. ამასობაში „მოიწიფა ძმისწული მისი, შვილი დავით ძმისა მისისა უხუცესისა, სახელით დემეტრე, სახე-კეთილ და ყოველთა ხელითა მარჯვე, ნასწავლი, მსგავსი სახლიშვილობისა მათისა". ეს ამბავი გიორგის რამდენადმე აწუხებდა, მაგრამ ტახტი მტკიცედ ეპყრა თვითონ და სამეფოდ თავის ქალიშვილს ამზადებდა. ეს ამბავი არ ესიამოვნათ გიორგის მეფობით უკმაყოფილო ფეოდალებს, განსაკუთრებით კი დემნასა და მის სიმამრს ამირსპასალარ ივანე ორბელს. ამ უკანასკნელმა მიიმხრო ნათესავები და იარაღით დაუწყო ბრძოლა მეფეს. გიორგიმ შეიტყო თუ არა მეამბოხეთა გაბოლშვრება, მაშინვე თბილისის ციხეში გამაგრდა და იქიდან დაიწყო ჯარის

შეგროვება. მოულოდნელად შეთქმულებს მოკავშირენი (საბცხელხი, ჰერნი, კახნი) ჩამოეცალნენ. დემნას მომხრეთა ბანაკი დასუსტდა, გიორგი გაძლიერდა და შეტევაზე გადავიდა. მეამბოხენი ლორეს ციხეში შეიხიზნენ. გიორგიმ ალყა შემოარტყა ციხეს. გაიმართა ბრძოლა. შალე „დაუღონოვდეს ლორეს შინა მდგომნი. დემეტრე, გარდამომბმელი საბლისა, გარდამოვიდა ციხისაგან და მოჰმართა თავისავე ბიძასა“. ამის შემდეგ იარაღი დაყარეს მეციხოვნეებმა და ციხიდან გამოვიდნენ. გიორგიმ თვალები დასთხარა დემნას და დაასაჭურისა, რომ შთამომავლობა არ ჰყოლოდა, მისი სიმამრი და სხვა ორბელიანები სიკვდილით დასჯა, დანარჩენ მოთავეებს კი შესატყვისი დანაშაულის მიხედვით „მიაგო მისაგებელი“. ეს პოლიტიკური შეთქმულება, რომელმაც დიდ საგონებელში ჩააგდო გიორგი მეფე, მოხდა 1177 წელს.

გიორგიმ ყველა ერთგული, განურჩევლად სოციალური მდგომარეობისა, სათანადოდ დააჯილდოვა, ზოგიერთ მათგანს სახელმწიფო თანამდებობაც მიანიჭა[1]. მაგალითად. საქართველოს ამირსპასალარად დანიშნა ნაყოფჩაყარი ყუბასარი, ერთგვარი „სამადლობელი“ მიეზღო ღვთის მსახურებსაც... გიორგი სხვა დათმობებზეც წავიდა...

სამეფო კარზე წარმოიშვა აზრი: საქართველოს ტახტზე აეყვანათ ქალი, გიორგის ერთადერთი ასული თამარი. ამ აზრის წამომწყებს, თვითონ გიორგის, მისი განხორციელებისათვის სჭირდებოდა დარბაზის ერთა (მაღალი ფეოდალური არისტოკრატიისა) და ეკლესიის მესვეურთა თანხმობა. როგორც ირკვევა, მან ამ თანხმობას მიაღწია, რაკი, ისტორიკოსის ცნობით, 1178 წელს გიორგიმ თავისი ქალიშვილი ნაშარმაგევს მეფედ აკურთხა. ჩვენს ისტორიაში ეს იყო პირველი შემთხვევა, რომ სახელმწიფოს სათავეში განმგებლად ქალი ექცეოდა. მეფედ კურთხევის წესის თანახმად ქალის დამეფება არ შეიძლებოდა, რადგან მეფობის უფლებები მეფე-ქალის შემდეგ სხვა გვარზე გადადიოდა, მაგრამ რაკი ერთადერთი კანონიერი მემკვიდრე დემნა ცოცხალი აღარ იყო (იგი სასჯელიდან 6 თვის შემდეგ საპყრობილეშივე გარდაიცვალა), გიორგის კი ჰყავდა მხოლოდ ასული. ცხადია, ასეთ ვითარებაში დარბაზის ერი და ეკლესია უნდა დათანხმებულიყო ქალის გამეფებაზე...

---

[1] გიორგი მეფე ამ შემთხვევაში იცავდა დავით აღმაშენებლის დროიდან წამოსულ უკეთილშობილეს განჯას, რომლის ძალით ხელისუფალ პოსტზე დაწინაურება უნდა მომხდარიყო არა შთამომავლობით და გვაროვნულ-წოდებრივი ნიშნეულობით, არამედ პირადი ღირსებებით — ნიჭიერებით, პატიოსნებით, მაშულიშვილური თავდადებით. მაგრამ, თავის მხრივ, გიორგი არღვევდა მეორე ტრადიციას — სამეფო ტახტის მემკვიდრედ ითელებოდა მეფის ნაშიერთაგან პირველ ვაჟი, ის (მეფის ძმა) კი თავის ქალს ამზადებდა სამეფოდ.

გიორგის სიკვდილის შემდეგ 1184 წელს ქართველ დიდებულთა წინაშე ხელახლა წამოიჭრა საკითხი თამარის მეფედ კურთხევისა. ამ დროს თამარი უკვე მირონცხებული მეფეა და მისი კვლავ კურთხება არ იყო სავალდებულო, მაგრამ ის ფაქტი, რომ „შემოკრბენ შვიდთავე ამის სამეფოთა დიდებულნი“ და სათახადო ბჭობის შემდეგ რუსუდან დედოფალს მოახსენეს: თამარმა „აწ ხელყოს ხელითა მეფობასა და კურთხევითა გვირგვინოსან-ყოფად აღვიდეს, ამაღლდეს და დაჯდეს საყდართა თვისთა მამათასაო“, მოწმობს იმას, რომ დიდებულთა წინაშე ისევ გამხდარა საცილობელი საკითხი: შეიძლება თუ არა ქალის გაძეფება.

როგორც მკვლევარები ადასტურებენ, თამარის მეფედ კურთხევისათვის მხარი დაუჭერია დიდად განათლებულ კათალიკოსს, ნიკოლოზ გულაბერისძეს. კიდევ მეტი. მას „სვეტიცხოვლის საკითხავში“ თეოლოგიურად დაუსაბუთებია კითხვა — ქრისტიანობის საქადაგებლად „რაისთვის უკუე დედაკაცი აჩინა და წარმოავლინა ჩვენდა მოძართ?“ ამისთვის მას სამი საბუთი მოუძებნია: 1. საქართველო ღვთისმშობლის წილხვდომილი იყო: მარიამს სურდა ქართველებში ქრისტიანობის ქადაგება, მაგრამ რაკი „ძემან მისმან დააყენა ის ამის საწადლისაგან“, მის მაგიერ სხვა დედაკაცი წარმოავლინა ჩვენში. 2. ქართველები წარმართები იყვნენ და ღვთაებამ სუსტი ქალი აირჩია განმანათლებლად თავისი ძლიერების გამოსაჩენად. 3. ღმერთმა „ღირსებისათვის დედათა პატივისა“ ქალს დაავალა ქართველთა მოქცევა, რადგანაც „განმაცხოველებელსა მას აღდგომასა ღმრთისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა დედანივე ღირს იქმნეს ზესთა ნეტარებისა დიდსა პატივსა ხარებისასა. ამისთვის, — დასძენს პოლემიკური ტონით მწერალი, — უკვე დაიყავნ პირი ბოროტად და ამაოდ დამაკნინებელი ქადაგებისა და მოქცევისა ჩუენისათვის ბუნებისა ძიერ ჴედობრივისა, არამედ უფროისად და უმეტესად ვმოხარულობდეთ — ცა და ვმოქალქეობდეთ მაყუედრებელთა მათ ჩუენთა მომართ უგუნურების მოზრახთა“. ყოველივე ის, რაც აქ ნინო განმანათლებლის შესახებაა ნათქვამი, მთლიანად ეხება თამარ მეფესაც. ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ ნიკოლოზ გულაბერისძემ „საკითხავი სვეტიცხოველისა“ დაწერა თამარის სამეფო უფლებების განსამტკიცებლად.

საჭიროა ხაზი გაესვას თამარის ხელმეორედ. აბჯრად ერთპიროვნულ მბრძანებლად, ტახტზე ასვლის ცერემონიალს: ძაძა განიძარცვა, სახელმწიფო საბოსით მოიკაზმა და ავიდა ტახტზე „მზე იგი მზეთაი და ნათელი ნათელთაი, ელვარებდა მზეებრ მაშუქებელი სხუათა“. უპირველესად ორი მიეახლა ღვთაებრივ ასულს — ახტონ საღირისძე, ქუთათელი მთავარეპისკოპოსი და კახაბერი, ერისთავი

რაჭისა და თაკვერისა. მათ აიყვანეს საქართველოს ტახტზე თამარი და საქართველოს უმძიმესი და უმშვენიერესი გვირგვინი დაადგეს თავზე. მერე სამეფო ხმალი მოიღეს და წინ დაუდეს დიდებულებმა. აიღო ხმალი იგი კახაბერ ერისთავმა, მიეახლა და წელზე შეარტყა გვირგვინოსან ქალს, ვითარცა ლაშქრის მთავარსარდალს „შეიბ ძახვილი შენი წელთა შენთა, ძლიერო, შვენიერებითა შენითა“.

აღლუმად დარაზმულმა ჯარებმა ერთგულების ფიცი მიუძღვნეს უმშვენიერეს ქალს; „თაყუანისცეს, დალოცეს და ადიდეს სპათა შვიდისავე საძეფოსათა“... ქალწულის მეფედკურთხევა დიდ სახალხო ზეიმად იქცა: „ამას შინა ჰკრეს სპერმურთა, ბუკთა, ქოსთა და წიხწილთა, და იყო ზარი და ზაჰში ქალაქსა შინა, სიხარული და შუება და იმედი უიმედო ქმნილთა“.

ასე შეიქმნა საქეთმპყრობელი და მეფეთა-მეფე საქართველოსი თამარ „შვიდმნათობიერი“;. იმავ დღეს თამარმა აურაცხელი საბოძვარი გასცა ხალხისათვის — ობოლთა, ქვრივთა, უქოხელთა და უპოვართათვის; მაგრამ მალე მოხდა მეტად მნიშვნელოვანი რამ: დაკარგულ პატივს დავიბრუნებთო, — იფიქრეს დიდგვაროვანმა აზნაურებმა, „ფიცი ყვეს“ უჯიშოთათვის წაერთმიათ უზენაესი საპატიო და სამმართველო „სახელონი“. მათ, უპირველეს ყოვლისა, მიზანში ამოიღეს ამირსპასალარი ყუბასარ ნაყივჩაყარი და აფრიდონი. მიზანსაც მიაღწიეს... ოღონდ „უგვაროთა“ შორის ხელუხლებელი დარჩა მეპურპლეთუხუცესი ყუთლუ-არსლახი. ამ უკახასკნელს საიუთარი, მანამდე გაუგონარი და მოულოდნელი პოლიტიკური განაზრახი ჰქონია გამზადებული: ისანში, მეფის სასახლის გვერდით, უნდა აშენებულიყო საგანგებო სასახლე — „კარავი“, სადაც მეფისაგან დამოუკიდებლად და მის დაუსწრებლად გაიმართებოდა საგანგებო უმაღლესი საკრებულო „დასის“ სხდომები; აქ შეიკრიბებოდნენ „გამგებელნი მიცემისა და მიღებისა, წყალობისა და შერისხვანი“, ხოლო ამის შემდეგ, საკრებულოზე მიღებულ გადაწყვეტილებებს „ვკადრებდეთ და ვაცნობდეთ თამარს, მეფესა და დედოფალსა; მაშინღა სრულიქმნებოდეს განგებული ჩუეხი“.

თამარმა კარგად შეაფასა, რასაც ნიშნავდა „ისნის კარავი“: ეს უნდა ყოფილიყო „დასასრული ხელშეწიფობისა მისისა“. აშიტომაც „იწყინა და გაიკვირვა უკლებელმან გონებითა და საუნჯემან სიბრძნისიმან“... თამარის ფიცხელი ბრძანებით ყუთლუარსლანი შეიპყრეს და დილეგში ჩააგდეს. მაგრამ იგი თურმე მარტო არ ყოფილა. მას ჰყოლია ფიცით შეკრული დასი, რომელიც ისნის კარავში „კანონმდებელ საკრებულოდ“ უნდა დაშჯდარიყო. თურმე ჯარიც ჰყოლიათ გამზადებული, რათა საჭირო შემთხვევაში მახვილის კვეთება-

საც არ დარიდებოდნენ. განდგომილებმა იარაღის ავი ჟღარუნით მოითხოვეს ბელადის განთავისუფლება. თამარის მოძმეებსაც უკვე ჯავარდნებზე დაედოთ ხელი. ქალმა ხელმწიფემ სწორედ ქალის გუმანით იცოდა, რომ მისი თანამემამულენი უზენაესი კრძალვითა და პატივით ეპყრობოდნენ ქალს, მათი ოჯახისა და ქვეყნის წმიდათაწმიდა კერპს, მის შეუვალ სიტყვას, მის წმინდა მახდილს... და თამარმა საომრად აღძრულ მოწინააღმდეგეთა ბანაკში ყველაზე საპატიო დესპანები გაგზავნა — ორი მახდილოსანი, ორი „საპატიო დიოფალი“: ერთი — ხვაშაქი ცოქალი, ქართლის ერისთავთ-ერისთავის რატის დედა; მეორე — კრავაია ჯაყელი, „დედა აწ მყოფთა სამძივართა“ (ქართული არისტოკრატიული გვარი იყო სამძივარი).

მანდილოსნების მოციქულებმა დააცხრეს „დახელების“ ავიჟარყაში: მათ გადასცეს თამარის ფიცი, რომ იგი ყუთლუ-არსლანის გარდა არც არავის ბრალს დასდებდა, არც ვინმეს დასჯიდა. ხუაშაქმა და კრავაიამ იარაღაყრილი „მოჯანყეები“ თამართან მოიყვანეს. მათ ხელმწიფის წინაშე მუხლი მოიყარეს, თაყვანი სცეს და სამარაღჟამო ერთგულება შეჰფიცეს. თავის მხრივ, თამარმა აღუთქვა, რომ „დარბაზის“ უფლებებს გააფართოებდა და დიდმხ'ვხელოვან საკითხებს მათთან „თანადგომითა და ერთნებაობით“ გადაწყვეტდა.

თამარის ცხოვრებაში მისი გამეფების უმალ მოხდა მეორე მნიშვნელოვანი ამბავიც. ეს იყო თამარის დაუკითხავად საქმროს არჩევა და მისი იძულებითი დაქორწინება. თამარის გათხოვება სახელმწიფოებრივი მხიშვნელობის აქტს წარმოადგენდა, რადგან შეფე-ქალის ქმარი საქართველოს შეფე უნდა გამხდარიყო. დიდგვაროვან ფეოდალებსა და გავლენიან სახელმწიფო პირებს არ სიამოვნებდათ, თავზე წამოესვათ რომელიმე ქართველი დიდებულთაგანი. თამართან შეზრდილი ოსთა ბატონიშვილი დავით სოსლანი საუცხოო კანდიდატურა იყო თამარის ქმრობისა. მაგრამ რუსუდან დედოფალი და სამეფო არისტოკრატები ამ ჰაბუკს განგებ ვერ ხედავდნენ, თვით თამარს კი არავინ არაფერს ეკითხებოდა. საერთოდ ქართველ დიდებულთაგან თამარის ხელს ვერავინ ითხოვდა. რადგანაც მას ეკლესია და სავაზირო ქორწინების ნებას არ დართავდა. გინდაც რომ ეს პირი მეფეს ჰყვარებოდა. მაშასადამე, თამარის საქმრო უცხო უფლისწულთა შორის უნდა ძოეძებნათ. ასეც მოხდა: „გამოჩნდა ვინმე მეტყველი მკვიდრთა შინა ტფილისისათა... და მან თქვა, რომ „მე ვიცი შვილი ხელმწიფისა ანდრია დიდისა რუსთ მთავრისა გიორგი ბოგოლუბსკი, თამარი იმას შევთოთ ცოლადო. აბულასანისაგან ამ ამბის მსმენელებმა „იხმეს ერთი ტფილისის მკვიდრთაგანი დიდ-ვაჭარი ზახჭან ზორაბაბელი“ და უფლისწული გიორგი რუსეთიდან მას მოაყვანინეს. „მერმე პატრიარქმან, დიდე-

ბულთა და ვაზირთა „მოახსენეს თამარს და მათგან „ნება-დაურთავი განმზადეს ქორწილი“. თამარს არ ესიამოვნა ასეთი ნაჩქარევი ქორწილი და მოძალადეებს მიმართა: „კაცნო, ვითარ ღირს არს შეუტყუებელი ესე ქმნად? არა ვიცით კაცისა ამის უცხოისა ქცევა და საქმე, არცა მხედრობისა, არცა ბუნებისა და არცა ქცევისა. მაცალეთ, ვიდრემდის გახიცადოთ ყოველთა სიკეთე, გიხდა სიდრკუე მისი. ხოლო იგინი წინააღუდგეს, უშვილოებასა მოახსენებდეს, სახლისა მისისა უნაყოფოებასა დრტვინვიდეს, წიხაძძღვარსა სპათასა ითხოვდეს. და ყოვლითურთ შეაწრებდეს სულსა მისსა“.... ბოლოს „არამშუებელმან დედოფალმან და სპათა აიძულეს ქმხად“, უკეთ: „ძრავლისა ცილობისა თვინიერ ნებისა მისისა ყვეს ქორწილი“... (1185 წ).

ქორწინებას ცუდი შედეგი მოჰყვა. გიორგიმ გამოავლინა უზნეო საქციელი. თამარმა ოჯახური საიდუმლოება დიდხახს ფარა, მაგრამ ჭირმა თავი არ დაფარა. ვაზირებმა და დიდებულებმა ცოლ-ქმარი ერთმანეთს გაუყარეს. გიორგი „ცრემლ-მდინარობასა შინა თამარისასა“ განდევნეს საქართველოდან.[1]

როგორც ცნობილია. შემდეგ თამარმა იქორწინა დავით სოსლანზე... თამარის გონიერული მეთაურობითა და თანამეცხედრის დავით სოსლანის ბრწყინვალე სარდლობით უჩვეულო გამარჯვებები იქნა მოპოვებული 1195 წელს შამქორში, ხოლო 1203 წელს ბასიანში მუსლიმან დამპყრობლებთან წიხააღმდეგ ბრძოლებში. ძეძატიანეთა სიტყვით, „იყო სიმტკიცე ქუეყანასა ჩუენსა და მშვიდობა... ქრისტიანეთა ორღანონი ხმოვანებდეს კიდით-კიდემდე“. თამარმა „აღავსნა ეპისკოპოსნი და საყდარი შესაწირავითა. თავისუფალ ყვნა ეკლესიანი ხარაჯისა და ბეგარისაგან: გააბნიურდეს ქუეყანისა მოქმედნი, და გადიდებულდეს აზნაურნი. და გახელმწიფდეს დიდებულნი მეფობასა შინა ამისსა... (მან) სიმშვიდითა დავითიანთა, სიბრძნითა სოლომონიანთა, სიმხნითა და საურავითა დღესისთა ხვალისად არმიგდებითა ალექსანდრიანითა იპყრნა ზღვით პოხტოსით ზღუადმდე გურგენისად და სპერითგან დარუბანდამდის და ყოველნი კაფკასიისა იმერნი და ამერნი ხაზარეთამდის და სკვითთამდის. მიმხუმელ იქმნა ცხრათა ნეტარებისათა და აღმსრულებელ ათთა მცნებათა, რომელ: მან ესევითარი იხუმია ფრიადება ცნობიერებისა და სიმშვიდე გო-

[1] სასკოლო ლექციის მასალები ამოკრებილია ივ. ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორიიდან“, ტ. II, თბ., 1963; საქართველოს ისტორიიდან, თბ., 1988; ივ. ლოლაშვილის ნაშრომიდან — „რუსთაველის მსოფლმხედველობის ისტორიული და ეროვნული საწყისები“, შოთა რუსთაველი, საიუბილეო კრებული, თბ., 1966; ლ. სანაიძის „უქარქაშო ხმლებიდან“, თბ., 1975.

ნიერებისა, ვიდრემდის ამისსა განგებასა ათორმეტსა წელიწადსა შინა არცა თუ ტაჯგანაგი უბრძანა ვის სადმე კრვად".

თანამედროვეთაგან საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის ეს შეფასება რამდენადაც არ უნდა იყოს გაზვიადებული, ერთი რამ ცხადია: თამარის დროის ქვეყანა კულტურულ აღმავლობას განიცდიდა. სამეფო კარი პოეტთა საკრებულოს წარმოადგენდა. მაშინ განსაკუთრებით განვითარდა საერო-მხატვრული და საისტორიო მწერლობის დარგები: დაიწერა მეფეთა ცხოვრების ერთკელი თხზულებანი („ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი", „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი"). შეიქმნა სახოტბო პოემები („თამარიანი", „აბდულმესიანი"), შეითხზა საგმირო-საფალავნო რომანები („ამირანდარეჯანიანი", „დილარგეთიანი"), ითარგმნა სპარსული საგმირო და სამიჯნურო-სათავგადასავლო რომანები („შაჰნამე", „ვისრამიანი", „ლეილმაჯნუნიანი". „იოსებზილიხანიანი")...

როგორც ვიცით, რუსთაველი იყო თამარის თანამედროვე პოეტი, მის სამეფო კართან დაახლოებული პირი, ერთ-ერთი გაჭრიხეილი ვაზირთაგანი (ახელდობრ, შეჰურჭლეთუხუცესი). „ვეფხისტყაოსანი" მან დაწერა თამარის სიცოცხლეში და მასვე მიუძღვნა.

ამ ლექციის წაკითხვის შემდეგ კითხვები დაისმება იმის თაობაზე, თუ სად და როგორ გამოვლინდა საქართველოს ისტორიული სინამდვილის ანარეკლი „ვეფხისტყაოსანში": მოსწავლეთა ერთობლივი ძალებით შეივსება პასუხები, რომლებიც დაახლოებით ასეთ სახეს მიიღებს:

პოემაში ორი სხვადასხვა მეფის ასულია გამოყვანილი: თინათინი და ნესტანი და, როგორც ჩანს, ერთშიც და მეორეშიც თამარის პიროვნებაა გამოხატული. არც შეფე როსტევახს ჰყავდა ვაჟი, არაბეთის ტახტის მემკვიდრე ქალია, — არც ინდოეთის მეფეს, ფარსადანს, მისი ნუგეში მშვენიერი ნესტან-დარეჯანია.

გიორგი III-ემ თავის სიცოცხლეშივე დასვა ასული ტახტზე, ასევე როსტევანმაც თავისი ქალი სიცოცხლეშივე აიყვანა ტახტზე (შეადარეთ ტექსტები).

მასწავლებელი — როგორც ვხედავთ, დუბლირებულია არა მარტო თამარის სახე (ნესტანი, თინათინი), არამედ გიორგი მეფის პიროვნებაც. ნესტანს მამიდა დავარი ზრდის და თამარიც ხომ მამიდასთან (რუსუდანთან) იზრდებოდა (გრძელდება მოსწავლეთა მიერ პასუხების შევსება).

თამარი და მისი მომავალი საქმრო დავით სოსლანი ერთად იზრდებოდნენ, ნესტანიცა და ტარიელიც გარკვეულ ასაკამდე ერთმანეთის ახლოს იზრდებოდნენ.

თამარმა, მართალია, პირველად უცხოზე დაიწერა ჯვარი... ნესტა-

ნის მშობლებს უკვე გადაწყვეტილი ჰქონდათ ხვარაზმშას შვილის სიძობა... ტარიელმა ნესტანის საქმრო მოკლა და ამით საშუალება მიეცა ნესტანის შერთვისა, ხოლო თამარის ქმარი საქართველოს მოაშორეს და თამარი ბოლოს მაინც საყვარელ ადამიანს შეუერთდა და ა. შ.

მასწავლებელი: ანალოგიების მოტანა უხვად შეიძლება როგორც პერსონაჟების, ისე საქართველოს სინამდვილესა და პოემაში ასახულ ქვეყნებს შორისაც, მაგრამ ისმის კითხვა: გარდა ამბის გაუცხოებისა („ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები"... იხლოეთსა და არაბეთში ამბის გადატანა), კიდევ რა მიზანს უნდა ემსახურებოდეს პერსონაჟთა დუბლირება და ზოგჯერ გასამმაგებაც კი? მაგალითად, ტარიელი, ავთანდილი ფრიდონი; როსტევანი, ფარსადანი, სარიდანი. ამასთან, საინტერესოა გაირკვეს: თუ ნესტანი და თინათინი თამარის ხატებაა, ვისი გარდასახვაა ავთანდილი, ტარიელი (ფრიდონი)? ან კიდევ რა მიმართებაა გიორგი მეფესა და ინდოეთ-არაბეთის მეფეებს (როსტევანი, ფარსადანი, სარიდანი) შორის?

მასწავლებელს შეუძლია მოსწავლეებს გააცნოს მკვლევართა შეხედულებები ამ საკითხებზე და მათთვის მისაღები თვალსაზრისის ამორჩევის უფლება მათვე დაუტოვოს; შეუძლია თვითონვე მიმოიხილოს ეს თვალსაზრისები და გააკეთოს მისეული დასკვნა. მაგალითად:

მკვლევარი პ. ინგოროყვა წერს: „ვეფხისტყაოსანი", პირველ ყოვლისა, არის, რასაკვირველია, პოეზია და შემდეგ — სინამდვილე. ისტორიული სინამდვილე აქ პოეტურ ასპექტშია მოცემული, და ბევრ შემთხვევაში ძნელია აქ ზუსტად ხაზის გავლება, თუ სად თავდება პოეზია და სად იწყება სინამდვილე". პოემაში ისტორიული სინამდვილე ვლინდება შემდეგნაირად: „ნესტან-დარეჯანი წარმოადგენს პოეტურ ასპექტში თამარს, ხოლო ტარიელი — თვით პოეტს-შოთას.. ტარიელის საგვარეულო ისტორიის სახით მოთხრობილია შოთას საგვარეულოს ისტორია... ნესტანის იდეალურ პორტრეტებში გაბნეულია ცალკეული ხაზები თამარის ბიოგრაფიისა... ხვარაზმშა, მოწვეული ნესტანის საქმროდ, რომელიც უბედურად იღუპება, პოეტურ ასპექტში წარმოგვიდგენს თამარის საქმროდ მოწვეულ გიორგი რუსს... ნიშანდობლივ შესაძლოა ამოცნობილ იქნეს დავარ, მაშინდა ღა აღმზრდელი ნესტანისა, რომელიც, ჩანს არის რუსუდანი... როგორც რუსუდან, ისე დავარ ორივე დაა მეფისა; ორივე უცხოეთშია გათხოვილი; ორივენი დაქვრივდებიან და სამშობლოში ბრუნდებიან: ორივენი ზრდიან მეფის ერთადერთ ქალიშვილს. და ტახტის შემ-

კვიდრეს ორიენი გახდებიან მიზეზი თავისი აღზრდილის პირადი უბედურებისა"[1].

ა. ბარამიძე წერს: „რუსთაველის პერსონაჟები, მართალია, არ წარმოადგენენ ისტორიულ პირთა პორტრეტებს, მაგრამ შესაძლებელია (და საფიქრალიც) ზოგჯერ სწორედ კონკრეტული ისტორიული პირით იყოს ჩაგონებული და მოხაზული პოემის მხატვრული სახე თუ სახე-იდეა (მაგალითად, ნესტანი—თამარი)"[2].

ეს უკანასკნელი იმდენად საყოველთაოდ მიღებული დებულებაა, რომ ის მკვლევრებიც კი, რომელნიც არ იზიარებენ „ვეფხისტყაოსნის" ისტორიზმის თეორიას, მაინც შენიშნავენ, რომ ნესტანის სახეში შეიმჩნევა თამარის პიროვნებაო. საყურადღებოა მეორე გარემოებაც: რამდენადაც ნესტანის ისტორიული ორეულის შესახებ აზრთა ერთიანობა არსებობს, იგივე არ ითქმის ტარიელის ძიძართ. პირიქით, მის პროტოტიპად ასახელებენ სხვადასხვა პირს: დავით სოსლანს, დემნა ბაგრატიონს, პოემის ავტორს.

ს. ქვარიანი ტარიელის ისტორიულ ორეულად მიიჩნევს დემნა ბაგრატიონს, რასაც მართებულად აბათილებს ი. ლოლაშვილი: „თამარის ბიძაშვილსა და თვით თამარს შეუძლებელია ისეთივე ცოლ-ქმრული სიყვარული ჰქონოდათ, როგორიც ასახულია პოემაში ტარიელსა და ნესტანს შორის. ამასთან, დემნა დანიშნული იყო ამირსპასალარ ივანე ორბელის ქალიშვილზე და მისი სიძეც გახდა..." და იქვე დასძენს: „ვეფხისტყაოსანი" არ არის ალეგორიული ისტორიული პოემა და არც მისი პერსონაჟები არიან ისტორიულ პირთა პორტრეტები, ორეულები... რუსთაველთან პოეტურად არეკლილი თამარის-დროინდელი სინამდვილე მოჩანს პოეტის მსოფლმხედველობაში, მის სოციალურ და პოლიტიკურ შეხედულებებში. სათავგადასავლო ამბებში"[3].

აქ ჩვენ არ შევჩერდებით ამ უკანასკნელად მოტანილ შეხედულებაზე. მასზე საუბარი გვექნება ქვემოთ, უფრო ფართო მასშტაბით კი ჩვენს თვალსაზრისს წარმოვადგენთ ერთ-ერთი სადისპუტო მასალის საშუალებით, რომელიც მოთავსებულია დახართში. ამჯერად ყურადღებას გავამახვილებთ თამარისა და პოემის გმირ ქალთა ბიოგრაფიული შტრიხების თანხვედრაზე და გავაკეთებთ დასკვნას, რომლის გაცნობა სრულიად საკმარისი იქნება საშუალო სკოლის მოსწავლეთათვის. მართალია, თამარისა და ნესტან-თინათინის ბიოგრაფიული მოტივები გარკვეულ ეტაპებზე არა მარტო ჰგავს, თით-

[1] პ. ინგოროყვა, რუსთველიანა, თხზ. ტ. I, 1963.
[2] ა. ბარამიძე, ნარკვევები, III, 1952, გვ. 63.
[3] შოთა რუსთაველი, საიუბილეო კრებული, 1966, გვ. 39.

ქმის ემთხვევა კიდეც ერთმანეთს[1], გარკვევით შეიძლება ითქვას, რომ თამარი არ არის უშუალო პროტოტიპი პოემის გმირი ქალებისა.

დასკვნა: „ვეფხისტყაოსანს“ პოეტმა საფუძვლად დაუდო ორი ისტორიული ფაქტი: 1. გიორგი მესამისაგან თავისი ერთადერთი ქალიშვილის — თამარის, მეფედ დასმა, რომელიც მოხდა 1178 წელს, და თამარ მეფის იძულებითი გათხოვება გიორგი რუსზე, ანუ, როგორც მემატიანენი წერენ, „ნებადაურთავი ქორწინება“, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1185 წელს, თუ 1186 წლის დასაწყისში. პირველი ფაქტი პოეტმა მხატვრულად ასახა როსტევანისაგან თიხათინის გამეფების ამბავში, მეორე კი — ხვსტანის ტრაგიკულ ცხოვრებაში, ხოლო ამ ორი ამბის ერთმანეთთან შეპირისპირებით მან თვალსაჩინოდ გამოკვეთა თავისი პოზიცია და დამოკიდებულება თამარისდროინდელი ისტორიული სინამდვილისადმი და, ვფიქრობთ, ტარიელისა და ავთანდილის სახეთა შექმნით გამოაცხადა თავისი თავი, თავისი მსოფლმხედველობა. ტარიელი რუსთაველის იდეალია. ამ გმი-

---

[1] „ისტორიათა და აზმათა“ ტექსტში ვკითხულობთ: „გიორგი მეფე შეიყარა ყოვლით სამეფოით მისით შემოქცეული ღანუყით ნაჯარმაგევსა, შემყრელმან შვიდსავე სამეფოთა მისთამან აწვია დედოფალთა დედოფალი, ბედნიერი და სვიანი ცოლი მისი ბურდუხან და შვილი მათი თამარ, ნათელი და ბრწყინვალება თუალთა მათთა, და მანიაკი ყოველთა მეფეთა, და გვირგვინი ყოველთა ხელმწიფეთა. განრჩეითა და გამორჩეითა, განგებითა და გაგონებითა ზენისა მის ხუედრისა შარავანდედთა შნებელისათა. მეფე იყო თამარ, თანადგომთა ყოველთა პატრიარქთა და ეპისკოპოზთა, დიდებულთა იმერთა და ამერთა, ვაზირთა და სპასალართა და სპასპეტთა. და დაისვა მარჯვენით მისა მეფე და დედოფალი, შემკული და შეძოსილი პირად-პირადითა ფასეულითა ოქროანითა, ბისონითა და ზეზითა:.. დაადგა გვირგვინი ოქროჭსა თავსა მისა... აღმკული იაკინთთა, ზმირთა და სამარაგდოთა შიერ. და მდიდარნი ერისანი ლიტანიობდეს წინაშე პირსსა მისსა“. თამარის მეორედ კურთხევისას „ამას შინა ჰკრეს სპერ-მურთა, ბუკთა, ჭოსთა და წინწილთა, დაიყო ზარი და ხაჭში ქალაქსა შინა, სიხარული და შუება და იმედი უიმედო ქმნილთა. თაყვანის-სცეს, დალოცეს და ადიდეს სპათა შვიდსავე სამეფოისათა“.

„ვეფხისტყაოსანში“ სიტყვა-სიტყვითაა გაშეორებული სახეიმო აძმავი: „თაყვანის-სცეს მეფემან და მისთა სპათა, დალოცეს და მეფედ დასვეს... ბუკსა ჰკრეს და წინწილნი დაატკბობდეს მათთა ხმათა“ (46).

როგორც ზემოთ მივუთითებდით, ნესტანისა და თამარის აღზრდაც ერთნაირ სიტუაციაში ხდება... თათბირი ანუ „რჩევა ნესტან დარეჯანის გათხოვებისა“ შინაარსობრივად ძირითად ხაზებში ემთხვევა „ისტორიათა და აზმათა“ ავტორის მიერ აღწერილ იმ ცნობილ ბჭობას, რომელზედაც თამარის საქმროდ გიორგი რუსის მოყვანა გადაწყდა. ორივე თათბირი მოეწყო სამეფო კარის დიდებულთა (მეფეცა და დედოფალთან დაახლოებულ პირთა) მონაწილეობით თამარისა და ნესტანის დაუკითხავად, მათი სურვილების გაუთვალისწინებლად. ორივეგან სასიძოდ უცხო უფლისწულის მოყვანა გადაწყდა. ორივე თათბირმა ყველასათვის მოულოდნელი შედეგი გამოიღო. ორივეგან ეს შედეგი უარყოფითად გამოელინდა: თამარი დათრგუნეს და „აიძულეს ქმნად ქორწილისა“, ნესტანმა კი ტარიელთან შეთანხმებით შეთქმულება მოაწყო მშობლების წინააღმდეგ.

რის საქმიანობით, ნესტანისადმი სიყვარულითა და მოსარჩლეობით პოეტმა გამოთქვა თავისი შეხედულება სამეფო კარის ცხოვრებაზე, ქვეყნად გამეფებული ზოგიერთი დრომოჭმული ტრადიციების დაცვის მავნეობაზე და პირიქით, სასურველი ტრადიციების უძარცულ ბულოდ რღვევის თაობაზე. ტარიელი ლიტერატურული სახეა შუა საუკუნეების ქართველი რაინდისა, დიდი სახელმწიფო მოღვაწისა, რომელიც იბრძვის სამართლიანობისა და ფეოდალური ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცებისათვის.

შეიძლება ითქვას, თუმცა ტარიელი თავისი ცხოვრებით დიდად განსხვავდება პოემის ავტორისაგან; ეს უკანასკნელი არ არის პირველის ბიოგრაფიული პროტოტიპი, მაგრამ ტარიელი რუსთაველის ბობოქარი სულის განსახიერებაა პოეტურ ასპექტში და, მაშასადამე, პოეტი თავისი გმირივით მეამბოხე მოღვაწეა, ადამიანი, რომელიც ქადაგებს ამაღლებულ იდეებს სიყვარულზე, მეგობრობასა და პატრიოტიზმზე.

ანალოგიური დასკვნის გაკეთება შეიძლება პოემაში მოცემულ მეფეთა სახეების (როსტევანი, ფარსადანი, სარიდანი) გიორგი მესამესთან მიმართების შესახებაც. მართალია, ეს უკანასკნელი არ არის ნაწარმოების გმირი მეფეების პროტოტიპი, მაგრამ მისი პიროვნების ხატება აშკარად გამოსჭვივის სამივე მათგანში ოღონდ კრიტიკულად. ჩვენი აზრით, ფარსადანი გიორგი მეფის პიროვნებასთან ყველაზე მიახლოებული სახეა (უარყოფით მხარეთა გათვალისწინებით), როსტევანი — შესაძლებელი და, ამდენად, სასურველი სიხაბრეილისა, სარიდანი — შედარებით საიდეალო. იგი თავისი ნაბიჯით (რნდოეთის დიდ სამეფოს უქვემდებარებს თავის კუთვნილ სამფლობელოსაც) წარმოგვიდგება მეფედ, რომელიც პირადულზე ძალლა საქვეყნო ინტერესებს აყენებს და ტახტის მემკვიდრეობის საკითხში იცავს დამკვიდრებულ ტრადიციას, ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი პოემაში მკრთალადაა წარმოდგენილი, საგულისხმოა, რომ იგი ტარიელის მამაა.

38-ე გაკვეთილი

მიჯნურობა „ვეფხისტყაოსანში"

მიჯნურობის რუსთველური გაგება

მიჯნურობის საკითხის შესწავლასთან დაკავშირებით აუცილებელია ვიცოდეთ: 1. გარდამავალი ასაკის მოზარდის თავისებურებანი და მასწავლებლის წინაშე მდგარი ამოცანები; 2. როგორია სიყვარულის რუსთველური კონცეფცია, რით განსხვავდება იგი პლატონუ-

რი სიყვარულისაგან (ამ საკითხის სწორად გაშუქებაზე დიდადაა დამოკიდებული პოემის სახოტბო პირისადმი მიძღვნილი სტროფების მართებული ახსნა-განმარტება), რაში მდგომარეობს რუსთველური სიყვარულის არსი[1].

(გარდამავალი ასაკის მოზარდის თავისებურებანი და მასწავლებლის წინაშე დასმული ამოცანები, იხ. წიხ,)

პლატონური სიყვარული და მიჯნურობის რუსთველური კონცეფცია

უპირველეს ყოვლისა, საჭიროდ მიგვაჩნია ყურადღება შევაჩეროთ „სიყვარულისა" და „მიჯნურობის" ცნებებსა და ტერმინებზე.

რუსთაველი სიყვარულის ცნებას იყენებს ფართო გაგებითაც და ვიწრო მნიშვნელობითაც. მაგ., ავთანდილის ანდერძის ერთ სტროფში

„წაგიკითხავს, სიყვარულსა მოციქულნი რაგვარ წერეხ?
...„სიყვარული აღგვამაღლებს", ვით ეჭვანნი, ამას ჟღერენ" (799),

„სიყვარული" ორჯერ გვხვდება. ორივეჯერ ფართო მნიშვნელობით, იგი უდრის კაცთმოყვარეობას (მოიცავს სიყვარულის ყველა სახეს: მშობლიურს, მეგობრულს, სამიჯნუროს და ა. შ.); ტაეპში „საბრალოა, სიყვარული კაცსა შეიქმს გულმოკლულად" (4) სიყვარულის ვიწრო გაგებაა მოცემული. კერძოდ, ამ შემთხვევაში იგი გამოხატავს მიჯნურობას.

სიყვარული თავისი სახეების მიმართ სულ გვარის ცნებად რჩება, ამიტომ ვამბობთ მშობლიური სიყვარული, მეგობრული სიყვარული და ა. შ. მათთვის სპეციფიკური ტერმინი არ არსებობს. ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს პატრიოტიზმი, რომელიც სამშობლოს სიყვარულის გამომხატველი სპეციალური გვიანი ხანის ტერმინია, მაგრამ იგი მისი გვარის ცნების — „სიყვარულის" იდენტური მაინც არ არის მაგ., სამშობლოს ხსნისათვის ბრძოლის ველზე დაცეძულ გმირებზე არ ვიტყვით „სიყვარულს შეეწირნენო", არამედ ვამბობთ: სამშობლოს სიყვარულს შეეწირნენო. პატრიოტიზმისაგან განსხვავებით მიჯნურობა მისი გვარის ცნების სახელით გვხვდება — სიყვარული, ანუ მიჯნურობა.

[1] მასწავლებლისათვის რომ უფრო ხელმისაწვდომი გახდეს რუსთველოლოგიის თანამედროვე მიღწევები და მისი გათვალისწინებით გავაუმჯობესოთ რუსთაველის სწავლება სკოლაში, საჭიროდ მიგვაჩნია, შრომის ზოგიერთი თავი (ზოგჯერ მისი მხოლოდ გაოკეული ნაწილი) წარმოვადგინოთ საკითხის ლიტერატურული და ფილოსოფიური ასპექტების გაშუქებით. აქ წინა პლანზე იქნება წამოწეული ამა თუ იმ საკითხის სპეციალურ ლიტერატურაში დამკვიდრებული ყველაზე მართებული გაგება და პრობლემების არსობრივად წარმოდგენის ცდა, რაც ჩვენ გვესახება საკითხის ფართო და ღრმა შემეცნების ერთ-ერთ საშუალებად.

საინტერესოა პლატონის მსჯელობა საკითხზე, თუ საიდან რა მიზეზით იღებს მიჯნურობა გვარის ცნების „სიყვარულის“ საერთო სახელს და რა განაპირობებს მიჯნურობის გრძნობის სიღრმეს.[1]

ბერძენი ფილოსოფოსის აზრით, „უკვდავების ძძაფრი წყურვილი“, რომელიც სატრფიალო გრძხობის სიღრმეს განაპირობებს, იძლევა საფუძველს, რომ „მიჯნურობა“, როგორც სიყვარულის კერძო სახე, გაუტოლდეს გვარის ცნებას, სიყვარულს; ეს აღტყინება თუმცა ადამიანურია, მაგრამ არაა საყოველთაო, რაც კარგად ჩანს პლატონის შემდეგ სიტყვებში: „ამბობენ, რომ მიჯნური ისაა, ვინც თავის თავის ნახევარს დაეძებსო, ჩემი აზრით, კი სიყვარული სრულიად არ ნიშნავს თავისი ნახევრის ან თუნდაც მთელი თავისი თავის ძებნას, თუ ამ ბოლოს საერთო არა აქვს სიკეთესთან“ (სიკეთე კი ადამიანის, და კერძოდ, დადებითი პიროვნების მიმართ ცნებაა — ნ. რ.). პლატონის აზრით, ეროსი მრავალგვარია: „ყოველი ეროსი როდია ლამაზი და ღირსი ხოტბისა, არამედ, ის, რომელიც ლამაზი სიყვარულისათვის აღგვაგზნებს“.[2] იგი ასხვავებს სხეულებრივ და სულიერ ტრფიალს. მისი აზრით, ადამიანებს შორის რანგის დამდები არის არა მარტო ლამაზი სხეულის, არამედ მშვენიერი სულის ტრფობა.

მაშასადამე, მიჯნურობა არის საკუთრივ ადამიანური გრძნობა, პიროვნების სულიერი აღტყინება, რათა მშვენიერში საწყისში მის მსგავს მშვენიერ სულსა და სხეულში პოვოს მოცალე.

თუმცა პლატონმა შემდგომ უკიდურესობამდე გახავითარა აზრი ადამიანში ხორციელი წადილის დათრგუნვისა, მაგრამ სიყვარულისა და მიჯნურობის, როგორც ცნებების, გვარ-სახეობრივი მიმართება მას ისევე ესმის, როგორადაც დღეს გვესმის ჩვენ.

ახლა საინტერესოა ვიცოდეთ, როგორ იყენებს ამ ტერმინებს რუსთაველი.

რუსთაველი პლატონის მოძღვრებას რომ კარგად იცნობდა, ამას პოემაში მისი სახელის ხსენებაც გვიდასტურებს („მე სიტყვასა ეროსსა გაკადრებ პლატონისგან სწავლა-თქმულსა“)[3] და მისი სიყვარულის

---

[1] იხ. პ ლ ა ტ ო ნი, ნადიმი (თარგმანი ბ. ბრეგაძისა), თბ., 1954, გვ. 18, 54—57.

[2] იქვე, გვ. 21.

[3] ზოგიერთი მკვლევარის (გ. ნადირაძე, შ. ნუცუბიძე, ნ. ნათაძე) აზრით, რუსთაველი ზოგჯერ პლატონის სახელს ეფარება და არისტოტელეს შნოფლძხედველობას აკლენს, რაც მართლაც დასტურდება პოემაში, მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს პლატონის იდეების არცოდნას. ი. ლოლაშვილის მართებული შენიშვნით „შოთა არა მარტო იმეორებს პლატონის აფორიზმს („შური, ტყუილი და ორპირობა თავი არს ყოვლისა უბადობისა“), არამედ „ფილოსოფოსთა ბრძნობის სახით ამ აფორიზმის წყაროსაც ასახელებს“. ამით ავტორი ასაბუთებს, რომ „პლატონის აფორიზმთა კრებული რუსთაველის ეპოქის ძეგლია და რუსთაველური კონცეფციის ერთ-ერთი წყაროც“ („სწავლანი და სიბრძნენი ფილოსოფოსთანი“, თბ., 1969, გვ. 14).

ცნებაზე (პროლოგიდან 20, 21 სტრ.). ძართალია, რუსთაველი „სიყვარულს“ და „მიჯნურობას“, როგორც იდენტურ ცნებებს ხშირად ხმარობს, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში მტკიცედ მიჯნავს ერთმანეთისაგანაც. ერთი შეხედვით, თითქოს ამ მხრივ გამონაკლისია პოემის ის ადგილი, სადაც როსტევანზე (ავთანდილის მიმართ) ნათქვამია — „აქვს მიჯნურობა იმისი, ვითა ბულბულსა ვარდისა“. თუ ტექსტს ჩავუღრმავდებით, დავრწმუნდებით, რომ აქ არც ცნებათა აღრევა გვაქვს, არც — იდენტურობა, პირიქით, იგი ხაზგასმაა მიჯნურობისა. როგორც სიყვარულის სახისა. გავიხსენოთ ტექსტი. ავთანდილი თავის გამზრდელს და პატრონს კი არ ჩამორჩა ნადირობაში. როგორც ამას როსტევანი ვარაუდობდა. არამედ კიდეც აჯობა მას. ამ შემთხვევაში როსტევანს, როგორც მეფეს და პატრონს. ახარებს ავთანდილის მიერ გამოვლენილი სწორუპოვრობა ნადირობაში, მაგრამ მას, როგორც ადამიანს და გამზრდელს. რომელიც მოიხიბლა ავთანდილის რაინდული თვისებებით. „აქვს მიჯნურობა იმისი, ვითა ბულბულსა ვარდისა“. აქ როგორც ვხედავთ, აღგილი აქვს პარაგრაფოლურ შედარებას. როგორც ამას ვხედებით ტარიელ-ავთანდილის უდიდესი მეგობრული სიყვარულის ხაზგასასმელად: „აგრე ვითა შეგიყვარდი? გასაყრელად გეძნელები იადონსა ვითა ვარდი?“. როგორც ვიცით, ვარდისა და ბულბულის, იგივე იადონისა და ვარდის ტრფობა საქვეყნოდ ცნობილია, როგორც მიჯნურთა სახესიმბოლოები, ამდენად ეს შედარება, ხაზს უსვამს მიჯნურობას, როგორც ტრფობის სპეციფიკურ ტერმინს.

ბუნებრივად დგება საკითხი გავაანალიზოთ პროლოგის ის სტროფი, სადაც რუსთაველი ეხება მიჯნურობის თეორიას.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ზოგიერთი მკვლევარი რუსთაველს მოაწერს იმ აზრს, თითქოს პოეტი პროლოგის მე-20 სტროფში — „ვთქვა მიჯნურობა პირველი“ ღმრთისადმი სიყვარულს გულისხმობდეს.[1]

თუ ეს ასეა, მაშინ რუსთაველისათვის სიყვარული და მიჯნურობა, მართლაც იდენტური ცნებები ყოფილა.

ნ. ნათაძე, ეხება რა რუსთაველის „სიყვარულის“ საკითხს, მიმოიხილავს რამდენიმე მკვლევარის (ნ. მარის, შ. ნუცუბიძის, კ. კეკელიძის, ზ. ავალიშვილის და სხვ.) შეხედულებას მე-20 სტროფის შესახებ და ასკვნის: „ქრისტიანული ღმრთისადმი ტრფიალს. („საღმრთო

[1] იხ. დ. ქ უ მ ს ი შ ვ ი ლ ი, მიჯნურობისა და მხატვრული სახის პრობლემა „ვეფხისტყაოსანში“, ა. პუშკინის სახ. თბ., სახ. პედინსტიტუტის შრ. ტ. 21, 1967, გვ. 238. ე. ხ ი ნ თ ი ბ ი ძ ე, მსოფლმხედველობის პრობლემები „ვეფხისტყაოსანში“, თბ., 1975. გვ. 226; ხ. გამსახურდია, „ვეფხისტყაოსნის სახისშეტყველება“, თბ., „მეცნიერება“, 1991, გვ. 124.

ტრფიალი“ დიონისე არეოპაგელისა) ძნელად თუ აღნიშნავდა არაბუ-
ლი სიტყვა „მიჯნურობა“, რომელიც რუსთაველამდეც იმავე მნიშვნე-
ლობით გვხვდება. დიონისესთან ეროსს „ტრფიალი“ ჰქვია და არა
მიჯნურობა. რუსთაველი სიტყვას ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი შემთხვევით არ
ისერის, კერძოდ „სიყვარული აღგვამაღლებს“ — აქ იგი ფართო
ცნებაა: მიჯნურობა რუსთაველთან სიყვარულის კერძო სახეობაა“.[1]

ჩვენი აზრით, პლატონურ-ნეოპლატონური ფილოსოფიის არსი სიყვარულის საკითხში, როგორც ამოსავალი რუსთველური ამაღლებული სიყვარულისა, იმას ნიშნავს, რომ „სიყვარული ღვთაებრივი ბრძენია, ...იგი ღვთის მიერაა შთაგონებული“.[2]

რუსთაველიც ამ აზრისაა: „შენ დაჰბადე მიჯნურობა, შენ აწესებ მისსა წესსა“.

ამდენად, ღვთაებრივი სიყვარული არ ნიშნავს ღვთის სიყვარულს, მიჯნურობას, პირიქით, პლატონური სიყვარული თვით ჰგავს ღვთის სიყვარულს სწორედ იმით, რომ ხორციელ კავშირს გამორიცხავს.

პლატონის აზრით, მართალია, „აბსოლუტური მშვენიერების განსახიერება ღმერთია, ერთეულთა ხვედრია, ეზიაროს ამ სიკეთეს, მაგრამ ეს იმას სულაც არ ნიშნავს, თითქოს მიჯნურობის პირველი სახეა ღვთის სიყვარული ან ადამიანის მიზანი იყოს ღმერთისადმი გამიჯნურება. ღმერთი პლატონთან აბსოლუტური მშვენიერების ზიარების, ამ უმაღლეს სიკეთესთან მიახლოების მიზეზია. ეყაროა (სიყვარულის ნიშით დამჯილდოებელია) როგორც ამას ეხედება დანტესთან, და არა თვით საგანი მიჯნურობისა.

ყოველივე ზემოთქმულის დასადასტურებლად „ნადიმში“ ვკითხულობთ: „დაე, ნურვინ ეურჩება ეროსის ნებას, რადგან ეურჩო მის ნებას ნიშნავს, ღმერთების რისხვა დაიტეხო, ხოლო ღვთაების მეგობრობას და კეთილგანწყობას თუ დავიმსახურებთ, მივემთხვევით კიდეც ჰეშმარიტ საგანს ჩვენი სიყვარულისა, რაც ახლა რჩეულთა ხვედრია მხოლოდ... და როცა ჩვენ ვუმღერით ღ მ ე რ თ ს, მ ი ზ ე ზ ს ამ სიკეთისას, სამართლიანად ვუმღერით ეროსსაც, რომელიც ახლა უდიდეს სამსახურს გვიწევს, როცა მისკენ მიგვიძღვის“.[3]

რუსთაველის შემოქმედებაში, კერძოდ, საანალიზო სტროფში, ყველაზე მეტად პლატონის ზეგავლენა იგრძნობა, რასაც ადასტურებს ინგლისელი ლიტერატურათმცოდნე მორის ბოურაც.[4]

ვიდრე მთლიანად ამოვხსნიდეთ იმ აზრს, რომელიც რუსთაველმა ჩვენთვის ძნელად გასაგებ სტროფში (მე-20) მოათავსა, მანამ უნდა

---

[1] ნ. ნათაძე, რუსთველური მიჯნურობა და რენესანსი, თბ., 1971, გვ. 139.
[2] იხ. პლატონის დასახ. ნაშრომი, გვ. 19.
[3] იხ. პ ლ ა ტ ო ნ ი ს დასახ. ნაშრომი, გვ. 38—39.
[4] მ. ბ ო უ რ ა, „ეეფხისტყაოსანი“, თბ., 1966, გვ. 10.

დავასკვნათ: ღვთის მიმართი სიყვარული არ შეიძლება შმაგი გრძნობა იყოს, რადგან იგი გაპირობებულია ამ უზენაესი ძალისადმი, როგორც ყოვლისშემძლეობისადმი, რწმენითა და შიშით. ამ აზრს დიდებულად გამოხატავს რუსთაველის ტაეპი: „მართლად იტყვის მოციქული: „შიში შეიქმს სიყვარულსა“ (1054).

ახლა გადავიდეთ იმ საკითხის გარკვევაზე, თუ რას უწოდებს რუსთაველი მიჯნურობის პირველ სახეს, რომლის არსის გამოხატვა არის „ძნელად სათქმელი; ...გამოსაგები ენათა, საშირო“, მაგრამ „იგია საქმე საზეო, მომცემი აღმაფრენათა“.

ცხადია, ეს სტროფი მართლაც ყველაზე მეტად გამოხატავს პლატონური სიყვარულის იდეას, მაგრამ საკითხავია რა კუთხით, რა გაგებით?

პლატონის სიყვარულის იდეა ტრფიალებიდან მაღლდება აბსოლუტური მშვენიერების ჭვრეტამდე[1], მაგრამ აშკარაა, აქ საუბარია გენიოსად დაბადებული ადამიანის შესახებ, სულ ერთია სიბრძნის რომელი დარგის მუშაკი იქნება იგი. როცა ასეთ ადამიანს „შობის სურვილი აატოკებს, დაძრწის და ეძებს მშვენიერს, რათა შვას მასში“ (ამიტომაა შმაგი ეს გრძნობა. — ნ. რ.), პლატონის სიტყვით, იგი ერთი სხეულის ტრფიალით უნდა განიმსჭვალოს პირველად, რათა მშვენიერი აზრები დაბადოს მასში. როგორ ესადაგება ამ აზრს რუსთაველის ეს სიტყვები:

„ხამს მელექსე ნაჭირვებსა მისსა ცუდად არ აბრკჳობდეს;
ერთ, უჩნდეს სამიჯნურო, ერთსა ვისმე აშიკობდეს,

---

[1] აქ ჩვენ მოგვიხდება ხაზგასმა იმისა, რომ პოეზია და საერთოდ ხელოვნება არ არსებობს დიდი და დიადი გრძნობის გარეშე. შეიძლება ითქვას, ხელოვანნი ყველაზე უფრო ემოციურნი არიან ამქვეყნად.

„მე რუსთველი, ხელობითა ვიქმ საქმესა ამა დარი:
ვის ჰმორჩილობს ჯარი სპათა, მის თვის ვხელობ, მისთვის მკვდარი“.

აქ პოეტი გულისხმობს არა მარტო ხელობა-პროფესიას, არამედ შმაგობა-გატაცებასაც, ე. ი. შთამაგონებელი საგნის, თუ იდეის ტყვეობით ექსტაზურ შემოქმედებით გარჯასაც. პლატონი თავის მსჯელობაში ყურადღებას აჩერებს სულით „ორსულ“ ადამიანებზე, რომლებიც „ისეთის თესლით ნაყოფიერდებიან და ისეთ ნაყოფს გვაძლევს მერე, რომლის მიცემაც სულს ჰმართებს კაცთა, ხოლო სახელი ამ ნაყოფისა სიბრძნეა და ყველა სახის სხვა სათნოება და მათ პოეტთა და იმ დემიურგოსთა ნიმუშად თვლიან, რომელთაც ფარულსა და იდუმალში ჩაწვდომის ნიჭი მიჰპადლებიათ... და აგრე ორსულს მშვენიერი სხეული უფრო ხიბლავს, ვიდრე მახინჯი, ხოლო როცა მშვენიერ სხეულში სულსაც მშვენიერსა და კეთილშობილს ჰპოვებს, იგი მთლიანად იხიბლება ამ ორმაგი მშვენებით. ამგვარი არსების წიხაზე წამსვე ენამზეობას იწყებს იგი სიქველისათვის და უხსნის, რისთვის უნდა მუშაკობდეს კეთილი კაცი... რადგან მშვენიერთან სიახლოვისა და ურთიერთობის წყალობით შობს იგი მას — სათნოების თესლს, რასაც ღვთის ბოძებულ სულში აღდენხანს ჩანასახის სახით დაატარებდა... მიწყივ თავის სატრფოსთვის ფიქრობს იგი, მას გვერდით თუ მისგან შორს მყოფი“ (სადიში, გვ. 60).

ყოველსა მისთვის ხელოვნობდეს, მას აქებდეს, მას ამკობდეს, —
მისგან კიდე ნურა უნდა, — მისთვის ენა — შუსიკობდეს (18).

რუსთაველს, რომელიც კარგად იცნობდა პლატონის ამ მოძღვრებას (რომლის მიხედვით მიჯნურობის პირველ სახედ ითვლებოდა ხორციელკაშირგამორიცხული ტრფობა და იგი რჩებოდა მხოლოდ უკვდავი ქმნილების შთაგონების წყაროდ), განა აუგად ჩაეთვლებოდა განეცხადებინა:

„ჩემი აწ ცნით ყოველმან, მას ვაქებ, ვიცა მიქია;
ესე მიჩნს დიდად სახელად, არ თავი გამიქიაო!
იგია ჩემი სიცოცხლე, უწყალო ვითა ჯიქია,
მისი სახელი შეფარვით ქვეშორე მითქვამს, მიქია“ (19)

რა ექნა, თუ მას ამ სიყვარულს ვერ გაუგებდნენ? — ამით იგი ვერც მიჯნურობის იმ სახეს წაართმევდა პირველობის სახელს, რომელსაც თვლიდა საზეო საქმედ, და ვერც თავისთავში აღმოფხვრიდა იმ გრძნობას, რაც მას აღმაფრენას გვრიდა. სწორედ თამარისადმი ასეთი ტრფობა მიაჩნდა რა პლატონური სიყვარულის ნიმუშად, აცხადებდა:

„ვთქვა მიჯნურობა პირველი და ტომი გვართა ზენათა,
ძნელად სათქმელი, საჭირო, გამოსაგები ენათა;
იგია საქმე საზეო, მომცემი აღმაფრენათა;
ვიცა ეცდების, თმობამცა ჰქონდა მრავალთა წყენათა“ (20).

მიჯნურობის ეს სახე (ტომი) არის სიყვარულის (გვართა) პირველი და უმაღლესი სახე, რომლის აზრი, იდეა ენით ძნელი გამოსახატავია, „საჭიროა“, მაგრამ „იგია საქმე საზეო, მომცემი აღმაფრენათა“. მან იცის, რომ მიჯნურობის ამ გზით სვლა ბევრ წყენას, ურვა-წუხილს, „თმობას“ (მოთმინებას) საჭიროებს, თუნდაც იმ აზრითაც, რომ ნამდვილი მშვენიერების მხილველი კაცისა და ისეთი გრძნობის მქონე ადამიანისათვის, როგორიც თვით იყო, საძნელო იქნებოდა სულისათვის ხორცს შეწირვა. განა თავისივე თავზე არ ამბობს სიტყვებს, რომელიც თამარის, მისი „ხელმქმნელის“, ხსენებას მოსდევს?:

„თვალთა მისგან უნათლოთა ენატრამცა ახლად ჩენა;
აჰა, გული გამიჯნურდა, მიჰხვდომია ველთა რბენა!
მიაჯეთ ვინ, ხორცთა დაწვა კმარის, მისცეს სულთა ლხენა!..“ (10).

ეს სტროფი სხვამხრივაც არის საინტერესო. ჩვენი აზრით, ამ სტროფის პირველი სამი ტაეპი ამ გაგებას შეიცავს: თვალებს, თამარის ვერ შეხედვით „უნათლოთა“, გადაუწყვეტია მისი სხვა სახით „ჩენა“, ხილვა, წარმოჩინება. არ ვფარავ, რომ გული მიჯნურია და, როგორც

მიჯნურს შეჰფერის, მისგან შორსაა, მერწმუნეთ, დამეთანხმეთ, რომ საკმაოა ტანჯვა იმ ადამიანის, ვინაც ხორცი დაწვა, და ახლა დროა, სულს მისცეს ლხენა, ე. ი. ამ სიყვარულს ხორცი შემოქმედებით შეასხას.

ცხადია, შემოქმედი ფაქტიურად სხვის ნებას ვერ დაელოდება და ვერც ვისმე ბრძანებას დაემორჩილება, როცა მას შემოქმედების ცეცხლი წვავს, და იგი მხოლოდ თავისივე გულის კარნახით ქმნის მას, რასაც ქმნის.

პოეტი თუ რაიმეს ითხოვდა დიდი თამარისაგან, ეს იქნებოდა ნებართვა იმისა, რომ „ეს ობოლი მარგალიტი“ გასულიყო თუ არა მისი ხელიდან მათს სიცოცხლეში. გ. ნადირაძის აზრით, ეს, ერთი მხრივ, რუსთაველის სურვილი იყო, რადგან სახელის მოხვეჭაზე ოცნებობენ როგორც მისი გმირები, აგრეთვე მათი ავტორიც, რაც დასტურდება შემდეგი სტროფით: „ჩემი აწ ცანით ყოველმან, მას ვაქებ, ვინცა მიქია; ესე მიჩს დიდად სახელად, არ თავი გაშიქიქია! (19)[1]. მაგრამ, მეორე მხრივ, პოეტი გრძნობდა, რომ თუ იგი მისი ხელიდან გავიდოდა, მაშინვე გახდებოდა „ხელის-ხელ საგოგონები მარგალიტი“, რის გამო თამარისადმი მისი თაყვანისცემა გახმაურებას ვერ ასცდებოდა; ხოლო სიყვარულის იმ უმაღლეს სახეს, რომელსაც თამარისადმი ტრფობა გამოხატავდა, ვერ გაუგებდნენ და ეგებ ამით მოეყივნებია მისი სახელი.[2]

ამჯერად ჩვენ წინაშე დგას ამოცანა, გაირკვეს საკითხები: 1; რომ რუსთაველის მიჯნურობა თამარისადმი პლატონური სიყვარულის უფრო ტიპური მაგალითია (ვიდრე ამას ურზრიტული ტრფობა და იბნდაუდის თეორია გულისხმობდა), რომლის სწორად გაგების შემთხვევაში არაფერი იყო საუგო ასეთი სიყვარულის გამჟღავნებაში და 2. „ვთქვა მიჯნურობა პირველი“ და „არს მიჯნურობა პირველი“ საუბარია თუ არა მიჯნურობის ერთსა და იმავე სახეზე.

ცნობილია, რომ პლატონური სიყვარული, პირველ ყოვლისა, ემყარებოდა ერთი მშვენიერი არსების ტრფობას, რომელიც სულითაც და სხეულითაც მშვენიერია, მაგრამ „ვინც წრფელი გზით მისდევს ამ მიზანს (იგულისხმება აბსოლუტური მშვენიერების ზიარება, წვდომა), მერე თვითონაც უნდა მიხვდეს, რომ მშვენიერება ერთი რომელიმე სხეულისა მეორე სხეულის მშვენიერებას ენათესავება... ამ აზრით გამსჭვალულმა ყველა მშვენიერი სხეული უნდა შეიყვაროს ერთად“[3].

---

[1] იხ. გ. ნ ა დ ი რ ა ძ ე, რუსთაველის ესთეტიკა, გვ. 128.

[2] გოეთემაც ნათლად გამოხატა შიში იმისა, რომ მის ნაწერებს („ფაუსტი“) ვერ გაიგებდნენ და მას მიმდინარე ცხოვრების ნაგავს წააყრიდნენ.

[3] პ ლ ა ტ ო ნ ი, ნაღიმი, გვ. 61—62.

როგორც ვხედავთ, ეს გზა არის განზოგადების, აბსტრაქციის გზა. (ჩვენი აზრით, იგივეა, რაც ტიპურობის საკითხი)... „ეგ სული მიქცეული მშვენიერების უკიდეგანო ოკეანის საშვრეტად, უნდა ბადებდეს ამაღლებულ სიტყვებს და აზრებს თავის ტრფიალში უხვი სიბრძნისა, ვიდრე აგრე გაბრძნობილი და გამობრძმედილი არ მიადგება ერთადერთ ჭეშმარიტ მოძღვრებას, რომელიც სხვა არა არის თუ არა მოძღვრება აბსოლუტური მშვენიერების შესახებ“[1].

რუსთაველიც ამ გზას გაჰყვა. ალ. ბარამიძე მართებულად შენიშნავს: „რუსთველისათვის თამარი ყოფილა ნამდვილი პოეტური ხილვა, მისი განუმეორებელი და შთამაგონებელი პოეტური სახე... თამარის კვალობაზე ძერწავდა პოეტი ნესტანისა და თინათინის უხიდო სახეებს“[2]. ამ სიტყვებს შეიძლება დავუმატოთ. რომ რუსთაველი თავისი მაღალი სულის, ღრმა და დიადი გრძნობების თარგზე ჭრიდა ავთანდილისა და ტარიელის სახეებსაც. როგორც ვხედავთ, იგი თავის შემოქმედებაში „ერთი რომელიმე კონკრეტული მშვენიერების მონა არა ჩანს“, და ეს მშვენიერი სახები ჰგვანან ერთმანეთს, ანუ ერთის მშვენება ენათესავება მეორისას“, როგორც იტყოდა პლატონი.—ამაშია ხელოვანის ხელოვნება. ამ სიმაღლეზე მდგარ ხელოვანს შეუძლია შედევრების შექმნა. სწორედ ეს სიმაღლე კაცისა იწვევს პლატონის გაკვირვებას — „რას ვიფიქრებდით ჩვენ, თუ ვინმეს შეეძლებოდა ეხილა ეგ მშვენიერება: ნათელი, წმინდა, შეურყვნელი და ბეურევნელი... ღვთაებრივი მშვენიერება“[3] რუსთაველიც ძსეთ მიჯნურობას უწოდებს საზეოს. ამდენად, ასეთი მიჯნურობის გამჟღავნება (თუ ამას გაუგებდნენ) არ იქნებოდა სააუგო. და თუ იგი პროლოგის იმ ვარიანტს დამალავდა, სადაც თამარისა და მისი სახელია ნახსენები, დამალავდა ალბათ იმ აზრით, რომ სწამდა — „მას ერთსა მიჯნურობასა ჰკვიანნი ვერ მიხვდებიან“.

ამიტომაა, რომ რუსთაველი მიჯნურობის ამ ძნელად შესაცნობ სახეს კი არ აშუქებს თავის პოემაში, არამედ, როგორც თვითონვე ამბობს:

„ვთქვნე ხელობანი ქვენანი, რომელნი ბორცთა ჰხვდებიან:
მართ მასვე ჰბაძვენ, თუ ოდენ არ სიძვენ, შორით ბნდებიან“ (21).

რუსთაველი პირველი სახის მიჯნურობას ემიჯნება არა მარტო იმისათვის, რომ მისი გაგება ძნელია, არამედ — იმიტომაც, რომ იგი ერთეულთა ხვედრია. თანაც იმისთანა ერთეულისა, რომელსაც ღვთითბოძებული მადლი ნიჭი აქვს. ჩვენი აზრით, რუსთაველის მიერ თქმუ-

---

[1] ნადიმი, გვ. 62.

[2] ა. ბარამიძე, შოთა რუსთველი და მისი პოემა, გვ. 57.

[3] ნადიმი, გვ. 02.

ლი „სალმრთო“ მიჯნურობას შეეხება თუ პოეზიას, ადამიანის ამ ღვთისბოძებულ მადლს გულისხმობს და არა ღმერთს, როგორც ამაზე მიეუთითებდით ზემოთ. სიტყვა „ღვთიურიც“ ამ აზრითაა ხშირად ნახმარი როგორც პლატონთან, ისე სხვასთან. ზოგჯერ კი შედარებითი მნიშვნელობითაა თქმული—ღვთიური, ე. ი. ღვთის ძალის მქონე, მისი მსგავსი, ტოლფასოვანი. ამ აზრით, პირველი მიჯნურობა თვით ჰგავს ღვთის სიყვარულს, არა შმაგობით, არამედ — სიმაღლით.

ახლა გავარკვიოთ საკითხი ერთსა და იმავე მიჯნურობაზეა თუ არა საუბარი სტროფებში:

„ვთქვა მიჯნურობა პირველი და ტომი გვართა ზენათა...“
„არს პირველი მიჯნურობა არ-დაჩენა, ჰირთა მალვა“.

თუ რა აზრს დებს რუსთაველი პირველ ტაეპში ამაზე უკვე ითქვა და აქ აღარაფერს ვიტყვით. ოღონდ უნდა დავსძინოთ, რომ მიჯნურობის ეს სახე განმეორებით იხსენიება არა 28-ე სტროფში („არს პირველი მიჯნურობა“) არამედ 22-ე სტროფში, სადაც პოეტი მიჯნურობის ტერმინის არაბულ წარმოშობას ეხება.

მაშასადამე, რუსთაველის აზრით, მიჯნურობა ძირითადად ორი სახისაა: ერთია მიჯნურობის უმაღლესი სახე „საზეო“, რომელიც ხორციელ წადილს გამორიცხავს, ჩვენი აზრით, იგივე პლატონური სიყვარული, მეორე — ხორციელი, მაგრამ არა ბიწიერი, არამედ — პირველის მსგავსი.

მიჯნურობის ამ სახეებზეა აქაც საუბარი:

„ზოგთა აქვს საღმრთო სიახლე, დაშვრების აღმაფრენითა.
კელა ზოგთა ქვე უც ბუნება კეკლუცთა ზედა ფრფენითა“ (22).

კერძოდ, აქედან პირველში ისევ პლატონურ სიყვარულზეა საუბარი, ოღონდ პოეტის ერთგვარი კრიტიკული მინიშნებით „დაშვრების აღმაფრენითა“. მეორეში კი მოცემულია მიჯნურობის ის სახე, რომელსაც რუსთაველი ხორცს ასხამს თავის პოემაში[1]. ამ უკანასკნელს, რადგან იგი ხორციელია, კომენტარს უკეთებს ამ სიტყვებით:

მიჯნურობა არის ტურფა, საცოდნელად ძნელი გვარი,
მიჯნურობა სხვა რამეა, არ სიძვისა დასადარი (24).

ამას მოსდევს მსჯელობა იმის შესახებ, თუ რით განსხვავდება სიძვა მიჯნურობისაგან. პოეტი თუმცა გვეუბნება, რომ სიძვას მიჯნურობა არც ჰქვია — „ამა საქმესა მიჯნური ნუ უხმობს მიჯნურობასა-ო“,

[1] რუსთველური სიყვარული ხორციელ წადილს რომ არ გამორიცხავს, მაგრამ არ დომინირებს გმირთა გრძნობაში, არამედ ითრგუნება, ეს კარგად ჩანს ნესტანტარიელის ქცევაშიც: „და დამიწყო ქვე-ქვე წვევა, მწადდა, მაგრა ვერ შევკადრე, შემოკდომა, შეშოხვევა“.

შაგრამ ამ თქმაშიეე ჩანს, რომ ზოგი სიძვასაც მიჯნურობას უწოდებს, ამიტომ ხაზგასმით აღნიშნავს: „კარგი მიჯნური იგია, ვინ იქმს სოფლისა თმობასაო“, რითაც მის მიერ ხორცშესხმული მიჯნურობის საზეო მიჯნურობასთან ახლო დგომაზე მიგვანიშნებს. შეიძლება ითქვას, როგორც საღვთო სიახლის მქონე სიყვარული არაა საყოველთაო, იგი მოკვდავთა შორის იშვიათი მოვლენაა, ასევე მის მიერ ხორცშესხმული მიჯნურობაც, რჩეულთა ხვედრია. ამაზე მიგვანიშნებს რუსთაველის სამიჯნურო კოდექსიც „მიჯნურსა თვალად სიტურფე მართებს“... (23). მასზე ყველას არ მიუწვდება ხელი, იგი ბუნების ჯილდოა, ღვთიური მადლი. ამ აზრით, მოკვდავთა შორის არსებული ტრფობის სახეებიდან ეს მიჯნურობა არის პირველი. სწორედ ამას გულისხმობს რუსთაველი: „არს პირველი მიჯნურობა, არ დარჩენა ჰირთა მალვა“... (11).

სიყვარული რუსთაველისათვის, ერთი მხრივ, ტკივილისა და ტანჯვის, მეორე მხრივ, პიროვნების ამაღლების საფუძველია, რომლის გაძლიერებას ღმერთს შესთხოვენ:

„მომეც მიჯნურთა სურვილი, სიკვდიმდე გასატახისი“ (2).

რუსთველური სიყვარულის გაგება-შესწავლისათვის

გთავაზობთ იმ პრობლემურ კითხვებს, რომლებიც წარმოიშობა ტექსტის შესწავლის დროს მოსწავლეთა ასაკობრივი ინტერესების შედეგად:

1. თუ ტერმინი „მიჯნური“ არაბულიდან მოდის, რა გვაქვს ქართულში მისი შესატყვისი? (სიყვარული ხომ ფართო ცნებაა?).

2. როგორ აღმოცენდება სიყვარული, შეიძლება თუ არა ერთი ნახვით შეყვარება?

3. მიჯნურობის გრძნობა შეიძლება თუ არა გააჩნდეს ფიზიკურად ულამაზო (ნაკლები შესახედაობის) ადამიანს?

4. დგას თუ არა სიყვარულის გამხელის საკითხი მიჯნურებთან?

5. სჭირდება თუ არა სიყვარულს გამოცდა (დაყოვნება, შეფასება, დარწმუნება)?

6. შეიძლება თუ არა მრავალჯერადობა სიყვარულისა ან სამიჯნურო სიყვარულის განაწილება (ერთდროულად 2 პიროვნების შეყვარება)?

7. რომელი წელი ითვლება სიყვარულის ასაკად და როდემდე შეიძლება გაგრძელდეს იგი?

8. რატომ არის მიჯნურობა სამალავი გრძნობა? ან როდემდეა სამალავი?

9. ღღევანდელ ადამიანებში თუ აქვს ადგილი ასეთ მაღალ გრძნობას?[1]

როცა ტექსტზე მუშაობა ძირითადად დამთავრებულია, გმირები — დახასიათებული (სამივე ძირითადი მოტივის მიხედვით — მიჯნურობა, მეგობრობა, პატრიოტიზმი), ახლა საინტერესოა თვითონ საკითხის რუსთაველური გაგების. თვალსაზრისის გამოკვეთა, შესწავლა.

მიჯნურობის მოტივის შესწავლის წინ მოსწავლეებს ვავალებთ, მოიტანონ სასკოლო „ვეფხისტყაოსანი". ვიდრე მათ პროლოგის სათანადო ნაწილს გავაცნობდეთ, ვსვამთ რამდენიმე ფრონტალურ კითხვას:

1. ვის უძღვნის პოეტი „ვეფხისტყაოსანს"? მოვიგონოთ პროლოგიდან სათანადო სტროფი, ან ტაეპი („თამარს ვაქებდეთ მეფესა"...).

2. ვინ და რამ შთააგონა პოეტს ამ პოემის დაწერა?

3. როგორი სიყვარულით არიან დაკავშირებული ერთმანეთთან რუსთაველის გმირები? რით გვირგვინდება მათი ტრფობა?

4. ვისი და როგორი სიყვარულია გაკიცხული პოემაში?

5. როგორები არიან გარეგნულად რუსთაველის მიჯნურები?

6. რა სულიერი თვისებები ამკობს მათ ბუნებას?

7. მიჯნურობის დამახასიათებელი ნიშნები.

8. როგორი უნდა იყოს მიჯნური გრძნობის სხვასთან გამჟღავნების საკითხში? (მოვიგონოთ ავთანდილის საუბარი შერმადინთან).

ამ კითხვებზე პასუხებს მოსწავლეები იძლევიან პროლოგის შესწავლილი სტროფების (1—11) გამოყენებით და ტექსტის ცოდნაზე დაყრდნობით.

რუსთველური მიჯნურობის კონცეფციის დასადგენად და დასაზუსტებლად მოსწავლეთა პასუხების კვალდაკვალ ვკითხულობთ პროლოგის შესაბამის სტროფებს. ბოლოს სათანადო კომენტარით წავიკითხავთ 29, 30, 31, 32 სტროფების იმ სტრიქონებს, სადაც ავტორი ხაზს უსვამს სიყვარულის სხვასთან გაუმჟღავნებლობის, მისი საიდუმლოდ შენახვის საჭიროებას, „შეფერების" და „არ დაჩენის" აუცილებლობას. ხოლო ამის შემდეგ მოსწავლეებს ვაკითხებთ მე-19 სტროფს („ჩემი აწ ცანით ყოველმან, მას ვაქებ"...) და დავსძენთ — რაშია საქმე? ნუთუ რუსთაველს ჩვენი სასიქადულო მეფის სახელის მოყივნება-შერცხვენა, შებღალვა განუზრახავს? იმ მეფისა, რომლის თაყვანისცემამ შეაქმნევინა ეს შედევრი? ან იქნება წინააღმდეგობაში ვარდება პოეტი, როგორც ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს? იქნებ პროლოგის ეს ადგილები, მართლაც, პოემის გამგრძელებელ-ინტერპოლატორთა მიერაა შერყვნილი?

[1] კითხვების უმრავლესობა დასმულია VIII — IX — X კლასების მოსწავლეთა ერთობლივი მუშაობის დროს (წრეში).

— არც ერთი, არც მეორე. ესაა პლატონური სიყვარული (სიყვარული, რომელიც გამორიცხავს ხორციელ წადილს და მხოლოდ პოეტური შთაგონების წყაროდ რჩება, აღმფრენის მიმცემ გრძნობად ითვლება), რომელიც იმდენად მაღალი, ზენაარული („საზეო") გრძნობაა, მას ყველა მოკვდავი ვერც გაიგებს, ვერც დაიჯერებს („ენა დაშვრების, მსმენელისა ყორნიცა დაჯალდებიან"). იგი გენიათა ხვედრია. ასეთი შემოქმედის საქმე თავმოსაწონებელია, სანაქებოა. ამიტომაა გამგებთა გასაგონად ასე ამაყად რომ აცხადებს რუსთაველი: „ესე მიჩნს დიდად სახელად, არ თავი გაჰქიქიაო" (ფაკულტატურ მეცადინეობაზე მოსწავლეებს შეიძლება გავაცნოთ პლატონის „ნადიმის" სათანადო ადგილებიც).

ამის შემდეგ მოსწავლეებს ვაწერინებთ მიჯნურობის ანალიზის გეგმას (რასაც ეუკეთებთ სათანადო კომენტარებს) და ვავალებთ, რომ თემა — მიჯნურობა „ვეფხისტყაოსანში" მოამზადონ პროლოგის სათანადო ადგილების გამოყენებით, ლიტერატურის სახელმძღვანელოსა და რვეულებში გაკეთებული ჩანაწერების დახმარებით.

მიჯნურობის ანალიზის გეგმა, რომელიც ამავე დროს მასწავლებლის სამუშაო გეგმაც არის, ასე გვესახება:

მიჯნურობა „ვეფხისტყაოსანში" (ანალიზის გეგმა)[1]

I. შ ე ს ა ვ ა ლ ი.

1. მწერალი, ეპოქა, ნაწარმოები (მითითება).

2. რუსთაველის მიერ სიყვარულის საკითხის პრობლემურად დასმის რეალური საფუძვლები და ამ მოტივის ადგილი და მნიშვნელობა პოემაში.

II. ძ ი რ ი თ ა დ ი ნ ა წ ი ლ ი. სიყვარულის რუსთველური გაგება.

1. სიყვარულისა და მიჯნურობის ცნებათა ურთიერთმიმართება.

2. მიჯნურობის დამახასიათებელი ნიშნები: ერთფერობა—მოცალეობა, მაღალზნეობრიობა („შორით ალვა"), თავდადება და სხვ.

3. მიჯნურობა, როგორც ჰუმანიზმის გამოხატულება — კეთილშობილური, მასტიმულირებელი, მეგობრული გრძნობა.

4. მიჯნურობა, როგორც მშვენიერება (ესთეტიკური ფენომენი).

ა) სილამაზე — სიყვარულის დასაბამი;

ბ) ფიზიკურ და სულიერ თვისებათა ჰარმონია, რუსთაველის სამიჯნურო ფორმულა;

[1] ამგვარი სახის გეგმების შეტანის დროს მოსწავლეებს შევახსენებთ, რომ გეგმა შაბლონი არ არის, შეიძლება როგორც საკითხთა გადაადგილება, ისე მათი გამდიდრება მიზანშეწონილად მიჩნეული პუნქტებით. მივუთითებთ, რომ მხატვრულობის გათვალისწინება აუცილებელია როგორც თხრობის, ისე თემის დაწერისას (უმჯობესია მოკლე ციტატებს წინადადებაში მოხდენილად ჩართვა).

გ) მშვენიერი, ამაღლებული გრძნობა, არასაყოველთაო, რჩეულთა ხვედრი.

5. სიყვარულის სოციალური მნიშვნელობა.

ა) სიყვარული, როგორც ნებაყოფლობითი ქორწინების საწინდარი, მტკიცე ოჯახის საფუძველი;

ბ) სიყვარული, როგორც ჯანსაღი საზოგადოებრივი ურთიერთობის განმაპირობებელი, ქვეყნის ძლიერების წყარო.

III. დასკვნა.

1. ისტორიული სინამდვილის ანარეკლი პოემაში.

2. რუსთაველის იდეების დაპირისპირება რელიგიასა და „დრომოჭმული ტრადიციებისადმი".

3. რუსთაველის ადგილი მსოფლიო ლიტერატურაში.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: მოტივების სწავლებისას რეკომენდებულია როგორც ლექციური, ისე საუბრის მეთოდი (მეთოდების არჩევანს განსაზღვრავს კლასის მომზადება).

გეგმის მიხედვით თემის („მიჯნურობა") გაშლისათვის საჭიროდ მიგვაჩნია, გავაკეთოთ მოკლე კომენტარი, მოსწავლეებს მივუთითოთ და მივცეთ ნიმუში ზოგიერთი პუნქტის თხრობით ჩამოყალიბებისა, ციტატების გამოყენებისა, შემდეგ კი მათ მოვთხოვოთ, რომ საკუთარი ინიციატივით გაშალონ ესა თუ ის პუნქტი და მოიტანონ სათანადო ციტატები.

გეგმის შესავალი ნაწილის მიმართ შევნიშნავთ, რომ თემის ზეპირად გადმოცემის დროს ყოველთვის საჭირო არაა მითითება მწერალზე, ეპოქასა და ნაწარმოებზე. აუცილებელია ხაზგასმით აღინიშნოს, თუ რა პრობლემას აყენებს მწერალი, რა სიახლით ხასიათდება იგი წინანორბედებთან და თანამედროვეებთან შედარებით, რა ადგილი უჭირავს ამ პრობლემას პოეტის შემოქმედებაში.

თემის ძირითადი ნაწილის შესახებ შევნიშნავთ: უმჯობესია რუსთველური მიჯნურობის არსი ჩამოყალიბდეს თითოეული პუნქტის გაშლით. მაგ., I პუნქტის მიმართ შეიძლება ითქვას, რომ სიყვარულის გრძნობა, რუსთაველის გაგებით, რთული განცდაა, მძაფრი კონფლიქტების და წამების შემცველია. აი, როგორ ახასიათებს რუსთაველი ავთანდილის სიყვარულის გრძნობას:

„გულსა მისსა მიჯნურობა მისი ჰქონდა დამალულად:
რა მოშორდის, ვერ-მჳვრეტელმან ვარდი შექმნის ფერ-ნაკლელად;
ნახის, ცეცხლი გაუახლდის, წყული გახდის უფრო წყულელად.
საბრალოა, სიყვარული, კაცსა შეიქმს გულ-მოკლულად!" (42).

ან — „მაშინ ვერ გავძელ სიახლე. აწ სიშორესა ვინანი". დანარჩენი გმირების სიყვარულიც ასეთივე რთული და ღრმაა. იგი რაღაც დაუძ-

ლეველი ენერგიით იმორჩილებს მთელ არსებას და მათ სულიერ ცხოვრებას თავისებურ ელფერს აძლევს. (გ. ნადირაძის თქმით, მისი დახასიათებისათვის შეუძლებელია უკეთესი სიტყვა მოინახოს, ვიდრე — „გახელება“, უკეთესი პოეტური სახე იქნას გამოყენებული ვიდრე — „გულზე ცეცხლის მოდება“).

ამავე პუნქტის სხვა ვარიანტით გაშლა ასე შეიძლება:

მიჯნურობა, რუსთაველის გაგებით, არ არის იმგვარი ხორციელი სიყვარული, როგორიც მოცემულია „ვისრამიანში“; იგი გარკვეით ამბობს:

„მიჯნურობა არის ტურფა, საცოდნელად ძნელი გვარი;
მიჯნურობა სხვა რამეა, არ სიძვისა დასადარი“ და ა. შ.

მესამე ვარიანტი. მართალია, რუსთაველის გაგებით მიჯნურობა ძლიერი ვნებაა, შმაგი ლტოლვა („მიჯნური შმაგსა გვიქვიან არაბულითა ენითა, მით რომე შმაგობს მისისა ვერ მიხვდომისა წყენითა“). მაგრამ იგი არ არის ვისისა და რამინის სიყვარულის მსგავსი ხორციელი სწრაფვა, ნამდვილ სიყვარულს ახასიათებს „შორით ბნედა, შორით კვდომა, შორით დაგვა, შორით ალვა“ (28) და ა. შ. დიდი გრძნობის ადამიანში სიყვარული ზოგჯერ წარმოიშობა ერთბაშად, „როგორც მეხის დაცემა“ — „ჭალსა შეეხედენ ლახვარი მეცა ცნობასა და გულსა“, — იგონებს ტარიელი.

დამახასიათებელი ნიშნები:

რუსთაველის აზრით, სიყვარულის გრძნობა ბუნების ჯილდოა, ღვთიური მადლი. იგი რომ ნამდვილი — მაღალი, ღრმა, ინტენსიური და „ხანიერი“ იყოს. საჭიროა ერთფერობა[1] და მოცალეობა. ნესტანსა და ტარიელზე ნათქვამია: „აჰა, შეხვდა შესაფერი ყმა ქალსა და ქალი ყმასა“.

სიყვარული მიზიდულობის უფრო დიდ ძალას მაშინ ავლენს, როცა მიჯნურნი ურთიერთისაგან შორს არიან: „შორით ბნედა, შორით კვდომა, შორით დაგვა, შორით ალვა“ (28), — ასეთია რუსთველური სიყვარულის ერთ-ერთი ნიშანი. სწორედ ეს ნიშანი (დისტანცია) განასხვავებს ნამდვილ გრძნობას მრუშობისაგან და ღვთიურ სიყვარულთან აახლოვებს.

---

[1] ერთგვარობა უნდა გვესმოდეს, როგორც დაახლოებით ერთნაირნი: გარეგნული სიმშვენიერითა და შინაგანი სულიერი მხარეებით — ინტელექტუალური დონით, ემოციებით (გრძნობით), მისწრაფებებით, ცხოვრებისადმი მსგავსი შეხედულებებით და სხვ.

სიყვარულის ერთ-ერთი ნიშანი თავდადებაა — „შენი სიცოცხლე მეყოფის ჩემად იმედად გულისად", — წერს ნესტანი ტარიელს. ამგვარი გრძნობებით დაკავშირებული ადამიანთა სიყვარული მუდმივია.

შევჩერდეთ გეგმის ძირითადი ნაწილის მე-4 საკითხის — მიჯნურობა როგორც მშვენიერება (ესთეტიკური ფენომენი) ზოგიერთ პუნქტზე.

ტექსტზე მუშაობისას მოსწავლეებს ყურადღება მივაქცევინეთ ნესტანის ქცევაზე: ტარიელის დაბნედვისა და მისდამი პირველი წერილის გაგზავნის შემდეგ ნესტანმა იხმო მიჯნური. პოეტი შეხვედრის მომენტს ასე აღწერს:

„ამიგდო ქალმან ფარდაგი მძიმე თავისა ძალითა,
სადა დგა კუბო შეშკული ბალახშითა და ლალითა;
შიგან ჯდა იგი პირითა მზისაებრ ელვა-მკრთალითა,
მე შემომხედნის ლამაზად მის მელნის ტბისა.
თვალითა" (400).

რა უნდა ითქვას და ვინ დაიწყოს საუბარი? აი პრობლემა ახლა შექმნილი სიტუაცია „სათქმელის სიძნელისა"... ენა უძლურდება და ვერც ერთი ვერაფერს და არაფერს ამბობს... სიტყვის ადგილს იპერს დუმილი და ეს დუმილი „ამბობს", გამოხატავს იმაზე მეტს, ვიდრე ამას ამ მომენტში ენა შეძლებდა. ერთი სიტყვაც კი, ალბათ, ამ ამაღლებულ განცდას შებღალავდა, მოაკლებდა იმას, რაც მშვენიერების სახით მოგვეცა... ერთი სიტყვით, საუბარს ცვლის შემოხედვა და დუმილი:

„დიდხანს ვდეგ და არა მითხრა სიტყვა მისსა მონასურსა.
ოდენ ტკბილად შემომხედნის ვითამცა რა შინაურსა:
ასმათს უხმო, მოიუბნეს; ქალი მოდგა, მითხრა ყურსა:
„აწ წადიო, ვერას გითხრობს", მე კვლა მიმცა ალმან მურსა" (401).

— იგონებს ტარიელი.

საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ პირისპირ მყოფი მიჯნურები არასდროს მიმართავენ სიტყვას „მიყვარხარ". ამგვარი საქციელის მშვენიერებას კარგად გვიხსნის ალ. ჭავჭავაძე ლექსში „არ გეტყვი", რომელიც სატრფოსადმი მიწერილ წერილშია გაცხადებული:

„ნუ ელი გრქუა მიყვარხარ, დუმილს ვრაცხ უმჯობესად,
მაგრამ იცოდე, გეტრფი ზაზომზე უაღრესად"...

ასე გარდაისახება და ცხადდება დუმილი მშვენიერებად. გამოუთქმელობა აძლიერებს წადილს, მშვენიერება გულით იგრძნონ. ზოგჯერ ეს მაქსიმალობამდე მიდის და მაშინ გული იქცევა ცნობიერების ცენტრად, ხოლო მგრძნობელობა ცნობიერების უნივერსალურ ფორმად და ასეთი „მგრძნობელობა სჯობს ყოვლთ თვისებათ ცით

მოვლენილთა, შვენებასაც და გონებასაც ის ასულდგმულებს“ (ალ. ჭავჭავაძე „შენის გონების“). „მხოლოდ დუმილში განიცდება დიდი მშვენიერება“...[1]

ყურადღებას შევაჩერებთ სამიჯნურო კოდექსად წოდებულ სტროფზე (23), რადგან მიჯნურისათვის საჭირო ჩამოთვლილი ღვიძლებიდან ოდითგანვე დავას იწვევდა „სიუხვისა და სიმდიდრის“ ხსენება (ზოგ გამოცემაში „სიმდიდრის“ ნაცვლად „სიმაბლე“ გვხვდება და „სიბრძნე“-ს ნაცვლად „სიბრძნეთ“). ამ სტროფის წაკითხვასა და გაშიფრვაში ჩვენ ვეყრდნობით მკვლევარ გ. იმედაშვილის ინტერპრეტაციას:

„მიჯნური შეხედულებით არაჩვეულებრივად ლამაზი უხდა იყოს, სახის მშვენიერებით მზეს ედარებოდეს.

ის დაჯილდოებული უნდა იყოს ყველა აღმატებული გრძნობით; — ბრძენი უნდა იყოს, რომ სწორად განსაჯოს. — მდიდარი, რომ ნაკლებობა არ იგრძნოს, გულუხვი, რომ სახელის სიამოვნება არ მოაკლდეს, გულადი ვაჟკაცი — მტერს გაუსწორდეს და თავისი შეყვარებულის ღირსეული ცალი იყვეს. ყველაფერში თანასწორი, რომ სიყვარულში შეეფერებოდეს.

მას ენა უნდა უჭრიდეს — შეყვარებულს ტკბილად ელაპარაკოს, ჭკვიანი, მომთმენი (ნებისყოფიანი—ნ. რ.), ბრძოლაში — მჯობთა მჯობი.

ვისაც ეს თვისებები არა აქვს, ის ნამდვილ მიჯნურად ვერ ჩაითვლება, ეკლება მიჯნურობისათვის საჭირო ზნე-ჩვეულება. „მკვლევარს. ყოველივე ეს მეცნიერულად აქვს დასაბუთებული. აი ზოგი ფრაგმენტი: „რუსთაველი აგვიწერს დიდგვაროვანი წრის მიჯნურობას, რომლისთვისაც სიმდიდრე წინასწარაა მოცემული როგორც ყოველგვარი პირობის გარეშე არსებული მეფური ღირსება. იქ, სადაც არ არის სიმდიდრე, სიუხვე თავისთავად შეუძლებელია. რუსთაველი მას იაზრებს როგორც ფაქიზ ხასიათთა ხვედრს... სიმდიდრე მხოლოდ გულუხვობის ილუსტრაციაა. ძვირფასეულობა მათ ხელში მხოლოდ გასაჩუქრება-ბოძების საგანს წარმოადგენს... სიმდიდრეც მხოლოდ ამ ნატიფი ხასიათის გააზრებისათვის სჭირდება“[1].

აქვე ერთსაც აღვნიშნავთ: მოცალეობა და სიყმე (სირმე) ორმაგმნიშვნელოვანი სიტყვებია. პირველი არ გამორიცხავს მოცლილობის, თავისუფალი დროის საჭიროების მნიშვნელობასაც. მაგრამ. უპირველეს ყოვლისა. იგი ტოლ-სწორის, შესაფერისის გამომხატველია. მეორე — სიყმე (სიყრმე), რომლის ახსნა გ. იმედაშვილ-

---

[1] რ. სირაძე. ლიტერატურულ-ესთეტიკური ნარკვევები, თბ., 1987, გვ. 219.


[2] გ. იმედაშვილი, „ვეფხისტყაოსანი“ და ძველი ქართული მწერლობა, თბ., 1989, გვ. 112, 113.

თან უთუოდ მექანიკურადაა გამოჩენილი, რაინდობასაც გულისხმობს და ასაკსაც. როგორც ზემოთაა ნათქვამი, რუსთაველი ორმაგმნიშვნელობის სიტყვას ხშირად ხმარობს. ასეთი იყო ხ ე ლ ო ბ ი თ ა (ვ ხ ე ლ ო ბ) და სხვ.

მიჯნურობის რუსთველური კონცეფციის სათანადო იდეის გაჯოკეთისათვის მივმართავთ საუბრის მეთოდს:

— პოემაში დასმულ რომელ ძირითად საკითხს გავეცანით?

მასალის მკაფიო წარმოდგენისათვის ვიყენებთ დაფას, ცარკ. და პირველად ვაძლევთ ასეთ სქემას.



განვაგრძობთ საუბარს:

რომელი ტაეპი მიგაჩნიათ სიყვარულის ყველაზე ზოგადი და სპეციფიკური აზრის გამოხატულებად, ისეთად, რომ იგი გამოდგეს საბოლოო დასკვნისათვის?

მოსწავლეებს მიაქვთ სათანადო ტაეპები 20-ე, 21-ე, 22-ე, 23-ე, 24-ე, 42-ე, 799-ე სტროფებიდან.

ზოგადი და სპეციფიკური აზრის შემცველი ფრაზის შერჩევის მიზნით ვსვამთ კითხვებს და თანდათან ვაახლოებთ მართებულ დასკვნასთან. ბოლოს მე-20 სტროფის მე-4 ტაეპს ვწერთ მიჯნურობის კონტურული მონახაზის ქვემოთ ისრის ჩვენებით და ვაკეთებთ კომენტარს: მართალია, ტექსტის მიხედვით ეს გამოთქმა პლატონურ სიყვარულს ეხება, მაგრამ პოემაში გადმოცემული სიყვარული, არსებითად განსხვავდება რა სიძვისაგან, უახლოვდება პლატონურ სიყვარულს („მართ მასვე ბაძვენ, თუ ოდეს არ სიძვენ შორით ბნდებიან". — ამბობს პოეტი). სიტყვა „საზეო" რუსთაველთან ამაღლებულის მნიშვნელობას იძენს. ჩვენ მას მივიჩნევთ ჩვეულებრივ რუსთველურ პოეტურ ფორმულად და ამ ასპექტით ვაზოგადებთ.

იმის ნათელსაყოფად თუ რამდენად ღრმად აითვისეს მოსწავლეებმა მასალა, მოგვაქვს თბილისის 142-ე საშ. სკოლის მოსწავლის (მ. ხ.) ნამუშევარი.

მიჯნურობა „ვეფხისტყაოსანში".

„სიყვარული აღგვამაღლებს"

მიჯნურობა პოემის ერთ-ერთი მთავარი მოტივია. თავის შეხედულებას სიყვარულზე რუსთაველი პოემის შესავალშივე გადმოგვცემს:

„მიჯნურობა არის ტურფა, საცოდნელად ძნელი გვარი".

სიყვარულს რუსთაველი მაღალადამიანურ ბუნებრივ გრძნობად სახავს. იგი ემიჯნება როგორც პლატონურ სიყვარულს, ასევე ისეთ ხორციელ გატაცებას, როგორსაც ადგილი აქვს ვისისა და რამინის ტრფობაში. პოეტის მიერ დახატული გმირთა სიყვარული არ გავს სიძვას. მათი სიყვარული სხვაა, „სიძვა სხვაა, შუა უზის დიდი ზღვარი". რუსთველური სიყვარული თავისი სისპეტაკითა და სიმაღლით ღვთის სიყვარულს ედრება. პოეტი მის მიერ გაშუქებული სიყვარულის შესახებ ამბობს:

„მართ მასვე ჰბაძვენ, თუ ოდენ არ სიძვენ. შორით ბნდებიანო".

პოეტის გაგებით, სიყვარული, ერთი მხრივ, მტანჯველი გრძნობაა. იგი ადამიანს გულს უკლავს: „საბრალოა სიყვარული, კაცსა შეიქმნს გულ-მოკლულად", მაგრამ ეს გრძნობა ამავე დროს ამამაღლებელ-გამაკეთილშობილებელი ვნებაცაა. ნამდვილი გრძნობა მხოლოდ მაღალი მისწრაფებების ადამიანებში იბადება. თავდაპირველად იგი გარეგნულ სილამაზეს ემყარება. მაგრამ თუ ასეთი წყვილი სულიერი თვისებებითაც ერთფერნი აღმოჩნდნენ, იგი შმაგ გრძნობად იქცევა — „დავეცი, დავბნდი, წამიხდა ძალი და მხართა და მკლავისაო" — იგონებს ტარიელი ავთანდილთან საუბარში.

სწორ შეფასებას აძლევს ილია სიყვარულის რუსთველურ გაგებას: „დიდი გრძნობა უტყვია, პატარა კი — ყბედი და ლაქლაქა". მართლაც, რუსთაველის გმირებს ერთმანეთთან სიყვარულის გამხელაც არ სჭირდებათ. ისინი უსიტყვოდ გრძნობენ და გამოსცნობენ ერთმანეთის გულისთქმას. ამის გამოა, რომ ტარიელის გულწასვლის მიზეზს ნესტანის გარდა ვერავინ იგებს, იგი, თავის მიხვედრილობაში სრულიად დარწმუნებული, წერს ტარიელს: „ნუ დაიმჩნევ, ლომო, წყლულსა. მე შენი ვარ, ნუ მოკვდები". ამავე მიხვედრილობამ გააბედვინა თინათინს ავთანდილისათვის ეთქვა:... „ჩემი მიჯნური ხარ, დასტურია. არ ნაჭორად".

რუსთველური სიყვარული არ არის მხოლოდ ღრმა და ძლიერი გრძნობა, იგი ამამაღლებელ-გამაკეთილშობილებელი ვნებაა. ნესტანი ტარიელს თუმცა ანუგეშებს „მე შენი ვარო", მაგრამ იქვე უგმობს გრძნობაჭარბ, უმოქმედო სიყვარულს და მას საგმირო საქმეებისაკენ მოუწოდებს:

„ბედითი ბნედა, სიკვდილი რა მიჯნურობა გგონია?
სჯობს საყვარელსა უჩვენნე საქმენი საგმირონია".

ტარიელიც, სიყვარულით შთაგონებული, აელენს საგმირო-სამამაცო ზნეს.

რუსთაველი პოემის პირველ ნახევარში გვიჩვენებს სიყვარულით შთაგონებულ ბედნიერ წყვილთა ლამაზ ყოფას, მაგრამ „ცრუ და მუხ-

თალი სოფელი მიწყივ ავისა მქნელია". იწყება რუსთაველის გმირთა დაბრკოლებებით სავსე ცხოვრება. ტარიელი სატრფოს კარგავს, ავთანდილი კი მიჯნურისაგან მეტად სერიოზულ დავალებას იღებს.

ვის და რას ეჭიდებიან რუსთაველის გმირები?

სრულყოფისაკენ მსწრაფი გმირებისათვის სხვებზე უფრო ადრე ხდება ნათელი ამქვეყნიური ყოფის მანკიერებანი—გაუტანლობა, შური, უსამართლობა, ძალმომრეობა, რომლის გამო ითელება ნამდვილ-ადამიანური ღირსებანი — სიყვარული სატრფოსი, მოყვასისა, ხალხისა და ქვეყნისა.

დაბრკოლებებთან ჭიდილში იწრთობა გმირთა ნებისყოფა. ისინი იზრდებიან და მშვენდებიან არა მარტო გარეგნულად, არამედ სულიერადაც მაღლდებიან.

რუსთაველის გაგებით, სატრფო და მიჯნური გარეგნულად თვალწარმტაცნი და შინაარსითაც სამაგალითონი უნდა იყვნენ:

> „მიჯნურსა თვალად სიტურფე ჰმართებს, მართ ვითა მზეობა,
> სიბრნე, სიუხვე, სიმდაბლე, სიყმე და მოცალეობა,
> ენა, გონება, დათმობა, მძლეთა მებრძოლთა მძლეობა".

ეს შინაგანი მშვენიერებაა, რომ მათ გარეგნობას ასეთ თვალწარმტაც იერს აძლევს. პოემის გმირები ნამდვილი ვაჟკაცები და რაინდები არიან: ბრძენნი, ჰკვიანნი, „მძლეთა მძლე", მომთმენი, მოკრძალებულნი.

მართალია, მიჯნურობა სიყვარულის სახეთა შორის ყველაზე ინტიმური გრძნობაა, მაგრამ იგი სიკეთისაკენ მოგვიწოდებს და აგვამაღლებს, ამიტომ გრძნობა, რომელიც სხვის სიცოცხლეს საკუთარზე წინ აყენებს („შენი სიცოცხლე მეყოფის ჩემად იმედად გულისად") თვით იწვის და სხვას უნათებს, არ შეიძლება იყოს უბრალო განცდა. იგი ბუნების ჯილდოა, ღვთიური მადლი და ამიტომაც უნდა დაფასდეს მისი მფლობელი.

რუსთველური სიყვარული ჯანსაღი საზოგადოებრივი ურთიერთობის საფუძველი, ქვეყნის ძლიერების წყარო, ადამიანის სიცოცხლის აზრის მიმცემი და გამამშვენიერებელია. იგია ყოველი სიკეთისა და ამაღლებულის თავი და ბოლო... და თუ ამქვეყნად კვალს ტოვებს რამე, ეს სიყვარულის ნატერფალი იქნება, ალბათ...

მეგობრობა „მეფხისტყაოსანში“

მეგობრობისა და სიყვარულის ცნებათა ურთიერთმიმართებისათვის

მეგობრობის უზოგადესი გვარის ცნება სიყვარულია (სიყვარულის სახეებია: სამოყვნურო, მეგობრული, მშობლიური, საღმრთო და სხვა).

მართალია, მეგობრობა და მოყვნურობა ერთი გვარის სახეებია, მაგრამ მეგობრობა უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე მოყვნურობა. მაშასადამე, მეგობრობა ორგვარია: 1. მეგობრობა ქალ-ვაჟისა, რომელსაც საფუძვლად უდევს შეუღლებისაკენ ლტოლვა და 2. საკუთრივ მეგობრობა, ეს იქნება ქალისა — ქალთან, ვაჟისა — ვაჟთან, თუ ქალ-ვაჟის მეგობრობა.

ამრიგად, რუსთაველის გმირთა მოყვნურობა ამავე დროს მეგობრობაა. სწორედ მეგობრობაა ის მყარი ნიადაგი, რომელიც ინტიმურ გრძნობებს ამაღლებს.

თანამედროვე გაგებით, „მეგობრობა“ ამხანაგობასთან შედარებით უფრო ვიწრო ცნებაა. მაგრამ იგი უფრო დიდი გრძნობაა, ვიდრე — ამხანაგობა.

რუსთველური მეგობრობის არსი

უპირველეს ყოვლისა, საჭიროა გაირკვეს, რა განაპირობებს მეგობრულ სიყვარულს.

როგორც ვიცით, მშობლიური და და-ძმური სიყვარულის საფუძველი სისხლის ერთობაა და მისგან გამომდინარე შოვალეობის გრძნობა, ღმერთისადმი სიყვარულისა კი — შიში და რწმენა, სატრფიალო სიყვარულისა—მოპირდაპირე სქესის „ერთფერთა“ შორის მიზიდულობა. მიუხედავად იმისა, რომ სატრფიალო და მეგობრული სიყვარული, ერთი მხრივ, არსებითად განსხვავდება ერთმანეთისაგან[1], მეორე მხრივ, ბევრი თვისებით ემსგავსება ერთმანეთს.

მეგობრული სიყვარულის აღმოცენება ძალიან ჰგავს მოყვნურობის გრძნობის დაბადებას. სიყვარულის ორივე სახის აღმოცენების პირ-

[1] „მეგობრობა გულისხმობს სავსებით გულწრფელ კავშირს პირადი თავისუფლების პრინციპის დაცვით. მოყვნურობა კი არანებისმიერად, იმპულსურად წარმოიქმნება. ეს მძლავრი კონფლიქტებისა და წამების შემცველია, მეგობრობა კონფლიქტების მომწესრიგებელია, კოლიზიების მომხსნელი“ (ვ. ნოზაძე, ადამიანობის იდეა „ვეფხისტყაოსანში“, თბ., 1966, გვ. 271).

ველი წყარო გარეგნული მოწონებაა[1] (სტროფები 286, 287, 288).

კიდევ მეტი. მიჯნურობის მსგავსად მეგობრობისათვისაც აუცილებელია „ერთფერობა".

რას ნიშნავს „ერთფერობა"?

შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ ერთფერობის აუცილებელი კომპონენტი „სოციალური ნიადაგის ერთგვაროვნობა" არ არის[2]. ამის საუკეთესო მაგალითია ტარიელისა და ასმათის მეგობრობა, რომელიც სრულიად სამართლიანადაა მიჩნეული „მსოფლიო პოეზიის ერთ-ერთ უმშვენიერეს ფურცლად, უნაზეს და უკეთილშობილეს გრძნობად"[3]. ერთფერობის აუცილებელ საფუძველს უშუალოდ არც „მიჯნურისაგან მიჯნურის შებრალებს"-თანაგრძნობა წარმოადგენს. ამის მაგალითად გამოდგება როგორც ასმათისა და ტარიელის, ისე ტარიელისა და ფრიდონის მეგობრობა, მაგრამ მიჯნურობის გრძნობა, როგორც ბუნების ჯილდო, კი უსათუოდ არის ერთფერობის ერთერთი ნიშანი. მართალია, არც ასმათია სატრფო, არც ფრიდონი — მიჯნური, მაგრამ ორივენი ამ მხრივაც დიდი გრძნობის ადამიანები არიან. ასმათი ამას აღწევს მიჯნური ტარიელისადმი თავგანწირული მეგობრობით, ხოლო ფრიდონი, როგორც მიჯნურობის გრძნობით (იხ. სტრ. 633), ისე მიჯნურებისადმი უსაზღვრო სიყვარულითა და თავდადებით.

რუსთაველის პოემა ვერ თავსდებოდა ეროვნულისა თუ თავისი დროის ჩარჩოებში და მარადიულისა და საყოველთაოს ნიშნით იშლებოდა და იშლება ყოველი დროის მკითხველის წინაშე. ამდენად. ერთფერობის რუსთველური გაგება ნიშნავს: ერთნაირ სულისკვეთებას (მისწრაფებებს, ფიქრებს), სულის სიმაღლეს. ავთანდილმა და ტარიელმა პირველი შეხვედრისთანავე „იცნეს" (გაიგეს) ერთმანეთი. როგორც ერთფერებმა („მათ აკოცეს ერთმანეთსა, უცხოობით არ დარიდეს" — 288), ერთბაშად გაიკაფა გზა მათი ურთიერთსიყვარულისა („უცხოს უცხო — აგრე ვითა შეგიყვარდი? გასაყრელად გეძნელები, იადონსა ვითა ვარდი" 671).

---

[1] „ვეფხისტყაოსანის" გმირთა შეგობრული სიყვარული არაა მხოლოდ პრინციპი, ვალი ან მცნება — ისიც გრძნობაა — კეთილშობილური, ამაღლებული, რაც, პირველყოფილსა, იმაში ჩანს, რომ ამ გრძნობის პირველი საბაბი ფიზიკური სრულყოფა და მშვენიერებაა" (ნ. ნათაძე, რუსთველური მიჯნურობა და რენესანსი, თბ., 1966, გვ. 118).

[2] ა. ბარამიძე, ეკამათება რა ვ. ნორაკიძეს პერსონაჟთა ტიპურობასა და ერთფერობის საკითხში, დასძენს „ვეფხისტყაოსნის" გმირთა ერთი „გვაროობა" აიხსნება სოციალური ნიადაგის ერთგვაროვნობით" (იხ. დასახელებული ნაშრომი, გვ. 111).

[3] გ. ნადირაძე, რუსთაველის ესთეტიკა, 1958, გვ. 217.

მეგობრული სიყვარული, ერთი მხრივ, უტოლდება ძმურ სიყვარულს, რაც, თავის მხრივ, წარმოშობს მოვალეობის გრძნობას („ვინ-ცა კაცმან ძმა იძმოს, თუ დაცა იდოს, ხამს, თუ მისთვის სიკვდილ-ი და ჭირსა თავი არ დაჰრიდოს“ — 311).

მაგრამ მეგობრობა არ არის მხოლოდ თანაგრძნობა და ურთ-ერთგაგება. იგი ქმედითი სიყვარულია. „მეგობრული სიყვარული ის ძალაა, რომელიც კლავს ადამიანში ეგოისტურ განწყობილე-ბებს და უანგარო და მთლიანად მოყვასთა სასარგებლო საქმიანობის სიმაღლეზე აჰყავს იგი“[1].

„მას რა ვარგო, დიდებად და კმარის ესე ჩემად დავლად“ (604).— აცხადებს ავთანდილი.

„ჩალად მიჩნს ყოვლი სოფელი, მისთვისვე შემიწონია“ (247) — ამბობს ასმათი.

ნურადინ ფრიდონისათვის მეგობრობა პათოსიცაა და იმპულსიც-აი, როგორ იგონებს იგი ტარიელთან გაყრას:

„რა მოგეშორვე, მას აქათ სიცოცხლე მომძულებია...
ოხერ სიცოცხლე უშენოდ, სოფელი გამარმებია!“ (1017)

მეგობრობა კაცთმოყვარეობის უმაღლესი ფორმა, ჰუმანიზმის მკაფიო გამოხატულებაა.

რუსთველური მეგობრობის ცნობილი ფორმულაა:

„ხამს მოყვარე მოყვრისათვის თავი ჭირსა არ დამრიდად,
გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად“ (708).

საკუთარი ტკივილების დავიწყების გამოხატულებაა ვეფხისტყა-ოსანი ჭაბუკისადმი მიმართული სიტყვები:

„ამა დღემან დამავიწყა, გული ჩემი ვინ დაბინდა“... (304)

ამავე აზრითაა თქმული ტარიელის კვლავ საძებნად გასული ავთან-დილის მონოლოგი:

„მას თუ გამყრი, საწუთროო, ჩემი ლხინი გარდასრულა,
სხვა მოყვარე თვალსა ჩემსა გაჯიცხულა, გაბასრულა“ (871).

ასეთივე აზრია გატარებული სატრფოსთან საუბრისას:

„კვლა მიჯნურსა მიჯნურისა ჭირი უჩნდეს ჭირად დიდად,
აჰა, მაქვსცა უმისოსა ლხინი არმად, თავი ფლიდად!“ (708).

დიდი ვაჟკაცური შემართებისა და მაღალი რაინდული სულისკვე-თების მაჩვენებელია „დასნეულებული აქიმისადმი“ მკურნალად მოვლინებული ავთანდილის ფიცივით წარმოთქმული:

[1] ო. შუშანია, „ვეფხისტყაოსნის“ ძირითადი მოტივები, ჟურნ. „კომუნის-ტური აღზრდა, 1937, № 1, გვ. 61.

„კვლა მოვიდე შენად ნახვად, შენთვის მოვკვდე, შენთვის ვირო,
ღმერთსა უნდეს, ვისთვის ჰკვდები, მისთვის ეგრე არ გატირო“ (670)

მეგობრისადმი სიცოცხლის მსხვერპლად შეწირვის საგალობელია ჩისიცე ნათქვამი:

„მე იგი ვარ, ვინ სოფელსა არ ამოვჰკრეფ კიტრად ბერად,
ვის სიკვდილი მოყვრისათვის თამაშად და მიჩანს მღერად“ (794).

ტარიელიც უბადლო მეგობარია, მან იცის, რომ თავდადებაა მეგობრის უპირველესი მცნება (ამიტომ თხოვს ავთანდილს — დაუბრუნდეს თავის სატრფოს — 665, 936 სტრ.). ადამიანებისაგან მისი „კანაპირება“, გარდა „ველად გაჭრის“ მოტივისა, ნაწილობრივ ამ პრეზუმციითაც არის განპირობებული; ასმათის სიტყვით, „არა კაცსა არ იახლებს საუბრად და შემაქცევრად“, თუმცა „ყოველი პირი ქვეყანისა ერთობ სრულად მოუვლია“. „არ იახლებს“, რადგან მისი ჭირის ჯამზიარებელი კაცი მას არც ეგულვის, „ჯერ ღმერთს არ დაუბადია“.

„ღმერთმან სხვამცა ეტლსა ჩემსა რაცა კაცი რად დაჰბადა,
სიახლე და საუბარი თუმცა მისი მე მეწადა!
ვინმცა გასძლნა ჭირნი ჩემნი, ანუ ვინმცა შეეცადა?
შენგან კიდე ხორციელი, დაო, მივის არასადა“ (280)

— ეუბნება ტარიელი ასმათს მისივე საყვედურის პასუხად.

გამოჩენა ისეთი კაცისა, რომელიც მას ამ უკიდურეს მდგომარეობაშიც კი მეგობრობას სთავაზობს, პირველად აკვირვებს („მიკვირს თუ ნაცვლად მაგისად, შენ ჩემი რა გევალების“), მაგრამ ირწმუნებს რა ავთანდილის სიტყვების სიწრფელეს, იგი დასძენს: „მაგრა წესია, მიჯნური მიჯნურსა შეებრალების“ (305). მეგობრობის მისივე გაგებიდან გამომდინარე („ვინცა კაცმა ძმა იძმოს“...), ტარიელი თავს მოვალედ რაცხს, ავთანდილს უამბოს თავგადასავალი, რაც, მის მდგომარეობაში მყოფი კაცისათვის, მეგობრისადმი დიდი პატივის დადებაა, სამაგიეროს მიზღვაა, პირადი ტკივილით სხვისი ტკივილის წამლობაა:

„ღმერთმან ერთი რათ აცხოვნოს, თუ მეორე არ წაწყმიდოს!
შენ ისმენდი, მე გიამბობ, რაცა გინდა წამეკიდოს“ (311).

რუსთაველის გაგებით, ის არის ნამდვილი მეგობარი, ვინც მეგობრულ სიყვარულს რაიმე ანგარიშიანობას არ უდებს საფუძვლად, ე. ი. ურთიერთდახმარება სამაგიეროს კი არ ემყარება, არამედ ურთიერთგაგებას და თანაგრძნობაზეა აგებული, მაგრამ იგი ცალმხრივი მაინც არ არის — „თუ შენ შენს ცოლსა არ შეგრთავ, მე ჩემსა არ ვექმარებიო“ (1480) — აცხადებს ტარიელი და თავის ამ ნათქვამს კიდევაც აგვირგვინებს. იგი ასმათსაც მიუზღავს სამაგიეროს — შეს-

თავაზებს „ინდოეთის სამეფოსა მეშვიდესა, ერთსა წილსა“ (1645).

ჩამოთვლილი არგუმენტებიც ვერ ამოწურავს „მეგობრობის“ რუსთველურ კონცეფციას, თუ არ გავითვალისწინეთ მისი სხვა მხარეებიც.

მართალია, ეს გმირები (ავთანდილი. ტარიელი) ბევრი რამით ჰგვანან ერთმანეთს, მაგრამ გააჩნიათ თავიანთი ინდივიდუალობა. მათ ხასიათში ძირითადად მისწრაფებებია ერთნაირი, სხვა მხარეები (ტემპერამენტი, რეაქციები) რამდენადმე განსხვავებული: ინტელექტუალური შესაძლებლობებით ორივე ძლიერია, მაგრამ „ჰირთა თმობით“ და ამტანობით რამდენადმე სხვადასხვა.

მეგობრობაც საუკეთესო თვისებათა ურთიერთში გადამნერგავი ძალაა, სავსეობაა (სრულყოფა) და ამდენად — ძლიერება.

გავიხსენოთ ეპიზოდი — ტარიელისა და ავთანდილისაგან წასვლა ფრიდონისასა — იმის ხაზგასასმელად, თუ მეგობრობის უდიდესმა გრძნობამ როგორ აღადგინა ტარიელში ვაჟკაცი მთელი სისრულით, რომლის დადასტურებაა „ჰამთა თათბირიდან“ ტარიელის გეგმის განხორციელება.

მეგობრობა ძლიერებაა, ბრძოლების გამარჯვებით დაგვირგვინების საწინდარია. ნესტანის ამბის ცნობით გახარებული ავთანდილი ფრიდონს სწერს:

„აწ შემინდევ, ვერა გნახე, შორს ამისთვის წაგიარე...
ამის მეტი რაღა გკადრო, ძმასა ძმურად მოესმარე“ (1331).

და იმედიანად დასძენს:

„სადაცა შენ და შენი ხმა ხართ, ძნელი გაადვილდების;
არ თურე კაცმან დაგიდგნეს, ვეჴვ, კლდეცა გაგილბილდების“ (1330).

მეგობრობა როგორც ესთეტიკური ფენომენი (მშვენიერება)

რუსთაველი, ძველი ელინივით შესტრფის თავისი გმირების თვალწარმტაც მშვენიერებას. რა განაპირობებს პოემის გმირთა მომაჯადოებელ სილამაზეს?

რუსთაველმა პროლოგშივე დასვა საკითხი სრულყოფილი ადამიანის რაობისა (სტროფი 23), რაც ჰანიმუშოდ განახორციელა მთელ პოემაში.

გვაჯადოებს რუსთაველის გმირთა მაღალი მისწრაფებები (პირადი, საზოგადოებრივი), მდიდარი სულიერი სამყარო, რომელიც კიდევ უფრო მიმზიდველს ხდის მათს ბუნებრივ გარეგნულ სილამაზეს, საჰის გამომეტყველებას, მანერებს, სიტყვა-პასუხს და სხვ.

რუსთაველის გმირთა ამაღლებული ფიქრები, ღრმა და წრფელი განცდები, რომლებიც სათანადოდ გამოიხატებიან შესაბამის ლამაზ

ქცევებში, უმაღლეს ესთეტიკურ ემოციებს იწვევენ მკითხველ'ში. ამ ნიშნითაა აღბეჭდილი პოეტის მიერ შექმნილი თითქმის ყველა სურათი, რომელთაგან ჩვენ მხოლოდ ორზე შევჩერდებით:

„წასვლა ავთანდილისაგან ფრიდონისასა".

ფრიდონისაკენ მიმავალ ავთანდილს, უკვირდება რა წუთისოფლის ბრუნვას, სევდა იპყრობს. მეგობრის გაჭირვება, სატრფოს მოშორება და უსასრულო ხეტიალი სოფლის სამდურავს წარმოათქმევინებს („ვა, სოფელო, რაშიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა"— 960), მაგრამ მათივე სიყვარულით გამთბარი გული ამავე დროს ეძახის:

კაცი „თუ ჰირსა არ დასთმობ, ლხინი რა დასათმობიაა" (974).

გამჭვირვალე და ძალზე შთამბეჭდავია დიდებული პანორამის ეს დასაწყისიც:

„ავთანდილ მარტო ზღვის პირსა მივა ოხთითა მონითა,
წამალსა ტარიელისსა ეძებს ყოვლითა ღონითა" (1036).

მეგობრის დაჭრილი გულის სამკურნალო წამლის (ნესტანის) პოვნის დიდმა სურვილმა ავთანდილი შეაიარაღა რკინისებური ნებისყოფით. ამ ძნელ გზაზე იგი არ ერიდება „ზღვასა და ხმელს". „კორდებსა და მთებს", მხეცებსა და ადამიანებს. ამჯერად ავთანდილი თავის ბედაურს მიაფრენს რა უცნობი მეგობრისაკენ (ფრიდონისაკენ), რუსთაველს მიჯნური და მეგობარი რაინდი აჰყავს მსოფლიოს ყველა კუთხიდან დასანახ კვარცხლბეკზე. ეთერში იფრქვევა ჰიმნი მარადიული და საზეო სიყვარულისა. ამ დროს ურთიერთმოსისხლე მხეცნიც კი სილამაზისა და მშვენიერების ამ დაუოკებელი გრძნობებით იმსჭვალებიან:

„რა ესმოდის მღერა ყმისა, სმენად მხეცნი მოვიდიან.
მისვე ხმისა სიტკბოსაგან წყლით ქვანიცა გამოსხდიან.
ისმენდიან, გაჰკვირდიან, რა ატირდის, ატირდიან;
იმღერს ლექსთა საბრალოთა. ღვარისაებრ ცრემლნი სდიან" (976).

თვალისა და გულის მიმტაცი ამ სურათით რუსთაველი არა მარტო გვატკბობს, გვეუბნება. რომ დიად სიმღერას დიადი გულისთქმა ბადებს.

სხვა მრავალ არგუმენტთა შორის მეორე არგუმენტი მეგობრობის. როგორც ესთეტიკური ფენომენის, წარმოჩენისა. გახლავთ ეპიზოდი „თათბირი ტარიელისა", განსაკუთრებით ქაჯეთის ციხის აღების შემდგომ ძმობილთა შეხვედრის სურათი. სასურველია კლასში წავიკითხოთ 1425 — 1433-ე სტროფები. ამჯერად, საკითხის ნათლად წარმოდგენის მიზნით, მოვიტანთ ნაწყვეტებს:

...ა.ავთანდილ და ღმი ფრიდონ შიგნით ერთგან შეიყარნეს...
უყოვლეს და ერთშანრეთი ნახეს, დიდად გაეხარნეს,
თქვეს „ტარიელ რა იქმნაო?“ მისად ჰვრეტად თვალნი არნეს“ (1425).
ციხისა კარსა მიჰმართეს, რიდი არ ჰქონდა(თ) მტერისა..
შენ ნახეს რიყე აბჯრისა ნალეწი ხრმალთა წვერისა“ (1420)
„ციხისა კარნი განხშულნი“...
გზანი ციხისა კარნი დაჰხვდეს შეკაფულნი, შევიდეს და გაძვრეს ხვრელსა,
ნახეს, მზისა შესაყრელად გამოეშვა მთვარე გველსა...
მკერდი მკერდსა შეენება, გარდაეკრო ყელი ყელსა“ (1428).
აწ ესენიცა გავიდეს, შეკრბეს სამნივე ძმობილნი,
მას მზესა მისცეს სალამი, წადგეს მართ ვითა
ხმობილნი“ (1430).

მეგობრებს საერთოდ ახასიათებთ, ერთმანეთისადმი მოკრძალებული დამოკიდებულება.ეს განსაკუთრებით წარმოჩინდება, როცა ბანოვანთ ხვდებიან. ვალმოხდილ მეგობარ რაინდებს ამამაღლებელ მშვენიერებას სძენთ ეს მოწიწება-მოკრძალება (მართლაც, რომ „მათ სამთა გმირთა მნათობთა სჯირთ ერთმანეთი“ მონება“).

ახმათისა და ტარიელის მეგობრობა

როგორც ესთეტიკური ფენომენი არანაკლებ მშვენიერია ტარიელისა და ასმათის მეგობრობა. ამ მხრივ საკმარისია მოვიგონოთ თუნდაც ერთი ეპიზოდი ასმათის ცხოვრებიდან.

დიდი ძებნის შემდეგ ავთანდილმა მიაგნო უცხო მოყმის კვალს. როგორც კი მოყმე წავიდა. მან ქვაბს მიაშურა. ქალი შემობრუნდა. „ეგონა. თუ: „დაბრუნდაო პირი ვარდი, ბროლ-ბაკმული“, მაგრამ „ვერ იცნა“, „ფიცხლა გაიქცა, მიჰმართა ზახილით კლდესა და ხესა, ყმა გარდაიჭრა, დაება, ვითა კაკაბი მახესა“. ავთანდილი ესწრაფვის ამბის ცნობას, იგი ხან ვედრებით, ხან მუქარით ცდილობს უცხო ყმის ეინაობის გაგებას, მაგრამ მის სურვილს ქალის მტკიცე პასუხი ახალ გადაულახავ ზღუდესავით აღემართება:

„კელა ეტყვის: „ყმაო, რად მპოვე, ვინ მეუბნები მე, ვინო?
ეგე ამბავი ცოცხალსა ენითა ვერ მათქმევინო!
მე თავი ჩემი ნებითა ჩემითა მოგაკლევინო,
ვითა უსტარი ბედითი ადვილად დაგახევინო“ (246).

ავთანდილი ამ სუსტ და ნაზ არსებაში ვაჟკაცის ნებისყოფას და გამძლეობას დაინახავს. ამიტომ მის დასაშინებლად ამოწვდილი ხმალი უნებლიედ დაეშვება დაბლა. ვაჟკაცს მოდრეკს უსუსური ქალის ნება. ჩანს, ნამდვილმა მეგობრულმა გრძნობამ „სუსტი“ და „ძლიერი“ არსება არ იცის, მისთვის ყველა ძლიერია, ვინც გულით წრფელი, სულით სპეტაკი და სიყვარულით ძლიერია.

მეგობრობა იმდენად წრფელი და მაღალი გრძნობაა, ვაჟკაცებსაც

კი ცრემლს ადენს („ყელი ყელსა გარდააჭვდეს, ერთმანეთსა აუტირდეს“ — (288). ამდენად, პოემაში ცრემლს ესთეტიკური ფუნქცია ენიჭება. იგი იშვიათად თუ გამოხატავს უძლურებას.[1]

რუსთაველის მეგობრებს ამშვენებთ არა მარტო „ჰირსა შიგან გამაგრება“ და მოყვრისათვის თავდადება, არამედ ლხინი და ლაღობა, რომელიც უფრო „ამო არის, რა გარდიხდის კაცი ჰირსა“. ცოცხლად აღვიქვამთ რუსთაველის ფუნჯით დახატულ გმირებს და გვჯერა, რომ ისე „ლხინსა ვერ იამებს კაცი ჰირთა გარდუხდელი“.

მეგობრობა რომ ხალისიანი და ლამაზი სიცოცხლის წყაროა, ამის დასადასტურებლად პოემიდან ბევრი მაგალითის მოტანა შეიძლება, მათ შორის: „ტარიელისა და ავთანდილისაგან წასვლა ფრიდონისასა“, „თათბირი ტარიელისა“ და საერთოდ პოემის ფინალური ნაწილი.

მშვენიერი და ამაღლებული სული, შესატყვისი გარეგნობა, ზომიერად გამოხატული ქცევები, ურთიერთგაგება და თავდადება — აი, მეგობრობისა და მიჯნურობის ესთეტიკურად აღქმისა და ტკბობის წყარო.

მეგობრობის სოციალური მნიშვნელობა

რუსთაველმა გვიჩვენა მეგობრული ძაფებით დაკავშირებული სხვადასხვა ფენის წარმომადგენლები, მაგალითად, ტარიელი და ასმათი, ავთანდილი და შერმადინი. პოეტმა მეგობრული ჩიყვარულით დააკავშირა სხვადასხვა ქვეყნის შვილები (არაბი ავთანდილი, ინდოელი ტარიელი და მულღაზანზარელი ფრიდონი). თავისუფლად შეიძლება ამ სამი გმირის მისამართითაც გამოვიყენოთ სხვა პირთა შესახებ პროლოგში ნათქვამი რუსთაველის სიტყვები: „მათ სამთა გმირთა მნათობთა სჭირს ერთმანეთის მონება“ (6).

პოემის გმირებს შორის მეგობრობა ძნელად მიღწეული საწადელით არ ამოიწურება. ხორციელდება მეგობრული ურთიერთობის სხვა ნიშანი:

„სამი არის მოყვრისაგან მოყვრობისა გამოჩენა:
პირველ, ნდომა სიახლისა, სიმორისა ვერ-მოთმენა,
მრცემა და არას შური, ჩუქებისა არ-მოწყენა,
გვლენა და მოხმარება, მისად რგებად ვეღთა რბენა“ (785).

მართლაც, „მათ სამთავე ხელმწიფეთა ერთმანერთი არა სძულდეს, ერთმანერთსა ნახვიდიან, საწადელნი გაუსრულდეს“ (1656).

---

[1] „რუსთაველი ხშირად აღწერს შემთხვევას, როდესაც ცრემლი წარმოდგენილია, როგორც თანაგრძნობის, ემოციური შეგულისხმების ან სულიერი რეზონანსის მაჩვენებელი“ (ა. ზურაბაშვილი, შოთა რუსთაველი, თბ., 1970, გვ. 75), ნ. ნათაძე კი ცრემლს საწუთროსა და ბედის (ჟამის) საკითხს უკავშირებს.

რუსთაველმა მხატვრულად დაასაბუთა, რომ ძმობა-მეგობრობა არის ადამიანთა ურთიერთობის უმაღლესი ფორმა, რომელსაც მოაქვს სიკეთე არა მარტო ინდივიდებისათვის, არამედ — ხალხებისა და საერთოდ კაცობრიობისათვის. ხალხთა და სახელმწიფოთა მეგობრულ თანაარსებობის იდეას, რომელსაც ქადაგებს შოთა რუსთაველი, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ფეოდალურ ეპოქაში და განსაკუთრებით ისეთი მრავალეროვნული ქვეყნისათვის, როგორიც მაშინდელი საქართველო იყო და არის დღესაც.

ამ შემთხვევაში პოეტმა საუკუნეების სიღრმეში განჭვრიტა მოვლენები და საგნები და კაცობრიობის იდეალად ადამიანთა მეგობრობასა და სიყვარულზე დამყარებული სახელმწიფოები წარმოადგინა.

ფიქრი მსოფლიო ხალხთა ძმურ მეგობრობაზე და ამ მიმართებით ეარკეული წარმატების მიღწევისათვის ბრძოლა დღევანდელი კაცობრიობის საუკეთესო შვილთა ზრუნვის საგანია. ამიტომაც რუსთაველის პოეზია, ქმედითად ეხმაურება თანამედროვეობას.

რუსთაველის გაგებით:

1. მეგობრობა ძმობაა, მისი ყველაზე საუკეთესო მნიშვნელობით.
2. მეგობრობა სიყვარული, ურთიერთგატანა, ნდობა და თავდადებაა.
3. მეგობრობა ადამიანების ჰეშმარიტად ადამიანური და აზრიანი ცხოვრების ქვაკუთხედია: ხალისიანი. ლამაზი სიცოცხლის წყაროა, სრულყოფის საფუძველია.
4. მეგობრობა ძალაა, ბოროტზე კეთილის გამარჯვების საწინდარია.
5. მეგობრობა კაცობრიობის წინსვლისა და ხალხთა კეთილი ურთიერთთანამშრომლობის საყრდენია, კაცთა მოდგმის დღეგრძელობის საწინდარია.

„ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია".

(„თავისა" აქ ვიწრო გაგებით არ არის თქმული. რუსთაველი მასში საერთოდ ადამიანს და ადამიანურს გულისხმობს).

რუსთველური მეგობრობის გაგება-შესწავლისათვის

რუსთველური მეგობრობის მოსწავლეთა შეგნებამდე დაყვანისათვის პირველ ყოვლისა, აუცილებელია, ყურადღება გავამახვილოთ: 1. მეგობრობის სინონიმურ სიტყვებზე („მოყვარე", „ძმა", „ძმადნა-

ფიცი", „ძმობილი"; „დობილი", „მშვენიერი ამხანაგი"). 2. მეგობრობისათვის დამახასიათებელ არსებით ნიშნებზე, რომელთა ამოცნობა ხდება ინდივიდუალური და კოლექტიური ძიების საფუძველზე... მასალები გროვდება ცალკეულ გმირთა ამ ნიშნით დახასიათებისათვის განკუთვნილ სათანადო გრაფაში.

პოემის იდეურ-მხატვრული ანალიზის დროს: 1. ხაზი უნდა გაესვას გმირთა მეგობრობის ნიშნით დახასიათებას. 2. მეგობრობის პრობლემის გამოკვეთისათვის მოსწავლეთა აქტიური მონაწილეობით ვადგენთ „მიჯნურობის" ანალიზის მსგავს გეგმას. 3. გეგმაში გათვალისწინებულ საკითხებს, აგრეთვე მოსწავლეთა აქტიური მონაწილეობით ვაშუქებთ, რაც ძირითადად ხორციელდება მათ მიერ მეგობრობაზე დაგროვილი მასალებიდან (რვეულებში ჩანაწერებიდან) არსებითი ნიშნების თავმოყრა — დალაგებით 4. შემაჯამებელ საუბარში სასურველია, მოსწავლეებს გავაცნოთ ტერმინის „მეგობრობა" — ეტიმოლოგია; ჩვენ-დროინდელი მიმართების გზით ერთმახეთს შევუპირისპიროთ „ამხანაგისა" და „მეგობრის" ცნებები. რითაც მოსწავლეთათვის უფრო ნათელი გახდება მათი მნიშვნელობა.

მეგობრობა „ვეფხისტყაოსანში" (ანალიზის გეგმა).

I. შესავალი. 1. მწერალი, ეპოქა, ნაწარმოები (მითითება).
2. მეგობრობის საკითხი რუსთაველის წინამორბედ და მის თანამედროვე მწერალთა შემოქმედებაში.
3. მეგობრობის ადგილი და მნიშვნელობა პოემაში.

II. ძირითადი ნაწილი. მეგობრობის რუსთველური გაგება.
1. მეგობრობისა და სიყვარულის ცნებათა ურთიერთმიმართებისათვის.
2. მეგობრობის დამახასიათებელი ნიშნები: ერთფერობა (ერთგვაროვნობა), სიყვარული, ურიერთგაგება, ქველმოქმედება, თავდადება და ა. შ.
3. მეგობრობა, როგორც ჰუმანიზმის (კაცთმოყვარეობის) გამოხატულება.
4. მეგობრობა როგორც ესთეტიკური ფენომენი.
5. მეგობრობის სოციალური მნიშვნელობა.
ა) მეგობრობა როგორც წინსვლის ფაქტორი.
ბ) ხალხთა მეგობრობის იდეალი „ვეფხისტყაოსნის" მიხედვით.

III. დასკვნა. 1. „ვეფხისტყაოსნის" გმირები, როგორც მეგობრობის იდეალიზებული სახეები.

2. რუსთველური მეგობრობა და თანამედროვეობა.

3. პოეტის იდეების უკვდავება და მისი მსოფლიო მნიშვნელობა.

ნათლად რომ წარმოვიდგინოთ, თუ როგორ ხდება მეგობრობის თემის დამუშავება მოსწავლეთა აქტიური მონაწილეობით, მოგვაქვს ვეგმის გამოყენების საორიენტაციო ნიმუში.

შესავალი მეცადინეობისას ვსვამთ კითხვებს:

1. რუსთაველამდე, რომელ მწერლთან, რომელ ნაწარმოებში შეგვხვდა ძმადნაფიცობის მაგალითები?

2. რა ნიშნით ხასიათდება „ამირანდარეჯანიანის" გმირთა ძმობა, ძმადნაფიცობა?

თემის ძირითადი ნაწილის, კერძოდ, პირველი პუნქტის ასახსნელად მოსწავლეებს მოვაგონებთ სიყვარულის ცნებას და ვეკითხებით:

სიყვარულის რომელი სახე იგულისხმება თქმაში — „სიყვარული აღგვამაღლებს"? (უველა სახე, ე. ი. კაცთმოყვარეობა ზოგადად).

მეორე პუნქტის მიმართ ვსვამთ კითხვებს: 1. რა არის მეგობრობის მთავარი ნიშანი? (სიყვარული).

დავეისაბუთეთ სათანადო ციტატებით. (...„ნდომა სიახლისა, სიშორისა ვერ მოთმენა"... „ხამს მოყვარე მოყვრისათვის... გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად" და სხვ.).

2. როგორ ადამიანებს შორის შეიძლება მეგობრობა? (ერთფერთა).

3. კიდევ რა ნიშნებით ხასიათდება მეგობრობა?

მოსწავლეებს თავიანთი ჩანაწერებიდან მოაქვთ მეგობრობის დამახასიათებელი მრავალი ნიშანი. მაგალითად, ისინი ასახელებენ — გულისთქმის, განსაცდელის ამოცნობას, მიხვედრილობას, შებრალება-შეცოდებას, თანაგრძნობას, რომლებსაც ვაერთიანებთ „ურთიერთგაგებაში"; ასახელებენ — „გაელენას და მოხმარებას, მისად რგებად ველთა რბენას", რომლებსაც ვაერთიანებთ თანაგრძნობაში; ასახელებენ — პირადულის დავიწყებას, საჭიროების შემთხვევაში თავგანწირვას, ვაერთიანებთ მათსავე სინონიმურ თქმაში „თავდადება", ასახელებენ „ჩუქებისა არ მოწყენას", გულუხვობას და ა. შ.

მესამე პუნქტის გაგებისათვის ვიხსენებთ გმირთა ურთიერთობის ამსახველ ეპიზოდებს, ხოლო დასკვნისა და საკითხის განზოგადებისათვის — ვიმეორებთ სულხან-საბა ორბელიანის წინა კლასებში შესწავლილ იგავს „ამხანაგისათვის", რომელშიც მეგობრობის დამახასიათებელი ნიშნები იხატება როგორც პირდაპირ, ისე მეტაფორულად:

„კარგი ამხანაგი გზაზე ადვილად არ იპოვების... კარგი ამხანაგი ცხე-
წყლიანია, ზღუდე მაღალია, სიმაგრე-დაურღეველია... ლხინი ჭრიალ-
დია, სიხარულთა გამამდიდრებელია, გულთა ნათელია, თვალთა ჩი-
ნია, მკლავთა ძალია, ზურგთა მომბმელია“.

მოსწავლეები გვეკითხებიან: არა მარტო რუსთაველი, არამედ
სულხან-საბა ორბელიანიც ამ ყველაზე საჭირო მომენტში არ ხმარობს
სიტყვა „მეგობარს“. — რატომ? საიდან გაჩნდა სიტყვა „მეგობარი“?

მასწავლებელი უპასუხებს, ან ინიშნავს შეკითხვას და საგანგებო
ემზადება პასუხისათვის. მოსწავლეებს კი ეტყვის, რომ მათთვის სა-
ინტერესო შეკითხვებზე მათივე მონაწილეობით მსჯელობა გაიმარ-
თება წრეში ან შემაჯამებელი მეცადინეობის დროს.

გაკვეთილის დასასრულს მოსწავლეებს ვავალებთ, რომ ჩანაწე-
რების, ჩვენ მიერ მიცემული გეგმისა და ლიტერატურის სახელ-
მძღვანელოს გამოყენებით მოამზადონ საკითხი — მეგობრობა „ვეფხ-
ისტყაოსნის“ მიხედვით.

მეგობრობის საკითხთან დაკავშირებით მოსწავლეებს უჩნდებათ
დაახლოებით ასეთი კითხვები, რაც ხშირად კამათს იწვევს:

1. რა განსხვავებაა ამხანაგობასა და მეგობრობას შორის?

2. რომელი უფრო მაღალი გრძნობაა მეგობრობა თუ მიჯნურო-
ბა?

3. რომელია უფრო ძლიერი და ღრმა გრძნობა — მიჯნურობა თუ
მეგობრობა?

4. რით დამთავრდებოდა ტარიელისა და ნესტანის ცხოვრება
უათანდილოდ?

5. არის თუ არა სილამაზე ერთფერობის აუცილებელი ნიშანი?

6. სიტყვა „მეგობარის“ ეტიმოლოგია.

ამ კითხვების პასუხები საჭიროებს არა მარტო რუსთაველის ეპო-
ქის, არამედ ჩვენი თანადროულობის გათვალისწინებას. მათში იგრ-
ძნობა მოთხოვნა იმისა, რომ საკითხები აიხსნას, როცა ეს შესაძლებე-
ლია, არა მხოლოდ ლიტერატურული გმირის მაგალითებზე, არამედ
მოსწავლეთა ყოფის, თუნდაც სკოლის, კლასის, ცოცხალი ფაქტების
მოშველიებით. მათ გასარკვევად ეფექტურია დისპუტის ჩატარება.
დისპუტისათვის ნიადაგი მზადდება გაკვეთილების მიმდინარეობის
პროცესშივე: 1. საკითხის ღრმად შესწავლა თავისთავად ბადებს საინ-
ტერესო კითხვებს და საპირისპირო აზრებს; 2. მასწავლებელი პრო-
ბლემური სიტუაციების შექმნით თვითონვე უწყობს ხელს კამათის
წარმოშობას, ან 3. პირდაპირ შეაქვს სადისკუსიო საკითხი. ყველა
შემთხვევაში მასწავლებელი გამოდის მოსწავლეთა ინტერესებიდან.

როგორია მასწავლებლის როლი დისპუტის მომზადებასა და ჩა-
ტარებაში?

ხელმძღვანელი გამოყოფს ძლიერ მოსწავლეებს და ავალებს, რომ შეკრიბონ ყველა საბუთი (ციტატები, სხვათა აზრები, შეხედულებები) თავიანთი აზრის დასაცავად. საუბარი რომ თანმიმდევრული და ლოგიკური იყოს, მათს მსჯელობას მასწავლებელი დამატებითი კითხვების საშუალებით აძლევს სწორ გზას.

დისპუტი წარიმართება ამ თანამიმდევრობით: 1. მასწავლებლის შესავალი სიტყვა (ხაზი გაესმება საკამათო საკითხებს); 2. სადავო საკითხზე არსებული საწინააღმდეგო აზრების დასახელება; 3. კამათი; 4. მომხსენებლების დასკვნითი სიტყვები; 5. მასწავლებლის დასკვნითი სიტყვა (ანგარიში გაეწევა მოსწავლეთა სწორ პოზიციებზე დგომას, მსჯელობის ლოგიკურობას, აღინიშნება გამოტანილი დასკვნების დადებითი და უარყოფითი მხარეები).

დისპუტი უმჯობესია მომზადდეს ლიტერატურის წრის მიერ და ჩატარდეს წრეშივე.

წარმოვადგენთ ერთ-ერთ სკოლაში ჩატარებული დისპუტის მოკლე დასკვნებს:

1. ამხანაგობა დღეისათვის უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე — მეგობრობა. ამხანაგობის თანამედროვე გაგების მთავარ ნიშნად რჩება მხოლოდ ბრძოლის ერთი მიზანი. „სკოლის ამხანაგის“ ცნებას ამ ნიშანთან ერთად განსაზღვრავს ასაკობრიობა. „სკოლის ამხანაგის“ სინონიმური სიტყვაა „თანაკლასელი“. მეგობრობას ამხანაგობასთან შედარებით ახასიათებს შემდეგი ნიშნები: ერთფერობა, ე. ი. დაახლოებით ერთნაირი მისწრაფებები, შეხედულებები, ურთიერთსიყვარული და პატივისცემა.

2. ეთიკური თვალსაზრისით მეგობრობა უფრო მაღალი გრძნობაა, მაგრამ რუსთაველი ხატავს მიჯნურობის ისეთ იდეალურ სახეს, რომელიც უშუალოდ ეურდნობა მეგობრობას, ამდენად ასეთი მიჯნურობა ეთიკური თვალსაზრისითაც არ ჩამორჩება საკუთრივ მეგობრულ გრძნობას.

3. მიჯნურობა ყველაზე ძლიერი და ღრმა გრძნობაა ადამიანის გრძნობათა შორის. პლატონის აზრით, ამ გრძნობის სიღრმეს განაპირობებს „უკვდავების მძაფრი წყურვილი“. პლატონის ამ მართებული შენიშვნისა და რუსთველური მიჯნურობის გათვალისწინებით სიყვარული არის მეგობრობის უფაქიზესი სახე.

4. არა მარტო ტარიელი, არამედ საერთოდ ადამიანი, ადამიანებისაგან მოწყვეტილი, ვერ მიაღწევს დიად მიზანს. ადამიანის ყველაზე მთავარი ნიშანი ისაა, რომ იგი არის საზოგადოებრივი არსება, ე. ი. მაღალადამიანური სწრაფვა იმავე ადამიანთან, საზოგადოებასთან მიმართებაში ვლინდება. ადამიანი, რომელიც მოკლებულია ამ „მაღლს“,

არც არის ნამდვილი ადამიანი, „კაცური კაცი“, თუ „დედაკაცი“ როგორც იტყოდა ი. ჭავჭავაძე.

5. რუსთაველი ხატავს მიჯნურთა და მეგობართა იდეალიზებულ სახეებს. ამდენად სილამაზე იდეალური ადამიანის აუცილებელი ნიშანია. მაგრამ, რაც მთავარია, რუსთაველი იმასაც გვეუბნება, რომ ადამიანს ალამაზებს არა მხოლოდ გარეგნობა (აღნაგობა), არამედ შინაგანი, სულიერი თვისებები, რაც იხატება მაღალ მიზნებსა და მისწრაფებებში, ქცევასა და ტაქტში.

„მშვენიერი სული თვალწარმტაცი გრაციით მსჭვალავს არქიტექტონიკულ სილამაზეს მოკლებულ აგებულებასაც კი და ხშირად გამარჯვებას ზეიმობს ფიზიკურ უძლურებაზედაც“ (შილერი).

6. რუსთაველი არ ხმარობს ტერმინს „მეგობარი“, მის ნაცვლად იყენებს სიტყვებს: „მოყვარე“, „ძმა“, „ძმადნაფიცი“, „დობილი“, „მშვენიერი ამხანაგი“.

„მეგობარი“ წარმოშობილი უნდა იყოს სიტყვა „გობისაგან“. საბას განმარტებით „გობი“ — ძელთაგან ამოთლილი ხის ჭურჭელია— დიდი თეფში“[1], რომელიც წინათ (სოფლის ზოგ ოჯახში დღესაც. ნ. რ.) ადამიანთა ძირითადი საოჯახო ჭურჭელი იყო. მასზე კმაზავდნენ შეჯამადს. უმეტესად — ბოსტნეულს, და ჯამ-ჭურჭლის უკმარობის გამო, ზედვე ჰამდნენ. მათი ერთი გობით სარგებლობის გამო უნდა იყოს გაჩენილი სიტყვა „მეგობარი“. საბას განმარტებითვე „მეგობარი ესე არს გაუყარი სათანადო მოყვასნი“[2], ე. ი. ერთი ოჯახის წევრები.

აქვე შევნიშნავთ, რომ წინათ ოჯახში მრავალი თაობა „განუყოფლად“, „ერთად“ ცხოვრობდა. ამდენად ერთი გობით სარგებლობა, ანუ „მეგობარი“ სისხლით ნათესავს ნიშნავდა. როგორც ვხედავთ, „მეგობარი“ დაბალ ფენებში უნდა იყოს წარმოშობილი. ვინ იცის, იქნებ ერთ დროს სიტყვა მეგობარი სათაკილოც კი იყო მაღალი ფენისათვის. ერთი კი ცხადია, რომ ადამიანებს, რომლებსაც სათაკილოდ არ მიაჩნდათ ერთი გობით სარგებლობა, აზოგადებდნენ მას და თანშეზრდილი. საყვარელი ადამიანების მიმართ ამბობდნენ — „ჩემი მეგობარიაო“. ამ გზით შეთავსება-შეხმატკბილებას ზოგიერთი დღესაც უსვამს ხაზს. როცა ამბობს: „ერთ ჯამში ვჭამდით, ერთ სპათუმალზე გვეძინა“ და სხვ. იმის გამო, რომ რუსთაველის დროს სიტყვა „მეგობარი“ ან საერთოდ არ იხმარებოდა (ეს საძიებელია)[3], ან სხვა მნი-

---

[1] სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, თბ., ტ. 1, 1966, გვ. 656.

[2] იქვე. გვ. 162.

[3] 142-ე საშუალო სკოლის მოსწავლე ბ. ნ. დაინტერესდა ამ პრობლემით და მასწავლებლის მითითებით მნიშვნელოვანი გამოკვლევა დაწერა. ნაშრომი, რომელიც ემყარებოდა ძველი ქართული ლიტერატურის ამ მხრივ მიმოხილვას, გაგზავ-

შვნელობა ჰქონდა, პოეტი იყენებს „მოყვარეს“ და სხვა სინონიმურ სიტყვებს.

როგორც ვხედავთ, მოსწავლეები დასმულ კითხვებში ავლენენ დიდ ინტერესებს, რაც მათ მიერ საკითხების შემეცნების ერთგვარ დონეზედაც მიგვანიშნებს.

მე-40 გაკვეთილი

პატრიოტიზმი „ვეფხისტყაოსანში“

გმირობის რუსთველური გაგება

გმირობა პოემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა. რუსთაველი რომ ამ საკითხს არანაკლებ მნიშვნელობას ანიჭებს, ვიდრე მეგობრობასა და სიყვარულს, ამის დასადასტურებლად შეგვიძლია მოვიტანოთ პროლოგის ერთი სტროფი:

„მიჯნურსა თვალად სიტურფე ჰმართებს, მართ ვითა მზეობა,
სიბრძნე, სიუხვე, სიშვდაბლე, სიყმე და მოცალეობა,
ენა, გონება, დათმობა, მძლეთა მებრძოლთა მძლეობა,
ვისცა ეს სრულად არა სჭირს, აკლია მიჯნურთა ზნეობა“ (23):

ყურადღების ცენტრშია მიჯნური — მოყმე რაინდი, რომელსაც ყველა საუკეთესო ადამიანური თვისება უნდა ამკობდეს.

ადამიანის ყველაზე დიდი ღირსება მისი ფორმა-შინაარსის მთლიანობაში იხატება. საყურადღებოა საერთოდ ადამიანის შემდეგი ღირსებები: „სიბრძნე“ (ცოდნა, გამოცდილება), „გონება“ (ინტელექტუალობა, შეგნება, ჭკვიანობა-გონიერება), „დათმობა“ (მოთშინება, ნებისყოფა), „მძლეთა მებრძოლთა მძლეობა“ (ვაჟკაცობა, მამაცობა, გმირობა).

გ. იმედაშვილის მართებული შენიშვნით, „რუსთაველის პოემაში მიჯნურობის იდეალი გმირობის იდეალის სინონიმი და ელემენტია... მისი სამიჯნურო კოდექსის მიხედვით მიჯნურს სხვა მრავალ თვისებასთან ერთად, უმთავრესად „მძლეთა მებრძოლთა მძლეობა“ უნდა ახასიათებდეს, ე. ი. ის უებრო რაინდი და გმირი უნდა იყოს. თავისი ქვეყნის ჭირ-ვარამის გამზიარებელი. რუსთაველი ამ შეხედულებას შემთხვევით არ გამოთქვამს მხოლოდ შესავალში. ეს არ არის მხოლოდ პოეტური თქმა, ის პოემის მთელ მანძილზე, სიუჟეტის საერთო

ნილ იქნა მოსწავლეთა თვითშემოქმედებით XXXII კონფერენციაზე და I ხარისხის სიგელი დაიმსახურა. ამ მოსწავლემ კვლავ გააგრძელა მუშაობა IX კლასში და ლაშასპეთის მასწავლებლის ვერსია. ეს უკანასკნელიც გატანილ იქნა XXXIII კონფერენციაზე და კვლავ I ხარისხის სიგელით დაჯილდოვდა.

განვითარებაში თუ ცალკე ეპიზოდებში, არც ერთ შემთხვევას არ უშვებს, რომ გმირობა და სამშობლოსადმი თავდადება არ იქადაგოს"[1]. გავიხსენოთ ქაჯეთის ციხეში გამომწყვდეული, ტარიელის ნახვაზე იმედგადაწყვეტილი, ნესტანის სიტყვები:

„წაღი, იხლოეთს მიჰმართე, არგე რა ჩემსა მშობელსა,
მტერთაგან შეიწრებულსა, ყოვლგნით ხელ-აუპყრობელსა" (1316).

გმირობა პირადული და საზოგადოებრივი ინტერესების ურთიერმიმართების გამომხატველი ცნებაა და არა თვითმიზნური, რაინდული ძლევამოსილების ბადალი სიტყვა[2].

„ბედითი ბნედა, სიკვდილი რა მიჯნურობა გგონია?
სჯობს, საყვარელსა უჩვენნე საქმენი საგმირონია" (383).

თუ რას გულისხმობს ნესტანი საგმირო საქმეში, ამ კითხვაზე პასუხს მომდევნო ტაეპები იძლევა:

ხატაეთს მყოფნი ყოველნი ჩვენნი სახარაჯონია,
აწ მათნი ჯავრნი ჩვენზედა ჩვენგან არ დასათმონია".

კიდევ მეტი. რუსთაველისათვის ადამიანის იდეალი რომ მხოლოდ მიჯნური და მეგობარი ვაჟკაცის დახატვით არ იფარგლება, ან მის მიზანს მხოლოდ ნესტანის ტყვეობიდან დახსნა არ წარმოადგენს, ეს კარგად ჩანს პოემის ფინალურ ნაწილში, რომლის მართებულ შეფასებას გვაძლევს აკად. ალ. ბარამიძე: „საგანგებოდ აღსანიშნავია, რომ რუსთველური სიყვარული და ძმობა, მეგობრობა ოდნავადაც არ ატარებს ვიწრო პირადულს, ინდივიდუალისტურ ხასიათს. სიყვარულისა და ძმადნაფიცობის წესით შეკავშირებულ გმირებს არასოდეს ავიწყდებათ თავიანთი წმინდა მოვალეობა საზოგადოების, სამშობლოსა და სახელმწიფოს წინაშე. რუსთაველმა თავისი პოემა არ დაამთავრა ნესტანის განთავისუფლებით, ნესტანისა და ტარიელის გამარჯვებით. ეს იქნებოდა ავტორის საყვარელი გმირების პირადული ბედნიერებით დაკმაყოფილება, პირადული მიზნების ვანხორციელება. რუსთაველი ერთმანეთისაგან არ თიშავს პირადულსა და საზოგა-

[1] გ. იმედაშვილი, ქართული კლასიკური ხანის პატრიოტიკა, თბ., 1942, გვ. 54.

[2] ს. ცაიშვილი თავის ნაშრომში ერთგან ყურადღებას ამახვილებს მოყმე—რაინდის რუსთველურ გაგებაზე და ამბობს „ვინც რუსთველის გმირებს გაიცნობს, მიხვდება, რომ რაინდი არ ნიშნავს უბრალოდ გმირს, ღონიერ ვაჟკაცს, რომელსაც მხოლოდ თავის გამოჩენის სურვილი ამოძრავებს. რაინდობა გმირულ შემართებასთან ერთად თავმდაბლობას, ერთგულებასა და მეგობრობისათვის თავდადებას ნიშნავს" (იხ. შოთა რუსთაველი, დაეით გურამიშვილი, თბ., 1974, გვ. 24—25). ეს მართებული მინიშნებაა რუსთაველის მიერ ამ ცნების ახალი, უფრო მაღალი შინაარსით წარმოდგენაზე, მაგრამ საკითხავია, რაღაა „გმირული შემართება"?

დოვბრივს. პირიქით, მას ათანხმებს, ჰარმონიას ამყარებს. როგორც ვთქვით, საჭირო შემთხვევაში პირადულს საზოგადოებრივს უქვემდებარებს"[1].

გმირთა პატრიოტული აღტყინება

"ყველაზე მნიშვნელოვანი კითხვა, რომელსაც პატრიოტიზმის გაშუქების დროს გვერდს ვერ ავუვლით, პიროვნებაში პირადული და საზოგადოებრივი ინტერესების მიმართების საკითხია. ეს უკანასკნელი ყველაზე მწვავედ დგას ტარიელის პიროვნებასთან დაკავშირებით.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ტარიელის ქცევა განვიხილოთ და შევაფასოთ მისი ცხოვრების არსებითად განსხვავებული სამი ეტაპის მიხედვით[2].

ტარიელის პიროვნება (I ეტაპი)

ტარიელში, როგორც ძლიერი ფიზიკური და გონებრივი პოტენციის ადამიანში, სრულყოფისაკენ სწრაფვის ყველა შესაძლებლობაა და გარემოც შესაბამის ასპარეზს შლის.

საზოგადოებრივი ინტერესები.

ტარიელის მაღალპიროვნული მისწრაფება ერთგვარად შეპირობებულია მამის დიდსულოვანი საქციელითვე (მეფე, ქვეყნის კეთილდღეობის სურვილით, მეფეს „შეეწყნარა" და თვითონ ამირბარობას დასჯერდა). რამაც, ერთი მხრივ, ტარიელის, როგორც ტახტის მემკვიდრის, უფლება შეზღუდა, მაგრამ, მეორე მხრივ, უფრო დიდი ასპარეზის პერსპექტივა გადაშალა.

რადგან „ძე არ ესვა მეფესა და დედოფალსა", ხოლო ამ დროს ამირბარს ძე მიეცა, მეფემ თქვა: „შვილად გავზრდი, თვით ჩემიეე გვარი არსა" (323). „საპატრონოდ მზრდიდეს სრულთა ლაშქართა და ქვეყანათად" (324), — იგონებს ტარიელი.

სიტუაცია იცვლება. ტარიელი 5 წლის რომ შეიქმნა, მეფეს ქალი შიეცა. მათ ორივეს ერთად ზრდიდნენ, ვიდრე ნესტანი „მოიწიფა", ხოლო ტარიელს შეეძლო „შესვლა ომსა".

ტარიელს სწორედ ამ დროს უგრძვნია, რომ მეფე ქალს სამეფოდ ზრდიდა („მეფე ქალსა, ვით ხედვიდა მეფობისა ქმნისა მწთომსა"),

---

[1] ალ. ბარამიძე, რუსთველი და მისი პოემა, გვ. 150.

[2] ნ. კანდელაკი, ტარიელის დახასიათების გეგმაში ცალკე გამოყოფს საკითხს, რიგით მეექვსეს — ტარიელის ცხოვრების პერიოდული ხასიათი: ა) სატრფოს დაკარგვამდე, ბ) სატრფოს ძებნის დროს, გ) სატრფოს აღმოჩენის შემდეგ („ვეფხისტყაოსნის" სწავლების მეთოდიკა, გვ. 139), რაც მართებულად მიგვაჩნია.

რის გამო ტარიელი „მამასავე ხელთა მისცეს“, მაგრამ ამ გარემოებას მის პიროვნებაში არსებითი ცვლილება არ გამოუწვევია, იგი ისევ ჰარმონიული, სანაქებო მოასპარეზე და ლაღი ადამიანია.

15 წლის რომ შეიქნა, მამა მოუკვდა. ერთი წლის შემდეგ შვილმა დაიკავა მისი ადგილი და მანაც, სრულიად ახალგაზრდობამ, ქება დაიმსახურა.

პირადული მისწრაფება

ტარიელი მგრძნობიარე, მშვენიერი სულისა და მისწრაფებების რაინდია. სიყვარულში იგი მის მსგავსს („ერთფერს“) შეხვდა და დაუბრკოლებლად გაიხსნა სისრულისაკენ სწრაფვის ყველა გზა. პირადული და საჯაროყოფნა-საზოგადოებრივი ინტერესები უფრო ძლიერი ძალით შეიკრა სიყვარულის გზით. შეიძლება ითქვას, მიჯნურობის პათოსს მტკიცედ შეენივთა ქვეყნის ინტერესებისათვის ბრძოლის პათოსი. ორივემ კი განაპირობა მოვალეობის მაღალი შეგნება, რასაც საბოლოო შედეგიც მოჰყვა — ტარიელმა ხატაელებზე ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა. მოვალეობის პირნათლად შესრულებამ მას შინაგანად განაცდევინა მაღალადამიანური მორალური კმაყოფილება და შინაგანადვე გაუძლიერა პიროვნების სიამაყის გრძნობაც. იგი ახლა თავმოყვარე, ზნესრული და ღირსეული მოყმე-რაინდია, ისეთი, რომელსაც ასულდგმულებს სამშობლოს ინტერესები, მისი კეთილდღეობისათვის ზრუნვა.

ერთი სიტყვით, ტარიელის ცხოვრების I ეტაპზე ადგილი აქვს საზოგადოებრივი და პირადული ინტერესების სრულ მთლიანობას, პიროვნების ჰარმონიას.

როგორია ის გარემო, ტარიელის სრულყოფა რომ უნდა მოხდეს?

ქვეყანა, რომელშიც ტარიელი ცხოვრობს, მონარქიული სახელმწიფოა. აქ დომინირებს კანონი — „რაცა ვის რა ბედმან მისცეს, დასჯერდეს“... (11). ტარიელის ცხოვრების I ეტაპისათვის ეს გარემო სავსებით მისაღები იყო; მაგრამ ამავე სამყაროში იგი აწყდება ისეთ წინააღმდეგობას, რომელიც მას სისრულისაკენ სწრაფვის ყველა გზას უხშობს.

მივყვეთ ტარიელის სახის სრულყოფის შემდეგ ხვეულებს.

ერთ დღეს მეფემ და დედოფალმა, რჩევის მისაღებად, ტარიელი იხმეს და განუცხადეს:

> „აწ ჭალისა ჩვენისათვის ქმარი გვინდა, სად მოენახოთ,
> რომე მივსცეთ ტახტი ჩვენი, სახე ჩვენად გამოვსახოთ,
> სამეფოსა ვაპატრონოთ, სახელმწიფო შევანახოთ“... (516).

წინაღდებაც თვითონ შემოიტანეს —

შეფემან ბრძანა „ხვარაზმშა, ხელმწიფე ხვარაზმელია,
თუ მოგვცემს შვილსა სასიძოდ, მისებრი არ-რომელია“ (517).
„რომე პირველვე დაესკვნა, მათ ესე შეეტყუებოდა“ (58).

მეფისა და დედოფლის გადაწყვეტილება ერთდროულად ეხება ტარიელის როგორც პირადულ, ისე საზოგადოებრივ სწრაფვას და ორივეს მაქსიმალურ დათრგუნვას მოითხოვს.

ტარიელმა ერთხელ კიდევ დაამტკიცა თავისი დიდსულოვნება:

„ოდენ დავშიწდი, დავნაცრდი, გული მი და მო კრთებოდა“ (518).

მაგრამ მეფეს „შეცილებამცა ვინ ჰკადრა, რადგან თვით იყო მნდომელი! მოწმობა დავრთე, დაესკვნა დღე ჩემი სულთა მხდომელი“ (519)— იგონებს ტარიელი.

ტარიელის ეს მოქმედება და ნესტანთან ამავე აზრით თქმული სიტყვები:

„დამეშალა, ვერ დავშლიდი, დამრჩებოდა უმეცრობა;
თავსა ვუთხარ: „მიემოწმე, ჟამად გიჯობს გულ-მაგრობა“ (539)

მკაფიოდ მეტყველებენ, რომ ტარიელი ძლიერი პიროვნებაა. „მას გადააქვს ისეთი ძლიერი ფსიქიკური დარტყმა, რომელსაც ვერ შეუდრება მისი წარსული ცხოვრების ვერც ერთი მძიმე ფსიქიკური მდგომარეობა... პიროვნებისათვის ასეთ სამწუხარო ცნობას შეუძლია მიიყვანოს ადამიანი სულიერ აშლილობამდე, თვითმკვლელობამდე“[1].

ასეთ მდგომარეობაში მყოფი ტარიელი იხმო ნესტანმა, მისი საქციელით ფრიად გაკვირვებულმა. აქ გამოჩნდა ნესტანის, თითქოს როგორც ქალის, სისუსტე („დიაცურად რად მოვღორდი?“ 530)[2] და ტარიელის, როგორც ნამდვილი ვაჟკაცისა და რაინდის სახე. როცა ნესტანმა ნათლად შეიცნო მდგომარეობა ვაჟკაცისა, რომელსაც, ცხადია, რაღაც აზრი გულში ედო, მაგრამ შექმნილი ვითარების რთულლაბირინთული ხვეული ნათელი დასკვნის გამოტანის საშუალებას არ აძლევდა; აქ გამოჩნდა მეფის ასულის, როგორც ქვეყნის ბედის ღირსეული ქომაგის, გაბედული, პრინციპული, მტკიცე ნებისყოფის ადამიანის, იდეალური მიჯნურისა და ნამდვილი მეგობრის სრულყოფილი სახე. იგი დიდი პიროვნებაა. ღირსეული მოცალე ტარიელისა. მან კარგად იცის, რომ საზოგადო-საქვეყნო საქმის განსჯისას პირადულის არამც თუ წინა პლანზე წამოწევა, ხსენებაც კი არ უნდა მოხდეს. შექმნილ

[1] ა. ზურაბაშვილი, პერსონოლოგიური პრობლემები ქართულ მწერლობაში, გვ. 41.

[2] ფაქტის მხრივ ნესტანიც მართალია, რადგან ტარიელის „მიმოწმება“ მოტყუებად მიიჩნია. ეს უკანასკნელი კი ნესტანის პიროვნების უგულებელყოფას ნიშნავდა, ამიტომ იყო მისი მუქარა ესოდენ მწვავე.

ვითარებასაც ორი მხარე აქვს — პირადული და საზოგადო. ამიტომ მან აქცენტი უკანასკნელზე გადაიტანა და ტარიელს ფრიად საყურადღებო რჩევა მისცა, რომელიც შექმნილი სიტუაციიდან ერთადერთი გამოსავალი იყო:

„რა მოვიდეს სიძე, მოკალ მისთა სპათა აუწყეედლად,
ჰმნა მართლ-სა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნუღლად“ (548).

ამის შემდეგ აცნობე ჩემს პატრონს და „ჰკადრე, თუ „სპარსთა ვერა ეიქმ ინდოეთისა ჰამასა“ (550).

როგორც ვხედავთ, აქ პირადული და საქვეყნო საქმე ისე მყარად გადაეჯაჭვა ურთიერთს, თითქოს ძნელი ხდება გამოცნობა, რომელია პირადული და რომელი საქვეყნო-საზოგადო. ზოგიერთი მკვლევრის აზრით, ტარიელის მხრივ ეჭვიც კი იბადება — აქვს კი მის ქცევაში ადგილი საზოგადო საქმეზე ზრუნვის გამოხატულებას?

პოემის ტექსტი საკმაო საფუძველს გვაძლევს, რომ გარკვეით ვთქვას: ტარიელის ცხოვრების I ეტაპზე, მისი პიროვნების უგულებელყოფის ამ კულმინაციურ მომენტშიც, მას არანაკლებ აფიქრებს ქვეყნის ბედი, ვიდრე — ნესტანს. სანამ ნესტანისაგან რჩევას მიიღებდა, აღწერს რა საქმის გასარჩევად გამართულ თათბირზე შექმნილ სიტუაციას, მეფის სიტყვების (515) საპირისპიროდ იგი აცხადებს: „არ იცის, თუ ინდოეთი უპატრონოდ არ გამხდარა?“ (540). ტარიელის ეს განცხადება რომ არ გამოხატავს მისი, როგორც ტახტის მაძიებლის, ეგოისტურ შურს, ამაზე ნათლად მიგვანიშნებს მისივე სიტყვები:

„ტარიელ არს მემამულე, სხვასა ჰმართებს არად არა“ (540).

რას ნიშნავს „ტარიელ არს მემამულე“? ტარიელს კარგად აქვს გაცნობიერებული თავისი მდგომარეობა. იგი არ ეცილება ნესტანს მემკვიდრეობაში. პირიქით, მას ნესტანი მეფობის ღირსეულ კანდიდატად მიაჩნია, ამის გამო თათბირზე მეფეს პირდაპირ ეუბნება:

....„თქვენი ძისა არა-სმა გულსა ვით მიეფარების,
მაგრა კმა ჩვენად იმედად, ვინ მზესა დაედარების“ (516).

მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ტარიელი ნამდვილი მამულიშვილია, თავმოყვარე და არა პატივმოყვარე. მან საქმით დაამტკიცა, რომ ქვეყანას მისი სახით ღირსეული დამცველიც ჰყავს და პატრონიც. უძეობით კიდევ მაინც თუ რამ საწუხარია, მაშინ ასეთი „ძე“ სხვაგან კი არ უნდა მოიძებნოს, არამედ ისევ აქ, ამავე ქვეყანაში. აქ კი ტახტი კანონით და ტრადიციითაც ტარიელს ეკუთვნის; ტარიელს, როგორც ყოფილ მეფისწულს და ღირსეულ მამულიშვილს; ადამიანს, ვისაც ამის უფლებაც აქვს და საამისო ძალაც შესწევს.

მეფის წინადადებით საფრთხეში ვარდებოდა ქვეყნის სუვერენობა (დამოუკიდებლობა), ილახებოდა ინდოეთის სახელმწიფოებრივი პრესტიჟი, ტარიელის მამულიშვილური თავმოყვარეობა, ბრმა ტრადიციების მსხვერპლი ხდებოდა სიყვარულიცა და ქვეყანაც.

ისმის კითხვა — იცოდა თუ არა ფარსადანმა ტარიელისა და ნესტანის ტრფობის ამბავი?

შეიძლება ითქვას, თუმცა ეს ყველაფერი ძალზე შენიღბული იყო, მაგრამ ნაწარმოები არ გამორიცხავს ამის ცოდნის შესაძლებლობებს ერთგან კი პოეტი გარკვევით მიუთითებს:

„მეფე ბრძანებს: „ვიცი, ვიცი, მეტად კარგად შემიგნიან:
მას უყვარდა ქალი ჩემი, სისხლნი ველთა მოუღვრიან,
რა ნახიან ერთმანერთი, არ — შეხედვა ვერ დათმიან“ (579).

რაოდენია ფარსადანის სამართალი?

დავუშვათ, რომ მათი სიყვარულის ამბავი არ იცოდა და ამ დასკვნამდე „სასიძოს მოკლის“ შემდეგ მივიდა; ან, ვთქვათ, იცოდა, გრძნობდა, მაგრამ, როგორც პოემაში ვკითხულობთ, შვილად ზრდიდა, ამბობდა: „ჩემიცე გვარი არსა“, რაც, თუ სისხლით ნათესავს ნიშნავს, მართალია, უნდა გამორიცხავდეს მათ შეუღლებას, მაგრამ ეგეთი ფაქტი ტარიელის გამეფების გარანტიის საფუძველიცაა. კვლავ ისმის კითხვა — თუ სისხლით ნათესავს (სამეფო გვარის კაცს) შვილად ზრდიდნენ, ქვეყნის საპატრონოდ ამზადებდნენ, საამისო განათლება და წვრთნაც მისცეს, რად შეიცვალეს აზრი ნესტანის გაჩენის შემდეგ? მით უმეტეს, წუხდნენ იმაზე, რომ „ყმა არ მოგვცა, ქალი გვივის... ყმისა არ-სმა არად გვგავა“... (514) და სხვ.

რა მიზანი ამოძრავებს ფარსადანს? იქნებ დამოყვრებას ქვეყნის გაძლიერება-სიმტკიცის სურვილი უდევს საფუძვლად?

ამ სურვილს, ერთი შეხედვით, თითქოს აპირობებს ძველი ტრადიცია, რომლითაც ქალს არ ეკუთვნოდა საკუთარი ბედ-იღბლის გადაწყვეტის საქმე.

„შუა საუკუნეებში ყველგან და, კერძოდ, საქართველოში ქალისათვის საქმროს არჩევა, როგორც წესი, მშობლების პრეროგატივა შეადგენდა. ნესტანის გათხოვების საკითხს ფარსადანი იყენებდა ხელსაყრელი პოლიტიკური გარიგებისათვის. ხვარაზმშაჰის შვილის ჩასიძებით ფარსადანი იძენდა ძლიერ მოკავშირესა და მფარველს“.[1] ამ დრომოჭმულ თვალსაზრისში არის სიკეთის სიმპტომი ძლიერი მოკავშირის ძიების სახით, მაგრამ თუ ღრმად ჩავუკვირდებით, მეფის სურვილი განპირობებული არ არის სიკეთის ამ ნიშნითაც. იგი არ დასტურდება არც აწმყოს სინამდვილით (სახელმწიფო ისე ძლიერია,

[1] ალ. ბარამიძე, რუსთველი და მისი პოემა, გვ. 138.

რომ სხვა ქვეყნები მისი მოხარკენი არიან) და არც მომავლის პერსპექტივაში იხატება.

ნუთუ ძლიერი მონარქიული სახელმწიფოსათვის სულ ერთი იყო, ვინ (როგორი პიროვნება), რომელი ქვეყნის შვილი იქნებოდა სახელმწიფოს პატრონი? თუ ეს ტრადიცია და აქედან გამომდინარე სურვილი შეურყეველია, რუსთაველმა მსგავსი სიტუაციის დროს რად დაუშვა საწინააღმდეგო ვითარება? როგორც ვიცით, როსტევანი სიხარულით შეხვდა ავთანდილის სიძობას („მე სიძესა ავთანდილის უკეთესსა ვპოვებ ვერა“ — 1534) მაშინ, როცა ამ უკანასკნელს უფრო ნაკლები პრეტენზია ჰქონდა ტახტის მემკვიდრის შერთვისა, ვიდრე — ტარიელს.

ტრადიციების როგორი სხვადასხვაობაც არ უნდა ედოს საფუძვლად ინდოეთისა და არაბეთის ქვეყნების მეფეთა მემკვიდრეობისა და ტახტზე ასვლის საკითხის გადაწყვეტას (თუ დ. ბენაშვილის აზრს გავითვალისწინებთ)[1] ერთი მაინც აშკარაა, ჩვენ საქმე გვაქვს საქართველოს ისტორიული სინამდვილის მხატვრულ უკუფენასთან. ამდენად ნესტანისა და ტარიელის დასკვნით სასიძოს მოკვლა, მწერლის მიზანდასახულებიდან გამომდინარე, ეს იყო ნამდვილი ამბოხება ფეოდალური წყობილების შიგნით, ერთდროულად მიმართული მეფის ბრმა („ბეცი პოლიტიკის“), ეგოისტური ნებისა და შინაგანად არამყარი საზოგადოების წინააღმდეგ, რომელიც დრომოჭმული ტრადიციების ნიღაბქვეშ მალავდა ურთიერთშუღლისა და ისევ ბრმა, შურით აღვსილ გულსა და ნამდვილ სახეს.

დიადი მიზნის მიუხედავად, ეს ამბოხება საერთოდ მონარქიის წინააღმდეგ ბრძოლის ნიშნით არ ხასიათდება. პირიქით, აფორიზმი „ქმნა მართლისა სამართლისა“... ძალას ინარჩუნებს მხოლოდ მონარქიული სახელმწიფოს კანონმდებლობის პირობებში. მეფე არასამართლიანად მოიქცა. ტარიელი იძულებული გახდა ხმალი ეშიშვლებინა და მოეგონებინა პატრონისათვის: „მაგრა თვით იცით: ხელმწიფე ხამს მქმნელი სამართალისა“ (569).

ტარიელის ცხოვრების ამ ეტაპზე ნესტანისა და ტარიელის იდეალია სიყვარულით შეუღლებული ადამიანების მიერ დიდი ოჯახის — სახელმწიფოს გაძღოლა და მართვა, რაც კარგად იხატება ნესტანის სიტყვებში: „მე და შენ დავსხდეთ ხელმწიფედ, სჯობს ყოვლსა სიძეძლობასა!“ (543).

ტარიელის პიროვნების სახის სრულყოფისათვის აუცილებელია მოვუყვეთ ამბის მსვლელობას (II ეტაპი).

---

[1] დ. ბენაშვილი, სახისა და ხასიათის პრობლემა „ვეფხისტყაოსანში“, თბ., 1954, გვ. 155.

ნესტანისა და ტარიელის ფიქრი და გადაწყვეტილება ნაწილობრივ შესრულდა, „მოიცილეს მეტოქე", მაგრამ დავარის[1] ჩარევით საქმე სხვაგვარად წარიმართა. ნესტანი დაიკარგა.

ახლა რას წარმოადგენს ტარიელი როგორც პიროვნება?

თუ მისი ცხოვრების I ეტაპზე მისთვის, შეიძლება ითქვას, ქვეყნისათვის თავდადება საჭიროების შემთხვევაში ისეთივე ძლიერი პათოსი იყო, როგორც მიჯნურობა, II ეტაპზე საზოგადო საქმე, საგრძნობლად დაიჩრდილა, გამოეთიშა იგი მის პათოსს. ასე განაპირობა სიტუაციამ (პიროვნებისადმი მეფისა და საზოგადოების გულგრილმა დამოკიდებულებამ, მისი ღირსებების უგულებელყოფამ) ტარიელის ხასიათის ცვლილება.

რუსთაველი ნამდვილი რეალისტია, დიდი ფსიქოლოგი. ტარიელი რეალური, ცოცხალი სახეა ადამიანისა. ამ ეტაპზე რომ იგი სიკვდილისაკენ მიისწრაფვის, ადამიანურია. მისთვის უნესტანოდ (უსიყვარულოდ) ყველაფერი გაუფასურდა, ცხოვრებამ აზრი დაკარგა. ამ ზომამდე მისული ადამიანისათვის კი ყოველი ნაბიჯი გამართლებულია. მასავით უდანაშაულოდ დასჯილი ნესტანის ძებნით ტარიელი სიცოცხლისა და სიმართლის, ადამიანობის ძაფს — ორიქვეს ერთად ეძებდა... ერთი წუთით დავუშვათ, რომ ტარიელი უნესტანოდ კვლავ ლაღია და გონიერი, ბრძენი, ტახტის ძალით მპყრობელი და განმგებელი; „მტერთა მძლე მოსრვით მსპობელი". აშკარაა, რომ ეს „დიდი" საქმე მას კი არ აამაღლებდა, პირიქით, დაამცირებდა, დააპატარავებდა.

ტარიელი ადამიანობის იდეახ გამოხატავს ადამიანური სულის მოძრაობისა და სისრულისაკენ სწრაფვის ყველა მოდუსით. ტარიელმა როგორც კი გაიგო ნესტანის ამბავი (ე. ი. სიტუაცია შეიცვალა), მასში კვლავ აღდგა ცხოვრებისადმი დამოკიდებულების ადრინდელი განწყობა (III ეტაპი). იგი კვლავ გონიერი, მხნე და მებრძოლი რაინდია. ჭაჯეთის ციხის აღება ხორციელდება ტარიელის გეგმით, რომელშიც დომინირებს მიჯნურისადმი „თავის კარგად ვაჩვენების" აღებული გეზი.

ჭაჯეთში გამარჯვებულსა და არაბეთში ლხინით გართულ ტარიელს არ ავიწყდება თავისი სამშობლოს უნუგეშო მდგომარეობა. როდესაც მან პირნათლად მოიხადა თავისი ვალი ძმადნაფიც ავთანდილის წინაშე (ავთანდილი და თინათინი შეაუღლა), მორიდებით დაეთხოვა როსტევან მეფეს: „შესთვალა: „შენი სიახლე კმა ჩემად ლხინად ყო-

[1] ავტორის სიმბოლური წარმოსახვით, დავარი არ არის ჩვეულებრივი ადამიანი. იგი მას იხსენიებს, როგორც „დავარ-ჭაჯსა, ვინ გრძნებითა ცაცა იცის" (581).

სპეციალურ ლიტერატურაში საყურადღებო აზრია გამოთქმული დავარის სახელის თაობაზე. იგი თითქოს მიგვანიშნებდეს მეფის დობაზე — დავარ.

ველად, მტერთა აქვს ჩემი სამეფო, ვიცი მუნ შიგან მძოველად" (1569).

აეთანდილისა და ფრიდონის დახმარებით ტარიელმა გაანადგურა გათავხედებული მტერი.

სახელოვანმა გმირებმა ინდოეთი რომ გარეშე მტრებისაგან დაიხსნეს, მთელი ძალ-ღონე და ენერგია მოახმარეს საშინაო ცხოვრების მოწესრიგებას, დაამყარეს ჰარმონიული გამგებლობა, აღმოფხვრეს ძალადობა და უსამართლობა. რუსთაველი თავისი პოემის მეფე-გმირთა საქვეყნო-საზოგადო ინტერესების განხორციელებას ასეთი იდეალური ფორმით წარმოგვიდგენს:

„ყოველთა სწორად წყალობასა ვითა თოვლსა მოათოვდეს,
ობოლ-ქვრივნი დაამდიდრნეს და გლახაკნი არ ითხოვდეს,
ავთა მქმნელნი დააშინნეს, კრავნი ცხვართა ვერ უწოვდეს,
შიგან მათთა საბრძანისთა თხა და მგელი ერთად სძოვდეს" (1657).

ეს ესჭატოლოგიური სურათი ემყარება ბიბლიას. ამ პოეტური სურათით რუსთაველი სახავს ადამიანთა ბედნიერებისა და თავისუფლებისაკენ სწრაფვის გზებს, ოცნებობს უკეთეს მომავალზე, მაგრამ იგი მონარქიული სახელმწიფოს და პატრონყმური საზოგადოებრივი ურთიერთობის საზღვრებს მაინც არ სცილდება. მართალია, ტარიელი მისგან „შეკვდომილს" ასმათს უბოძებს „ინდოეთის საჭეფოსა მეშვიდესა, ერთსა წილსა", მაგრამ მისგან მოითხოვს: „მუნიდაღმა ვემსახურებდი, თავი შენი დაგვამონე". თავის ბედით კმაყოფილი ასმათი მიუგებს: „მონებისა უკეთესი რამც ვიშოვე, რამც ვიქონე?"

ამრიგად, რუსთაველის გმირები იდეალიზებული ადამიანები არიან. მათში მოცემულია ადამიანობის ყველა ნიშანი (ძალაშია ცნობილი გამოთქმა „არავითარი ადამიანური ჩემთვის უცხო არ არის"). მაგრამ ამათგან წინა პლანზე დგას მხოლოდ მაღალადამიანური მისწრაფებები. ეს მისწრაფებები პირადულისა და საზოგადოებრივი ინტერესების ჰარმონიულობის ნიშნით იხატება. „ვეფხისტყაოსნის" გმირები თავის მოვალედ რაცხენ, როგორც მეფენი, პირნათელი იყონ არა მარტო მიჯნურისა და მეგობრის, არამედ თავიანთი ქვეყნის ხალხისა და საერთოდ კაცობრიობის წინაშე.

* * *

ტარიელის ასე ვრცლად დახასიათებით მშვენივრად დახასიათდნენ მეფე ფარსადანი, სამეფო კარის დიდებულები და, ქვეტექსტით, ყველა, ვისაც ქვეყნის კეთილდღეობისათვის ზრუნვა ევალება...

ისმის კითხვა — რა მიზანი ამოძრავებს პოეტს, როცა მეფისა და ამირბარის ამგვარი დამოკიდებულების სურათს ხატავს?

აშკარაა, რომ პოეტის იდეალია გაერთიანებული, ძლიერი სუვერენული სახელმწიფო, მაგრამ როგორ შეიძლება ამის მიღწევა და მერე მისი შენარჩუნება-განმტკიცება? ვინ, როგორი პიროვნება ან და განაგებდეს სახელმწიფოს, როგორია ამ მხრივ პოეტის იდეალი?

პოემის გმირთა მაგალითზე ყოველივე ეს დავინახეთ და აღვიქვით, მაგრამ საკითხის უფრო ნათლად წარმოჩენის მიზნით ამ კუთხით მოკლედ განვიხილოთ ისევ ფარსადანის პოზიცია და გავაკეთოთ დასკვნა, რომელიც გამომდინარე იქნება ამ საკითხზე (ე. ი. მეფის პიროვნების შესახებ) სხვათა აზრების ანალოგიიდან და თვით პოემის მხატვრული სახეებიდან.

რუსთაველის თქმით, „ხელმწიფე ნებიერია"... და ეს თქმულია ისეთი მეფის მისამართით, რომელიც, ერთი შეხედვით, იდეალურადაა მიჩნეული მკვლევართა მიერ. საუბარია როსტევანზე (ჩვენ ამ საიდეალო მეფის ხარვეზებზე თავის დროს და ადგილას გავამახვილეთ ყურადღება და ახლა მასზე აღარ შევჩერდებით). ხელმწიფის „ნებიერობა" კიდევ უფრო აშკარად იკვეთება ფარსადანის ქცევაში. მას მომავალი მეფის საკითხი სამსჯავროდ გამოაქვს მხოლოდ სამი დიდებულის თანდასწრებით პოეტი ამის გამო ხაზგასმით აღნიშნავს: „ვნახე ორივე (მეფე-დედოფალი) ერთგან სხდეს ხასითა ოდენ სამითა". მეტიც, „ვითომ სამსჯელოდ" ხდის იმას, რაც წინასწარ გადაწყვეტილი აქვთ მეფე-დედოფალს („რომე პირველივე დაესკვნათ, მათ ესე შეეტყვებოდათ"). ეს თუ ტარიელმა შენიშნა. განა დიდებულები აღმოჩნდებოდნენ ამ უნარს მოკლებულები? ცხადია, არა. აშკარაა, რომ ეს სამი დიდებული ასეთი საქმისთვის სწორედ ამ ნიშნით (უსიტყვო თანხმობით) იყვნენ შერჩეულნი. ერთმმართველმა მიღმა მხოლოდ სცენა გაითამაშა... ფაქტია, რომ ტარიელის მიმართ მეფე უსამართლოა... იგი ასეთივე უსამართლო ჩანს თავისი ხალხის მიმართაც (შესაძლოა, სწორედ ამიტომ იყო სარიდანი და მისი სამეფო „დიდ სამეფოსაგან" შორს და განცალკევებით?). ტარიელის მამაშ ქველმოქმედების პირადი მაგალითით სცადა ფარსადანზე ზეგავლენის მოხდენა, მაგრამ... როგორც კი მას საპირადოს მხრივ შემთხვევა მიეცა (ქალი დაებადა), გადაუდგა მანამდე არსებულ ყველა კანონს და საკუთარი „ნების" ასპარეზი შექმნა...

რუსთაველის აზრით, როგორი პიროვნება უნდა იყოს მეფე?

ჩვენ არ მოგვიწევს ნამდვილი ხელმძღვანელისა თუ საიდეალო მეფის მოდელის სახელდახელოდ შექმნა, თუ მოვუხმობთ სულხან-საბას „ლეონის შეგონებას". (სულხან-საბა ხომ ის კაცია, რომელსაც ბედმა არგუნა მეფის მემკვიდრის „გადიობაც" და მისი „გაზრდილი ლომის" უმადურობაც... ეს არ იქნება წინაუკმო საქმე, რადგან საი-

დეალო მოდელი, თანაც მეფისა, უველა დროის ხელმძღვანელის მოდელადაც გამოდგება).

ვიღმართავთ შეპირისპირების ხერხს.

„თქვა ღეონ: მეფეთაგან სამნი უყვარან ღმერთსა: სიმშვიდე, სიმდაბლე და სულგრძელობა („იყო არაბეთს როსტევან, მეფე ღმრთისაგან სვიანი“, რომელიც „მდაბალიც“ იყო, სულგრძელიც, მაგრამ „სიმშვიდისა“ რა მოგახსენოთ...).

მეფეთაგან სამს დაიმადლებს უფალი: სამართალსა უკრთამოსა, მოწყალებასა დიდსა, სიყვარულსა ყოველთასა; მეფეთაგან სამს ინატრიან ქვეყანანი: ზავთსა (წყრომას) მართებულსა, სიმართლესა უზაკველსა (ალალ-მართალს) და სიუხვესა მოუკლებელსა. (როსტევანი იყო: „მაღალი, უხვი, მდაბალი... მოსამართლე და მოწყალეც, თავისებურად ესმოდა „სიყვარული ყოველთასა“, ყოველთვის ვერ იცავდა „წყრომის მართებულებასა“...).

მეფეთაგან სამს იქნებენ (მოითხოვენ) დიდებულნი: სიტკბოსა წესიერსა, ნადიმსა ამოსა და ჭირში ჭირსა და ლხინში ლხინსა („მორჩმულ და განგებიან“ მეფე როსტევანს ეს კარგად ჰქონდა შეგნებული და იქმოდა კიდეც).

მეფეთაგან სამს ნდომობენ მხედარნი: ცხენსა მალსა, საჭურველსა მაგარსა და დანახვასა ნამსახურისასა („ღმრთისაგან სვიან, ლაშქარ-მრავალყმიან“ მეფეს, რომელიც თვითონაც იყო „მეომარი უებრო“, რა თქმა უნდა, ეს არ ეშლებოდა).

მეფეთაგან სამს ინდომებენ ვაზირნი: ყურის მიპყრობასა, სიტყვის გაგონებასა, და რჩევის დაჯერებასა (თითქმის არც ამ მხრივ შეუცოდავს როსტევანს... ხაზი უველგან ჩვენია. — ნ. რ.).

მეფეთაგან სამს ინდომებენ მოჩივარნი: საჩივრის მოსმენასა, აუჩქარებლობასა და დაუფერებლობასა“. ანალოგიურია შესმენილთა მოთხოვნაც. ემატება მხოლოდ: მაბეზღარის წაყენება, „ურისხველად ბრძანება“ (როგორც აღვნიშნეთ, მეფის ქცევას ზოგჯერ ვერ მიესადაგება „ურისხველად ბრძანება“, დანარჩენი—მათ შორის, „გლახაკთა და მონათ“ თხოვნაც სავსებით ესადაგება როსტევანის სახეს).

„ესე არს წესი მეფეთა, ესე არს გოდოლი სპათა, ესე არს ზღუდე ქალაქთა. რომელმან ყოს იგი, ქვეყანა მისი დაემყაროს“, — ასკვნის ღვაწლმოსილი ერისკაცი და დიდი მოძღვარი.

როგორ ესადაგება ეს მოდელი მეფე ფარსადანს?

ღმრთის მოთხოვნათაგან აშკარად გამოირიცხება სამი მთავარი რამ: „სიმდაბლე. სულგრძელობა და სიყვარული ყოველთასა“, ხოლო ჩამოთვლილ სხვა სიკეთეთაგან — შემდეგი „უზაკველი სიმართლე“, „ნამსახურის დანახვა“, ვაზირთა და დიდებულთა როლი: საჭირო

შემთხვევაში ისინი წინადადებას ვერც დააყენებდნენ, ვერც შეიტანდნენ, რადგან მეფე „ყურს არ მიუპყრობდა“, „სიტყვას არ გაიგონებდა“, „რჩევას არ დაიჯერებდა“, რაც მას ეწადა, მასვე იქმოდა... იგი როსტევანთან შედარებით თითქოს უფრო „მშვიდი“ ჩანს, მაგრამ ეს იმიტომ, რომ მისი გადაწყვეტილება შეუცილებელ-შეუცვლელია. მართლაც, რომ მისნი დიდებულნი ქცეულ არიან მის ყურმოჭრილ მონებად, რასაც პოეტი აშკარად უპირისპირებს ნესტანისა და ტარიელის გადაწყვეტილებებს, გამოხატულს საქმეში და გაცხადებულს სიტყვაში: „...ვაქებ ჭკუასა ბრძენთასა, რომელნი ეურჩებიან“.

„...საქმე უსამართლო, ღმერთმა ვისმცა შეარჩინა?“ — გვმოძღვრავს რუსთაველი და ფარსადანიც „ისჯება“, ხოლო მისი „ნების მეურჩენი“ ხელმწიფის გვირგვინს იდგამენ და უდიდეს წარმატებებს აღწევენ როგორც თავიანთ ქვეყნებს შიგნით, ისე მათივე სახელმწიფოებს შორისაც. იმარჯვებს და მტკიცედ ეფუძნება ადამიანთა საიდეალო ურთიერთობის უპირველესი მცნება: „ხამს მოყვარე მოყვრისათვის, თავი ჭირსა არ დამრიდად, გული მისცეს გულისათვის, სიყვარული — გზად და ხიდად“ (ვაი, რომ ეს ზოგადსაკაცობრიო ქრისტესმიერი მცნება, რუსთველურად გარდასახული, ჯერ-ჯერობით მხოლოდ ქართველებს გაუთავისებიათ და ისიც უმეტესად შეძენილი, დღეისათვის მასპინძლებად მოვლენილი, მოყვრების საკეთილდღეოდ!

ღასკვნა ერთია: როგორებიც არიან მეფე-ხელმწიფენი, ისეთივეა მათივე ქვეყნების ხალხთა ცხოვრებაც და ეს ესადაგება ყოველი ეპოქის ხელმძღვანელს.

კიდევ რა შეიძლება დაემატოს საკითხს — როგორი უნდა იყოს ქვეყნის გამძღოლი და საერთოდ მართვა-გამგებლობა სახელმწიფოსი რუსთაველის თვალსაზრისით?

მეფე (ხელმძღვანელი) იმდენად ღირსეული, სრულყოფილი პიროვნება უნდა იყოს, რომ ამართლებდეს, თუ შეიძლება ასე ითქვას, მის ზოგად თიკუნს — „ღმრთის სწორი“.

რადგან ღვთისებრ სრულყოფილს შეუძლია, საჭიროების შემთხვევაში, საკუთარ ინტერესებზე მაღლა საქვეყნო ინტერესების დაყენება.

მეფობა, ხელმწიფობა, რუსთაველის აზრით, არ უნდა იყოს ცალმხრივად განსაზღვრული (ე. ი. აუცილებლად მემკვიდრეობითი), ის უნდა გახელმწიფდეს, ვინც საამისოდ სრულყოფილია და არა ის, ვისაც ხელეწიფება მისი დაპყრობა; პოემის დასასრულს, არაბეთს უბრუნდება რა მრავალჭირგამოვლილი მეგობარი, მიჯნური და პატრიოტი ავთანდილი, ავტორი ამბობს:

„გამოეგებნეს არაბნი, სამეფო დააშვენა მან,
ნახა მზე მისი, მოჰრიდა მისთა სურვილთა წყენამან,
მის თანა ტახტსა დაჯდა, ალხინა მჭვრეტთა ლხენამან,
გაახელმწიფა, გვირგვინი ზეცით მოსრულმან
ზენამან“ (1655).

ჩამოთვლილი თვისებების გვერდით პირველ რიგში გასათვალისწინებელია ხელმძღვანელის მამულიშვილური გზნება. სამშობლოს სიყვარული, ერთი შეხედვით, მშობლების სიყვარულსა ჰგავს (სიტყვაც ხომ აქედანაა წარმომდგარი სამშობლო), შეიძლება ითქვას, იგი ყველას უყვარს, მაგრამ სამშობლოს გამორჩეული სიყვარული და მისთვის თავდადება მხოლოდ გამორჩეულ შვილს ძალუძს. რუსთაველი გამორიცხავს სხვა ერის წარმომადგენლის ხელმწიფობას და მის მიერ ქვეყნის მართვას („ტარიელ არს მემამულე, სხვასა მართებს არად არა“, „სხვა მეფედ დაჯდეს ინდოეთს, მერტყას მე ჩემი ხრმალია?!“).

შეიძლება ითქვას, რომ ტარიელი განსახიერებაა იმ ქართველი მეფე-რაინდისა, რომელზედაც მართებულადაა ნათქვამი: „ყოველი ქართველი მეფე გმირია, ყველაზე მეწინავე გმირი მტერთან საომარ თალპიონზეც“. ამდენად, იგი ამ მხრივაც დღესაც საიდეალოა (დროის სიშორე მხოლოდ „ბრძოლის ველს“ ასხვაფერებს...).

მართალი სამართლის[1] გრძნობა-შეგნება ხელმძღვანელის ერთი ის უმთავრესი ნიშანთაგანია, რომელიც წინამძღოლს აუცილებლად უნდა ამშვენებდეს, რადგან მას ეფუძნება ყველა სხვა ღირსება, იგი პიროვნების გამამთლიანებელია.

ნამდვილი ხელმძღვანელობა და არა ხელმწიფობა (მისი ცუდი გაგება ხშირად ითავსებს, ითავსებს კი არა, იქცევა ბიუროკრატობად, ხელმძღვანელის ყოველი და ყოველგვარი ნების განხორციელების უფლებად, ამადაც მიელტვიან ხშირად უმეცარნი „მწვერვა-

[1] სიტყვა თვის ლექსიკონში სიტყვას „მართალი“ ასე განმარტავს: „უტყუარი, შესაბამისი, სამართალი, უმართლესი, წრფელი“ (ტ. I, გვ. 437); სიტყვა „სამართალს“ კი ასე ხსნის: „სამართალი არის შჯა, მართლად გამოყოფელობა ღირსებისაებრ ყოითოეულებისა“ (ტ. II, გვ. 39). მაში შეეროებით ვიღებთ: „მართალი სამართალი არის — უტყუარი, წრფელი, უმართლესი შჯა, მართლად გამყოფლობა ღირსებისაებრ თოთოეულებისა“. თანამედროვე ქართულში სიტყვა „ღირსების“ ჩართვა, მაგრამ, რომ უტყუარ, წრფელ, უმართლეს შჯაზე მყარად დამყარებისა „მართალი სამართალს“ განსჯისას ღირსება უმთავრესი ფაქტორი (სწორედ ეს ღირსება და ნამსახურობა არ დაინახა და არ აქცია სამსჯავროდ ფარსადანმა მაშინ, როცა ტახტი ტარიელს უკუთვნოდა კანონითაც, ღირსებითაც და ნამსახურობითაც...).

„მართალი სამართალი“ მეტია სამართალზე, რომ სიტუაციის ზედმიწევნით გათვალისწინებას მოითხოვს, ამიტომ ითქმევინებს რუსთველი: „ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად“.

ლებს“) ტვირთია ყოველგვარ პიროვნულზე აღმატებულად სწორედ ამიტომაა, რომ დ[illegible] და [illegible] სხვან ამ სახის [illegible] ბანი საჭიროა ერთის შეწირვა [illegible] ყოფნა [illegible] წინადადებები [illegible] — შემკრებ-შემკავებელი ძალა [illegible]. შემორჩენილ სტრ[illegible] [illegible] [illegible] ქვეყნის წინ ტარიელი გაეცნობა [illegible] მეგობრის [illegible] ბრძოლი. გუშას, მაგრამ [illegible] ლი [illegible] ასეთებს შეუძლიათ [illegible] ასეთ [illegible] [illegible] რუსთაველი სამართლიანი სახელმწიფოს [illegible] ვანეს ატრიბუტზედაც მიგვანიშნებს — „ავის-მქნელნი“ უნდა [illegible] დნენ, [illegible] და [illegible] დაისაჯონ, ღირსეული წინამძღოლის „ბრძანებისა შემცოდენი“ მათთა ხრმალთა დავე-წყლულებს“ (ხელმწიფის, ხელმძღვანელის, საყოველთაო [illegible] [illegible] სახელმწიფო [illegible]). ეს [illegible] ყველას გარჯას, გარჯა — ღოვლათს, ხოლო ეს [illegible] თილისმაა, რომელიც [illegible] [illegible], არამედ თავისივე ნებით, — „იგონი [illegible] ვინც [illegible] მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ სუვერენულ სახელმწიფოში, მაგრამ ასეთი სახელმწიფო არც შეიქმნება და მით უფრო [illegible] ბებს ქვეყნის მაორგანიზებელი [illegible] ღირსეული [illegible] შერჩევისა და მათი ნამსახურობის დაფასებისა და შეფასების გარეშე. ქვეყნისა და ხალხის კეთილდღეობისათვის ბრძოლის მოვალეობა (ღვთაებრივი „მე“) თუ დაუპირისპირდა ღირსეული პიროვნების პირადულ ინტერესებს (სუბიექტური „მე“ — რაც, როგორც [illegible] სათვის ბრძოლა, გმირობის პოტენციაა) და მისი არაკანონიერი დათრგუნვა მოითხოვა, თუ საქვეყნო ინტერესების განხორციელება უნდა მოხდეს პირადული ინტერესებისა და ღირსებების შელახვის ხარჯზე, ადამიანში ერთპაშად მოკვდება „ღმერთიც“ და „გმირიც“, სამყარო დარჩება „ორფეხა ამხეცებს“... [illegible]

ქვეყნის შიგნით ამბოხი მუდამ ყოფილა [illegible] და იქნება შედეგი უსამართლო ხელისუფლების [illegible] სათავიდან იწყება. ამიტომ „ხელმწიფე ხამს მქმნელი სამართლისა“ [illegible]

[illegible]

პატრიოტული მოტივის ნაშთების გზები და საშუალებანი

[illegible]

ამჯერად ყურადღებას გავამახვილებთ იმ გზებსა და საშუალებებზე, რომლებითაც შედარებით უფრო ადვილად შეიძლება პოემის სათანადო სიღრმით შესწავლა და, კერძოდ, პატრიოტიზმის საკითხთან დაკავშირებით მწერლის იდეური მიზანდასახულების წვდომა, რაც,

თავის მხრივ, ხელს შეუწყობს მოსწავლეთა ჯანსაღი მსოფლმხედველობის ფორმირებას.

როგორც ზემოთ მიეუთითებდით, იდეურ-მხატვრული ანალიზისათვის ნიადაგი მზადდებოდა ტექსტზე მუშაობის დროსვე. მაგალითად, ეპიზოდზე — „ტარიელისაგან თავის ამბის მბობა ოდეს ავთანდილს უამბო“ მუშაობისას საგანგებოდ გაესვა ხაზი ტარიელის მამის შეცვას, თვითონ ტარიელის ფიქრებსა და მისწრაფებებს; ნესტანის, ავთანდილის ზრებს და მათ შესაბამის ნაბიჯებს სხვა ეპიზოდებიდან, რაც მოსწავლეებს შეჰქონდათ თავიანთ რვეულებში. პატრიოტულ მისწრაფებას, როგორც გმირთა ერთ-ერთ მსაზღვრელ მოტივს. შეეხეთ პერსონაჟთა დახასიათების დროსაც, მაგრამ ამ ეტაპზე პატრიოტიზმის ცნება მოსწავლეთა მიერ არ არის სათანადოდ გააზრებული, ამიტომ დასმულ საკითხთან დაკავშირებით მივიჩნევთ მის ღრმად გაცნობიერებას. სწორედ ამ მიზნით შეეიმუშავეთ პატრიოტული მოტივის ანალიზის გეგმა:

I. შესავალი: ა) მწერალი, ეპოქა, ნაწარმოები (მითითება). ბ) პოეტის დამოკიდებულება მისი თანამედროვე საზოგადოების პოლიტიკური და კულტურული ვითარებისადმი და პოემაში დასმული პრობლემის ადგილი და მნიშვნელობა.

II. ძირითადი ნაწილი: გმირობის რუსთველური გაგება. 1. გმირობისა და პატრიოტიზმის ცნებებისათვის. 2. პატრიოტიზმი — ჰუმანიზმის გამოხატულება: ა) სამშობლოს ცნებისათვის. ბ) პიროვნებაში პირადულ და საზოგადოებრივ ინტერესთა მიმართების საკითხისათვის. გ) პიროვნება და საზოგადოება. დ) პატრიოტიზმი სამშობლოს ქმედითი სიყვარულია. 3. პატრიოტული მისწრაფება პიროვნების მსაზღვრელი მოტივია. 4. გმირობა — ესთეტიკური ფენომენი.

დასკვნა: 1. რუსთაველის იდეალი სახელმწიფოს შესახებ. 2. რუსთაველის იდეალის თავისებური ფორმით განხორციელების მაგალითები.

შემაჯამებელ მეცადინეობაზე „ვეფხისტყაოსნის“ იდეური ანალიზის ძირითადი კომპონენტების მთლიანობაში ნათლად წარმოდგენის მიზნით უმჯობესია მოსწავლეებს გავაცნოთ სქემა (იხ. I თავში) სათანადო კომენტარით.

ამჯერად მხოლოდ პატრიოტიზმთან დაკავშირებით შევნიშნავთ: პატრიოტული მოტივის შესაბამისი იდეით („შიგან მათთა საბრძანისია თხა და მგელი ერთად ძოვდეს“) გამოხატული აზრი აღებულია ბიბლიიდან. მას რუსთაველი იყენებს თავის სათაყვანებელ მეფეგმირთა მიერ სახელმწიფოს შიგნით შექმნილ ადამიანთა ურთიერთობის იდეალური სურათის დასახატავად.

მოტანილი ტაეპი პოეტის სოციალ-პოლიტიკურ თვალსაზრისს გამოხატავს, ოღონდ აქვე დავსძენთ, რომ რუსთაველი მასში სოციალურ გარდაქმნას, ვთქვათ, ფეოდალიზმის გაუქმებას და სხვა ახალ სახელმწიფოებრივი წყობილების დამყარებას არ გულისხმობს. მისი იდეალია ღირსეული ხელმწიფის წინამძღოლობით უსამართლობის, შტრობის, შუღლის აღმოფხვრა არა მარტო ქვეყნის შიგნით, არამედ — ცალკეულ ქვეყნებს შორისაც კი. ეს აზრი სათლად იხატება ამ სტროფში: „მათ სამთავე ხელმწიფეთა ერთმანეთი არა სძულდეს“ ძალაშია ბრძენთა ნათქვამი: „კაცობრიობისადმი სიყვარულის გარეშე არ არსებობს სამშობლოს ნამდვილი სიყვარული“.

როგორია ჩვენს მიერ გათვალისწინებული გზებითა და საშუალებებით ჩატარებული გაკვეთილების შედეგი?

ჩვენს მიერ მოცემული ამოსაცნობი კითხვებით შექმნილმა პრობლემურმა სიტუაციებმა გააქტიურა მოსწავლეთა ახროვნება. ისინი საკითხების უფრო ღრმად და სრულად, თანამედროვე შეხედულებათა გათვალისწინებით გარკვევას მოითხოვდნენ. მაგალითად, ნესტანის პირველ წერილთან დაკავშირებით დასმულმა ამოსაცნობმა კითხვამ — როგორია გმირობის გაგება „ამირანდარეჯანიანისა“ და „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით, რა განსხვავებაა მათ შორის? — მოსწავლეებში აღძრა სხვა საკითხების გარკვევის ინტერესი, მათ შორის:

რა განსხვავებაა ვაჟკაცობასა და გმირობას შორის? შესაძლებელია თუ არა ყველა ინდივიდის მაღალმოქალაქეობრივი სულისკვეთებით აღზრდა? რა განსხვავებაა ინდივიდსა და პიროვნებას შორის? და სხვ. მოცემულ კითხვებზე სათანადო პასუხების გაცემა მოითხოვდა დაფიქრებას, დამაჯერებელ მსჯელობასა და დასაბუთებას. გაჩაღდა დისპუტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს უფროსკლასელებმა. იგი წრეში გადავიტანეთ (იხ. „ვეფხისტყაოსანი“ და საწრეო მუშაობა“).

ჩვენ მიერ გამოყენებული ხერხებითა და საშუალებებით ჩატარებული გაკვეთილების შედეგების შესამოწმებლად ჩავატარეთ საკონტროლო წერა.

მოგვაქვს ფრაგმენტები მოსწავლეთა ნამუშევრებიდან, რომლებიც ტარიელის დახასიათებას ეხება.

შ ე ს ა ვ ლ ი დ ა ნ (გათვალისწინებულია საორიენტაციო გეგმები).

შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ XII საუკუნის ნაწარმოებია. მის მოქმედ პირთა შორის ტარიელს ცენტრალური ადგილი უჭირავს. ამაზე მიგვანიშნებს არა მარტო პოემის სახელწოდება, არამედ, პროლოგსა და ეპილოგში ხსენება ამ გმირისა, რომლისთვისაც რუსთველი „ცრემლშეუშრობელი“ ყოფილა...

ძ ი რ ი თ ა დ ი ნ ა წ ი ლ ი დ ა ნ:

ტარიელი იყო ინდოეთის სამეფო გვარეულობის ერთ-ერთი შტოს

შთამომავალი. მამამისს, სარიდანს, რომელიც ინდოეთის ერთ მეშვიდედ სამეფოს ფლობდა, დიდხანს ომობდა ტანტალოსის ურჩ ვასალთან, მეფობაზე და ნებაყოფლობით ფარისაძალის ტყვეობაში ჩავარდა. ინდოელი ერთიანი, ძლიერი და ბედნიერი ხალხი იყო. ინდოეთის სამეფოს ცნობილი იყო, რომ ის არ ერეოდა სხვა ქვეყნების საქმეებში, ამიტომ ტანტალოსს შვილად მხოლოდ ინდოელი ბიჭები ჰყავდა. ინდოელები ტანტალოსის სასახლეში ცხოვრობდნენ, სწავლობდნენ, ვაჟკაცობის ხელოვნებას ეზიარებოდნენ. ინდოელმა ბიჭებმა შეიტანეს მეფესა და დედოფალს ქალაქში ცხოვრების ელფერი, ისინი ხშირად ეწვივნენ ტანტალოსის სამეფო [illegible]

— ივონებს ტარიელი. [illegible]

ტარიელის მამის, სარიდანის, შემდეგ შვილმა დაიკავა მისი ადგილი. 15—16 წლის ჰაბუკი [illegible] გვანდის ველზე ზრდილობიან [illegible]

ტარიელის თვალწარმტაცი გარეგნობა ჰარმონიულად ეხამება მისი სულიერი თვისებების [illegible] მიანურა ზრდილობებს. ტარიელი მამის [illegible] დაუშსახურებლად [illegible]

ამ ეტაპზე [illegible] მამული, წინდახედული, მოხერხებული [illegible] სანაქებო [illegible] ხატაელებზე, რომლებიც ინდოთა „მოსაპარავნი ძენი ტიკლანდა“ [illegible] სარკის გადაბრდაზე [illegible]

ამ გამარჯვებამ ურთიერთობა [illegible]

„ომგადახდილს შვენოდეს ჟამი კაბანი“ — ივონეს ტარიელი

„ომგადახდილი შვენოდი, შენა ტევეზრ[illegible]“ — წერდა [illegible]

ტარიელს აქვს [illegible] სამაგალითო ხელი“, არამედ ყველა სხვა [illegible] მოკრძალებულია [illegible]

სხვაგვარია ტარიელი მისი [illegible] ეტაპზე. როგორც ვიცით, მეფე სამართლიანად არ მოქცეულა [illegible]

ლა, დაივიწყა ტარიელის, როგორც მემკვიდრისა და ქვეყნის ღირსეული დამცველის, არსებობა. გადაწყვიტა სიძედ და ქვეყნის პატრონად ხვარაზმშას შვილის მოყვანა. ტარიელი თათბირზე დიდსულოვნად იტანს ამ სულიერ ტრავმას. იგი მიემხრობა მეფის გადაწყვეტილებას, მაგრამ ძვირად უჯდება თავისი ეს დიდსულოვნება. ვინ იცის, ეგებ თავის თავისადმი საყვედურის ნიშნითაა თქმული ეს სიტყვები:

„მიმნდონი საწუთროსანი მისთა ნივთთაგან რჩებიან,
იშვებენ, მაგრა უმეტესოდ ბოლოდ ვერ მოურჩებიან:
ვაქებ ჰკუასა ბრძენთასა, რომელი ეურჩებიან“.

მეფის უსამართლო გადაწყვეტილებას ცოტა გვიან, მაგრამ მაინც ვრთგვარი ამბოხებით უპასუხეს ნესტანმა და ტარიელმა: „სხვა მეფედ დაჯდეს ინდოეთს, მერტყას მე ჩემი ხრმალია?!“ — აცხადებს თავის პიროვნულ ღირსებებში დარწმუნებული ტარიელი; — არა, „სპარსთა ვერა ვიქმთ ინდოეთისა ჯამასა“ — ფიქრობენ პირადულზე არანაკლებ ქვეყნის ბედით შეძრწუნებული გმირები.

მათ ძალიან უხეში ფორმით მოიცილეს სასიძო, მაგრამ მეფის უსამართლო მოქმედების მიმართ ეს იყო „ქმნა მართლისა სამართლისა“, რომელიც ტარიელის, როგორც რაინდის, შეუფერებელი საქციელის („მიპარვით ყმის მოკვლის“) ლაქასაც აფერმკრთალებს, მაგრამ გმირთა ეს მოქმედება ხდება უფრო რთული სიტუაციის შექმნის საბაბი. ნესტანი გადაკარგეს. ტარიელის წინაშე დადგა ერთადერთი საბრძოლო ამოცანა — იპოვოს მასავით უდანაშაულოდ დასჯილი ნესტანი...

დასკვნითი ნაწილიდან:

ტარიელი ადამიანობის იდეის გამომხატველია: მისი მთავარი ღირსებებია: მიჯნურობა, მეგობრობა და გმირობა. ეს უკანასკნელი ფეოდალური ხანის პატრიოტიზმის გაგების საზღვრებს სცილდება და სხვა ერთა პატივისცემის, ქვეყნებს შორის მშვიდობიანი თანაარსებობის იერს იღებს. ამდენად, ტარიელი წარმოგვიდგება, როგორც ყოველი დროის ნამდვილი ადამიანის მისაბაძი ნიმუში.

41-ე გაკვეთილი

პოემის სხვა საუურადღებო საკითხები:

ქალისა და მამაკაცის თანასწორობა

ამ საკითხზე რუსთაველის შეხედულების დასადგენად, უპირველეს ყოვლისა, უნდა გავიხსენოთ პოემის ის ადგილი, სადაც შესაბამისი აფორიზმია მოტანილი.

ხანში შესული მეფე გადაწყვეტს თავისი ასულის გამეფებას, რასაც თათბირის წესით აცნობს ვეზირებს და ითხოვს მათ დასტურსაც. ვეზირთა პასუხია:

„თუცა ქალია, ხელმწიფედ მართ ღმრთისა დანაბადია;
არ გათნევთ, იცის მეფობა, უთქვენოდ გვითქვამს კვლა დია;
შეჰხთა მისსაებრ საქმეცა მისი მზებრ განაცხადია,
ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია“ (40).

როგორც მოტანილი სტროფიდან ჩანს, ტახტის მემკვიდრეობის საკითხი მეფის გარეშეც გამხდარა ვაზირთა განსჯის საგანი. და რაკი თინათინის პიროვნული ღირსებები მისივე გარეგნობის ტოლფასია („შეჰხთა მისაებრ საქმეცა მისი მზებრ განაცხადია“), იგი ტახტის ღირსეულ მემკვიდრედ მიუჩნევიათ („უთქვენოდ გვითქვამს კვლა დია“). ამასთან, გაუთვალისწინებიათ რა მეფის (ვითარცა ლომისა) მეუფება და ჩვეულებრივ მოკვდავთან შედარებით ღმრთის სწორობა ამქვეყნად, დაუსკვნიათ: მეფის შთამომავალი — ქალი იქნება იგი თუ კაცი, თანაბარია, რადგან „ისიც ღმრთის დანაბადია“.

აქვე შეიძლება მოსწავლეებს მოვაგონოთ საქართველოს რეალური სინამდვილე თამარის გამეფებასთან დაკავშირებით და უფრო მკაფიოდ ავხსნათ მოტანილი სტროფის მუხლი — „ისიც ღმრთის დანაბადია“.

ისტორიულად ცნობილი ფაქტია, რომ გიორგი მეფე და მისი თანამზრახველნი დიდ წინააღმდეგობას წაწყდომიან თამარის მეფედ კურთხევის სურვილის განხორციელებისას[1].

მართალია, მეფეს და მის თანამზრახველთ თავიანთი მიზნის განხორციელებაში, ერთი მხრივ, ქრისტიანული მოძღვრებაც უწყნიდა ხელ-ფეხს, მაგრამ, მეორე მხრივ, იგივე მოძღვრება ღმრთის მიერ თანასწორად გაჩენილ ქალს ნაკლოვანად და მანკიერ არსებად მიიჩნევდა და, ამდენად, ბოჭავდა კიდეც. თამარის გამეფების მიზანშეწონილება როგორც ზემოთ აღვნიშნავდით, შესანიშნავად დაუსაბუთებია საეკლესიო პირს, ნიკოლოზ გულაბერისძეს. (მას თავისი ნებით უარი უთქვამს კათალიკოსობაზე და იერუსალიმს წასულა, სადაც ხელი მიუყვია შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის. თამარს გამეფებისთანავე იგი კვლავ გამოუწვევია იერუსალიმიდან და შეუთავაზებია კათალიკოსობა. ნიკოლოზს ამჯერადაც უარი უთქვამს, მაგრამ მეფის თხოვნით უმეთაურნია იმ საეკლესიო კრებისათვის „ავაზაკთა ქვაბის“ თავგასული ხელმძღვანელის, მიქაელ კათალიკოსის, გათავისუფლებას, რომ ისახავდა მიზნად). ამ ნიკოლოზ გულაბერისძეს პირველს მიუქცევია ყურადღება საქართველოში ქალის მეუფეობისათვის.

[1] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, ტ. II, თბ., 1963, გვ. 246.

აუხსნია ამის მიზეზი (საქართველო ღვთის წილხვდომილი ქვეყანაა, ქართველებს წმინდა ნინომ უქადაგა ქრისტიანული სარწმუნოება) და ღაუსაბუთებია თამარის მეფედ კურთხევის მართებულობა.

აქვე უნდა შევეხოთ და მოსწავლეების ყურადღება გავამახვილოთ ტექსტიდან გამომდინარე შემდეგ ჰეშმარიტებაზე: მართალია, რუსთაველი უმღერის მაღალი წრის წარმომადგენლებს, პიროვნებებს, რომლებსაც საზოგადოებრივი ინტერესებისათვის მებრძოლად არ თანამონაწილედ მიიჩნევს, მაგრამ არ გამორიცხავს შედარებით დაბალ (და არა უდაბლეს) საფეხურზე მდგომი პიროვნების აღზევებას, თუ იგი შემკულია მაღალადამიანური თვისებებით. ამის მაგალითია ასმათის (რომელიც დაახლოებით აზნაურის რანგისა იქნებოდა) ავთანდილის მეშვიდედი ნაწილის“ მფლობელად გახდომა. ხოლო შერმადინის მიერ ავთანდილის სამფლობელოს განმგებლობა. მეტიც, ავთანდილი (დიდებული და არა მეფის მემკვიდრე) თინათინის თანამეცხედრე და მეფე ხდება.

პოემის შინაარსი აძლევდა ხალხს საბაბს რუსთაველისათვის მიეწერა თუ ლეგენდად შემოენახა ადამიანის ღირსებასა და გვარიშვილობაზე ნათქვამი დიდებული სიტყვები:

„ფილოსოფოსნი შემოკრბეს, ამაზე ჰქონდათ ცილობა,
ბატონი ყმასა ასაქმებს და ჰკუას გამოცდილობა;
ათასად გვარი დაფასდა, ათი ათასად ზრდილობა,
თუ კაცი კაცად არ ვარგა, რას არგებს გვარიშვილობა“.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას: მართალია, რუსთაველის იდეალია მონარქიული სახელმწიფო და ფეოდალური წყობილება, მაგრამ ავთანდილისა და ასმათის მაგალითზე აშკარად იგრძნობა ტენდენცია ადამიანის ღირსების მიხედვით დაფასებისა; ამასთან, თინათინისა და ნესტანის გამეფება, აგრეთვე, ასმათის აღზევება აშკარად გამოხატავს ქალისა და მამაკაცის თანასწორობის თეზას. სწორედ ამაშია რუსთაველის გენიალობა, რომ მის მიერ საგანგებო სიტუაციებში ჩაქსოვილი ბრძნული გამონათქვამები, უსაზღვროდ ტევადი ზოგადი დასკვნები, სცილდება რა თავის წანამძღვრებს, ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის მქონე უკვდავ იდეებად გვესახება.

ვაჭართა საზოგადოება „ვეფხისტყაოსანში“

XII საუკუნის საქართველოს ისტორიული სინამდვილის ამსახველი მასალების გაცნობისას შევეხეთ ვაჭართა კლასის წარმომადგენლებს — აბულასანსა და ზორაბაბელს, რომლებმაც დიდი როლი ითამაშეს თამარის საქმროს შერჩევასა და მოყვანაში. ამდენად, მარ-

ილაც. საინტერესოა ამ კლასის საზოგადოების ასახვა „ვეფხისტყაოსანში“ და მისდამი ავტორის დამოკიდებულების წარმოჩენა.

„ვეფხისტყაოსანი“ საკმაოდ ფართოდ ასახავს ვაჭართა წრის ყოფა-ცხოვრებასაც. პოემაში საზღვაო-სააღებმიცემო ქალაქად წარმოდგენილია გულანშარო. რუსთაველი რეალისტურად გადმოგვცემს ამ ქალაქის ცხოვრების თავისებურ რიტმსა და სტილს:

„ესეა ზღვათა სამეფო თვისა ათისა სავლისა,
(იგი) სავსეა ტურფითა მრავლითა...
აქ მოდის ტურფა ყველაი ნავითა ზღვა-ზღვა მალვითა,
(მას) მელიქ სურხავ ხელმწიფობს, სრული სვითა და დავლითა.
(აქ) გლახა თვე ერთ გამდიდრდების, (ხოლო)
დიდვაჭარნი სარგებელსა ამის მეტსა ვერ ჰპოვებენ:
იყიდიან, გაყიდიან, მოიგებენ, წააგებენ“.

სავაჭრო ქალაქში საზოგადოებრივი ცხოვრებას აწესრიგებს საზოგადოების წევრთა არა სოციალური ჩამომავლობა, არამედ მათი ჩვითიერი მდგომარეობა. სააღებმიცემო საქმიანობაში დახელოვნებული ვაჭრები ფიზიკურად უილაჯონი, ჯაბანნი, მხდალნი არიან. ავთანდილი დაუფარავად ეუბნება მექარავნეებს: „თქვენ ვაჭარნი ჯაბანნი ხართ, ომისაცა უმეცარნი“.

ვაჭრებმა როდი ითაკილეს ავთანდილის ასეთი მიმართვა, პირიქით, როცა ყმამ მათ აჩვენა ვაჟკაცური შემართების ძალა, უკანასკნელნი „შეჰფრფინვიდიან ავთანდილს, ქებასა შეასხმიდიან“.

ვაჭრები ხელმოჭერილნი, ანგარიშიანნი, ძუნწნი არიან, რუსთაველი ერთგვარი ირონიით შენიშნავს: „მუნ ცაჭარმან ოქროს ფასად ცხენი მისცა, არ უძღვანაო“.

სწორედ ვაჭართა ქვეყანაში გამოჩნდა ოქროს ყოვლისშემძლე ძალა. ამის გამო რუსთაველი ჯერ მკითხველს მიმართავს: „ნახე; თუ ოქრო რასა იქმს, კვერთხი ეშმაკთა ძირისა!“, შემდეგ, ა. ბარამიძის სიტყვებით რომ თქვათ, „ლირიკული ტირადით ამხელს ვერცხლისმოყვარეობისა და სიხარბის მავნებლობას ხორციისა და სულისათვის“:

„ეა, ოქრო მისთა მოყვასთა აროდეს მისცემს ლხენასა,
დღედ სიკვდილამდის სიხარბე შეაქმნევს კბილთა ღრჭენასა:
შესდის და გასდის, აკლია, ემდურვის ეტლთა რბენასა,
კვლ აჰა სულსა დაუბამს, დაუშლის აღმაფრენასა“ (1206).

გულანშაროში დიდი გავლენით სარგებლობდა გარეგნულად გონჯი და ზნეობით მანკიერი, მაგრამ დიდი ქონების პატრონი უსენი. იგი მატყუარა და ფლიდია, „არიფი (მეგობარი, მახლობელი) მეფისა“ და „მეფეცა მისი მნდომელი“. პოეტი ერთგან მოგვითხრობს უსენის მეფესთან სანადიმოდ ხლების ამბავს და იქვე ურთავს სიტყვებს, რომელიც ავლენს თავის განწყობას: „აწ ნახეთ მთვრალი ვაჭარი, ცქაფი, უწრფელი, მსწრომელი“.

მართლაც, როგორც ტექსტიდან ვიცით, პირმოთნე და მლიქვნელმა უსენმა ანგარების ნიადაგზე უღალატა თავის სიტყვას. გატეხა ფიცი და ნესტანი გასცა. ძნელია თქვა, სინდისი შეირცხვინაო, რადგან სინდის-ნამუსი და პირიანობა ავტორის თქმითვე, მას ისე შეშვენის, „ვითა ჰმართებს ყვავსა ვარდი, ვირსა რქანი". არც ისაა შემთხვევითი, რომ სულმოკლე და ფიზიკურად მახინჯ ვაჭარს აშკარად ღალატობს და დასცინის საკუთარი ცოლი. „მით არ ჯერ ვარ ქმარსა, ჩემსა, მშლუ არის და თვალად ნასიო", — გამოტეხილად ამბობს ფატმანი. ანალოგიური შტრიხებით ახასიათებს რუსთაველი თეიმურაზ ფატმანსაც:

„ფატმან ხათუნ თვალად მარჯვე, არ-ყმაწვილი, მაგრა მზმელი,
ნაკვთად კარგი, შავ-გრემანი, პირ-მსუქანი, არ-პირხმელი,
მუტრიბთა და მომღერალთა მოყვარული, ღვინის-მსმელი,
დია ედვა სასალუქო დასაბურავ-ჩასაცმელი" (1086).

ფატმანი იმ უგულო სიყვარულის გამომხატველია, რომლის თაობაზე ლაპარაკია პროლოგში. მან ჯერ საკუთარი ქმარი გასცვალა ჭაშნაგირზე, შემდეგ ეს უკანასკნელი ავთანდილზე. მეტიც, ამ „მიჯნურს" მოაკლევინა პირველი, რადგან მისგან გამჟღავნების საფრთხე ელოდა.

ავთანდილის „სიყვარულით" აღფრთოვანებულ ფატმანს გამანადგურებელი ირონიით შენიშნავს რუსთაველი: „თუ ყვავი ვარდსა იშოვის, თავი ბულბული ჰგონია".

ფატმანის სახით რუსთაველმა გამოხატა მდაბიო, ვულგარული, უსულგულო სიყვარულის თავისებური ფორმა, რომელიც ვაჭართა წრეში ყოფილა მიღებული. ფატმანი ის სიძვის დიაცია, რომელსაც არაერთარი კავშირი არა აქვს მიჯნურობასთან, რომელიც.

„...არის ტურფა, საცოდნელაად ძნელი გვარი;
იგი სხვაა, სიძვა სხვაა, შუა უზის დიდი მზღვარი".

რუსთაველი ვაჭართა საზოგადოების ზნეობრივი ცხოვრების სურათებს უპირისპირებს კეთილშობილური რაინდულ-მოყმური ყოფის ნორმებს, მაგრამ ათანხმებს და აგუებს ამ ორი სხვადასხვა სოციალური ფენის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ იდეალებს. აღებმიცემობის განვითარების და მისვლა-მოსვლის გაადვილებისათვის ვაჭართა ფენა საჭიროებდა ერთიანი, ძლიერი, ცენტრალიზებული სახელმწიფოს მფარველობას. ამასთან, ვაჭართა ფენა თავისი სოციალურ-კლასობრივი ინტერესებით სამეფო ცენტრალური ხელისუფლების პრინციპულ მოსარჩლედ და ფეოდალური ჯებირების მოწინააღმდეგედ გამოდიოდა. შემთხვევითი როდია, რომ მოყმე ავთანდილი უანგაროდ იცავს მექარავნეებს მეკობრეთა თავდასხმისაგან, ხოლო ვაჭრის ცოლი — ფატმანი აქტიური მონაწილეა პატრონყმური

საზოგადოების უმშვენიერესი წარმომადგენლის — ნესტანის განთავისუფლებისათვის ბრძოლისა. ამით აიხსნება რუსთაველის, ერთი მხრივ, ირონიული, მეორე მხრივ, შემწყნარებლური, სულგრძელი დამოკიდებულება ვაჭართა სოციალური წრისადმი.

„დასავლური რენესანსის ერთ უმთავრეს ფაქტორთაგანს ფეოდალიზმის ნგრევა და სავაჭრო კაპიტალიზმის წარმოშობა წარმოადგენდა საქალაქო ცხოვრების განვითარებასთან დაკავშირებით. საქართველოში საქალაქო ცხოვრება გვქონდა, მაგრამ სავაჭრო კაპიტალიზმი ვერ განვითარდა ამიტომ რუსთაველმა ვაჭრები ხალისით არ შეუშვა თავის საზოგადოებაში“[1].

42-ე გაკვეთილი

რუსთაველის შეხედულება შაირობაზე (პოეზიაზე)

პოემის მხატვრული ანალიზი უნდა დავიწყოთ პროლოგის სათანადო ადგილის (მე-12—მე-18 სტროფების) შესწავლით. ტექსტის ამ ნაწილის დამუშავება ხდება სიტყვიერ-ფრაზეოლოგიური კომენტირების გზით. აღნიშნული მონაკვეთის შესწავლისას მასწავლებელი ყურადღებას ამახვილებს პოეზიის რაობასა და დანიშნულებაზე, რომელიც შემდეგი საკითხების სახით წარმოგვიდგება:

1. შაირობა (პოეზია) სიბრძნის ერთ-ერთი დარგია“.
2. პოეტური ნიჭი ბუნებრივი ჯილდოა (ღვთიური მადლი).
3. პოეზიის უტილიტარული და ესთეტიკური ღირებულება.
4. პოეზიის შედარება პროზასთან და პირველის უპირატესობის საფუძველი.
5. პოეტისათვის მთავარია ენის ფლობა (ლექსიკური მარაგის სიმდიდრე), მისი მარჯვედ გამოყენება (ოსტატობა) და მგრძნობელობა, რუსთაველის თქმით, „აწ ენა მინდა გამოთქმად, გული და ხელოვანება“ (6).
6. უხამს მელექსეთა დაცინვა (14, 15, 16).
7. პოეტურ ქმნილებათა ჟანრობრივი კლასიფიკაცია და ეპოსის, კერძოდ, პოემის უპირატესობის საკითხი (...„ძალ-უც სრულქმნა სიტყვათა გულისა გასაგმირეთა“).
8. მცირე მოცულობის ლექსთა მნიშვნელობა.
9. ვის შეიძლება ეწოდოს ნამდვილი პოეტი?
10. დიდი და დიადი ეპიკური ტილოს შექმნის აუცილებელი პირობა.

---

[1] გ. ი მ ე დ ა შ ვ ი ლ ი, ვეფხისტყაოსანი და ძველი ქართული მწერლობა, თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1989, გვ. 17.

აქ ჩამოთვლილი საკითხების კომენტირებისათვის საჭიროა ამგვარი საუბრის ჩატარება:

როგორც ვიცით, ხელოვნება, მისი ყოველი დარგი (მუსიკა, ფერწერა და ა. შ.) სახეებით აზროვნებაა. განსხვავებულია ყოველი მათგანის გამოსახვის საშუალებანი. ლიტერატურა სიტყვის ხელოვნებაა, ამდენად, მას მეტი შესაძლებლობა აქვს ცხოვრებისეული მოვლენების არა მარტო ადექვატური ასახვის, არამედ უფრო ნათლად წარმოდგენისათვის. მხატვრული ქმნილება შეუფერხებლად გეიხატავს შესაძლებელ, სასურველ და საიდეალო მყოფობის სურათებს, ამდენად, იგი უფრო უახლოვდება სინამდვილის შემეცნების „ზუსტ ზღვარს“, ვიდრე ხელოვნების სხვა დარგი.

პოეზია მეტაფორული აზროვნებაა და სწორედ ამით აღწევს უფრო ღრმა და ნათელ ასახვას, ვიდრე ჩვეულებრივი ლოგიკური აზროვნება. (უთუოდ ეს ჰქონდა მხედველობაში ენგელსს, როცა ბალზაკის მოთხრობების — „ადამიანური კომედიის“ ერთგვარ შეფასებას იძლეოდა).

რუსთაველი პოეზიას, „შაირობას“ სიბრძნის დარგად აცხადებს („შაირობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი“), ხოლო თინათინის მშვენების აღსაწერად პირდაპირ ამბობს: „ბრძენი ხამს მისად მაქებრად და ენა ბეერად ასული“, მართლაც, სწორედ პოეტური აზროვნებით ცხადდება დიდი ფილოსოფიური და თეოლოგიური სიბრძნე (ამისთვის საკმარისია მოვიგონოთ მისი აფორიზმები, რომელთაც ჩვენ ბრძნული აზრის მსატვრული ფორმულა ვუწოდეთ, რომ ვირწმუნოთ ნათქვამის ჭეშმარიტება). ჩახრუხაძე და შავთელიც ამ აზრისანი არიან: „სილამაზის ყველაზე სრულყოფილი გამოხატვა ფილოსოფოსთა საქმეაო“ — ამბობდნენ ისინი და თავი ემცრობოდათ თამარის მშვენების სიტყვიერად გარდასახვაში.

შაირობა (პოეზია) „საღმრთოა და საღმრთოდ გასაგონი, მსმენელთათვის დიდი მარგი“, — გვმოძღვრავს პოეტი, ე. ი. პოეტური ნიჭი ღვთიური მადლია, ბუნების ჯილდო. მისი დანიშნულებაა ადამიანის აძაღლება-გაკეთილშობილება („საღმრთოდ გასაგონია“), ამდენად იგი სასარგებლოა. „კვლა აქაცა ეამების, ვინცა ისმენს კაცი ვარგი“. პოეტურმა ქმნილებამ ესთეტიკური სიამოვნება რომ გამოიწვიოს, უნდა იყო კარგი მსმენელი „კაცი ვარგი“, ანუ როგორც ქართული ანდაზა ამბობს: „კარგ მთქმელს კარგი გამგონე უნდა“. ამასთან ერთად, პოეზია სიტყვის მოკლედ გამომთქმელიცაა, „გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, შაირია ამად კარგი“. მართლაც, რომელი პოეტური ფორმულაც (აფორიზმი) უნდა ავიღოთ და გავშიფროთ, დავრწმუნდებით ამ ნათქვამის ჭეშმარიტებაში. რაკი აფორიზმის გაშლა-გაშიფვრა შეიძლება, მაშასადამე, იგი მართლაც გრძელი სიტყვის შემოკ-

ლება ყოფილა. მაგრამ განა პოემაში ცოტაა სურათი, რომელიც ვრცლად და თანაც მრავალგვარი ვარიაციითაა წარმოდგენილი? ამ შემთხვევაში გრძელი სიტყვის მიზანია, რომ ნათქვამი შევიგრძნოთ „ყოვლითა გულითა, ყოვლითა სულითა და ყოვლითა გონებითა“. „მოშაირე არა ჰქვიან, ვერას იტყვის ვინცა გრძელადო“, — დასძენს პოეტი და მის ნიმუშსაც თვითონვე განახორციელებს პოემაში. იგი გრძელი სიტყვის ანუ ამბის, სურათის, პოეტურად გარდამსახველ-მთხრობელიცაა და, საჭირო შემთხვევაში, გრძელი სიტყვის შემმოკლებელიც. მან კარგად იცის, რომ მარტო აფორიზმების კონას, მცირე ლექსს „არ ძალ-უც სრულ-ქმნა სიტყვათა, გულისა გასაგმირეთა“. რუსთაველის აზრით, პოეტმა უნდა შეძლოს გრძელი და მოკლე სიტყვის შეხამება, ე. ი. ეპიკურ ჟანრში მოღვაწეობა, წინააღმდეგ შემთხვევაში, პოეტად ვერ ჩაითვლება. პროლოგის დასახელებული მონაკვეთის დამუშავებისა და შესწავლის შემდეგ, ცოდნის გაღრმავების მიზნით, ვაკეთებთ დასკვნას: პოეტს პოემის შექმნას სამშობლო და მისი ღირსეული მესაჭე დიდი თამარი, მისდამი აღმძვრელებული სიყვარული შთააგონებდა და იგი რასაც ქმნიდა, ქმნიდა გულისა და გონების კარნახით. ალბათ ხელოვნებაში დიდი და დიადი არასოდეს შექმნილა ასეთი აღმაფრენი გრძნობისა და შთამაგონებელი სახის გარეშე (მოსწავლეებს, რომლებმაც მე-18, მე-19 სტროფები დაიზეპირეს, წარმოვათქმევინებთ). ამის შემდეგ განსაკუთრებულად დგება საკითხი — რა გამოხატულებას პოულობს ესა თუ ის მსჯელობა ნაწარმოებში, როგორ (რა საშუალებებით) ახორციელებს პოეტი „სრულქმნას სიტყვათა, გულისა გასაგმირეთა“.

48-ე გაკვეთილი.

პოემის მხატვრული მხარე

რუსთაველის ენა, პოეტიკა

საკითხის მართებული გაგებისათვის უნდა აღინიშნოს, რომ ენა ფართო ცნებაა (ენა ორგანო, ენა ურთიერთობის საშუალება, კომუნიკაციის საშუალება). იგი როგორც ადამიანთა ურთიერთობის საშუალება, ყოფა მსოფლიო ხალხთა ენებად: ქართული, ინგლისური, გერმანული და ა. შ. მხატვრულ ლიტერატურასთან მიმართებაშიც ცნება ენა იყოფა ორ ძირითად სახედ: მეცნიერულ ენად და მხატვრულ ენად. პირველი უშუალოდ ენათმეცნიერების საგანია, მეორე — ესთეტიკის სფეროს განეკუთვნება. მართალია, ისინი დიდად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან (მხატვრულ ენას, მხატვრულ აზროვნებას „თავისი შინაგანი კანონზომიერება აქვს“), მაგრამ ერთიმეორეს განაპირობე-

ბენ. „აზროვნების რა ფორმაც არ უნდა ავიღოთ, ენის გრამატიკული წყობის საერთო კანონზომიერებას ემორჩილება. მის ნორმებს არ უგულვებელყოფს მხატვრული აზროვნებაც... პოეტური აზროვნება არ არსებობს მხატვრული სახის გარეშე. მხატვრული სახე კი ყოველთვის როდი ემთხვევა ყოველდღიური მეტყველების ნორმებს“[1] სწორედ ეს განსაზღვრავს მის ორიგინალობას, მრავალფეროვნებას და ხიბლს.

„ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული ენის სპეციფიკის გამოვლენისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ტექსტის სწორად წაკითხვასა და გააზრებას. ამ მხრივ საყურადღებო მოვლენას წარმოადგენს 1953 წ. პ. ინგოროყვას რედაქციითა და შენიშვნებით გამოცემული „ვეფხისტყაოსანი“... მისი განსწორებანი ბევრ შემთხვევაში მართებულია და გვეხმარება პოემის მხატვრული ენის სპეციფიკური ნიშნების გამოვლინებაში.

„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის ენათმეცნიერული თვალსაზრისით დადგენაში განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის ა. შანიძეს. უეჭველად გარკვეულობა და ლოგიკური გამართულობა იგრძნობა აზრისა მკვლევრის მიერ განსწორებულ წინადადებაში: „რად აყივნებს, რაც არ სძულსა?!“ (ნაცვლად ფრაზისა: „რად აყივნებს, რაცა სძულსა?!“) „არ ბედითად ჰაოს ზმიდეს“ (ნაცვლად „ჰაი ზმიდეს“), „დრო სიცოცხლისა ჩემისა დღეხოთგან ჩანს ნასამალი ე. ი. დღეიდან და არა „დღისითღა“, რაც გაუგებარია.

ა. შანიძის ბევრი განმარტება მისაღებია, ზოგი კი სადავო.

„ვეფხისტყაოსნის“ ენა არაერთ მკვლევარს შეუსწავლია. ამათგან ყურადღებას იქცევს ა. ჩიქობავას ენათმეცნიერული ნაშრომი „დიალექტიზმების საკითხისათვის „ვეფხისტყაოსანში“. იგი წერს: „თუ ნაცვალსახელებს, ზმნისართებს და მორფოლოგიურ ფაქტებს თვალს გადავავლებთ, შთაბეჭდილება ასეთი იქმნება: ვეფხისტყაოსანში მოიპოვება, როგორც აღმოსავლეთ საქართველოს ბარის კილოების (ქართლურ-კახურის, უპირველეს ყოვლისა) დამახასიათებელი მოვლენები, ისე დასავლეთ საქართველოს (იმერეთ გურია-აჭარის) დიალექტური სინამდვილისათვის ნიშანდობლივი მონაცემები, (მოყავს სათანადო მაგალითები), მაგრამ რა დასკვნა უნდა გაკეთდეს ამის მიხედვით? პოემის დიალექტიზმები როდია ავტორისეული, იგი წერს ლიტერატურული ენით, თავისი კუთხის მეტყველების გავლენისაგან ის თავისუფალია. თუ დალექტიზმები მაინც მოგვეპოვება, ეს ავტორის კი არ არის, არამედ თვით იმდროინდელი სალიტერატუ-

[1] შ. ღლონტი, ვეფხისტყაოსნის მხატვრული ენის სპეციფიკურობის პრობლემა, აფხაზეთის სახელმწიფო გამომცემლობა, სოხუმი, 1961, გვ. 5.

რო ენის კუთვნილებაა"[1]. მეცნიერი ასაბუთებს, რომ რუსთაველი თავისუფალი შემოქმედია ენის სფეროშიც. პოემაში ერთი მეორის ჯერდით გვხვდება ძველი და ახალი ფორმები, ოღონდ ძველის დაძლევისა და ახლის დამკვიდრების ტენდენციით. რუსთაველი უმეტეს შემთხვევაში ტოვებს ძველი ქართულის ნორმებს, ენას ამარტივებს, ახალისებს და უახლოებს სახალხო-სასაუბრო მეტყველებას, ამიტომაა, რომ პოემის შინაარსი გასაგებია თანამედროვე მკითხველი საზოგადოებისათვის; რუსთაველის ენას ახასიათებს მიდრეკილება სტილისტიკურ-სინტაქსური სიახლისა და სიმარტივისადმი, მაგალითად, ძველი ქართული ნაცვალსახელი ი გ ი, როგორც მსაზღვრელი, მისდევდა საზღვრულს (კაცი იგი), პოემაში კი ახალი ქართულის წყობაა („იგი კაცი გაადიდეს", „რაღაა იგი სინათლე"). ამასთან, ნაწარმოებში ძველი ქართულის ნაცვალსახელს ი გ ი ხშირად ცვლის ახალი ქართულის ი ს ი („რას მექადდა ისი კაცი"; „ისი კაცი ჭაშნაგირი").

„ვეფხისტყაოსანში" მოთხრობითი ბრუნვის ფორმის გამოყენების საინტერესო სურათს ვაწყდებით. ძველი ქართულით საკუთარი სახელები მოთხრობით ბრუნვაში ნიშანს არ დაირთავდა, ფუძის ფორმით რჩებოდა, პოემაში კი გვხვდება ძველი და ახალი ფორმები: „ავთანდილ თქვა" — ძველი; „ასმათმან წყალი დაასხა" — ახალი (თუ მხედველობაში არ მივიღებთ საზოგადო სახელის ბრუნვის ძველ ფორმას).

რუსთაველი თამამი და გაბედული სიტყვამთხზველი, ორიგინალური ენობრივი ლიცენციების ავტორია. მან შექმნა სიტყვები: „ნაკუშინდელევი", „უმისყამისო", „უმისყმისო". იგი ხშირად აზმნავებს სახელებს. მაგალითად, „ენა ენდა"; „მინა მინდა", „ყმანი ამაყარნა", „იშველეს, ითხეს" და სხვ. რუსთაველი ქმნის მოხდენილ სიტყვა-კომპოზიტებს და იმათაც აზმნავებს. მაგალითად, „ხმამაღლა გახმამყივარდა", „გასისხლმდინარდა", „თავი გაითავისწინა" და სხვ. მისთვის დამახასიათებელია არსებითი სახელებისაგან შედარებითი ხარისხის წარმოება: „უმოყვრესი", „დესი" და სხვ.

რუსთაველი „ტკბილ-ქართული" ენის სწორუპოვარი დიდოსტატია. მან შეისისხლხორცა და ამოსწოვა სიმდიდრე, სიღრმე და სიდიადე ქართველი ხალხის ენობრივი საუნჯისა.

„ვეფხისტყაოსანს" ლექსიკოლოგიურ-პოეტიკური თვალსაზრისით შეეხო ჯ. ნოზაძე შრომებში: „განკითხვანი „ვეფხისტყაოსნისა", ფერთამეტყველება", „ვეფხისტყაოსნის" ფერთმეტყველება", „ვეფხისტყაოსნის" მზისმეტყველება", „ვეფხისტყაოსნის საზოგადოებათმეტყველება".

---

[1] ა. ჩიქობავა, დიალექტიზმების საკითხისათვის ვეფხისტყაოსანში, ენიმკის მოამბე, III, 1938, გვ. 211 — 224.

ვ. ნოზაძის მოსაზრებით, რუსთაველის ლექსიკას მხატვრული მიზანდასახულობა აქვს. მკვლევარი აანალიზებს ტაეპებს:

„ვარდთა და ნეხვთა ვინათგან მზე სწორად მოეფინების,
'ღიღთა და წვრილთა წყალობა შენცა ნუ მოგეწყინებისს"
„უმისოდ ნეხვთა ზედა ვზი ბულბული მსგავსად ყვავისა".

ს. ს. ორბელიანი „ნეხვას" მყრალ ბალახს უწოდებს. უეჭველია, „ნეხვა არის მყრალი სუნის ყვავილი, ვინაიდან იგი ვარდთან: არის დაწინაალმდეგებული"[1].

მართლაცდა, პოეტური კონტრასტები შეუფერებელი იქნებოდა, ვარდის საპირისპიროდ ნეხვი რომ გვეგულისხმებინა დღევანდელი გაგებით და არა მყრალი ბალახი, რომელიც ვარდთან მიმართებაში მსგავსებასაც ავლენს (ორივე მცენარეა) და განსხვავებასაც (ერთი სურნელოვანია, მეორე — მყრალი). ეს კონტრასტული პარალელიზმი ზუსტადაა დაცული მეორე ტაეპში (დიდთა და წვრილთა), მისი დაცვა აუცილებელია პირველ ტაეპშიც. ეს მაგალითი საუკეთესო ნიმუშია იმისა, თუ როგორ გვეხმარება სიტყვის მნიშვნელობის სწორად გააზრება მხატვრული სახის ესთეტიკურად აღქმაში. ანალოგიური მიგნებები მრავლად მოიპოვება ვ. ნოზაძის დასახელებულ ნაშრომებში.

საგანგებოდ უნდა შევჩერდეთ რუსთაველის მხატვრული ენის სპეციფიკურობაზე. სამართლიანად შენიშნავს შ. ღლონტი: „როცა მწერლის შემოქმედების მხატვრულ მხარეს ეხებიან, კმაყოფილდებიან მხოლოდ იმის აღნიშვნით, თუ რა ხერხებს მიმართავს ესა თუ ის ავტორი... მთავარია, რა აზრით და როგორ იყენებს მათ, როგორ და ოა მასალის საფუძველზე, რა პრინციპის მიხედვით აგებს მხატვრულ სახეს, როგორია მისი იდეური და მასალობრივ-სტრუქტურული მხარე... მხატვრული ლიტერატურა იმდენად თავისებურია და მრავალსახოვანი, რომ მის სპეციფიკურ შინაარსს ვერ ამოწურავს წინასწარ შემუშავებული ზოგადი ხასიათის თვალსაზრისი. სწორედ ამიტომ საჭიროა მწერლის გამომსახველობითი საშუალებათა კონკრეტული ანალიზი".[2]

[1] ფერთამეტყველება, გვ. 153.

[2] „ვეფხისტყაოსნის" მხატვრული ენის სპეციფიკურობის პრობლემა, გვ. 6—7. ეს მონოგრაფიული ნაშრომი ემყარება პოეტური ენის თავისებურებათა შესწავლის ისტორიას (მკვლევართა შრომების კრიტიკულ მიმოხილვას), ისტორიულ-შედარებითს მეთოდს, ე. ი. გარკვეულია რუსთაველის კავშირი ქართული მწერლობის ენობრივ მემკვიდრეობასთან და დადგენილია საერთოდ მხატვრული ენის და, კერძოდ, „ვეფხისტყაოსნის" სპეციფიკის ძირითადი საკითხები: 1. „ვეფხისტყაოსნის" ლექსიკური შედგენილობის საკითხი. 2. „ვეფხისტყაოსნის" მხატვრული ენის მასალობრივი მხარე და მისი ხასიათი. 3. „ვეფხისტყაოსნის" მხატვრული ენის სტრუქტურულ-ფუნქციური მხარე.

ვფიქრობთ ამის გათვალისწინება სჭირდება არა მარტო მკვლევართ, არამედ ზოგადსაგანმანათლებლო და უმაღლესი სკოლების პედაგოგებსაც.

შემოქმედის მხატვრული ძალის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო ლექსიკური მარაგის სიმდიდრეა. სიტყვათა სიუხვე მწერლის პოეტური აზროვნების მაღალი კულტურის მაუწყებელია. გავიხსენოთ, თუ როგორ აფასებდა ამ ფაქტს რუსთაველი:

„აწ ენა მინდა გამოთქმად...6(6).

„ენაში“ სწორედ ლექსიკური მარაგი იგულისხმება, რაც აუცილებელია იმისათვის, რომ

„არ დაუწყოს ლექსმან ლევა“ (13). ...„ძვირობა“ (14),

თუ „პოეტს“ შემოქმედების ეს აუცილებელი საზრდო, მცირე აქვს,

„მაშინღა ნახეთ მელექსე და მისი მოშაირობა“ (14).

ლექსიკურ მარაგთან ერთად საჭიროა მისი „მარჯვედ ქნევა“ (გამოყენება). ვფიქრობთ, რომ აღნიშნული კომპონენტის ერთ-ერთი საუკეთესო გამოხატულებაა პოემაში სიტყვა „გულის“ 305-ჯერ[1] გამოყენება და ისიც თითქმის ყოველთვის რამდენადმე განსხვავებული ნიუანსით. მოვიტანთ „გულთან“ დაკავშირებული ფრაზეოლოგიის რამდენიმე ნიმუშს:

„გულზე ცეცხლის მოდება“
„ვიგონებდი, ცეცხლი უფრო მედებოდა გულსა ალვად“
„მას დაუმძიმდა, მოედვა, კვლა გულსა კვამლ-ალმურობა“
„ითხრა: „დღე ეგე სირცხვილად მედების გულსა აღობა“.
„ვითა მნუკვეს, ეგე დავჰრთო გული ცეცხლთა მოსადებლად“...
„შემჰსჭმენდა ჯავრიანი, გული ედვა ცეცხლებრ წვითა“...
„უცხოდ რადმე ამოკვნესდა გული ცეცხლთა ნადებარი“...
„ჯერ ქორწინებად არა მცალს, აწ გული ცეცხლნადებია“...
„იქი ვერ მივალ, მრცხვენიან, გულსა სახმილი დებულა“...
„ავთანდილსცა აეტირა, მისმან ცეცხლმან გულსა ჰმურა“...

ანალოგიური და ზოგჯერ მეტი სიუხვეც გვაქვს ჩვეულებრივი შყარი ფრაზეოლოგიური ერთეულების („გულის სევდა“, „გულის

[1] შ. ღლონტის გამოკვლევით, „ვეფხისტყაოსანში“ ნახმარია 7.066 დამოუკიდებელი ლექსიკური ერთეული (ცალკე ლექსიკურ ერთეულად მიჩნეულია სხვადასხვა გვარის, ქცევის, კონტაქტის მქონე ზმნები, საწყისი და მიმდეობები). ამათგან 3.768 მხოლოდ ერთჯერ გვხვდება, რაც პოემის სიტყვიერი მარაგის 53,5% შეადგენს. მარტო ეს ფაქტიც კმარა შემოქმედის ენის ამოურწყველი სიმდიდრის ნათელსაყოფად. მკლევარს აღურიცხავს, რამდენი სიტყვა რა მიზნითაა გამოყენებული. აღნიშნული ლექსიკური ერთეულიდან 2.123 სიტყვა პოეტური მიზნითაა გამოყენებული...

ერთხელ ნახმარი სიტყვებიდან უმეტესობას სახელები შეადგენს (2121), შემდგომ მოდის ზმნები (1.565). ზმნა — ქართული ენის დედაძარღვი — რუსთაველის პოემის სუნთქვა და სულია (დასახელებული ნაშრომი, გვ. 51—57).

შელამება, დაბნელება“, „გულზე სისხლის მოწოლა“, „გულის ატირება“, „გულის გახელება“, „გულის დადნობა“, „გულის დატკვეცება“, „გულის მოკვდომა“, „გულს ლახვრის სობა“, „გულზე ჩრდილის მოშორება“, „გულის განათება“ და ა. შ.) მრავალსახოვნებისა. მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს:

„გულსა სევდა შემეყარა“... „სევდა მაწვა გულსა მით ხე“
„...მიდამებდა გულსა მური“... გული შავად შემიღებე“...
„...გულსა სისხლი გარდამეთხა“... „ვახელებ გულსა
ხელთასა“...
„...ჩემი გული რაგვარ დნების“... „გული ჩვენი... დაეტყვეკნეს“
„...გავხე გულითა მკვდარითა“... „ჰკრეს ლახვარი გულსა
შუა“...
„...გულსამდუღრად ანატირსა“... „გულირაზომცამტკიოდეს“...
„განმინათლო გული ჩრდილი“... გულსა ბნელი
განმინათლა“...
„გულსა ვეთხარ ნუ მოკვდები“... -გული ჭყლეტი
გაეირკინე“

და ა. შ.

დასახელებული რომელი ფრაზეოლოგიური ერთეულიც არ უნდა გავაანალიზოთ, დავინახავთ, რომ ყოველი მათგანი დატვირთულია იდეური შინაარსით.

მაგალითად, „გულსა მდუღრად ანატირსა“ (ამგვარი ფრაზეოლოგიური ერთეული რვაზე მეტია).

რუსთაველის პერსონაჟები გულამოსკვნილნი, ვერდამთბობარი გულით ტირიან; ეს არაა მოჩვენებითი ტირილი. იგი გულთანაა დაკავშირებული. შეიძლება ითქვას, რომ „გული“ რუსთაველთნ სინამდვილის სწორად შეგრძნობის ერთ-ერთი მძლავრი, საშუალებაა.

პოემის გმირები კონფლიქტში არიან არსებულ ყოფასთან და მათი დამოკიდებულება საზოგადოებრივი ცხოვრების მიმართ ისეთ მძაფრ ფორმებში სახიერდება, რომ ისინი მზად არიან შმაგი გულით ეკვეთონ დაბრკოლებას. სწორედ ამის გამომსახველია „გულის გახელება“, „გამხეცება“ („ვახელებ გულსა ხელთასა“, „გული სრულიად გამიმხეცდა“).

„გულის განგმირვა“, წარმოდგენილი სხვადასხვა ნიუანსით, ხან უგუნურს ეხება, რომელსაც მწვრთნელი არ უყვარს, ხან მოშაირეთა იმ უუნარობაზე მიუთითებს, რომელთაც გულის გასაგმირავ სიტყვათა სრულქმნა არ ძალუძთ, ხანაც გულის გამგმირავ მოტივად თინათინის ხელმწიფობა, მისი შავი წამწამები და ნესტან-დარეჯანის მიჯნურისადმი მიწერილი წიგნია მიჩნეული, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ სიტყვათა ამგვარ დაჯგუფებას გარკვეული ფუნქცია აქვს დაკისრებული. იგი გვიჩვენებს ადამიანის გონების, ძალაუფ-

ლების, სიტყვის ძალის, სილამაზის სიდიადეს და ამდენად მრავალსახოვან ასოციაციებს იწვევს მკითხველში.

რუსთაველის გმირებს გული სტკივათ, როცა უსამართლოდ იტანჯებიან. მაგრამ ისინი არარეალური ადამიანები იქნებოდნენ, რომ მათს გულს მხოლოდ ბინდი, სევდა, წყლული აჩნდეთ. ცხოვრების ძნელ განსაცდელთა გადალახვის პროცესში მათ არანაკლები სიმტკიცე, შეუპოვრობა, სიმამაცე ახასიათებთ და მინორული ტონი ბრძოლისა და შემართების მაჟორული ბგერებით იცვლება. სიკეთისა და სიმართლის გამარჯვებით იმედებული გმირები მიისწრაფვიან ვულზე ჩრდილის მოშორებისათვის. ბნელი გულის განათლებისაკენ („განმინათლო გული ჩრდილი“, „გულსა ბნელი გამინათლდა“) ყოველივე ამას უკავშირდება „გულის გარკინება“, გულის კლდედ ქცევა, „გატინება“.

საინტერესო ფრაზეოლოგიურ ერთეულებს ქმნის რუსთაველის გმირთა საუბარი თავიანთ გულებთან („გულსა ვუთხარ: ნუ მოკვდები“... „დათმობასა ეაჯების გულსა: შენ რა მოუგვარე!“ მაგრამ „რაცა აჯა დათმობისა, გულმან ვისმცა მოუსმინა!“). გული — სიყვარულისა და სიძულვილის საბუდარი, ადვილად ემორჩილება ჩვენს სურვილებს, მაგრამ მოწესრიგებული „მოგვარებული გული“ არასოდეს არ სცდება. ურიგო საქციელის მსაჯული გულია. ის მოქმედებაა გეგმაშეწონილი, რასაც გული აძლევს დასტურს. გულია საზომი ქცევისა, მაგრამ მას თავად საზომი არა აქვს. ის, რასაც გული მოიმოქმედებს, არ შეიძლება გადახდილ იქნეს.

რუსთაველის პოეტურ ლექსიკაში გული არა მარტო გრძნობის, არამედ ადამიანთა აზრებისა და ფიქრების მთლიანობის ერთ-ერთი მთავარი საშუალებაა, გულწრფელი სიტყვისა და ქმედების გამოხატულებაა. ამიტომ „გამოთქმიხ“ ანუ მხატვრული სახის ჩამოყალიბებისათვის პოეტი საჭიროდ თვლის არა მარტო ენას, არამედ გულსა და ხელოვნებას.

სიტყვა „გულთან“ დაკავშირებული ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური ანალიზის შემდგომ (რომელთა ძირითადი მასალები ამოკრებილია შ. ღლონტის დასახელებული წიგნიდან) ძალაუნებურად გვებადება ასეთი აზრი: პოემის სიტყვათა შორის გულს როგორც რაოდენობრივად, ისე მრავალმხრივი გამომსახველობით ისეთივე ცენტრალური ადგილი უჭირავს, როგორც თვით ადამიანის (პიროვნების) პრობლემას საკითხთა შორის, ამიტომ, ვფიქრობთ, ერთის ანალიზი განაპირობებს მეორისას. გულის რაობა — დანიშნულების ახსნით (ჩვენ ყველა ნიუანსი არ მოგვიტანია) ახსნილი და გადაჭრილია პოემის უმთავრესი პრობლემა ადამიანი უპირველესად არის მოგვარებული გული.[1]

[1] ეს საკითხი იმდენად მნიშვნელოვნად გვესახება, ჩვენ მას განვიხილავთ აღზრდასთან მიმართებაში (იხ. დანართი).

შ. ღლონტის მართებული დასაბუთებით, რუსთაველის მხატვრული ენის მნიშვნელოვან კომპონენტს პეიზაჟური სახეები წარმოადგენენ. მართალია, ბუნება, როგორც გამოსახვის დამოუკიდებელი ობიექტი, პოემაში ძუნწადაა მოცემული, მაგრამ მისი სურათების გარეშე ძნელი გასააზრებელია პოემის მხატვრული სახეები.

უთვალავ ფერებში წარმოსახული ბუნების უმშვენიერესი სურათები უძევს საფუძვლად რუსთაველის პოეტურ სახეებს.

„ესე თქვა, ნელად ატირდა და წვიმა თოვლსა არია,
ნარგიზთათ იძვრის ბორიო, ვარდსა ზრავს, იანვარია".

ამ ნაწყვეტს მკვლევარი ა. ბარამიძე ასე აანალიზებს: „წვიმა ცხარე ტირილით გამოწვეული ცრემლებია, თოვლი — თეთრი პირისახე, მიბნედილი. ფერმკრთალი; ნარგიზნი — თვალები, რომელთაგან აღძრული ბორიო (ცივი სიო) ცრემლების წვიმით სუსხავს, ზრავს ღაწვებს. ჰეშმარიტად სუსხიანი იანვრის პეიზაჟიაო, ასკვნის რუსთაველი მშვენიერი შედარების ნიადაგზე"[1].

რუსთველისეული მეტაფორების ბუნება აქ მეცნიერული სიზუსტითაა გახსნილი. წარმოდგენილი სურათი ბუნების მოვლენების რეალისტურად განცდის საფუძველზეა შექმნილი და მძლავრ პოეტურ ფორმებში გამოგვივლენს პერსონაჟის სულიერ მდგომარეობას. პეიზაჟის ამსახველი სიტყვების მეტაფორიზაციის ხერხი ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა, რომელსაც პოეტი მიმართავს მხატვრული სახეების შექმნისათვის. სახე-პეიზაჟები სურათოვნებას ანიჭებს პოეტურ მეტყველებას და ამასთან ერთად შესაძლებელს ხდის გარკვეული მოვლენების განზოგადებულად აღქმას:

...ცრა ზედა წვიმდეს ღრუბელნი და მთათა ატყდეს ღვარია,
მოვა და ხეთა მოგრაგნის, ისმის ზათქი და ზარია,
მაგრა რა ზღვათა შეერთვის, მაშინ ეგრეცა წყნარია".

ბუნების დინამიკის (კანონზომიერების) გამომსახველი ეს უბადლო პეიზაჟი, ერთი მხრივ, მთელი ეპიზოდის (ტარიელის თანბირი, ქაჯეთის ციხის აღება) ერთგვარ პროლოგს წარმოადგენს, მეორე მხრივ, კი სამთა თანბირიდან „ტარიას განაზრახების" უპირატესობის პოეტურ-ფილოსოფიური გააზრებაა.

ბუნების სურათების გადმომცემი სიტყვების ორმაგ ფუნქციონირების მაგალითები პოემაში უხვად გვხვდება. ნესტანის ამბის ცნობით ტარიელს მეტისმეტი ლხინისაგან გულმა ვერ გაუძლო, „სულნი გაექცნეს" და უცნობი იქმნა. უსულოდ ქვემდებარე მიჯნურის წყლულებს ავტორი ასე გადმოგვცემს:

[1] ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I:I, თბ., 1952, გვ. 187.

„ზამთარი ვარდთა გაახმობს, ფურცელნი ჩამოსცვივიან,
ზაფხულის მზისა სიახლე დასწვავს, გვალვაჰა ჩივიან,
მაგრა მას ზედა ბულბულნი ტურფასა ხმასა ყივიან, —
სიცხე სწვავს, ყინვა დააზრობს, წყლულნი ორჯელვე სტკივიან“.

მხატვრული სახის სპეციფიკა, რითაც რუსთაველი მიუწვდომელ სრულქმნილობას აღწევს, ბუნების ცოცხალი სურათების უშუალო შეგრძნებითაა შეპირობებული.

ბუნება და ადამიანი რუსთაველისათვის ორი დიდი ძალაა, რომლებიც ერთმანეთს ავსებენ და სრულქმნილი შინაარსითა და ფორმით წარმოგვიდგენენ დიდი შემოქმედის რეალისტური ესთეტიკის უმაღლეს იდეალს... „ბუნება აქ ხან ფონია, ხან ჩარჩო, ხანაც რეზერვუარი პერსონაჟების პორტრეტებისათვის, მაგრამ იგი მაინც არაა მოკლებული თავისთავადობას“[1]. პირიქით ამ თავისთავადობასთანაა შეპირობებული ბუნებასთან კავშირში მყოფი ადამიანის განცდათა სილამაზე და მომხიბვლელობა. ბუნებისა და ადამიანის ამ შინაგანი კავშირიდან გამომდინარეობს პეიზაჟის გამომსახველობითი ლექსიკური საშუალებების როლი გარკვეული სიტუაციის მხატვრული გადმოცემისას.

„ქვე წვა, ვით კლდისა ნაპრალსა ვეფხი პირ-გამეხებული“.

პეიზაჟი უდევს საფუძვლად ამ ძირითად სიმბოლურ სახეს. ამგვარად წარმოსახულმა სატრფომ განაპირობა ტარიელის ვეფხის ტყავით შემოსვა და ბუნების წიაღშივე ძიება თავისი სულიერი აშლილობის დამშვიდების წყაროსა.

ნესტანის პორტრეტის სრულსაყოფად ქმნის რუსთაველი ულამაზეს სახეებს, რომელთაც საფუძვლად პეიზაჟისებური მოვლენები უდევს:

„ცრემლსა სეტყვს და ვარდსა აზროპს, წამწამთაგან მოქრის ბუქი“
„მისთა წამწამთა ნიავი ქრის, ვითა ქარი არავი“.

აქ ბუნებრივი მოვლენების ამსახველი ლექსიკის საშუალებით ერთიმეორის გვერდითაა განლაგებული მეტაფორა, შედარება, მხატვრული სურათი. ამ ტაეპების მიხედვით ბუნება თავისთავადაც შეიგრძნობა და მისი საშუალებით გამოხატული პერსონაჟის თვისებებიც ესთეტიკურად აღიქმება.

რუსთველისეული სახე-პეიზაჟები ადამიანის ფიზიკურ და სულიერ ძალთა პოეტური გამოხატვის შინაფორმაა. უთვალავი ფერით გაშლილი ქვეყნის სილამაზე რუსთაველმა თავისი გმირების სულის მოძრაობაში გამოხატა, რითაც შემოქმედი ისეთ მიუწვდომელ სიმაღ-

[1] გ. ნადირაძე. რუსთაველის ესთეტიკა, თბ., 1958, გვ. 127.

ლეზე ავიდა, რომელსაც თვალს ვერ შეუმართავს ვერც ერთი მისი წინამორბედი და თანამედროვე ოსტატი მხატვრული სიტყვისა[1].

უთუოდ მართალნი არიან მკვლევარნი, რომლებიც თავს არიდებენ რუსთაველის პოეტურ სახეთა სტატისტიკურ ანალიზს და ძირითადად მისი სპეციფიკის წარმოჩენით კმაყოფილდებიან. ამ აზრით ჩვენც არ შეეუდგებით რუსთაველის პოეტურ სახეთა კლასიფიკაციას და მის დეტალურ აღწერას. მით უფრო იმიტომ, რომ პოეტურ სახეებზე ყურადღება მახვილდება პოემის ტექსტზე მუშაობის დროს, რათა ეს პროცესი იქცეს ნაწარმოების გაგების ერთ-ერთ უმთავრეს საშუალებად.

„რუსთაველის პოემით ქართულ სიტყვას („ტკბილ-ქართულს") ენიჭება პოეტური სილამაზისა და სრულყოფილი გამომეტყველების ჯადოსნური ძალა. „ვეფხისტყაოსანი" ის ძეგლია, სადაც მიღწეულია შინაარსისა და ფორმის ერთობლიობის უმაღლესი სრულყოფა" (ა. ბარამიძე). გაკვრით შევჩერდეთ ზოგიერთ მათგანზე.

მ ე ტ ა ფ ო რ ა. პოემა აგებულია მეტაფორული მეტყველებისა და აზროვნების სტილით. შ. დოლაქიძის თქმით, „მთელი პოემა ერთ დიდ მეტაფორას წარმოადგენს". ა. ბარამიძის დაკვირვებით, „მეტაფორულადაა გამოხატული არა მხოლოდ ცალკეული სახე, არამედ თვით პოემის დედააზრი — სამართლიანობის უსამართლობაზე გამარჯვების იდეა:

„ნახეს შზისა შესაყრელად გამოეშვა მთვარე გველსა".

რუსთველისათვის ნიშანდობლივია ერთი და იმავე სახის მეტაფორის სხვადასხვა ნიუანსით წარმოდგენა. მაგალითად, ვ ა რ დ ი ხშირად პირისახის ცალკეულ ნაკვთს გამოხატავს, ზოგჯერ პირისახეს, ხან მთლიან პიროვნებას; გვხვდება მისი სიცოცხლის სიმბოლოდ გამოყენების შემთხვევებიც.

„ვ ა რ დ ი გააპის, გამოჩნდის შენ ბროლი გამომჭვირვალი". — ბაგეებია.
„ამად ტირს, ბაღი ვ ა რ დ ი ს ა ცრემლითა აივსებოდა". — პირისახე.
„უხარის ნახვა ვარდისა, არ ერთგან შეუყრელისა". — საუბარია თინათინზე.

როსტევან მეფე მოხუცდა, იგი სიბერეს ვარდის დაჭნობას ადარებს:

„რა ვ ა რ დ მ ა ნ მისი ყვავილი გააბმოს, დაამჭნაროსა,
იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა".

---

[1] მართალია, რუსთაველის პოეტურ სახეთა ანალოგიები უხვად მოიპოვება ქართულ ორიგინალურ და ნათარგმნ ლიტერატურულ ძეგლებში, ე. ი. პოეტი უარს არ ამბობს ისტორიულ მონაპოვარზე, მაგრამ გამოყენებულ პოეტურ ფორმებს იგი რეალისტურ ელფერს სძენს, მრავალმხრივი შინაარსით ტევრთავს და უფრო ძლიერყოფილს ქმნის მას.

ვ. ნოზაძის აზრით, „ვარდი აქ სიცოცხლის ნიშანია, სიცოცხლისა და სიკვდილის მუდმივი ცვალებადობისა. ვაზირნიც ამქვეყნიურ წესზე აგრეთვე სიმბოლურად უპასუხებენ:

„ვარდი თუ გახმეს, ეგრეცა გვმართებს მისივე ჭერობა:
მისივე ჰმეტობს ყოველსა სული და ტურფა ფერობა.
მთვარესა მცნრალსა ვარსკვლავმან ვითამცა ჰკადრა მტერობა?!“ (38).

ესაა გალობა მოხუცთადმი, ღირსებისა და პატივის მიგება ბერობისადმი“[1].

არის ტაეპები, სადაც მეტაფორულია ყველა სიტყვა:

„ნუშნი გააბნა, შეიძრნეს, სათნი გიშრისა წნელთა“.

ამ ტაეპს ა. ბარამიძე ასე განმარტავს: თვალები გაახილა (ნუშნი გააბნა), შეიძრა წამწამების (სათნი) შავი, წვრილი ღეროები (გიშრის წნელი). მისივე თქმით, წამწამის ღეროს მეტაფორულად ეწოდება აგრეთვე სარი, ინდოთა ტომის რაზმი, გიშრის ჭერი, გიშრის შუბები და სხვ.

რუსთაველისათვის დამახასიათებელია მეტაფორის იმავე ან მომდევნო სტროფში ახსნა:

„ავთანდილ დაჯდა ტირილად, ტირს ხმითა შვენიერითა.
ყორანსა გაჰგლეჯს ხშირ-ხშირად, აფრთხობს ბროლისა ჭერითა;
გახეთქა ლალი გათლილი ანდამატისა კვერითა,
მუნით წყარონი გამოხდეს ძოწსა ვამსგავსენ ფერითა“ (1351).

ამ მეტაფორული მწკრივის გასაღებს გვაძლევს სტროფის პირველი ტაეპი („ავთანდილ დაჯდა ტირილად“). ავთანდილი მშვენიერი ხმით მწარედ მოთქვამდა და გარეგნული მოქმედებითაც გამოხატავდა მძიმე მწუხარების გრძნობას.

მოცემული მეტაფორული სიტყვების ყორანი, ბროლის ჭერი განმარტებისას ა. ბარამიძე ემყარება კ. ჭიჭინაძისეულ ახსნას: ჭერი უნდა იყოს თავი, სადაც მოთავსებულია ყორანი (შავი თმა). ბროლის ჭერი — შუბლის ზემო ნაწილი, შუბლს ჭერად მოუდის შავი თმებით დაბურული თავის ნაწილი... ე. ი. ავთანდილი ხშირ-ხშირად იგლეჯდა შავ თმებს და ბღუჯებს იქით-აქეთ ყრიდა, სახე (ანდამატის კვერით გათლილი ლალი) გახეთქა და იქიდან წამოვიდა სისხლის წყაროები, რომელიც ფერით წითელ მარჯანს (ძოწს) ემსგავსებოდა[2].

ჩვენ არ ვეთანხმებით მოცემულ განმარტებას. საქმე გვაქვს პირველი ტაეპით გამოხატული პირდაპირი ნათქვამის — ტირილის პროცესის მომდევნო სამ სტრიქონში გარდასახულ რთულ მეტაფორასთან.

[1] ფერთამეტყველება, გვ. 141,

[2] შოთა რუსთაველი და მისი პოემა, გვ. 315—316.

ჩვენი ფიქრით, ყორანი წვერ-ულვაშია, რომელიც მოთქმის დროს ბროლის (ე. ი. კბილების) ჰერის (ანუ ბაგეების) ხშირ-ხშირი გაღება-დახურვის გამო აღიქმება გაგლეჯვად და არა გაპობად, როგორც ეს ქალის ღიმილის შემთხვევაში გვაქვს („ვარდი გააპის, გამოჩნდის მუნ ბროლი გამომქვირვალი"), ამასთან, ბროლის ჰერის (განსაკუთრებით ზედა ბაგის, რომელზედაც მოთავსებულია „ყორანი") ხშირი და ნერვიული ხლეჩვა აღიქმება ულვაშის ფრთხობლადაც. ე. ი. „შვენიერი ხმით ტირილს" მოჰყვა დაგუბებული ცრემლის — „ანდამატის კვერის" ღაწვზე, ანუ „გათლილ ლალზე" ჩამოგორება და ნაკვალევის დატოვება, რაც „გახეთქად" აღიქმება, ხოლო ღაწვიდან ნაგუბარი ცრემლების ვარდნა — „ხლდომად". ცრემლის ძოწისფერობა, ანუ სისხლთან შედარება რუსთაველის ბუნებრივი პოეტური სახეა („მოეხვია და ატირდა ცრემლითა სისხლისფერითა", „სისხლისა ცრემლდათხეული", „თვალთა სისხლი მოედინა" და სხვ.). ასე რომ არ იყოს და ნაცვლად ღაწვიდან ცრემლთა დენისა „სისხლის წყაროები" რომ წარმოვიდგინოთ, წითელი საგნის ისევ წითელთან (სისხლის ძოწთან) შედარება ოსტატობაა? გასათვალისწინებელია კიდევ ერთი ვარემოება — საგანთა მიმართება. დავუშვათ „ყორანი". შავი თმაა, ზემოთ მოთავსებული საგნის — თმის მიმართ ქვემოთ მოთავსებული შუბლი ჰერად როგორღა წარმოიდგინება?

შესაძლოა ტირილის მოცემული სურათი ასედაც აიხსნას:

ავთანდილის „მშვენიერი ხმით" ატირებას მოჰყვა ცრემლის დაგუბება („ცრემლსა ნაგუბარსა"), რომელსაც ველარ იჰერს (ჭერა-საწყისი, აქედან „ჰერითა") ყორანივით შავი წამწამებით შეკრული თვალის (მეტაფორულად ბროლის) სარქველი და ფრთხება, ე. ი. ჩვეულებრივზე მეტად მოძრაობს (ხშირ-ხშირად იხურება-იღება). ბოლოს დაგუბებული ცრემლი „საყუნიდან" გადმოდის „გათლილ ლალზე" (ღაწვზე), მისი ნაკვალევი „გახეთქილ ლალად" აღიქმება, ღაწვზე დაკიდებული ცრემლის გუნდა — ანდამატის კვერად, რომელიც „მუნით" იწყებს „გადმოხდომა-გადმოჩქეფვას" (ცრემლის ღაწვიდან და არა პირდაპირ თვალიდან დენა დამოკიდებულია ადამიანის მდებარეობაზე). თუ ცრემლი ძოწისფრად აღიქმება, ეს, უპირველეს ყოვლისა, იმის გამო, რომ ღაწვია ლალისფერი ანუ წითელი და, ბუნებრივია, მასზე დაგორებული ცრემლიც მისივე ფერისად ჩანს.

... ჩვენი აზრით, კ. ჭიჭინაძისეული განმარტება, რომელსაც გვერდს ვერ უვლის ა. ბარამიძე და ალბათ ნაწილობრივ მაინც ეთანხმება, ავთანდილს მეტისმეტ საჩოთირო ვითარებაში წარმოგვიდგენს. მართალია, პოემაში თმის გლეჯვისა და პირის ხოკვის ანალოგიები გვხვდება, მათ შორის „პირის ხოკვა" მომდევნო სტროფშიცაა მოცე-

მული, მაგრამ ეს ფაქტი ისე დამაკნინებლად არსად არ აღიქმება, როგორც ეს ზემოთ მოტანილ განმარტებაშია წარმოსახული.

ეპითეტი. რუსთაველს ეპითეტის, როგორც პოეტური სამკაულის, მნიშვნელობის წარმოსაჩენად საკმარისია მოვიგონოთ პოემის ერთი სტროფი:

„იყო არაბეთს როსტევან, შეფე ღმრთისაგან სვიანი,
მაღალი, უხვი, მდაბალი, ლაშქარ-მრავალი, ყმიანი,
მოსამართლე და მოწყალე, მორჭმული, განგებიანი,
თვით მეომარი უებრო, კელა მოუბარი წყლიანი“. (33).

ალბათ ამაზე ლაკონიურად შეუძლებელია პიროვნების მთლიანობაში წარმოსახვა. ეს კი მიღწეულია ეპითეტის საშუალებით.

შესაფერისი ეპითეტებით ამკობს პოეტი თავის სხვა პერსონაჟებსაც. მაგალითად, ტარიელის სულიერი მდგომარეობის დასახასიათებლად სპეციფიკურია ეპითეტები: კუშტი, პირგამქუშავი; ავთანდილისათვის — „მოყმე მხნე, ლაღად მავალი“ და სხვ.

ეხება რა მხატვრული ენის მასალის საკითხს შ. ღლონტი, აღნიშნავს, რომ მზე, მთვარე, სარო, ლერწამი, ვარდი, საერთოდ ხე „ვეფხისტყაოსნის“ არა მარტო ეპითეტებს წარმოადგენენ, არამედ მეტაფორებისა და შედარებების ობიექტებსაც. ამასთან, განმარტავს, რომ ასეთი პოეტური სამკაულები ძველ ლიტერატურულ ძეგლებშიც უხვად გეხვდება, მაგრამ ისინი რელიგიური საღებავებითაა შეფერილი, და უმეტესად უფლის თაყვანისცემის ფუნქცია აკისრიათ. სასულიერო მწერლობაში ეპითეტები: ნათელი, ნათელი დაუღამებელი, ნათელი შეუხებელი, მიუწვდომელი, მოუჩრდილებელი, დაუსაბამო ქრისტეს ატრიბუტულ დახასიათებას გვაძლევს... მხატვრული აბსტრაქცია დამახასიათებელი ნიშნების ცოცხლად წარმოსახვის გზით კი არ მიიღება, იგი იმთავითვე გეძლევა, როგორც მზამზარეული სქემა, ამიტომ ნამდვილად არსებული საგნებისა და მოვლენების მხატვრული მიზნით გამოყენება სასულიერო მწერლობაში სალმრთო ამოცანებს ემსახურება[1]. რუსთველთან კი იგივე ეპითეტები თუ მეტაფორული თქმები პერსონაჟებს მიემართება, რაც აშკარად მიგვანიშნებს, რომ რუსთაველის შემოქმედების მიზანი ადამიანის ღმერთთან მიმსგავსებაა. ანუ მისი გაღთაებრივება.

მოსწავლეთა აქტიური მონაწილეობით მოვიყვანთ მხატვრული გამოსახვის სხვა საშუალებათა მაგალითებს (შედარება, ჰიპერბოლა, გამეორება და სხვ.) და წარმოვაჩენთ მათი გამოყენების პოეტურ მიზანდასახულობას. ყურადღებას გავამხვილებთ რუსთაველის სტილისათვის დამახასიათებელ აზრის აფორიზმების სახით ჩამოყალიბე-

[1] „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული ენის სპეციფიკურობის პრობლემა, გვ. 95—96.

ბა-გადმოცემაზე, განვუმარტავთ ან თვითონვე მივიყვანთ აფორიზმის ცნების შინაარსის გამოხატვამდე (აფორიზმი არის ბრძნული აზრის მხატვრული ფორმულა), გავახსენებთ, რომ რუსთაველი საჭიროების შემთხვევაში როგორ განავრცობს ამბავს და მას ლაპიდარული აფორიზმით კრავს, რითაც იგი ლოგიკური დასკვნის ხასიათს ღებულობს, რომ მას სხვაგვარად აზრის განზოგადება ჰქვია.
მათიეე მონაწილეობით მოვიყვანთ მაგალითებს:

„თუცა ქალია, ხელმწიფედ მართ ღმრთისა დანაბადია,
არ გათნევთ, იცის მეფობა, უთქვენოდ გვითქვამს კვლა ღია.
შუქთა მისთაებრ საქმეცა მისი მზებრ განაცხადია.
ღაკეი ლომისა სწორია, ძუ იყოს. თუნდა ხვადია“ (40).

და დავასკვნით: კონტექსტის მიხედვით საუბარია მეფის შვილთა (განურჩეველად ვაჟისა და ქალისა) თანასწორობაზე, მაგრამ მის გარეშე იგი საერთოდ ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობის მნიშვნელობას იძენს.

განვიხილავთ პოემაში გატარებული აზრების გამოხატვის ძირითადი ფორმის (მხედველობაში გვაქვს ჟანრი) საკითხს, კერძოდ მასზე არსებულ შეხედულებებს[1]. და შევარჩევთ ყველაზე მართებულს.

---

[1] აზრთა სხვადასხვაობა იგრძნობა „ვეფხისტყაოსნის“ ჟანრის გარკვევის საკითხშიაც. თვალსაზრისთა დაჯგუფება გვაძლევს შემდეგ ვარიანტებს:

ა. ვეფხისტყაოსანი“ რომანია:

ა) რაინდული რომანი (ვ. შიშმარიოვი, ვ. კერნბახი, ნ. ჟორდანია).

ბ) პოეტური რომანი (მ. ბოურა).

გ) ლიტერატურული რომანი (გ. იმედაშვილი).

დ) რომანია ამ სიტყვის სრული თანამედროვე გაგებით (ნ. ნადირაძე).

ე) სარაინდო-სამიჯნურო რომანი (ს. ცაიშვილი).

ვ) ფსიქოლოგიური რომანი (პ. გუგუშვილი).

[2] „ვეფხისტყაოსანი“ პოემაა:

ა) რომანტიკული პოემა (ნ. მარი).

ბ) ფილოსოფიური პოემა (გ. ნადირაძე, შ. ნუცუბიძე, ვ. ნორაკიძე).

ი. ღოლაშვილს მხედველობაში აქვს რა ამ უკანასკნელთა მოსაზრებები, შენიშნავს: ეს ძეგლი უპირველესად საგმირო-სამიჯნურო პოემაა და მას საერთო აქვს ფილოსოფიურ პოემასთან მხოლოდ ის, რომ მასში გამოვლენილია მხატვრულად ფილოსოფიური ცოდნა.

ა. ბარამიძე ითვალისწინებს რა „ვეფხისტყაოსნის“ იდეურ-შინაარსობრივ თავისებურებას, ამბობს: „ვეფხისტყაოსანში არაჩვეულებრივი ჰარმონიით ერწყმის და ეწყოება ერთიმეორეს სიყვარული და ძმობა-მეგობრობა, რომანტიკა და ჰეროიკა. „ვეფხისტყაოსნის“ ეს შინაარსობრივ-აზრობრივი თავისებურება განსაზღვრავს მის ჟანრობრივ ბუნებასაც, „ვეფხისტყაოსანი“, რომანტიკულ-გმირული პოემაა.

როგორც აქ მოტანილი თვალსაზრისებიდან ჩანს, „ვეფხისტყაოსანი“ ვერ თავსდება პოემის რომელიმე ერთი სახის ჩარჩოში. ამდენად მიზანშეწონილია მოსწავლეებთან იგი მოვიხსენიოთ როგორც რომანტიკულ-გმირული პოემა და საჭიროების შემთხვევაში განვასხვაოთ ძველებური პოემებისაგან. ამ საკითხის სწავლებისას შეგვიძლია ვისარგებლოთ ვ. მახარაძის ნაშრომით: „პოემის სწავლების საკითხები საშუალო სკოლაში“ (თბ., 1958, გვ. 33).

პოეტური ენის ერთ-ერთი უმთავრესი სპეციფიკური ნიშანი ბგერწერაა. ამ საკითხს სპეციალური შრომა — „ალიტერაცია ქართულ შაირში და „ვეფხისტყაოსნის“ პრობლემა“ მიუძღვნა კ. ჭიჭინაძემ. მან დოკუმენტურად დაამტკიცა პოემაში ალიტერაციების სიუხვე და ამით თვალსაჩინო გახადა რუსთაველის მხატვრული ენის მუსიკალობა.

ალიტერაციის მრავალფეროვნება ამომწურავადაა გაშუქებული ბარამიძის შრომებში. გათვალისწინებულია შ. ნუცუბიძის, პ. ინგოროყვასა და სხვათა მოსაზრებები და რუსთაველის მხატვრული ენის თავისებურება დასაბუთებულია ბგერწერის ხელოვნებაშიც. შ. ღლონტი წერს: „რუსთაველის მხატვრული ენის თავისებურება ბგერწერითს ხელოვნებაში ისაა, რომ ბგერათა შერჩევა და შეხამება როგორც სტრუქტურული, ისე პოეტური ფუნქციის (სათქმელის) მხრივ ჰარმონიულადაა შერწყმული სალექსო ტაეპის აზრობრივ მომენტთან. რუსთველისეული ალიტერაციები უდიდეს როლს ასრულებს მოქმედების დინამიკის გადმოცემაში, პოეტური რიტმის, მხატვრული ემოციებისა და სახეების შექმნაში, ფერებისა და ტონების ჰარმონიულად შეხამებაში“.

„ვეფხისტყაოსნისათვის“ დამახასიათებელია ბგერულ განმეორებათა ორივე სახეობა — ასონანსი და ალიტერაცია (ასონანსი ეწოდება ხმოვანთა განმეორებას, ალიტერაცია — თანხმოვანთა შეხამებას) თუმცა „პოემისათვის უფრო სპეციფიკურია ალიტერაცია“ (ა. ბარამიძე).

ასონანსის მაგალითებია:

„მოართვეს. გასცა უზომო, უანგარიშო, ულევი“.
იარნა გზანი... უდაბურნი და უგზონი, უცხონი რამე არენი“.

ალიტერაციისა:

კარვის კალთა ჩაბლართული ჩავეჭერ, ჩავაჭარაბაკე“.
ზახილი მესმა, შევხედენ, მოყმე ამაყად ყიოდა“.
და სხვ.

„ევფონიის დარგში რუსთველის ალიტერაცია იმავე როლს ასრულებს, რასაც მეტაფორა პოეტურ სემანტიკაში“ (ა. ბარამიძე).

„ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული ენის მეორე სპეციფიკური ნიშანია რიტმი, რასაც პოეტი აღწევს სალექსო ტაეპში სიტყვათა გარკვეული თანამიმდევრობით განლაგების საშუალებით. პოემა თავიდან ბოლომდე გაწყობილია შაირის მეტრით, ანუ თექვსმეტმარცვლიანი ტაეპედით. შაირი ხალხური წარმოშობისაა, მაგრამ რუსთაველმა მისი მეტრულ-გამომსახველობითი შესაძლებლობანი უმაღლეს მწვერვალამდე აიყვანა.

„ვეფხისტყაოსნის“ ლექსის მეტრის საკითხი ბევრი მკვლევრის მიერ იყო შესწავლილი (პ. ბერაძე, ვ. ბერიძე, ს. გაჩეჩილაძე, გ. წერეთელი, თ. გამყრელიძე, ა. გაწერელია და სხვ.). მაგრამ აზრთა სხვადასხვაობის გამო კამათი დღესაც გრძელდება. ტრადიციულად მიჩნეული ქართული ლექსთწყობის სილაბურ თეორიას ა. გაწერელიამ დაუპირისპირა სილაბურ-ტონური გაგება.

გ. წერეთლის აზრით, პროსოდია ძირითადად „ოქროს კვეთას“, ანუ „ღვთაებრივ პროპორციას“ ემყარება (ტერმინი „ოქროს კვეთა“ V-ს პითაგორელებიდან მომდინარეობს. მან განსაკუთრებული მნიშვნელობა მოიპოვა იტალიური რენესანსის ეპოქაში, როდესაც ის მიჩნეულ იქნა „სრულყოფისა და ჰარმონიის გამოვლინებად ბუნებასა და ხელოვნებაში“. — „მეტრი და რითმა „ვეფხისტყაოსანში“, თბ., 1973, გვ. 9-17).

ა. გაწერელიას აზრით, ლექსის პროსოდიული (მარცვალთა შეფარდება ლექსში) ელემენტების კვლევისას ამოსავალია არა მახვილი (ამას ფონეტიკა იკვლევს) საზოგადოდ, არამედ მეტრული მახვილი, რომლის ადგილი საზომის თვალსაზრისით ყოველთვის არ ემთხვევა ჩვეულებრივი სიტყვიერი მახვილის ადგილს სალექსო ტაეპში. ლექსის ტაეპმა არ იცის არც ლოგიკური, არც ფრაზის მახვილი. მეტრული მახვილები მეტწილად თანაბარძალოვანია („ვეფხისტყაოსნის“ პოეტიკის ზოგიერთი საკითხი, 1974).

ცნობილია, რომ ქართულ ფონეტიკაში ორმარცვლიან და სამმარცვლიან სიტყვებს მახვილი მოუდით თავში, ე. ი. პირველ მარცვალზე, ხოლო მრავალმარცვლიანს — ბოლოდან მესამე მარცვალზე.

ა. გაწერელია უარყოფს ლექსთწყობის სილაბურ თეორიას, რომლის მიხედვით დაბალი შაირის დროს ტაეპის მერე ნახევარში გვაქვს უმახვილო მარცვლების ასეთი შეფარდება 5 : 3/1 : 7, და ასაბუთებს, რომ ქართული ლექსთწყობა სილაბურ—ტონურია, ე. ი. დაბალ შაირში მეტრული ნაკვეთების რიგი ასეთ სახეს იღებს:

3 : 2 : 3//3 : 2 : 3 (ესაა ჯორე-დაქტილური მეტრის ძირითადი სახეობა).

მისივე აზრით, მაღალი შაირის სტროფების უმრავლესობა ძირითადად ქორეული პრინციპითაა აგებული. ამიტომ მაღალი შაირისათვის აღება სილაბური სქემისა 4 : 4//4 : 4 უკუსაგდებია. იგი არ ასახავს ტაეპის რეალური რიტმის სურათს. ოთხმარცვლიანების ნაცვლად მაღალ შაირში დომინანტურია ორმარცვლიანთა როლი (გამორიცხულია კომბინაციები 1+3 ან 3+1 და სხვა ვარიაციები, რადგან მათი მეტრული და სემანტიკური პროფილი ცვალებადია ტაეპისა და სტროფის ფარგლებში).

ყველა ოთხმარცვლიანი კომპოზიტი მაღალი შაირის კლაუზულა-

ში ორი მახვილითაა დატვირთული: „ზედა მიდგა, ჩაყიოდა, ტირს, იზახის ვაგლახ-ვასა". ჩვეულებრივი სიტყვათმახვილის ცნება არაა მეტრული მახვილის ცნება. სალექსო ტაეპის სეგმენტებად დაყოფა (სილაბური თეორია) იშვიათად მოიცავს სინტაქსურ-აზრობრივი მონაკვეთების რეალურ საზღვრებს. თვით მთავარი ცეზურა მოჩვენებითია, მაგალითად:

„ნეგარდმო არსნი სულთა//ყვანა, ზეცით მონაბერითა".
„მე გარდავსულვარ, სიბერე//მჭირს, ჰირთა უფრო ძნელია".

მკვლევარი ასკვნის, რომ არსებითად სეგმენტი თუ ტერფი კი არაა სტროფის რეალური ელემენტი, არამედ ტაეპი.

ა. გაწერელიას მიაჩნია, რომ „ოქროს კვეთის" ცნების მიყენება საზომთა ფიქციაა. ასაბუთებს, რომ „ექვსმარცვლიან სიტყვათა გამოყენება სავსებით ორგანულია პოემაში. სილაბურ-ტონური ინტერპრეტაციის დონეზე ისინი უნაკლონი არიან აქცენტუაციის მხრივ, ხოლო ლექსიკის მხრივ სრულიად არ წარმოადგენენ რაიმე გამონაკლისს" (გვ. 38). ამ მხრივ სავსებით ბუნებრივად ჟღერს რვამარცვლიანი კომპოზიტებიც. იგი ტაეპის რომელიმე ნახევარს მთლიანად მოიცავს. მაგალითად:

„გიამბე ჩემი ამბავი // სიცოცხლე-გაარმ:ებულმან"
3 2 3 3 2 8

ქართულ ლექსში ტერფებისა და სიტყვების საზღვრები ზოგჯერ სავსებით ემთხვევიან ერთმანეთს, ზოგჯერ არა. მაგალითად; დაბალი შაირის მეტრული სქემის მიხედვით დაყოფა ასეთი იქნება:

„რა მოისმინეს/ ყველაი// დარჩა გულდანაწყლულები"
2 3 3 2 3 4

რეალური საზღვრები რიტმებს შორის კი ამგვარია:

„რა/მოისმინეს/ყველაი/დარჩა/გულდანაწყლულები".

ქართულ კლასიკურ ლექსში საერთოდ უფრო ხშირია საზომის სქემით ნავარაუდები ფარგლებისა და სიტყვათა ბუნებრივი საზღვრების ურთიერთდამთხვევა, მაგალითად:

შენი/სიცოცხლე შეყოფის//ჩემად იმედად/გულისად"
2 3 3 2 3 3

„მიუხედავად ამისა, მთელი სტროფის მანძილზე მეტრული ნორმის კრისტალური სახით შენარჩუნება ძნელია და ქართული ლექსის რიტმული მრავალფეროვნების ერთ-ერთი ნიშანიც ესაა".

მკვლევარი ასკვნის: „ვეფხისტყაოსნის" მეტრიკა იცნობს სილაბურ-ტონურ სქემას (დომინურსა და ვარიაციულს); ტაეპი ფონიკურად მთლიანი ერთეულია, ცოცხალი ტაეპი „სეგმენტებისაგან", როგორც სტრიქონის

ნაწილებისაგან, არ შედგება. ამასთან, ინტონაციური კონტურის არსებობა უნივერსალური კანონია თვით პროზაული ფრაზის მიმართაც, ლექსის სტრიქონი კი ასეთი კონტურის გარეშე საერთოდ არ არსებობს. მეტრული მახვილების რიტმული დანიშნულების გარეშე ქართული ლექსი არ არსებობს.

მკვლევარი დასძენს: მოტანილი ამონაწერი ჩვენი კონცეფციის ყველაზე თვალსაჩინო ილუსტრაციაა, მას ნორმატულ მნიშვნელობას ვანიჭებ ქართული ლექსთწყობის ბუნების ამომწურავი გაგების თვალსაზრისით.

მაღალი და დაბალი შაირის გამოყენების კანონზომიერებაზეც არსებობს ორი ძირითადი შეხედულება: 1. რიტმის გარკვეულ სახეობას ამა თუ იმ განწყობილების გამოხატვა ეკისრება (პ. ბერაძე, ვ. ბერიძე) ე. ი. მაღალი შაირი უმთავრესად იქ გვხვდება, სადაც დინამიკურობა, მოულოდნელობა არის ასახული, ხოლო დაბალი შაირი ისეთ შემთხვევაშია გამოყენებული, როცა თხრობა, ან მწუხარება, სევდა. საერთოდ მძიმე განწყობილების შემცველი სურათის აღწერაა საჭირო. 2. მეორე შეხედულების მიხედვით, შაირის სხვადასხვა სახეობის გამოყენება თხრობის ტემპისა და ამბის განვითარებასთან დაკავშირებული მომენტების გამოხატვას ემსახურება. ამ შეხედულებას იცავს შ. ნუცუბიძე, ასაბუთებს შ. ღლონტი და იზიარებს ბევრი მკვლევარი, მათ შორის ა. ბარამიძე, ა. გაწერელია.

შ. ღლონტი წერს: მაღალი და დაბალი შაირის გამოყენების კანონზომიერების დასადგენად მთავარია თვით პოეტის მიზანდასახულობის გათვალისწინება. ე. ი. თუ მას სურს ჩქარა გვაუწყოს საქმის ვითარება, მიმართავს მაღალ შაირს, პირიქით შემთხვევაში კი დაბალს. მაგალითად, ტარიელი სატრფოსგან პირველ წერილს მიიღებს. ავტორისეული ჩანაფიქრით, ეს ის მომენტია მიჯნურთა ცხოვრებაში, რაც ჩქარი ტემპით უნდა გადმოიცეს: „წიგნი ვნახე, მისი იყო, ვისი მდაგავს ალი გულსა“... მომდევნო სტროფები ნესტანის წერილის ძირითად მოტივებს გადმოსცემს. აქ მისი გულისთქმა გადმოცემულია დამშვიდებული, დამრიგებლური ტონით:

„ბედითი ბნედა, სიკვდილი რა მიჯნურობა გგონია?“...

ნესტანი ავალებს მიჯნურს, შეებას ხატაელებს და მას რომ კატეგორიული დინამიკური შინაარსი მიეცეს, რუსთაველი სტროფს მაღალი შაირით მართავს:

„მართლად გითხრობ, მომისმინე ესე, რაცა მოგახსენე“... და ა. შ.

რიტმასთან უშუალო კავშირშია რითმა. რუსთაველისათვის სპეციფიკურია სარითმო კლაუზულაში საყრდენი თანხმოვნების დაცვა. საყრდენ ბგერებად, მეცნიერთა დაკვირვებით, გამოყენებულია

შეღერი ბგერები: ძ-ნ-ელია, მქმ-ნ-ელია, ბ-ნ-ელია, სანუ-ნ-ელია. ეს თანხმოვნები სიახლოვეს ამყარებენ მახვილიან ხმოვნებთან, რაც უზრუნველყოფს სტროფის აზრობრივ-მუსიკალურ მომენტთა შეთანხმებულობას.

„ვეფხისტყაოსანში“ გამოყენებულია რითმის განსაკუთრებული სახეობა ე. წ. მ ა ჯ ა მ ა. რუსთაველის მაჯამები სპეციალურად შეისწავლა კ. ჭიჭინაძემ. დაჰპაბუთა, რომ პ ო ე ტ ი მაინცა და მაინც გატაცებული არაა მაჯამების შექმნით. იგი მხოლოდ ერთი შენაკადთაგანია იმ მდიდარი რთული კონსტრუქციებისა, რომელსაც რუსთაველი იყენებდა თავის პოემაში. სწორედ ამიტომ „ვეფხისტყაოსანში“ მაჯამები თავისუფალია ყოველგვარი ხელოვნური დანართისაგან. რუსთაველის მაჯამების სპეციფიკა მის ბუნებრიობაში მდგომარეობს.

პოეტიკის საკითხთან დაკავშირებით საყურადღებოა აგრეთვე ა. ხინთიბიძის გამოკვლევა, რომელშიც ვრცელი საილუსტრაციო მასალით დადასტურებულია „ვეფხისტყაოსანში“ შიდარითმის არსებობა, მოცემულია მისი კლასიფიკაცია, ყურადღება გამახვილებულია შიდარითმის რაობასა და ხასიათზე, მის ხალხურ ძირებსა და მხატვრულ ღირსებაზე.

ავტორი განასხვავებს ალიტერაციას და შიდარითმას, არკვევს მათს ურთიერთმიმართებას და ასკვნის — მცდარია შეხედულება ბგერათშეთანხმებასა და შიდარითმის იგივეობის შესახებ. რითმისთვის აუცილებელია ბგერათა მთელი კომპლექსის იგივეობა ან მიმსგავსება, ალიტერაციისათვის კი ერთი ბგერის განმეორებაც საკმარისია. რითმა მოითხოვს, რომ განმეორებით ერთეულები მეტრულად განსაზღვრულ ადგილებში ისხდნენ — ცეზურასთან, მუხლების (ე. წ. ფიქსირებულად, ტერფების) ბოლოს, ალიტერაციის დროს კი გამეორებადი ბგერების ადგილსამყოფელს მნიშვნელობა არა აქვს: ალიტერაცია ბგერათშეთანხმების სფეროს არ სცილდება, რითმისათვის კი ბგერათშეთანხმებასთან ერთად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს რიტმს; რითმა რიტმის შემადგენელი ერთეულიაა. „დიდხანს იტირეს უ მ ა მ ა ნ და მ ა ნ ქ ა ლ მ ა ნ შაოსანმა ნ (რომელზედაც შ. დოლაქიძე მიუთითებდა)—ალიტერაციული მოვლენაა და არა რითმა. მას აკლია რითმისათვის აუცილებელი აქცენტიურობა (ერთმარცვლიანი შესიტყვებანი პოემაში საერთოდ რითმას არ ქმნის).

„ვის ჰმორჩილობს ჯ ა რ ი სპათა, მისთვის ეხელობ, მისთვის მ კ ვ დ ა რ ი“. ხაზგასმული სიტყვები რითმად არ ითვლება, რადგან პირველი სიტყვა სარითმო ადგილას არ ზის. რითმა რომ მივიღოთ ჯარი მუხლის ბოლოს უნდა გადავიტანოთ:

ვის ჰმორჩილობს სპათა ჯ ა რ ი, მისთვის ეხელობ, მისთვის მ კ ვ დ ა რ ი“.

ვის კი — „დაცაგემარხენო ხ ე ლ ი თ ა ჩვენისა დამმარხ ვ ე ლ ი თ ა“ შიდარითმის ნიმუშია.

მკვლევარი ასხვავებს უნებლიე და ნებისმიერ შიდარითმებს და გვთავაზობს მათს სახეებს: ცეზურული რითმა, წინაცეზურული რითმა, უკანაცეზურული რითმა. მოყავს მაგალითები

„სამთა ფ ვ რ თ ა ს ა ქ ე ბ ე ლ თ ა, ლამის ლექსთა უნდა ელენა“.

(წინაცეზურულია, შერითმულია პირველი ნახევარტაეპის მუხლები).

„თქვენ ჩემსა საწადელსა მ ი დ გ ო მ ი ლ ნო, ვითა ჩ რ დ ი ლ ნო“

(უკანაცეზურულია. შეთანხმებულია მეორე ნახევარტაეპის მუხლები).[1]

რუსთაველის ლექსზე საუბრისას მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ის, რომ თექვსმეტმარცვლიანით დაწერილ მთელს პოემაში გვხვდება ერთი ოცმარცვლიანი სტროფი—„შეკრა წითელი ასი ათასი პირად მზემან და ტანად სარომან“ (779), რომელიც ერთხმად მიჩნეულია რუსთველურად. ა. ხინთიბიძე მას განასხვავებს ჩახრუხაულ და შავთელურ ოცმარცვლიანებისაგან (რომლებიც, მისი აზრით, ალმოსაელური წარმოშობისაა, ხოლო რუსთველისა კი ფისტიკაური ანუ ხალხურია) და გვთავაზობს წინადადებას — „თექვსმეტმარცვლიან ლექსთწყობას ხომ არ ვუწოდოთო რუსთველური?“[2] ვფიქრობთ, თუ მთლიანად არა, ნაწილობრივ მაინც გაზიარებულია იგი, რადგან, მართალია, საერთოდ თექვსმეტმარცვლიან ლექსს არ ვუწოდებთ რუსთველურს, მაგრამ ვამბობთ „რუსთველურ მაირს“.

44-ე გაკვეთილი

რუსთაველი — ქართული რენესანსის მესვეური

ექსპერიმენტულმა მუშაობამ დაგვანახა, რომ სკოლაში ამ საკითხის გათვალისწინება განპირობებულია, პირველ ყოვლისა, მოსწავლეთა ინტერესით[3]. ამავე დროს, რუსთაველის მსოფლმხედველობის შე-

---

[1] ა. ხ ი ნ თ ი ბ ი ძ ე, „ვეფხისტყაოსნის“ პოეტიკიდან, თბ., „მეცნიერება“, 1969.

[2] იქვე, გვ. 41.

[3] რომ გაგვერკვია, თუ რამდენად სწორად და რა სიღრმით იცნობდნენ მოსწავლეები რუსთაველის შეხედულებებს „ვეფხისტყაოსანში“ დასმულ ძირითად საკითხებთან დაკავშირებით, პოემის შესწავლის შემდეგ რესპუბლიკის რამდენიმე სკოლის მოსწავლეებს მივეცით დავალება, ჩაეწერათ მათთვის საინტერესო კითხვები, რომლებიც გაუჩნდათ რუსთაველის შესწავლისას. მოსწავლეებს აინტერესებდათ: სწამს თუ არა რუსთაველს ღმერთის? (თბ. მე-15 სკოლა), რით განსხვავდებიან რუს-

სახებ ერთი გარკვეული აზრის შემუშავებასა და ჰუმანიზმის რუსთველური კონცეფციის უკეთ გაგებას მოითხოვენ სიტყვიერების მასწავლებლები[1].

გავითვალისწინეთ როგორც მოსწავლეთა ინტერესები, ასევე მასწავლებელთა მოთხოვნები და საჭიროდ ვცანით საკითხის ამ სახით წარმოდგენა — რუსთაველი, ქართული რენესანსის მესვეური. ვფიქრობთ, რომ იგი ერთგვარ დახმარებას გაუწევს პედაგოგებს, რომლებიც აღნიშნულ საკითხებს გაითვალისწინებენ როგორც პოემის ტექსტზე მუშაობისას, ისე შემაჯამებელი საუბრის დროს.

რუსთაველისათვის მთავარია ადამიანი, მისი ამქვეყნიური ცხოვრება და საქმიანობა, მისი გრძნობები და მიზნები. კაცთმოყვარეობა, სიკეთე, პოეტის შეხედულებების, სარწმუნოებრივი მრწამსის, სიყვარულისა და მეგობრობის იდეების ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია.

ჰუმანიზმი არის მთავარი ნიშანი რენესანსისა, რომელმაც XIV—XVII საუკუნეებში ფართო მოძრაობის ხასიათი მიიღო.

რა მხრივ უკავშირდება რუსთაველის სახელი ამ ზოვადსაკაცობრიო მნიშვნელობის ჰუმანისტურ მოძრაობას, რომელიც ცნობილია რენესანსის სახელწოდებით და რა ადგილი უჭირავს მას (რუსთაველს) მსოფლიო ლიტერატურაში?

თაველის, მისი წინამორბედებისა და თანამედროვეთაა აზრები ღმერთისა და სამყაროს შესახებ (თბ. მე-15, ქუთაისის მე-7 სკოლები), რუსთაველის შეხედულება მდაბიოთა შესახებ (თბ. 55-ე, ქუთაისის მე-3 სკოლები). რატომ კლავენ რუსთაველის დადებითი გმირები ზოგჯერ უდანაშაულო ადამიანებსაც კი, „არსთა მხედრის" (ღმერთის) ხომ დაინახავს ამას? და მერე რა პირით ითხოვენ შეწევნას მისგან? (თბ., 61-ე, მე-60 და მე-14 სკ.).

ტარიელი და ავთანდილი ადამიანისათვის შეუფერებელ ძალ-ღონეს იჩენენ, თვითონ არასდროს არ შავდებიან (იხრებიან), ხომ არ არიან ეს გმირები ზღაპრულ-ფანტასტიკურნი? (თბ. მე-16, 112-ე, 142-ე სკ.).

თინათინის გამეფების სურათი ძალიან გავს თამარის გამეფების ისტორიულ წყაროებში მოცემულ ცერემონიალს, მაგრამ, ამავე დროს ნესტანის ბედიც გვაგონებს თამარის ბედს. როგორ ექცევა პოეტი სინამდვილეს? (მე-15 სკოლა).

ხომ არ არის ავთანდილი პოემის მთავარი მოქმედი გმირი? ის რომ არა, ტარიელი და ნესტანი საწადელს ვერ მიაღწევდნენ (მე-15, 113-ე).

ტარიელის სახით რუსთაველი თავისთავს ხომ არ გვიხატავს? (ქუთაისის მეორე, მე-7 სკოლები).

[1] რა ვუთხრათ ბაშვებს რუსთაველის რწმენის შესახებ?

ლიტერატურის სახელმძღვანელოში ეს საკითხი საერთოდ არ არის გათვალისწინებული, ხოლო სპეციალურ ლიტერატურაში ურთიერთსაწინააღმდეგო აზრებია გამოთქმული.

როგორ შევუთავსოთ ერთმანეთს რუსთაველის ჰუმანიზმი და უდანაშაულო ადამიანთა სისხლისღვრა?

ჰუმანიზმის ცნება რამდენადმე განსხვავებული ნიუანსითაა წარმოდგენილი ენციკლოპედიებში, ლექსიკონებსა და მეცნიერულ ნაშრომებში. ამ განსხვავებას ძირითადად ქმნის ჰუმანიზმის ცნების რენესანსის საკითხებთან დაკავშირება. ალტრუიზმის გრძნობა კაცობრიობის განვითარების ადრეული ხანიდანვეა ცნობილი და ამდენად კაცთმოყვარეობა არის ჰუმანიზმის ცნების ყველაზე ფართო გაგება, ხოლო მისი ვიწრო შინაარსის შემუშავება უკავშირდება რენესანსს, რომლის მიხედვით ჰუმანიზმი არის აღორძინების ხანის იდეური მოძრაობა, რომელიც მიმართულია პიროვნების განთავისუფლებისაკენ. იმის მიხედვით, თუ ეს განთავისუფლება რომელ მხარეში და რომელ ხანაში რა ხასიათს იღებდა, გვაქვს ჰუმანიზმის გაგების მრავალგვარი ვარიანტი და კონცეფცია[1].

ცხადია, ჰუმანიზმი (ფართო გაგებით) არ არის რენესანსის უშუალო საფუძველი არა მარტო იმ აზრით, რომ მისი შინაარსი რენესანსზე ადრეულია, არამედ იმითაც, რომ კაცთმოყვარეობა ქრისტიანული რელიგიის ერთ-ერთი მთავარი ნიშანიც იყო, რაზედაც მართებულადაა მითითებული სპეციალურ ლიტერატურაში.

მკვლევართა ერთი ნაწილი, როსთაველს მიიჩნევს რა ჰუმანიზმის პირველი კონცეფციის გამომხატველად, საერთოდ უარყოფს რენესანსის გამოვლენას საქართველოში (ვ. ჟირმუნსკი[2] და სხვ.) მაშინ, როცა ვ. ჭანტურია და სხვა მკვლევრები რენესანსის იდეებს ხედავენ მერჩულის, მთაწმინდელის, პეტრიწის, შავთელის, რუსთაველისა და სხვათა შემოქმედებაში[3].

საჭიროდ მიგვაჩნია დავსვათ კითხვა — რა ახალი შინაარსით გაამდიდრა რუსთაველმა ჰუმანიზმის ეს ზოგადი გაგება, ანუ ნ. ნათაძის სიტყვით რომ ვთქვათ, რით გამოიხატა რუსთაველის მიერ „ქრისტიანული კულტურისაგან შორს წასვლა და ძლევა"[4], რითაც იგი მიუახლოვდა ჰუმანიზმის შემდგომი დროის გაგებას ისე, რომ რენესანსის[5] დაწყების მანიშნებლად სცნეს მსოფლიოს მოწინავე ადამიანებმა?

---

[1] Н. И. Конрад, Об эпохе возрождения (Литература эпохи возрождения. М., 1967, გვ. 21).

[2] В. Жирмунский, Алишер Навои и проблема ренессанса в литературах Востока (Литература эпохи возрождения. გვ. 461).

[3] В. Чантурия, Педагогика грузинского гуманизма XI—XII вв. Батуми, 1954, გვ. 44.

[4] რუსთველური მიჯნურობა და რენესანსი, 1966, გვ. 197.

[5] რენესანსის ცნების უყველაზე ფართო გაგება დაახლოებით ასეთია: „რენესანსი არის საერთო აზრის, კულტურის შესამჩნევი პროგრესი ყოველი ერის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ადამიანის პიროვნულ უფლებათა ევოლუცია და არა მხოლოდ ერთ ქვეყანაში მეცნიერებათა და ხელოვნებათა აღორძინების კერძო მოვლენა" (გ. იმედაშვილი, რუსთაველი და მისი „ვეფხისტყაოსანი", ჟურნ. „სკოლა და ცხოვრება", 1966, № 9, გვ. 12).

რუსთაველის ჰუმანიზმისა და ქრისტიანული კაცთმოყვარეობის ურთიერთმიმართებაში განხილვის საფუძველს გვაძლევს—თვით პოემა. როგორც ვიცით, რუსთაველი მის მიერ ყველაზე მკაფიოდ გამოხატულ ჰუმანიზმის იდეას „სიყვარული აღგვამაღლებს“ მოციქულთა სათქვამად რაცხს.

„წაგიკითხავს, სიყვარულსა მოციქულნი რაგვარ წერენ?
...სიყვარული აღგვამაღლებს“, ვით ეჟვანნი, ამას ეღერენ“ (799).

ქრისტიანული რელიგიის ეთიკური ნორმებისა და რუსთაველის გმირთა მორალური მრწამსის ზოგად შეპირისპირებამდე აუცილებელია, მოკლედ მიმოვიხილოთ სამეცნიერო ლიტერატურაში რუსთაველის ღმერთის შესახებ გამოთქმული მოსაზრებანი.

სამართლიანად შენიშნავს შ. ნუცუბიძე, რომ „ცენტრალური ადგილი რუსთაველის კონცეფციაში უჭირავს ღმერთს. ამ წარმოდგენაში თავს იყრის ყველა სხვა ცნება: სამყარო, ადამიანი, აუცილებლობა, მიჯნურობა, ბედი და სხვ.“[1] ამიტომ სავსებით გასაგებია, რომ ჩვენს მეცნიერებაში ყველაზე დაძაბული ბრძოლა წარმოებდა სწორედ რუსთაველის ღმერთის ირგვლივ. როგორც გ. ნადირაძე შენიშნავს, „არ დარჩენილა თითქმის არც ერთი იმდროისათვის ცნობილი რელიგიურ-ფილოსოფიური მიმდინარეობა, რომ იგი არ ყოფილიყოს აღიარებული რუსთაველის მრწამსად: ორთოდოქსალური ქრისტიანობა, ბიბლიური ქრისტიანობა, წარმართობა, მაჰმადიანობა, პანთეიზმი, პანთეიზმი“[2].

„ვეფხისტყაოსნის“ ღმერთის პანთეისტური თეზა წამოაყენეს ი. ჯავახიშვილმა[3], პ. ინგოროყვამ[4], ხოლო იგი დაასაბუთა შ. ნუცუბიძემ ნაშრომში „Творчество Руставели“ (1958). მკვლევარი თავის წიგნში ამ საკითხთან დაკავშირებული ზოგიერთი დებულების შეუთანხმებლობა-შეუსაბამობას ამართლებს „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის ორპლასტიანობით[5].

შ. ხიდაშელმა პანთეიზმი მიიჩნია „ვეფხისტყაოსანში“ ასახული ჰუმანიზმის ფილოსოფიურ თეორიად[6], ხოლო ინგლისელი ლიტერა-

---

[1] შ. ნუცუბიძე, რუსთაველის მსოფლმხედველობისათვის, თბ. სახ. უნივერსიტეტის შრომები, ტ. I, 1936, გვ. 24.

[2] გ. ნადირაძე, რუსთაველის ესთეტიკა, 1958, გვ. 14-15.

[3] რუსთველი მერყეობს პანთეიზმსა და ერთღმერთობას შორის (Н. Джавахишвили. Личности и мировоззрение. გაზ. «Известия», 1937, გვ. 66).

[4] პ. ინგოროყვა ვეფხისტყაოსანში პანთეიზმის ელემენტს ხედავდა.

[5] Ш. Нуцубидзе, Творчество Руставели, გვ. 367—369.

[6] შ. ხიდაშელი, „ჰუმანიზმის ზოგიერთი საკითხი ფეოდალური ხანის ქართულ მწერლობასა და „ვეფხისტყაოსანში“ („ფილოსოფიის ინსტიტუტის შრომები“, ტ. V, 1954).

ტურათმცოდნის მორის ბოურას მოსაზრებით, რუსთაველი ძალიან ახლოსაა პანთეიზმთან[1].

მ. გოგიბერიძის აზრით, რუსთაველის ღმერთი განგებისა და გონების სინთეზია[2].

ა. ბარამიძე აღნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსანში" მოიძებნება ცალკეული პანთეისტური ელემენტები, მაგრამ ბევრი რამ პანთეიზმის საპირისპიროდაც ლაპარაკობს... საქრისტიანო დოგმების საპირისპიროდ, რუსთაველის მოძღვრებით, სიცოცხლე უმაღლესი სიკეთეა:

„მომკალ, კაცსა სიცოცხლისა სწორად რაცა მოეხმაროს" (149)
„სჯობს სიცოცხლისა გაძლება, მისთვის თავისა დადება" (733)[3].

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ „ვეფხისტყაოსანში" ღვთის ცნებას შესამჩნევად აბსტრაქტული ხასიათი აქვს, მის გმირთა მიმართებაში არც ერთი აღსარების ღმერთი არ გვევლინება"[4], მაგრამ რუსთაველის თეოლოგიური მრწამსი უმეტესად მაინც ქრისტიანულია (ქ. კეკელიძე, ქ. ეკაშვილი, გ. ნადირაძე, გ. იმედაშვილი, ვ. ნოზაძე, მ. გიგინეიშვილი, ს. ცაიშვილი, ზ. გამსახურდია და სხვა).

ჩვენი აზრით, საერთოდ რუსთაველის ღმერთისადმი დამოკიდებულების (და არა მხოლოდ პოეტის აღმსარებლობის) საკითხის ყველაზე მართებულ დასკვნას იძლევა მ. გოგიბერიძე („რუსთაველის ღმერთი გონებისა და განგების სინთეზია"). რუსთაველის ამგვარ მსოფლმხედველობას აქვს სათანადო მიზეზები[5].

„რუსთაველის ჰუმანიზმი ორი ასპექტით იშლება: ადამიანის დამოკიდებულებით ღმერთთან, რომელიც თეიზმისა და ათეიზმის მოტივებს ქმნის და ადმიანის დამოკიდებულებით ადამიანთან. პოეტს სოციალური ჰარმონიის გრძნობაში სიყვარულისა და შეგობრობის მოტივებით რომ ესახება". (გ. იმედაშვილი).

ღმერთი და სიკეთე რუსთაველისათვის სინონიმური სიტყვებია. ადამიანში თუ რაიმე არის ღვთაებრივი, ეს სიკეთისაკენ სწრაფვაა. სი-

---

[1] მ. ბოურა, შთაგონება და პოეზია ჟურნ. „მნათობი", 1959, № 8, გვ. 59).

[2] მ. გოგიბერიძე, უზენაესი არსების ცნება „ვეფხისტყაოსანში", „მნათობი", 1941, №5, გვ. 120.

[3] ა. ბარამიძე, შოთა რუსთველი და მისი პოემა, გვ. 211-212.

[4] გ. იმედაშვილი, „ვეფხისტყაოსანი". დ. ქართელ- კულტურა, გვ. 163.

[5] რუსთაველის მსოფლგაგებაში განგების ძალის აღიარება განპირობებულია ორი მიზეზით: 1. ბუნების მთელი რიგი საიდუმლოებების შეუმეცნებლობით (მეცნიერული კვლევის მოუდგომლობით), 2. მაშინდელი საზოგადოებრივი მდგომარეობით: ა) განგების რწმენა ადამიანს სულიერ მხნეობას აძლევდა, ხელს უწყობდა სათნოების დანერგვას და მისი მორალური შეგნების ამაღლებას; ბ) მუსლიმანური აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში ქრისტიანობა და ქართველობა ურთიერთს განპირობებდა.

კვთისაკენ სწრაფვის გზად თეოლოგიური მოძღვრების თანახმად მიჩნეულია ქრისტიანული „აგაპე“[1], რომელიც რუსთაველის გაგებით, სხვა არა არის რა, თუ არა საღმრთო და ადამიანური სიყვარულის ერთიანობა. პოეტი უპირისპირდება ასკეტთა ცალმხრივ მიდგომას ღვთიური სიყვარულისადმი, რომელთა აზრით, იგი ეზოტერიკული მოვლენაა[2].

რუსთაველი კარგად ხედავდა წინააღმდეგობებს როგორც თეოლოგიურ მოძღვრებებში, ისე ცხოვრების სინამდვილესა და ამ მოძღვრებებში გაბატონებულ იდეებს შორის. ამიტომაა, რომ პოემაში არაერთგან იგრძნობა რელიგიური დოგმების, მისი ეთიკური ნორმების არა მარტო დარღვევა, არამედ ზოგჯერ მასთან მკვეთრი დაპირისპირებაც.

მოციქულთა წიგნში ვკითხულობთ: ბილწები, ბოროტები, კაცის მკვლელნი და მსგავსნი ღვთის სასუფეველს ვერ დაიმკვიდრებენ (გალატელთა მიმართ; 5 — 21). მაშინ როგორღა ხდება, რომ გმირებს, კაცის კვლის მიუხედავად, სჯერათ, რომ ისინი სასუფეველს დაიმკვიდრებენ? (ტარიელი და ნესტანი მიისწრაფიან სულთა სირაში გადასვლისაკენ, რათა ამქვეყნად გაუხარელნი იქ შეხვდნენ ერთმანეთს). ამ მხრივ საყურადღებო აზრს გამოთქვამს გ. გაჩეჩილაძე: „ვეფხისტყაოსნის“ ქრისტიანიზმი აღარაა შუა საუკუნეების ორთოდოქსია. რუსთაველის გმირებს არ აშინებთ სააქიო ცხოვრების ნაცვალგების შიში. აქ ღვრება დამნაშავეთა თუ უდანაშაულოთა სისხლი და ნაწარმოების ბოლოს იხატება ოპტიმისტური პათოსი, რომ ასეთ ადამიანთა მეფობით იქმნება შესაძლებლობა ადამიანთა იდეალური ყოფისა“.[3]

რუსთაველმა, გარკვეული აზრით, ადამიანი აამხედრა არა მარტო რელიგიის ბრმა მორჩილების, არამედ არასრულყოფილი მეფე-პიროვნების წინააღმდეგაც მაშინ, როცა მეფე შუა საუკუნეებში ღვთის ხელწორად იყო მიჩნეული.

რუსთაველი ტარიელის ენით გამოთქვამს შეხედულებას იმის შესახებ, რომ აუცილებელია მეფე სამართლიანი იყოს: „მაგრა, თვით იცით, ხელმწიფე ხამს მჭმნელი სამართლისა“.

ავთანდილიც არაა მეფის ბრმად მორჩილი პიროვნება, იგი ქედს არ იხრის აღმზრდელი ხელმწიფის წინაშე. როცა საქმე ადამიანობას, კაცთმოყვარეობის საკითხს ეხება. შეიძლება ითქვას, პოეტი ავთანდილის ენით მკაცრად აკრიტიკებს მეფის პიროვნებას, რომელიც კაცთმო-

---

[1] აგაპე (ἀγάπη) ღვთიური, კერთხეული სიყვარული (**потребная любовь**). **Древний греческо-русский словарь**, ტ. I. გვ. 17.

[2] ეზოტერიკული — (ბერძ. შინაგანი) რაც განკუთვნილია მხოლოდ იმათთვის, ვისაც გაენდვნენ (ითქმის რელიგიური წესების, მისტიკურ მოძღვრებათა, მაგიურ ფორმულათა შესახებ). უცხო სიტყ. ლექსიკონი, თბ., „განათლება“, 1989, გვ. 148.

[3] გ. გ ა ჩ ე ჩ ი ლ ა ძ ე, „ვეფხისტყაოსანი“ და რენესანსული კულტურის საკითხები. ჟურნ. „მნათობი“ 1966, № 9, გვ. 131.

ყვარეობის გაგებაში არ დგას სათანადო სიმაღლეზე, მკვეთრად, ჩამორჩება პუშანიზმის რელიგიურ დონეს:

„წაგიკითხავს სიყვარულსა მოციქულნი რაგვარ წერენ?
ვით იტყვიან, ვით აქებენ? ცან, ცნობანი მიაფერენ!
„სიყვარული აღგვამაღლებს" ვით ეუბნენი, ამას ღუერენ,
შენ არ ჯერ ხარ, უსწავლელნი კაცნი ვითმცა შეუჯერენ"

პოემაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ თანამედროვეთა რელიგიურ-ეთიკური მრწამსი, ფილოსოფიური განსწავლულობა და მისი პრაქტიკული განხორციელება ღიდად დასცილდა ერთმანეთს, მათი ცოდნა ფიქციაა:

„არა ვიქმ, ცოდნა რას მარგებს ფილოსოფოსთა ბრძნობისა!
მით ვისწავლებით, მოგვეცეს შერთვა ზეთ მწყობრთა წყობისა" (798).

მსგავსი აზრია გამოხატული 797-ე 911-ე სტროფებში. მეფის მცდარი განსჯა ადამიანების ურთიერთდამოკიდებულებაზე მხილებულია აგრეთვე 783-ე სტროფში. ავთანდილი

„იტყვის: „როსტან არ გამიშვა, არცა სიტყვა მომისმინა;
მან არ იცის, რათა, ვინა და სულ-დგმული ვისგან ვინა;
უმისოდმცა ნუ ცოცხალ ვარ ნუცა გარე, ნუცა შინა!
რაცა საქმე უსამართლო ღმერთმან ვისმცა შეარჩინა!"

ამ უკანასკნელი სტრიქონის ორგვარად გაგება შეიძლება: 1. აქაა როსტევანის მიმართ საყვედური იმ შემთხვევაში, თუ მას ავთანდილი დაუჯერებს და ტარიელის დასახმარებლად არ წავა. ავთანდილის აზრით, ეს იქნება ორივეს უსამართლო ქცევა, მეფის ნებით განპირობებული, რასაც ღმერთი არცერთს არ აპატიებს.

2. ავთანდილმა იცის, რომ ტარიელი მეფე ფარსადანისაგან დაჩაგრული პიროვნება, ამ ეტაპზე მისი უმეგობროდ დატოვება მის გაწირვას ნიშნავს. ამას იგი ერთი წუთითაც არ დაუშვებს („თუმცა მისი არ გაწირვა ჩემგან მტკიცობს, არ სათუობს" — 784), რადგან სწამს, რომ უდანაშაულოდ დასჯილი ადამიანის თანადგომა, დაცვა არის პიროვნების უპირველესი მოვალეობა (დანიშნულებაც კი). ავთანდილის გულისწყრომას სწორედ ის იწვევს, რომ ამ მოვალეობის განხორციელებაში მას მეფე ეღობება. მეტიც, ორივე შემთხვევაში „ბრალდებულები" მეფეები (ეს უმაღლესი საფეხურის ადამიანები) გამოდიან. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ისინი არღვევენ რელიგიით განსაზღვრულ მორალს: „მოყვასის სიყვარულში ცხადდება ღმერთის სიყვარული და მისი ერთგულება... ასე რომ, ჰეშმარიტი ქრისტიანობის თვალსაზრისით, ღმერთისა და მოყვასის სიყვარული განუყოფელი ერთიანობაა"[1]. ამიტომაა, რომ პოეტი ავთანდილს ათქმევინებს: „ყოვლი ცრუ და მოღალატე ღმერთსა გმობს და აგრე ცრუობს".

[1] ზ. გამსახურდია, „ევფხისტყაოსანი" ინგლისურ ენაზე, „მაცნე", 1972, № 4, გვ. 92.

ყოველივე ზემოთქმულის სამოწმოდ მოციქულთა წიგნებში აი რას კითხულობთ:

„რაი სარგებელ არს, ძმანო ჩემნო, უკეთუ ვინმე თქუას: სარწმუნოებაი მაქუს და საქმენი არა ჰქონდნენ?“ (კათოლიკე ეპისტოლე წმ. მოციქულისა იაკობისი, 2, 14).

„ჰხედავთა, რამეთუ საქმეთაგან განმართლდების კაცი და არა სარწმუნოებისაგან ხოლო?“ (იქვე, 2, 24);

...„რომელმან იცოდის კეთილისა საქმე და არა ქმნდეს, ცოდვა არს მისა“ (იქვე, 4, 17).

გარკვევით შეიძლება ითქვას, „ვეფხისტყაოსნის“ ღმერთი, უპირველეს ყოვლისა, არის ქრისტიანული. ამიტომაა რომ ამ მოძღვრების ჭეშმარიტი დებულებების აზრობრივი ანალოგიები უხვად გვხვდება პოემაში, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რუსთაველი ქრისტიანული მოძღვრების (რომელშიც 1000-ზე მეტი იდეური წინააღმდეგობა შეინიშნება) უკრიტიკო, ე. ი. ბრმა მიმდევარი იყოს, პირიქით, იგი ითვალისწინებს რა მოძღვრებაში არსებულ წინააღმდეგობებს (რომლის გაჩენას, ალბათ, მრავალი ფაქტორი განაპირობებდა, მათ შორის: დროის სიშორე, ზეპირი გადაცემები, მოციქულთა სიმრავლე, სხვადასხვა რელიგიის არსებობა, ურთიერთბრძოლა და მაინც ურთიერთგავლენა, მოვლენების სიმრავლე და სირთულე მისი გაგება-გადმოცემისა და სხვ. — ნ. რ.) აკრიტიკებს ეკლესიის მესვეურთ იმ შხრივ, რომ ისინი ბრმად იღებენ ყოველივეს (წინააღმდეგობების გაუთვალისწინებლად, ე. ი. ცალმხრივ, ვის სულისკვეთებას როგორ ესადაგება, იმგვარად წარმოჩენილს) და თვითონვე ვარდებიან უკიდურესობებში.

როგორც ა. ლოსევი ვარაუდობს, ცხოვრების არსის ღრმა წვდომა და ამ გზით თავისი თავის პოვნა, თავისთავისა, ვითარცა სამყაროს ცენტრში მყოფისა, სრულყოფილების სისავსის შეგრძნებით, უთუოდ უნდა იყოს ერთ-ერთი ნიშანი რენესანსისა. ასეთი პიროვნება არც ღვთისა და არც მეფის ბრმა მორჩილი მონა კი არაა, არამედ რაინდი მსახურია ერთისაც და მეორისაც, რაც საამაყოა. ასე ესმის ეს თვით სათნოების სიჭარბის მქონე მეფე ქალს თინათინსაც. იგი ავთანდილს მოუწონებს ტარიელისათვის ზრუნვას და მიმართავს: „შენსა მისსა გავლენასა მე დავიჩენ სამსახურად“[1]. (შეიძლება სწორედ ეს არის ველად გაჭრის მოტივიც, რომელსაც მკვლევარნი სავალდებულოდ მიიჩნევენ რენესანსული რაინდის თვისებათაგან, და რომელსაც ავთანდილში ვერ ხედავს ლოსევი? — ნ. რ).

ეს სრულყოფა, სისავსე, ვითარცა ნიშანი კაცური კაცობისა, ავთანდილს კარგად აქვს გაცნობიერებული. იცის, რომ ეს სრულყოფა

[1] А. Ф. Лосев, Эстетика. Возрождение. М., 1978. გვ. 89.

— სისავსე მოყვასის სიყვარულში ვლინდება (...„მოყვრისათვის სიკვდილი ესე მე დამიც — წესად—რე“). მაგრამ იგი იმასაც გრძნობს, რომ სწორედ მისი იდეალების შეუსაბამო გარემოში ცხოვრობს და, აქედან, თავისი თავის გაცნობიერება ამ იდეალებთან მიმართებაში, კაცს ჭირში ჩააგდებს. ამ აზრით ეუბნება იგი ტარიელს: „თავისისა ცნობისაგან ჩავარდების კაცი ჭირსაო“ და სწორედ ამიტომ არა უბრალო შემწედ, მაშველად, არამედ თანამოაზრედ, ამხანაგად სთავაზობს თავს ტარიელს, რასაც იგი ბრწყინვალედ ახორციელებს. მისი „ხამს მოყვარე მოყვრისათვის...“ გამოხატულებაა რენესანსული რაინდის მრწამსისა... რუსთველის რაინდებს მაღალი იდეალების განხორციელების გზაზე პირდაპირ თუ არაპირდაპირ შემფერხებელი ადამიანის არც დანდობა შეუძლიათ, არც შებრალება, მით უფრო მისი სიყვარული გამორიცხულია.

შეიძლება ითქვას, რომ რუსთველური ჰუმანიზმი გარკვეული ასპექტით კიდეც ეყრდნობა რელიგიურ ჰუმანიზმს და მისი დაცვისაკენ მოგვიწოდებს (მაგალითად, პოემაში წინა პლანზეა წამოწეული ქრისტიანული თეზა — „გიყვარდეს მოყვასი შენი ვითარცა თავი თვისი“). მაგრამ ამავე დროს ზოგიერთ საკითხში არსებითად უპირისპირდება „სიყვარულის“ (მისი ფართო და მრავალმხრივი მნიშვნელობის გათვალისწინებით) თეოლოგიურ გაგებას და უფრო რეალურს ხდის მას.

რუსთაველი ქადაგებს მოყვასის და საერთოდ ადამიანის არა უტოპიურ სიყვარულს (ქრისტიანული მოძღვრებით, „მტერიც კი უნდა გიყვარდეს“... „დალოცეთ თქვენი მაწყევრები, ქველმოქმედება გაუწიეთ თქვენს მოძულეებს“... „ილოცეთ მათთვის, ვინც თქვენ გაგიწროებთ და გდევნით“... „წინაღმდეგობას ნუ გაუწევთ ავს, არამედ თუ ვინმემ მარჯვენა ლოყაში გაგარტყას, მეორე ლოყაც მიუშვირე“... „თუ მოსასხამი წაგართვას, სამოსელიც მიეცი“... „ვისაც მამა ან დედა ჩემზე მეტად უყვარს, იგი არ არის ჩემი ღირსი“... „ვისაც ცოლი უყვარს, მას თავისი თავი უყვარს მასში“ და ა. შ.), არამედ ნამდვილს, ადამიანურს. რაში მდგომარეობს ნამდვილი, ადამიანური სიყვარული რუსთაველის გაგებით?

1. უპირველეს ყოვლისა, იგი საკუთარი თავის სიყვარულია, თავმოყვარეობაა, აღმოცენებული საკუთარი ღირსებების (ნაკლისაც) შეგრძნებასა და შეგნებაზე, რაც ბუნებრივად ვლინდება ქცევასა (ქველმოქმედებასა) და ტაქტში: იგი დადპიროვნული ნიშანია კაცისა და მას ადამიანები პატივს სცემენ (ოდნავი გადაჭარბებაც კი საკუთარი ღირსების შეფასებაში აჭარწყლებს და პატივმოყვარეობად აქცევს მას). საკუთარი თავი თუ არ გიყვარს, სხვისი სიყვარულის უნარიც არ აღმოგაჩნდება. ჩვენი აზრით, ესაა საკუთარ თავში ღვთის ან ღვთიური სიყვარული („მეობა“), რუსთაველის გაგებით;

2. იგია სიყვარული მშვენიერი სხეულისა და სულის ერთობის, შენშიც და სხვაშიც, რაც ადამიანის სიცოცხლეს აზრს აძლევს და მომხიბვლელს ხდის;

3. იგია სიყვარული იმ ქიწისა, რომელიც ღმერთმა კაცს საცხოვრებლად მიუჩინა. ამ „ტურფა საბაღნაროდან“ გაქცევის ცდა, შეიძლება ითქვას, რუსთაველის მსოფლგაგებით, გამორიცხულია — „მომკალ, კაცსა სიცოცხლისა სწორად რაცა მოეხმაროს?“;

4. იგი მშვენიერების ხილვაა. ადამიანის ბუნებრივი აღტყინება, რათა მშვენიერმა საწყისმა მის მსგავს მშვენიერ სულსა და სხეულში პოვოს მოცალე;

5. რა თქმა უნდა, იგი არ არის მოყვასის ანგარებიანი სიყვარული, მაგრამ არც მხოლოდ ღარიბ-ღატაკთა („უქონელთა“), ქვრივ-ობოლთა მოსარჩლეობა და სიბრალულია[1], რადგან ყველაზე დიდი უსამართლობა და ჩაგვრა ზოგჯერ სწორედ „სვებენიერთა“ და „მქონებელთა“ („ღვთის სწორთა“) საუფლოდან მოდის. თანაც არა მდაბიოების მიმართ, არამედ მათსავე საზოგადოების წარმომადგენლებზე, ამდენად, რუსთველური სიყვარული ვლინდება უღმრთოდ დაჩაგრული და გაწირული ღირსეული პიროვნების თავგანწირულ მოსარჩლეობაში, თანადგომაში, რათა სიკეთეს გაიმარჯვოს ბოროტებაზე.

6. განურჩევლად ქვეყნებისა და რელიგიების სხვადასხვაობისა. იგი თაყვანება და პატივისცემაა პ ი რ ო ვ ნ ე ბ ი ს ა, მისი ღირსებებისა, რომელთა სიკეთე ვლინდება პირადი და საქვეყნო ინტერესებისათვის ბრძოლაში ისე, რომ, ეს ორი მხარე — პირადი და საზოგადო ინტერესები, განაპირობებს, აკავშირებს, ამთლიანებს ერთმანეთს, განსახორციელებელ რეალობად აქცევს გმირის მისწრაფებას და აღმაფრენას; სწორედ ასეთი სიყვარულია კაცს რომ „ამაღლებს“... „უმაღლესი ნეტარება“ დევს „ამქვეყნიური სათნოებით მოქმედებაში“. (არისტოტელე).

7. იგია ადამიანებს შორის დამოკიდებულების ყველაზე მაღალი და მშვენიერი **ფორმა-შინაარსის** მთლიანობის გამოხატულება. იგი ადამიანში ადამიანური ღირსებების დანახვის, „მოცალის“ პოვნისა და მასთან დამეგობრების სწრაფვაა, მოყვასის გამრავლების სურვილი და ცდაა: „ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია“.

რუსთაველმა წინა პლანზე წამოსწია ქრისტიანული მოძღვრების კიდევ ერთი პროგრესული თეზა ქალისა და კაცის განურჩეველობისა („ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია“) და დასძლია ის

---

[1] ქრისტიანობა. ფ. ენგელსის განმარტებით „თავის ჩასახვისას ჩაგრულთა მოძრაობა იყო; თავდაპირველად იგი გამოდიოდა როგორც მონათა და თავდახსნილთა, ღარიბთა და უუფლებოთა, რომის მიერ დაპყრობილ და გაფანტულ ხალხთა რელიგიას“.

წინააღმდეგობები, რომლებიც აშკარად ჩანს არა მარტო რელიგიურ მოძღვრებებში, არამედ მასში გამოხატულ იდეებსა და სინამდვილეს შორის (სწორედ ამ წინაალმდეგობებით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ ნ. გულაბერისძეს დიდი ბრძოლა დასჭირვებია, თამარის ტახტზე აყვანის მართებულობა ქრისტიანული მოძღვრებით რომ დაესაბუთებინა).

„რუსთაველი მის თანამედროვეებს ქალის გრძნობის ემანსიპაციის საკითხშიც ეწომაგება. იგი ილაშქრებს ქალის გრძნობაზე ძალდატანების, ქალის გათხოვების შუასაუკუნოვანი ადათების წინააღმდეგ“ (ა. ბარამიძე). ქალის ჯანსაღი სიყვარული საყოველთაო ადამიანთმოყვარეობის საფუძველია. „ვისაც ქალი არ უყვარს, — წერდა ლ. ფოიერბახი, — მას არც ადამიანი უყვარს“.[1]

პოეტის მიხედვით უგვარო წარმოშობის ადამიანებს (მონას, მეჯოგეს, მენადიონეს, მებაღეს, მეკარეს და სხვ.) სოციალურ ურთიერთობაში პიროვნული როლი არა აქვთ მოპოვებული, რის გამოც პოეტი მდაბიოთა სახელებს არ ჰქმნის. გამონაკლისს წარმოადგენს ვაჭარი, რომელიც ეპიზოდურადაა ნაჩვენები და ისიც ოდნავ სიტუაციებში. უგვაროთა ასეთ იგნორაციას „ვეფხისტყაოსანში“ ორგანული კავშირი აქვს ქართულ სინამდვილესთან (გ. იმედაშვილი).

რელიგიური დოგმებისადმი რუსთაველის თავისებური დამოკიდებულება მკლავნდება სტრიქონებში:

> „მართლად იტყვის მოციქული: „შიში შეიქმს სიყვარულსა (1054)
> ღმერთმან ერთი რათა აცხონოს, თუ მეორე არ წაწყმიდოს“ (311)[2]
> „თქმულა: „ჭრთამი საერაჟა ჯოჯოხეთსცა დაიჭერებს“ (770)[3].
> „რაღაა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია?! (37)[4].

რუსთაველს რომ ამბის „შეფარვით“ თქმის ხერხისათვის არ მიემართა, ალბათ, ეს სიტყვები, მისი დევნის უფრო დიდი საბაბი შე-

---

[1] ლ. ფოიერბახი, ქრისტიანობის არსება, თბ., 1956, გვ. 114.

[2] ვ. ქერვალიძის მართებული შენიშვნით, 311-ე სტროფში ღმერთი უძლურადაც კია გამოყვანილი („შოთა რუსთაველის მსოფლმხედველობის საკითხები“, 1960, გვ. 300).

[3] შეიძლებოდეს არ უნდა იყოს, რომ რუსთაველი ირონიულ დამოკიდებულებას იჩენს საქრისტიანო წარმოდგენათა ზოგიერთ მხარის მიმართაც. პოეტს ერთგან, აფორისტულად გამოუხატავს ჯოჯოხეთის სატანჯველის ქრთამით თავდაღწევის შესაძლებლობა (იხ. ალ. ბარამიძის დასახ. ნაშრომი, გვ. 204).

[4] პ. გუგუშვილის შენიშვნით, „საქიროში ბედნიერების მაძიებლობა რუსთაველმა უგუნურებად გამოაცხადა“ (იხ. პ. გუგუშვილის დასახ. ნაშრომი გვ. 384—385). ჩვენი აზრით, თუ სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემის თვალსაზრისით განვიხილავთ აფორიზმს „რაღაა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია“ აქ სინათლეში ამქვეყნიური ყოფითი ბედნიერება იგულისხმება, ბნელეში — სიკვდილი, არყოფნა. სხვაგვარი გაგებით, აქ გამოხატულია სევდიანი მეფის გულისტკივილი, ვაჟიშვილის არყოლით გამოწვეული.

იქნებოდა, თუმცა გამორიცხული როდია, რომ „მრუშობისა“ და „გოგო-ბიჭობის“ შქადაგებელი მწერლობის დევნის ნიღბის ქვეშ ეკლესიის მსახურნი უფრო მეტად სწორედ რუსთაველის მიერ მათსავე „ღვწის“ აშკარა თუ ფარული კრიტიკის ტენდენციასაც დევნიდნენ. ამის უტყუარ საბუთად შეიძლება ჩაითვალოს ვახტანგ VI მიერ „ვეფხისტყაოსნის“ კომენტირება და ეკლესიის მსახურთა თვალში პოემის რეაბილიტაციის ცდა.

არაერთხელ გამოუთქვამთ გულისტკივილი (მ. უორდროპი) და ზოგჯერ პრინციპული მსჯელობის საგანიც კი გამხდარა რუსთაველის სათაყვანებელ გმირთა მიერ კაცის მოკვლის ზოგიერთი შემთხვევა. როგორ ითავსებს ამ ფაქტს რუსთაველის ჰუმანიზმი?

პოემაში ნათლად ჩანს, რომ რუსთაველის გმირები კაცის კვლას და სისხლის ღვრას საერთოდ ერიდებიან, მაგრამ უკიდურეს შემთხვევაში იგი მაინც ხდება, რასაც თავისი მიზეზები აქვს. ტარიელი ხოცავს როსტევანის მონებს და ხატაელ მონადირე ძმებს თავებს შათრახით „უფრეწს“ იმიტომ, რომ ისინი მოინდომებენ ტარიელის შეპყრობას („მონათა ხელი გამართეს მის ყმისა შესაპყრობელად“). მოტანილი ფაქტი თუ კაცთა კვლის სხვა შემთხვევა (ჭაშნაგირისა და სასიძოს მოკვლა), ერთი მხრივ, ფეოდალურ საზოგადოებაში ადამიანის არსებობისა და პირადი თავისუფლებისაკენ სწრაფვით არის გამოწვეული, მეორე მხრივ, ამავე საზოგადოებაში დიადი მიზნის განხორციელებისათვის ბრძოლის ნიშნით აღიბეჭდება. უმსხვერპლო ბრძოლა არ არსებობს, სიკვდილი ბრძოლის თანმხლები მოვლენაა და საერთოდ სიცოცხლის ბუნებრივი დასასრული („ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა ვიწრო ვერცა კლდოვანი“). დიადი მიზნისათვის მებრძოლს სიკვდილის შიში არ უნდა ჰქონდეს — შიში სილაჩრის გამოხატულებაა. ამდენად „სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი ხაზელოვანი“ (808) და „სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა“ (807).

ამ ბრძოლაში პოემის გმირები იმიტომ იმარჯვებენ, რომ ასეთია რუსთაველის მრწამსი (დიადი მიზნითა და სიკეთის ნიშნით აღძრული ბრძოლა მუდამ გამარჯვებით დაგვირგვინდება) და იდეური მიზანდასახულება. პოეტის აზრით, ქვეყნის სათავეში უნდა მოექცნენ სწორედ ისეთი დიადი მისწრაფების ადამიანები, რომელთა მიზანია არა ეგოიზმი, შური და მტრობა, არამედ ძმობა-მეგობრობა და სიყვარული.

ის ფაქტი, რომ რუსთაველმა ტარიელი, როგორც სიყვარულის ვნების მონა, მაჯნუნივით არ გასწირა, სისრულისაკენ სწრაფვის ძნელ გზაზე გასამხნევებლად და გამოსაცდელად მეფისტოფელი კი არა, ისევ კაცი და ადამიანი, უმეგზურა, რომ მეგობარმა ტარიელს ამ მიწაზე აპოვნინა ბედნიერება და საქვეყნო-საკაცობრიო მიზნებისათვის

ბრძოლის წყურვილით ისევ აანთო, — მკაფიოდ მეტყველებს, რომ ადამიანი თვითონ არის ამ ქვეყნის განმგებელი; იგი სამყაროს ნამდვილი გეორგვინია, სრულქმნილი არსებაა, რომლის პიროვნული ბუნება ვლინდება არა ადამიანებისაგან განდგომაში, არამედ ისევ ადამიანის, თანამოაზრისა და თანამებრძოლის მხარდამხარ ბრძოლაში.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჰუმანიზმის რუსთველურ გაგებას ახასიათებს შემდეგი ნიშნები:

1. ადამიანის მიერ თავისთავის შეცნობა და ამ ნიადაგზე აქტივობა როგორც საზოგადოებრივი, ისე პირადი ბედნიერებისათვის ბრძოლაში.

2. ადამიანის დაფასება მისი ღირსებების შესაბამისად.

3. ადამიანის განთავისუფლება პიროვნული შეზღუდულობის, შეფისა და რელიგიის ბრმა მორჩილებისაგან: „მეს“ თავისუფლების იდეალები.[1]

4. ბრძოლა ყოველგვარი ბოროტების — უსამართლობის, კონსერვატიზმის ფორმალიზმის და სხვა უხამსობათა წინააღმდეგ.

ნესტანისა და ტარიელის ქცევა, აგრეთვე ავთანდილის წასვლა მეფის უნებართვოდ, მწერლის იდეური მიზანდასახულებიდან გამომდინარე, მკაფიოდ ეხმიანება აღორძინების ხანის იმ იდეურ მოძრაობას, რომელიც მიმართული იყო პიროვნების განთავისუფლებისაკენ („ყოფამცა მჭონდა ნებისა“ — 802), მისი შეფასებისა თუ დაფასებისაკენ არა გვარიშვილობის უპირატესობის აღიარებით, არამედ მისი ღირსებებისა და დამსახურების მიხედვით, მაგალითად, ავთანდილი თინათინის თანამეცხედრე ხდება, ასმათი (დაახლოებით აზნაურის წოდების ქალი) ინდოეთის ერთი მეშვიდედის მფლობელი.

* * *

„რუსთაველმა დააყენა ის პრობლემები ქვეყნისა, ადამიანისა და ღმერთის შესახებ, რაც ეროვნული ცხოვრების ლოგიკური განვითარებით ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში უკვე იყო მომწიფებული. რასაც საბოლოოდ მოჰყვა ადამიანის ფაქტორის აღიარება, ადამიანური შეშმარიტებისა და სიყვარულის გამოცხადება უმაღლეს იდეალად... მათს წიაღში ჩასახული თავისუფლების, სიყვარულის, მეგობრობის და პატრიოტიზმის იდეალებში ამოიზარდა ადამიანის პრობლემაც... ხორციელი ადამიანის თემა რუსთაველმა განახორციელა უმთავრესად გმირის

[1] „ყოველგვარი რენესანსული მოძრაობის საერთო ნიშნებია: აზრის დაპირისპირება რწმენასთან, ცოდნის ტრადიციებისა — რელიგიურ ფანატიზმთან და ადამიანის პიროვნულ უფლებათა აღიარება სოციალური ანტაგონიზმის დასაძლევად“ (გ. იმედაშვილი, „ვეფხისტყაოსანი“ და ქართული კულტურა, გვ. 176).

სულიერი სახის შეცნობით", „მეს" გამოკვეთით. ადამიანის აღმოჩენას რუსთაველისათვის მოჰყვა ხასიათის პრობლემა, პიროვნების პრიმატით, სახელმწიფოს და საზოგადოების აშენება პიროვნების თვალთახედვით და პიროვნების მეშვეობით.

უანგარო მეგობრობით შეკავშირებული რაინდები განასახიერებენ სხვადასხვა ხალხების თანასწორობას ადამიანის პიროვნული თავისუფლებისაკენ სწრაფვით და მათი ძლიერი ლტოლვა ზოგადადამიანური მესაკენ ლაჰავს მათ შეგნებაში სოციალური და რელიგიური პირობითობის ყოველგვარ ზღუდეს... ესაა რენესანსული იდეალების გარემო და ამ მოვლენათა გათვალისწინება საფუძველს იძლევა აღინიშნოს, რომ ჩვენთვის დააგვიანდა რენესანსის მხოლოდ ტერმინის შემოღებას... და ყოველივე ზემოთქმულს დასაბუთება ისევ ქართულ ფილოსოფიურ აზროვნებაში უხერხდება[1].

სამართლიანია რ. მილერ-ბუდნიცკაიას შენიშვნა: რუსთაველში გამოსჭვივის რენესანსის პირველი განთიადის პირველი სხივები, რომ რენესანსის დასაწყისი იტალიაში კი არა საქართველოშია.[2]

შოთა რუსთაველის, როგორც პოეტი-მოაზროვნის, წინამორბედებად შ. ნუცუბიძეს და სხვა მკვლევარებს მიაჩნიათ არა მარტო ქართველი მოაზროვნეები (იოანე პეტრიწელი დამთავრებული) და პოეტები (ხომელი, შაეთელი, ჩახრუხაძე, თმოგველი), არამედ პოემის იდეურ საფუძვლად ესახებათ საერთოდ აზროვნება და კულტურა როგორც აღმოსავლეთისა, ისე დასავლეთისა,[3] რომელიც, როგორც იტყვიან, რუსთაველმა შეიწოვა და ახალი და მაღალი ესპექტით გამოაელინა თავის პოემაში. ამის გამო, სრულიად ბუნებრივია, რომ მკვლევარნი ამ პოემის წინამორბედებთან შედარებისას, საყურადღებო პარალელებს პოულობენ. მაგრამ უნდა შევნიშნოთ, რომ ზოგიერთი პარალელი ახსნება არა უშუალო ნაცნობობითა და, მაშასადამე, გავლენით, არამედ მათი, როგორც ჰეშმარიტ შემოქმედთა, აზრობრივი დამთხვევითა და გამოსახვის საშუალებათა ფორმების ძიებით, შესატყვისის პოვნითა და დიდოსტატური გამოყენებით.

პოეტის დიდ ღირსებად და განსაკუთრებულ თავისებურებად უნდა ჩაითვალოს სპეტაკი მეგობრული სიყვარულით და ზნემაღალი მოყვნურობით შეკავშირებულ გმირთა საკაცობრიო იდეალების ოსტატურად დახატვა.

ჰუმანიზმის რუსთველური გაგება სცილდება არა მარტო თეოლო-

[1] გ. იმედაშვილი, „ვეფხისტყაოსანი" და ძველი ქართული მწერლობა, თბ., 1989, გვ. 17—20.

[2] ციტირებულია გ. იმედაშვილის წიგნიდან „ვეფხისტყაოსანი და ქართული კულტურა", გვ. 177.

[3] ш. Нуцубидзе, Руставели и восточный ренессанс. 1967, გვ 26.

გიურ საზღვრებს, მისი წინამორბედებისა და თანამედროვეთა კონცეფციას. არამედ გარკვეული ასპექტით წინ უსწრებს უფრო გვიანი ხანის ჰუმანისტების მსოფლგაგებასაც. ალ. ბარამიძე, პარალელს ავლებს რა ადრეული ევროპული რენესანსის წარმომადგენლების — დანტესა და პეტრარკას შემოქმედებასთან, იმოწმებს, ევ. კოპიცინს: „ორივეს ამოსავალი თვალსაზრისია ნეოპლატონურ-მისტიკური იდეა, რის გამო დანტე თავის იდეის სრულყოფას ხედავდა მხოლოდ ზებუნებრივ სამყაროში, პეტრარკაც აგრეთვე დარჩა ზეციური სინათლის ტყვე... რუსთაველი კი რჩება დედამიწაზე... ის უარყოფს სიყვარულის პლატონურ ფორმას, მას დედამიწაზე მოაქვს სინათლე, იბრძვის სიკეთისა და სინათლის ტრიუმფისათვის“ და დასძენს: „რუსთაველი შეიძლება ვაღიაროთ თავისებური ადრეული რენესანსის (ქართული რენესანსის) წარმომადგენელ პოეტ-მოაზროვნედ“[1].

ნ. ზაბოლოცკის სიტყვით „ევროპულ რენესანსამდე დიდი ხნით ადრე, რუსთაველმა აღამიანებს აუწყა ახალი ჰუმანისტური მორალის საწყისები.[2]

როგორც ქართველი რუსთველოლოგები, ისე რუსი მეცნიერები და მწერლები — ი. ლუპოლი, კ. ბალმონტი, ალ. ტოლსტოი, უცხოელი მკვლევარნი და კრიტიკოსები — ხაიმ ვარდი, მორის პოპრა, რენე ლაფონი, ჰუგო ჰუპერტი და სხვ. ერთხმად აღიარებენ, რომ რუსთაველი განსაკუთრებული მოვლენაა მსოფლიო შემოქმედებასა და აზროვნებაში, იგი რენესანსის მესვეურია.

რუსთაველის რეალიზმი

პოეტის სახელი რენესანსთან დაკავშირებულია არა მარტო აღნიშნული მსოფლმხედველობრივი სფეროებით, არამედ, შემოქმედებითი მეთოდითა და მხატვრული აზროვნებით. რუსთაველი, პირველყოვლისა, რეალისტი პოეტია.[3] შეიძლება ითქვას, რომ იგი სინამდვი-

1. ალ. ბარამიძე, შოთა რუსთველი და მისი პოემა, გვ. 229 — 230.

2 რუსთაველის სიბრძნე (გაზეთი „კომუნისტი“, 14. 05. 58).

3 რუსთაველი სარგებლობს რეალისტური ფერწერის იმ მეთოდით, რომელსაც შეიძლება შესაძლებლობის რეალიზმი ან რეალისტური რომანტიზმი ვუწოდოთ (გ. ნადირაძე, რუსთაველის ესთეტიკა, გვ. 104).

შ. ნუცუბიძის აზრით, რუსთაველი ადრეული რეალისტია (ადამიანი „ვეფხისტყაოსანში“ და მისი საზოგადოებრივ- ეკონომიური გარემო, კრიტიკული ნარკვევები, 1969, გვ. 72).

„რუსთაველი ქართულ სინამდვილეს ასახავს და ამ მხრივ ესაა რუსთაველის მეთოდში რეალისტური სტილი“ (გ. იმედაშვილი) „რეალისტურია რუსთაველის მხატვრული ასახვის მეთოდი... მაგრამ მას აღბეჭდილი აქვს ავტორის რომანტიკულ-განწყობის ძლიერი ელფერიც“ (იხ. ალ. ბარამიძის დასახ. ნაშრ. გვ. 232). „არა ემპირიული კონკრეტულობა, არამედ ამაღლებული ადამიანური სიმართლე, მაღალი იდეალების შესატყვისი შესაძლებლობა ანდა შესაძლებელი ზოგადი. ასეთია შ. რუსთაველის შემოქმედებითი კონცეფციის, მხატვრული მეთოდის ამოსავალი პრინციპი“ (მ. დუდუჩავა, შ. რუსთაველის ესთეტიკური იდეალი, შოთა რუსთველი, საიუბილეო კრებული, 1966, გვ. 101).

ლეს ხატავს ორი ასპექტით: როგორც რეალურს და როგორც სასურველს; ამ აზრითაა გაორებულ-გაწყვეტილებული გმირთა სახეები (ნესტანი-თინათინი, ტარიელი-ავთანდილი, ფარსადანი-როსტევანი), რაც თავის მხრივ თამარისა და მისი მამის — გიორგი მესამის (შეფეთა და პიროვნებათა) ასოციაციებს იწვევენ. ამ თვალთახედვით, თინათინის სახეში წარმოგვიდგება თამარი, რომელიც თავის ბედის საკითხს თითქოს თვითარჩევანის საფუძველზე წყვეტს, ნესტანის სახე საპირისპირო მდგომარეობის სურათს გვიხატავს. ნესტანისა და ტარიელის სახის შექმნით მგოსანი გმობს პასიურობას პირადულ და საქვეყნო ინტერესებისათვის ბრძოლაში და აყენებს ქმედებისა და ურჩობის იდეას („ვაქებ ჭკუასა ბრძენთასა, რომელნი ეურჩებიან“).

სამეცნიერო ლიტერატურაში საინტერესო და მეტად საყურადღებო აზრებია გამოთქმული იმაზე, თუ რომელი გმირი უნდა ჩაითვალოს რუსთაველის მსოფლმხედველობის გამომხატველად.[1] ჩვენი აზრით, ამ საკითხის მართებული გადაწყვეტის საფუძველს გვაძლევს გ. ბადირაძე: „სულ სხვა ეპოქამ წარმოშვა და განაპირობა რუსთაველის მსოფლმხედველობა და პოეტური გემოვნება. ეს იყო ქართული კულტურის რენესანსის ეპოქა, რომლის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი გამოიხატება გამახვილებულ ინტერესში პიროვნებისა და პიროვნულისადმი. ამ გარემოებამ განსაზღვრა, ერთი მხრივ, მისი ფსიქოლოგიურ-რეალისტური ხასიათი საერთოდ, ხოლო, მეორე მხრივ, ფსი-

---

[1] შ. ნუცუბიძის აზრით, ავთანდილი რუსთაველის მეორე მეა (ალტერეგო), „რუსთაველი და რენესანსის ფარგლების პრობლემა“, კრიტიკული ნარკვევები, 1969, გვ. 94.

ქ. კაპანელი ავთანდილს უწოდებს რუსთაველის ორეულს, ხოლო ტარიელს — ავთანდილის მეორე ნახევარს (შ. რუსთაველის ესთეტიკური შეხედულებანი, რუსთაველი სკოლაში, თბ., 1937, გვ. 234 — 237). ი. ლოლაშვილის მოსაზრებით, ტარიელი რუსთაველის იდეალია... ტარიელი არის რუსთაველი და არც არის... (რუსთაველის მსოფლმხედველობის ისტორიული და ეროვნული საწყისები, საიუბილეო კრებული, თბ., 1966, გვ. 54 — 55).

ვ. ნორაკიძე, ეხება რუსთაველის მსოფლმხედველობის საკითხს ცისა და მიწის მიმართებაში და ამბობს: „ამ გზის არჩევანში უპირატესობა ერგო ტარიელის არსის იმ მხარეს, რომელსაც ეწოდება მეგობრობა და მიწიერი სიბრძნის სიმბოლო — ავთანდილი (ადამიანობის იდეა „ვეფხისტყაოსანში“, 1966, გვ. 241).

ა. ბარამიძე განიხილავს გონებისა და გრძნობის ურთიერთმიმართების საკითხს და ამბობს: რუსთაველმა წამოაყენა გონების კულტი, მაგრამ მან გონება და გრძნობა ერთიანობასა და მთლიანობაში წარმოადგინა — „გული, ცნობა და გონება ერთმანერთზედა ჰკიდან“ (იხ. დასახ. ნაშრომი, გვ. 228).

ჭოლოგიზმის ორი ნაკადი: ობიექტური და პიროვნული"[1]. ამ მხრივ საყურადღებო აზრს გამოთქვამს ვ. ნორაკიძეც[2].

რუსთაველმა შექმნა პერსონაჟთა ინდივიდუალიზებული და იდეალიზებული ცოცხალი სახეები, რომელთათვის არაფერი უცხო არ არის, მათ შორის ადამიანური სისუსტეც. ისინი, ილ. ჭავჭავაძის სიტყვით რომ ვთქვათ, ატარებენ ზოგადსაკაცობრიო თვისებებს. რუსთაველის მსოფლმხედველობის საკითხთან დაკავშირებით ამ გმირთა ერთმანეთისაგან გათიშვა შეუძლებელია. რუსთაველი არც ტარიელია, არც ავთანდილი, არამედ ორივე მათგანი თანაბრად ექვემდებარება რუსთაველის მსოფლმხედველობას.

ერთ ეპიზოდში მათი აზრების დაპირისპირება („რაც არა გწადდეს, იგი ქმენ, ნუ სდევ წადილთა ნებასა" — ავთანდილის თვალსაზრისია. „ჰკითხე ასთა, ჰქმენ გულისა რა გინდ, რა ვინ გივაზიროს" — ტარიელისა) ქმნის შთაბეჭდილებას პიროვნების კონფლიქტისას, როგორც ნებელობის პროცესის (გადაწყვეტილების გამოტანის წინარე ეტაპის) ცოცხალ სურათს, რომელიც წყდება მაღალპიროვნული რეგისტრის დონეზე — ავთანდილი (ობიექტური მხარე) ქედს ახრევინებს ტარიელს (სუბიექტური მხარე), რის გამო ეს უკანასკნელი ამბობს: „ჩემთვის ეგე სწავლა ყოვლად სოფლად ღირდეს, გონიერსა მწვრთელი უყვარს, უგუნურსა გულსა ჰყმირდეს".

ყოველივე ეს რუსთაველის მსოფლმხედველობაში გარდატყდება როგორც ფსიქოლოგიზმის ორი მხარე, ორი თვალსაზრისი, რომლებიც საბოლოოდ მართლა კი არ უპირისპირდებიან ერთმანეთს, არამედ მთლიანობაშია წარმოდგენილი. ძალაშია რუსთაველის განაცხადი:

„გული, ცნობა და გონება ერთმანერთზედა ჰკიდია".

ამით რუსთაველი გვჩოძღვრავს, რომ ობიექტური და სუბიექტური მხარე ერთმანეთს კი არ უნდა დაუპირისპირდეს, საზოგადოების ყურაღების ცენტრში უნდა იდგეს ადამიანი. ღირსეული პიროვნების მიზნები და მისწრაფებები კი არ უნდა ითელებოდეს, პირიქით, საზოგადოება ხელს უნდა უწყობდეს მას ამ მიზნების განხორციელებაში, რომ ობიექტური მხარე ტკივილად არ იქცეს და იგიც მის სულთან შენივთებული პათოსი გაჩდეს — ეს რუსთაველის იდეალია. მისივე თქმით, ცხოვრება. წუთისოფელი, სავსეა წინააღმდეგობებით. ადამიანს. რაგინდ ღირსეული უნდა იყოს იგი, ყველაფერი მისი სურვილის შესატყვისად არ ეძლევა. მით უმეტეს, ეს ითქმის სრულყოფისაკენ მსწრაფ ადამიანებზე. რუსთაველის სიტყვები „ტკბილსა მწარით ჰპოვებ", „ვარდი უეკლოდ არავის მოუკრეფიან" —

[1] რუსთაველის ესთეტიკა, გვ. 135.

[2] იხ. „ადამიანის იდეა „ვეფხისტყაოსანში", გვ. 153.

ერთხელ კიდევ გვიდასტურებენ, რომ ბედნიერების მიღწევისათვის აქტიური მოქმედება, ბრძოლაა საჭირო. ამ ბრძოლაში იმარჯვებს ის, ვისი მიზნებიც კეთილი და მაღალია. სიკეთეა თვითონ გამარჯვების პოტენციის მატარებელი, მაგრამ იგი სათანადო ბრძოლის უნარის, ნებისყოფისა და აქტივობის გარეშე თავისთავად, ღვთის მოწყალებით არ მიიღწევა. ბედნიერების მიღწევისათვის ბრძოლაა საჭირო: „ბედი ცდაა, გამარჯვება ღმერთსა უნდეს მო-ცა-გზვდების“ — ასეთია რუსთაველის კონცეფცია სამყაროსა (კოსმოლოგიური) და ადამიანისადმი (ეთიკური) დამოკიდებულების საკითხში.

„ყოველი ერის ლიტერატურის ისტორია იცნობს ისეთ ტიტანებს, რომლებიც საერთოდ ვერ ეტევიან ვერცერთი სკოლის ესთეტიკურ კოდექსში, ისინი მართლაც უნიკალური და განუმეორებელი არიან და თუ ვინმეს უდრიან მხოლოდ საკუთარ თავს“.[1]

მოსწავლეებამდე ნაშრომის ამ თავის ამა თუ იმ ზომით მიტანა დამოკიდებულია კლასის მომზადებასა და ინტერესებზე.

რენესანსზე მოცემული მასალების მოსწავლეებამდე მიტანის გზები და საშუალებები

რას უნდა დაეყრდნოთ მოცემული საკითხის გაშუქებისას?

უპირველეს ყოვლისა, მოსაწავლეთა ცოდნას, რომელიც შეიძინეს ტექსტზე მუშაობის შედეგად. ბავშვები მოიგონებენ (ტექსტზე მუშაობის რვეულებში ნახავენ და აღიდგენენ) სტრიქონებს, რომელთა უმრავლესობა სენტენცია-აფორიზმის სახითაა გამოთქმული და რომელშიც ჩანს:

გ ი რ თ ა თ ე ი ს ტ უ რ ი გ ა ნ წ ყ ო ბ ი ლ ე ბ ა ნ ი და შ ე ხ ე დ უ ლ ე ბ ე ბ ი — გ ა ნ გ ე ბ ი ს გ ა რ დ უ ვ ა ლ ო ბ ა, ღ მ ე რ თ ი — ს ი კ ე თ ე.

„განგებაა სწორად მოკლავს, ერთი იყოს, თუნდა ასი;
მარტოობა ვერას მიზამს, მცავს თუ ცისა ძალთა დასი“.
„ღმერთსა ჩემი უბედობა უნდა, მემცა რას ვეცადე!“
„ბოროტმცა რად შეექმნა კეთილისა შემოქმედსა?!“
„არს უკეთესი რაცაღა სწადს განგებასა ზენასა“.
„რაცა ღმერთსა არა სწადდეს, არა საქმე არ იქნების“.
„არვის ძალუც ხორციელსა განგებისა გარდაელენა“.
„კაცსა ღ მ ე რ თ ი არ გასწ ირავს, ასრე, მისგან განაწირსა“.

ა დ ა მ ი ა ნ ი ს ც დ ი ს (ბ რ ძ ო ლ ი ს, გ ა რ ჯ ი ს) ა უ ც ი ლ ე ბ ლ ო ბ ა დ ა ს ა ხ უ ლ ი შ ი ზ ნ ი ს გ ა ს ა ხ ო რ ც ი ე ლ ე ბ ლ ა დ:

[1] გ. ნ ა დ ი რ ა ძ ე, რუსთაველის ესთეტიკა, გვ. 343.

„გულსა კუთხარ: ნუ მოჰკვდები, არას გარგებს ცუდი წოლა,
ჭიჭობს გაჭრა ძებნად მისად, გავარდნა და ველთა რბოლა“.
„კვლაცა იტყვის: ნუ დაეაჭკნობ მშვენებასა ვარდთა ფერსა,
ვეცადო რას, ნუთუ ღმერთმან მომარიოს ჩემსა მტერსა —
სიკვდილამდის ვის მოუკლავს თავი კაცსა მეცნიერსაჲ“
„კაცმან საქმე მოიგვაროს, ვეშე, ჰკუნვასა ესე სჯობდე“.

საწუთროს, ბედისწერას მინდობილი ადამიანის კრიტიკა, სიკეთის ნიშნით აღძრული ბრძოლის გამარჯვების რწმენა:

„ჩიმნდონი საწუთოსანი მისთა ნიეთთაგან რჩებიან,
...ვაქებ ჭკუასა ბრძენთასა, რომელნი ეურჩებიან“.
„...საცა შენ და შენი ძმა ხართ, ძნელი გაადვილდების,
ოაცა მოგინდეს, უცილოდ იქმთ, იგი არ აგცილდების“.
„არას გარგებს შეჭირვება, რომ სჭმუნვიდე, რა გერგების!
ბედი ცდაა, გამარჯვება, ღმერთსა უნდეს, მო-ცა-გსვედების“,

რელიგიური დოგმების საწინააღმდეგო განწყობილებანი და მოქმედებები: მტრის ხიძულვილი, კაცის კვლა, საიქიო ნაცვალგების შიშის უქონლობა:

„წა შეები ხატაელთა, თავი კარგად გამაჩვენე...“
„თქვენ თუ არ მოხვალთ, ჩვენ მოვალთ, ზედა არ მოგეპარებით,
სჯობს, რომე გვნახეთ, თავისა სისხლთა ნუ ეზიარებით“.
„ჩემი განჰკვეთს ხორცსა მათსა ხრმალი ბასრი, შუბი ახე“..
„დიდსა სისხლსა ვერ შეგაქნევ, ვერ ეიქნები შუა კედლად,
რა მოვიდეს. სიძე მოკალ, მისთა სპათა აუწყვეტლად,
ქმნა მართლისა, სამართლისა, ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად“.
„..ხელი მოკიდა, მიწასა დაასკვნა, დაკლა დანითა“

(გახსენება: გმირთა ბრძოლების — „ველთა სისხლით რწყვის“, „ციხეთა მისთა მორევით აღსებისა“ და სხვ.).

ეჭვი ღმერთის ყოვლისშემძლეობაზე, ღვთის სიყვარულის თავისებურება:

„ღმერთმან ერთი რათ აცხოვნოს, თუ მეორე არ წაწყმიდოს“,
„მტერდაცემული ვეგონე, არ ვიცი რას ჩმხვიდიან“.
„თქმულა ქრთამი საურავსა ჯოჯოხეთსაცა დაიურვებს“.
„მართლად იტყვის მოციქული: „შიში შეიქმს სიყვარულსა“.

ამქვეყნიური ყოფის სიჩარხლი, წიცოცხლის ქება-დიდება:

„ჩვენ კაცთა მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა“..
...„მე გამიახლღა სოფელი, მჭონდა სიმრავლე ლხინისა“...
„შეიქმნა სმა და პურობა, მსგავსი ძალისა მათისა
სხვა გახარება ასეთი არს უნახავი თვალისა...“

„ახალ-ახალი არა მართებს, ცაბაც გაიდარბაზესა“...
„სჯობს სიცოცხლისა გაძლება, მისთვის თავისა დადება“
„ბოლოკალ. კაცსა სიცოცხლისა სწორად რაცა მოეხმაროს“.

მხილება მეფეთა მანკიერი მხარეებისა („ნებიერობა“, დროსწრმული შეხედულებები, ფორმალური რწმენა, არასამართლიანობა:

„...ჰეუნჯა შეექმნა, თქვენ იცით, ხელმწიფე ნებიერია“...
„წაგიკითხავს, სიყვარულსა მოციქულნი რაგვარ წერენ?
ვით იტყვიან, ვით აქებენ? ცან, ცნობანი მიაფერენ!
„სიყვარული აღგვამაღლებს“, ვით ეჭვანნი, ამას ქღერენ,
შენ არ ჯერ ხარ, უსწავლელნი კაცნი ვითმცა შეეჯერენ!“
„არა ეიქმ, ცოდნა რას მარგებს ფილოსოფოსთა ბრძნობისა!
მით ვისწაველებით, მოგვეცეს შერთვა ზესთ მწყობრთა წყობისა“.
„...მაგრა თვით იცით, ხელმწიფე ხამს მჭმნელი სამართალისა“.
„ეერ გათნევ, თქვენმან კეთილმან, აწ ესე არ მართალია“ და სხვ.

სიმართლის ბრძოლით მოპოვების ცდა, სწრაფვა პირადი ნების (დიადი მიზნის) აღსრულებისაკენ...

„ვინცა ჩემსა დამეცილოს, მისით მასცა აღმოვფხვრიდე“...
„იგი რა მოკლა, ეუბენ პატრონსა, ჩემსა მამასა...
ჩემია მკვიდრი შამული, არ მიეცემ არცა დრამასა,
აო დაშეხნები, გაგიხდი ქალაქსა, ვითა ტრამასა“.
...„არ გამოშვებს, გავიპარვი, წავალ მათგან შეუგებლად“,
„ვითა მნუკევს ეგრე დავპრთო გული ცეცხლთა მოსადებრად“,
„ჩემსა მზესა დავეთხოვე, გაეუშვივარ, დავდგე მე რად
მას თუ დავსთმობ, სახლსა ჩემსა ვეღარ დავსთმობ ვისსა ვერად?“
„რაზომცა სწყრები, შემინდეე შეცდა თქვენისა მცნებისა...
საღა გინდ ვიყო, რა მგამა, ყოფამცა მჭონდა ნებისა“.

ბოროტებაზე კეთილის გამარჯვების იდეა

„ვინ სიმოკლე ბოროტისა, კეთილია მისი გრძელი“.
„ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“...

ყოველივე ზემოთქმულის გახსენება, თავმოყრა გვჭირდება იმისათვის,რომ მოზარდებს დავანახვოთ პოემაში დასმული უმთავრესი პრობლემა — პიროვნება (მისი სრულყოფა). ამ უკანასკნელის გათვალსაჩინოებისათვის ერთხელ კიდევ გამოვიყენებთ იდეური ანალიზის სქემას და დავასკვნით, რომ „ვეფხისტყაოსანი“, მართალია, ნაყოფია საქართველოს ოქროს ხანის კულტურისა, მაგრამ ამ დროსაც კი ადამიანურ სწრაფვათა (მიჯნურობა, მეგობრობა, პატრიოტიზმი). უმაღლესი გამოხატულება (მისი კანონიერება) პრობლემად იყო ქცეული. ამიტომ რუსთაველმა ამ ადამიანური გრძნობების არა მარტო მართალი, რეალური სურათი დაგვიხატა, არამედ მოგვცა

მათი ეთიკური შეფასება და შეგნებული განდიდება. სწორედ ესაა ის მთავარი ფაქტორი, რაც ჩვენს სასიქადულო პოეტს და მის „ვეფხისტყაოსანს“ განასვავებს შუა საუკუნეების, და არა მარტო ამ საუკუნეების, ყველა შემოქმედისა და ნაწარმოებისაგან და მათზე მაღლა აყენებს.

ამავე გაკვეთილზე ყურადღებას გავამახვილებთ შემდეგზეც:

XI — XII საუკუნეები ქართული ხელოვნების აყვავების ხანაა. ამ დროისათვის აღმავლობა დაეტყო ხელოვნების ყველა დარგს. როგორც გ. ჩუბინაშვილი აღნიშნავს, ლიტერატურის აყვავება სრულ ჰარმონიაშია ხუროთმოძღვრებასა და მხატვრობასთან.[1]

საყურადღებოა, რომ თამარის მოღვაწეობის ხანაში ხელოვნებაში თანდათან მეტ ასახვას პოვებს სისხლსავსე ცხოვრება, რითაც იგი უპირისპირდება მხატვრულ შემოქმედებაში მანამდე გამეფებულ დოგმატიკას. ღრმა რეალიზმი შეინიშნება არა მარტო პირთა პორტრეტულ ფერწერასა თუ სიტყვიერებაში, არამედ რელიგიურ სიუჟეტებშიც. როგორც შ. ამირანაშვილი აღნიშნავს, „რელიგიური ხელოვნების ტრადიციული იკონოგრაფია (უმეტესად მითოლოგიური ან ისტორიული პირების, ანდა სიუჟეტების სისტემატური შესწავლა და აღწერა) შეიცვალა, ადამიანის განცდის თემა ძლიერ ნაკადად შეიჭრა სახვით ხელოვნებაში“.[2]

რაც შეეხება ქართული რენესანსის ევროპულ რენესანსთან შედარებას, საჭიროა, მოსწავლეთა მიერ უცხოელ მწერალთა შესაბამისი ნაწარმოებების დამოუკიდებლად გაცნობის შემდეგ სასკოლო ლექციისა და სემინარის ჩატარება. საკითხის უფრო ღრმად განხილვის საშუალება კი გვეძლევა XI კლასში, სადაც ძველი ქართული ლიტერატურის გამეორებას 25 საათი ეთმობა.

(სასურველია, მომავალში დიფერენცირებული კლასების პროგრამებში მაინც მეტი ადგილი დაეთმოს საზღვარგარეთის ლიტერატურის შესწავლას).

ამჯერად გთავაზობთ იმ ძირითად საკვანძო საკითხებს, რომლებზედაც ყურადღება უნდა გამახვილდეს ნაწარმოებების შინ დამოუკიდებლად წაკითხვისა და კლასში დამუშავების პროცესში:

1. შოთა რუსთაველის, დანტე ალიგიერის, სერვანტესისა და შექსპირის ეპოქათა (საზოგადოებრივი წყობის) შეპირისპირება, მათივე ქვეყნების მოწინავე საზოგადოებების (პიროვნებების) მისწრაფებები, ძიზნები, იდეალები.

2. განსახილველი ნაწარმოებების („ვეფხისტყაოსანი“, „ღვთაებრივი კომედია“, „დონ კიხოტი“, „ჰამლეტი“, „მეფე ლირი“ და სხვ.)

---

[1] გ. ჩუბინაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1936, I, გვ. 12.

[2] შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1961, გვ. 278.

უმთავრესი პრობლემების (ადამიანი, პიროვნება) დასმის რეალური საფუძვლები და საკითხთა მათეული გადაჭრის (იდეური გააზრების) შეპირისპირება, დასკვნა.

3 საქვეყნო-ეპოქალური და ზოგადსაკაცობრიო მათს შემოქმედებაში.

4. საკითხთა გაშლის, იდეათა წარმოჩენის ფორმები (ჟანრები) შემოქმედთა მიზანდასახულობებთან მიმართებაში.

45-ე გაკვეთილი

დასკვნითი მუშაობა. რუსთაველის მნიშვნელობა და ადგილი მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში

ძირითადი საკითხები: 1. ქართველი მოღვაწეები შოთა რუსთაველისა და მისი „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ.

2. ხელნაწერები, გამოცემები. თარგმანები.

გამოყენებული მეთოდი — სასკოლო ლექცია.

ზემოთ მოტანილი მასალები, რომლებიც შეეხებოდა რუსთაველის სახელის რენესანსთან დაკავშირებას, თავისთავად განსაზღვრავს პოეტის ადგილს მსოფლიო ლიტერატურაში, მაგრამ არის სხვა მასალებიც რომლებიც ხაზს უსვამენ მის მასშტაბურობასა და მსოფლიო მნიშვნელობას.

რუსთაველმა საუცხოოდ გამოხატა ქართველი ხალხის სულიერი ზრახვანი, მაგრამ ის არ ყოფილა ვიწრო ეროვნული ჩარჩოებით შეზღუდული პოეტი-მოაზროვნე. რუსთაველის პოემას აქვს საერთო-საკაცობრიო მნიშვნელობა, რისთვისაც საკმარისია აღინიშნოს, რომ ძან უმღერა ხალხთა ძმობას, თანამეგობრობას. ხალხთა ურთიერთსაყვარულსა და კეთილმეზობლურ თანამშრომლობას.

ილიას სიტყვებით, „ვეფხისტყაოსანი“ ქართველი ხალხის ყველაზე უძვირფასესი საუნჯეა, რომელსაც მთელმა ერმა შიგ ჩაატანა თავისი ცრემლი, შიგ ჩაწნა თვისნი უკეთესნი ფიქრნი, ზრახვანი, გრძნობანი“. ილია მკაცრად ეპიჭნებოდა ყველა მათ, ვინც ცივი გონებით, ე. წ. „მეცნიერული პედანტიზმის“ პოზიციებიდან ცდილობდა პოეტის შეფასებას: „ვისაც რუსთაველზე უნდა წერა, იმან უპირველეს ყოვლისა. უნდა შეითვისოს იგი არა ჰკუით მხოლოდ, არამედ გულითაც, უნდა იგრძნოს მისი გმირების სულისკვეთება, ჩაწვდეს ქართველის გულის სიღრმეს, იგრძნოს მისი მაჯისცემა“; მაგრამ ილია კიდევ უფრო სასტიკი იყოს იმათ მიმართ, ვინც, ნებსით თუ უნებლიეთ, უცოდინარობის გამო. ზოგჯერ ვერ აფასებდა რუსთაველის უკვდავ ქმნილებას და ამით მტრის წისქვილზე ასხამდა წყალს.

„ჩვენმა მტრებმა კარგად იციან, თუ რა განძია ჩვენთვის „ვეფხისტყაოსანი“, კარგად იციან,— რა ბურჯია იგი ჩვენის თავმოწონებისათვის, ქვეყნად ხმის ამოღებისათვის. მაშასადამე, თუ თავში დასაცხები ვისმე რამ უნდა, უკეთესი იქნება აქედან დაგეცხოს. აქედან შეგვინგრიოს ციხე-სიმაგრე ჩვენის სახელისა და თავმოწონებისა“. სამაგალითოა ამ თვალსაზრისით ილიას პასუხები ივანე ჯაბადარის, ნიკო მარისა და სხვათა მიმართ. მაგრამ მაინც განსაკუთრებულია ილიას წვლილი თვით პოემის შესწავლა-შეფასებაში. დღესაც გზის გამკაფავია ილიას დასკვნები: „ვეფხისტყაოსანი“ არა მხოლოდ იმიტომაა ჩვენთვის ძვირფასი, რომ იგი ქართველი ხალხის ეროვნულ საუნჯეს წარმოადგენს, პოემა თავისი მხატვრული თუ იდეური ღირსებებით, მაღალი ჰუმანიზმით მსოფლიო მასშტაბის ქმნილებაა და იგი გვერდს უმშვენებს, ისეთ გიგანტებს, როგორიცაა ჰომეროსი, შექსპირი და ძმანი მათნი“. ამიტომ იყო, რომ რაიმე შეღავათი „ვეფხისტყაოსნის“ მიმართ ილიას დაუშვებლად მიაჩნდა. მისი აზრით, „ვეფხისტყაოსანი“ თვითონვე გაიკვლევდა გზას მსოფლიო ასპარეზზე, რაც იქნებოდა ქართველი ხალხის მაღალი კულტურის ჭეშმარიტი აღიარება.

დღეს, როცა მსოფლიოს თითქმის ყველა ენაზეა თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი“, წინასწარმეტყველებასავით ჟღერს ილიას სიტყვები.

ზოგიერთი მკვლევრის მიერ სტროფის — „ესე ამბავი სპარსული“... არამართებულმა ინტერპრეტაციამ სასტიკად გაანაწყენეს ქართველი მოღვაწეები, მათ შორის ილია, აკაკი, ვაჟა და სხვანი. სწორედ ეს გახლდათ ერთ-ერთი მიზეზი აკაკისა და ვაჟას გამოხმაურებისა და მათ მიერ „ვეფხისტყაოსნის“ მართებული შეფასებებისა. რა თქმა უნდა, აკაკი მშვენივრად ხედავდა რუსთაველის პოემის ღირსებას, მის ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობას; მისი ლექციები უნდა ჩაითვალოს აქცენტირებად პოემის გმირთა წარმომავლობის (მაშასადამე, ნაწარმოების ორიგინალობის დასაბუთების) შესახებ და არა მისი ღირსების ფარგლების შეზღუდვად.

ანალოგიურია ვაჟას მიერ იმის აქცენტირება, რომ „ვეფხისტყაოსანი“ ერის დიადი კულტურული ძალაა და მასში ქართველი ხალხის სულიერი ძალებია ასახული. მისი თქმით, „დიდის სიყვარულის მოხვეჭა მხოლოდ დიად ადამიანს, გენიოსს შეუძლიან, რომელიც ღვიძლი შვილია თავის ერისა, მისი სულის, სისხლის და ხასიათის წარმომადგენელია, რომელშიც მთელ ერს, მის კულტურულ აღლადიდებას, როგორც ფოკუსში, მოუყრია თავი; იგი იმავე დროს სარკეა თავის ერისა, არა ჩვეულებრივი, არამედ ცოცხალი; მისი ნაწარმოებებიც მუდამ ცოცხალია, სადაც იგი თავის თავსა ჰხედავს, თავის „მეს“, თავის ვინაობას; შესტრფის იმასაც, ვინც ეს სარკე

ისე მოაწყო, რომ ერმა ამ სარკეში ჩახედვით იცნოს თავისი თავი. დიაღ, შოთა რუსთაველი იგივე საქართველოა და საქართველო იგივე ვეფხისტყაოსანი. ასე რომ არ იყოს, ხომ ქართველებს ასეთი სიყვარულიც არ ექნებოდა შოთასი".

საერთოდ ვაჟა ფშაველა მსოფლიო ლიტერატურის ასპექტში განიხილავს რუსთაველის პოემას, და მის შემეცნებითს და ესთეტიკურ მნიშვნელობას მსოფლიო ხელოვნების მასშტაბით ზომავს: „ვისაც ხელოვნებისა რამ გაეგება, იმას ეყოფოდა რუსთაველის გასაღმერთებლად მხოლოდ 888 — 892-ე ტაეპები, სადაც სიყვარული უმწვერვალეს წერტილამდეა ასული, ისე მაღლა, რომ არც ერთს მსოფლიო პოეტს ასე ძლიერად ასე მშვენივრად არ დაუხატავს უდიდესის სიყვარულის თვისება და ხასიათი, ამისთანა დიდებულს სურათს ვერც ერთი გენიოსის ნაწარმოებებში ვერ იპოვით".

„ვეფხისტყაოსნის" მთარგმნელი კ. ბალმონტი ამბობს, რომ დანტე და მსოფლიოს ბევრი სხვა დიდი მწერალი-მოაზროვნე სიყვარულის უკვდავებას ამტკიცებს სიკვდილის ნიადაგზე, რუსთაველისათვის კი სიყვარული მხოლოდ სიცოცხლეში არსებობსო.

საგულისხმოა, რომ აღმოსავლეთის სამყაროს დიდი მოაზროვნე პოეტებიც, აზერბაიჯანელი ნიზამი და უზბეკი ნავოი სიყვარულის გრძნობის უკვდავებას სიკვდილით აპირობებენ (ასეა „ლეილა-მაჯნუნიაში", „ხოსროვ-შირინიანში" და სხვ.).

როგორადაც უნდა იყოს, ქართველმა ხალხმა რუსთაველის შემოქმედების სახით მსოფლიო კულტურის სარბიელზე თქვა თავისი მკვეთრი პოეტური სიტყვა. ქართველი ხალხის თავისებურებანი, მისი სულიერი ცხოვრება რუსთაველმა ზეაღმატებულად გამოხატა, რითაც ეროვნული პოეტი გახდა მსოფლიო კულტურის ღვაწლმოსილი მოამაგე. „ვეფხისტყაოსნით" რუსთველმა მსოფლიო პოეზიის საგანძურში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა, შეავსო და გაამდიდრა ეს საგანძური.

„ვეფხისტყაოსნის" ხელნაწერები, გამოცემები, თარგმანები

ჩვენ დრომდის მოღწეულია „ვეფხისტყაოსნის" ასზე მეტი ხელნაწერი. ბეჭდური გამოცემა კი 70-ს მიუახლოვდა. უძველესი თარიღიანი ხელნაწერია მდივან შამუკა თავაქალაშვილის ნუსხა, გადაწერილი 1646 წელს.

სტამბურად „ვეფხისტყაოსანი" პირველად დაიბეჭდა 1712 წელს ვახტანგ მეექვსის რედაქციითა და კომენტარებით. ვახტანგისეული „ვეფხისტყაოსანი" წარმოადგენს მოკლე რედაქციას, შეიცავს 1587 სტროფს. ხელნაწერების ტექსტი ვრცელია, 2200 სტროფს აჭარბებს. ვახტანგისეული გამოცემის მიხედვით პოემა მთავრდება ტარიელის ინ-

დოეთში დაბრუნებითა და გახელმწიფებით, ხელნაწერებით კი ამბავი გრძელდება, მოთხრობილია გმირების შემდგომი თავგადასავალი და სიცოცხლის აღსასრული. დასაბუთებულია, რომ ვახტანგის გამოცემა პოემის ვრცელი ხელნაწერის კრიტიკული გადამუშავების შედეგია. ამ გამოცემას დიდ ანგარიშს უწევდნენ „ვეფხისტყაოსნის“ შემდგომი დროის გამოცემები.

„ვეფხისტყაოსანი“ მეორედ დაიბეჭდა პეტერბურგში (1841 წ.). გამომცემლებმა — მ. ბროსემ, დ. ჩუბინაშვილმა, ზ. ფალავანდიშვილმა, რამდენადმე განავრცეს ნაბეჭდი ტექსტი — მასში 1637 სტროფია. 1846 წელს იგი განმეორებით გამოაქვეყნა დ. ჩუბინაშვილმა, მანვე 1860 წელს დაბეჭდა ნაწილობრივ განსხვავებული ტექსტი.

მომდევნო პერიოდში „ვეფხისტყაოსანი“ გამოსცეს გ. წერეთელმა და დ. ყიფიანმა (1867 წ.), ა. კალანდაძემ (1875 წ.), გ. ჩარკვიანმა (1887 წ.) და სხვ.

1888 წელს გამოქვეყნდა „ვეფხისტყაოსნის“ მდიდრულად გაფორმებული (უნგრელი მხატვრის დასურათებული) ტექსტი, რომელიც მოამზადა გამოჩენილ მოღვაწეთა კომისიამ (გ. ორბელიანი, რ. ერისთავი, დ. ყიფიანი, ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, გ. წერეთელი, ი. შეუნარგია, ი. მაჩაბელი და სხვ.).

XIX საუკუნის მიწურულს რუსთაველის პოემა შვიდჯერ დაიბეჭდა — იგი გამოაქვეყნეს გ. ჩარკვიანმა (1890, 1900 წწ.), ა. მიქელაიშვილმა და კ. თავართქილაძემ (1891 წ.), კ. თავართქილაძემ (1892, 1989 წწ.), ვ. ყიფიანმა (1899 წ.).

XX საუკუნის დამდეგიდან პოემა ერთიმეორის მიყოლებით გამოსცეს დ. კარიჭაშვილმა (1909, 1920 წწ.), ს. კაკაბაძემ (1913, 1927 წწ.), ი. აბულაძემ (1914, 1926 წწ.), კ. ჭიჭინაძემ (1932 წ.).

1934 წლიდან დიდი მუშაობა გაჩაღდა „ვეფხისტყაოსნის“ 750 წლისთავის საიუბილეო დღესასწაულის ჩასატარებლად. პოემის საიუბილეო გამოცემის მოსამზადებლად შეიქმნა კომისია (კ. კეკელიძე, ა. შანიძე, ვ. ბერიძე, პ. ინგოროყვა, კ. ჭიჭინაძე, ს. კაკაბაძე, ა. ბარამიძე და სხვ.), რომელმაც „ვეფხისტყაოსანი“ შესაძლებლობის ფარგლებში გაწმინდა გვიანი ხანის ჩანართ-დანართებისაგან. იგი საიუბილეო წელს (1937) სამჯერ დაიბეჭდა და შემდეგაც არაერთხელ გამოქვეყნდა (1938, 1941, 1949 წწ.), ამ გამოცემის საგანგებოდ რედაქტირებული და ჩასწორებული ტექსტი გამოაქვეყნეს ა. ბარამიძემ, კ. კეკელიძემ და ა. შანიძემ (1951, 1957 წწ.).

შემდგომი პერიოდიდან აღსანიშნავია პ. ინგოროყვას (1953 წ.), ს. ყუბანეიშვილისა (1956 წ.) და მ. წერეთლის (1963 წ.) გამოცემები.

რუსთველოლოგთა ტექსტოლოგიური ძიება კიდევ უფრო მეტი ძალით გაიშალა 60-იან წლებში — რუსთაველის დაბადების 800 წლის-

თავისათვის მზადების პერიოდში, რის შედეგად მკითხველებმა 1966 წელს „ვეფხისტყაოსანის“ ექვსი გამოცემა მიიღეს. იგი გამოაქვეყნეს ა. შანიძემ და ა. ბარამიძემ; გ. წერეთელმა, ს. ცაიშვილმა და გ. კარტოზიამ; საიუბილეო გამოცემის სარედაქციო კოლეგიამ (ი. აბაშიძე, ა. ბარამიძე, პ. ინგოროყვა, ა. შანიძე, გ. წერეთელი).

რამდენიმე წელია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში შექმნილია „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისია, რომელმაც უკვე გაამზადა გამოსაცემად პოემის დადგენილი ტექსტი სათანადო სამეცნიერო აპარატით (ათ ტომად) უახლოეს წლებში მკითხველებს ხელთ ექნება პოემის სრული მეცნიერულ-კრიტიკული გამოცემა.

„ვეფხისტყაოსანი“ სხვადასხვა სახით (სრულად თუ ნაწილობრივ, ლექსად თუ პროზაულად) ითარგმა მსოფლიოს ხალხთა მრავალ ენაზე:

რუსულად, მთარგმნელები: კ. ბალმონტი, გ. ცაგარელი, პ. პეტრენკო, შ. ნუცუბიძე, ნ. ზაბოლოცკი, ი. ბარტდინსკი, ვ. სოლოგუბი, ბ. სერებრიაკოვი და სხვ.

გერმანულად — ა. ლაისტი, მ. პრიტვიცი, ჰ. ჰუპერტი, რ. ნოიკომი, მ. წერეთელი, ჰ. ბუდენზინგი და სხვ.

ფრანგულად — მ. ბროსე, ი. მეუნარგია, ა. ბორენი, გ. გვაზავა, ე. ორბელიანი და ს. იორდანიშვილი, ს. წულაძე. გ. ბუაჩიძე;

ინგლისურად — მ. უორდროპი, ვ. ურუშაძე, რ. სტივენსონი და ჭ. ვივიანი.

პოლონურად — კ. ლაპჩინსკი, ი. ტუვიმი, ბ. გემბარსკი, ს. ვოლნიკი, ე. ზაგურსკი და სხვ.

სომხურად — ს. ბასტამიანი, ვ. ტერიანი, ა. აუშტრიანი, ვ. სიმონიანი, გ. ასატური, ო. კარაიანი და სხვ.

უკრაინულად — ა. ნავროცკი, მ. ბაჟანი;

აზერბაიჯანულად — ა. ჯავადი, ს. ვურღუნი, მ. რაჰიმი და ს. რუსთამი;

აფხაზურად — დ. გულია, მ. ლასურია;

ოსურად — მ. შაელოხთი, გ. ბესთაუთი;

უნგრულად — ბ. ვიკარი, შ. ვეორეში;

ჩინურად — ლი-ცი-ეს, ბეი ვინი და ში ხინი;

იტალიურად — შ. ბერიძე, მ. პიკი და პ. ანჯოლეტი;

რუმინულად — ვ. რომანი, ვ. კერნბახი;

იაპონურად — ი. ფიკურო; ჩეხურად — ი. იედლიჩკა; ესპანურად — გ. დე ლა ტორე ბოტარო; მონღოლურად — დ. გომბოჟავი; ებრაულად — ბ. გაპონოვი; ბულგარულად —

ს. ბაკირჯიევი; სლოვენურზე — ტ. პავჩეკი; სლოვაკურზე — მ. კრნო; არაბულზე — ნ. ხალილი.

„ვეფხისტყაოსანი“ თარგმნილია ბელორუსულ, მოლდაურ, ლიტვურ, უზბეკურ, თურქმენულ, ყაზახურ, ტაჯიკურ, ყირგიზულ, ჩაჩნურ, ბალყარულ, ყაბარდოულ, ლაკურ, ავარულ და სხვა ენებზე.

„ვეფხისტყაოსანს“ განსაკუთრებული ადგილი უკავია ქართული მწერლობის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში. იგი დიდ გავლენას ახდენდა ქართული მწერლობის განვითარებაზე. რუსთაველის პოეტური ნორმები, მისეული გემოვნება საუკუნეების მანძილზე განუხრელად ბატონობდა ქართულ პოეზიაში. XVII საუკუნის პოეტი არჩილი პირდაპირ აცხადებდა:

„ვინ ვერ მიჰყვეს რუსთველს თქმულსა, გადმობრძანდეს ასე აქეთ, მელექსობა არ შეშვენის, დააყენეთ მოსაბაქეთ“.

* *
*

რუსთაველს თავის დროზე ბევრი წამბაძველი და გამგრძელებელიც გამოუჩნდა. მოლექსეები თავიანთ ნაცოდვილარს ურთავდნენ პოემას თავშიც, ბოლოშიც და შიგ ტექსტშიც, რითაც მახინჯდებოდა და ირყვნებოდა მთლიანად ნაწარმოები. ამ გარემოებამ თავისთავად განაპირობა მეცნიერთა დავა იმის თაობაზე, თუ რომელი სტროფი, ეპიზოდი, თავი არის ჩანართ-დანამატი. აქ ჩვენ არ შევუდგებით თითოეულ სტროფზე გამოთქმულ მოსაზრებებს, მოკლედ აღვნიშნავთ, რომ სადავო გამხდარა ინდო-ხატაელთა, ხვარაზმელთა და გმირთა სიკვდილის ამბები. ამათგან ინდო-ხატაელთა ამბავი, მკვლევართა უმრავლესობის აზრით, მიჩნეულია რუსთაველისეულად და შეტანილია მთელ რიგ გამოცემებში, ხოლო ხვარაზმელთა და გმირთა სიკვდილის ამბები (დასათაურებები პირობითია) კი—პოემის გამგრძელებელთა „ნამოღვაწევად“.

ხშირად მოსწავლეებს უჩნდებათ ინტერესი პოემის გმირთა შემდგომი ცხოვრების შეტყობისა. ამ აზრით, შეიძლება რამდენიმე სიტყვით გავაცნოთ შექმნილი ვითარება და დანართები.

ხვარაზმელთა ამბავი. გახელმწიფების შემდეგ ტარიელი მძიმე ავად გამხდარა, ოთხი წელი ლოგინად წოლილა. ეს რომ ხვარაზმშას გაუგია, შემოსევია ინდოეთს, ქვეყანა დაურბევია — შვილის სისხლი უძიებია. ტარიელს შემწეობა ძმადნაფიცებისათვის უთხოვია. ძმათაც არ დაუყოვნებიათ და დიდი ლაშქრით წამოსულან... მტერი გაუნადგურებიათ. ტარიელი განკურნებულა. შეერთებული ძალებით შესევიან ხვარაზმშას, შეუპყრიათ... საბოლოოდ შეუწყნარებიათ და სამეფოში დაუბრუნებიათ. ძმადნაფიცებს დიდი ზეიმი გადაუხდიათ...

გმირთა სიკვდილის ამბავი. მტრების საბოლოოდ და-

მარცხების შემდეგ ტარიელმა და ნესტანმა მშვიდობიან პირობებში ბედნიერად განაგრძეს ცხოვრება. წუთისოფელმა თავისი გაიტანა, „ოთხმეოცე წლის“ შემდეგ ისინი „დაბრმეს, დაღრკეს, და ცა ბერდეს“. მათ მოიძულეს სოფელი, მგზნებარე „სიყვარული გაცივდეს, ერთმანეთსა უკუგრილდეს“. ნესტანისა და ტარიელის სამეფო ტახტი მაგივე ქალ-ვაჟმა დაიკავეს, თვითონ კი „მიწვეს მიწად, შიიძრნეს“. „ორი ძენი“ მიეცათ აგრეთვე ავთანდილსა და თინათინს. ორივე ძმადნაფიცი დიდი მწუხარებით დაიტირა ფრიდონმა. ასე გასრულდა მათი ამბავი...

ორივე ზემოთ მოტანილი ამბავი წარმოადგენს ხატაელთა ამბის გაგრძელებას. მაგრამ არსებობს ამ გაგრძელებათა გაგრძელებაც, რომელიც ცნობილია ო მ ა ი ნ ი ა ნ ი ს სახელწოდებით. იგი ვრცლად მოგვითხრობს ტარიელის ვაჟიშვილის ს ა რ ი დ ა ნ ი ს ა და უფრო მეტად კი მისი შვილის ე. ი. ტარიელისა და ნესტანის შვილიშვილის ო მ ა ი ნ ი ს ამბავს (ომაინის დედა ავთანდილის ასულია). იგი ზეპირულია.

„ვეფხისტყაოსანში“ პ. ინგოროყვას ეგულება თხუთმეტი სხვადასხვა მელექსის ჩანართი და დანართი ტექსტი. ზოგი მათგანის ვინაობა მათივე „ნამოღვაწევშია“ ჩართული და, ამდენად, შემონახულია (ესენია: მესხი მელექსე, ნანუჩა, იოსებ თბილელი, გ. თუმანიშვილი) სხვებისა კი არა.

მართალია. ჩანართ-დანართები მეტ-ნაკლები მხატვრული ღირებულებისაა, მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამახინჯებენ პოემას. მათზე საუბარი იმდენადაა საჭირო, რამდენადაც ისინი გვიჩვენებენ, თუ როგორი პოპულიარობით სარგებლობდა რუსთაველი და რა დიდი რუდუნებით ცდილობდნენ კეთილი მიზნით შემართული „პოეტები“, ვითომდა დაუმთავრებელი ამბის შევსებას და „სრულყოფას. ამასთან, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზოგი გამგრძელებელი იმასაც ცდილა, რომ განექიქებია რუსთაველის ღვაწლი... ამის შედეგია ის, რომ ხელნაწერებში გვხვდება უხეირო და წინააღმდეგობრივი აზრის გამომხატველი სტროფებიც...

ᲡᲐᲜᲔᲠ ᲗᲔᲛᲔᲑᲖᲔ (ᲡᲐᲨᲘᲜᲐᲝ, ᲡᲐᲙᲚᲐᲡᲘᲝ, ᲡᲐᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲝ) ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲗᲐ ᲪᲝᲓᲜᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲢᲔᲙᲘᲪᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲐᲖᲠᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲣᲜᲐᲠ-ᲩᲕᲔᲕᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐ

დამოუკიდებელი აზროვნებისა და შესაბამისი ზეპირი და წერითი მეტყველების კულტურის განვითარებისათვის საჭიროა: 1. დასაწერად შევარჩიოთ ისეთი თემები, რომლებიც სახელმძღვანელოში უშუალოდ არ არის მოცემული. 2. მასწავლებელმა მოსწავლეებს პირველად თვითონ უნდა მისცეს დასაწერი თემის გეგმის ნიმუში, შემდეგ დაეხმაროს მის დამოუკიდებლად შედგენასა და გაშლაში, 3. საჭიროების

შემთხვევაში გააცნოს საგანგებოდ შეღგენილი სანიმუშო თემების ვარიანტები. 4. დასაწერად მიცემული დავალება (საშინაო, საკლასო), რამდენიმე მაინც, კლასში უნდა წაიკითხოთ და პირველ რიგში თვით მოსწავლეებს შეაფასებინოთ (შენიშნული ნაკლისა და დადებითი მხარის ხაზგასმით). 5. საკონტროლო საწერ თემად კლასში უნდა შევიტანოთ არანაკლებ ორი-სამი საკითხისა. 6. წერაში დაშვებული შეცდომები მასწავლებელმა უნდა დააჯგუფოს ხასიათისა და ტიპურობა-ინდივიდუალურობის მიხედვით და კლასს გააცნოს გასწორების წინ, ინდივიდუალურ შეცდომებზე (ვთქვათ, დიალექტურზე) შეიძლება ინდივიდუალურად მიეუთითოთ. 7. შეცდომები გულდასმით უნდა გასწორდეს, საჭიროების შემთხვევაში მას მთელი საათიც უნდა დაეთმოს.

დამოუკიდებელი აზროვნების უნარ-ჩვევების გამომუშავებისა და წერის კულტურის დონის ამაღლების საუკეთესო საშუალებაა თემების შემოქმედებითად გაშუქებაზე, ე. წ. თავისუფალი თემების წერაზე ვარჯიში, რას ნიშნავს „თავისუფალი თემა“ და რა შემთხვევაში წერს ბავშვი მოსწავლე?

ბოლო ხანებში შესამჩნევად გაიზარდა „თავისუფალი თემების“ დამწერთა რიცხვი. ადრე ასეთი თემების წერას ხელს კიდებდა ბავშვი, რომელიც საპროგრამო მასალას და კლასგარეშე ლიტერატურას კარგად იცნობდა და მისი განზოგადების უნარიც შესწევდა: დღეს კი ეს ყოველთვის ასე არ არის. თავისუფალ თემას, არცთუ ისე იშვიათ შემთხვევაში, წერენ მოსწავლეები, რომლებმაც საპროგრამო მასალა კარგად არ იციან და თავს არიდებენ უცოდინარობის გამოაშკარავებას. მაგრამ როგორია მათ მიერ შესრულებული ნამუშევრების ხარისხი? ზოგი ძალზე დაბალი დონისაა. ზოგი კი — საკმაოდ მაღალი.

„თავისუფალი თემა“, პირველ ყოვლისა, აზრის თავისუფალ გამოხატვას ნიშნავს, თემა კი რამდენადმე აქაც განსაზღვრულია და თავისუფლება იმაში იხატება, რომ ამა თუ იმ საკითხის გაშუქებისათვის მოსწავლე იყენებს იმ მასალას, რაც იცის და მის ალმაფრენას იწვევს.

განა ასეთი წერა გამორიცხულია საპროგრამო მასალის ფონზე? ჩვენი აზრით, სწორედ ესაა ჩვენი წარუმატებლობის მთავარი მიზეზი, შემოქმედი მოსწავლე ვერ ეგუება იმ შაბლონს, რაც თან ახლავს საპროგრამო მასალის დამუშავებას. ზოგჯერ ჩვენ არ ვაცნობთ მოსწავლეს მწერლის იდეური მიზანდასახულების, მისი ჩანაფიქრის წვდომის გზებს, თემების შემოქმედებითად გაშლის ჩვევებს და მათგან დაჟინებით მოვითხოვთ ჩვენს ნაკვალევზე სიარულს. გვავიწყდება, რომ საერთოდ მოსწავლეს, და მით უმეტეს, შემოქმედ მოზარდს არ უყვარს გატკეპნილი გზით სიარული, მას იტაცებს მრავალფეროვნება და სიახლე — აი, რა ზღუდავს მოსწავლის თავისუფლებას, რა ანელებს

მის ალმაფრნას და სამართლიან საყვედურად მიგვაჩნევინებს ზოვიერთი მშობლის განაცხადს: „ბავშვს იტაცებს კითხვა, მაგრამ არ უყვარს ლიტერატურის გაკვეთილები“.

ვფიქრობთ, დროა ყურად ვიღოთ ეს, სანამ მოსწავლეთაგან საპროგრამო მასალისადმი მეტ და მეტ გვერდის ახვევას არ წავაწყდებით, სანამ კიდევ უფრო არ გაზრდილა ისეთ მოსწავლეთა რიცხვი, რომელთა „თვისუფალი თემის“ საფარქვეშ ცოდნის განზოგადების უნარის დანახვის ნაცვლად მის სრულ უმწეობას არ ვიხილავთ.

საჭიროა და აუცილებელიც, რომ მოსწავლეს აზრის თამამად გამოხატვა, მისი მხატვრული გადმოცემა, პირველ ყოვლისა, საპროგრამო მასალების გაცნისას ვასწავლოთ. რაც სხვა გზით მიღებული ცოდნის განზოგადების საწინდარიცაა. ეს უკანასკნელი ხელს შეუწყობს პროგრამით გათვალისწინებული მწერლების შემოქმედების ღრმად შესწავლას და გამორიცხავს საპროგრამო მასალებისადმი ზერელე დამოკიდებულებას, თავისუფალი თემის „მოსვლის“ იმედით ზოგიერთის სიზარმაცეს.

როდის დგას თემების დამოუკიდებლად და ორიგინალურად გაშუქების ამოცანა და რა გზით არის იგი შესაძლებელი?

კითხვა — თუ როგორ გაშუქდეს თემა (მხედველობაში გვაქვს ლიტერატურულ-შემოქმედებითი თხზულება), რა ფორმით გადმოიცეს ესა თუ ის საკითხი, მოსწავლის წინაშე მაშინ დგება, როცა იგი მასალას კარგად ფლობს. სამწუხაროდ, ხშირად მოსწავლის წინაშე მდგარი ეს ძირითადი ამოცანა არ არის დაძლეული და ამდენად მასზე დამოკიდებული საკითხის დასმას აზრი არა აქვს და შედეგიც სავალალოა.

კოლეგების მუშაობის გაცნობამ და პირადმა გამოცდილებამ დაგვანახა, რომ შპარგალკის გამოყენებისა და თემების ტრაფარეტულობის მთავარი მიზეზი, მართლაც, მოსწავლეთა ცოდნის დაბალი დონეა. ეს კი განპირობებულია როგორც პროგრამების გადატვირთვით, ისე სხვა მიზეზებითაც. ჩვენ ახლა ამ საერთო მიზეზებზე არ შევჩერდებით და ყურადღებას გავამახვილებთ მხოლოდ თემების ორიგინალურად გაშუქებაზე, რაც, რა თქმა უნდა, გულისხმობს, რომ მოსწავლემ მასალა კარგად იცის.

ლიტერატურული თხზულების შემოქმედებითად გაშუქების ერთერთი საუკეთესო გზაა საწერ თემებად მწერლის ბრძნული გამონათქვამების (სენტენცია-აფორიზმების) შერჩევა და მისი ნებისმიერი გაშლა ე. წ. თავისუფალი თემის სახით.

ყველაზე მეტად სწორედ აქ იჩენს თავს თხზულების ორიგინალობის საკითხი. შემოქმედი ბავშვები თემების გაშუქების ახალ გზებსა და ფორმებს ზოგჯერ თვითონვე პოულობენ, მაგრამ ჩვენ არ უნდა დაველოდოთ მათ მიერ ამ დონის თავისთავად მიღწევას, საჭიროა და-

ვაჩქაროთ ეს პროცესი და თანამიმდევრულად გავზარდოთ მათი რიცხვი.

როგორ არის შესაძლებელი თავისუფალი თემის წერა იმავე მწერლის შემოქმედების მაგალითზე, საიდანაც ეს გამონათქვამებია აღებული?

მოსწავლეებს უნდა ავუხსნათ, რომ ნაწარმოებში მარგალიტებად ჩაბნეული სენტენციები უშუალო კავშირშია მწერლის მიზანდასახულობასთან, ამდენად, ბრძნული გამონათქვამები ნაწარმოების დედააზრის ისეთ მნიშვნელოვან რგოლებს (საკითხებს) წარმოადგენს, რომელ მათგანსაც ჩავაელებთ ხელს, ის იქცევა წამყვან რგოლად, ხოლო დანარჩენი მას დაექვემდებარება. ე. ი. როცა მოსწავლეები საკითხებში კარგად გაერკვევიან, ამის შემდეგ დადგება ამოცანა, თუ რა ფორმით გამოიხატოს იგი. სწორედ აქ უნდა გაამჩნდეს ხელმძღვანელის როლი. მოსწავლეს უნდა მისცეს აზრის სხვადასხვა ფორმით გამოხატვის ნიმუშები (ვარიანტები). აუხსნას, ძირითადად თუ რა განაპირობებს თხზულების სხვადასხვაგვარ შინაარსსა და ფორმას: სათქმელი შეიძლება გადმოიცეს ეპიზოდის ან ეპიზოდების მოხდენილი აღწერით (მინიატურულ-ნოველური სტილის გამოყენებით) გმირის ან გმირთა ხასიათებზე სერიოზული მსჯელობით (კრიტიკაში დამკვიდრებული აზრის დაპირისპირებით, გმირთა ხასიათების შეპირისპირებით, გმირისადმი მწერლის სიმპათია-ანთიპათიის მიზეზების ახსნით), ნაწარმოების მოკლე ანალიზით.

ხშირად სენტენცია-აფორიზმი (განსაკუთრებით ალეგორიულ-მეტაფორული) როგორც ტექსტთან კონტაქტში, ისე მისგან მოწყვეტით მრავალგვარი მნიშვნელობით წარმოგვიდგება. ამასთან დაკავშირებით შეიძლება მოსწავლეთა ერთ ნაწილს (სერვილისამებრ) დავავალოთ აფორიზმის მწერლისეული ჩანაფიქრის ძიება ტექსტის მოშველიებით; მეორე ნაწილს — აფორიზმისათვის სხვა მნიშვნელობების მისადაგება, როცა ის ტექსტისაგან მოწყვეტითაა. ამ უკანასკნელთან დაკავშირებით აგრეთვე შეიძლება მოსწავლეებს დავავალოთ ამა თუ იმ აფორიზმისათვის არა მარტო სხვაგვარი მნიშვნელობების ძიება, არამედ ნაშრომში ნაგულისხმევი აზრის სახელდახელოდ გადმოცემა, ან სხვა მწერლის სათანადო მასალების მოშველიებით თავისი სათქმელის გამოხატვა.

სენტენცია-აფორიზმების თავისუფალ თემად გაშუქების საუკეთესო წყაროს წარმოადგენს რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“.

გთავაზობთ პირად გამოცდილებას.

„ვეფხისტყაოსანზე“ სათანადო მუშაობის დამთავრების შემდეგ, ერთ კლასს დასაწერად მივეცით ასეთი თემები: 1. „ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია“; 2. „გონიერთა მწვრთელი უყვარს, უგუ-

ნურთა გულსა ჰგმირდეს"; 3. ტარიელის დახასიათება. მეორე კლასს— 1 „სიყვარული აღგვამაღლებს"; 2. „რაღაა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია"; 3. ავთანდილის დახასიათება.

მოგვაქვს ერთ-ერთი მოსწავლის (მ. ხ.) ნამუშევარი.

„რაღაა იგი სინათლე..."

მე მხიბლავს პირიმზე ავთანდილი, ვინ „მჭვრეტთაგან მისანდომია... სპათა სპასპეტი, ჩაუქი, ვითა ვეფხი და ლომია"; მხიბლავს მისი გატაცებული ტრფობა, მიჯნურობის ცეცხლიცა და ცრემლიც, ფარულად ნაწვიმი; მანცვიფრებს მისი ნებისყოფა და ამტანობა, გონიერება და წინდახედულობა. მატაცებს მისი დიადი მეგობრული სიყვარული და მოყვრისადმი თავგამოდება. მომწონს მისი ჩაგრულთა მოსარჩლეობა და ვაჟკაცური დახმარების აღმოჩენა. „ღარიბთა და არასჭონეთა" შებრალება, თავის ხალხსა და ქვეყანაზე ფიქრი და ზრუნვა. მომწონს „მშობლურად მზრდელი" მეფისადმი მოკრძალებულობა და რიდი, მაგრამ ისიც მომწონს, რომ მისი ყოველგვარი ნების წინაშე მონურად ქედს არ იხრის, ეურჩება (იპარება), ისწრაფის პირადი ნების თავისუფლებისაკენ და ადამიანური ცხოვრების მწვერვალებისა დასაპყრობად მიემართება. ორმაგად მხიბლავს და მატკბობს მისი დიდი გრძნობით წარმოთქმული სიტყვა, სევდანარევი ტკბილ-მწარე ოხვრა — „ვაჰ, სოფელო, რაშიგან ხარ"... და მიზანში ამოღებული ფრინველის ციდან ისრით ჩამოღება. მომწონს მისი აუჩქარებლობა, სიღინჯე, შინაგანი თავმოწონება, შეუმჩნეველი სიამაყე...

მაკვირვებს მისი მოხერხებულობა, სიბრძნე და სიტყვის ძალა, ადამიანის ფიქრის ჭიხვედრილობა, მისი ენატკბილობა, რომელიც გველს ხვრელიდანაც კი ამოიყვანს.

მომწონს, მხიბლავს, მიტაცებს ავთანდილის პიროვნება და როგორც კაცურ კაცს მაყვარებს კიდეც: მაგრამ მაფიქრებს, მაღელვებს მის მიერ გულუმტკივნეულოდ, სახელდახელოდ კაცის სიცოცხლის ღანით ჩაქრობა; დიახ, მაფიქრებს, მაღონებს, ეს საქმენი და სინანულით გამამეორებინებს შოთას სიტყვებს: „რაღაა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია?!!"

რომ დაწერო. პირველ ყოვლისა, უნდა იცოდე, რაც უნდა დაწერო, ხოლო რომ იცოდე როგორ დაწერო, ამისათვის საჭიროა სათანადო ჩვევა და ექსტაზი (საწერი თემის სიყვარული). ამის გარეშე განა გასაკვირია, რომ ადამიანმა ულაზათოდ დაწეროს ან შპარგალკას მიჰართოს? „კოკასა შიგან რაცა დგას, იგივე წარმოსდინდების".

მოსწავლე ა. გ-ს ნაშუშევარში აფორიზმი ტექსტის მიხედვითაა გაშლილი. მასში წინა პლანზეა წამოწეული ადამიანის სახე.

ასმათ, ფარდა რად აზიდნე, ვაჟკაცს ცეცხლი რად წაჰკიდე? — ეუსაყვედურე ჩემს გულში ნესტანის მესაიდუმლე ქალს. მერე კარგა ხანს მისთვის ყურადღება არც მიმიქცევია, დაბნედილი ჭაბუკისა და დამბნედი ქალიშვილის ამბავმა გამიტაცა...

გამოჯნურება. დავალება. ვალის პირნათლად შესრულება. ტარიელის გამარჯვებით შემოქცევა და ლზინი მეფის სასახლეში. მორიდებით თვალს ვადევნებ ქალ-ვაჟთა მოპარულ მზერას... მამის გულქვაობა. მეფისადმი დიდებულთა ყურმოჭრილი მონობა და ქალ-ვაჟთა თავსდამტყდარი უბედურება:

„გამოჩნდეს ორნი ქვეითნი, მე მივეგებე წინარე,
ქალი ჰყვა ერთსა მონასა, ვცანმცა თუ მოღმა ვინარე,
თაეგაგლეჯილი ასმათი, პირსა სისხლ-ჩამომდინარე,
ღარ მიყიელა ღიმილით, არცაღა გამიცინ-რე“ — იგონებს ტარიელი.

ასმათი ნესტანის ჰხოლოდ „ამოდ შემაქცევარი“ ქალი როდია, იგი მისი ნამდვილი მეგობარია, მას უნესტანოდ „სიცოცხლე ჭირად უჩანს“, ამის გამოა, რომ ტარიელს ეხვეწება: „დამხსენ სიცოცხლე სულთა-დგმა მე ლახვარდაუსობელსაო“, მაგრამ ასმათი თავს კი არ იკლავს, ჭირს გაუმაგრდება და ტარიელს მხარში ამოუდგება იგი მისი და ხდება და ვით ძმას, არ დააგდებს ერთსა წამსა.

ტარია უგზო-უკვლოსა დადის და დაეხეტება.. აედევნენ მის კვალს. მისი ვინაობის შეტყობა სწადიათ. ასმათი ვერ ასწრებს ქვაბში შესვლას და კარის გადარაზვას. მაგრამ ქალმა გული გადარაზა. ვერც მუღარით, ვერც მუქარით უცხო მომხვდურმა „ვერ გაახვნა იგი კარი“. უძლური ყმა „ცალკე დაჯდა, ტირს, დაიწყო ცრემლთა ფრქვევა“. ასმათს „მტირალი ყმა შეებრალა“:

„რა ქალსა მიჰხედა ყმისაგან მიჯნურობისა სმინება,
გულ-ამოხეთქილით დაიწყო ას-კეცად ცრემლთა დინება“.
ქალმან უთხრა ყმასა სიტყვა პირველისა უმესი:
აწ მოყვარე გიპოვნივარ, დისაგანცა უფრო დესი“.

რამ მოახდინა ესოდენ დიდი გავლენა მასზე? ასმათი უაღრესად მგრძნობიარე ადამიანია. ტარიელი და ავთანდილი მან გახადა „უმოყვრესი ყოველ დათა და ძმათასა“.

მე მეწყინა, ავთანდილმა გულს ეჭვი რომ „შემოსთესა“, იმთავითვე რად ვერ მიხვდა, რომ „წყალობა“ კარგქალობის არღა აკლდა ასმათს ღვთისა. მოყმენი „ერთგან დასხდეს და იტირეს დიდხანს ცრემლითა ცხელითა, თავთა ნუ დახოცთ, ნუ ბნელ-იქთ მზესა თქვენითა ბნელითა“. — ორივეს დურად ესარჩლება ასმათი.

ავთანდილი თავის ქვეყანაში უნდა დაბრუნდეს.: „ასმათი მუხლთა

უყრიდა, თითითა ეხვეწებოდა, ადრე მოსულასა ჰვედრებდა, მართ ცოტა ია ჭნებოდა“.

ავთანდილი რომ სიტყვას ამბობს, ეს ასმათის შადლი არის, — „შეიგენით მე გამიჩნდა ჭირი თქვენის თანაბარიო“.

რაინდმა მოიარა თავისი ქვეყანა და, პირობისამებრ, დაბრუნდა. ტარიელი შინ არ დახვდა. ეწყინა, ფიცი რად გატეხაო. ასმათმა გაბჭო მართალი, სიტყვა თქვა საგულისხმონი:

„გული, ცნობა და გონება ერთმანერთზედა ჰკიდიან:
რა გული წავა, იგიცა წავლენ და მისკე მიდიან;
. . . . . .
უგულო კაცი ვერ კაცობს, კაცთაგან განაკიდიან“.

ასმათს აკვირვებს ავთანდილის გაჯავრება-ნაწყენობა. იქნებ ტარიელის გასაჭირს მთლიანად ვერ წვდებაო — ფიქრობს იგი და ვეფხვისტყაოსანი ჯაბუკის უჩვეულო ტანჯვის შესახებ უამბობს:

„ჯერთ მისი მსგავსი სასჯელი არცა ვის ამბად სმენია:
არა თუ კაცთა, სასჯელი ქვათაცა შესაძრწენია“;

ბოლოს კი მრავალჭნიშვნელოვნად დაურთავს:

„თვით რაცა ჰბრძანოთ, მართალ ხართ: სხვა სხვისა ომსა ბრძენია“.

ტარიელის გასაჭირი და საერთოდ მისი ხასიათი ყველაზე მეტად ასმათმა იცის.

ველადგაჭრილ რაინდს იგი ახასიათებს როგორც მოყვრობის დიდ მოწადინეს და დამფასებელს... ამჯერად მის პირუმტკიცობას შექმნილი სიტუაციით ამართლებს და ავთანდილს ჰკადრებს: „თუღა მოჰნახავ, მონახე, ჭმენ, რაცა შენი ფერიაო“.

წყენადამცხრალი, მაგრამ დალონებული ავთანდილი ისევ შეუდგება ერთხელ ვაივაგლახით მოძებნილის კვლავ ძებნას...

...„ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია“ — გვეუბნება ასმათი.

* * *

რა თქმა უნდა, სხვა მოსწავლეები იმავე აფორიზმებს სხვაგვარად აშუქებენ.

ახლა შემოგთავაზებთ იმ თემებს, რომლებსაც მოსწავლეები წერენ შემდგომ კლასებში ამა თუ იმ მწერლის გავლისას „ვეფხისტყაოსნის“ რომელიმე საკითხის თემატიკურ გამეორებასთან დაკავშირებით.

გ. მ.-ს ნამუშევარი.

„გონიერთა მწცრთელი უყვარს, უგუნურთა გულსა ჰგმირდეს“...

მეკითხებიან: შენ (ჰოსწავლე) რით გამოხატავ პატრიოტულ მისწრაფებასო. ორი წლის წინ ეს რომ ეკითხათ ჩემთვის, ვუპასუხებდი: ჯერ ადრეა, ცოტა დამაცათ, ზოგიერთივით კი არ დავემალები სამხედრო-სავალდებულო სამსახურს, წავალ და ....მაგრამ ახლა, როცა დავწრმუნდი, რომ პატრიოტული მისწრაფება იხატება არა მარტო ამგვარ სამსახურში, არამედ იგი ჩვენს ყოველდღიურ მოქმედება-საქმიანობაში შეიძლება და უნდა გამოვლინდეს, სხვაგვარი ფიქრები დამიტრიალდნენ თავში...

გასულ ზაფხულს მასწავლებლის მითითებით „ვეფხისტყაოსანი“ დამოუკიდებლად წავიკითხე და ვთქვი: ამ გმირებს შორიდან ვიცნობმეთქი. მასწავლებელმა გვითხრა: როცა ამ პოემის შესწავლას დავიწყებთ, მათ თანდათან უფრო ახლოს, უფრო კარგად მე გაგაცნობთო.

მახსოვს, როცა ტექსტის შესწავლა დავიწყეთ, ე. ი. გმირებთან მისასვლელ ბილიკებს დავადექით, პირველ ხანებში სანიჩოსავით ავეკიდე ამ საოცნებო რაინდებს... მერე, თანდათან მათთან მიახლოების სურვილმა ისე გამიტაცა, მათ სულში ღრმად ჩახედვა ისე მომინდა, დღეც და ღამეც ოცნებით მათთან ვიყავი, მაგრამ ამჯერად არა სანიჩოს ჯაგლაგითა და ჩანთით...

მასწავლებელმა დაგვანახა, რომ ისინი (გმირები) ადამიანთა მოღვაწეობის მორალური სრულყოფის მწვერვალების დასაპყრობად მიდიოდნენ და მეც შესაფერი „ლურჯა“ მომესურვა, რათა მათზე ფიქრებითა და ოცნებებით ადევნებულს არ შეგრძნო დაღლა...

მასწავლებელი მე მესახება იმ რკინისებური ნებისყოფის მქონე ავთანდილად, რომელიც ტარიელს მრავალგზის „ეხვეწებოდა შეჯდეო, აჯას სიტყვითა არვებდა“, ის კი თავის გადაწყვეტილებაზე ხელს არ იღებდა...

ავთანდილი, შეიძლება ითქვას, უნებლიეთ აღწევს ტარიელისათვის მისაღები, გასაგები, რუსთაველის ენით რომ ვთქვათ, „ცნობიერი სიტყვის“ თქმის გზას, მასწავლებელი კი, ჩემი აზრით, გამიზნულად მოდის ჩვენს გულსა და გონებამდე...

ქაცი უნდა ვაქკაცი იყოო, — ამბობს მასწავლებელი.—თუმცა, ბევრი თქვენგანი თავს დებს ვაქკაცობაზე, მაგრამ ბევრმა როდი იცით, რას ნიშნავს ვაქკაცობა ან ვის შეიძლება ეწოდოს ნამდვილი ვაჟი — ქაციო..

ვაქკაცობის უპირველესი ნიშანი ნებისყოფააო, რაც კარგად იხატება ავთანდილის სიტყვებში: „რაც არა გწადდეს, იგი ქმენ, ნუ სდევ წადილთა ნებასაო“. (გულახდილად რომ ვთქვა, მე აღრე კითხვა და

მეცადინეობა მეჯავრებოდა, მოსმენა კი ყოველთვის მიყვარდა.. ახლა კი კითხვა ჩემი საწადელია...). — ვაჟკაცობა დღეს ნაკლებად ითავსებს ბავშვის ძალასო, იგი სიკეთით შთაგონებული ენერგიის გონიერი ხარჯვაა, შესაძლებლობის მაქსიმალური გამოყენება დასახული მიზნის მისაღწევადო... აი, რაში მეღავნდება ადამიანის ნამდვილი ადამიანური პუნებაო... ჩემს ყოველ გაფიქრებას თუ ნაბიჯს კვალდაკვალ ჩოსდევენ მასწავლებლის სულში ჩამწვდომი სიტყვები: ადამიანს სრულყოფისაკენ სწრაფვის სურვილი არ უნდა ასვენებდესო... სრულყოფის უტყუარი ნიშანი, ბუნებრივი ჯილდოც კი, სიყვარულის ნიშიაო... პირველ რიგში სავალდებულოა შენი თავის, როგორც ადამიანის, სიყვარული, აქედანაა წარმოშდგარი უკეთილშობილესი სიტყვა თავმოყვარეობა. ვინც თავმოყვარე (ე. ი. საკუთარი ღირსებების მცნობი, მაგრამ არ დაჩმჩნევი, სხვების უფრო დიდი პატივისმცემი, ვიდრე საკუთარი თავისა) არ არის, იგი ვერ შეძლებს სხვათა სიყვარულსაცო... მხოლოდ თავმოყვარე ღირსეულ პიროვნებას და არა პატიმოყვარეს (სხვებისაგან დაუმსახურებელ პატივს რომ ითხოვს) ეწვევაო ნამდვილი მგრძნობელობითი სიყვარული. რუსთაველი მიჯნურობას რომ უწოდებსო. მხოლოდ ასეთი ადამიანის სიყვარულია დასაჯერებელი და ამამაღლებელიო...

ჩემი ფიქრით, ვინც ისწრაფვის სრულყოფისაკენ, არ შეიძლება წრფელად არ უყვარდეს და პატივისცემით არ ეპყრობოდეს ადამიანს, რომელიც ცხოვრების მდინარეში ოცნების ნავებით შეცურებულ მრავალი განუცდელი ყმაწვილის მესაჭეობას კისრულობს და რომელსაც ისინი მიჰყავს არა მდინარის დინების მიმართულებით, არამედ საწინააღმდეგო მხრით, რაც არც ისე იოლი საქმეა...

...„დავნატრი მას. ვინცა სწორედ სვლად საწუთროს გზას გაკვალავსო“ ახლაც მკაფიოდ ჩაესმის ჩემი მასწავლებლის გზამკვლევი სიტყვები და გურამიშვილის ამ თქმას ჩემი შინაგანი ხმაც უერთდება..

...„ცუდად ხომ შაინც არ ჩაიცლის ეს განწირული სულისკვეთება“... მერნის ჭიხვინი მიხმობს, მეძახის და ვებრძვი ტალღებს, აქოჩრილებს, და ვიმორჩილებ...

„ბედი ცდაა, გამარჯვება, ღმერთსა უნდეს, მო-ცა-გხვდების“... უჩვეულო სიმაღლიდან მიღიმის შოთა და წინ მივიწევ ჩემი „ღმერთის“ წინამძღოლობით...

რა თემები შეიძლება დავაწერინოთ „ვეფხისტყაოსნის“ სწავლებასთან დაკავშირებით?

ეპიზოდები	დახასიათებები	მოტივები
1. თინათინის გამეღება. 2. ნადირობა. 3. ხატაეთს წასვლა და დიდი ომი. 4. გმირთა თათბირი ან 5. ქაჯეთის ციხის აღება.	1. გმირთა დახასიათება როგორც ცალცალკე, ისე შეპირისპირებით. 2. ჩემი საყვარელი გმირი. 3. ჩემი იდეალი.	1. მიჯნურობა. 2. მეგობრობა. 3. პატრიოტიზმი.

სხვა მნიშვნელოვანი საკითხები

1. ნაწარმოების მოკლე ანალიზი (გარჩევა).
2. ადამიანის რაობა და დანიშნულება ანდერძის მიხედვით ან საერთოდ ნაწარმოების მიხედვით.
3. ფაქტები საქართველოს სინამდვილიდან და „ვეფხისტყაოსანი“.
4 რუსთაველის მსოფლიო მნიშვნელობა.
5. რუსთაველის შეხედულება პოეზიაზე.
6. რუსთაველის მეტაფორა.
7. რას გვასწავლის პოემის პროლოგი და ეპილოგი.

სენტენცია-აფორიზმების გაშლა

1. „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია“.
2. „ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია“.
3. „სიყვარული აღგვამაღლებს“.
„კოკასა შიგან რაცა სდგას, იგივე წარმოსდინდების“.
5. „რაღაა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია“.
6. „გონიერთა მწვრთელი უყვარს, უგუნურთა გულსა ჰგმირდეს“.

დამოუკიდებელი წერის უნარ-ჩვევების გამომუშავებისა და მასალის გამეორების მიზნით შეგვიძლია გამოვიყენოთ მწერალთა შეხედულებების შედარება-შეპირისპირების ხერხიც.

„ვეფხისტყაოსნის“ გამეორებისათვის სხვა მწერლების შესწავლასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელი თემები ასე გვესახება:

თეიმურაზ I-თან

1. საწუთრო თეიმურაზთან და რუსთაველთან.
2. სიყვარული „ვარდბულბულიანისა“ და „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით.

ბესიკთან

1. სიყვარული ბესიკისა და რუსთაველის შეხედულებით.

არჩილთან

1. რუსთაველი არჩილის პოეზიაში.

სულხან-საბასთან

1. სულხან-საბას სენტენციები და რუსთაველის აფორიზმები.
2. სულხან-საბას შეგონება „ამხანაგისათვის“ და რუსთაველის მეგობრობა.
3. მეფეთა საბჭეები სულხან-საბასთან და რუსთაველთან.
4. ქვეყნის ერთიანობის იდეა სულხან-საბასა და რუსთაველის შემოქმედებაში.

2. ადამიანის ზნეობა არჩილისა და რუსთაველის მიხედვით.

დ. გურამიშვილთან

1. რუსთაველი დ. გურამიშვილის პოეზიაში.
2 საწუთრო დ. გურამიშვილისა და რუსთაველის აზრით.
3. ძმობა-მეგობრობისა და ქვეყნის ერთიანობის იდეა დ. გურამიშვილისა და რუსთაველის შემოქმედებაში.

მსგავსად შეირჩევა თემები X—XI კლასების პროგრამასთან დაკავშირებით.

არის შემთხვევები, როცა მოსწავლეები ენაში საწერ დავალებად თავიანთი სურვილით შერჩეულ აფორიზმის გახსნას ითხოვენ. თავისუფალი, დამოუკიდებელი აზროვნების განვითარებისა და წერის კულტურის ამაღლების მიზნით მსურველებს ვრთავთ ნებას. ასეთ მასალებს ვიყენებთ როგორც წინადადების საბჭეებზე მუშაობისას, ისე მეტყველების განვითარებისათვის განკუთვნილ მეცადინეობებზე. ნამუშევრებს მოსწავლეები თვითონვე აანალიზებენ და აფასებენ. სამიმუშოდ მოვიტანთ ერთ-ერთ ნაშრომს (თ. კ).

„კოკახა შიგან რაცა დგას“...

ცარიელ ავტობუსში პირველი აველი და მესამე ადგილზე მოვკალათდი. ორი გაჩერების შემდეგ ყველა ადგილი შეივსო და მგზავრების ნაწილი ფეხზეც დადგა. მესამე გაჩერებაზე ვიღაც მთვრალი კაცი ამობობღდა. უსიტყვოდ დავუთმე ადგილი და დაჯდომაზეც მივეწვალე. მალე თავი ჩაკიდა, და, ვფიქრობ, ჩათვლიმა კიდეც. რაღაც შემთხვევის გამო მძღოლმა საჭე ისე მოკვეთილად დაამუხრუჭა, ფეხზე მდგომნი ლამის თავდაყირა დადგნენ.. შენს მტერს, „იმან“ ხასიათზე გაბოღვიძა... თვალები გადმოკარკლა და ლანძღვა-გინება დაიწყო ვიღაცის მისამართით. მე მის წინ ვიდექი, თავი უხერხულად ვიგრძენი და გავერიდე იქაურობას, მაგრამ ახლა სწორედ მე მომადევნა ორსართულიანი გინება: სად მირბიბარ, სად? მე შენი... პასუხი არ გამიცია. ვერ გამეგო როგორ გაჯდი მისი ლანძღვის ობიექტი. წინა კარებთან ამხანაგი შევნიშნე და მისკენ გავიწიე, ბოლმა მახრჩობდა, მაგრამ თავს ვიკავებდი. ლანძღვის ხასიათზე დამდგარი ლოთი არ ცხრებოდა. შეაწუხა ხალხი იმისმა უსაშველოდ ბინძურმა სიტყვებმა და ვიღაცა გამოეპასუხა: „გეყოფა, აქ ხალხია, მაგ სიტყვები ოჯახისთვის შეინახე!...“ არ დაიღალა მაინც? — საქმის ჩასაშოშ-

შინებლად დაუმატა სხვამაც... მალე ისევ მე დამიწყო თვალებით ძებნა და ვითომდა საცემრად ზეზეც წამოდგა. ახლა ვიღაც მე გაჩხმეჭომაგა: მთვრალიაო შვილო, რას შვრება, თვითონ არ იცის!!! „ვაჟკაცი“ კვლავ იქაჩება და ათმაგად იგინება.

— რაღას ენამყრალობს მაინც, თუ ყეფა უნდა, ძხვა ენაზე მაინც იყეფოს! — გამოეხმაურა ვიღაც ახალგაზრდა.

— ოხ, რა არის მთვრალი კაცი!.. — ოხვრით თქვა ვიღაც ხანში შესულმა ქალმა. — დაპირქვავებული კოკაა, რაც შიგ დგას, ის გადმოღის. — ღვარძლიანად ეუპასუხე და სასწრაფოდ გავეცალე იქ მყოფთ...

ლონისძიებანი „ვეფხისტყაოსნის“ გაღრმავებით შესწავლისათვის (პირადი გამოცდილება)

„ვეფხისტყაოსანი“ არ არის იოლად შესამეცნებელი ნაწარმოები (მით უფრო, რომ იგი მეცხრე კლასში ისწავლება), მაგრამ იგი ისეთი პოეტური ქმნილებაა, როგორც ჩვენს წინაპართ უთქვამთ: „თუ კაის გზით ვასწავლით, ერთ ოსტატად კმარა“. კარგად გზად ჩვენ გეესახება: 1. პოემის შინაარსის ღრმა გაგება, მისი შექმნის პოეტური მიზანღასახულების წვდომა და ყოველივე ამის გამოყენება მოსწავლეთა ჯანსაღი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებისათვის; 2. საკლასო და კლასგარეშე ღონისძიების გატარება (გზებისა და ფორმების ძიება) პოემის უკეთ შესწავლისა და პოეტის მაღალი იდეების ცხოვრებაში დასანერგად.

მზადება „ვეფხისტყაოსანზე“ მუშაობისათვის

საზაფხულო არდადეგების დაწყების წინ მერვე კლასელებს გავაცანით ბომავალი სასწავლო წლის პროგრამა, მივუთითეთ, თუ რომელ მწერლებს შეისწავლიდნენ, განსაკუთრებული ყურადღება რუსთაველზე გავამახვილეთ. კერძოდ, მათ დავავალეთ „ვეფხისტყაოსნის“ სახელმძღვანელოების შეძენა და წაკითხვა, რუსთაველზე მასალების შეგროვება გაზეთებიდან, ჟურნალებიდან, ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშების ჩაწერა და სხვ. აგრეთვე ჩავაწერინეთ საკალდებულო კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურა (შექსპირის „ჰამლეტი“, სერვანტესის „დონ-კიხოტი“) და მივუთითეთ, რომ რვეულებში ჩაენიშნათ მნიშვნელოვანი ადგილები, ციტატები და სხვ.

სკოლაში დაბრუნებულმა ბავშვებმა თან მოიტანეს უამრავი სხვადასხვა სახის მასალა რუსთაველზე. ერთ დღეს გავარკვიეთ, ვის რა ჰქონდა გაკეთებული და მოტანილი.

ამ მუშაობით გაკეთდა უველაზე მთავარი — აღიძრა ინტერესი პოემის ღრმად შესწავლისა, მათ ცნობიერებაში ჯერ კიდევ ბუნდოვნად წამოჭრილი საკითხების გარკვევისა (მათ მიერ მოტანილი მასალები თვალსაჩინო ადგილზე მოვათავსეთ).

მართალია, IX კლასში მეცადინეობა რუსთაველით არ დაგვიწყია, მაგრამ მისი შესწავლისადმი ინტერესი არ შენელებულა, რადგან მათ. ავუხსენით, რომ რუსთაველის შემოქმედების კარგად გაგებისათვის აუცილებელი იყო ჰაგიოგრაფიული ძეგლების შესწავლა და გარკვეული ცოდნის შეძენა ქრისტიანული მოძღვრების შესახებ; თანაც იქვე დავსძინეთ, რომ ქართული ლიტერატურის ისტორია სწორედ აქედან იწყება.

პოემის ტექსტზე მუშაობის პარალელურად შევუდექით რენესანსის ეპოქის უფრო ღრმა და ფართო ასპექტით შესწავლას, კერძოდ, ვეცნობოდით ქართული კლასიკური პერიოდის როგორც ლიტერატურის ძეგლებს, ასევე — ხელოვნების სხვა დარგების ნიმუშებსაც, ვილრმავებდით ცოდნას საზღვარგარეთის მწერალთა შედევრებთან პარალელების გავლებითაც[1].

რუსთაველი IX — XI კლასების პროგრამებთან დაკავშირებით

რუსთაველის ღრმა შესწავლის ინტერესი მეცხრე კლასში მიღებული ცოდნით არ იფარგლება, შემდგომ კლასებში ყოველი მწერლის შემოქმედებასთან დაკავშირებით მოსწავლეები ეძიებენ „ვეფხისტყაოსანში“ დასმული საკითხების (მეგობრობა, სიყვარული, ვაჟკაცობა, გმირობა) ახლებურ გადაჭრას. ისინი კარგად გრძნობენ, რომ არა მარტო პირადად მათთვის, არამედ მწერალთა შემოქმედების ეტალონად ქცეულა სიყვარულის, მეგობრობის თუ გმირობის რუსთველური გაგება. ასევე იძლევიან ამა თუ იმ ნაწარმოების კრიტიკულ შეფასებას ჩვენი სახელმძღვანელოს ავტორებიც, რის გამო დასმული საკითხების გარჩევისას ხშირად ვხვდებით შედარებას რუსთაველის გმირთა მოქმედებებთან.

გ. ორბელიანის „სადღეგრძელოს“ შესწავლისას, როცა კლასს

---

[1] სერვანტესის „დონ-კიხოტზე“ საუბარი დავუკავშირეთ პოემის შემდეგი თავის შესწავლას „ტარიელისაგან ხატაეთს წასვლა და დიდი ომი“. ბავშვებს მოვაგონეთ ლამაზჩელის ფათერაკები, მისი „აზრიანი სისულელეები“ და დავასკვენით: სინამდვილესთან შეუსაბამო იდეალები ადამიანს წყვეტს ცხოვრებისაგან და მას სასაცილო მდგომარეობაში აყენებს, მიზანსწრაფული ბრძოლა კი პირიქით, მაგრამ ამ გზაზე მნიშვნელოვანია „გარემოს“ როლიც.

ტარიელის ველად გაჭრასთან დაკავშირებით ვისაუბრეთ შექსპირის „ჰამლეტზე“ და დავსძინეთ: ზოგჯერ ადამიანთა თავისუფალ და კეთილშობილ მისწრაფებებს ამსხვრევს სინამდვილე. ჰამლეტის ტრაგედია პროტესტია სინამდვილის, ადამიანთა გადაგვარებისა და გაბრწყინლებისა.

ღვაწლებად მიეცა— ჩამოეყალიბებინა გრ. ორბელიანის შეხედულება მეგობრობის, სიყვარულის, ადამიანის მოვალეობაზე, მოსწავლეებმა მეტად საინტერესოდ გაავლეს პარალელი რუსთაველთან.

აი, ფრაგმენტები თბილისის 142-ე საშუალო სკოლის მოსწავლის ნ. შ.-ს მოხსენებიდან „მეგობრობა გრ. ორბელიანის „სადღეგრძელოს“ მიხედვით[1].

რვა საუკუნემ განვლო მას შემდეგ... შეიცვალა საზოგადოებრივი წყობილება, ამას მოყვა ადამიანთა შეხედულებების შეცვლა თვით ადამიანის დანიშნულებაზე, სამყაროს წესრიგზე, მაგრამ ჩანს, გენიალური ნააზრევი არ იცვლება.

700 წლის შემდეგ გ. ორბელიანმა მეგობრული გრძნობა თითქმის იმგვარადვე წარმოგვისახა, როგორც — რუსთაველმა. შეიძლება ითქვას, გაიმეორა შეხედულება. გაიმეორა, რადგან რუსთაველზე უფრო ლამაზად და ძლიერად ეს გრძნობა არავის დაუხატავს:

„ხამს მოყვარე მოყვრისათვის, თავ ჰირსა არ დამრიდად“.

რუსთაველის ამ ტაეპში გამოხატული აზრი გამოსჭვივის გრ. ორბელიანის სიტყვებში:

„მეგობრობასა წმინდასა შევსწიროთ სრულად რაც გვაქვნდეს“,
„დავლიოთ მისთვის ფიალა და აღთქმა არ დაგვავიწყდეს“.

გ. ორბელიანის გაგებით, ადამიანის ვალია — ეწამოდეს მეგობრის გულისტკივილი. ისე ფუჭია ადამიანის ყოფა: „სხვის კვნესა თუ არ გვაწუხებს, სხვისა არ გვესმის ტკივილი...“

გ. ორბელიანიც რუსთაველის მსგავსად მეგობრობაში ხედავს დიდ ძალას და ადამიანის მოვალეობად თვლის, რომ ხელი გაუწოდოს განსაცდელში ჩავარდნილ მეგობარს:

„თუ არ აღვადგენთ დაცემულს, არ ვექმნეთ ნუგეშისმცემელი...“

მოსწავლეს მოაქვს კიდევ რამდენიმე მაგალითი და აკეთებს დასკვნას: ორივე პოეტის გაგებით მეგობარი თავდადებული ადამიანია.

იმავე კლასის მოსწავლე მ. ს., ეხება რა სიყვარულის საკითხს, პარალელს ავლებს ა. ჭავჭავაძის ლექსს „სიყვარულო, ძალსა შენსა“ და გ. ორბელიანის პოემაში („სადღეგრძელო“) გამოხატულ აზრებს შორის.

გ. ორბელიანამდეც და მის შემდეგაც ბევრს უმღერია სიყვარულისათვის, მაგრამ თითქმის ყველა მათგანში შეინიშნება გავლენა

[1] მოხსენებას მოსწავლეები ამუშავებენ შინ დამოუკიდებლად, კითხულობენ გაკვეთილებზე, მოხსნებებს პირველ რიგში ავსებენ და აფასებენ თანაკლასელები, შემდეგ კი მასწავლებელი.

დიდი რუსთაველისა. ალ. ჭავჭავაძის ლექსი „სიყვარულო, ძალსა შენსა“ პირდაპირ გვაგრძნობინებს:

„სიყვარულო, ძალსა შენსა ვინ არს, რომე არ მონებდეს...
...შენგან ბერი მონას ეყმოს, შენგან ბრძენი ხელად რებდეს...“

რუსთაველის თქმით, სიყვარული „ბრძენსა გააშმაგებს, უსწავლელსა გაასწავლებს“. კიდევ მეტი: სიყვარული, როგორც უტყვი და მძლეთა მძლე გრძნობა ნათლად ჩანს ა. ჭავჭავაძის ლექსში — „არ გიტყვი“:

„ნუ ვლი გრქუა მიყვარხარ, დუმილს ერაცხ უმჯობესად,
მაგრამ იცოდე, გეტრფი საზომზე უაღრესად“.

რუსთაველის მსგავსად, გ. ორბელიანისათვის სიყვარული სიცოცხლის აზრი და მშვენებაა, ამამაღლებელი გრძნობაა. დაღლილი, გადარჩენილი ბზედრები დუმილით ისმენენ სუფრის უფროსის სიტყვას:

„ძმანო! ივიწყეთ მცირე ჟამს მტერი, ომი და დიდება,
ვოიგონეთ სიყვარული, რომლით სიცოცხლე გვიტკბება.
რომლის შუქი ავვამაღლებს, რომლით სული გვინათლდება“...

ადამიანს სატრფოსთან შეყრის მოლოდინი ცეცხლს უგზნებს, მისი სიშორის მწველი განცდა გულს გადაულევს, მაგრამ პოეტი ამბობს:

„ტანჯვა არს მზრდელი ტრფობისა, დამბერველი ეშყის ცეცხლისა,
ტანჯვა არს ვაღი და მსხვერპლი „უზომო სიყვარულისა“.

გვაგონდება რუსთაველის ნათქამი: „ვარდნი უეკლოდ არავის მოუკრეფიან!“ „ვზი მზრდელი სიყვარულისა“ და სხვა.

იმავე კლასის მოსწავლე გ. მ. ეხება ცხოვრების აზრისა და ადამიანის მოვალეობის საკითხს. იგი პარალელს აკეთებს გ. ორბელიანს, ნ. ბარათაშვილისა და რუსთაველის შეხედულებებს შორის და ამბობს: „რუსთაველისათვის ყოველგვარი სიყვარული დაბალია, თუ იგი საზოგადო ინტერესებისაგან გათიშულია, კაცი არ არის კაცი, თუ ის არ არის მამულიშვილი. ნ. ბარათაშვილის აზრით, სოფელი მუხთალია, მაგრამ:

„არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს,
იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნვოს“.

გ. ორბელიანის შეხედულებითაც ადამიანის მოვალება მამულიშვილობას უკავშირდება:

„სოფელი იმად არა ღირს, კაცი ნატრობდეს ჟამს გრძელსა,
თუ ფუჭი მისი სიცოცხლე ვერარას არგებს მამულსა“.
რა არის ჩვენი სიცოცხლე, თუ არა საქმე კეთილი?... და სხვ.

რარიგ გავს ერთმანეთს ხალხური ნათქვამი, რომელსაც რუსთაველს მიაწერენ:

„ათასად გვარი დაფასდა, ათი ათასად ზრდილობა,
თუ კაცი კაცად არ ვარგა, რას არგებს გვარიშვილობა".

და გ. ორბელიანის:

„მიეცით ნიჭსა გზა ფართო, თაყვანისცემა ღირსებას,
ნიჭს აძლევს ზენა მხოლოდ კაცს და არა გვარიშვილობას".

თანდათან იზრდება მოსწავლეთა შემეცნებითი ინტერესები რუსთაველის შემოქმედების ღრმა გაგებისა გაკვეთილებზე. ამის მკაფიო მაგალითია ის, რომ ყველაზე დიდი დავა გამოიწვია სიყვარულის საკითხში ნ. ბარათაშვილისა და რუსთაველის შეხედულებათა შეპირისპირებამ. მოსწავლეებმა შეისწავლეს რა ნ. ბარათაშვილის ცხოვრება და მისი სატრფიალო ლექსები, კლავე სიყვარულის რუსთველური გაგების პოზიციებიდან შეაფასეს იგი. მათ მიერ დასმულმა ბევრმა კითხვამ, მისმა მრავალმხრივობამ და წინააღმდეგობრიობამ მოითხოვა, რომ ღრმად გავცნობოდით დასმულ საკითხს და ნ. ბარათაშვილის შემოქმედების გვერდით პირადი ცხოვრების ამსახველი წერილების ანალიზის საფუძველზე გამოგვეტანა სათანადო დასკვნები. ბავშვებს აინტერესებდათ არა მარტო ლექსებში გატარებული აზრი სიყვარულის შესახებ, არამედ ისიც, პოეტის პირადი ცხოვრება უპასუხებდა თუ არა მის ლექსებში გატარებულ იდეას და, მეორე, იზიარებდა თუ არა რუსთაველის შეხედულებებს სიყვარულში მოცალეობისა და ფორმა-შინაარსის მთლიანობის საკითხში.

სიყვარულისა და მეგობრობის საკითხი მწვავე კამათის საგანი გახდა გ. წერეთლის „პირველი ნაბიჯის". ა. ყაზბეგის შემოქმედების შესწავლისას.

აღნიშნული საკითხები მოსწავლეებმა კვლავ გაიხსენეს XI კლასში გ. ტაბიძის ლექსების („მესაფლავე", „ჭერი") შესწავლისა და კ. გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენაზე" მუშაობის დროს.

გავითვალისწინეთ რა მოსწავლეთა ინტერესები, წელს წავიკითხეთ ერთ-ერთი მოსწავლის მიერ მომზადებული თემა — „სიყვარული აღგვამაღლებს". მასალები თან ერთვის საწერეო მუშაობის საკითხს.

„ვეფხისტყაოსანი" და საწერეო მუშაობა

მოსწავლეთათვის საინტერესო და აქტუალური საკითხების ერთობლიედ დამუშავების, აზრთა ურთიერთგაზიარების საუკეთესო საშუალებაა სკოლაში არსებული საწერეო მუშაობა.

ლიტერატურაში საწრეო მუშაობის 4 ძირითადი სახე არსებობს. გამოშეტყველებითი კითხვისა და მხატვრული თხრობის, მხატვრული კითხვის, ლიტერატურულ-შემოქმედებითი და დრამატული. ამათგან ყველაზე გავრცელებული და პოპულარულია ლიტერატურულ-შემოქმედებითი წრე. ამ წრის ხასიათისა და შინაარსის განმსაზღვრელი მის სახელწოდებასთან ერთად გეგმაა, რომელსაც ხელმძღვანელი ადგენს ბავშვების შესაძლებლობებისა და სურვილების გათვალისწინებით.

ლიტერატურულ-შემოქმედებითი წრის გეგმა შეიძლება იყოს როგორც კომბინირებული, ისე — აქცენტირებული. უკანასკნელი გულისხმობს რომელიმე საპროგრამო ან არასაპროგრამო მასალის ღრმად შესწავლას, მაგალითად, ისეთი ნაწარმოებების, როგორიც „ვეფხისტყაოსანია“ ან თანამედროვე მწერლის შემოქმედების სათანადოდ გაცნობას და დიდი ღონისძიების ჩატარებას; კერძოდ, მათთან დაკავშირებული თემების მომზადებას და სხვ. ასეთი სახის წრეს შეუძლია რომელიმე მნიშვნელოვანი თარიღისადმი ღონისძიებათა კომპლექსის მიძღვნა. კომბინირებულ გეგმაში კი შევა, როგორც რომელიმე საიუბილეო თარიღის აღნიშვნა, ისე სხვა საკითხებიც.

მოგვაქვს თბილისის 142-ე საშუალო სკოლის ლიტერატურულ-შემოქმედებითი წრის (რომელიც აერთიანებდა VIII — IX — X კლასების მოსწავლეებს) მიერ განხორციელებული აქცენტირებული გეგმის ნიმუში, რომელსაც ეწოდა — მზადება ღონისძიებისათვის „რუსთაველი ჩენს სკოლაში“ (1973 წელი)

რუსთაველის უკეთ შესწავლის მიზნით გადავწყვიტეთ ჩაგვეტარებინა ლიტერატურული საღამო „რუსთაველი ჩვენს სკოლაში“. ღონისძიებაზე მოგვეწვია თანამედროვე რუსთველოლოგები. ღონისძიების მიზანი და შინაარსი პირველად ჩვენს კოლეგებსა და იმ კლასის ხელმძღვანელებს გავაცანით, რომელთა მოსწავლეები ჩაბმული იყვნენ ლიტერატურის წრეში.

თემების მომზადებასა და საღამოს ჩასატარებლად ვიმუშავეთ ექვსი თვე. მუშაობა რომ საბალისო და მიმზიდველი ყოფილიყო, გადავწყვიტეთ, მისთვის მიგვეცა „საზრიანთა და მხიარულთა კლუბის“ დეკონსტრირების ფორმა და შინაარსი. ამან მოითხოვა გუნდების შექმნის საჭიროება. შეიქმნა ორი გუნდი.

ღონისძიების ამ ფორმას მოჰყვა შეჯიბრში გამარჯვების დიდი ინტერესი, რამაც არსებითად შეცვალა ჩვენ მიერ შედგენილი ღონისძიების საორიენტაციო გეგმა. იგი შეივსო და გამრავალფეროვნდა მოსწავლეთა ფანტაზიით, მათი ინიციატივით წამოჭრილი საკითხების ნეშვეობით.

გთავაზობთ ჩვენ მიერ ხორცშესხმულ წრის სამუშაო გეგმას.

მზადება ღონისძიებისათვის „რუსთაველი ჩვენს სკოლაში“ (გეგმა.)

I სხდომა

ძირითადი საკითხები: 1. ღონისძიების საორიენტაციო გეგმის გაცნობა.

2. საუბარი ღონისძიების შინაარსზე, მისი განხორციელების გზებსა და საშუალებებზე.

3. ლექცია — რუსთაველის ეპოქის ქართული ხელოვნება (სათანადო თვალსაჩინოებით).

გადაწყვეტილების მიღება: მოაწყონ ექსკურსია ბეთანიაში, დაათვალიერონ საქართველოს ხელოვნების მუზეუში.

დავალება. 1. პოემიდან ამოიწერონ მასალები „სანადიმოს“ შესადგენად.

2. მოამზადონ მოხსენებები:

ა) რუსთაველის ვინაობა სხვადასხვა მეცნიერთა მოსაზრებით (პ. ინგოროყვა, პ. რატიანი და სხვ.).

ბ) რუსთაველი ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში.

გ) ვინ დაუმატებს ახალ პუნქტს ჩვენს ღონისძიებას?

II სხდომა

მოხსენებების წაკითხვა: 1. რუსთაველის ვინაობა (გ. გ.)

2. რუსთაველი ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში (გ. ბ.).

დავალება: 1. პოემის ხელახლად წაკითხვა და შერჩეული ადგილების გამომეტყველებითი კითხვისათვის მომზადება.

2. მზადების პერიოდში გაეცნონ შექსპირის „ჰამლეტს“, სერვანტესის „დონ-კიხოტს“.

3. ასპარეზობისათვის კითხვა-პასუხების მომზადება.

4. საკუთარი ფანტაზიით გამოქვაბულის ხედის შექმნა მომავალი სხდომისათვის (საკონკურსოდ).

5. შრომის მასწავლებლების დახმარებით ვაჟების მიერ სცენისათვის დანადგარების მომზადება. ჭრა-კერვის მასწავლებლის დახმარებით კოსტიუმებისა და ფარდების შეკერვა.

6. ვინ დაუმატებს ახალ პუნქტს ჩვენს ღონისძიებას?

III სხდომა

ძირითადი საკითხები:

1. პოემიდან შერჩეული ადგილების გამომეტყველებით წაკითხვა მოსწავლეთა მიერ.

2. ხელმძღვანელის დახმარებით პოემის მთავარი თემისა და ძირითადი საკვანძო საკითხების გამოკვეთა (გამეორება).

3. კონკურსი: ვინ უკეთ შეასრულა გამოქვაბულის ხედის ჩანახატი.

4. მოსწავლეთა წინადადების მიღება: მოამზადონ სკეტჩი — „მე და რუსთაველი“ და პანტომიმა“ — „ჭაში ჩავარდნილი“.

დავალება: 1. მოხსენებების მომზადება: ა) ეპისტოლარული ფორმა „ვეფხისტყაოსანში“.

ბ) იშვიათი სიტყვები „ვეფხისტყაოსანში“,

გ) რუსთაველის მეტაფორა.

2. კონკურსში გამარჯვებული სურათის ტილოზე გადატანა.

3. ვინ დაუმატებს ახალ პუნქტს ჩვენს ღონისძიებას?

IV სხდომა.

მოხსენებების წაკითხვა:

1. ეპისტოლური ფორმა „ვეფხისტყაოსანში“ (ი. ძ.).

2. იშვიათი სიტყვები „ვეფხისტყაოსანში“ (გ. წ.).

3. რუსთაველის მეტაფორა (ქ. პ.).

4. „სანადიმოს“[1] შესადგენად შერჩეული მასალების განხილვა.

დავალება: 1. მოხსენებების მომზადება: ა) „სიყვარული აღგვამაღლებს“;

ბ) მეგობრობა „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით.

2. შემოსული წინადადების თანახმად რუსთაველის მეტაფორებისა და აფორიზმების მინიატურული სურათების შექმნა.

3. ვინ დაუმატებს ახალ პუნქტს ჩვენს ღონისძიებას?

V სხდომა

მოხსენებების წაკითხვა: 1. „სიყვარული აღგვამაღლებს (მ. ს.).

2. „ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია“ (ნ. შ.).

დავალება 1. მზადება დისპუტისათვის „ქმნა მართლისა სამართლისა“...

2. მოხსენებების მომზადება: ა) პატრიოტიზმი „ვეფხისტყაოსანში“,

ბ) ფანტაზია და სინამდვილე „ვეფხისტყოსანში“.

3. შემოსული წინადადების თანახმად ექსპრომტი-აკროსტიქების შედგენა, ცეკვა „ქართულის“ მომზადება.

VI სხდომა.

1. მოხსენებების წაკითხვა: ა) პატრიოტიზმი „ვეფხისტყაოსანში“. (გ. მ.).

---

[1] ესაა „უკვდავილნარის“ სტილზე აგებული გასართობი, სადაც სამისამართო სახელებად აღებულია პოემაში მოცემული ფლორასა და ფაუნას „წარმომადგენელთა“, ასტრალურ სამყაროს „მკვიდრთა“, ძვირფასი ქვებისა და საკრავების სახელწოდებები.

სანადიმო გასართობი ორ ეგზემპლარად შევადგინეთ, ერთს ვუწოდეთ „მარგალიტი“, მეორეს — „ანდამატი“.

ბ) ფანტაზია და სინამდვილე „ვეფხისტყაოსანში"! (ე. რ.).

გ) დისპუტი — „ქმნა მართლისა სამართლისა".

2. ასპარეზობის სტაბილური გეგმის გაცნობა.

დ ა ვ ა ლ ე ბ ა: 1. „ქართველი მწერლები შოთა რუსთაველს" (1966 წ. საიუბილეო გამოცემა) დამოუკიდებლად გაცნობა.

2. რუსთაველი უცხოელთა თვალთახედვით (მითითება წყაროებზე).

3. რეფერატის მომზადება — რუსთაველი ქართული რენესანსის მესვეური.

VII სხდომა

ძ ი რ ი თ ა დ ი ს ა კ ი თ ხ ე ბ ი:

1. რეფერატი — რუსთაველი ქართული რენესანსის მესვეური. (მასწავლებელი)

2. რუსთაველისადმი მიძღვნილი ლექსების და შერჩეული ეპიზოდების მხატვრული კითხვა.

(ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობა გაგრძელდა ღონისძიების ჩატარებამდე. ღონისძიება ჩატარდა 1973 წლის 28 აპრილს).

ასპარეზობა, რომელიც ერთ მონტაჟად შეიკრა, ძირითადად ცხრა განყოფილებას შეიცავდა:

1. დეკლამაცია, რაც, თავის მხრივ, ითვალისწინებდა: 1. რუსთაველისადმი მიძღვნილი ლექსებისა და პოემიდან შერჩეული ადგილების კითხვას. 2. კონფერანსიების მიერ მონტაჟის წაყვანას (ის უმეტესად მოსწავლეთა ორიგინალურ ლექსებს შეიცავდა).

II. პერსონაჟთა სახეების უტყვი ინსცენირება ზოგჯერ დეკლამაციის, ზოგჯერ კი აკომპანიმენტის თანხლებით.

III. კითხვა-პასუხი.

IV. აფორიზმებისა და მეტაფორული სურათების ამოცნობა.

V. ექსპრომტი-აკროსტიქი.

VI. „სანადიმოს" თამაში.

VII. სკეტჩი.

VIII. პანტომიმა.

IX. ცეკვა ქართული.

ყველა სახე ფიქსირებულია ალბომში — „რუსთაველი ჩვენს სკოლაში".

ღონისძიების მასშტაბი გაიზარდა[1]. მთავარი იყო მუშაობა იმგვარად წაგვემართა, რომ მოსწავლეები ძალდატანების გარეშე ჩაბმულიყვნენ ღონისძიებაში და აღებული ვალდებულებებისათვის არ ელალატნათ. ღონისძიების ბედი დიდად იყო დამოკიდებული I სხდომაზე,

[1] ღონისძიების მომზადებაში გარკვეული დახმარება გაგვიწია მოსწავლეთა რესპუბლიკურმა სასახლემ (ა. კასრაძე, მ. საყვარელიძე, ფ. პაიჭაძე).

სადაც შევიტანეთ საკითხი — რუსთაველის ეპოქის ქართული ხელოვნება (ლექცია), აქვე შემუშავდა აზრი, დაგვეთვალიერებინა ხელოვნების მუზეუმი, მოგვეწყო ექსკურსია ბეთანიაში.

მიუხედავად იმისა, რომ ჩატარებულ ლიტერატურულ საღამოს ხარვეზებიც ქონდა. შედეგი მაინც დიდი იყო.

1. ღონისძიებამ მოითხოვა ტექსტის არა მარტო მრავალჯერ გაღაკითხვა, არამედ საჭირო გახდა სათანადო კრიტიკული ლიტერატურის გაცნობაც. ყოველივე ამან გააფართოვა მოსწავლეთა ხედვის არე, გაზარდა მათი შემეცნებითი ინტერესები. თავის მხრივ, მოსწავლეთა გააქტიურების საქმეში არანაკლები როლი შეასრულა ლიტერატურის წრის გეგმაში შეტანილმა რუბრიკამ — „ვინ დაუმატებს ახალ პუნქტს ჩვენს ღონისძიებას?“

2. ღონისძიებამ არა მარტო გამოავლინა ბევრი კარგი დეკლამატორი, პანტომიმისა და სკეტჩის შემსრულებელი, არამედ გაზარდა მათი რიცხვი, მოსწავლეებმა შეიგნეს, რომ გამომეტყველებით კითხვა გამოვლენაა ტექსტის ღრმა გაგებისა და მის საფუძველზე ალმოცენებული ესთეტიკური გრძნობისა, ემოციურობის გამოხატვისა (იგი სახის „უშუალო“ ხილვაა და ამით გამოწვეული სიამოვნების განცდა, რაც ძალაუნებურად მიეკვნდება ხმის ტონალობის ბუნებრივ მიმოხრაში). ბავშვები წინანდებურად აღარ თაკილობდნენ ლექსის გამომეტყველებით წაკითხვას. ეს ჩვევა მათ გაკვეთილებზედაც გადაჰყვათ.

3. ღონისძიება მთელი სკოლის მოსწავლეთათვის იყო მაგალითი ერთსულოვანი კოლექტიური შრომისა, ერთმანეთისადმი ამხანაგურ-შეგობრული დამოკიდებულებისა, მათი გემოვნების დახვეწისა.

დიდმა ინტერესმა, საქმის სიყვარულმა და კეთილშობილურმა განწყობამ სხვა მხრივაც გამოიღო ნაყოფი. ღონისძიებების მონაწილე ბავშვებმა შექმნეს ბევრი ისეთი რამ, რაც მომდევნო კლასებს გადაეცა, როგორც ნიმუშები:

ა. VIII კლასის მოსწავლემ (თ. ჭ.) შექმნა შ. რუსთაველის ფერადი პორტრეტი, რომელიც ამხანაგებმა (ვ ბ., თ. კ.) თვითნაკეთ ჩარჩოში ჩასვეს.

ბ. VIII—X კლასის მოსწავლეებმა (თ. ჭ., მ. ბ., დ. ს..) დიდ ტილოზე გადაიტანეს „გამოქვაბულის ხედი“.

გ. VIII კლასის მოსწავლემ (გ. მ.) შეადგინა საქართველოს სამთავროებისა და ცალკეულ მხარეთა ფერადი რუკები („იმერეთი“, „ქართლ-კახეთის სამეფო“) და სხვ. მანვე შეადგინა საქართველოს უძველესი კულტურის და განათლების კერეთა სქემატური რუკები.

დ. ლიტერატურის წრემ ჯერ კიდევ „ვეფხისტყაოსნის“ გაცნობამდე საფუძველი ჩაუყარა ექსკურსიების მოწყობის მიზნობრივ და

ვეგმაზომიერ განხორციელებას. გაკეთდა ალბომი „ჩვენი ქვეყნის უძველესი კულტურის ძეგლები", რომელშიც მოთავსებულ იქნა კულტურის მნიშვნელოვან ძეგლთა სურათები. მათ შორის ბევრი მათგანი მოსწავლის ხელითაა შესრულებული. ძეგლებს თან ახლავს სათანადო ანოტაცია. ალბომის I გვერდზე მოთავსებულია დევიზი — „ცუნდა ვნახოთ, ჩვენი თვალით ვნახოთ". პირველი ექსკურსია მოეწყო ბოლნისში, სიონის ტაძრისა და მასზე მოთავსებული უძველესი წარწერების დასათვალიერებლად (ალბომის სათანადო გვერდები ივსება მოსწავლეთა შთაბეჭდილებებით). შემდეგ ბავშვებმა ინახულეს ბეთანია. მათ იხილეს თამარის სახე ბეთანიის ეკლესიაში. მოსწავლე ი. ძ."-მ წაიკითხა გ. ორბელიანის ლექსი „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში".

— თამარი, რუსთაველის პოეზიის შთაგონება; მეფეთა მეფე, ხატი სალოცავი — ისმოდა ექსკურსიამძღოლის (გ. ს.) სიტყვები და ტაძარი და ბავშვებიც ერთად იმეორებდნენ მას. დაათვალიერეს საქ. რეს. ხელოვნების მუზეუმი, განსაკუთრებით კი ჩვენი ქვეყნის ისტორიული წარსულის „ოქროს ხანის" ღირსშესანიშნაობები.

ასე ეყრებოდა საფუძველი რესთაველის ეპოქისა და მისი ნაწარმოების გაცნობა-შესწავლას.

ა. მოსწავლეთა მიერ დამუშავებულმა თემებმა, რაც მათ ერთ დიდ ალმანახად წეკრეს და „რუსთველიანა" უწოდეს, მოსწავლეთა XXVIII რესპუბლიკურ კონფერენციაზე პირველი ხარისხის დიპლომი დაიმსახურა.

ბ. ლიტერატურის წრის ოთხმა წევრმა (ვ. ბ., ე. რ., ქ. პ., მ. ს.) „ვეფხისტყაოსნის" მიხედვით შეადგინა და გააფორმა გასართობი, ე. წ. „სანადიმო მარგალიტი".

„სანადიმო მარგალიტი" გაიგზავნა მოსწავლეთა XXIX რესპუბლიკურ კონფერენციაზე და I ხარისხის დიპლომი დაიმსახურა. კონფერენციის ჟიურის წევრმა პროფ. სოლომონ ხუციშვილმა წინადადება შემოიტანა მისი დაბეჭდვის შესახებ და აღნიშნა, „სანადიმო მარგალიტი" არა მარტო კულტურული გასართობია, არამედ რუსთაველის „მარგალიტთა" შესამეცნებელი საშუალებაცააო".

გ. ლიტერატურული საღამოს მთელი მსვლელობა და განსაკუთრებით კი მეორე განყოფილება ფიქსირებულია ალბომში — „რუსთაველი ჩვენს სკოლაში". მოსწავლეთა XXIX რესპუბლიკურ კონფერენციაზე ამ ნამუშევრის გამო მთლიანად წრე დაჯილდოებულ იქნა პირველი ხარისხის დიპლომით.

4. საწრეო მეცადინეობა, როგორც კლასგარეშე მუშაობის ერთერთი ყველაზე ეფექტური სახე, IX — X კლასის მოსწავლეთათვის „ვეფხისტყაოსნის" გამეორების საუკეთესო გზა გამოდგა. თავის

მხრივ, არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა მათ მიერ წამოჭრილ კითხვებს მერვეკლასელთათვისაც. ჩვენი ხელმძღვანელობით მოსწავლეთა მიერ მომზადებულმა მოხსენებებმა ცხადყვეს რუსთაველის, როგორც რენესანსის მედროშის, როლი და მნიშვნელობა.

5. ღონისძიებამ ხელი შეუწყო მოსწავლეებში მაღალი მორალური და ესთეტიკური მრწამსის შემუშავებას. მათ არა მარტო შეიმეცნეს, არამედ იგრძნეს ამხანაგობა-მეგობრობის ფასი. რუსთაველის სათანადო აფორიზმს „ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია“ შეუსატყვისეს პოემის გმირთა სანიმუშო მაგალითით გამოხატული აზრი — ვინ მეგობარი არ არის, იგი არცა კაცია (რა თქმა უნდა, „ვისრამიანის“ ავტორის გამოთქმაც ჰქონდათ მხედველობაში — „ვინცა მიჯნური არ არის, იგი არცა კაცია“).

მოსწავლეებს მტკიცედ და შეგნებულად რომ შეესწავლათ რუსთაველი, ჩავატარეთ „საღამო-გაკვეთილი“, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მე-8, მე-9, მე-10 კლასებმა (სამ-სამი პარალელური ჯგუფი იყო). ამ ღონისძიების იდეა ხელმძღვანელმა გააცნო წრის წევრებს (ეს მოხდა პირველი ღონისძიების — „რუსთაველი ჩვენს სკოლაში“ — ჩატარების სამი წლის შემდეგ). ახალი ღონისძიება თავისი ფორმითა და შინაარსით ნაწილობრივ ემსგავსებოდა „საზრიანთა და მხიარულთა“ ასპარეზობას: ნაწილობრივ კი — გაკვეთილს. ღონისძიების ძირითადი ბირთვი იყო სამივე მე-8 კლასი. რომელთაც მესვეურობდნენ შესაბამისად ზედა კლასების (VIII¹-ს IX¹ და X¹, VIII²-ს, IX², X² და ა. შ.) მოსწავლეები (1976 წ.).

შევჩერდეთ ღონისძიების ჩატარების ორგანიზაციაზე, რაც ნათელყოფს მისი მომზადების პროცესსაც და შინაარსსაც;

სკოლის სააქტო დარბაზის ცენტრში სამები სამ ჯგუფადაა განლაგებული. პირველ რიგებში სხედან მერვეკლასელები, მათ უკან — მეცხრეკლასელები, კიდევ უკან — მეათეკლასელები. დარბაზის ორგვლივ, ორრიგად განლაგებულ სკამებზე კი — ღონისძიებაში მონაწილე მოსწავლეთა მშობლები და სტუმრები; ერთ კუთხეში, სპეციალურ მაგიდასთან, სხედან ჟიურის წევრები, რომელთა შორის არიან: დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში, ორგანიზატორი, უფროსი პიონერ-ხელმძღვანელი და ლიტერატურის მასწავლებლები.

„საღამო-გაკვეთილი“ შეჯიბრების ხასიათს ატარებს. თითოეულ ჯგუფს აქვს თავისი სახელწოდება, „ვეფხისტყაოსნის“ მოტივების მიხედვით შერჩეული — „მიჯნურობა“, „მეგობრობა“, „პატრიოტიზმი“. ღონისძიება მიჰყავს სამ მეთაურ მოსწავლეს, რომლებიც თითოეული ჯგუფის წარმომადგენლები არიან. სამივე დგას სცენაზე და თანამიმდევრობით წარმოთქვამენ:

1. რუსთაველი — ქართველთა დედასამშოლოა.
2. რუსთაველი — მოზრდილთა ცხოვრების კარია,
3. რუსთაველი — ყველას მზე-ჩირაღდანია,
ერთად: ჩვენც გვინდა მისით გავინათოთ გზა.

შემდეგ იწყება შეჯიბრება კლასებს შორის:

1. დიქტორი ასახელებს თემას და მოითხოვს მისი შესრულების დადასტურებას რვეულების ჩვენებით (დიქტორებს, ვაგრეთვე ჟიურის წევრებს შეუძლიათ, ადგილებზე შეამოწმონ სიმართლე და თემის ნაწილი კიდეც წააკითხონ რომელიმე მათგანს. ჟიური ინიშნავს თითოეულის ნაკლს და წარმატებას. შეჯიბრის ყოველ ახალ სახეს წინ უძღვის ჟიურის შეფასება და დიქტორთა ერთობლივი წინათქმა, რომელიც ერთ მონტაჟად კრავს ამ მრავალფეროვან და მრავალრიცხოვან მოსწავლეთა ღონისძიებას.

2. შეჯიბრი — რუსთაველის ირგვლივ წრის წევრთა წინასწარ მომზადებულ კითხვებსა და პასუხებზე (აქ შესაბამისად მონაწილეობენ მე-9, მე-10 კლასელები).

3. „ვეფხისტყოსნიდან“ რომელიმე ფრთიან ფრაზაში შემავალი ასოების შესაბამისი აფორიზმი ან აზრდასრულებული სტრიქონები უნდა წარმოთქვან ზეპირად (ერთისა და იმავეს გამეორება არ შეიძლება).

4. შეჯიბრი მეტაფორებისა და აფორიზმების საფუძველზე შედგენილი სურათების ამოცნობაზე.

გრძელდება ასე:

გამარჯვებულებს გადაეცათ წიგნები. ღონისძიებით ყველა კმაყოფილი დარჩა. მან დიდი ნაყოფი გამოიღო.

სკოლამ ტრადიციად აქცია ყოველწლიურად პოეზიის საღამოს ჩატარება.

* * *

მოგვაქვს ზოგიერთი ამონაწერი მოსწავლეების მიერ გამართული დისპუტიდან — „სიყვარული აღგვამაღლებს“.

როგორ უნდა გვესმოდეს რუსთველური სიყვარული? (142-ე საშუალო სკოლის X კლ. მოსწ. ც. მ.).

რუსთაველი გვასწავლის: სიყვარულის აღმოცენება ორგვარად ხდება: შეიძლება იგი ერთი თვალის მოკვრით ანდა ურთიერთხანგრძლივი დაკვირვება-გაცნობის შედეგად წარმოიშვას, პირველი — გარეგნულ მოწონებას ემყარება, მაგრამ თუ ამასთან შინაგან მხარეთა (სულიერ თვისებათა) ერთობა, „ერთფერობაც“, თან ახლავს, იგი შმაგ გრძნობად იქცევა. ასეთი სიყვარული ერთეულების ხვედრია,

მეორე სახისა კი უფრო საყოველთაო ხასიათს ატარებს. პირველი უფრო გრძნობაჩარბი ტრფობის გამოხატულებაა, მეორე — გონებას დაქვემდებარებული, ნებისმიერი გრძნობისა ლდიადი ორივე სახე შეიძლება იყოს, ისე როგორც ეს „ვეფხისტყაოსანში“ ტარიელისა და ავთანდილის სამიჯნურო თავგადასავლის სახითაა განსახიერებული). ორივე შემთხვევაში ტრფობის საფუძველი. შეუღლებისაკენ ლტოლვაა, მაგრამ იგი ვლინდება არა ხორციელ სწრაფვაში, არამედ მშვენიერ სულთა ერთობაში.

მიჯნური, პირველ ყოვლისა, უნდა იყოს ფიზიკური და სულიერი თვისებების (ფორმა-შინაარსის) სრულყოფილი გამოხატულება. ამასთან, მას მისი ტოლი-მოცალე, უნდა დაეწინდოს. აი, როგორია რუსთაველის სამიჯნურო ფორმულა:

„მიჯნურსა თვალად სიტურფე ჰმართებს, მართ ვითა მზეობა,
სიბრძნე, სიმდიდრე, სიუხვე, სიყრმე და მოცალეობა,
ენა, გონება, დათმობა, მძლეთა მებრძოლთა მძლეობა,
ეისცა ეს სრულად არა სჭირს, აკლია მიჯნურთ ზნეობა“.

მიუხედავად იმისა, რომ რუსთაველი თავის პოემაში მეფეთა და სამეფო კარის საზოგადოების ცხოვრებას ასახავს, სრულიად არ იზღუდება, რომ თავისი იდეები სიყვარულის შესახებ ზოგადი ასპექტით გამოხატოს. შეიძლება ითქვას, სამიჯნურო თვისებათა შორის, რომ „სიმდიდრე არ იყოს ნახსენები, თავისებურების საკითხი გამორიცხულიც იქნებოდა. მაგალითად, როცა სატრფოები მიჯნურებს ავალებენ: „წადი, იგი მოყმე ძებნე. ახლოს იყოს, თუნდა შორად“, „წა, ძეები ხატაელთა, თავი კარგად გამაჩენე“ და სხვ. ჩვენი აზრით, მეფექალები მიჯნურებს ისე კი არ უბრძანებენ, როგორც ქვეშევრდომებს, არამედ მბრძანებლობენ, როგორც სიყვარულის მეუფეები.

სიყვარულში ქალის მეუფება ის ძალაა, რომელიც ნაზ არსებას ძლიერ მამაკაცთან არამც თუ ატოლებს, უფრო ძალოვანადაც კი წარმოვიდგენს. არ შეიძლება ეს აზრი გამორიცხული იქნეს ა. ჭავჭავაძის ამ სიტყვებში: „შენგან მეფე მონას ეყმოს“, ჩვენი აზრით, აქ ხაზგასმულია არა მარტო ძალა სიყვარულისა, არამედ მეუფება ქალისა. აბესალომი ეთერის სიყვარულს მონად იქცა.

მიჯნურ მეფეთა განსაკუთრებული თავისებურება არ შეიმჩნევა ჩაშინაც, როცა თინათინი პირისპირ მდგომ სატრფოს მიმართავს:

„ასრე გითხრა სამსახური ჩემი გმართებს ამად ორად,
პირველ ყმა ხარ, ხორციელი, არვინა გყავს შენად სწორად,
მერმე ჩემი მიჯნური ხარ, დასტურია არ ნაკორად“.

„პირველ ყმა ხარ“ — ეს თქმა რომ ქვეშევრდომობის ხაზგასმა არაა, ამაში გვარწმუნებს მომდევნო სიტყვები: „ხორციელი არვინა გყავს

შენად სწორად". ეს უკანასკნელი კი იმას ნიშნავს — სახელმწიფოში პირველი ყმა ხარ, ხორციელთა შორის უსწორო (შეუდარებელი). ამდენად, დიდია ასეთი ყმის მოვალეობა ქვეყნის მიმართ. ამ აზრს ვერ გააბათილებს ავთანდილის განაცხადიც, როგორც თინათინთან („ვითა მონა სამსახურად განაღამცა წავე წა მე"), ასევე შერმადინთან („პირველ ყმა ვარ, წასვლა მინდა პატრონისა სამსახურად"); კერძოდ, პირველი ტაეპი სიყვარულში ისევ ჭალის მეუფებას ეხება, მეორე კი პატრონისადმი ყმის ერთგულების თავმოწონების ნიშნითაა ნათქვამი, ისიც გადაკვრით, ისევ შერმადინის, როგორც ყმის, საყურადღებოდ.

ნამდვილი ტრფობისას ყოველთვის ქალია სიყვარულის მეუფე, რაც მისი ნების აღსრულების უპირატესობაში ვლინდება.

მაგრამ როგორია ეს ნება?

ქალის დავალება ვიწრო, პირადული არასდროს არ არის. იგი სატრფოს ამაღლების, გაუკეთესების თავისებური ჟინია. მიჯნური დიდი ინტერესით ეკიდება ამ ნებას, რომელიც მოითხოვს თავდადებას. ნამდვილ ტრფობაში საკუთარი მე დათრგუნვილია, ანუ, როგორც რუსთაველი ამბობს, მათი გულები ურთიერთგანაცვალია:

„მაგრა ჰქონდა გულისათვის გული გულსა განაცვალი".

რუსთაველის მიჯნურ გმირთა პირადი საწადელი გაიგივებულია სატრფოს მაღალ მისწრაფებებთან. სიყვარულში სატრფოს „მე" დომინანტობს. სიყვარული, რომელიც, პირველ ყოვლისა, ვიწრო, პირადი სურვილის აღსრულებისთვისაა მოწოდებული, არასდროს არ იქნება მაღალი. იერემია ესმასავით არავის მოუხიბლავს, არც ყაჩაღი გადალენდიას გული შეურხევია თინამდე ვინმეს, მაგრამ არც ერთის გრძნობა არ შეიძლება ჩაითვალოს მაღალ გრძნობად. მათთვის არ არსებობს ქალის „მე". ისინი რომ პირადულის იქით იყურებოდნენ, საყვარელ ადამიანთა ბედნიერების წყაროსაც დაინახავდნენ და, როგორც ზემოთ ვნიშნეთ, განერიდებოდნენ ისე, როგორც ამას აკეთებს ა. ყაზბეგის ერთ-ერთი გმირი სულთი (მოთხრობა „ციცია").

შეიძლება ითქვას, რომ შეყვარება სულმდაბალ ადამიანებსაც შეუძლიათ, სიყვარულის ფასი და მისი ცხოვრებაში გატარება კი დიდსულოვანმა ადამიანებმა იციან. გაიოზისა და იერემიას სიყვარული მათიეე სულის შესატყვისია. „თუ არა მე, არც სხვას" — ამით დაასრულა თავისი გულისთქმა იერემიამ, საყვარელი არსების სიცოცხლე ხანჯლით ჩააჭრო და კვლავ ახალი თავგადასავლების გზას შეუდგა. ასეთი ადამიანების სიყვარულს (გარდა იმისა, რომ ცალმხრივია) აკლია სწორედ ის, რაც რუთაველის გმირებს უპირველეს მცნებად აქვთ: „მისთვის ჭირი ლხინად უჩნდა, მისთვის ცეცხლსა მოიდებდა". ნამდვილი სიყვარული ორმხრივია, ორივესათვის ბედნიერების მომტანი.

რუსთველური მიჯნურობა ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ ნამდვილი სიყვარულის აღმოცენების, ხანიერებისა და მუდმივობისათვის აუცილებელია ერთფერობა, მოცალეობა. ამ აზრს ადასტურებს შემდგომი დროის ლიტერატურაც. ესმერალდას (ვ. ჰიუგოს „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი“) უზადო გარეგნობამ და მიამიტურმა სულმა სიყვარულის უდიდესი და უმაღლესი ვნება დაბადა ქვაზიმოდოში, მაგრამ მისი სიყვარული არ იქნა გაზიარებული. სიყვარული საჭიროებს ორმხრივობას. სიყვარული ვერ ხარობს სულის მშვენიერებასა და მოცალეობის გარეშე, თუნდ მიჯნური ქვაზიმოდო კი არა, დორიან გრეის პორტრეტისა იყოს. ეს კეთილშობილური გრძნობა მიჯნურთა ურთიერთთანაგრძნობაზეა აგებული, მისი საყდრენია შეგობრობა. რამდენადაც ეს უკანასკნელი „ტყვე გულთა“ ინტიმის დამჩრდილველია, იმდენად მიჯნურთა გრძნობის ამამაღლებელია.

შეიძლება თუ არა მრავალჯერადობა სიყვარულისა ანდა მისი განაწილება? (ლ. კ., X კლ. მოსწ.).

როგორც საყოველთაოდ ცნობილია, „სიყვარული სიცოცხლეში მხოლოდ ერთხელ მოდის“, — ისიც — არა ყველასთან. „არ დააჩნდეს მიჯნურობა, სჯობს თუ კაცსა ეახლების“, — ამბობს რუსთაველი. ამ სტრიქონის უკანასკნელი სიტყვები სწორედ მისი არასაყოველთაობას უსვამს ხაზს. რაც შეეხება სატრფიალო გრძნობის განაწილებას, შეიძლება ითქვას, რომ იგი გამორიცხულია. ამ მხრივ სატრფიალო სიყვარული განსხვავდება ყველა სახის სიყვარულისაგან. მაგალითად, ძმური სიყვარულით შეიძლება გიყვარდეს ძმაც და მეგობარიც. მაგრამ ორის მიმართ ტრფობა ისევე შეუძლებელია, როგორც გულის განაწილება.

„გული ერთსა დააჯეროს“. აი, საყრდენი ამაღლებული სიყვარულის დღეგრძელობისა, ხანიერებისა, რაც, თავის მხრივ, განპირობებულია სულის მშვენებით, მოცალეობით („თვით უკვდავება მშვენიერსა სულში მდგომარეობს, მას ვერც შემთხვევა და ვერ ხანი ვერ დააბერებს“ — გვასწავლის ნ. ბარათაშვილი).

მშვენიერი სული სიყვარულისათვის მყარი ნიადაგია, დენთია, რომელიც გრძნობას აახლებს და მარადიულობის ძალას ანიჭებს.

შეიძლება თუ არა სიყვარულის აღზრდა?

ის ფაქტი, რომ რუსთაველის მიჯნური ქალები სიყვარულის მეუფეები არიან, მათი დავალებები ვაჟკაცობის, გმირობის სტიმულის მიმცემია, იმაზეც მიუთითებს, რომ სიყვარულის გამზრდელნი თვითვე არიან. ისინი ამას ერთგვარი სიამაყის გრძნობითაც კი აღნიშნავენ:

„...მომხედა ყოველი ჩემი წადილი გულისა,
პირველ. შენ მოხველ მშვიდობით, მპოვნელი დაკარგულისა,
შერე ზრდა სიყვარულისა გაქვს, ჩემგან დანერგულისა“ — ეუბნება თინათინი ავთანდილს.

ქაჯეთის ციხეში გამომწყვდეული ნესტანი ამავე აზრით წერდა ტარიელს:

„შენი სიცოცხლე მეყოფის ჩემად იმედად გულისად,
მომიგონებდე, გახსოვდე მე შენთვის დაკარგული სად,
ვზი მზრდელი სიყვარულისა, მის ჩემგან დანერგულისად“.

სიყვარული ამამაღლებელი გრძნობაა. ამაღლება კი თავისთავად გულისხმობს აღზრდის პროცესსაც. სიყვარულის თესლი იქ გაღივდება და განვითარდება, სადაც საამისო ნიადაგი არსებობს. ნიადაგი კი მუდამ უკეთესდება დამუშავების შედეგად (მხედველობაში გვაქვს ლიტერატურა და მისი აღმზრდელობითი როლი).

ასეთი აზრის არიან მოსწავლეები რუსთველური სიყვარულისა და მეგობრობის შესახებ.

მასწავლებლის დასკვნა:

„ვეფხისტყაოსნის“ როგორც მხატვრული ქმნილების ფასდაუდებელი მნიშვნელობა, პირველ ყოვლისა, იმაში მდგომარეობს, რომ რუსთაველის იდეები იდეალური ნიშნის მატარებელია.

„მემთხვევით არ ამბობს რუსთაველი, როცა სიყვარულის „ზეობას“ ეხება („იგია საქმე საზეო, მომცემი აღმაფრენათა“);

„ვთქვნე ხელობანი ქვენანი, რომელნი ხორცთა ხვდებიან
მართ მასვე ჰბაძვენ, თუ ოდენ არ სიძვენ, შორით ბნდებიან“.

მართლაც, ყოველი იდეალური შესაძლებელი სინამდვილიდან იქმნება, ხოლო შესაძლებლობის სრულყოფისაკენ მუდამ იდეალები გვეწვევიან.

რით იმსახურებს რუსთაველი უკვდავის სახელს?

რუსთაველი იძლევა მიჯნურობის, როგორც მაღალი და მშვენიერი გრძნობის, ნამდვილ და სრულ გამოხატულებას, მის არსს:

1. სიყვარული ნიშნავს ცოცხლობდე იმის სიცოცხლით, ვინც გიყვარს (ლ. ტოლსტოი).

2. ქალის სიყვარული მამაკაცისათვის იგივეა. რაც ცეცხლი იმ რკინისათვის, ფოლადად რომ უნდა იქცეს (მ. გორკი).

3. განშორება ასუსტებს წვრილმან ვნებებს და აძლიერებს დიდ სიყვარულს ისევე, როგორც ქარი აქრობს სანთელს და აღვივებს ცეცხლის ალს (ფ. ლაროშფუკო).

4. სიყვარული ბრძანებით არ მოდის (ი. ჭავჭავაძე).

5. ნამდვილ ადამიანს სატრფოც ნამდვილი ადამიანი უნდა ჰყავდეს (ა. ნაროი).

6. ტრფობით აღსილი გულისთვის, ცა, ღრუბლიანიც, დარია (ვაჟა-ფშაველა).

7. რომელ ტანჯვა-წამებას აქვს უფრო მეტი უფლება გული გადაუშალოს მშვენიერ ბუნებას, თუ არა ყველაზე კეთილშობილ, ყვე-

ლაზე ამაღლებულ და ყველაზე ინდივიდუალურ ტანჯვა-წამებას წამებათა შორის — სიყვარულის ტანჯვა-წამებას? (ფ. ენგელსი)[1].

8. სიყვარული გონებისა და გრძნობის მეგობრობაა. (ნ. რ.).

9. ამაღლებული სიყვარული ისე არაა საყოველთაო მოვლენა. ვით „კაცი არ ყველა სწორია დიდი ძეს კაცით კაცამდი".

10. სიყვარული ჯილდოა, მაღალადამიანური გრძნობაა, მშვენიერებაა.

„მშვენიერება ნათელია ზეცით მოსული,
მისით ნათლდება ყოელი გრძნობა გული და სული".
ნ. ბარათაშვილი.

ამ სენტენციებიდან გამომდინარე ჩნდება ასეთი კითხვები:
— რა არის გენიალურ აზრთა დამთხვევის საფუძველი?
— ჭეშმარიტება.
— გავლენის საფუძველი?
— ჭეშმარიტება.
— უკვდავების საფუძველი?
— ჭეშმარიტების სიყვარული (აქ მოგვაქვს გალაკტიონის ლექსი — „უსიყვარულოდ"...)

რუსთაველმა სიყვარულის არსი არა მარტო მაღალმხატვრულ სახეებში გამოსახა, არამედ „დაასაბუთა", რომ იგი ჭეშმარიტად ადამიანური, მაღალი გრძნობაა და მას აღიარება და დაფასება ეკუთვნის.

აი, მოსწავლეთა ერთ-ერთი 'პაექრობის საგანიც:

რა განსხვავებაა ვაჟკაცობასა და გმირობას შორის? შესაძლებელია თუ არა ყველა ინდივიდის აღზრდა მაღალმოქალაქეობრივი სულისკვეთებით? რა განსხვავებაა ინდივიდსა და პიროვნებას შორის?

აღნიშნულ საკითხებზე მოსწავლეთა მწვავე პაექრობის შედეგად საკმაოდ მნიშვნელოვანი აზრები გამოითქვა, მაგრამ საჭირო იყო ამ აზრების ნათლად გამოთქმა და დასაბუთება. ჩვენ მიერ დასმული დამხმარე კითხვების საშუალებით ყმაწვილებმა ასე დაალაგეს თავიანთი აზრები:

„ვაჟკაცობის" ცნების საყოველთაოდ აღსაცნობი ნიშნებია: ახოვანი გარეგნობა (მაღალი, ზორბა, ჩამკვრივებული სხეული), დიდი ფიზიკური ძალა, გამბედაობა და ნებისყოფის სიმტკიცე.

ვაჟკაცობა გმირობის საფუძველია, მაგრამ ყოველი ვაჟკაცური ქცევა გმირობად არ ჩაითვლება; მაგალითად, ერთი კაცი რომ 7 და 10 თავდამსხმელს გაუმკლავდება და საკუთარ სიცოცხლეს გადაარჩენს, ვაჟკაცო-

[1] ციტატები მოყვანილია „ბრძნული აზრების სამყაროდან", თბ., 1967, გვ. 127 — 131.

ბაა (ძველი გაგებით ასეთი ვაჟკაცი გმირადაც ითვლებოდა), მაგრამ სხვაგვარია გმირობის გვიანდელი ხანისა და თანამედროვე გაგება. ამ ცნების ახალი შინაარსით (კერძოდ საზოგადოებრივი ინტერესებით) გამდიდრების უტყუარ საბუთად უნდა ჩაითვალოს გმირობის რუსთველური გაგება. უნდა ითქვას, რომ, როგორც ძველი, ისე თანამედროვე გაგებით, ვაჟკაცის ცნებაში მნიშვნელოვანია ფიზიკური ძალა, მაგრამ მას უფრო დიდი მნიშვნელობა ეძლევა მისი საზოგადოების სასარგებლოდ გამოყენების შემთხვევაში (რა თქმა უნდა, თუ ეს საზოგადოებრივი ინტერესები არ ეწინააღმდეგება პიროვნების ინტერესებს. და მის ღირსებას არ ლახავს).

მაშასადამე, ფიზიკური ძალა, როგორც ვაჟკაცობის სიმპტომი, დღესაც ძალაში რჩება, მაგრამ ფიზიკური ძალის მნიშვნელობას ანეიტრალებს ტექნიკის თანამედროვე მიღწევების მოზაზრებულად გამოყენება. ამდენად ვაჟკაცის ცნების არსებით ნიშანთა შორის დღეს უპირველეს ადგილს იკავებს მაღალი მიზანი და მისი განხორციელებისათვის საჭირო ენერგია და ნებისყოფა. ასეთი ადამიანის გზა მშვიდობიანი შენებლობის დროსაც კი ხშირად მიდის გმირობამდე. ამის გამოა, რომ დღეს ჩვენ გვყავს შრომის გმირები, სწავლის გმირები და ომის გმირებიც. გვყავს გმირი ქალები, რომლებიც გმირობის სახელს იხვეჭენ არა ფიზიკური ძალით, არამედ დიადი მიზნით და მასზე დაკისრებული მოვალეობისადმი მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობითა და მტკიცე ნებისყოფის გამოჩენით. ასეთ ქალებს, ილიას თქმით, დედაკაცად რაცხენ, კაცს კი კაცურ კაცს ეძახიან. ამ აზრით თქმული პოეტის სიტყვები დღესაც გვმოძღვრავს:

კაცად მაშინ ხარ საქებო,
თუ ეს წესი წესად დარგე,
რომ ყოველ დღე შენს თავს ჰკითხო
აბა, დღეს მე ვის რა ვარგე!

კითხვა — ამშვენებს თუ არა თანამედროვე ადამიანს ძალ-ღონე?

პასუხი — ძალ-ღონე, როგორც სიჯანსაღის გამოხატულება, ამშვენებს ადამიანს, მაგრამ თუ იგი არ ხმარდება ადამიანის კეთილდღეობას. აშახინჯებს მას.

კითხვა—რომელი გმირობაა უფრო ღირსეული და მაღალი—შრომის გმირობა თუ ომის გმირობა?

მოკამათე თავგანწირვის ნიშნის ხაზგასმით პრიორიტეტს ანიჭებს ომის გმირს, მოწინააღმდეგე კი უპასუხებს: ცხოვრება ბრძოლაა. გმირობის ცნების გაგებასთან დაკავშირებით მონაცვლეობს ბრძოლის ობიექტი. ეს ობიექტი შეიძლება იყოს ვერაგი მტერი, შეიძლება — მშვიდობიანი ცხოვრება (შრომის სარბიელი). ვინც მშვიდობიანი ცხოვრების დროს, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე, თავის ნებით იღებს

„ბრძოლის იარაღს“ და დაძაბული ენერგიის ზარჯვით ისევე ხალხის საკეთილდღეო საქმეს აკეთებს, ისეთივე ღიდების ღირსია, როგორც ომის გმირი.

არანაკლები კამათი გამოიწვია საკითხმა — შეიძლება თუ არა ყოველი აღსაზრდელის აღზრდა მაღალმოქალაქეობრივი სულისკვეთებით? აქ მათ გაიხსენეს აკაკის „კამზრდელი“, სადაც ეს საკითხი პრობლემურადაა დასმული და მართებულად გადაჭრილი — „...მაგრამ მარტო წვრთნა რას იზამს, თუ ბუნებამც არ უშველა“.

მოსწავლეთა უმრავლესობის აზრით, აკაკი ბუნებაში არა მარტო მემკვიდრეობას გულისხმობს, არამედ გარემოსაც. მემკვიდრეობა, გარემო და აღზრდა, მართლაც, განაპირობებს ადამიანის აღზრდას, მაგრამ, მათიეე აზრით, აღზრდის მთავარი ფაქტორი გარემოა, ამიტომ საჭიროა მეტი ზრუნვა გარემოს მოწესრიგებისათვის.

— ვინ უნდა იზრუნოს გარემოს მოწესრიგებისათვის?

— პირველყოველისა, ზემდგომმა ორგანოებმა და შემდგომ ამისა, ჩვენ.

— ყველამ.

მოსწავლეთა აზრით, სასტიკად უნდა ისჯებოდეს ის უწესრიგო ადამიანები, რომელთა ყოველგვარ მოქმედებას „საბაგალითო“ შნიშვნელობა აქვს საერთოდ. და განსაკუთრებით, რწმენის შემუშაევებაში.

პიროვნებისა და ინდივიდის შესახებ (მასწავლებლის ნაუბარი).

ფართო გაგებით, პიროვნებაა ყოველი ცალკეული ინდივიდი, მაგრამ ეს ცნებები ყოველთვის დინეტური არ იყო.[1]

პიროვნება (ვიწრო გაგებით) ის ინდივიდია, რომელსაც აქვს, გარკვეული შეხედულება სიცოცხლის აზრსა და ადამიანის მოვალეობაზე ანიშნულებაზე და აქტიურად იბრძვის დასახული მიზნის განხორციელებისათვის.

იმის მიხედვით, თუ როგორია მისი შეხედულება აღნიშნულ საკითხზე — ეშმარიტია თუ მცდარი: როგორია მისი ბრძოლის მიზანი, მისი განხორციელების გზა., ღონე, პიროვნებებიც ძირითადად იყო-

---

[1] ფართო გაგებით, ინდივიდია ყოველი ცოცხალი არსება. პიროვნება ადამიანის, როგორც საზოგადოებრივი არსების. სპეციფიკური ტერმინია. რამდენადაც ადრეულ კლასობრივ საზოგადოებაში დაბალი ფენის ადამიანი მიჩნეული არ იყო საზოგადოებრივ არსებად. იგი ბრმა იარაღი იყო გაბატონებული კლასის ნება-სურვილის განხორციელებისა, ამდენად, არც ითელებოდა პიროვნებად, ისტორიამ მრავლად იცის პიროვნული უფლების მოპოვებისათვის წარმოებული მონათა აჯანყებები; ამ აზრით, საკმარისია გავიხსენოთ ჭიოვანელის „სპარტაკი“ (პიროვნებისა და ინდივიდის შესახებ გამოთქმული აზრები გამომდინარეობენ პიროვნების ცნების ფილოსოფიურ, სოციოლოგიურ და ფსიქოლოგიურ ასპექტში განხილვიდან). იხ. **Философская энциклопедия, М., 1964, ტ. 3, გვ. 196; Философский словарь, М., 1975, გვ. 208—209.**

ფიან ორ ჯგუფად: დადებით და უარყოფით ან მაღალი და დაბალი შეგნების მქონე ადამიანებად.

უფრო მეტი გარკვეულობისათვის ვსვამთ კითხვას: ვის შეიძლება ეწოდოს დადებითი პიროვნება?

— ვინაიდან ადამიანი საზოგადოებრივი არსებაა, ე. ი. მას ბიოლოგიური მოთხოვნილებების გარდა გააჩნია სოციალური მოთხოვნილებანი, ამდენად, მისი ნამდვილადმშიანური, იგივე პიროვნული, ბუნება უნდა გამოიხატოს საზოგადოებისადმი დამოკიდებულებაში.

ჯანსაღი მსოფლმხედველობის მქონე პიროვნებას გაცილებით დიდ სიამოვნებას, შეიძლება ითქვას, ბედნიერებას, ანიჭებს არა იმდენად რაიმე პირადული ზრახვის ასრულება, რამდენადაც საზოგადოებისადმი გაწეული სამსახური.

რა აძლევს მეტ ფასს და რა განაპირობებს პიროვნების სიმაღლეს? — მას ღირებულებას აძლევს არა მარტო საზოგადოების მიერ ამ „ღვაწლის“ აღიარება და დაფასება, არამედ ღრმადადამიანური ბუნება — საზოგადოებრივი მოვალეობისა და მის პირადულთან შენივთებული მოქმედების შინაგანი მორალური კმაყოფილება. ნამდვილ ადამიანში მუდამ დომინანტობს საკუთარი სინდისის ხმა, როგორც ადამიანობის უმთავრესი ნიშანი (ღირსება).

საზოგადოებას რომ მიაჩნდე დადებით პიროვნებად, ამისათვის მთავარია, იყო კეთილი და სამართლიანი, პასუხისმგებლობას გრძნობდე დაკისრებული მოვალეობისადმი და ამას ასრულებდე ისე, რომ არ ლახავდე სხვის ინტერესებს და არ შეურაცხყოფდე მას. ადამიანს თუ ეს ღირსებები ამკობს, თავის მხრივ, საზოგადოებაც ვალდებულია სამაგიერო მიუზღოს პიროვნებას; არ დაუშვას მისი ღირსების შელახვა. ამ უკანასკნელის, როგორც საზოგადოებისა და პიროვნების ურთიერთობის კანონზომიერი მოვლენის დარღვევა, პიროვნების ღირსებათა ანგარიშგაუწევლობა, იწვევს ადამიანის რწმენის დაკარგვას და, რაც მთავარია, საზოგადოებრივ ურთიერთობათა რღვევას. აქ ხაზს ვუსვამთ ამ მიმართულებით ოდითგანვე წარმოებულ საკაცობრიო მნიშვნელობის ბრძოლებს.

დღევანდელ ლექსიკაში უფრო მეტად ხაზი ესმება გამოთქმებს „დადებითი ან უარყოფითი პიროვნება“. დადებითი პიროვნების ერთ-ერთი მთავარი ნიშანია პატრიოტიზმის გრძნობა.

პ ა ტ რ ი ო ტ ი ზ მ ი ადამიანის მაღალი ზნეობრივი მოვალეობაა, რაც მოქმედებას, აქტივობას, შრომასა და ბრძოლას მოითხოვს.

•
• •

800 წლის წინ დაწერილ ნაწარმოებში დღესაც მკაფიოდ ვხედებით ადამიანის რაობისა და დანიშნულების ფართო გაგებას (მისი

გმირი იდეალური ადამიანია) და ვიბრძვით მასში გამოხატული მარადუკვდავი იდეების დღევანდელობის შესაბამისად განხორციელებისათვის.

* * *

მსოფლმხედველობა, ყველაზე ფართო გაგებით, არის შეხედულებათა სისტემა ბუნებასა და საზოგადოებაზე. მისი ვიწრო გაგება კი უშუალოდაა დაკავშირებული ადამიანის, როგორც საზოგადოებრივი არსების, ადგილის, როლისა და დანიშნულების შესახებ არა მარტო საკითხის ცოდნასთან (მხოლოდ შეხედულებებთან), არამედ სათანადო შეგნებასთან, როგორც იტყვიან, პიროვნების ეთიკურ და ესთეტიკურ მრწამსთან.

მსოფლმხედველობა კომპასის როლს ასრულებს ადამიანის მოღვაწეობაში[1], მიზანი კი ლამპარია ყოველგვარ საქმეში.

ლიტერატურის სწავლების უმთავრეს მიზანს შეადგენს, მოსწავლეთა როგორც ფართო განათლების მიღება, ისე პოზარდებში ჯანსაღი მსოფლხედველობის შემუშავება, წინააღმდეგ შემთხვევაში, დიდი ცოდნის მქონე პიროვნებას უფრო დიდი ზიანის მოტანა შეუძლია საკუთარი ქვეყნისა და ზოგჯერ კაცობრიობისათვის, ვიდრე ათას უვიცს— ერთად აღებულს. „ადამიანის ღირსებაზე მსჯელობენ არა მისი დიდი ნიჭისა და ცოდნის მიხედვით მხოლოდ, არამედ — როგორ ახმარს იგი მას ხალხის კეთილდღეობასა“[2], თუ რამდენადაა იგი ადამიანური ადამიანი, „კაცური კაცი“ — როგორც იტყოდა ილია.

„მსოფლმხედველობა — ეს არის ნაერთი ცოდნის, რწმენისა და პრაქტიკული მოქმედებისა“.

„„ვეფხისტყაოსანი“ იყო, არის და იქნება მოსწავლეთა შემეცნებითი ინტერესების, დაუოკებელი მისწრაფებების, მშვენიერი მხატვრული წარმოსახვის, მაღალი იდეალების შემუშავების დაუშრეტელი წყარო.

---

[1] პედაგოგიკა, თბ., 1969, გვ. 287.

[2] ლაროშფუკო, ბრძნული აზრების სამყაროში, თბ., 1967, გვ. 119.

დანართი

აქ თავმოყრილია მასალები, რომელთა გაცნობა მასწავლებელს დაეხმარება რუსთველოლოგიის ზოგიერთი საკითხის უფრო ღრმად გაგებაში, მაგალითად, „ფილოსოფნი წრნანი“, ფილოსოფოსნი შემდგომნი და ჩვენი თანამედროვენი“, „სწავლა-აღზრდის მარად უკედავი იდეა „ვეფხისტყაოსანში“. ზოგი ისეთი მასალაა, რომელთა გამოყენება შეიძლება დისპუტისათვის (მით უფრო დღევანდელ დიფერენცირებულ კლასებსა და ფაკულტატიურ მეცადინეობებზე ასეთი დისპუტების ჩატარება საკალდებულოა), მაგალითად, მოსწავლეებს აინტერესებთ და ხშირად გვეკითხებიან: რატომ არ გაუტყდა ტარიელი მეფეს ქალის სიყვარულში, მით უფრო, რომ საამისო პირობა იყო (მხედველობაში აქვთ ეპიზოდი „რჩევა ნესტან-დარეჯანის გათხოვებისა“). ამ აზრით უპრიანი იქნება აქ მოტანილი მასალის „ტარიელისა და ფარსადანის კონფლიქტის“ გათვალისწინება.

აქვე მოცემულია მოკლე და არასრული ინფორმაცია საკითხზე — რუსთაველი — თეატრი, ეკრანიზება და მხატვრობა.

„ფილოსოფოსნი წინანი“... ფილოსოფოსნი შემდგომნი და ჩვენი თანამედროვენი...

ჰელიოცენტრიზმის საკითხისათვის...

შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ ფეოდალიზმის ეპოქის უმნიშვნელოვანესი ლიტერატურული ძეგლია, რომელიც ნათელ წარმოდგენას გვიქმნის ფეოდალური საქართველოს ხალხის სულიერი ცხოვრების სხვადასხვა მხარეების—ფილოსოფიური, პოლიტიკური, რელიგიური, სახელმწიფოებრივი, სამართლებრივი და სხვა საზოგადოებრივი შეხედულებების განვითარების შესახებ, ამდენად, შეიძლება ითქვას, ფეოდალიზმის ეპოქაში ძნელად მოიძებნება სხვა რომელიმე ისტორიული წყარო, რომელიც მასში დასმული პრობლემათა მრავალფეროვნებით შეედრებოდეს ამ პოემას.

როგორც დასავლეთ ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში რენესანსის მთავარი წყარო ანტიკური კულტურა იყო, ისე რუსთაველის (შ. ნუცუბიძის აზრით, „აღმოსავლეთის რენესანსის მეთაურის“) იდეური საფუძვლების კვლევას მივყავართ ანტიკური სამყაროსაკენ (რო-

მელიც დღევანდელ კატასტროფობას ესახება „კოსმიური მასშტაბების კატასტროფას“ გადარჩენილ ნამუსრევად).[1]

ამ ნამუსრევის ხელახალი აღორძინებისათვის საჭირო იყო ფ. ენგელსის სიტყვებით რომ ვთქვათ, აზრის სიძლიერით, მიზნებითა და ხასიათით, მრავალმხრივობითა და განსწავლულობით ბუმბერაზების წარმოშობა. ერთ-ერთ ასეთ ბუმბერაზად სამართლიანადაა მიჩნეული შოთა რუსთაველი.

„ვეფხისტყაოსნიდან“ ცხადი ხდება, რომ მისი ავტორი საფუძვლიანად იცნობს ანტიკური და აგრეთვე ძველი აღმოსავლეთის ქვეყნების ფილოსოფიურ ნააზრევს.

ე მ პ ე დ ო კ ლ ე (ძვ. ბერძ. ფილოსოფოს — იდეალისტი, დაახლ. 490—430 ძვ. წ.) თავის ფილოსოფიურ პოემაში „ბუნების შესახებ“ საგანთა მრავალფეროვნების ძირითად წყაროდ მიიჩნევს: მიწას, წყალს, ჰაერსა და ცეცხლს. ეს მოძღვრება ბუნების ოთხი ელემენტის (ანუ სტიქიონის) შესახებ მრავალი საუკუნის განმავლობაში შენარჩუნებული იყო ანტიკურ და შუა საუკუნეების ფილოსოფიაში. ელემენტების შეერთებასა და დაშლას იგი ხსნიდა ორი ურთიერთმებრძოლი ძალის — მიზიდულობისა და განზიდულობის („მეგობრობისა“ და „მტრობის“) მოქმედებით („ფილოსოფიური ლექსიკონი“, 1987, გვ. 163).

ემპედოკლეს ფილოსოფიური ნააზრევის ანარეკლია უთუოდ „ვეფხისტყაოსნის“ ეს სტრიქონები:

> „ღმერთსა შემვედრე, ნუთუ კვლა დამხსნას სოფლისა შრომასა,
> ცეცხლსა, წყალსა და მიწასა, ჰაერთა თანა ძრომასა“ (1313).

ნესტანის ეს სიტყვები გვამცნობს მისივე სურვილს; იგი უტარიელოდ ყოფნას სიკვდილს ამჯობინებს, რადგან ეს უკანასკნელი გარანტირებულს გახდის მათს შეხვედრას საიქიოში.

*
* *

საიდან უნდა სცოდნოდა რუსთაველს კოპერნიკზე ოთხი საუკუნით ადრე, რომ „დედამიწა არ წარმოადგენ სამყაროს ცენტრს და მის გარშემო არ ბრუნავს პლანეტები (როგორც ეს გეოცენტრისტებს პტოლემეს სწავლების მიხედვით წარმოედგინათ) და რომ დედამიწა მზის სისტემაში ერთ-ერთი რიგითი პლანეტაა?“

ან რით შეიძლება აიხსნას, რომ XII საუკუნეში, როდესაც მთელ ქვეყნიერებაში გაბატონებული იყო სამყაროს გეოცენტრული (ე. ი.

[1] საუბარია 13 — 14 ათასი წლის წინათ დედამიწის თავსდამტყდარ კატასტროფაზე, რომელიც ბიბლიაში ცნობილია წარღვნის თქმულების სახით. (იხ. ა. გორბოვსკის „ისტორიის ძველთაძველი გამოცანები და ახალი ჰორიზონტები“. ჟურნალი „ნაუკა ი ჟიზნ“, 1963 წ., № 126; „ცისკარი“, 1963 წ., № 12).

სამყაროს ცენტრი არის დედამიწა) გაგება, ქართველი პოეტი სწორედ კოპერნიკისეულ შეხედულებისა აღმოჩნდა?" —სვამს კითხვას რ. თვარაძე (სტატია „ძველთაძველი ცოდნა და რუსთაველის ჰელიოცენტრიზმი", გაზ. „ლიტ. საქართველო", 1964 წ. № 3) და იქვე სავარაუდო, მაგრამ მეტად საინტერესო პასუხს იძლევა: „თუკი უძველესი ცივილიზაციის ზოგიერთი ქვეყნის გარკვეულ წრეებს საუკუნეთა და ათასწლეულთა მანძილზე ჰქონდათ დაცული ხალხისათვის მიუწვდომელი ძველთაძველი, ეზოთერიული ცოდნა (კერძოდ, ასტრონომიის დარგში), უსაფუძვლო არ იქნება ვივარაუდოთ, რომ შესაძლოა მსგავს მოვლენას (იგულისხმება კაცობრიობის კატასტროფამდელი ცივილიზაცია — ნ. რ.) საქართველოშიც ჰქონდა ადგილი... თუ ასეა, მაშინ ადვილად აიხსნებოდა. თუ როგორ შეუმუშავდა რუსთაველს ჰელიოცენტრული (ჰელიო — მზე სამყაროს ცენტრში) შეხედულებები".

ამ ვარაუდის საბუთის ძიება მომავალ თაობას ეკუთვნის. ახლა კი მოვიტანოთ ის ადგილი, რომლის გაღმა რუსთაველი ჰელიოცენტრისტად არის მიჩნეული.

„იტარიდო, შენგან კიდე არვის მიგავს საქმე სხვასა:
მ ზ ე მ ა ბ რ უ ნ ე ბ ს
არ გამიშვებს, შემიყრის და მიმცემს წვასა";
„მზე უჩინოს იქმს მნათობთა, რა ახლოს შეიყრებიან"...
„მთვარე მზესა მოუშორვის, მოშორვება განანათლებს"...
„მზესა მთვარე შეეყაროს, დაილეღის, და-ცა-ჰკნების,"...
„მთვარესა მისთა შუქთაგან უკუნი გარდაჰფენოდა".

გარდა დასახელებული ლიტერატურისა აღნიშნულ საკითხზე საინტერესო სტატიებია გამოქვეყნებული: დ. ჭანტურიშვილისა — ჰელიოცენტრიზმის ნიშნები, გაზ. „სახალხო განათლება", 1955, №49; თ. ეფრემიძისა — ქართული ასტრონომიული ცოდნა და რუსთაველის ჰელიოცენტრიზმი., გზ. „ქუთაისი", 1965, 6 ნოემბ.;

გ. თევზაძისა — რუსთაველის კოსმოლოგია, 1984.

ა. ფურცხვანიძის, ვ. კობახიძისა — რუსთაველის კოსმოლოგია, „ლიტ. საქართველო", 1978, 28/VII.

რუსთაველის კოსმოლოგიურ ცოდნას სხვადასხვა დროს ეხებიან მეცნიერება:

რ. სირაძე — სახისმეტყველება, 1982;

შ. ხიდაშელი, მ. მახარაძე — ნეოპლატონური იდეების ასახვა შუა საუკუნეების ფილოსოფიაში, თბ., 1986.

შ. ხიდაშელი — რუსთაველის მსოფლმხედველობის საკითხები, თბ. 1981.

დასახელებული ლიტერატურიდან საგანგებოდ შევჩერდებით სამ უკანასკნელზე; უმეტესად პირღაპირ მოვიტანთ ამონაწერებს ჩვენთვის საინტერესო საკითხებზე.

რ. სირაძე წერს:

„შუა საუკუნეებში თითქმის ყველაფერი საფეხურებრივადაა დაყოფილი: საგნები, საზოგადოება, სამყარო. ამ ჩვენ სამყაროს, რომელსაც თვალი ხედავს, ერქვა ქვეყანა (ბერძნულად კოსმოსი), ხოლო მთელ სამყაროს ეწოდებოდა სოფელი, კაცის ცხოვრებას კი წუთისოფელი ან საწუთრო. სამყაროს ცენტრში წარმოედგინათ დედამიწა და არა მზე, ამიტომ ასეთ მოძღვრებას გეოცენტრული მოძღვრება ჰქვია. — მხოლოდ გვიან, XVI საუკუნეში, კოპერნიკმა საბოლოოდ დაამტკიცა, რომ სამყაროს ცენტრში დედამიწა კი არ დგას, არამედ მზე (ჰელიოსი), რასაც ჰელიოცენტრული თეორია ეწოდა („რუსთაველთან სწორედ ამ უკანასკნელის ცოდნა გამოსჭვივის). ამ აღმოჩენამ დედამიწა მტვრის ნამცეცად აქცია, ადამიანი კი....

მზეს თავის ერთადერთობით ღმერთს ამსგავსებდნენ, მზე ღმერთის ხატად მიაჩნდათ. იგი სხივებს ერთნაირად უნაწილებდა კაცსაც, ვარდსაც და მწერსაც. ღმერთს ვარსკვლავების სახით ანგელოსები ჰყავდა, რათა მისი ნება-სურვილი ქვეყნისათვის ეუწყებინათ. მათზეც ირეკლებოდა ცისერი განგება და ბედი კაცისა (ამას ასტროლოგია ჰქვია). ცდომილებს მოხეტიალე მნათობები ეწოდათ... ყოველ მათგანს მოძრაობის თავისი გზა და სფერო ჰქონდათ, რომელთაც ეტლი ანუ ზოდიაქო ერქვა. ზოდიაქო სულ 12 იყო: 1. ღრიანკალი, 2. თბის რქა, 3. მერწყული, 4. თევზი და სხვ. მზისა იყო „ლომის“ ზოდიაქო ანუ ეტლი, ანუ ის ადგილი შორეული ზეცისა, რომელშიც შესვლისას მზე სრული სიძლიერით აღივსებოდა. მზე ლომის ზოდიაქოში ყველა ზოდიაქოს გავლის შემდეგ შედიოდა (იელსში). „ლომის“ ზოდიაქოც ეგებებოდა თავის სწორფერს. დგებოდა ჟამი დიდ მშვენიერებისა, რასაც მათი შეხვედრა მოასწავებდა (ეს მომენტი ბევრ ნაწარმოებშია ასახული, მათ შორის „ვეფხისტყაოსანშიც“:

„მზე უშენოდ ვერ იქმნების, რადგან შენ ხარ მისი წილი,
განაღამცა მას ეახელ, მისი ეტლი არ თუ ჩნდილი“...

როცა ნესტანს ყველა საამქვეყნიო იმედები წაერთვა, იგი ოცნებობს შეხვდეს ტარიელს მზესთან. ამიტომ მოუწოდებს მას ეახლოს მზეს, რომელსაც ლომ ტარიელის გარეშე გაძლება არ შეუძლია. ასე შემოაქვს ნესტანს ასტროლოგიური წარმოდგენები და თავის ოცნებას გრანდიოზულ კოსმოლოგიურ შინაარსს აძლევს.

მთლიანი სამყაროს იერარქია ასე წარმოიდგინებოდა: ქვეყნის დაბლა, ქვესკნელში ჯოჯოხეთია. ჯოჯოხეთში უფსკრულის ჩალმავალი 9 გარსია. აქ ბოროტი ადამიანები ხვდებოდნენ... ზაღლა, ცის ზემოთ, ცხრა ცაა. აქედან 7 ცა სამოთხის ცაა. მათი ძველქართული სახელებია: 1. ჰირანო (მთავრის ცა), 2. ცორანო (მერკურის ცა) 3.

მელტარო (ვენერას ცა), 4. კოქიმელი (მზის ცა), 5. ჰიმჰიმელი (მარსის ცა), 6. კოქკ-მელი (იუპიტერის ცა), 7. არბასტრო (სატურნის ცა). ამ შვიდი ცის შემდეგ იწყებოდა ვარსკვლავთა ცა და კიდევ უფრო მაღლა იყო მეცხრე. უმაღლესი ცა, სულ მაღლა იდგა „მზიანი ღამე", ანუ ზესთანათელი. ზეცა ნათლის სასუფეველია, ჯოჯოხეთი უკუნის საუფლო (გვ. 71).

ასეთი იყო წარმოდგენა სამყაროს აგებულებაზე, რაც აისახებოდა ხელოვნებაში, ძაგალითად, „ვეფხისტყაოსანსა" და დანტე ალეგიერის „ღვთაებრივ კომედიაში", იმდროინდელ მხატვრობასა და არქიტექტურაში.

რას წარმოადგენს ადამიანი სამყაროს მარადიულობასთან მიმართებაში? პლატონი.

ძველი ბერძენი ფილოსოფოსის პ ლ ა ტ ო ნ ი ს ნააზრევი ადრითგანვე იყო ცნობილი ქართველთათვის მისივე ნაწარმოებთა („ნადიმი", „ფედონი", „ფედროსი" და სხვ) თარგმანების მეშვეობით. რ. სირაძე გვთავაზობს საქართველოში პლატონის გაცნობის ერთ მეტად საყურადღებო გზას. ეს გახლავთ ცნობილი ბიზანტიელი მწერლის გრიგოლ ნოსელის (335 — 394) ნაწარმოების „ძიება სულისათვის" (რომელიც პლატონის „ფედონის" ქრისტიანულ გადამუშავებას წარმოადგენს) გავრცელება-გაცნობის გზა. მკვლევრის ღრმა რწმენით, დასახელებული ნაწარმოების თარგმანი წარმოადგენს ჯერჯერობით ცნობილ ერთადერთ ძეგლს, რომლიდანაც ძველ ქართულ მწერლობას შეეძლო გაეცნო პლატონის ერთი კონკრეტული თხზულების საკმაოდ მოხალოებული შინაარსი. აქვე დასძენს: სხვა ასეთი ძეგლი, რომელიც შეიცავს პლატონის ან არისტოტელეს რომელიმე ნაწარმოების გარდათქმას, ძველი ქართული მწერლობიდან არაა გამოვლენილი (თარგმანი ეკუთვნის გიორგი ათონელს).

რით უახლოვდება ეს ნაწარმოები „ფედონს"? და რატომ წარმოადგენს ეგი ჩვენი (ნ. რ.) ინტერესის საგანს?

1. ამ ნაწარმოების თარგმანით ქართულ მწერლობას ეძლეოდა ნიმუში იმისა, რომ ფ ი ლ ო ს ო ფ ი უ რ ი მ ს ჯ ე ლ ო ბ ა (თეორიული საკითხის განხილვა, ამ შემთხვევაში, სულის უკვდავების, სიკვდილთან შერიგების და მათთან დაკავშირებული საკითხები) გადმოიცეს მ ხ ა ტ ვ რ უ ლ ი ს ა ხ ი თ, დიალოგის ფორმით, ე. ი. საქართველოში ამკვიდრებდა ტენდენციას ფილოსოფიური პრობლემების პოეტურ ფორმაში განსახოვნებისას, რაც პლატონიდან მოდის.

2. „ფედონი" ფილოსოფიურ-ლიტერატურული ჟანრის თხზულებაა, „ძიებაი სულისათვის" კი — რელიგიურ — დოგმატიკური. მიუხედავად ამისა, გრიგოლ ნოსელის თხზულება იმდენად ემსგავსება პლატონისას (როგორც ფორმით, ასევე შინაარსით), რამდენადაც ამის ნებას იძ-

ლეოდა საზოგადოდ გრიგოლ ნოსელის რელიგიურ-ფილოსოფიური და ლიტერატურული მრწამსი.

3. ამ მსგავსება-განსხვავების დანახვით, რომლის საფუძველს განჯის უმაღლეს დონეზე შესრულებული თხზულება „ძიება სულისათვის“ იძლეოდა, ქართული მწერლობა ეცნობოდა იმ საკითხებს, რომლებიც მაშინ მთელ განათლებულ მსოფლიოს აინტერესებდა..

მოვიტანოთ ფრაგმენტები:

„ფედონში“ მსჯელობის დაწყების საბაბს სოკრატეს მოჯადოებული სიკვდილით დასჯა წარმოადგენს, გრ. ნოსელის თხზულებაში კი — ფილოსოფიურ-თეოლოგიური აზროვნების „მოძღვართ-მოძღვრის“ ბასილ დიდის გარდაცვალება.

გრიგოლ ნოსელი იწყებს იმით, რითაც იწყება „ფედონში“ საკითხის განხილვა: ადამიანი არ უნდა ცდილობდეს სიკვდილს (ეს არ შეესაბამება არსებობის ღვთაებრივ არსს), იგი ცხოვრებაზე უნდა ზრუნავდეს. განსხვავებით ასკეტური თხზულებებისაგან, გრიგოლ ნოსელი პლატონის კვალობაზე ასკვნის: „მოსწრაფებაი კაცთაი ესე არს, რათა ცხოვრებასა ამას შინა ვეგნეთ“. „ზრუნვაი ცხოვრებისა უეჭველად შიშისათვის სიკვდილისა“. „ფედონი“... „სიშლეგეა კაცმა თავი მოიკლას, მანამ, სანამ ამის აუცილებლობას არ მოუველენს, ღმერთი“ (ამგვარი აზრი სანქცირებული ყოფილა თვით ბასილ დიდის მიერაც). ამით ქრისტიანული მსოფლგაგება უპირისპირდება სტოელებს (რუსთაველი: „სიკვდილამდე ვის მოუკლავს თავი კაცსა ბეცნიერსა“).

ვის შეიძლება არ აშინებდეს სიკვდილი?

პლატონი: „კაცს, რომელიც მთელი სიცოცხლის მანძილზე ემსახურებოდა ფილოსოფიას“. გრიგოლ ნოსელი: კაცს, რომელიც მთელი სიცოცხლის მანძილზე ემსახურებოდა ღმერთს.

პლატონისათვის სულის განწმენდის (კათარზისის) საშუალება იყო, ფილოსოფოსობა, გრიგოლ ნოსელისათვის — ღმერთზე ფიქრი. სულის უკვდავების საკითხი ქრისტიანობაში რწმენის საკითხი იყო, რომელიც ლოგიკის გზას გამორიცხავდა, მაგრამ გრიგოლ ნოსელის მიერ იგი განსჯის საგნადაა ქცეული, რაც პლატონური აზროვნების აშკარა გავლენის შედეგია,

ანალოგიური მსჯელობებია სხეულის ხრწნასა და სულის უკვდავებაზე, მის ზესწრაფვაზე, სიკვდილის შიშსა და სხვა საკითხებზე. მაგალითად კითხვას — რა იწვევს სიკვდილის შიშს? გრიგოლ ნოსელი უპასუხებს: „განსრულსა მას სულსა უმეცარ ვართ, თვით მას და ბუნებასა მისსა“. „ფედონში“ ეჭვი ამგვარადაა გამოთქმული: „კაცნი ეჭვის თვალით უყურებენ მას, რაც სულის შესახებ ითქვა,

რადგან „სხეულს გაყრილი სული მყისვე განჭარდების ჴუნთქვისა და კვამლის დაჰად და არარაობას ერთვის“.

ზემოთ აღნიშნულის თვალსაზრისით, განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლეოდა ქართული აზროვნებისათვის პლატონის მოძღვრებას. მისი ნააზრევი გაცილებით მეტად ეგუებოდა პოეტურ წარმოსახვებს, ვიდრე არისტოტელეს მკაცრ ლოგიკურ სისტემატიზაციაზე დაშყარებული პრინციპები.[1] აქვე დავუმატებთ იმას, რომ პლატონისგან განვითარდა ნეოპლატონიზმი, რომელიც, გარკვეულწილად, დაეფუძნა როგორც პლატონის, ისე არისტოტელეს მოძღვრებებს... მართალი იყო შ. ნუცუბიძე, რომელმაც პირველმა დაუკავშირა ქართული მწერლობა და კერძოდ, რუსთაველი, პირველმა დაუკავშირა არა მარტო დასავლურ, არამედ აღმოსავლურ კულტურას, თვით საქართველოში მომწიფებულ კულტურის მაღალ დონეს და „გარდატეხის“ დასაწყისი ამ ფაქტორთა სინთეზით განსაზღვრა.

დიონისე არეოპაგელი

„ამ საქმესა მემოწმების დიონისო ბრძენი...“ (182).
„ამ საქმესა დაფარულსა ბრძენი დივნოს გააცხადებს:
ღმერთი კეთილს მოავლინებს, მით ბოროტსა არ დაჰბადებს,
ავსა წამ-ერთ შეამოკლებს, კარვსა ხან-გრძლად გაკვლადებს,
თავსა მისსა უკთესსა უზადო-ჰყოფს, არ აზიდებს“ (1500).

როგორც ვხედავთ, „ვეფხისტყაოსანში“ ორჯერ არის დამოწმებული „ბრძენი დიონისო/დივნოს“. ვინ არის იგი და რით უკავშირდება მას რუსთაველი?

ოთხი ტრაქტატის („საღმრთო საჭელთათვის“, „ზეცათა მღვდელმთავრობისათვის“. „ეკლესიითა მღვდელთ-მთავრობისათვის“, „საიდუმლოდ ღვთისმეტყველებისათვის“) და ათი ეპისტოლეს კრებული დიდხანს მიეწერებოდა ახ. წ. I საუკუნის ათენელ ეპისკოპოსს დიონისე არეოპაგელს. მაგრამ გამოაშკარავდა, რომ დასახელებულ კრებულში მოცემული განვითარებული საეკლესიო მოძღვრება და ნეოპლატონიზმის გავლენა არ შეიძლებოდა ყოფილიყო პირველ საუკუნეში, ამასთან, მე-5 საუკუნის შუაწლებამდე მთელს ადრექრისტიანულ ლიტერატურაში არ მოიძებნება მითითება ამ ნაწარმოებებზე. ამის გამო ავტორად მიჩნეულ სახელს წინ ფსევდო დაუმატეს და დასახელებული ნაწარმოებები „ფსევდო-დიონისე არეოპაგელის“ სახელით ათეული წლები ატარეს ნამდვილი ავტორის მიუგნებლად...

როგორც ცნობილია, ორი მკვლევარი — შ. ნუცუბიძე (1942) და ბელგიელი ე. ჰონიგმანი (1952). ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მივიდა დასკვნამდე, რომ ფსევდოდიონისეს სახელით ცნობილი

[1] საკითხის გაშუქებისათვის გამოყენებულია რ. სირაძის ლიტერატურულ-ჭკთეტიკური ნარკვევები, „განათლება“, 1987.

ქრისტიანი ნეოპლატონიკოსი არის ფილოსოფოსი პეტრე იბერიელი (ქართლის სამეფო ტახტის მფლობელის ბუზმარის შვილი მურვანოსი. V ს), რომელსაც ქვეყნის ბედმა ჯერ ბიზანტიის საიმპერატორო ტახტის მძევლობა არგუნა, შემდეგ კი მის სულთან შეუსაბამო კონსტანტინოპოლის სასახლიდან გაქცევა და იერუსალიმს ბერად შედგომა, ასე იქცა იგი პეტრე იბერიელად ანუ იბერად.

არეოპაგელსა (იმავე პეტრე იბერსა) და რუსთაველს შორის არსებული ორიგინალური კავშირის მიკვლევა აკად. შ. ნუცუბიძის საშვილიშვილო დამსახურებაა...[1] რუსთაველი რომ შემთხვევით არ ახსენებს „ბრძენ დივნოსს“ ამაში დასარწმუნებლად ამ ორ მოღვაწეთა ნაშრომების სიტყვიერ-ფრაზეოლოგიური შედარებებიც საკმარისია.

არეოპაგელი	რუსთაველი
„...ზეშთა ერთ-მთარობისა ერთობაი, უთქმელი, მრავალ-ხმოვანობაი, უცნაური...“ „...ხორცშესხმაი ღმრთისაი გამოუთქმელვე არს ყოველისა სიტყვისაგან და უცნაურ ყოველისა გონებისაგან“	1. „უცნაურო და უთქმელო...“
. . .	
5. „რომელი დაამყარებს ყოკელსა სიტყითა წამის-ყოფითა თვისებითა“.	5. „იგი გახდის წამის ყოფით ერთსა ასად, ასსა ერთად“. 7. „ბოროტიმცა რად შეექმნა კეთილისა შემოქმედსა?“
. . .	
17. ...„რამეთუ კეთილისა მიერ შობილნი და ქმნულნი კეთილ არიან“	
„ბოროტი არა საღმრთო არს“...	
8. „საღმრთო ნიჭი არს უხილავი ნათელი, რომელსა შინა შკიდრობაი ღმრთისა ითქმის“.	8. „ჰე შენ, ვინ ხატად გთქვეს ჭვიანისა ღამისა“...

[1] როგორც ცნობილია, შ. ნუცუბიძემ ფსევდო-დიონისე არეოპაგელის საღვთისმეტყველოებს მიუძღვნა წერილების მთელი სერია, რომელიც თავმოყრილია მის ნაშრომებში (V, 1975) რ. თვარაძე პარალელს ავლებს ფსევდო-დიონისესა და რუსთაველის მიერ გამოყენებულ სიტყვა-ფრაზეოლოგებსა და ნააზრევებს შორის და გვთავაზობს მათი ანალოგიების საინტერესო ცხრილს. ზემოთ მოტანილი ანალოგიები (ჩვენ მიერ კიდევ შემცირებული — ნ. რ.). „მიზნად ისახავს არეოპაგელისა და რუსთაველის დამოკიდებულების მხოლოდ ზოგიერთი ასპექტის აღნიშვნას“ („ცისკარი“, 1971, № 8).

9. ესე საძიებელ არს, ვიტყვით უკვე ვითარმედ ძალ არს ღმერთი“	9. „ვინ არს ძალი უხილავი“.
11. „ვითარცა უფალი უფლებათა და ღმერთი ღმერთთაი“	11. „...უფალო უფლებათაო“.
13. „და უსახოსა სახესა“	13. „მის უსახოსა სახისა“.
15. „შავი ცხენი საიდუმლოი არს“...	15. „შავი ცხენი სადავითა ჰყვა...“

რა თქმა უნდა, სიტყვებისა და ფრაზების თანხვედრა არ ნიშნავს მსოფლმხედველობრივ მსგავსებას, ამიტომ მკვლევარი ადარებს ნაწერებსაც და დიდ საერთოს პოულობს:

როგორც ცნობილია, ფსევდო-დიონისე არეოპაგელის მოძღვრება შეიცავს ნეოპლატონიზმის თითქმის ყველა ძირითად დებულებას და იდეას.

ღმერთი — ზესთასიკეთე: ღმერთი გამოვლენა — სიკეთის, სავსების; სინათლის საფეხურებრივად განფენა მსგავსად ხილული ჭვისა; ბოროტების სუბსტანციობა.

რა არის ღმერთად ქმნა („განღმრთობა“) დიონისეს მოძღვრების თანახმად?

„განღმრთობა არის ღმრთისა მიმართი, რაოდენ დასატევნებელ არს, მსგავსებაი და ერთობაი“.

ღმერთთან მიახლება, ღმერთისადმი დამსგავსება. ღმერთად ქმნა ზეცის მიწაზე ჩამოყვანას კი არ ნიშნავს, არამედ ზესთა სოფლად აღსვლას. ეს არის „აღმართ მავლობა სულისა“ (მკვლევარს მოჰყავს ქრისტეს მაგალითი).

დიონისეს მოძღვრების თანახმად, ყოველივეს შემქმნელი (იგივე პირველმიზეზი) არის აბსოლუტურად შეუცნობელი ღმერთი, რომლის დადებითად განსაზღვრა საერთოდ არ ძალუძს ადამიანის გონებას... ღმერთის გამოვლენა, სამყაროს შექმნა სხვა არაფერია, თუ არა სიკეთის გადმოღვრა და განფენა... (ნეოპლატონიზმზე კიდევ გვექნება საუბარი).

„იოანე დამასკელის „დიალექტიკის“ შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა. ძირითადში ეს თხზულება არაორიგინალურადაა მიჩნეული. თვითონ დამასკელი გვამცნობს შესავალშივე, რომ „მან ფუტკარივით ამოკრიბა წინამავალი ფილოსოფოსების წააზრევიდან საჭირო აზრები და მათგან „ურგები“ და „არაჭეშმარიტი“ ღვთისმეტყველებისათვის უკუაგდო“.

დამასკელის აზრით, სიკეთე ადამიანებს ღმერთის მიერ აქვთ მინიჭებული. ეს აზრი ელინ ბერძნებისაგან ავიღეთ...

დამასკელის მიხედვით, არსი (არსენ იყალთოელთან — „მყოფი“, ეფრემ მცირესთან — „არსობაი“) არის ყველა არსებულთა საერთო სახელი; რომელიც თავის მხრივ, იყოფა არსებად (სუბსტანცია) და შემოხვევითობად (აქციდენცია).

იოანე დამასკელის „დიალექტიკაში“ მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ფილოსოფიის ექვსნაირ განმარტებას. აქედან განსაკუთრებით საყურადღებოა მე-4. „ფილოსოფოსობა არის ადამიანის ღმერთთან მიმსგავსება. მისი შესაძლებლობების მიხედვით. ღმერთთან დამსგავსება კი შეიძლება სიმართლის, სიწმინდის და სიკეთის მეშვეობით. „ფილოსოფოსობაი არს მსგავსებაი ღმრთისაი ძალისაებრ კაცობრივისა, ხოლო: ჴემსგავსებით ღმერთსა სიმართლითა და სიწმინდითა და სახიერებითა“. მე-6 განმარტებით „ფილოსოფოსობა არს სიბრძნის სიყვარული, ხოლო სიყვარული ღმერთის მიმართ ესაა ჭეშმარიტი სიბრძნე“.

რა ურთიერთობაშია ღმერთი და სამყარო, ადამიანი?

აი ძირითადი კითხვა იმ ეპოქის აზროვნებისა.

იოანე დამასკელის შემოქმედებაში ნათლად ჩანს ადამიანის უძლურება უმაღლესი საიდუმლოების წვდომისას. ამის გამო, როგორც დამასკელი იტყვის, ღმერთი „ბრუნავს“ ადამიანზე. ღმერთმა, როგორც ყველაფრის მცოდნემ. ჩვენ გადაგვიშალა სწორედ ის, რომლის ცოდნა, დაუფლება შესაძლებელია და სასარგებლოა ჩვენთვის. ხოლო ყველა დანარჩენზე, რომელთა გაგება და ცოდნა ჩვენს ძალებს აღემატება, ღმერთი „გაჩუმდა“ („გარდამოცემა“, გვ. 2).

იოანე დამასკელის აზრით, სამყარო მოწესრიგებულია და ვინ უნდა იყოს მისი მხატვარი. მოწესრიგებელი, თუ არა ღმერთი?... რაც შეეხება შექმნილს, იგი შექმნილია არაფრისაგან...

---

[1] საკითხი განხილულია შ. ხიდაშნელისა და მ. მახარაძის ზემოთ დასახელებული წიგნის მიხედვით. როგორც ვიცით, პალესტინაში ჯვრის მონასტრის ერთ-ერთ სვეტზე გამოსახული რუსთაველის პორტრეტი მოთავსებულია იოანე დამასკელსა (VIII ს). და მაქსიმე აღმსარებელს (VIII ს.) შორის. სწორედ ამ დამასკელზეა აქ საუბარი.

მაქსიმე აღმსარებელი არეოპაგიტიკის პირველი მქადაგებელია. იგი, როგორც ბევრი სხვა მოწინავე იდეების გამომთქმელი თუ გამზიარებელია, მოყვა ეკლესიის მსხვრპლთა რიგებში.

„როდესაც ღმერთს გონებისა და გრძნობის არამქონეს („უგონებოი“ და „უგრძნობელობაი“) უწოდებთ, ამით კი არ ვამცირებთ მას, პირიქით — მის ზეაღმატებულობას აღვნიშნავთ“...

იოანეს აზრით, ღმერთს მიეწერება შემდეგი პრედიკატები: სიკეთე და ყოვლისმომცველობა. აქ დამასკელი ფსევდო-დიონისეს იმოწმებს, რომლის თანახმად ღმერთის უპირველესი სახელია ს ი კ ე თ ე („გარდამოცემა“, 9). ამ მოსაზრებებში უპირველესად იგულისხმება, რომ ღმერთი და სიკეთე განუყოფელია ერთმანეთისაგან. ამიტომაც ვამბობთ ღ მ ე რ თ ი და მასში უკვე იგულისხმება სიკეთე და პირიქით.

ღმერთის II პრედიკატია ყოვლისმომცველობა. ამასთან დაკავშირებით იგი ასკვნის, რომ ღმერთმა ყველაფერი წინასწარ განსჯერიტა, ჰქონდა ყველაფრის სახე და გეგმა...

ერთ პუნქტში განსაკუთრებით შეიმჩნევა დამასკელის სიახლოვე არეოპაგიტიკასთან. დამასკელი წერს: ღმერთი ყველაფრის საწყისი და მიზეზია, ყველაფრის არსებაა; არსება ცოცხალ არსებათა, გონია გონიერთა და ყველაფრის სასრული... საინტერესოა, რომ დამასკელისათვის გონება არის ღმერთთან ურთიერთობის პრინციპი. ეს მოსაზრება გვხვდება არეოპაგიტიკაშიც.

ფსევდო-დიონისე არეოპაგელის მიხედვით ბოროტების გაჩენის საფუძველია სიკეთის სხივის შესუსტება. იოანესთან საუბარია სიკეთის კლებაზე, როგორც ბოროტების საფუძველზე. მაგრამ ბოროტების მიზეზად გამოცხადებულია ადამიანი...

იოანე დამასკელის ქრისტელოგიის არსების გასაგებად მნიშვნელოვანია მისი შემდეგი მოსაზრება: ადამიანმა ცოდვა ჩაიდინა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ღმერთი, თავისივე სიკეთის საფუძველზე, იქცა ადამიანად ყველა მიმართულებით გარდა ცოდვის საკითხისა და შეუერთდა ჩვენს ბუნებას. ეს იმითაა მნიშვნელოვანი, რომ ცად ღმერთის „გაადამიანება“ (იგულისხმება ქრისტეს მოსვლა, ე. ი. ღმერთის ადამიანის სახით გაჩენა). ღმერთმა გვიწილადა თავისი საკუთარი სახე და სუნთქვა, ჩვენ კი ვერ შევინარჩუნეთ იგი. ამის გამო იგი მონაწილეობს ჩვენ არსებაში, რათა გაგვწმინდოს და კვლავ გაგვხადოს ღმერთის მონაწილე.

ი ო ა ნ ე პ ე ტ რ ი წ ი. იოანე ერთი იმ პირთაგანია, რომელნიც XI—XII სს. ცდილობდნენ ქართულ ნიადაგზე გადმოეენერგათ ბიზანტიური ფილოსოფიის მიღწევანი და ხელი შეეწყოთ ქართული ფილოსოფური აზროვნებისა და მწერლობის განვითარებისათვის. ამ მხრივ იოანე პეტრიწს ყველაზე მეტი ღვაწლი მიუძღვის ჩვენში. მან შექმნა მთელი ფილოსოფიური სკოლა — შესაფერი ფილოსოფიური ენითა (ტერმინოლოგიით) და სტილით. ის ბაძავს ბერძნულ დედანს ფრაზებისა და ნაწილაკების დალაგებაშიაც, რათა ქართული ენა გა-

ნადოს ფილოსოფიური აზროვნების ისეთ იარაღად, როგორიც იყო პერძნული. („ენაიცა ენისადა გაეწყო"). ამჯერად ჩვენთვის საინტერესოა მისი ფილოსოფიური მოღვაწეობა. იგი მოწოდებით იყო ნამდვილი ფილოსოფოსი, ღრმა მცოდნე არა მარტო თანამედროვე ბიზანტიური ფილოსოფიური მწერლობისა, არამედ ანტიკური ფილოსოფოსებისაც, რომელთაც ის დედნებში კითხულობდა. მას ეკუთვნის თარგმანი „ბუნებისათვის კაცისა" — ნემესიოს ემესელისა, „კავშირნი ღვთისმეტყველებითნი" — პროკლე დიადოხოსისა, და არისტოტელეს შრომებისა. მას აქვს ორიგინალური ფილოსოფიური მემკვიდრეობაც. ეს გახლავთ ის განმარტებანი და კომენტარები, რომლებიც მან დაურთო პროკლე დიადოხოსის დასახელებული შრომის თარგმანს. ამ კომენტარებში გამოაჩინა მან თავისი ფილოსოფიური უნარი, ალღო, ერუდიცია, ღრმა ცოდნა პლატონის, არისტოტელესი და ანტიკის სხვა ფილოსოფოსებისა.

რა მიზანს ისახავს პეტრიწი ამ შრომაში?

კ. კეკელიძის აზრით, პეტრიწი ურყევად აგრძელებს ქართული ფილოსოფიის წინა დროის ხაზს: ის ფილოსოფიას ქრისტიანობის სამსახურში აყენებს, მას სურს ქრისტიანობა ან „სალმრთო განცხადება" ფილოსოფიურად დაასაბუთოს და გაამართლოს როგორც შინაარსეულად, ისე იმის აღნიშვნით, რომ „სალმრთო ჰეშმარიტებას" წარმართი ფილოსოფებიც ეთანხმებიან და გამოთქვამენ დიალექტიკურად, ლოგიკურად... არავითარ გადახრას წარმართობისაკენ ამაში ადგილი არა აქვს".

მკვლევარი პეტრიწის შრომიდან მოტანილი ადგილების კომენტირებით ასაბუთებს, რომ „იოანე პეტრიწი ისეთივე დამცველია ეკლესიური დოგმატიზმისა, როგორც მისი წინამორბედნი და თანამედროვენი"[1].

მთელი მისი კომენტარები დემონსტრაციაა ფილოსოფოსთა მოძღვრების ნიადაგზე მთავარი ქრისტიანული დოგმატის — ღვთაება, ღმერთი, არის „სირასა შორის ერთი", „მზე ერთთაი" მეტაფორულად და არა იდენტურად: თითოეულ „გუარს" თავისი „ერთი" ჰყავს, მაშასადამე, „ერთი" მრავალია, ღმერთი კი არის ყველა „ერთთა" მ ზ ე — უმაღლესი, უდიდესი, უპირატესი. იგი არის ყოველთაგან ზესთმდებარე, უცნაური, ერთი და კეთილობაი, რომელსაც, მისთვის პატივისცემის სურვილით, ადამიანის ენამ, „მამა" უწოდა[2]. ეს ერთი ღმერთი არის „სამება"... მისთვის დამახასიათებელია: უშვიელობაი მამისაი, შობაი ძისაი და გამოვლენაი სულისა წმიდისაი, და ერთობაი ბუნებისა განსხუებულებითა გუამოვნებათათა" (217). ძე არის

[1] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, 1980, გვ. 299 — 301.

[2] ი ო ა ნ ე პ ე ტ რ ი წ ი ს შრომები, ტ. II, თბ., 1937, გვ. 8.

„პირველსაეკუნეთა ყოველთა მამისშორისი, რომელ არს დასაბამი თავსშორისა სიტყვისაი, ვითარ დისკოზა, თუალი მზისაი შარავანდედთა“... პეტრიწი ყოველ ღონეს მიმართავს, რათა სამობის მეტაფიზიკა მეცნიერებისა და ფილოსოფიის დახმარებით დაასაბუთოს და ეკლესიას ამ უკანასკნელთა დახმარების აუცილებლობა დაუმტკიცოს. მისი განმარტებით, როგორც თვალი მზის დისკოსა და მის შარავანდს ხედავს ერთი მთლიანობის სახით, ისე გონება მამას და სიტყვას ერთ მთლიანობად უნდა ხედავდესო (ამ შემთხვევაში, უპირველეს ყოვლისა, საქმე გვაქვს, ერთი მხრივ, თარგმანის სიზუსტით გადმოცემის საკითხთან — მას არ მიაჩნია მართებულად თქმა პირველთაგან იყო სიტყუაი“, მისი აზრით, ღმერთზე უპირველესი არა არის რა, ამდენად, უნდა ითქვას „დასაბამს შორის იყო სიტყუაი“; მეორე მხრივ, დგას განუყოფლობის საკითხი). სამების ერთარსების ასახსნელად იგი შედარების ხერხსაც მიმართავს: ქართული მუსიკის ხმები (შესაბამისი ტერმინებით მზახრ, ჟირ, ბამ) რომლებიც განგვაცდევინებს „ერთ მშვენიერებას და სიამოვნებას“, „ერთ სიტკბოებას და კეთილობას“, სინამდვილეში არის ერთ არსებად ქცეული სამება (11 გვ.).

პეტრიწი სქოლასტიკის ისტორიაში დამწყებია იმ ახალი მიმართულების, რომელმაც გადაწყვიტა ფილოსოფია პოზიტიურად გამოეყენებინა, რათა რელიგია „გონების აგრუმენტებითა“ და „თეორიით“ დაესაბუთებინა. ჰეგელის მოხდენილი თქმით, მან ზეცა აიძულა მოესმინა ფილოსოფიის არგუმენტები. უნდა ითქვას, რომ ამ საქმეს ჩვენში პეტრიწი ათეული წლებით ადრე იწყებს ევროპულ სქოლასტიკაზე და, მაშასადამე, ქრისტიანულ თეოლოგიაში შეაქვს ის განახლების სინათლე, რომელიც შემდეგ დასავლეთში რენესანსის ეპოქის მზედ ამოვიდა. თვითონ პეტრიწს ეს პროცესი ჯერ, რასაკვირველია, მთლად ასე არ ჰქონდა გაცნობიერებული. მას პლატონით, არისტოტელით და „პლატონური ფილოსოფოსების“ დახმარებით უნდოდა გონიერი და დასაჯერებელი გაეხადა თეოლოგია ისე, „არც გრძნობდა, რომ მომავალში არისტოტელე ქრისტეს დაჩრდილავს და ადამიანს სარწმუნოების სამართლიანობაში დააეჭვებს“.

ნათქვამიდან ცხადია, რომ პეტრიწის წამოწყებას გულგრილად ვერ შეხვდებოდა ქრისტიანული ეკლესია, რომელიც ყოველგვარ რეფორმებსა და შესწორებებს გაურბოდა.

მეცნიერებათა ვარაუდით, პეტრიწის პროგრესული აზროვნება გამხდარა მიზეზი, ერთის მხრივ, მისი ბაჩკოვოში (ბულგარეთში) მოღვაწეობისა (სადაც იგი დამკვიდრებულა გრიგოლ ბაკურიანისძის მიერ აშენებულ (1083) ქართველთა მონასტერში, რომელმაც შემდ-

გომში სახელი პეტრიწონი მიიღო), მეორე მხრივ, — გელათის აკადემიაში პროგრესისტთა ბანაკის მეთაურობისა.

პეტრიწს თავისი იდეებისათვის ობიექტური პირობები სჭირდებოდა; ასეთი პირობები მას დავით აღმაშენებლის საეკლესიო პოლიტიკამ შეუქმნა[1]...

პეტრიწი თავის ტრაქტატში ეხება „ბოროტთა უარსობას“, რითაც უპირისპირდება მანიქეველებს, რომლებიც ქადაგებენ ბოროტ მოძღვრების დუალიზმისას. პეტრიწი აჩვენებს, რომ მანიქეველებისა და მისი მიმდევარი მწვალებლების განადგურება შეუძლია მხოლოდ ფილოსოფიას, აშენებულს მონიზმსა და იდეალიზმზე.

მართალია, იგი არ მისულა რენესანსამდე, (რენესანსის ეპოქის თავისებურება და საკუთარი თვალსაზრისი მდგომარეობს ორმაგი ჭეშმარიტების თეორიის წამოყენებაში, ე. ი. იმის აღიარებაში, რომ არსებობს ორი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ჭეშმარიტება, ჭეშმარიტება ქვეყნისა და ფილოსოფიისა, ჭეშმარიტება ღმერთისა და თეოლოგიისა)... პეტრიწიდან 100 წლის შემდეგ ქართული კულტურის ამ სახეს გააფორმებს რუსთაველი და იგიც არა რეფლექსიის სფეროში, არამედ მხატვრული ხედვისა და პოეტური შემოქმედების სფეროში. რენესანსი რუსთაველში დაიბადა.[2]

ახლა შემოგთავაზებთ მნიშვნელოვან ფრაგმენტებს შ. ხიდაშელის წიგნიდან —

„რ უ ს თ ა ვ ე ლ ი ს მ ს ო ფ ლ მ ხ ე დ ვ ე ლ ო ბ ი ს ს ა კ ი თ ხ ე ბ ი“

აშკარად ჩანს რამდენად შეიცვალა ქართული მწერლობის მსოფლმხედველობრივი საფუძვლები და კერძოდ ადამიანის იდეალი და ადამიანური გაგება.

ქება აბოსიც, მაგრამ სულ სხვაა ქების საფუძველი მეხოტბეთა პოეზიაში... კულტურის გაამქვეყნიურება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობა იყო ჰუმანიზმის წარმოქმნისათვის როგორც დასავლეთში, ასევე საქართველოში (21).

„ვეფხისტყაოსნის“ მსოფლმხედველობრივი იდეის თავისებურება ისაა, რომ აქ სამყაროც და ადამიანიც ამაღლებულ წარმოდგენებშია გამოხატული. კოსმიურ ჰარმონიაში მთელი სამყაროა ჩართული ყველა მისი მოვლენით დაწყებული მნათობებით და დამთავრებული ქვებით...

რუსთაველის შემოქმედებას შესწავლა აღრმავებს და ამდიდრებს თვით ჰუმანიზმის ცნებას, შეაქვს მასში ახალი ელემენტები და მომენტები.

---

[1] შ. ხ ი დ ა შ ე ლ ი. „რუსთაველი, პეტრიწი, პრელუდიები“, თბ., 1961, გვ. 146.

[2] იქვე. გვ. 175.

კოსმიური ჰარმონიის მაგალითია ეპიზოდი — „მიმავალი ცასა შესტირს“...

„ვეფხისტყაოსანში“ ციურ მნათობებს აკისრიათ რუსთაველის მსოფლმხედველობის გარკვევის თვალსაზრისით უფრო მნიშვნელოვანი ფუნქცია (ვიდრე მისი ესთეტიკური მნიშვნელობაა) ადამიანის ბედის უშუალო განმგებლობისა. მზე თავისი ფუნქციით აღემატება დანარჩენ მნათობებს.

„აჰა, მზეო, გეაჯები შენ, უმძლესთა მძლეთა მძლესა
ცინ მდაბალთა გაამაღლებ, მეფობასა მისცემ სვესა“...

მზე რუსთაველისათვის წარმოადგენს უზენაესის, ღმერთის, ხატს: „ვის ხატად ღმთრისად გიტყვიან ფილოსოფოსნი წინანი“...

საყურადღებოა, რომ მიქაელ მოდრეკილის ერთ საგალობელში გამოთქმული შეხედულება ღმერთზე, როგორც „მდაბალთა აღმამაღლებელზე და მაღალთა მფლობელზე“, რუსთაველს გადააქვს მზეზე“ (გ. იმედაშვილი, ვტ-ს პარალელები X ს. ქართულ ჰიმნოგრაფიაში, ლიტ. ძიებანი, II, '1944, გვ. 211).

უდიდესი ჰუმანისტური ამოცანა, რომელიც, შ. ნუცუბიძის სიტყვით, რუსთაველმა დაისახა, იმაში მდგომარეობს, რომ „ეჩვენებინა ცოცხალი, მგრძნობელი, შოაზროვნე და მოქმედი ადამიანი, გაერკვია საზრისი ადამიანის არსებობისა“. რუსთაველთან ბედნიერებისა და ადამიანური მიზნების მიღწევის აუცილებელი პირობა „სოფლის“ სიყვარულია. უფრო მეტიც, სოფლის სიყვარული უდიდესი სიბრძნის გამოვლენაა: „ვისთვის ჰკვდები, ვერ მიჰხვდები, თუ სოფელსა მოიძულებ“.

ადამიანურის რუსთველური გაგება სიცოცხლის „გაძლებას“ და მისთვის „თავის დადებას“ გულისხმობს. სიკეთის გამარჯვება ბოროტებაზე ხორციელდება ნესტანის გამოხსნის და მისი ტარიელთან შეყრის ბედნიერების კონკრეტულ ფაქტში...

„ვეფხისტყაოსანი“ არის პოემა ადამიანის მოქმედებას, ბედნიერებისათვის ბრძოლასა და მის მოპოვებაზე. მაგრამ ადამიანის მოქმედება არ გამორიცხავს განგების ჩარევას ადამიანურ მოქმედებათა მსვლელობაში. ამ პრობლემის სიმწვავე ადრე შეამჩნია შუა საუკუნეების აზროვნებამ. თუ ადამიანის მოქმედება, წერდა პელაგიუსი, განსაზღვრულია ღვთაებრივი განგებით, მაშინ ცოდვა ამ პირობის ქვეშ აუცილებელია; ადამიანზე აღარაა დამოკიდებული და ადამიანი აღარ აგებს პასუხს ცოდვის ჩადენის გამო. ადამიანი შეიძლება აგებდეს პასუხს მხოლოდ ისეთ მოქმედებაზე, რომელიც შეიძლება აუცილებელ იქნეს, ე. ი. მხოლოდ თავისუფალ მოქმედებაზე. საერთოდ, „ღმერთის ცნება მოითხოვს უპირობო ნებელობას, ხოლო ნებელობა წინას-

წარგანზრახულობის ისეთ ცნებას, რომელიც გამორიცხავს ადამიანურ თავისუფლებას; მაგრამ თავისუფლების გარეშე არ არსებობს ცოდვა. არ არსებობს მონანიების აუცილებლობა და არ არსებობს მონანიება“ (34).

რუსთაველთან ადამიანის მოქმედება მიმართულია სიკეთის განხორციელებისაკენ და გულისხმობს აუცილებელ კავშირს ღვთაებრივ განგებასთან; ერთიანობაშია სუბიექტური და ობიექტური, ადამიანის მოქმედება და განგება:

„წამოსრულხარ ჩემად ძებნად, პატრონისა სამსახურად,
ღმერთთან ქნა და გიპოვნივარ, შენცა ცდილხარ მამაცურად“ (იგივეა, რაც „ბედი, ცდა და გამარჯვება“...)

მოქმედება აუცილებელი შემადგენელი კომპონენტია მიზნის მიღწევისა: „არა ვიქმ, ცოდნა რას მარგებს ფილოსოფოსთა ბრძნობისა“.

„გამარჯვება“, როგორც ადამიანური მოქმედების მიზანი და დასასრული, „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით სიკეთის მიღწევაა, მისი განხორციელება ამავე დროს მისი ანტიპოდის — ბოროტების დათრგუნვა. აზროვნების ისტორიაში არსად არაა დასმული სიკეთის პრობლემა მისი ბოროტებისადმი მიმართების გარეშე და არც რუსთაველისათვის დგას სიკეთის საკითხი ბოროტებასთან მიმართების გარეშე (35 გვ.).

„ამ საქმესა დაფარულსა ბრძენი დივნოს გააცხადებს:
ღმერთი კარგსა მოავლენებს და ბოროტსა არ დაჰბადებს“.

ეს სტროფი წარმოადგენს უტყუარ გასაღებს რუსთაველის ფილოსოფიური წყაროების გარკვევისას და განსაკუთრებით სიკეთისა და ბოროტების საკითხის გადაწყვეტის თვალსაზრისით.

ოპტიმიზმის ცნება კი არ გამორიცხავს „გაჭირვებას ვაებას“, პირიქით, აუცილებლობით გულისხმობს მას. რუსთაველთან ოპტიმიზმის გაგება ჰუმანისტურ გაგებასთან მჭიდრო კავშირში იმყოფება და გამოდის სიცოცხლისათვის „თავის დადებიდან“, სიკეთიდან, ამქვეყნად ბოროტების დაძლევიდან გამომდინარეობს და ამქვეყნიური ბედნიერების მიღწევაში მდგომარეობს.

დასახელებული წიგნის III თავი ეძღვნება რუსთაველის ფილოსოფიური შეხედულებების წყაროებს, სადაც ვკითხულობთ: ნეოპლატონიზმის თეორია რუსთველოლოგიაში პლატონ იოსელიანიდან იღებს სათავეს. მან პირველმა დააყენა ეს საკითხი და შეეხო რუსთაველს და მის მნიშვნელობას მსოფლიო ლიტერატურის თვალსაზრისით...

თუ ადრე ორი მეცნიერი — რუსეთში ა. ლოსევი და ჩვენში შ. ნუცუბიძე წლების მანძილზე იცავდა ნეოპლატონიზმისა და მისი მნიშვნელობის შესახებ არსებითად განსხვავებულ სწორ შეხედულებას, ახალი შეფასების მიხედვით, ანტიკური ეპოქის ბოლოს მყარდება ნეოპლატონიზმის „რთული ურთიერთზემოქმედებას“ ჯერ ქრისტიანულ, შემდეგ მუსლიმანურ და იუდეურ მონოთეიზმთან, რომელიც განსხვავდება ნეოპლატონიზმისაგან და ეს განსხვავება განსაკუთრებით მკვეთრ ხასიათს ღებულობს მსოფლმხედველობრივი საკითხების გადაწყვეტის შემთხვევაში. I. მონოთეიზმი მოითხოვდა პიროვნული აბსოლუტის დასაბუთებას: ნეოპლატონიზმს, აბსოლუტი ესმოდა, როგორც სავსებით უპიროვნო „ერთიანი“ („ერთი“). 2. მონოთეიზმი ცდილობდა დაესაბუთებინა „წინააღმდეგობა ღმერთსა და სამყაროს შორის“. ნეოპლატონიზმი ავითარებდა მოძღვრებას ღვთაების ემანაციაზე, ე. ი. სამყაროდან გამომდინარეობაზე, რის გამოც სამყარო წარმოდგა, როგორც იგივე ღმერთი, ოღონდ მისი განვითარების გარკვეულ საფეხურზე.

პ. „მონოთეიზმის ძირითად დოგმას“ შეადგენდა სამყაროს არაარისაგან შექმნის დებულება.

ლოსევი გამოთქვამს მოსაზრებას, „დამტკიცებულად ჩაითვალოს, რომ ქართულ რენესანსს ნეოპლატონიზმი და განსაკუთრებით პროკლეს ფილოსოფია უდევს საფუძვლად. ეს უნდა ჩაითვალოს დიდად მნიშვნელოვან აღმოჩენად (მხედველობაში აქვს შ. ნუცუბიძის, ი. ფანცხავას, შ. ხიდაშელის შრომები) იმის გამო, რომ გვაძლევს შესაძლებლობას უფრო ღრმად მივუდგეთ იტალიურ რენესანსსაც“ (90—91).

რენესანსი არის „სწორედ მიწიერი ადამიანის ცდა განაცხადოს თავისი სწორედ მიწიერი არსებობა... მიწიერის გაღვთაებრების ფილოსოფიურ საფუძველს ნეოპლატონიზმი წარმოადგენდა. ნეოპლატონიზმი „აღმოჩნდა ფრიად შესაფერისი ბაზა რენესანსული ფილოსოფიისათვის“ — ა. ლოსევი.

ფილოსოფია ცნებათა სისტემაა, ლოგიკურად სისტემატიზირებული მსოფლმხედველობა, და თუ ეს არ იქნა გათვალისწინებული, წაიშლება კვალი, ერთი მხრივ, ფილოსოფიასა და, მეორე მხრივ, რელიგიას, მითოლოგიასა და მხატვრული სახეებით გამობატულ მსოფლმხედველობას შორის. ფილოსოფიის სპეციფიკას დასაბუთება წარმოადგენს და, თუ კანონიერია მსჯელობა იდეის განსახოვნებაზე ხელოვნებაში, ეს გამოთქმა გამოუყენებელია, თუ დავიცავთ სიზუსტეს, ფილოსოფიის მიმართ. ამიტომ როდესაც საქმე ეხება პოეტის, მხატვრული სიტყვის წარმომადგენლის, ფილოსოფიურ მსოფლმხედველობას თუ ფილოსოფიურ შეხედულებებს, კითხვა თავისთავად გულისხმობს მათ ფილოსოფიურ წარმომაელობას, ფილოსოფიურ წარ-

ზომავლობას შეხედულებებისა, რომლებიც შეიძლება გამოიხატოს როგორც ცალკეული დებულებების სახით, აგრეთვე პოეტური განსაჩიერების საშუალებითაც.

რუსთაველი, რომელსაც პოეზია სიბრძნის დარგად მიაჩნია, ბრწყინვალედ აერთიანებს მხატვრულ განზოგადებას სამყაროს ფილოსოფიურ მოაზრებასთან... მისი მწყობრი ფილოსოფიური შეხედულებანი, რომლებიც პოემაში არის დადასტურებული.... იძლევა საფუძველს დასკვნისათვის, რომ რუსთაველი დიდი მასშტაბის და ფართო ჰორიზონტის შემოქმედია. ის არ იფარგლება მხოლოდ მხატვრული განზოგადოებით და თამამად „იჭრება" სინამდვილის ფილოსოფიური განზოგადების სფეროში.

ნეოპლატონიზმი

რუსთაველის ეპოქა ორი მნიშვნელოვანი მოძღვრების სახით იყო წარმოდგენილი: არეოპაგიტიკა (ფსევდო-დიონისე — პეტრე იბერი — ეფრემ მცირე) და პეტრიწის სახით. ორივე პრობლემის მოძღვრების საფუძველზე იყო აღმოცენებული და ანტიკური ფილოსოფიის ამ ერთ-ერთი უდიდესი მოაზროვნის ქრისტიანულ გადამუშავებას წარმოადგენდა... იდეებისა, სადაც ღმერთი მოაზრებულია, როგორც „უცნაური", „უთქმელი კაცთა ენითა", „სავსება ყოველთა", „უფალი უფლებათა" და სხვ. არეოპაგიტული წარმომავლობა იოანე დამასკელთან მეცნიერებაში კარგად ცნობილი ფაქტია (96 — 97 გვ.).

რუსთაველის ფილოსოფიური შეხედულებანი მოცემულია საკითხთა ასეთი თანამიმდევრობით: 1. ღმერთის გაგება პოემაში; 2. ღმერთის სამყაროსადმი მიმართების თავისებურებანი; 3. არსის წყობის თავისებურებანი; 4. რუსთაველის ეთიკური შეხედულებანი.

ღმერთის ცნება შუა საუკუნეების პირობებში და, კერძოდ, რუსთაველთან ძირითადი ცნებაა: „ილოცავს, იტყვის: მაღალო ღმერთო, ზმელთა და ცათაო... უცნაურო და უთქმელო"... ასჱთ თქვა: „ღმერთო, გმადლობ, რომელი ხარ ჴირთა მომჴლხენი; ყოფილი, მყოფი, უთქმელი, ყურთაგან მოუსმენელი". აქ ასახულია ღმერთის აპოფატიკური მოაზრება უზენაესისა, რომელიც როგორც ზეაღმატებული ყოველივე არსებულზე, ცნობიერების მიღმაა და შეუცნობადია; რამდენადაც შეუცნობადია, ამდენად გამოუთქმელიც... ნეოპლატონიზმის, ფსევდოდიონისესა და პეტრიწის იდეების დადასტურებაა...

„მ ზ ი ა ნ ი ღ ა მ ე".

„იტყვის: ჰე. მზეო, ვინ ხატად გთქვეს მზიანისა ღამისად"...

„ვის ხატად ღმრთისად გიტყვიან ფილოსოფოსნი წინანი..."

„მზიანი ღამე" და „უჟამო ჟამი" ღმერთის გარკვეული წარმოდგენის გამოხატულებაა. მათ ერთმანეთისაგან განასხვავებს მხოლოდ

გამოხატვის ხერხი (გვ. 99). „მზიანი ღამის“ შესახებ სწორი შეხედულებანი ჰქონდა თეიმურაზ ბაგრატიონს. იგი ამოდის ისეთი ფილოსოფიური მოძღვრებიდან, რომლის მიხედვით ღმერთს, როგორც ადამიანზე ზეაღმატებულსა და მიუწვდომელს, „გონება კაცისა“ ვერ მისწვდება ბუნებითა არსებითა“. მაგრამ ადამიანს, მიუხედავად ამისა, აქვს ერთგვარი „ცნობა ღმერთისა“, რომელიც გარკვეული მნიშვნელობით და მიმართებებით. „გამოჩინებულ“ ხდება „გონებასა შინა კაცისასა“. ერთი მხრივ, ღმერთი შეუცნობადია (ღამე), მეორე მხრივ. მის შესახებ ერთგვარი ცოდნა შენდება (დღე). ღამე გამოხატავს ღმერთის „მიუწვდომლობას“. ხოლო „მზიანი ღამე ის არის, რაოდენ შესაძლებელი არის კაცისა გონებისაგან ვიცნობდეთ და აღვიარებდეთ ღმერთსა“... (101 გვ.).

რუსთველოლოგია ასცდა თეიმურაზის მიერ მიკვლეულ გზას საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში... გ. იმედაშვილი ბუნებაში არსებულ პოლარულ მოვლენაში, „ოთხთვიანი დღის“ სახელწოდებით ცნობილში, ხედავს „მზიანი ღამის“ მეტაფორულად გარდასახვას... თითქმის ყველა მკვლევარი ხსნის მხოლოდ „მზეს“, „ღამე“ კი აუხსნელი რჩება (მაგ., „მარადი დღე“, „დაუღამებელი ღამე“, „მუდმივი ნათელი“ და სხვ.

გ. ნადირაძის აზრით, „მზიანი ღამე“ იგივეა, რაც ერთ-არსება ერთი“, დაუსაბამო და უსასრულო არსება...

ეს არის ისეთი ძლიერი ბრწყინვალე, რომ მას კაცი თვალს ვერ გაუსწორებს; სიძლიერე ნათელისა არის ისეთი, რომ იგი თვალს აბრმავებს... იგი არს ჩვენ თვალთათვის ბ ნ ე ლ ი.

რუსთაველის მზიანი ღამე არაა ცალკე აღებული ბნელი და მისი წარმოდგენა, ესაა მთლიანი წარმოდგენა, რომელშიც ნათელი და ბნელი ემთხვევა ერთმანეთს, როგორც ღმერთში არსებობა და არაარსებობა.

არეოპაგიტიკა ერთადერთი ძეგლია, რომელიც მზიანი ღამის ახსნის საფუძველს იძლევა. მზიანი ღამე არაა ღამით მზის ხილვა, ესაა მ ზ ი ა ნ ი ღ ა მ ე, ნათელი წყვდიადი, ორი ერთმანეთის საპირისპირო ნიშნების გაერთიანება, როდესაც საქმე ღმერთს ეხება. ეს დადასტურებულია რუსთაველთან... (გვ. 114).

მზიანი ღამის პრობლემათა სფეროში შემოდის „მზისა ელვათა კრთომის“ ხედვა „დღისით და ღამით“ (ნესტანის სიტყვებით: „დღისით და ღამით ვხედვიდე მზისა ელვათა კრთომასა“ — 1313).

უკამო კამი თეიმურაზის სიტყვით, აღნიშნავს ღმერთს, როგორც „დაუსაბამოს, სამარადისოს და დაუსრულებელს“ (ადვილი შესაძლებელია ღმერთის სინონიმური სიტყვა უ ფ ა ლ ი, მართლაც, მომდინარეობდეს დაუმარხავ-დ ა უ ფ ლ ა ვ ი დ ა ნ — ნ. რ.).

ღმერთის დადებითი განსაზღვრებანი, მიმართება სამყაროსთან უსასრულობის პრედიკატი პირველად ნიკოლაოს კუზანელმა (XV ს.) მიაკუთვნა ღმერთს. რენესანსის ეპოქის ეს ცნება ჯერ კიდევ უცნობი იყო რუსთაველისათვის. ნამდვილად, რამდენადაც ღმერთი არის ყოველივე, ის არის აგრეთვე არარა... ფსევდო-დიონისეს აზრით, უზენაესი იმიტომაა „მარადის სული“, რომ არის „ყოველთა თავსა შორის თვისსა წინაითვე მჭვრებელი და ამიტომ „ზეშთა — საესებითა“...

სიკეთის მონიზმი პოემის ოპტიმისტური ფინალი განხილულია სიკეთისა და ბოროტების მიმართების გარკვეული გაგების საფუძველზე. მათი ფილოსოფიური გაგების გამოსახატავად „სახეებით აზროვნების“ უარგლები საკმარისი აღარაა და რუსთაველი მიმართავს როგორც დებულებათა პირდაპირი გამოთქმის საშუალებას, ისე თვით ფილოსოფიური მოძღვრების დამოწმებას...

სიკეთის ბოროტებაზე ძლევის საფუძველი ისაა, რომ პირველი ნამდვილი, სუბსტანციური არსებობის სფეროს განეკუთვნება, მეორე — შემთხვევითი, დროული, აქციდენციური არსებობის სფეროს; სიკეთე თავისთავად არსია, „მყოფია“, ბოროტება — თავისთავად არ არის, „უმყოფოა“: „თქვეს ბოროტსა უმყოფოო“...

> „ღმერთი კეთილს მოაქცინებს და ბოროტსა არ დაჰბადებს,
> ესვა წამ-ერთ შეამოკლებს, კარგსა ხან-გრძლად გააკლადებს,
> თავსა მისსა უკეთესსა უზადო ჰყოფს, არ ახადებს“. (1500).

აქაა გამოთქმული აზრი სიკეთის მონიზმის, ანუ სუბსტანციური არსებობის აღიარებისა. ნამდვილი სუბსტანციური არსებობა მხოლოდ სიკეთეს აქვს, ბოროტება ფსევდო-დიონისეს სიტყვით, „არა არს არს“. სიკეთე არის არეოპაგიტიკის მიხედვით. აგრეთვე პირობა არსებობისა. „ქმნაი არსისა“ სიკეთისაგან მომდინარეობს. ის, რაც მთლად მოკლებულია სიკეთეს, ის არც არსებობს“.

არეოპაგიტიკის ავტორი უარყოფს სამყაროში „უწესობისა და მარადის მბრძოლობას“, რომელიც შესაძლებელი და დასაშვები იქნებოდა სიკეთისა და ბოროტების დუალიზმის პირობებში.

ბოროტება რეალური რომ არ იყოს, მაშინ მასთან ბრძოლა უაზრობა იქნებოდა, რუსთაველის პოემის მთავარ ზამბარას სწორედ ეს ბრძოლა წარმოადგენს... (მეცნიერული კვლევა კვლევის საგანში აზრის ამოკითხვაა და არა „მიწერა“...)

პირველმიზეზის სიკეთე ყველგან მიმწევნელია და ყველა საფეხურამდე აღწევს: უმაღლესი მოვლენებიდან დაბალი და უკანასკნელი საფეხურის ჩათვლით, მაგრამ სამყაროც ამით არის განსაზღვრული. ამის შესაბამისად მათში სხვადასხვაა სიკეთის „ოდენობა“ ისევე, როგორც მზის სხივის ძალა მზისგან სხვადასხვა მანძილით დაშორებულ საგნებში, სხვადასხვაა მათი მონაწილეობის (ხიარების)

„ხარისხი" პირველშიზეზში. ეს კლება, ეს „უსრულობა კეთილისა", „განშორება კეთილისა" არის ბოროტება მის ემპირიულ არსებობაში... (გვ. 133).

როგორც ვნახეთ, განგებისა და ადამიანური მოქმედების საკითხი შუა საუკუნეების პირობებში დაკავშირებულია აბსოლუტის განგებულებასა და ნებას თავისუფლების ზოგად პრობლემასთან. რუსთაველთან ეს საკითხი თავისებურად დგას და თავისებურად არის გადაწყვეტილი. როდესაც ადამიანის მოქმედება მიმართულია სიკეთისაკენ, მისი განხორციელება არის შედეგი, ერთი მხრივ, განგებისა და განგებით განსაზღვრული ბედის, და, მეორე მხრივ, სუბიექტური აქტიურობის ერთობლივი მოქმედებისა. (იგივეა, რაც „ბედი, ცდა და გამარჯვება, ღმერთსა უნდეს, მოცა გზედების" — ნ. რ.). დილემის ეს ორი წევრი მოურიგებელია ზეცისა და მიწის დუალიზმის პირობების ქვეშ. ნებისყოფის თავისუფლება ეწინააღმდეგება აბსოლუტის განმგებლობას; ამ უკანასკნელის აღიარება — პირველს. რუსთაველი არიგებს დილემას. სიკეთისათვის ბრძოლის დროს ორივე ფაქტორია „ჩართული", ორივე ფაქტორი მოქმედებს, ობიექტურიც და სუბიექტურიც...

ამას თეორიული დასაბუთებაც მოეძებნება. პრობლემის გადაწყვეტის ფილოსოფიური საფუძველია სინაჰდეილის, ღმერთისა და სამყაროს ერთიანობის ნეოპლატონისტური ზოგადი პრინციპი და, კონკრეტულად, ფსევდო-დიონისეს მოძღვრება სიკეთის სუბსტანციურობაზე...

ადამიანის სიკეთისაკენ სწრაფვა და ამ სწრაფვით განსაზღვრული მოქმედება საყოველთაო ობიექტური კანონზომიერების გამოვლენაა ადამიანში. ადამიანი სიკეთის განხორციელების დროს ამ კანონზომიერებაშია ჩართული, მისი მისწრაფება სიკეთისაკენ მთელი არსის სწრაფვის კონკრეტული გამოხატულებაა არსის ყველაზე უფრო სრულყოფილ არსებაში. საკითხის ამგვარი გადაწყვეტით იხსნება წინააღმდეგობა ფატალიზმსა და ვოლუნტარიზმს შორის. სუბიექტური ეთხვევა ობიექტურს, ადამიანის მოქმედება განგებულობას.

აქედან გამომდინარეობს, რომ სიკეთე განხორციელებადია საფუძველშივე. მისთვის ბრძოლა რეალურია და მიღწეული მოქმედება შემართული ბოროტებისაკენ — დროებითია, შემთხვევითი და წარმავალი... (გვ. 139).

„ვეფხისტყაოსნის“ უზენაესი არსების მიმართებისათვის ქრისტიანულ ღვთაებასთან[1] „სალმრთოთა სახელთათვის“

„სალმრთოთა სახელთათვის“ სამყაროს ცენტრში დგას უზენაესი არსება — ღმერთი. ღმერთი უშუალოდ არ ერევა ამქვეყნიურ საქმეებში. მას უშუალოდ „ძალნი ზეცერნი“, ასტრალური ძალები — მნათობები განაგებენ, მაგრამ ისინიც ღმერთის ნებით მოქმედებენ. ამიტომაა, რომ პოემის გმირები მნათობებს ევედრებიან, თავის მწუხარებას შესჩივიან.

უზენაეს არსებას პოემაში თითქმის ყოველ ნაბიჯზე ვხვდებით. იგი სხვადასხვა კონტექსტში სხვადასხვა სახელით იხსენიება. მისი უველაზე გავრცელებული სახელია ღ მ ე რ თ ი. რუსთაველის სიტყვით, „ზის უკვდავი ღმერთი ღმერთად“. ეს უზენაესი არსება არის ე რ თ ი, რომელზედაც ზოგჯერ მითითებულია ნაცვალსახელით რ ო მ ე ლ მ ა ნ. პოემაში ღმერთს ზოგჯერ ეწოდება უ ფ ა ლ ი, რომელიც არის „უფალი უ ფ ლ ე ბ ა თ ა“. იგი მ ფ ლ ო ბ ე ლ ი ა „ქვეყნად ზესსი“, არის „უცნაური და უთქმელი“, სმენით არ-საქებელი, „ყურთაგან მოუსმენელი“... „ვეფხისტყაოსნის“ უზენაესი არსება „მზიანი ღამეა“, „ერთარსება ერთია“? „უქამო ჟამია“; „არსთა მხედია — ყველათათვის ტკბილად მხედი“. იგი არის „შ ე მ ო ქ მ ე დ ი კეთილისა“, „ს ა ხ ი ე რ ი“; პოემის ღმერთი უხვია, მოწყალეა; უხილავია, უკვდავია, „ყოვლი მიწიერის შემწეა“, საზღვართა დამსაზღვრელია, ერთის ასად და ასის ერთად გამხდელია, ძალისა და შეწევნის მომცემია. პოემის უზენაესი ძალა, არსება, კაცის არგამწირავია, შეცოდებულის შემნდომელია, მფარველია, სატანის დამთრგუნველია, მიჯნურობის დამბადებელია; იგი ადამიანის წინამძღვარია, მისი გამმარჯვებელია, მ ტ რ ი ს დ ა მ ა მ ხ ო ბ ე ლ ი ა, ზოგის მცხონებელია და ზოგის წარმწყმედელი.

„ვეფხისტყაოსნის“ ღმერთი ბ ნ ე ლ ს გ ა მ თ ე ნ ე ბ ე ლ ი ა, გულის განმანათლებელია, ადამიანის გამხარებელია. იგი არის ვალის მ ზ ღ ვ ე ლ ი და მ რ ი ს ხ ვ ე ლ ი, ორგულობის შემნანებელი.

პოემის უზენაესი არსების ნება გ ა ნ გ ე ბ ა ა: „უგანგებოდ ვერას მიზმენ შე-ცა-მებნენ ხმელთა სპანი“; „განგებაა არ დავრჩები, ლახვარნია ჩემთვის მზანი“, „უღმრთოდ ვერას ვერ მივაღწევ, ცრემლი ცუდად მედინების, განგებასა ვერვინ შეცვლის, არსაქმნელი არ იქნების“.

რუსთაველის ღვთაება ვარგის მომაელინებელია, ბოროტის არდამბადებელია, ავის შემმოკლებელია, კარგის გამხანგრძლივებელია. იგი „უველი ტანის სახის“ შექმნელია, მეტიც, თავისი ძლიერი ძა-

[1] საკითხი ძირითადად გაშუქებულია ე. ხინთიბიძის ნაშრომის — მსოფლმხედველობის პრობლემები „ვეფხისტყაოსანში“ მიხედვით, თბ., 1975.

ლით მთელი სამყაროს შემოქმედია: „ზეგარდმო არსნის“ შექმნილია, კაცთათვის უთვალავფეროვანი ქვეყნის მოჩვენია, ყოველი ხელმწიფის განმწესებელია.

დაბოლოს, პოემის მიხედვით, ყველაფერი უზენაესი არსების ნებას ემორჩილება: „რაცა ღმერთსა არა სწადდეს, არა საქმე არ იქმნების“.

ღვთაებრივ სახელებზე დაკვირვება თვალნათლივ ადასტურებს, რომ პოეტი დეტალურად იცნობს ქართულ სასულიერო მწერლობას, მაგრამ „ვეფხისტყაოსნის“ ღვთაებას ახასიათებს თითქმის ყველა იმ ნიშანი, რაც საერთოა სხვადასხვა მონოთეისტური რელიგიების ღმერთისათვის. ამდენად, იგი არ არის ქრისტიანული დოგმატიკის ღმერთი, ასევე არ ჰგავს მხოლოდ ორთოდოქსული ქრისტიანული რელიგიის ღმერთს, რომელიც არის სამება (სამპიროვანი). ეს ადრე შენიშნა ქართულმა ქრისტიანულმა ეკლესიამ, ამიტომაა, რომ პოემის თითქმის ყველა საუკეთესო ხელნაწერში პირველ სტროფად იკითხება:

პირველ-თავი, დასაწყისი ნათქვამია იგ სპარსულად.
უხმობთ ვეფხისტყაოსნობით, არსსა შეიქმს ხორც არ სჭლად,
საეროა, არ ახსენებს, სამებასა ერთ-არსულად,
თუ უყურა მონაზონმან, შეიქმნების გაპარსულად.

ანდა უანასკნელი ტაეპის მეორე ვარიანტი: „არას გარგებს საუკუნოს, რა დღე იქმნას აღსასრულად“.

პოეტის ღმერთი უპირველესად ამოდის ქრისტიანული რელიგიიდან, მაგრამ არ რჩება ამ რელიგიის დაკანონებულ ფარგლებში, რუსთაველის ღმერთი არ ეტევა ქრისტიანულ დოგმატიკაში. მართებულია მოსე გოგიბერიძის შენიშვნა: „ნათელია, რომ რუსთაველის ამოსავალი ქრისტიანობაა, მაგრამ ქრისტიანობა არ არის რუსთაველის მსოფლმხედველობის ნაყოფელი“... პოემაში არ ჩანს არც ერთი რელიგიის ღმერთი, რაც რუსთაველის უზენაესი არსების ერთერთ სპეციფიკად უნდა მივიჩნიოთ.

ამ გზაზე ყველაზე დიდი დავა გამოიწვია სტროფმა:

(ავთანდილ) „იტყვის: ჰე მზეო, ვინ ხატად გთქვეს მზიანსა ღამისად,
ერთ-არსებისა ერთსა, მის უკამოსა ქამეხად,
ვის გჯორჩილებენ ციერნი ერთის ოტის წამისად,
ბედსა ნუ მიქცევ, მიაჯე, შეყრამდის ჩემად და მისად!“ (845).

მართალია, ქრისტიანული მწერლობა მზეს მიიჩნევს ქრისტეს სახედ, მაგრამ მზე არ არის ქრისტეს პირდაპირი სახელი. მზე ქრისტეს და, საზოგადოდ, ღმერთის მეტაფორული სახელია. უფრო სწორად, მზე სიმბოლოა ქრისტესი.

.აეთანდილი მიმართავს მნათობს — მზეს, მაგრამ მის შემდგომ გმირი მთვარეს და ვარსკვლავებს ეუბედება[1] (მართლაც საყურადღებო შინიშნებაა. უზენაესიდან ქვემოთ გადმონაცვლება? პირიქით რომ იყოს, კიდევ ჰო — ნ. რ.).

* * *

რუსთაველის ეპოქამდე ქართულმა სიტყვამ ღ ვ თ ი ს გამოხატვის დიდი გზა გაიარა. მას მოუხდა გაეღიხატა საკუთარი წარმართული ღვთაებანიც და თავსმოხვეული უცხო კულტურათა რაობანიც. მაგრამ მათთვის ყველაზე დიდ ასპარეზად მაინც ქრისტიანული სახისმეტყველება იქცა (სიტყვას სამი პლასტი განაპირობებდა: რელიგიურ-ფილოსოფიური და შითოსური). ამ დროისათვის დაკარგული იყო მითოსური პლასტი, მაგალითად, აღარ ჩანს თვით „ღ მ ე რ თ ი ს“ ეტიმოლოგია.. მაგრამ ამ სიტყვის უძველესი მნიშვნელობის დავიწყება მის ცხოველმყოფელობას ვერ აუძლურებდა. პირიქით მოხდა. იდუმალებამ გააძლიერა შთაბეჭდილება. უ ფ ა ლ ო ში ჩანს ეტიმოლოგიური მნიშვნელობა. იგი ბერძნული „კეიროსის“ შესატყვისია, მაგრამ მისი შინაარსი პოეტურ სიტყვახმარებაში გაცილებით ფართოა. საამისო „პოტენციას“ ქმნის მისივე იდუმალებით მოცული სემანტიკური სიღრმე, რომელიც რუსთაველთან ასეა ფიქსირებული: „უცნაურო და უთქმელო, უფალო უფლებათაო“...

ქართული საღმრთო სახელია „ე რ თ ი“, ხოლო საღმრთო სახეებია — „მზე“ და „თვალშეუდგამი ნათელი“. ეს კარგად ჩანს ჰიმნოგრაფიაშიც. (გ. იმედაშვილი) და აგიოგრაფიაშიც. ამ ორ სახეს ვერ ესწორება თვით უპირველესი ატრიბუტი პლატონურ-ნეოპლატონურ-ქრისტიანული ღვთაებისა „კ ე თ ი ლ ი“ (ძველქართულით „სახიერი“).

სწორედ აქ მომხდარა ერთი უმნიშვნელოვანესი რენესანსული გარდატეხა: რენესანსულ ნაწერლობაში (ჯერ მეხოტბეებთან — შავთელი, ჩახრუხაძე, შემდეგ „ვეფხისტყაოსანში“) ეს საღვთო, სახელები („მზე“, „თვალშეუდგამი ნათელი“) გადაიტანეს ადამიანზე იმ ნიშნებით, რასაც ადრე ღმერთს მიაწერდნენ, ამიერიდან მხატვრულ ნაწარმოებთა პერსონაჟები განასახოვნეს. ცხადია, ასეთი გადანაცვლება შეიძლება მომხდარიყო მხოლოდ მხატვრული გზით. „მისტიკურ-სიმბოლური მზე“ და „თვალშეუდგამი ნათელი“ მხატვრულ სახეებად იქცნენ. მთავარი ის იყო, რომ ადამიანი, ადამიანური მშვენება გამოისახა საღმრთო ატრიბუტებით, მაგალითად, ნესტანის მშვე-

[1] ი ხ. ი ნ თ ი ბ ი ძ ე, მსოფლმხედველობითი პრობლემები „ვეფხისტყაოსანში“, გვ. 113.

ნებაზე ნათქვამია: „რა ბობრუნდა ქალი ჩემკე, შემოადგნეს შუქნი კლდესა, დავიწუხენ თვალნი ყოლა ვერ შევადგენ, ვითა მზესა“. ესაა სწორედ თვალშეუდგამი ნათელი, გასაკვირი არა არის რა... მეფე თამარი ღმერთის მეოთხე ჰიპოსტასად იყო მიჩნეული. „ნათელი მშვენიერების სუბსტანციაა. იგი გააზრებულია, ვითარცა დიდი სიცხადე და დიდი შეუცნობადობა, როგორც მათი მთლიანობა, როგორც ანტინომია“.[1] ამ გაგებით „თვალშეუდგამი ნათელი“ „მზიანი ღამის“ თანაზიარი ბნატვრული სახეა.

ქრისტიანული და არისტოტელური რუსთაველის ეთიკურ შეხედულებებში[2]

ნაშრომის ამ საკითხმა ჩვენი ყურადღება იმითაც მიიქცია, რომ ავტორის (ე. ხ.) თქმითვე, „მსგავსება „ვეფხისტყაოსანის“ გმირთა მოქმედებასა და არისტოტელეს ეთიკურ შეხედულებებს შორის შეინიშნება უპირატესად ისეთ მოვლენებში, რომლებიც თანამედროვე ადამიანის თვალსაზრისითაც ბუნებრივი და ჩვეულებრივია. ეს კი ალმზრდელობითი თვალსაზრისით აუცილებლად გასათვალისწინებელია სასკოლო მუშაობაში. ამასთან, არისტოტელეს ბორალური კონცეფცია თავისებური განვითარება და სისტემაში მოყვანაა სოკრატესა და პლატონის ეთიკური შეხედულებებისა.

პლატონის ზნეობრივი მოძღვრება ექვემდებარება მისეულ ზეგრძნობიერი არსებობის იდეებს, ფილოსოფიის აზრით, „ჭეშმარიტ შინაგან თავისთავადობას“, ანუ უმაღლეს სიკეთეს ადამიანი აღწევს „მხოლოდ ზეგრძნობიერი სინამდვილის შემეცნებით“. ამისათვის კი საჭიროა საკუთარი შინაგანი ხედვის მიმართება იდეალური სამყაროსადმი, დაპირისპირება და მოწყვეტა ამქვეყნიური, გარემომცველი სინამდვილიდან. პლატონის აზრით, თანახმად სოკრატესი, „ამ ახალი ცხოვრების შინაარსი“ უნდა იყოს შემეცნების უმაღლესი სახეობის, იდეათა სჭყაროს შემეცნების ხედვის შეძენა. ამიტომაც ეს იდეალური მისწრაფება, რომელიც გამოიხატება პლატონთან სიტყვით „სიყვარული“, ამქვეყნიური არსებობის განმსაზღვრელია და ეთიკური სისტემის ცენტრში დგას. ეთიკური იდეალის გააზრებაში არისტოტელე ძირითადად ეთანხმება პლატონს. არისტოტელეს აზრითაც, „უმაღლესი სიკეთე უნდა დავინახოთ არა კმაყოფილებაში, ამ სიტყვის ჩვეულებრივი გაგებით, არამედ კმაყოფილებასა და ნეტარებაში, რომელიც შექმნილია პიროვნების მიერ საკუთარი სულიერი არსების გააზრებით; თანახმად პლატონისა, არისტოტელეც ფიქრობს, რომ უმაღლესი ნეტარება „მიიღწევა მხოლოდ შემეცნე-

[2] საკითხი გაშუქებულია ე. ხინთიბიძის დასახელებული წიგნის მიხედვით.

[1] ‘‘დი ‘ადეეეერყე ოყეარაეგიე-აპეყეიოყეაპ ‘ერყუე ‘ყ ყ ‘1971.

ბით და თანაც შემეცნების უმაღლესი სახეობით, ფილოსოფიით". ძაგრამ არისტოტელემ მოხსნა პლატონისათვის ესოდენ მნიშვნელოვანი გათიშვა ამქვეყნიურისა და იმქვეყნიურის. არისტოტელეს აზრით, ამქვეყნიური სინამდვილე არის იდეალური არა მიბაძვით უმაღლესი სამყაროსადმი, არამედ თავისთავად. ადამიანი უმაღლეს სიკეთეს მიაღწევს „არა რეალური სინამდვილისაგან განთავისუფლებისათვის ბრძოლით", არამედ აქტიური მონაწილეობით და ჩართვით ამქვეყნიურ სინამდვილეში: შემეცნების მეშვეობით სულიერი არსების იდეალურ განვითარებას უნდა განაპირობებდეს პიროვნული სრულყოფა ადამიანისა, რომელიც ამქვეყნიური რეალობის ერთ-ერთი წევრია. არისტოტელეს ეთიკა უფრო შორდება პლატონს, ვიდრე ზოგადად მისი ფილოსოფია. უფრო მეტად ენათესავება იგი (არისტოტელეს ეთიკა) დემოკრატეს აზროვნების ხაზს, რომელიც ადამიანის ჰეშმარიტ ნეტარებას ხედავდა „ამქვეყნიური სინამდვილისადმი ნორმალურ დამოკიდებულებაზე დამყარებულ სულიერ სიმშვიდესა და ფილოსოფიურ შემეცნებაში.

ე. ხინთიბიძის აზრით, სწორედ ამ ეთიკურ აზროვნებას ენათესაება „ვეფხისტყაოსნის" ზნეობრივ-მორალური შეფასებისადმი. არისტოტელეს ეთიკა არის ის ეთიკური სისტემა, რომელსაც ემყარება რუსთაველი პოემის ძირითადი ეთიკური პრობლემების გადაწყვეტაში.

არისტოტელეს ეთიკა არის არა ხელოვნური ზნეობრივი იდეალის დამსახავი მოძღვრება, არამედ არისტოკრატულ საზოგადოებაში რეალურად არსებული ზნეობის განზოგადება.

არისტოტელეს მთელი მოძღვრება სიკეთეზე შთაგონებულია იმ მრწამსით, რომ უმაღლესი სიკეთე ყოფიერება ამქვეყნიური არსებობაა. ფილოსოფოსი ხედავს, რომ თვით ადამიანებს მიაჩნიათ ეს ამგვარად და გვარწმუნებს, რომ ისინი უსაფუძვლოდ არ აყალიბებენ სიკეთისა და ბედნიერების ცნებებს საკუთარი ცხოვრების შესაბამისად... წინააღმდეგ პლატონის აზრისა, სიკეთე არ არის რაღაც ზოგადი, ერთი იდეისადმი დაქვემდებარებული, იგი სხვადასხვაა სხვადასხვა მოქმედებასა და საქმიანობაში. რა უნდა მივიჩნიოთ სიკეთედ ყოველი ცალკეული მოქმედებისათვის? კითხულობს ფილოსოფოსი და თვითონვე უპასუხებს: ალბათ ის, რისთვისაც სრულდება სხვა ყველაფერი, ხოლო ეს კი სამედიცინო ხელოვნებაში ჯანმრთელობაა, საომარ ხელოვნებაში — სახლი, სტრატეგიაში — გამარჯვება და ა. შ. სიკეთე ყველა მოქმედებასა და მისწრაფებაში არის ამ მოქმედების მიზანი... სწორედ არისტოტელეს ეთიკური შეხედულებების განახლებით მივიდა XIII საუკუნის ევროპა იმ აზრამ-

დე, რომ „სიკეთე არის ის, რაც სასარგებლოა ადამიანის მოდგმისათვის, ბოროტება — რაც ზიანს აყენებს მას".

არისტოტელეს აზრით, სათნოება, უპირველეს ყოვლისა, არის სწორად ორიენტირების შესაძლებლობა შექმნილ სიტუაციაში, სიკეთისაკენ მიმავალი გზის სწორი შერჩევა თუ განსაზღვრა. სათნოებითი მოქმედება, ისევე ქველმოქმედება, არის საშუალება დასახელი მიზნის მისაღწევად. სათნოება კი შეძენილი (არათანდაყოლილი) სულიერი თვისებაა, გაცნობიერებული და გააზრებული, ნებაოფლობითი ანუ თავისუფალი. „ადამიანი არის საფუძველი (პრინციპი) თავისი მოქმედების".

არისტოტელეს მოქმედების პრინციპია ორი ერთმანეთისაგან არსებითად განსხვავებული მიმართულებისაგან საშუალი პოზიციის პოვნა, ანუ ორი უკიდურესობიდან (სიჭარბე-ნაკლულოვანება) საშუალის მიგნება.[1].

ე. ხინთიბიძის მოკლეული მასალებით „რუსთაველის ეთიკური სისტემა თავისი არსით ენათესავება არისტოტელეს ეთიკას".

მკვლევარი ასაბუთებს, რომ პროლოგში წარმოდგენილი რუსთველური სიყვარულის კონცეფცია — „ვთქვენ ხელობანი ქვენანი, რომელნი ხორცთა ჰხვდებიან", რომელიც პოემაშია ხორცშესხმული, არის მიჯნურობის მეორე სახე ანუ საშუალი ორ უკიდურესობას (საზეოსამკვეყნიო მისტიკური ტრფიალება და ხორციელი სულსწრაფობა) შორის. მას არისტოტელური საშუალის გამოხატულებად მიაჩნია აგრეთვე „სამთა თათბირიდან" ტარიელის გეგმის მოწონება-ხორშესხმა და სხვ.

ე. ხინთიბიძე საყურადღებო აზრს ავითარებს სიუხვის არისტოტელისეულ გაგებასა და „ვეფხისტყაოსანში" გამოხატულ შესაბამის იდეაზე, ამ ჭრილში იხილავს ვაჟკაცობის საკითხსაც. შეეჩერდეთ თითოეულ მათგანზე.

სიუხვის არისტოტელური გაგება და „ვეფხისტყაოსანი"

როგორც ვიცით, რუსთაველი ჩამოთვლის იდეალური მიჯნურის (სრულქმნილი პიროვნების) საჭირო „ზნეობებს" ანუ ზნეობითს თვისებებს (იხ. 23-ე სტრ.), რომელთა შორის ყურადღებას იქცევს სი-

---

1 რა არის ეს საშუალი, რომელიც არისტოტელეს სათნოებად მიაჩნია? ფილოსოფოსის აზრით, ყოველი სათნოება არის საშუალო ორ უკიდურესობას შორის, რომელთაგან თითოეული არის ნაკლი, ზადი, ბიწი, ასე მაგალითად, სიუხვე საშუალია მფლანგველობასა და სიძუნწეს შორის, სიმაყე — თავმოწონებასა და მორჩილებას შორის, თავდაბლობა — მორცხვობასა და ურცხვობას შორის, შახვილგონიერება — ხუმრობასა და უხეშობას შორის. აი, სწორედ ამგვარი საშუალი არის სათნოება (ზნეობრივი სრულქმნილება) და ამიტომ არის იგი ძნელად მისაგნები, თუ მისაღწევი, ამდენად, თავისი არსით — საუკეთესო.

უხვე და სიმდიდრეც. ისიც კარგადაა ცნობილი, რა დიდი დავა გამოიწვია სათნოების ამ სახეებმა მეცნიერებაში. ბევრს ისინი ინტერპოლატორთა ნაცოდვილარად მიაჩნდა და ხან როგორ გადააკეთეს და ხან როგორ: სიბრძნეთ(თ)სიმდიდრე, სიუხვე"... „სიბრძნე, სიუხვე, სიმდაბლე" და სხვ.

„არისტოტელეს სათნოებათა რიგში ერთ-ერთია სიუხვე, როგორც ზნეობრივი სრულქმნილება... არისტოტელე გარკვევით მიუთითებს: ყველა სათნოებისაგან, რომლებიც ხალხში პოპულარულია, სიუხვე ყველაზე მეტი სიყვარულით სარგებლობს, რადგან იგი სარგებლობის მომცემია და საბოძვრის გაცემაში მდგომარეობს. სიუხვე საჭირო და სასარგებლოა იმისათვის, ვინც არის უხვი, რამდენადაც ის, ვინ იღებს საბოძვარს, ერთგვარად ქვეშევრდომიც და მოვალეც ხდება... უხვი გასცემს სიმდიდრეს არა ანგარებით, არა რაიმე მიზნით, არამედ იმიტომ, რომ ეს არის სათნოება და ყოველი სათნოება კარგია, საუკეთესოა. სიუხვე უფრო მეტად მას ახასიათებს, ვისაც სიმდიდრე მემკვიდრეობით მიუღია და არა იმას, ვისაც იგი საკუთრივ შეუძენია.

„სიჭარბეს სიმდიდრის გაცემაში,— წერს არისტოტელე,— ეწოდება მფლანგველობა, ხოლო უკმარობას — სიძუნწე".

„ვეფხისტყაოსანის" პერსონაჟთათვისაც მკვეთრად დამახასიათებელია სიუხვე.

ა. პოემის გმირები გრძნობენ, იციან, რომ ხალხს, ადამიანებს უყვართ სიუხვე.

თინათინი, ავთანდილი, ტარიელი უხვად გასცემენ საბოძვარს. ეს პოემის გმირთა ჩვეული თვისებაა: „მეფეთა შიგან სიუხვე, ვით ედემს ალვა რგულია", რაც თავისთავად ამ შედეგს მომტანია: „უხვსა ჰმორჩილობს ყოველი, იგიცა, ვინ ორგულია".

ბ. ტარიელმა კარგად იცის, საბოძვარი ვის მისცეს, რამდენი მისცეს. ნესტანის გათავისუფლების შემდეგ ფატმანს ქაჯეთის ციხის სიმდიდრით ასაჩუქრებს, ქაჯეთის სამეფოს ზღვათა ხელმწიფეს უძღვნის, თავის საკუთარ სიმდიდრეს (დევების განძს) კი მთლიანად — ფრიდონს. ავთანდილს არ ასაჩუქრებს. ცდილობს მეგობრობა მეგობრობით გადაუხადოს. არც როსტევან მეფესთან და თინათინთან მიაქვს ძღვენი...

ჩვენი აზრით, ეს ორი არგუმენტი — მეგობრული სიყვარული და ძღვენის არკადრება — შესანიშნავადაა გამოხატული ტარიელის ნათქვამში:

„აწ ამად მოვალ წინაშე, დავყარენ ჩემნი გზანია,
შემინდოთ, რაცა შეგცოდე, ჰქმნენეთ გაწყრომისა, კმანია,

ძღვენი არა მაქვს, მმოწმობენ ფრიდონ და მისნი ყმანია,
ოდენ ძღვნად თქვენი ავთანდილ მე თქვენთვის მომიტანია" (1514).

გ. თინათინი სიმდიდრეს სამეკვიდრეოდან გასცემს:

„მომართვი ჩემი ყველაი, ჩემი ნაუფლისწულევი,
მოართვეს, გასცა უზომო, უანგარიშო ულევი".

დ. არისტოტელეს აზრით, სიძუნწე ხშირად თან სდევს სიბერეს. როსტევანმა, რომელიც ამტკიცებდა: „მე გარდავსულვარ სიბერე მჭირსო"... შემთხვევით არ იტყვა სოგრატ ვეზირის სიტყვები: „დაგლრეჯია მეფეო, ალარ გიცინის პირიო,
მართალ ხარ: წახდა საჭურჭლე თქვენი მძიმე და ძვირიო"...

როსტევანმა იმწამსვე მიუგო: „ჩემი ზრახვა სიძუნწისა, ტყუის, ვინცა დაიუბედნა".

ე. დაბოლოს, რუსთაველი, როგორც არისტოტელე, სიუხვეს წარმოადგენს როგორც ორი უკიდურესობის, მფლანგველობისა და სიძუნწის საშუალს: როსტევანს სოგრატმა და ავთანდილმა ხუმრობით მიმართეს: მართალი ხარ, მეფევ, გაქვს მწუხარების მიზეზი. თქვენი ასული მფლანგველია, მთელ სიმდიდრეს გასცემს: ...„ყოლამცა მეფედ ნუ დასვი, თავსა რად უგდე ჰირიო".

როსტევანმა იგრძნო, რომ მოწყენა სიძუნწეში ჩამოართვეს... იდეათა ნათესაობა ნათელია.

ვაჟკაცობა

არისტოტელეს აზრით, ჭეშმარიტი ვაჟკაცი ორი უკიდურესობის — მამაცობისა და ლაჩრობის „საშუალია". ვაჟკაცობა არ გამორიცხავს შიშს, რადგან არის საგნები, რომლებისაც ჭეშმარიტ ვაჟკაცს უნდა ეშინოდეს. ესენია: ზნეობრივი მანკი — სახელის გატეხვა, უსახელობა, ცუდი სახელი. ვისაც უსახელობის ეშინია, ის კარგი ადამიანია, ვისაც არ ეშინია — ურცხვია. მაგრამ ჭეშმარიტ ვაჟკაცს არ უნდა ეშინოდეს სილარიბის, ავადმყოფობის, რისი წყაროც არ არის ბოროტება, რაც არ ექვემდებარება თვითონ ადამიანს. ამდენად ნამდვილი ვაჟკაცი არის ის, ვინც უშიშრად ეგებება ლამაზ სიკვდილს; ხიფათის ეშინია მხოლოდ მშვენიერი მიზნის განხორციელების გზაზე... „ვეფხისტყაოსანში" გაშოვლენილ სათანადო მაგალითებზე ალარ შევჩერდებით.

ხხვადახხვა

არისტოტელეს ეთიკური კონცეფციის მსგავსად პოემაშიც გონება გაიდეალებული. ფილოსოფოსის მტკიცებით, გონებაა ჩვენში ღვთაებრივი და ღვთაების მსგავსი. გონება, გონიერება აქცევს ორფეხა ცხოველს ადამიანად. „ვეფხისტყაოსანი" ავითარებს გონების კულტის იდეას.

არისტოტელეს ეთიკურ სისტემაში საგანგებო ადგილი უჭირავს პრაქტიკულობას. მას ზნეობრივ სრულქმნილებად მიიჩნევს... ზნეობრივად სრულქმნილი ადამიანის დამოკიდებულება მეგობრისადმი ისეთია, როგორც საკუთარი თავისადმი, რადგან მეგობარი არის მეორე „მე". ანალოგიები რუსთაველთან უამრავი მოიძებნება, მაგრამ რუსთაველის შეხედულება მეგობრობაზე არავითარ შემთხვევაში არ დაიყვანება არისტოტელესეულ თვალსაზრისზე. რუსთაველის შეხედულება უსათუოდ ნასაზრდოებია ქრისტიანული „მოყვასის სიყვარულის" გაგებითაც. არისტოტელეს აზრით, მეგობრობა რამდენიმეს მიმართ გამორიცხულია. პოემაში სამი გმირის მეგობრობას პირდაპირი კავშირი აქვს ქართული ხალხური ძმადნაფიცობის ინსტიტუტთან. ამ სპეციფიკურობით რუსთაველის ეთიკური შეხედულებების ერთ-ერთი წყარო ქართული ეროვნული ზნეობაა.

რუსთაველის ეთიკურ შეხედულებებში მკვეთრადაა ჩაქსოვილი ქართული ეროვნული ხასიათის ნიშანდობლივი და სპეციფიკური მოელენა — ქალის კულტი.

პროლოგში რუსთაველი იდეალური ადამიანისათვის (პიროვნებისათვის) დამახასიათებელ ათ სულიერ და ფიზიკურ ზნეობას ჩამოთვლის. ამ ათიდან შვიდი უშუალო მიმართებას პოულობს არისტოტელესთან, მაგრამ დანარჩენი სამი ფიზიკურ-ზნეობრივი ღირსებებიდან „თვალად სიტურფე" და „სიყმე" რაინდული ეთიკის სპეციფიკური თვისებებია.

არისტოტელემ საკუთარი ეთიკური პრინციპების კვალდაკვალ შექმნა იდეალური პიროვნების შესანიშნავი ინდივიდის სახე, რომელსაც ფილოსოფოსი დიდსულოვანს უწოდებს, რამდენადაც მასში დიადი სული, არის ჩაბუდებული. ამ მხრივ მას ენათესავება რუსთაველი. მსგავსად არისტოტელეს იდეალური ინდივიდისა, რუსთაველის გმირები ხასიათდებიან ზომიერი სიამაყით. ის, ვინც თავის თავს აფასებს იმაზე ნაკლებ, რისი ღირსიცაა, არ არის დიდსულოვანი. არისტოტელე ერთმანეთს უპირისპირებს ბრბოს, მასას და პიროვნებას. ფილოსოფიის დიდსულოვანი ბრბოს ყოველთვის ალშაცერად უცქერის, უყვარს ირონიული მიმართვა მისადმი. დიდსულოვანს პირველ რიგში სიუხვე ახასიათებს. დიდსულოვანს სიუხვისათვის სიმდიდრე სჭირდება. ღარიბს კი არასდროს ექნება საშუალება გასცეს დიდი სიმდიდრე. ამდენად დიდსულოვანი უნდა იყოს დიდგვაროვანი და მიისწრაფოდეს სახელმწიფო ძალაუფლებისაკენ, რადგან სახელმწიფო ძალაუფლებაც დიდებისა და პატივის საქმეა. დიდსულოვანი ყოველთვის პატივის. დიდებისა და სახელისაკენ მიილტვის, რადგან არისტოტელეს განმარტებით, სახელი უმაღლესია გარეგან სიკეთეთა შორის. დიდსულოვანი ყოველთვის ცდილობს, რომ თვითონ იყოს მწყალობელი, მბოძებელი, ერიდება სხვისაგან

საჩუქრის მიღებას, სხვისი წყალობის ობიექტად გახდომას, რადგან საჩუქრის გაცემა ახასიათებს ადამიანს, რომელიც აღმატებულია სხვაზე. ხოლო საჩუქრის (წყალობის) მიღება — ადამიანს, რომელიც დაქვემდებარებულია სხვაზე. დიდსულოვანი არავის გავლენას არ განიცდის, გარდა მეგობრისა. არისტოტელეს აზრით, იგი არავისზე არაა დამოკიდებული, გარდა მეგობრისა, რადგან ყოველგვარი გავლენა მონური თვისებაა. ავთანდილი განიცდიდა თინათინის გავლენას. ტარიელი ავთანდილისას, მაგრამ ისინი მეგობრები იყვნენ.

მართალი სიმართლის ცნებისათვის

არისტოტელეს აქვს ტერმინი „უტყუარი, მართალი სიმართლე". შესაძლებელია განმარტებით: უტყუარი სიმართლე არის მართალი არა კანონის თვალსაზრისით, არამედ დაკანონებული სამართლიანობის შესწორებაა. ფილოსოფოსი იქვე განმარტავს, რაა ამის მიზეზი. ამის მიზეზი ის არის, რომ ყოველგვარი კანონი არის ზოგადი, იგი ეხება ისეთ შემთხვევებს, რომლებიც უფრო ხშირად ხდება, სინამდვილეში პრაქტიკულად შექმნილი სიტუაცია კი კანონით ხშირად გაუთვალისწინებელი რჩება. მიუხედავად ამისა, მისივე აზრით, კანონი მაინც სწორია. შეცდომას იწვევს არა კანონი ან კანონმდებელი, არამედ კანონის ობიექტის სირთულე... ამიტომ უტყუარი სამართალი თავისი კონკრეტულობის გამო არ შეიცავს შეცდომას, ზოგადი კი თავისი ზოგადობის გამო, რომელიმე ფაქტის მიმართ მცდარია. იგი ფორმალური სიმართლეა.

ამგვარად, მართალი სამართალი ნიშნავდა განსაკუთრებულ კონკრეტულ სიტუაციაში არა ფორმალურ სამართალზე დაყრდნობას, არამედ ჭეშმარიტი, ბუნებითი სიმართლის განხორციელებას, ანუ კონკრეტულ სიტუაციაში სიმართლეს ბუნებითი სიმართლით.

„ვეფხისტყაოსნის" მართალი სამართალი სწორედ ამ გაგების შემცველი უნდა იყოს.

სეარაზმ შაჰის ძის მოკვლა არც ღვთაებრივი, არც ოფიციალური სამართლებრივი კოდექსით სამართლიანობად არამც და არამც არ ჩაითვლება. ტარიელი და ნესტანი მართალნი არიან არა ღვთაებრივი თვალსაზრისით, არამედ მათი ადამიანური თვალსაზრისით. მათი სიმართლე მათ ადამიანობაში, ადამიანური გრძნობების, აზროვნების პატივისცემაში მჟღომარეობს. ტარიელი და ნესტანი მართალნი არ არიან არც ოფიციალური კანონმდებლობით. მათი სიმართლე მხოლოდ და მხოლოდ მათ წინაშე კონკრეტულად დასმული ამოცანის სწორ გადაწყვეტაში მდგომარეობს. გმირთა მოქმედება ეთიკის სფეროს განეკუთვნება. ნესტანი და ტარიელი, თავის მხრივ, როგორც

უსამართლოდ დასჯილნი, მართლები არიან. არისტოტელეს თქმით, „კაცია მართალი“. ნესტანსა და ტარიელს გულებში მხოლოდ სიმართლე აქვთ, მათ ქმედებას ბოროტი ზრახვა არ კვებავს, მათი ნაბიჯი შექმნილი სიტუაციიდან ერთადერთი გამოსავალია, მაგრამ...

მათ სწამდათ, რომ იქვეყნად ღმერთი მათ ცოდვა-სამართლიანობას მართალი სამართლით შეაფასებდა (აღრე მორწმუნეებს ხატოვად ჰქონდათ წარმოდგენილი იქვეყნიური მართალი სამართალი: თითოეულის გული იწონებოდა სასწორზე ზუსტად და თითოეულს ზუსტად შესაბამისი სასჯელი მიესჯებოდა).

მართალი სამართლის ცნების ამგვარ გაგებას ერთგვარი სინათლე შეაქვს ე. წ. „აბდულმესიანის“ სტროფშიც: „ესა მართალი: ე სამართალი ხეს შეიქმს ხმელსა წყალმომდინარედ“. ამ სიტყვების წინ საუბარია თამარის შემწყნარებლობაზე, მის მოწყალებაზე, იმაზე, რომ მას არ ახასიათებს რისხვა: „არა სთნავს რისხვა. გესმის? — არც სხვა: ნაშდვილ ჩვეული მოწყალებისა“.

მართალი სამართალი სახარებიდან დამკვიდრდა, რაც ნიშნავს კონკრეტულ სიტუაციაში. პრაქტიკულად შექმნილ მდგომარეობაში სამართლიანობას ბუნებითი სიმართლით და არა სამართლებრივი ნორმებით.

ნესტანის წერილში ხაზგასმულია გულის სიმართლე: „რაცა ვიჩივლე ბედისა ჩემისა, კნა საჩივარად; ცან, სამართალი მართალი გულისა გულსა მივა რად“... არც ინდოეთის, არც რომელიმე ქვეყნის საეკლესიო სამართალს არ ექვემდებარება ნესტანისა და ტარიელის რწმენა მათს სამართლებრივ ქმედებაზე და, მაშასადამე, მათს უდანაშაულობაზე, ამ მხრივ მათი საიქიოში შეხვედრის რწმენებას, იმედს, ჩვენი აზრით (ნ. რ.), მხოლოდ სახარება (ადამიანის გულის სიმართლით შეფასება) კვებავს.

არისტოტელეს ამ სამართლებრივ ფორმას — „უტყუარ სიმართლეს“ — უდიდესი მნიშვნელობა მიანიჭა XIII საუკუნის ევროპულმა აზროვნებამ. ჯერ თომა აქვინელმა და შემდეგ თომისტებმა იგი ქველმოქმედებად მიიჩნიეს და მასში ადამიანური მოქმედების უმაღლესი წესი დაინახეს. ამავე შინაარსს დებს რუსთაველიც „მართალი სამართლის ქმნაში“. იგი მას მიაჩნია ადამიანური მოქმედების უმაღლეს ნორმად და, ამდენად, ქველმოქმედებად.

რუსთაველი პრინციპულად ეყრდნობა, აგრძელებს და აღრმავებს იმ ტიპის აზროვნებას, რომელსაც XII — XIII ს. ს. „მოწინავე აზროვნების“ სახელით ვიცნობთ. მის მსოფლმხედველობას აყალიბებს ყველა ის პროგრესული ნაკადი, რომლებმაც ამ საუკუნეებში ბრძოლა გამოუცხადა ძველ სამყაროს. რუსთაველის ახალი, რენესანსუ-

ლი აზროვნებაც იმავე საფუძველზე შენდება, რაც მახლობელი საუკუნეების პროგრესმა დასვა დღის წესრიგში და რამაც კაცობრიობა ახალი ერას — რენესანსამდე მიიყვანა.

ა. ლოსევი და ძართული რენესანსის საკითხები

ა. ლოსევი წერილში „აღორძინების ესთეტიკა", უპირველეს ყოვლისა, ცდილობს განსაზღვროს რენესანსის ზოგადი ტიპოლოგიური შინაარსი, წარმოაჩინოს მისი საერთო მახასიათებლები. ასეთ ერთ-ერთ უმთავრეს მახასიათებლად მას მიაჩნია დიალოგიურობა, თანაც დიალოგიურობა არა მხოლოდ თეოლოგიურ აპექტში და ისიც წარსულთან, არამედ თავისივე არარენესანსულ თანამედროვეობასთან და ზოგჯერ მომაელის სრულად უცხო მოვლენებთანაც კი. რენესანსის უმთავრესი სახასიათებელი მას ესთეტიკის სფეროში ეგულისხმება ესთეტიციზმი, რომელიც ზოგიერთ შემთხვევაში მარტო ხელოვნების დარგით კი არ შემოიფარგლება, არამედ მოიცავს ცხოვრების ყველა მნიშვნელოვან მოვლენას. ამდენად, ძნელია რენესანსის თვით ცნების განსაზღვრა. ვერც ჰუმანიზმი, ვერც ანტიკის აღორძინება, ანდა, თუნდაც, სამყაროსა და ადამიანის აღმოჩენა — ვერც მათი უბრალო ჯამი ამომწურავად ვერ გვიჩვენებს რენესანსის არსს, ამ მოვლენის მთელს სირთულეს, ვერც პირდაპირი და ვერც მეტაფორული მიახლოებით. „უკუთქმითი განმარტებისდა" გვარად ჩვენ უფრო ზუსტად ის შეგვიძლია ვთქვათ, თუ რა არ არის რენესანსი. იტალიური რენესანსის ხანაში ძნელია დავასახელოთ ერთი რომელიმე ლიტერატურული პერსონაჟი, რომელიც იქნებოდა მთელი იმდროინდელი კულტურის სიმბოლო (ქართული რენესანსის მრავალწახნაგოვნობას. ალბათ ვერ ამოწურავს იდეით უნივერსალური გმირიც კი, როგორიც ავთანდილია).

ა. ლოსევი გვიჩვენებს, თუ რაოდენ ვლინდება ლეონარდოს ესთეტიკაში რენესანსული უნივერსალიზმი, როცა ადამიანებს დაეუფლა საკუთარი დროის სისავსის შეგრძნება, შეგრძნება „ახალი ცხოვრებისა". ამ დროს არ შეიძლებოდა დიდად ახლოხედვა არ გაეჩვარიყო ცნობილი ნეოპლატონური იდეა, რომელიც თანაბრად ღვთიური სისავსის სიჭარბეა, სამყაროც ამ სიჭარბის გადმოღვრად შექმნილა. ადამიანი თავს თვლის არა ღვთის მონად, არამედ მის რაინდ მსახურად და იგი ამაყობს ამით.

ადამიანმა თავის თავი სამყაროს ცენტრად წარმოიდგინა. მაგრამ საკუთარი „მეს" ამგვარმა განდიდებამ და საკუთარი „მეს" იმედით დარჩენამ, წარმოშვა მოულოდნელი შიშიც. ეს იყო შიში მარტოობისა, დარდი მომავალზე, რომელიც დაბადა ადამიანური შემეცნების კულტმა („თავისისა ცნობისაგან ჩავარდების კაცი ჭირსა"). რენესან-

სისათვის ორგანულია არა მარტო ტიტანიზმი, არამედ „მეორე მხარე ტიტანიზმისა“...

აღორძინების ხანაში ესთეტიკური ხასიათისაა არა მხოლოდ ცხოვრების წესი, არამედ თვით „წესი აზროვნებისა“. ა. ლოსევს ძალზე ბევრი მაგალითი მოჰყავს იტალიური რენესანსიდან, რომელთა მსგავსი რუსთაველს ეპოქაშიც დაიძებნება, როცა პიროვნებანი არ ერიდებიან მიუღებელ, მაგრამ მიმზიდველ საქციელს. ამგვარ საქციელს ამართლებს ესთეტიკა და მერე ის თავის წესს და რიგს ახვევს თავს ეთიკას.

ნებისმიერი რენესანსული ადამიანური ქმედება აღბეჭდილია სტიქიური ინდივიდუალიზმით, პიროვნულ-ადამიანური თვითდამკვიდრებისაკენ სწრაფვით. ცხოვრების სტიქიურ-ინდივიდუალურმა წყურვილმა რენესანსი აქცია დაპირისპირებულობათა გამწვავების ხანად. ზეცის სიშორის განცდა აძლიერებდა სურვილს მასთან მიახლებისას, მაგრამ ისე, რომ ამ წყვილზეც მყარად მდგარიყო. აქედან იწყება აზროვნების ესთეტიზაცია. ესთეტიზაცია რელიგიური წარმოდგენებისა, რასაც თან ახლავს განცდა და ტკბობა. რენესანსული ადამიანები სავსებით კი არ ეშვიებიან წარსულს, არამედ იქიდან გადმოაქვთ ყველაზე საუკეთესო, თუნდაც იგი ძალზე შორეულს ეკუთვნოდეს. მაგალითად, რენესანსელები ძველი ელინივით შესტრფიან სხეულის სილამაზეს, რომელსაც კიდევ უფრო წარმტაცს ხდის მშვენიერი, ამაღლებული სული. ამიტომ „მხიარული და ლაღი პლატონიზმი“ უფრო ესადაგებოდა რენესანსულ ფსიქიკას.

თუ მოქანდაკის თვალში ტაძარი არის ბუნების ჰარმონიის „ლოგიკური სქემა“, განტვირთული ყოველივე არაარსებითისაგან და ასე განწმენდილად მოცემული ქვაში, განა ადამიანი არ შეიძლება მივიჩნიოთ სამყაროს უდიდეს ჰარმონიად, ასე იქცევა „ადამიანი სამყაროს შოდელად და მიესწრაფვის თავისთავის აღმოჩენას“—ლეონარდო და ვინჩი).

ქრისტიანობამ შეაჩვია ხალხი ცხოვრებას „თავის თავში ყოფნით“, ზეცა მისთვის მხოლოდ ღმერთის საუფლოა, თვითონ კი მისი ფეხთა მტვერია... რენესანსის დროს „მე — ადამიანი“ იცვლება „მე — პიროვნებით“. ადამიანი თავის თავშივე შეიგრძნობს ღვთაებრივს და ესაა ადამიანობის სისავსის სიჭარბე თვით ადამიანში...

„ღმერთი ჩვენშია“, — ეს აზრი რენესანსელისათვის ესთეტიკურ შინაარს იძენს. თავის თავში ღმერთის შეგრძნობა თვითსრულყოფის რენესანსული გზაა... ადამიანი ნეოპლატონური ღმერთის მსგავსია. ღმერთმა შესაქმე დაამთავრა იმიტომ, რომ შექმნა შემოქმედი. ამიერიდან ადამიანის შემოქმედება ცვლის ღვთაებრივს...

რენესანსული ადამიანი არ მოერიდა საშიშ და სარისკო მკვეთრ

თვითშემეცნებას, ღვთაებრივ საწყისში სიღრმეებში ჩახედვას, არსათქმელის თქმას. „ეს იყო ეპოქა უზარმაზარი მოუთმენლობისა. ეგზისტენცია (არსებობა) განიცდებოდა დაძაბულობად. ამ დროს ადამიანის სულიერი ნავთსაყუდელი ხდება მშვენიერება, სადაც გადალახულია დაპირისპირებულობათა დაძაბულობა (არ შეიძლება არ დავინახოთ ჩანასახი იდეისა — „მშვენიერება ხსნის ქვეყანასა"). აქედანვე იწყება პოწაქებრივი თავდადება სილამაზისათვის. იგი შესძენს მას უნარს ვადგაცური ილუზიებით ცხოვრებისას.

სილამაზე სასწაულია, ისაა იდუმალებით მიმზიდველი „ოაღაც". რომელიც ეცხადება გონიერთ და ძლიერთ მათ, ვისაც ძალუძთ ამ სასწაულით ტკბობა. მყარდება რაინდული მოვალეობა — მიესწრაფვოდნენ ლამაზ ხიდათს...

რენესანსულ პიროვნებას ბენებრივად უჩნდებოდა თავისი ღვთაებრიობის განცდა იმ განსაცვიფრებელი წარმატებების გამო, რომელიც ამ ეპოქაში განახორციელა ადამიანმა. ამიტომ სრულიად აბლებური შინაარსი შეიძინა რენესანსელებისათვის ევანგელისტის სიტყვებმა: „იყვენით თქვენ სრულ, ვითარცა მამაი ზეცათაი სრულ არს".

ნეოპლატონიზმი რენესანსისათვის მხოლოდ თეორიული მოძღვრება კი არ იყო, ან მხოლოდ ცხოვრების ფილოსოფია, იგი „იყო გარკვეული ტიპი ცხოვრებისა". იგი ამკვიდრებდა „სუბიექტურ-ინდივიდუალისტურ სწრაფვას ცხოვრებისეული შეგრძნებებისაკენ". ეს იყო ახალგაზრდული და ლამაზი ინდივიდუალიზმი", რასაც ახლდა თავისუფლების გამომხატველი არტისტიზმი... პირველად დაისახა გზები ღმერთთან უშუალო მიახლოებისა, როცა აღარაა აუცილებელი საეკლესიო წესის შესრულება. ამაში ბევრმა არსებითმა სიახლემ ჰპოვა გამოხატულება.

პიროვნული საწყისის გაძლიერებამ მოიტანა სიცილი, რაც ასახვას პოვებს მწერლობაშიაც და ფერწერაშიც. ამით აშკარად განსხვავდება რენესანსი შუა საუკუნეებისაგან.

ჰომერული მხიარულების შემდეგ სიხარულის ხმა მინელდა. მთელ შუა საუკუნეებში თითქმის არსად არ ისმის სიცილი. სიბრძნე და ნაღვლიანობა გაერთმნიშვნელიანდა. შუა საუკუნეებს ჰქონდა თავისი დიდი სიხარული, მაგრამ სიცილის გარეშე.

რენესანსმა თითქოსდა თავიდან აღმოაჩინა სიცილი და ეს იქცა მის ერთ-ერთ ყველაზე წარმატაც აღმოჩენად. მერე ამან მოიტანა ღიმილის სილამაზის შეგრძნება (მიუხედავად მწუხარებისა, „ვეფხისტყაოსანში" ძალზე ბევრია ღიმილი და სიცილი).

რენესანსმა უარყო ნაღვლიანი სერიოზულობის აპოლოგია. ეკლე-

სიასტური მონანიე ბრძენის ნაცვლად დაჰმკვიდრა ხალისიანი და ლაღი მოაზროვნის კულტი.

სიცილი შინაგანი თავისუფლების მაჩვენებელი შეიქმნა...

რენესანსი მოწოდებული იყო ჰარმონიათა ძიებისაკენ, ცისა და მიწის მორიგებისაკენ, ხეთა სიბრძნისა და გარეშე სიბრძნის შეთანხმებისაკენ. მაგრამ ამას თან ახლდა საწინააღმდეგო ტენდენციები. პიროვნების ელიტურმა თავისუფლებამ წარმოშვა შიში, რომ „ადამიანი დაწყევლილია თავისუფლებით“... გაჩნდა შიში, რომ კაცი მარტოა, შეწყის გარეშეა... ასე დაიწყო რენესანსის დიდი შინაგანი დრამატიზმი და გამოსავალს ხშირად ისეთი გზებით ნახულობდნენ, რომლითაც შორდებოდნენ რენესანსის მაღალ იდეებს. ასე უაუკავშირდა რენესანსისდროინდელი მოაზროვნე ფაუსტი მეფისტოფელს. ამგვარი ანტიჰუმანიზმიც რენესანსის ორგანული ნაწილი ხდებოდა...

ასე მრავალმხრივ გვიჩვენა ა. ლოსევმა რენესანსის ურთიერთსაწინააღმდეგო ტენდენციების აუცილებლობითი თანაარსებობა.

პირდაპირ ვერ ვიტყვით, ქართულ რენესანსოლოგიაში უგულებელყოფილი თუ არა, ხშირად დაიწყებულია „ტიტანიზმის მეორე მხარე“. ჩვენ უფრო პოზიტიურ მხარეებზე ვამახვილებთ ყურადღებას და ფაქტობრივად ამით აკოჭლურავთ მთელს რენესანსულ სინამდვილეს. ამის შედეგია, რომ ქართული რენესანსი თითქმის მთლიანად საერო ტენდენციებზე დავიყვანეთ, საკუთრივ საეკლესიო ნაკადი ფართოდ ვერაფერ შევიტანეთ რენესანსული მოვლენების კომპლექსში. ამ ნაკადს ორი გზა დავუტოვეთ: ერეტიკულად მოდეზირება და ფილოსოფიის სფერო. ამიტომაც იყო, რომ ქართული რენესანსის კონტექსტიდან ამოვარდნილი დარჩა ნიკოლოზ გულაბერისძის ტრაქტატი — „საკითხავი სვეტისა ცხოველისაი“... რომელშიც ავტორი წმინდა ნინოს პოხმობით მიდის ქალის ღირსების ქადაგებამდე. აქვე მოცემულია ბევრი ისეთი ახლებური გააზრება, რომლითაც გულაბერისძე რენესანსული კულტურის გამომხატველ მსახურად გვევლინება.

ადამიანის მიერ საკუთარი ძალის შეგრძნებამ, თავის შეცნობამ გამოწვია „ზეცის ლაშქრება“. ადამიანისათვის საღვთო ვანგების შეცვლება, რაც უნდა გვეკვირვებულიყო ამ ექიპის დიდი ჰუმანიზმით, რომ მიუხედავად იმისა, კოპერნიკის ჰელიოცენტრისტულმა სისტემამ პლანეტა აქცია სამყაროს უმნიშვნელო მტერად, ხოლო ადამიანი მტერის ნამცეცზე მცხოვრებად), ტრაგიზმის მიუხედავად. სწორედ მას ალმერთებენ. რენესანსელები ადამიანში განადიდებენ ადამიანს და არა მხოლოდ ანგელოზს. და ამაში ხედავენ ადამიანის ხსნას. მიუხედავად ყოველგვარი ნაკლისა, ადამიანს არ უნდა დაეკარგა რწმენა ადამიანისა, ტანჯვა პირველცოდვის შედეგი კი არაა,

არამედ ცხოვრების აუცილებლობა. ადამიანმა თავის თავშივე უნდა ბაზოს ძალა საკუთარი ტრაგიზმის დაძლევისათვის და ესაა მისი ღვთაებრივი მოწოდება.

ლოსევს წიგნი იტალიური რენესანსისადმია მიძღვნილი, მაგრამ ეხება აღმოსავლური რენასანსის საკითხებსაც და, განსაკუთრებით, ქართულს.

ქართული რენესანსის საფუძვლად შ. ნუცუბიძის მიერ ნეოპლატონიზმის აღიარებას ა. ლოსევი მიიჩნევს „ფრიად მნიშვნელოვან აღმოჩენად“ და მას მრავალმხრივ ეყრდნობა, რადგან, ლოსევის აზრით, „იგი საშუალებას ქმნის უფრო ღრმად ჩავწვდეთ იტალიურ რენესანს“ (33),

ა. ლოსევი ასევე დიდ მნიშვნელობას აძლევს შ. ნუცუბიძის კვლევას იმის თაობაზე, რომ მწვალებლობანი მომდინარეობენ აღმოსავლეთიდან... ისინი ძირს უთხრიდნენ აზროვნებისა და ცხოვრების სქოლასტიკურ წყობას. ამ აზრით დასავლური რენესანსი დიდად დავალებულია აღმოსავლურისაგან...

ა. ლოსევს მიაჩნია, რომ ნუცუბიძისეული მოსაზრებანი ჩამოყალიბდა ქართული ლიტერატურის თეორიული პრობლემატიკიდან ამოსვლით. მეტად მაღალი დონე ქართული მედიაევალური (შუასაუკუნეების) მწერლობისა, დიდი გარდატეხა XII საუკუნის დასაწყისში, აღმოსავლურ-დასავლური სინთეზი, რუსთაველი და მთელი თამარის ხანა, — იძლეოდა უფლებას მოველენები განხილულიყო მსოფლიო ლიტერატურის უმთავრეს მიღწევათა ფონზე.

ა. ლოსევი აღმოსავლური რენესანსის მომხრეთა შორის, სრულიად განსხვავებულია ნ. კონრადისაგან. შ. ნუცუბიძის ნააზრევმა სხვადასხვაგვარი გავლენა მოახდინა, ერთი მხრივ, ა. ლოსევზე — ვინაც იტალიური რენესანსის გასაღები დაინახა მასში, და, მეორე მხრივ, ნ. კონრადზე. რომელმაც მასში იპოვა საფუძველი რენესანსთა პერმანენტული (ბუდმივი) განვითარებისა.

თავად შ. ნუცუბიძის თეორია არსებითად ნაყოფი იყო ქართული ლიტერატურათმცოდნეობითი აზრისა. მის კონცეფციას წინ უძღოდა რამდენიმე მოსაზრება და თეორია ქართული საერო მწერლობის წარმოშობის თაობაზე (ს. დოდაშვილის, ნ. მარის, პ. ინგოროყვას, კ. კეკელიძის). ქართული საერო მწერლობის გენეზისის პრობლემა გადაიზარდა აღმოსავლური რენესანსის თეორიაში, ანუ მოხდა ისე, რომ ქართული საერო მწერლობის წარმოშობის მოდელი ევროპული ლიტერატურის განვითარებას შეემსგავსა: წარმართობა— შუასაუკუნეობრივი რეგრესი — აღორძინება (მოდელი მისი არამექანიკური გაგებით).

შ. ნუცუბიძისათვის არსებითია არა ანტიკის აღორძინება... (პ. ინგოროყვას კონცეფციის ერთ-ერთი უმთავრესი ამოსავალი), ანდა

ქრისტიანობის კლასიკური წარსული და მისი განვითარება (კ. კეკელიძისეული კონცეფცია), არამედ შუასაუკუნეებრივი ერესი. ფაქტიურად ერესია (რელიგიური მოძღვრება, რომელიც ეწინააღმდეგება გაბატონებული რელიგიის საეკლესიო დოგმატებს; მწვალებლობა). ის ჰეორიაში რენესანსული მოძრაობის საფუძველი. შ. ნუცუბიძეს დამსახურებაა აგრეთვე არა მარტო დიონისე არეოპაგელის ფსევდონიმის „გახსნა“, არამედ არეოპაგიტული პრობლემატიკის ქართველოლოგიაში ჩართვა და მისი ყველაზე აქტუალურ საკითხად ქცევა.

ასე შეიქმნა დიდად მნიშვნელოვანი კულტურულ-ისტორიული შინაარსის მქონე თეორია აღმოსავლური რენესანსისა, სადაც წამყვანი ადგილი მიენიჭა ქართულ რენესანსს, კერძოდ, რუსთაველის შემოქმედებას.

შ. ნუცუბიძემ პირველად წარმოაჩინა „ვეფხისტყაოსნის“ სიახლოვე დასავლეთისა აღმოსავლეთის მწერლობასთან არეოპაგიტიკის საფუძველზე. არეოპაგიტიკაში პირველად დაისახა გრანდიოზული სისტემა კოსმოსისა ზეციური და ამქვეყნიური სჰმყაროსი, რომელიც მწყობრ იერარქიულ პრინციპზე იყო აგებული და ანტიკურობიდან შუა საუკუნეებზე გადასვლას მოასწავებდა.

რენესანსის უმთავრეს ნიშნად შ. ნუცუბიძესთან უნდა მივიჩნიოთ ამქვეყნიურობის რეაბილიტაცია, ზეციური და ამქვეყნიური ვენერას შეხვედრა.

ლოსევის შეფასებით, ბოლო ორმოცწლეულში შ. ნუცუბიძისეული მასშტაბის კულტუროლოგიური თეორია არ შექმნილა. თუ რამ შეიქმნა (ნ. კონრადის პერმანენტური რენესანსის თეორია), ისიც შ. ნუცუბიძის გაღრმავებთ. აქვე პირდაპირ რომ ითქვას, ზოგიერთ მოძღვნტში შ. ნუცუბიძის თეორია დაზუსტება-შეფასებას ითხოვს, რომ თავისი მასშტაბურობის გამო ზედაპირულად არ იქცეს. მაგრამ ეს მის არსებით ფასეულობას არ უარყოფს. ა. ლოსევი წერს: „პირველი და უმთავრესი შეცდომა შ. ნუცუბიძისა ისაა, რომ ყოველგვარ ნეოპლატონიზმს ის თვლიდა უცილობლად ერეტიკულად და ანტისაეკლესიოდ“... (24).

ა. ლოსევი აღნიშნავს: „არეოპაგიტიკა არაა პანთეიზმი, არაერთარი ერეტიკოსი ის არ ყოფილა“ (31). აქვე ნათქვამია: „შ. ხიდაშელი, ისევე როგორც შ. ნუცუბიძე, არ ადგას აღორძინების მიერ შუა საუკუნეებთან კავშირის მთლიანად გაწყვეტის თვალსაზრისს. ისიც აღიარებს შუასაუკუნეობრივ ერესთა გარკვეულ ისტორიულ მნიშვნელობას, მაგრამ იქვე შენიშნავს: „შესწავლამ მწვალებლობისა და მისი როლისა საზოგადოებრივი ფილოსოფიური აზრის განვითარებაში შეუძლია მართებული შედეგები მოგვცეს მხოლოდ მისი ცალკეული ნაირსახეობისადმი კონკრეტულ-ისტორიული მიდგომით

მწვალებლობა შუა საუკუნეებში საერთოდ კი არ წარმოადგენდა „ფეოდალიზმისადმი რევოლუციურ ოპოზიციას, მაგრამ ბევრი მათგანი გამოხატავდა ინტერესებს სრულიად არა ყოველთვის საზოგადოების პროგრესულ ფენათა“ (31—32). ეი ასეთი კორექციების საჭიროებას გვაგრძნობინებს ა. ლოსევი და შ. ნუცუბიძის შემოქმედების აღფრთოვანებული შეფასების მიუხედავად, მასთან დიალოგურ მიმართებას არ კარგავს, როცა მისგან განსხვავებული პოზიცია აქვს.

შ. ნუცუბიძის თეორიაში სადაო უფრო შეფასებების საკითხია. იგი ქართულ რენესანს არეოპაგიტიკაზე ამყარებდა, ე. ი. ქრისტოლოგიაზე - ამით, არსებითად იგი კ. კეკელიძის თეორიას ეხმიანებოდა, რომელსაც რუსთაველის შემოქმედება წინარე საუკუნეების მწერლობიდან გამოჰყავდა. მაგრამ შ. ნუცუბიძე არეოპაგიტიკას ძირითადად ერესად და პანთეიზმად აცხადებდა. შ. ნუცუბიძეს შეეძლო არ შემცდარიყო, რომ არეოპაგიტიკის მისტიკა ანტისაეკლესიოდ და ანტიკურ მეწყვიდრეობად არ ჩაეთვალა. ამიტომაც ხშირად მიზანშეწონილია კ. კეკელიძის მოსაზრებათა მოხმობა — „რუსთაველის მსოფლმხედველობის საფუძველია ბიბლიური ქრისტიანობა, თავისუფალი საეკლესიო დოგმატისაგან, რომ იგი პროგრესულად მოაზროვნეა თვით რელიგიის სფეროშიაც კი“.

რუსთაველისათვის მისაღებია ყოველივე პროგრესული ნებისმიერი მოძღვრებიდან. იგი ამაღლდა რელიგიურ შემწყნარებლობამდე, რაც აღძრავს კითხვას: ხომ არ ჩანს რუსთაველთან წანამძღვრები ე. წ. მსოფლიო რელიგიისა? ეს არ ნიშნავს რელიგიურ ინდიფერენტიზმს. ცხადია, მსოფლიო რელიგიის იდეის განვითარება შეიძლებოდა მხოლოდ ქრისტიანობის საფუძველზე. შესაძლებლობას კი საამისოდ იმდროინდელი საქართველოს სოციალ-პოლიტიკური და სულიერი ატმოსფერო ქმნიდა. მართლმადიდებლური ხელისუფლება აერთიანებდა სულ სხვადასხვა რელიგიის აღმსარებელ ხალხებს: გრიგორიანულისას, მაჰმადიანებს და ა. შ. ქართული მწერლობა ითვისებდა მათს საუზრო მონაპოვარს. აქედან განსხვავებული აღმსარებლობის სიბრძნეთა სინთეზის საკითხი სრულიად ბუნებრივად წამოიჭრებოდა.

რუსთაველის აზროვნების რენესანსულობის ნიშნად უნდა ჩაითვალოს რელიგიის ესთეტიზაცია, რაც ნიშნავს: რელიგიურ პრინციპთა შემწყნარებლობის საზომი პოეტური თვალთახედვაა. ჭეშმარიტების უმაღლესი ფასეულობა „ჭეშმარიტების სილამაზეა“.

ამიტომ რენესანსის უმთავრეს ნიშნად აზროვნების ესთეტიზაცია უნდა მივიჩნიოთ. (აზროვნების ესთეტიზაცია ვრცელდება ქრისტოლოგიის არსებით საკითხებზე. ამ დროს თამარი ღვთაების მეოთხე ჰიპოსტა-

ზ ა დ წარმოისახებოდა. თამარი გაღმერთებული იყო თავისი ადამიანური ბუნებით: „ვ ე ფ ხ ი ს ტ ყ ა ო ს ნ ი ს“ გმირები „საღმრთო სიხელით“ წარმოისახებიან, კაცობრივი სიყვარული რელიგიური გრძნობის ძალას იძენს — რ. სირაძე). წარსულიდან აწმყო მოიხმობს უპირველესად იმას, რაც ესთეტიკურადაა ფასეული...

რენესანსული აზროვნების ზოგადთეორიულ საფუძვლებს ქმნიდა „ორგვარ სიბრძნეზე“ მოძღვრების ახლებური გაგება: ამქვეყნიური და სალვთისმეტყველო სიბრძნის ეკლექტიკური შეზავება. ჰეშმარიტი ფილოსოფია და ღვთისმეტყველება ერთმანეთს მაქსიმალურად დაუახლოვდა. რენესანსული აზროვნების უნივერსალობა იმითაც გამოიხატება, რომ ადამიანური, ამქვეყნიური სიბრძნის ემანსიპაციაც აზროვნების ესთეტიზაციის საფუძველზე განხორციელდა.

ყოველივე ეს ერთ ფრიად ნათელი სახით გამოვლინდა რუსთაველის აზროვნებაში, თუმცა მას შემდგომი სახით განვითარება აღარ დასცალდა. დაიწყო მონღოლთა შემოსევით გამოწვეული დიდი კატასტროფა. მაგრამ მონაპოვარი ქართული მწერლობის დიდ ტრადიციად დარჩა.[1]

სწავლა-აღზრდის იდეა „ვეფხისტყაოსანში“

„ვეფხისტყაოსანი“ სისრულით ასახავს ადამიანთა ურთიერთობის რთულ სიტუაციას, გადაგვიშლის მათ მისწრაფება-განცდათა მრავალფეროვნებას. ჯერტომ პოემაში საკმაოდაა მოცემული ავტორის შეხედულებანი აღზრდა-განათლებაზე. ესეთ ძირითად საკვანძო საკითხებზე, როგორიც არის: რა ვასწავლოთ, რა მიზნით ვასწავლოთ, როგორ ვასწავლოთ, როდის ვასწავლოთ და სხვ.

პირველი საკითხი (რა ვასწავლოთ?), თავის მხრივ, საჭიროებს ასეთი ქვესაკითხების გარკვევას: როგორი უნდა იყოს აღსაზრდელი, როგორი აღმზრდელი?

იმ საუკეთესო თვისებებიდან, რომლებიც უნდა ახასიათებდეს აღსაზრდელს, რუსთაველის აზრით, უმთავრესია გონიერება. ის საფუძველია, სათავეა სიბრძნისა. ამასთან, შეგირდი უნდა იყოს მორჩილი, მოწადინებული, დაუზარელი, ნებისყოფიანი; აღმზრდელი — ბრძენი. მან თქმის, იგივე „წვრთისა“ და შეგონების ადგილი, დრო და ხერხი უნდა იცოდეს (პოემის გმირები „გონიერი გონებანის“ მქონენი არიან. თინათინი „შამისა სწავლასა... ბრძნად მოისმინებდა. ყურსა უპყრობდა, ისმენდა, წვრთასა არ მოიწყინებდა“.. ყმაწვილები შვიდი წლის ასაკიდან „ბრძენთა მისცეს სასწავლებლად...“). აქედან გამომდინარე, შეიძლება პასუხი გაეცეს კითხვას — რა ვასწავ-

[1] საკითხი განხილულია რ. სირაძის შესაბამისი ნაშრომის მიხედვით, ლიტერატურულ-ესთეტიკური ნარკვევები, თბ., 1987, გვ. 126 — 158.

ლოთ? უნდა ვასწავლოთ ცხოვრებისეული სიბრძნე, თანაც ისე, რომ თეორიულმა განსწავლულობამ ცხოვრებაში (პრაქტიკაში) პოვოს გაპროხატულება. წინაალმდეგ შემთხვევაში ცოდნა ფიქცია (უიდეო, უმიზნო გარჯა) იქნება:

„არა ვიქმ, ცოდნა რას მარგებს ფილოსოფოსთა ბრძნობისა...“
„არას გარგებს სწავლულება, თუ არა იქმ ბრძენთა თქმულსა,
არ იხმარებ, რას ხელსა ხდი საუნჯესა დაფარულსა?“
„...ბრძენი ხარ და გამორჩევა არა იცი ბრძენთა თქმულებრ,
მინდორს სტირ და მხეცთა ახლავ, რას წადილსა აისრულებ?“

სიბრძნე-განსწავლულობას, ისეთ მყარ ცოდნას, რომელიც პრაქტიკაშიც პოვებს გამოხატულებას, თან ახლავს სიდინჯე-აუჩქარებლობა — „გონიერი ხამს აროდეს არ აჩქარდეს“.

რა მიზნით უნდა ვისწავლოთ და ვასწავლოთ?

ამ კითხვის პირდაპირი პასუხი აეთია: „მით ვისწავლებით, მოგვეცეს შერთვა ზესთ მწყობრთა წყობისა“. ე. ი. სწავლა-განათლება წინაპირობაა საუკეთესო თვისებების (ღირსებების) გამომუშავებისა. ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, განაპირობებს აღზრდილის მიერ კუთვნილი ადგილის დაკავებას ჯერ საზოგადოებაში, შემდეგ კი — ზეშთა სამყაროში.

გენიოს პოეტს კარგად ესმის, რომ აღზრდა, მაღალადამიანური თვისებების ჩანერგვა, რთული პროცესია, კერძოდ, პოემაში ხაზგასმითაა აღნიშნული „გულის მოგვარების“ სიძნელე.

ორიოდე სიტყვა „გულის მოგვარების“ ინტერპრეტაციაზე:

ადამიანი იბადება ვიტალური მოთხოვნილებებითა და ინსტინქტებით, რითაც იგი ცხოველის თანაბარია, მაგრამ, ამასთან, ადამიანს (ახალშობილს) თან დაჰყვება საკუთარ მოთხოვნილებებზე ამაღლების ადამიანური უნარი, პოტენცია. თავდაპირველად მოთხოვნები და ინსტინქტები (წოვისა, „შიში თუ სიფრთხილე ტკენისა“) თანდათან ფართოვდება და იგი უმეტესწილად გარდაიქმნება „გულისთქმად“, ანუ სუბიექტურ „მედ“, ხოლო ის, რასაც შშობლის ნება მას აღზრდის პირველი დღეებიდანვე თავს ახვევს, როგორც ადამიანისათვის საჭირო მოთხოვნას („ეს შეიძლება“, „ეს არ შეიძლება“), ჩამოყალიბდება ობიექტურ „მედ“. კარგად აღზრდილ პიროვნებაში სუბიექტური და ობიექტური „მე“, იგივე გული და გონება (რა თქმა უნდა, პირობითი გამოთქმით), ერთმანეთს კი არ უპირისპირდება, არამედ გონება ყოველთვის ითანხმებს გულს. ეს იგივეა, რაც „გულის მოგვარება“. რა თქმა უნდა, ამის მიღწევა იოლი არ არის, იგი სრულყოფილი, ჰარმონიულად განვითარებული პიროვნების თვისებაა. რა ქმნის სიძნელეს? — გულის (გულისწადილის, ნების, სურვილის) სიძლიერე უმეტესწილად განპირობებულია იმით, რომ იგი პირველადია, მისი მოთხოვნის აღსრულება კმაყოფილების

ჯრძნობას იწვევს. ამიტომ ღაც მოთმინების, გაძლების სათხოვარია, მას გული ძნელად ისმენს („რაცა აჯა დათმობისა გულმან ვისცა მოუსმინა?"). იგი ამ მხრივ ეურჩება არა მარტო გარედან, სხვისგან გაჟღმვნარე სათხოვარს, არამედ იმ პიროვნებისასაც, რომლის ორგანო თვითონაა (გავიხსენოთ ავთანდილის გულთან საუბარი: 732, 733) და ეს ეხება როგორც ჭირის, ისე ლხინის განსაცდელს; ორივე შემთხვევაში გული ხელივითაა, თანაც უშუალო და პირდაპირია, რაც ასეთივე ფორმით ვლინდება ქცევაში (ავთანდილი თხოვს გულს: „დამალე, არ გაჩნდეს შენი ცეცხლისა კვლა დება, ავად შეჰფეროდა ჭიჯნურსა მიჯნურობისა ცხადება"). ადამიანის პიროვნებად ფორმირება სწორედ გულის დამორჩილებით, მოგვარებით (აღზრდით) იწყება.

მაინც როგორია მოზრდილისა და ზრდადასრულებულის გული, თუ ჭას გონებისაგან ცოწყვეტილად წარმოვიდგენთ?

რუსთაველი განკერძოებულად წარმოდგენილი გულის ჰეშმარიტ, უტყუარ დახასიათება-შეფასებას გვაძლევს:

„გული კრულია კაცისა, ხარბი და გაუძღომელი,
გული — ცამ-ცამიდ ყოველთა ჭირთა მთმო, ლხინთა მნდომელი,
გული — ბრმა, ურჩი ხედვისა, თვით ვერას ვერ გამზომელი..." (723).

ესაა გულის მანკიერი მხარეები, მაგრამ იმავე გულს, გონებასთან შეამხანაგებულს, აქვს საოცრად კეთილშობილი თვისებები: გული უსაშველოდ მგრძნობიარეა; გულით ნაკეთები საქმე ხარისხიანია, მტკიცეა, ხანიერია; გული სიყვარულის კერაცაა და საბუდარიც. ამიტომ მისი ძალა გარკვეულ შემთხვევაში (განსაკუთრებით სატრფიალო გრძნობისას) იმდენად დიდია, რომ მას ვერავინ და ვერაფერი იმოჩილებს. ზოგჯერ თვით სიკვდილის შიშიც კი ვერ თრგუნავს. რუსთაველის სიტყვით, (გულს) „ვერა პატრონობს სიკვდილი, ვერცა პატრონი რომელი". ისიც უნდა ითქვას, რომ ცალკე აღებული გონება ანუ მხოლოდ ცივი გონების კარნახით მოქმედი კაციც არ ხასიათდება დადებითად; რუსთაველის თქმითვე, „უგულო კაცი ვერ კაცობს, კაცთაგან განაკიდია". აქედან დასკვნა: მაშასადამე, ადამიანი, ცალკე აღებული, არც მარტო გულია, არც მარტო გონება. — ორივეა, მაგრამ რომელიმე მათგანის სიჭარბის გამო მაინც არსებობს ადამიანების ამგვარი დიფერენცირება: „გონების კაცი", „გრძნობის კაცი". ასეა ეს „ვეფხისტყაოსანშიც": ავთანდილი ხელი მიჯნურია, მაგრამ იგი მიჩნეულია გონების კაცად, ხოლო ტარიელი გრძნობისად. შემთხვევით არ გვმოძღვრავს ავტორი: „გული, ცნობა და გონება ერთმანერთზედა ჰკიდიან..." აქედან გული და გონება და მათი

ურთიერთმიმართებაც გასაგებია, მაგრამ საკითხავია — რაღა ცნობა[1], რომელსაც არცთუ შემთხვევით შუალედური ადგილი უჭირავს გულსა და გონებას შორის?

რუსთაველის ც ნ ო ბ ა მარტივად თუ ვიტყვით, გულისა და გონების კარნახის შემთავსებელი შუამავალია (მესამე „მეა"), რომელსაც გამოაქვს დასკვნა იდეის პრაქტიკულად განხორციელებისა, მოქმედებისა. ამდენად, იგი გაცნობიერებული, გააზრებული, გადაწყვეტილებამიღებული სულიერი მდგომარეობის ამსახველი სიტყვაა. ამას ადასტურებს პოემის მთელი რიგი ადგილები: აქთანდილი გაპარვით განაწყენებულ მეფეს სწერს:

„წაგიკითხავს სიყვარულსა მოციქულნი რაგვარ წერენ,
ვით იტყვიან, ვით აქებენ, ცან ც ნ ო ბ ა ნ ი მაფერენ..."

(ე. ი. აზრიანად, გონიერულად გამსაჯე და ისე იმოქმედეო).

ტარიელი საყვედურობს ავთანდილს: შენს რჩევას მაშინ შეეისმენდი, „თუცალა ვიყო ცნობასა" (ე. ი. საღი აზროვნების, განსჯისა და შესაბამისი მოქმედების უნარი რომ მქონდესო). კიდევ მეტი, იგი ტარიელს ერთგან პირდაპირ ეუბნება: „შენთვის დავსდებ გონებასა, სულსა, გულსა" (ე. ი. შენ მოგახმარ გონებას და გულს გაცნობიერებულად, ქმედითად და არა მხოლოდ სიტყვითო) და სხვ.

გვხვდება ასეთი შესიტყვებებიც: „სიტყვა-ბრძენი, ცნობა. შმაგნი". ვ. ნორაკიძის მართებული ინტერპრეტაციით, მიჯნურებს ტრფიალებით „იმდენად შევიწროებიათ ცნობერება, გარკვეულ შემთხვევაში მათი მოქმედებითი პრაქტიკული გონება იმდენად დაბნელებიათ, შმაგებს დამსგავსებიან".[2] მაშასადამე, სწავლისა და სწავლების უპირველესი მიზანი ადამიანის შეგნების ამაღლება, ანუ გულის მოგვარებაა; სწავლების გზით ცოდნის მიღება თუ ამას არ განაპირობებს, მაშინ „ასეთი სიბრძნე" ფიქციაა...

ცოდნის შეძენისა და გათავისებისათვის კი საჭიროა ნებისყოფა (საკუთარი თავის წრთობა, რაც სხვის დახმარებასაც არ გამორიცხავს). ავთანდილი ტარიელს ერთგან პირდაპირ ეუბნება: „როცა მიწვრთიხარ იწვართე, გკადრო უწვრთელი ვირია", ე. ი. გარკვეულ

---

[1] პეტრიწის მიერ თარგმნილ ნემესიოს ემესელის ფსიქოლოგიის კომპენდიუმში („ბუნებისათვის კაცისა") „ცნობა" იხმარება გონების „მოქმედებითი ძალის" ერთ-ერთი ასპექტის აღსანიშნავად. ნემესიოსი ამბობს: „სიტყვიერებისაი რომელიმე არს მხედველობითი, ხოლო რომელიმე მოქმედებითი. მხედველობითი უკუეე მებრ გონებით. ვითარ? იგი აქუს მყოფთა; ხოლო მოქმედებითი — განზრახვითი და ვითარ იგი განუსაზღერებოდეს ნაქმადთა მართალსა სიტყვასა: და უწოდებენ მხედველობითსა გონებად, ხოლო მოქმედებითსა — სიტყვად; და რომელსამე — სიბრძნედ, ხოლო რომელსამე — ცნობად" (ს. გორგაძის გამოცემა, 1914, გვ. 158 — 159).

[2] „ვეფხისტყაოსანში" ცნობა სიტყვის მნიშვნელობის საკითხისათვის, გაზ. „ლიტერატურული საქართველო", 1966, № 8.

შემთხვევაში პირად საწადელსა თუ სურვილზე ხელის აღებაა საჭიროო. ყური მივუგდოთ ავთანდილის შეგონებას:

„ისმინე ჩემი თხრობილი, შეჯე, წავიდეთ ნებასა,
ნუ მიყოლიხარ თავისსა თათბირსა, გაგონებასა,
რაცა არ გწადდეს, იგი ქმენ, ნუ სდევ წადილთა ნებასა!“

თავის მხრივ, მართალია ტარიელიც, რომელიც იმდენად უღონოა, რომ „ძალი არა აქვს ხელქმნილსა“, არა თუ ქმედებისა, არამედ „მისთა სიტყვათა სმენისაც“. ამიტომ ბუნებრივად ჟღერს მისი სიტყვებიც: „რა ადვილად გიჩნს მოთმენა ჩემთა სასჯელთა თმენისა...“ „ავთანდილი ტარიელის სამართლიან გულისწყრომას იმსახურებს: „მაწყუენ, დამეხსენ, არა მცალს, არცაღა ვახლავ თმობასა...“

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, აშკარაა: ტარიელი არც ისე უგონოდაა, რომ მეობა დაეკარგოს. ავთანდილს ეშლება რაღაც... ტარიელი მეგობრის მიერ „მოქნეულ ხმალს“ („რაც არა გწადდეს, იგი ქმენ“...) ისეთ მძლავრ ფარს შეაგებებს („ჰკითხე ასთა, ქმნენ გულისა, რა გინდა ვინ გივაზიროს!“), აშკარად გვაგრძნობინებს მის თვითმყოფადობას, ისეთ პიროვნებად დარჩენას, რომელსაც საკუთარი თავი მუდამ თან ახლავს. ამიტომაა, პოზიციას რომ არ იცვლის: მისი მრწამსია „ურჩობა“ და არა სათუწროსადმი მინდობა. მის მიერ „საწადელის არმიყოლა“ ახლა სწორედ პასიურობით გამოიხატება და არა აქტიურობით. რას მოუტანს მას ახლა აქტიურობა, როცა ნესტანის პოვნის იმედი, მისი ფიქრით, ამოწურულია? გამიფდეს? — ეს გამორიცხულია, მოკვდეს? — არამართებულია; ის ხომ ღირსეული მოცალეა ნესტანისა, რომელსაც მიაჩნია, რომ სიკვდილამდე მეცნიერი (შეგნებული) კაცი თავს არ მოიკლავს. ავთანდილმა იცის, რომ ტარიელს შველა უნდა.

ისმის კითხვა: როგორ უნდა მოიქცეს სპასპეტი, მეგობარი გასაჭირიდან რომ გამოიყვანოს? ე. ი. სიტყვა გაუგონოს, გაუგოს და თხოვნა შეუსრულოს? მოვიგონოთ მეგობრების შეხვედრიდან (ლომ — ვეფხის დახოცვის შემდგომი სურათიდან) ის ნაწილი, რომელიც დაგვეხმარება მოცემულ კითხვაზე პასუხის გაცემაში: გულის დაუმორჩილებლობამ, გონებისადმი მისმა დაუქვემდებარებლობამ ტარიელი სასოწარკვეთილებამდე, ანუ იმ ზომამდე მიიყვანა, როცა კაცი თავის გულის ჭირს იმდენად უკიდურესად ღრმად აცნობიერებს, რომ რუსთაველის თქმით, „თავისისა ცნობისაგან ჩავარდების კაცი ჭირსა“, ე. ი. ტარიელი არა მარტო საკუთარ გონებას უკეტავს ეჭვს, არამედ სხვისი ზემოქმედებისთვისაც ახშობს ცნობიერების კარს, ამდენად, ავთანდილი უღონო ხდება, განახორციელოს მრწამსი — „სხვამან სხვისი უკეთ იცის სასარგებლო საუბარი“. დიდი ცდისა და გარჯის მიუხედავად, მან ტარიელი ვერ გამოიყვანა მდგომარეობიდან:

„ვერ წაიყვანა, ვერა ქმნა, სიტყვათა ვერა-ვერითა...“ მიზნის მიუღწევლობის გჯ0ო თვით „მკურნალი“ ჩაეარდება საგონებელში... საქმე წაგებულად ესახება, ჰმუნჯას ეძლევა, მაგრამ ვერ თმობს არა მარტო მეგობარს, არამედ ამ გზაზე მიღწეულ წარმატებასაც. ის მის მოთხოვნას (889), ნებსით თუ უნებლიეთ, მუდარით ცვლის და „ცრემლს ამდუღარებს“. ვფიქრობთ, ეს უნებლიე გზაა, ანალოგიური ასმათთან შეხვედრისა; იქაც „უღონოდქმნილი“ ავთანდილი, მოიგონებს რა თავის მიჯნურს და წაგებულ ბრძოლას, ატირდება, რასაც მოყვება ასმათის ყურადღება, ყურადღებას — თანაგრძნობა და ა. შ. მუქარა მუდარით იცვლება. ეს გზა რომ მის მიერ გაცნობიერებული ყოფილიყო (ვთქვათ, მისი მოხერხებულობით აგვეხსნა), მაშინ მსგავს სიტუაციაში თავისი თავი დროზე უნდა ეპოვა და ნაცადი გზაც გაეხსენებინა, მაგრამ არა, ამას შეგნებულად და ბუნებრივად აკეთებს თვითონ რუსთაველი... ავთანდილი კი ამჯერად უნებლიეთ ნაპოვნ გზას ეღლიავება, არ სურს გაუწყდეს ის ძაფი, რომლითაც მეგობარს საიმედოდ ეწევა მისკენ. მერე თანდათან აცნობიერებს რა თავის ნაბიჯს, ცდილობს საქმის წინ წაწევას. მან იცის: თუ ტარიელის ცხენზე შესმა მოახერხა, ამით სიტუაცია შეიცვლება, რაც ხელს შეუწყობს მეგობრის მდგომარეობიდან გამოყვანას. ამიტომ „ეხვეწებოდა, შეჯეო, აჯას (თხოვნას) სიტყვითა არვებდა (ამრავლებდა, იმეორებდა), რადგან „იცოდა, რომე შეჯდომა კაეშანს მოაქარვებდა“. ავთანდილმა მიაღწია საწადელს: ტარიელმა „ცხადად უთხრა შევჯდებიო, მომიყვანე ცხენი წინა...“

მოვყვეთ ავტორის ფიქრთა ხვეულებს: ძნელად მიღწეული წარმატებით აღტაცებული რაინდი განსაკუთრებული სიფრთხილითა და სიდინჯით ეკიდება საქმეს (ძალაშია აფორიზმი — ზოგჯერ „სიწყნარე გვობილი სჯობს სიჩქარესა ქებულსა“). ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს:

„მან მოჰგვარა, წუნარად შესვა, არ სიჩქარით აქშინა,
მინდორთაკე წაიყვანა, ტანი შვეერი აძრეეინა...“

მართლაც, „ხანი წავლეს, სიარულმან მოჯობება დააჩინა...“

ამოსაცნობია ავტორის მიერ საგანგებოდ ხაზგასმული დეტალის (ავთანდილის მიერ სიცოცხლეგაარმებულ“ ტარიელთან კონტაქტის დამყარების) მიზანდასახულობა:

· ავთანდილი ტარიელს

„შეაქცევს და ეუბნების საუბართა შვენიერთა,
მისთვის ძვრიდა სასაუბროდ მათ ბაგეთა ძოწის-ფერთა,
მისი სმენა გააყრმობდა მსმენელისა ყურთა, ბერთა;
მოაშორვა კაეშანი, დათმობავე შეაერთა“.

ნუთუ ავთანდილის წინა შეგონებანი, რომელიც „მრავალფერიც“

იყო და სიბრძნითაც დატვირთული, მოკლებული იყო მშვენიერებას? ეს რომ ასე არ არის, ამის დასამოწმებლად მარტო ვარდის არაკიც კმარა. ისმის კითხვა — რამ გააშშვენიერა იმავე ავთანდილის საუბარი მოცემულ შემთხვევაში ისე, რომ ტარიელის ყურადღებაც (და არა მარტო ყურადღებას, „კაეშნისაგან განთავისუფლებას“) და ავტორის შექებაც იმსახურებს? ანუ რა დააკლდა იმ „მრავალფერ სიტყვას“, ადრე რომ მიმართავდა?

გადავიკითხოთ ზემოთ მითითებული სტროფები და დავრწმუნდებით, რომ, დიდი მეგობრობის მიუხედავად, ავთანდილის „მრავალფერი სიტყვა“ აშკარად გამოდიოდა ცივი გონების კარიბჭიდან („თუ ბრძენი ხარ, ყოველი ბრძენნი...“ — 884, „ბრძენი ხარ და გამორჩევა არა იცი ბრძენთა თქმულებანი...“ — 885 და ა. შ.). ამდენად, იგი ისეთი ზრახვაა („უცნობოსა, რასმე მზრახმან“), რომელიც დატუქსვას უახლოვდება. შემდგომი საუბარი კი, თუმცა წიგნში იგი გაწელილია, აშკარად ჩანს, რომ პირველის საპირისპიროა, ანუ ისეთი, რომელმაც „დათმობაც“ შეაერთა“. ვიდრე ამ უკანასკნელს გავშიფრავდეთ, მივყვეთ ტექსტს: „რა შეატყო მოჯობება მან, სევდისა მუფარახმან“ (ე. ი. როცა ავთანდილმა შეატყო, რომ მისი ამჟამინდელი ქმედებით უკეთეს შედეგს აღწევდა), ნაწყვეტის ტონით კი არ ესაუბრებოდა მეგობარს, არამედ აღტაცებით, სიხარულით. მომდევნო სტრიქონია: „განანათლა პირი ვარდი, სიხარულმან დაუსახმან...“ სწორედ ამ უკანასკნელს აღუდგენია გონებასთან დისასვლელი გაწყვეტილი კავშირი, შემოქმედის თქმით. „დათმობაც შეაერთა“. ავტორი გარკვეული მიზნით იქვე დასძენს:

„ცნობიერთა დასტაქარმან, უცნობოთა ოხვრა-ახმან;
ცნობიერი სიტყვა უთხრა უცნობოსა რასმე მზრახმან“.

როგორც ვიცით „ცნობიერი სიტყვა“ გასაგები და მისაღები სიტყვაა, მაგრამ რამ აქცია იგი ასეთად? მივყვეთ ტექსტს: ცხენებზე მსხდომი მეგობრები წყნარად მიდიან. ისინი „შე-რასუ-ჰყვეს (რა) საუბარსა“, ავთანდილმა „სიტყვა ჰკადრა არმალული“...—„ეგე საძხრე მისეული, შენ გაჩნია ვისგან წყლული, რაგვარ გიყვარს?...“ „გამიცხადე დაფარული“. — „ესეა ჩემი სიცოცხლე, ჩემი მომცემი ახისა...“ — თუ უსულო და უსასიკო საგანი ასე გიყვარს, მისი გამზრდელი ქალთაი „აღარად გინდა, არ ჰნახავ?... ასე აიდგა ფეხი ლოგიკამ, მაგრამ მგრძნობელობით საუფლოში. ტარიელი ამჯერად მშვენივრად აცნობიერებს (იგებს) მეგობრის ნათქვამს და მას ერთგვარად აფასებს კიდეც: „მან უბრძანა: „რაცა გითქვამს, უმართლე ხარ მეტისმეტად“... ავტორი იქვე მიზნობრივად კვლავ ლირიკულ გადახვევას აკეთებს და გაშარჯვებულის იერით დასძენს.

„ეაჰმორჩილდა, გაემართნეს ავთანდილ და ამირბარი,
ვერ მიგია ქება მათი, ვერა ქება საქებარი“...

ავთანდილი, მეგობრის გულის კარი რა ღია ნახა, ისევ გონივრულ რჩევაზე გადავიდა. საწადელმიღწეული დასტაქარი ძმადნაფიცს აღუთქვამს, რომ მისთვის დადებს „გონებასა, სულსა და გულსა“ (გონების პრიმატი), ოღონდ მან (მეგობარმა) ამ თავდადებას ცნობიერი ქცევით უნდა უპასუხოს, ე. ი. მისი „სწავლულება“, იგივე „დაფარული საუნჯე“, პრაქტიკულად გამოიყენოს: „არას გარგებს სწავლულება, თუ არა იქმ ბრძენთა თქმულსა: არ იხმარებ, რას ხელსა ხდი საუნჯესა დაფარულსა?“ (იმავე ავთანდილის მიერ როსტევან მეფის მისამართით გაჟოთქმული საყვედურის ვარიაციაა — „არა ვიქმ, ცოდნა რას ვარგებს ფილოსოფოსთა ბრძნობისა...“).

გავიხსენოთ, რა რეაქცია გამოიწვია ტარიელში მეგობრის მიერ რამდენიმე საათის წინ იმავე აზრით ნათქვამმა სიტყვებმა („ბრძენი ხარ და გაჰორჩევა არა იცი ბრძენთა თქმულებათ“ — 885).

„ბრძენი, ვინ ბრძენი, რა ბრძენი, ხელი ვითა იქმს ბრძნობასა...
ეს საუბარი მაშინ ხამს, თუცალა ვიყო ცნობასა...
ვაუყენ, დამეხსენ, არა მცალს, არცალი ვახლავ თმობსა...“

ამჟამად იგივე ტარიელი მეგობრისაგან უფრო ფართო მასშტაბის შეგონებებს ისმენს („ბედი ცდაა, გაიარჯვება, ღმერთს უნდეს. — მო-ცა-გვხვდების“, ე. ი. ადამიანი თავის ბედს უმეტესად თვითონვე ჭედს ბრძოლით, ცდით; იმარჯვებს ის, ვინც სიკეთისათვის იბრძვის). მათში ჩაცრად არის განსაზღვრული ადამიანის ამქვეყნად ვოლინების არსი და მიზანი. ამ შეგონებებს ტარიელი არა მარტო აღტაცებით ეგებება, არამედ მეგობარს ამგვარ წვრთნას დიდად უმადლის კიდეც:

„მოახსენა: ეგე სწავლა ჩემთვის ყოველად სოფლად ღირდეს,
გონიერთა მწერთელი უყვარს, უგუნურთა გულსა ჰგმირდეს“.

მიუხედავად აღნიშნულისა, უნდა ითქვას, რომ ტარიელი, როგორც გრძნობის პრიმატის მქონე პიროვნება, თავის მოქმედებასაც ამართლებს და ბეგობარს ეუბნება: მეტისმეტი მშვირს და რაკი „შენცა გვირან ჭირნი ჩემნი, არ მამართლო, არ მიკვირდესო, ამასთან, იგი ძმადნაფიცს მაიხც არ აპატიებს მისდამი დამოკიდებულებაში და-

შვებულ შეცდომას[1] (ცივი გონების კარნახით რომ შეეცადა მის გონს მოყვანას) და ლბომიერად უსაყვედურებს: „თავიდაღმა რად არ იცი, გული ჩემი რაგვარ დნების“.

ამგვარად, ენატკბილად მოუბრობა სიტყვის ხელოვნებაშიც კი არ ნიშნავს მხოლოდ კაზმულ, მხატვრულ, ბრძნულ საუბარს. როგორც რუსთაველი გვმოძღვრავს, საუბარი რომ მშვენიერი გახდეს, ე. ი. მისაღები და ზეგავლენის მუხტის მატარებელი, საჭიროა სათანადო ნიადაგის მომზადება (ეს, კაცმა რომ თქვას, იგივეა, რაც დ. უზნაძისეული განწყობის შექმნა). ამასთან, მთქმელს სათქმელი, პირველ ყოვლისა, თვით უნდა სწამდეს და, ამავე დროს, განიცდიდეს. რუსთაველის მეტაფორული თქმით, „ცვილსა ცეცხლის სიმხურვალე უგავს, ამად აენთების, მაგრან წყალსა არსით ახლავს, თუ ჩავარდეს, და-ცა-შრტების“ (ეს სიტყვები გვაგონებს გოეთეს ნათქვამს: „გულს გულთან ვერ მიიზიდავ, თუ მასში არ ჩქეფს ნამდვილი გრძნო-

---

[1] ავთანდილის შეცდომა, „ცრუობა“.

სიტყვები — „სიცრუე“, „ცრუ“ ავთანდილის ანდერძში ხურჯერ გვხვდება: „ს ი ც რ უ ე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმე სულსა“... (სიცრუე//ორპირობა), „რადგან თავია ს ი ც რ უ ე ყოვლისა უბადობისა“... (სიცრუე//უმსგავსობა), „ვერ ვეცრუები, ვერ ვუზამ მას ხელმწიფესა მზიანსა“... (სიცრუე//მოტყუება), „ეგმობ კაცსა აუგიანსა, ც რ უ ს ა და ღალატიანსა“... (სიცრუე//ღალატი), „ვერ ვ ე ც რ უ ე ბ ი ვერ ვუზამ სამყოსა საძაბუნოსა“... (სიცრუე//სიქაბუნე). ხოლო „წასვლა ავთანდილისგან ტარიელის შეყრად მეორედ“ ეპიზოდში—სამჯერ: „იგი ფიცი ვით გატეხა! არ ვ ე ც რ უ ე, ვით მ ე ც რ უ ა? (მეცრუა//მომატყუა)) „მას ზენაარსა არ გაუტეხ, მას ფიცსა არ ვ ე ც რ უ ე ბ ი“... (ცრუობა//ფიცის გატეხვა).

„წასვლა ავთანდილისა და გულანშაროთ ტარიელის შეყრა“. ამ ეპიზოდში ც რ უ ერთხელ გვხვდება, ავთანდილი თავისთავზე ამბობს:

„ც რ უ კაცი კარგად ვერა იქმს საქმესა გაძნელებულსა“,

უნდა ითქვას, რომ აქ გამოყენებულ „ცრუ“-ს არ შეესაბამება არცერთი ზემოთმოტანილი ახსნა.

მივმართოთ ტექსტს. ნესტანის ამბის ცნობით დაბნედილ ტარიელთან მჯდომი ავთანდილი მოთქვამს: „მე მოვკალ ჩემი მოყვარე, რა მმართებს გაწბილებულსა?

თ ა ვ ს ა ვ ა ბ რ ა ლ ო ბ საქმესა, არ დ ა ზ მ ი თ გ ა გ ო ნ ე ბ უ ლ ს ა!

ც რ უ კ ა ც ი კარგად ვერა იქმს საქმესა გაძნელებულსა,

თქმულა: „სიწყნარე გმობილი სჯობს სიჩქარესა ქებულსა!“

ეფიქრობთ, საქმე გვაქვს ავთანდილის შეცდომასთან, რომელიც გამოიწვია „არ დაზმით“, აჩქარებით, მოქმედებამ და მიგვანიშნებს „გულ-ლახვარ-სობილი“ ტარიელის საყვედურის („თავდაღმა რად არ იცი, გული ჩემი რაგვარ დნების“) მართებულებაზე. ე. ი. ავთანდილი ყოველთვის ვერ ითვალისწინებს ტარიელის მდგომარეობას, მიზნის მიღწევისაკენ სწრაფვა (რომელიც მისი გულისწადილის მოახლოებასაც მოასწავებს) ახშობს ბრძნული (ე. ი. გულისა და გონების შეთანხმების) ქმედების გზას და ბრალეული, გაწბილებული და, ამდენად, „ც რ უ კაცი“ ხდება. ამის ჭქვია რუსთაველის ენით რომ ვთქვათ, „გულსა შინა დაზრახვა“, რაც ამაღლებული ადამიანის კიდევ ერთი უდიდესი ღირსებაა; გ უ ლ ი გეევლინება ადამიანის საქციელის უდიდეს მსაჯულად.

ბა“). სხვა შემთხვევაში ტარიელის საყვედური — „თავიდანმა რად არ იცი, გული ჩემი რაგვარ დნების“ შეიძლება ყოველი დროის აღსაზრდელის საყვედურად მივიჩნიოთ, რადგან მხოლოდ ცივი გონების კარნახით ნაქადაგები სიბრძნე „არ სასმენელია“. ამ შემთხვევაში ძალდატანება უსიამოვნების განცდას აღძრავს („არ სასმენლისა მოსმენა არს უმჯობესი წმახისა“ — 905).

სიტყვის ზემოქმედებისათვის საჭიროა შესაფერისი სიტუაციის არსებობა ან მისი შექმნა; განსაკუთრებით ეს ეხება სიტყვიერების მასწავლებლებს, თუმცა იგი გზას უხსნის სხვა დარგის პედაგოგებსაც, რადგან აქ დასმული და გადაჭრილია პრობლემა ცნობიერი, ე. ი. გაგებები და მისაღები სიტყვის თქმისა. ისე როგორც ჩვენთვის, სხვა საგნის მასწავლებლებისათვისაც, სიტუაციის შექმნის პირობის ასაკის, სურვილების, მისწრაფებების — აუცილებელია მიღებული ცოდნის გაცნობიერება-განზოგადების გათვალისწინება (რაც თანალმობა-თანაზიარობის ბაღალია) და მოხერხებული კითხვებით კიდევ უფრო დიდი ცოდნის მიღების პერსპექტივის, ახალი წარმატების მისაღწევი გზის წარმოჩენა. ყოველივე ეს ფართოდ აღებს მსმენელის გულის კარს, ანუ საკითხის გარკვევის ინტერესი აღიძვრის, რაც შინაგანადაც მისაღებს ხდის საუბარს (ამ ინტერესს აცხოველებს მისი გარკვევის პრაქტიკული მნიშვნელობის წარმოჩენა — ცხოვრებასთან დაკავშირება).

ამგვარად აღგზნებული გული ზემოქმედებს გონებაზე და სასიკეთოდ მიყავს მისკენ.. ერთ ტალღაზე ირთვება „გული, ცნობა და გონება...“ სწორედ ამგვარი გზით შემოსული ცოდნაა ფუძეძყარი (მეხსიერებიდანაც არ იშლება) და ღიდ ზეგავლენას ახდენს მთლიანად პიროვნებაზე. ამჯერად მისი ძალა ერთი ტალღიდან მეორეზე გადართვის, ახალი გარკვეული შეხედულებების შეძენისა და, ამდენად, ამაღლების ტოლფასია, წინაალმდეგ შემთხვევაში, ისევ გაუსაძლისი სიტყვა. რაგინდ ბრძნულიც არ უნდა იყოს, ჰგავს წყალში ჩავარდნილ სანთელს...

— გ უ ლ ი („გულის მხურვალება“). გ უ ლ ი („შინა დამზრახავი“), გ უ ლ ი („ყოვლად მჭნელი სიკეთისა“) — რად ეძლევა მივიწყებას?

გულის მიერ ქცევის მსაჯულობა („შინა დასრახვა“), საქმის გულით კეთება, „საგულისო სიტყვათა“ თქმა მოგვარებული გულია შედეგია, ასეთი გულის უქონლობა იგივეა, რაც უ გ უ ლ ო ბ ა:

„უგულოდ კაცი ვერ კაცობს, კაცთაგან განაკიდია“.

განსჯა, სამართალი, ერთი შეხედვით, თითქოს მხოლოდ გონების ფუნქციას წარმოადგენს, მაგრამ, რუსთაველის აზრით, იგი „ბრძენი გულის“, ანუ გონებასთან შეთანხმებულ გულის ნაყოფია. აი, მხოლოდ ასეთი სიტყვა და საქმე პოულობს (ადვილად) სხვის გულსაც:

„ცან. სამართალი მართალი, გულისა გულსა მივა რად“...
„შერეულა გაბრჭყვ მართალი მაგა გულითა ბრძენითა“...

გონებასთან გაამხანაგებული გული ერთნაირად სჭირდება როგორც ალსაზრდელს, ისე ამზრდელს. მათ შორის ამ მხრივ ის განსხვავებაა, რომ პირველს გული მოსაგვარებელი აქვს, ამიტომაა ალსაზრდელი, მეორეს კი — მოგვარებული. ყველა მოსწავლე გულმოსაგვარებელია — ალსაზრდელი, ამდენად, მოწაფედ ვარგა, გულმოუგვარებელი მასწავლებელი კი აღმზრდელად არ გამოდგება, რადგან მას არ შეეძლება „საგულისო სიტყვის“ თქმანი. ეს უკანასკნელი აუცილებლობით გულისხმობს ურთიერთ დიდ სიყვარულს, პატივისცემას და, აქედან გამომდინარე, ურთიერთგაგებას. უსიყვარულოდ საუბარი თვალთმაქცობაა, რაც მხედველობიდან არ რჩება მოზარდს. მხოლოდ „მოვალეობის მოხდის“ მიზნით ჩატარებული საუბრები აღზრდის ნაცვლად ხელს უწყობს ყმაწვილთა გადაგვარებას... გონიერთ ისეთი მწვრთნელი უყვართ, ვისთა ბაგეთაგან ბუნებრივად წარმოდენილ სწავლას კიდევ უფრო ატკბობს და კეთილად მისაღებ ბადაგად აქცევს გულისხმიერება, სიბრძნე და გამოცდილება.

„ტარიელისა და ფარსადანის კონფლიქტი“...

ოდითგანვე დიდ ინტერესს იწვევდა საკითხი, თუ რამ განაპირობა ტარიელისა და ფარსადანის კონფლიქტი, რატომ გაუშვა ტარიელმა შესაძლებლობა ნესტანის უდავიდარაბოდ შერთვისა მაშინ, როცა „ფარსადან მეფემ მისცა წინადადება და უფლება, გაემჟღავნებინა თავისი გრძნობა ნესტან-დარეჯანის მიმართ“? ამ საკითხის მართებულად გაშუქებისა და გადაწყვეტის ინტერესი, შეიძლება ითქვას, დღესაც არ ცხრება (ამის დამადასტურებელია 1987 წელს ჟურნ. „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, № 4, გამოქვეყნებული სტატია — „ტარიელისა და ფარსადანის კონფლიქტი“),

საკითხის ცალსახად განხილვა, რა თქმა უნდა, არამართებულია, მაგალითად, ხშირად მოსწავლეები (ზოგჯერ მეცნიერებიც კი) ფიქრობენ, რომ ტარიელმა შესაძლებლობა ხელიდან გაუშვა... ვერც სიშმა დიდებულმა გაჰოიჩინა წინდახედულება და პოლიტიკური ალღო — ვაბედულებაც არ ეყოთ ფარსადანისათვის სასიძოდ მისივე ქვეშევრდომი ერჩიათ. თვითონ ტარიელი კი თითქოს დარწმუნებულია, რომ მეფესა და დედოფალს წინასწარ აქვთ გადაწყვეტილი ყველაფერი, ნესტანს სრულიად კონკრეტულ პირზე უპირებენ გათხოვებას, ყოველ შემთხვევაში, მის სიძობას ნამდვილად არ ფიქრობენ. ხშირად სადავოდ ხდიან ტარიელის ამ ვარაუდს და ასკვნიან: „მეფემ მართლა არა-

ფერი იცოდა ტარიელმა და ნესტანის ურთიერთობის შესახებ, ამას იგი სასიძოს მოკვლის შემდეგ იგებს: საბუთად მოაქვთ სტროფი:

„მეფე ბრძანებს: ვიცი, ვიცი. მეტად კარგად შემიგიან;
მას უყვარდა ქალი ჩემი, სისხლნი ველთა მოუყვრიან,
რა ნახიან ერთმანერთი არ-შეხედვა ვერ დათმიან"...

და მას ასეთ ინტერპრეტაციას აძლევენ: „მეფე ბრძანებს „შემიგიანო", ე. ი. მოეხვედრა ვარ შემიგნია ის, რაც აქამდე არ ვიცოდით. ჩვენი აზრით „არ-შეხედვა — ვერ დათმიან" მეფის ისეთი განცხადებაა, რომელიც გვარწმუნებს, რომ მეფე ამ სურათს ადრე (თათბირამდე) ბევრჯერ „ხედავდა" და შეეჩვია ვითარებასაც მშვენივრად გრძნობდა— ქალ-ვაჟი ერთმანეთის „არშეხედვას" ვერ ითმენდა. კიდევ მეტი. მან ისიც იცოდა (მაგრამ, ცხადია, არ იმჩნევდა), რომ ტარიელმა ხატაეთის დამორჩილებით თავის მოვალეობა „თავი კარგად გააჩვენა": აქ დენად. ვფიქრობთ, შეფარული აზრის შემცველია ფარსადანის სიტყვები: „ომით მოსრული ტარიელ საქვრეტლად სასურველია". სწორედ ამან განაპირობა ტარიელისაგან „იდუმალ ცოლთან უბნობა":

„აწ მითქვამს საქმე უშენოდ, შენცა ცან ესე მცნებული:
რადგან ქალია სამეფოდ ჩვენგანვე სახელ-დებული,
ვინცაღა ნახავს, აწ ნახოს, აჰა ხე, ედემს ხეული,
გვერდით დაისვი, ორნივე სრას დამხვდით, მოვალ შვებული".

არ არის გამორიცხული, რომ წინასწარი განზრახვით, მათს სიყვარულში დასარწმუნებლად, უფრო სწორად, გუმანის ეთხელ კიდევ შესამოწმებლად. მოაწყო მეფემ მიჯნურთა სახელდახელო შეხვედრა. ქალი ახლოს დაუსვეს ტარიელს, „მუნ, სადა ეამებოდა". ისინი კი ჯერ მალვით უყვრეტდნენ ერთმანეთს, შემდეგ კი... უმჯობესია ტარიელს მოვუსმინოთ:

„მე მუნა მყოფი მივეცი შვებასა მეტის-მეტასა,
რა შემომხედნის, შევხედნი ცეცხლთან დამიწყის შრეტასა;
კაცთა კრძალვასა ვაწვევდი გულსა შიგსა და რეტასა,
(რა უამეა პირისპირ საყვარელისა ჴვრეტასა").

აი ამ „ჴვრეტამ" ერთხელ კიდევ დაარწმუნა ფარსადანი ტარიელისა და ნესტანის სამიჯნურო ურთიერთობაში და „ააფოლხვა, აანჭარა"...

საინტერესოა, რატომ „არ იჯერებს მეფე ტარიელის თავგამოდებით მტკიცებას იმის თაობაზე, რომ მან ეს მკვლელობა მისი ქალის სიყვარულით კი არ ჩაიდინა, არამედ იმიტომ, რომ ინდოეთის ტახტის ერთადერთ კანონიერ მემკვიდრედ მიაჩნია თავი"?.

ალბათ საჭიროა ტარიელისა და ფარსადანის ინტუიცია — გუმანის

(მიხვედრილობის), რაც შორიდან იღებს სათავეს, შემოწმება და მართებული შეფასება:

„იგი ასრე მ ო ი წ ი ფ ა. მე შემეძლო წესელა ოქსა;
მეფე ქალსა ეით ხედვ ღა ცეღოპისა ქმნისა მწთომსა,
მამასავე ხელთა მიცეს...“

მოყვანილ სტროფში საყურადღებოა ტარიელის „მამასავე ხელთა მიცემის“ ორი არგუმენტი: 1. მათი ბოწიფულობა (სიყვარულის აღმოცენებისათვის გზის გადაღობვის ცდა), 2. ქალის ღირსებებში დარწმუნება, მისი სამეფოდ მზადება. „წვრთა“ და ამ აზრთან ტარიელის ნელ-ნელა შეგუება.

პოემის სხვა სტროფებიდანაც ნათლად იგრძნობა, რომ მეფე ეკრძალვის თავისი ქალის „სხვათა მიერ ნახვას“. პირველგამოჯნურების ამბავში, — იგონებს ნადირობიდან დაბრუნებული ტარიელი მეფისავე თხოვნით, თუ როგორ მოვიდნენ ნესტანთან, რათა დურაჯი ბიერთმია:

„ვიცოდი, სწადდა არვისგან ნახვა მის მზისა დარისა,
მე გარე ვდეგ და მეფემან შეველო ფარდაგი კარისა;
ვერას ვხედვიდი, ოდენ ხმა მესმოდა საუბარისა,
ასმათს უბრძანა გამოხმა დურაჯთა ამირბარისა“.

და-ძმას ან დაძმურად აღზრდილებს რად უნდა ეკრძალებოდეთ ერთმანეთის ნახვა? საქმე ისაა, რომ ფარსადანს არ სურს ტარიელ სასიძოდ.

იბადება კითხვები: 1. რატომაა მეფე ტარიელის სიძობის წინააღმდეგი?

2. საცილობელი ხომ არ არის ტარიელის ტახტის მემკვიდრეობა— ქუთვნილების საქმე?

პირველ კითხვა ბოლოსთვის შევინახოთ, ახლა კი ვუპასუხოთ მეორეს.

დავუშვათ, რომ ქალ-ვაჟის სიყვარულის ამბავი ფარსადანმა არ იცოდა და ამაში სასიძოს მოკვლის შემდეგ დარწმუნდა ან, ეთქვათ, იცოდა, გრძნობდა, ძაგრამ, როგორც პოემაში ვკითხულობთ, შვილად ზრდიდა, „თქვის: ჩემივე გვარი არსა“, რაც თუ სისხლით ნათესავს ნიშნავს, მართლაც, გამორიცხავს მათს შეუღლებას, მაგრამ განა ეს ფაქტორი არ განაპირობებს ტარიელის გამეფების გარანტიას? აბა ერთხელ კიდევ დავუკვირდეთ! თუ სისხლით ნათესავს (სამეფო გვარის კაცს) შვილად ზრდიდნენ, ქვეყნის საპატრონოდ ამზადებდნენ, შესაფერი განათლებაც მისცეს და წვრთნეს კიდევაც, რად შეიცვალეს აზრი ნესტანის წამოზრდის შემდეგ? მით უმეტეს, მეფე-დედოფალი წუხდა იმაზე, რომ „ყმა არ მოგვცა, ქალი გვი-

ვის... ყმისა არ-სმა არად გეგავა"[1] (აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სისხლით ნათესაობა გამორიცხულია, რადგან „შეგების" შემთხვევაში თვითონ მეფე მიიჩნევდა შესაძლებლად მათს შეუღლებას: „თუ ჩემი ქალი გინდოდა, რად არა შემაგებინე?".

უფრო მეტიც, ტარიელმა ხატაელებთან ბრძოლით და ბრწყინვალე გამარჯვებით ყველას დაანახვა, რომ იგი ქვეყნის ღირსეული გამცლოლიც იქნება და პატრონიც. მეფე კი თათბირზე ტარიელის თანდასწრებით უგულებელყოფს მის „შვილობით განაზარდობას", ე. ი. როგორც მემკვიდრეს და როგორც სასიძოს (იხ. 514—515-ე სტრ.). და მაინც იმავე თათბირზე დიდებულები, მათ შორის ტარიელიც, სასიძოს არჩევის უფლებაში მეფეს არ ეპრებიან და, მისივე თხოვნის მიუხედავად, მასვე მიმართავენ:

„ვისცა სთხოვთ შვილსა სასიძოდ. მას დიდად გაეხარდების,
სხვამცა რა გკადრეთ? თვით იცით, მაგას რა მოეგვარებისა".

„მოეგვარებისო" ეს სიტყვა ხომ არ შეიცავს შექმნილი ვითარების ყველა წანამძღვრის გათვალისწინების მოთხოვნას?

ვფიქრობთ, რომ ამ სიტყვით გამოხატულია მოთხოვნაც და გაფრთხილებაც; საქმე მოსაგვარებელიაო და მეფეც კი არ იწყებს, გააგრძობს სათავისოდ ადრე დაკვალიანებული საქმის „მოგვარებას", მყისვე შემოაქვს წინადადება:

...„ხვარაზმშა, ხელმწიფე ხვარაზმელია,
თუ მოგვცემს შვილსა სასიძოდ,
მისებრია არა-რა მელია".

დედოფალიც ამ არჩევანს მიიჩნევს ყველაზე უმჯობესად, თუმცა კაცმა რომ თქვას, ასარჩევი არაფერი იყო, რადგან წინადადების შემომტანი (ერთი კანდიდატურის დამსახელებელი) მეფე იყო, პირველი ედასტურე კი დედოფალი:

...„ხვარაზმშა მეფეა მორჩმით მჯდომელი,
მითსამცა შვილსა სასიძოდ ჩვენთვის სხვა სჯობდა რა მელი"

რა მიზნები ამოძრავებს ფარსადანს, როგორია მისი სამართალი?

ვიდრე დასმულ კითხვას ვუპასუხებდეთ, გავეცნოთ მოკამათეთა კი-

---

[1] ნ. ნათაძეს ვერ დავეთანხმებით ამ ტაეპის ახსნაში — „ყმისა არ-სმა არად გეგავა"... თითქოს უძეობის არადაგებას, უნაღლობას ნიშნავდეს. პირიქით, სწორედ წუხილს, ნაღლობას გამოხატავს. მომდევნო სტროფში დიდებულები მეფის მიერ ტყვეილით გამოთქმულ ამ სიტყვებს იმეორებენ: „თქვენი ძისა არა-სმა ყულსა ვით მიეფარებისა". ე. ი. გულს როგორ დანისლავს, სადარდელი როგორ არის, როცა იგი მზის სადარიაო. ვფიქრობთ, რომ წორედ ამ სატყვარს უსვამს ხაზს მეფის მიერ გაწბილებული ტარიელი, როცა ამბობს: „ღმერთმან არ მოგცა ყმა შვილი, გაის ერთაი ქალია".

დევ ერთ ვარაუდს: „ტარიელმა სრულიად სამართლიანად ღვთის რისხვად ჩაით̆ვალა ის, რაც მასა და ნესტანს დაატყდათ თავს. ის ა ღ ა რ ე მ ა რ თ ლ ე ბ ა (ხაზი ჩვენია, ნ. რ.) ფარსადანს, არანაირად არ ადანაშაულებს იმაში, რაც თან მოჰყვა ხვარაზმშას ძის ესოდენ უსამართლო მკვლელობას“. მათ ამის სამოწმოდ მოაქვთ ტარიელის სიტყვები, რომლებიც ნესტანის დაკარგვის შეტყობისას წარმოთქვა:

„რომე სრულად მომიძულა, ღმერთსა თურე ესე ვძაგდი“...
„ღმერთსა ვერას ვუადრებ, რაცა სწადდეს, ეგრე ეყოცა“...

ერთი მხრივ, ჩვენ აქ არაფერს ვიტყვით ტარიელის მდგომარეობით განპირობებულ ხასიათის ცვლილებასა და „საწადელის მიღწევაში“ ავთანდილის როლზე, მაგრამ, მეორე მხრივ, ვკითხულობთ: თუ არ მეფისადმი უკმაყოფილება და დაპირისპირების გამოაშკარავება, მაშ, რით ავხსნათ ამირბარის სიტყვები:

...„მაგრა თვით იცი, ხელმწიფე ხამს მჭნელი სამართალისა“.
...„არ თუ იცის, ინდოეთი უპატრონოდ არ გამხდარა,
ტარიელ არს მემამულე, სხვასა ჰმართებს არად არა“...

ამასთან, ტარიელის მუქარაში.

— „არ დამეხსნება, გაგიხდი ქალაქსა ვითა ტრამასა“...
„ვინცა ჩემსა დამეცილოს, მისით მასცა აღმოვფხვრიდი“.
„სხვა მეფე დაჯდეს ინდოეთს, მერტყას მე ჩემი ხრმალია?!“

განა „მონანიე და დამნაშავე“ ამირბარის ხმა ისმის?!

მართალია, ტარიელი ნესტანის მამის მიმართ გარკვეულ შერ̆ხვევაში კვლავ პატივისცემასა და მოკრძალებას გამოხატავს (მხედველობაში გვაქვს სიკვდილის შეტყობისას ნათქვამი (1599-ე), მაგრამ, ვიდრე იგი ცოცხალი ეგულვება, არცთუ პატივით იგონებს, „წარწყმედელსაც“ კი უწოდებს (298)[1]. ამასთან, ტარიელს თასგადამხდარ ტრაგედიაში სულ „უბრალოდ“ არც სასიძო ესახება: „არა ვიცი, ვის მოიყვანს, ანუ იგი ვინ მიმცდარა“.

ახლა ვეუპასუხოთ ზოგიერთ თითქოსდა საწინააღმდეგო არგუმენტების მატარებელ კითხვებს: 1. მართლაცდა, რატომ გაუშვა ტარიელმა ხელიდან ნესტანის უხიფათოდ შერთვის შესაძლებობა? 2. რა

---

1 ავთანდილ̆ მოაგონებს ტარიელს მისი და როსტევანის ნადირობის ეპიზოდს და მათ მიერ უცხო მოყმის ნახვისა და გაუჩინარების ამბავს. ტარიელი აღდგენს ამ ადრინდელი შეხვედრის სურათს და ეტყვის: „მახსოვს... ერთგან გნახენ ნადირობას შენ და შენი მე გამზრდელი; მით უტიროდი, მომეგონა მე, გლახ, ჩემი წ ა რ მ წ ყ მ ე დ ე ლ ი“. ეს უკანასკნელი სიტყვა სწორედ მას გულისხმობს. ვინაც გაწირა, ცხოვრების გზა-კვალი აურია, ანუ „წარწყმიდა“; „მოაშორვა უკეთესსა მისა მზესა“.

გარანტია ჰქონდა მეფეს, რომ მისი „პირველდასკვნა“ ღადებითად გადაწყდებოდა?

ზემოთ თქმულს — „რომე პირველვე დაესკვნა, მათ ეს შეეტყოებოდა“, რომელიც მთავარი არგუმენტია ტარიელს წადილის მეფესთან გაუმჟღავნებლობისა, ბუნებრივად მოსდევს დასკვნა:

„ჩემგან დაშლისა კადრება მართ ამბად არ ეგებოდა“.
შეცილებამცა ვინ ჰკადრა, რადგან თვით იყო მნდომელი“.

დიდსულოვანი ადამიანი სხვაგვარად ვერც მოიქცეოდა. ტარიელიც, ტახტის მემკვიდრე, უბადლო სარდალი და გმირი მუხლს ვერ მოიყრიდა მეფის წინაშე და ქალს ვერ სთხოვდა მას, ვინაც იგი ფაქტიურად ყოველნაირად უარყო (515). ამასთან, სიყვარულის გასაიდუმლოების მიუხედავად, ტარიელი გრძნობს, რომ მეფე არ არის ამ ამბის უგრძნობელ-უცოდნელი.

ვეფხისტყაოსანი ჰაბუკს აზრით ეს საკითხი საერთოდ არ უნდა დასმულიყო, მაგრამ რაკი დაისვა და მეფის ტენდენციაც აშკარად გამოვლინდა, ამ შემთხვევაში „საქმის დაშლა“, „შეცილება“ მისი პიროვნებისათვის ისეთივე შეუფერებელი, პატივის ამყრელი ნაბიჯი იქნებოდა, როგორც ტახტის ძალით პყრობა და მეფის გვირგვინის მოპოვება ნესტანის დაკარგვის შემდეგ. მისი ფიქრით, თავისთავად უნდა გაემარჯვა „მართალ სამართალს“.

ახლა ვუპასუხოთ კითხვას: რით იყო გარანტირებული მეფე, რომ „პირველდასკვნა“, როგორც წინასწარი განზრახვა (სურვილი)—ხვარაზმშას შვილის სასიძოდ მოხვნობისა, დადებითად გადაწყდებოდა?

ამის თავმდები იყო მეფის წინაქმედებები; დავიმოწმოთ ტარიელს სიტყვები: 1. ...„მამასავე ხელთა მიმცეს, რა შევიქმენ ამა ზომსა“... 2. „მამა მომიკვდა“... წლის თავზე მეფე ბრძანებს: შენ გქონდეს ამირბარობა, ქმნა მისვე საურავისა“, რასაც ტარიელი სიხარულით არ შეხვედრია არ მარტო იმის გამო, რომ „მამის სახმილი“ ჯერ კიდევ „არ დაშრტობოდა“, არამედ იმიტომაც (და უფრო მეტად სწორედ ამიტომ), რომ მეფე-დედოფალი, როგორც ქვეყნის უზენაესი ხელისუფალნი, მას ყოველთვის თავს ახვევდნენ თავიანთ ნებას და იმორჩილებდნენ:

„მის ხელისა საურავი მათ ორთავე მითხრეს წყნარად,
ურჩ ვექმენ და მისეულთა წესთა ქცევა მიჩნდა ზარად“.

ვერ დავეთანხმებით ნ. ნათაძეს ამ სტრიქონების ახსნაშიც... ეს უკანასკნელი თითქოს იმას ნიშნავდეს, რომ „ტარიელს მამისეულ საქმის კეთება ზარავდეს. პირიქით, ჩვენი აზრით, მას მეფე-დედოფლის წინასწარ გამიზნული ქცევა „ზარავს“ — თავს მშობლის სიი-

ბის მქონედ რომ აჩვენებდნენ, სინამდვილეში კი უზენაესობით თავიანთ სურვილს ისრულებდნენ: „არ მომეშვენენ, დავპმორჩილდი, თაყვანის-ვეც ამირბარად“. ტარიელის უდიდესი სინანულის გრძნობა, რაც იხატება საწუთროსადმი მინდობილად მიყოლაში, სწორედ აქედან უნდა იღებდეს სათავეს...

ტარიელი ნანობს, რომ „ურჩობის“ პოზიცია, რაც მისი ბუნებიდან მომდინარეობდა, ვერ შეინარჩუნა (თუ ვერ გამოაელინა) და ამის გამო მეფე-დედოფალმა იგი თავის ჭკუაზე ატარა, ბედმა „აბურთავა“: „მე მაშვრალი ნაბურთალი, საწოლს შეველ მოსვენებადო“ (522) -- ამბობს ტარიელი, რაც აშკარად მიგვანიშნებს სასიძოდ ხვარაზმშას ძის მოყვანის გადაწყვეტილების მიღებისა და მისი მოხმობის შემდეგ მის მძაფრ სულიერ განწყობილებაზე.

საწუთროსა და ბედისადმი დამოკიდებულების საკითხში ტარიელი თავის პოზიციას უველაზე მეტად შემდეგ სტროფში გამოხატავს:

„მიმნდონი საწუთროსანი მისთა ნიეთთაგან რჩებიან,
იშვებენ, მაგრა უმეტესლოდ ბოლოდ ვერ მოურჩებიან,
ვაქებ ჭკუასა ბრძენთასა რომელნი ეურჩებიან“.[1]

მართალია, ტარიელი მეფე-დედოფალს არ ეურჩება, მაგრამ მეფე მაინც არ გამორიცხავს ტარიელისაგან რაიმე კადნიერებას, ამიტომაა, მათ: თქმსა თუ ქცევას „ცდის მალობისა“ და ნერვიულობის ელფერი რომ დაჰკრავს.

ახლა დროა ვუპასუხოთ კითხვას: რატომაა მეფე ტარიელის სიძეობის წინააღმდეგი?

ამასთან დაკავშირებით უნდა გავითვალისწინოთ ის, რაც ხშირად მხედველობაში არაა მიღებული მოპაექრეთა მიერ და რომლის გარეშე წარმოუდგენელია დასმულ საკითხზე რაიმეს თქმაც კი, ე. ი. გასარკვევია: რა მიზანი ამოძრავებს ფარსადანს; ყოველივე ამას რა კავშირი აქვს ისტორიულ სინამდვილესთან და როგორ გადატყდა იგი რუსთაველის მიერ მხატვრულ პრიზმაში (პოემაში). ეს ურთულესი პრობლემაა. ამის თაობაზე უამრავი ნაშრომი და სტატია დაიწერა. ჩვენ, რა თქმა უნდა, პრეტენზიას არ ვაცხადებთ საკითხის გადაჭრაზე, მხოლოდ წარმოვადგენთ ჩვენს მოსაზრებას.

---

[1] ამ დასკვნამდე ტარიელი სწორედ მომხდარი უბედურების შემდეგ მივიდა და, ამდენად, ჩვენი აზრით, თვითკრიტიკის ნიშნითაა აღბეჭდილი; ურჩობა მის მრწამსად კი არ ქცეულა. წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოდის, რომ ტარიელი და მისი მეგობრები ბედის ბრმა მონები არიან და არა ღმერთის (სიკეთის მესაჭის) შემწეობით „მართალი სამართლის“ თვითმპოვნელი, თავიანთი ბედის თვითმჭედველნი, რაც რუსთაველმა ასე გამოკვეთა: „ბედი ცდაა, გამარჯვება, ღმერთსა უნდეს მო-ცა-გებედებისა“.

თუ იმდენად უმნიშვნელოა და ცალსახაა პოემაში ასახული ამბავი, რომ მას არავითარი კავშირი არა აქვს რუსთაველისდროინდელი საქართველოს ისტორიულ სინამდვილესთან (რომლის მხატვრული ასახვით უნდა გაჟღერებულიყო პოეტის დამოკიდებულება სინამდვილისადმი და გამოთქმულიყო ჭეშმარიტი აზრი უამრავ ურთიერთგადაჯაჭვულ საკითხზე), მაშინ რისთვის დასჭირდა ავტორს სასიძოს მოკვლის ამბავი? ნუთუ მხოლოდ იმისთვის, რომ კვანძი შეეკრა და მოქმედება განევითარებინა? ნუთუ მხოლოდ ასე უსაფუძვლო საფუძველს დააყრდნო გენიალურმა რუსთაველმა თავისი პოემა?! და კიდევ, ნუთუ უმნიშვნელოა, ვის მივიჩნევთ ბრალდებულად — მეფეს თუ პოემის ცენტრალურ ფიგურას?! ამით ხომ იჩრდილება ნაწარმოების უმთავრესი პრობლემა (ადამიანის, პიროვნების რაობა-განიშნულებისა, რომელსაც ექვემდებარება ყველა დანარჩენი საკითხი (ვიჯნურობა, მეგობრობა, პატრიოტიზმი და სხვ.), მცირდება მისი მსოფლიო მნიშვნელობა?

ვფიქრობთ, რუსთაველმა თავისი პოემა საქართველოს სინამდვილის ყველაზე მნიშვნელოვან, მწვავე პრობლემამდე მისულ ფაქტორებს დააყრდნო. ესენია: გიორგი მეფის მიერ დემნასათვის ტახტის წართმევისა და თამარის საქმროდ დიდებულთა მიერ უცხო პირის მოწვევა, რითაც გამოესარჩლა პიროვნებას და მოგვცა ამ უკანასკნელის იდეალი.

მართალია, გიორგი III თამარის გათხოვებას არ მოსწრებია, იგი რამდენიმე წლით ადრე გარდაიცვალა.[1] მაგრამ აშკარაა, რომ პოემაში „საქმე გვაქვს საქართველოს ისტორიული სინამდვილის უკუფენასთან“. ტარიელისაგან სასიძოს მოკვლა, მწერლის მიზანდასახულებიდან გამომდინარე, სამართლიანადაა მიჩნეული „ნამდვილ ამბოხებად ფეოდალური წყობილების შიგნით“ (ა. ბარამიძე), რომელიც ერთდროულად მიმართული იყო მეფის „ბეცი პოლიტიკის, მისი ეგოისტური ნებისა და შინაგანად არამყარი საზოგადოების წინააღმდეგ. ეს უკანასკნელი დრომოჭმული ტრადიციების ნიღაბქვეშ მალავდა ურთიერთშუღლისა და შურით აღვსილ გულსა და სახეს. როგორც ვხედავთ, „უგუნურების ხვანჯის გამკვეთი“ გამოდის ურჩობა, ბრძოლა, ანუ „ქმნა მართლისა სამართლისა“. თუ მხედველობაში მივიღებთ სინამდვილესთან მიმართებას, შეიძლება ითქვას, რომ ამ უკანასკნელით გამოთქმული და გაცხადებულია პოემის შექმნის მიზეზიცა და მიზანიც.

ვეხებით რა სინამდვილესთან გმირთა მიმართების საკითხს, საქმე

---

[1] გიორგი III-ის კურსის გაგრძელებად თუ გამოძახილად გვესახება ქცევა იმ დიდებულთა, რომელთაც თამარს თანხმობის გარეშე საქმროდ უცხო ყმა მოაგვარეს.

გვაქვს რთულ სახეობრივ სიტუაციასთან. პოემაში ხან (და პირველ რიგში) ისტორიული სინამდვილიდან (პიროვნებიდან) იკვეთება სახე, ხან კი პირიქით, ისტორიული სინამდვილის არეკვლა (დალანდვა) ხდება შექმნილ სახეში.[1] ამის დამადასტურებელია პროლოგში ისტორიული პირების გვერდით პოემის გმირის (ტარიელის) სახელის ხსენება. ამასთან, პროლოგშივე ვკითხულობთ: „მათ სამთა გმირთა მნათობთა სჭირთ ერთმანეთის მოწება". ვინ არის ეს სამი გმირი? ჩვენი აზრით, სამთა გმირთა მნათობთაში ნავარაუდევი პირები არიან: 1. ლომი (იგულისხმება დავით სოსლანი), „ვის ჰშვენის ხმარება შუბისა, ფარ-შიმშერისა..." 2. თამარი, პიროვნება, ვის საქებრადაც შეიქმნა ეს ნაწარმოები („მეფისა მზის თამარისა ღაწვბალახშ, თმა-გიშერისა"). 3. ტარიელი, რომელსაც „შეწევნა სჭირდება"...

პირველი ორი გმირი გასაგებია, მაგრამ ვინაა ტარიელი?

პოეტი პოემის დასაწყისშივე მიგვანიშნებს, რომ მისი ხოტბის უშუალო ობიექტი თამარია, რომლის სახელი „შეფარვით ქვემორე", ანუ ამბავში აქვს გაცხადებული. პოეტის ქების საგანია დავით სოსლანიც. მაგრამ მისი სახელის ამბავში შეფარვით თქმასა თუ გარდასახვაზე არაფერს გვეუბნება. არ ვიქნებით მართალი, თუ ვიტყვით, რომ ალბათ

---

[1] უნდა ითქვას, რომ იდენტურობის თვალსაზრისით ტარიელი არც დემნაა, არც დავით სოსლანი და არც თვითონ რუსთაველი. მაგრამ როგორც მხატვრული სინამდვილე. გარკვეული ასპექტით, იგი ერთიცაა, მეორეც და მესამეც; ასევე შეიძლება ითქვას გიორგი III-ის „პროტოტიპობაზეც": იგი სარიდანიცაა, როსტევანიც და ფარსადანიც. ძლევამოსილების თვალსაზრისით იგი სარიდანაა, რომელსაც „წყეულია მტერთაგან ძლევით ნაპირთა არები", მაგრამ ამავე დროს მისი ანტიპოდიცაა. როგორც ვთქვით. სარიდანმა დიდსულოვნად დაგმო ქვეყნის დანაწევრების გზა და მისი ერთიანობის იდეას პრაქტიკულად პირადი მაგალითით ჩაუყარა საფუძველი, ქვეყნის ძლიერებას და დიდებას ანაცვალა პირადული დიადობა და ძლევამოსილი მეფე ამირბარობას დასჯერდა...

როსტევან მეფე უფრო მეტი რამით ჰგავს გიორგი მეფეს, მაგრამ პიროვნულ ინდივიდუალობის თვალსაზრისით განსაკუთრებით ხაზგასასმელია სიტყვები: „თვით შეფობა ქალსა ჩემსა მივეც, აქვს და მას ეფერა".

და მაინც ყველაზე მეტად, შეიძლება ითქვას გიორგი მეფე ფარსადანშია განსახოვნებული. საყურადღებოა ტარიელისადმი ფარსადანის დამოკიდებულებისა და დემნასადმი თამარის მამის „მოპყრობის" ანალოგიები.

თვითონ დემნას ცხოვრება გამოსჭვივის ტარიელშიც (მხოლოდ ზემოთ მოტანილი არგუმენტების გათვალისწინებით) და ფრიდონის სახეშიც. ეს უკანასკნელიც ბოძა-ბიძაშვილების „დევნას" განიცდიდა და, მოსარჩლედ რომ ტარიელი არ აღმოჩენოდა, შესაძლოა დემნასავით გაწირულიყო, „მორევნის" მსხვერპლი გამხდარიყო.

თამართან ნესტან-თინათინის სახეთა მიმართებაზე ჩვენც იმავე აზრისა ვართ, არ აზრიცაა გატარებული სპეციალურ ლიტერატურაში — ნესტანი თამარის შესაძლებელი სინამდვილეა, თინათინი — სასურველი.

ტარიელი დავით სოსლანის გარდასახვაა. პროლოგში სხვა გარდასახული პირის ხსენება არაა. ამასთან, თუ დავუშვებთ შესაძლებლობას დავითის ტარიელად გარდასახვისას, ე. ი. დავარღვევთ ამ პუნქტს, მაშინ ირღვევა უფრო მთავარი პუნქტი — „მათ ს ა მ თ ა გმირთა მნათობთა...“ სადღაა სამი გმირი?... საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ პოეტი ისევ სამ გმირს ასახელებს ეპილოგშიც, თანაც იმავე წარდგინებით: ჯერ ახსენებს „ლომის“ მეტაფორას გახსნილად: „ქართველთა ღმრთისა, დავითის“... შემდეგ თამარს, ღრონდ აქ პირიქით, მეტაფორულად: „ვის მზე მსახურებს სარებლად“... და დასძენს, რომ ეს ამბავი გალექსა მან „მათად მოსახმარებლად“ (სხვა გამოცემებში „მათდა საკამათებლად“); შემდეგ სხვა ცნობილ პოეტთა და გმირთა გვერდით კვლავ ასახელებს ტარიელს, რომლისთვისაც რუსთაველი ბოლომდე „ცრემლშეუშრობელი“ ჩანს.

ვინ არის ტარიელი, ვისთვისაც რუსთაველს „ცრემლი სდის არ შეშრობილი?“

როგორც ვიცით, პოემის ჟჩირმა ტარიელმა, მართალია, დიდი ბრძოლით, მაგრამ მაინც მიაღწია საწადელს: არც დავით სოსლანი დარჩენილა ბედის უშადური. მაშ რატომ ჩანს ავტორი ისევ „ცრემლშეუშრობელი?“

იმად, რომ პროლოგსა და ეპილოგში მოხსენიებული ტარიელი (მესამე გმირი) მეტია დავით სოსლანზეც და თვით პოემის გმირ ტარიელზეც. ერთი მხრივ, იგი გიორგი III-ის ეგოისტურ ნებას მსხვერპლად შეწირული, ამ ქვეყნიდან პატივაყრილად გადაგებული ზვარაკის — დემნას ხატება და მისი დაუვიწყებლობის გამოხტულებაა (როგორც ცნობილია, ამ ფაქტმა თვით „მეფე გიორგისაც მოუწმალა სიცოცხლე, ნაადრევად დააბერა“), მეორე მხრივ, კი, ვფიქრობთ, თვითონ რუსთაველის გულისთქმის, მაგრამ იმთავითვე განწირული გრძნობის, გამოძახილიცაა. ამ „სამთა გმირთა მნათობთა“ ერთმანეთისადმი „მონებამდე“ დასულმა თაყვანებამ ხომ არ შეამზადეს თუ განაპირობეს რეალური და შეთხზული ტრაგედიები?...

ჩვენ ირიბად პასუხი გავეცით კითხვას — რატომ არ უნდოდა მეფეს სიძედ ტარიელი? ამის პირდაპირი პასუხი პოემაში არც ამოიკითხება, ამიტომ რეალური სინამდვილის გაუთვალისწინებლად უსაფუძვლო საფუძვლად გამოსჩანს არა მარტო სასიძოს მკვლელობა, არამედ ტარიელისა და ფარსადანის კონფლიქტიც.

სინამდვილისა და მხატვრული მასალის იდენტიფიკაცია არც სასურველია და არც შესაძლებელი, მაგრამ...

დასმულ კითხვაზე სინამდვილის გათვალისწინებით პირდაპირი პასუ-

ზის გაცემა ცოტა უხეში იქნება, მაგრამ დასკვნის სახით ალბათ ამის თქმაც აუცილებელია.

რატომ არ უნდოდა ფარსადანს სიძედ ტარიელი?

— ტახტის მემკვიდრეობა რომ არ დაეკარგა მის შთამომავლობას.

რატომ გადაუდგა გიორგი მეფე დემნას (ე. ი. დაარღვია პირობა — დემნას სრულწლოვანების შემდეგ ტახტი გადაეცა მისთვის, როგორც უფროსი ძმის შვილისათვის, რომელსაც ტრადიციითაც ეკუთვნოდა სამეფო მემკვიდრეობა და ღირსებითაც? („სახე-კეთილ და ყოველთა ხელითა მარჯვე, მასწავლი, მსგავსი სახლიშვილობისა მათისა").

იმავე მიზეზით, რა მიზეზითაც არ სურდა ფარსადანს ტარიელის სიძობა: „მეფობა ქალსა მისსა" უნდა დარჩენოდა. ტარიელის გამეფება კი პირდაპირი ხაზით სამეფო ტახტის მათს უშუალო მემკვიდრეობას გამორიცხავდა.

ასე მოხდა სინამდვილეშიც. თამარი გახდა მეფე. დავით სოსლანი კი — თანამეცხედრე. მათი შვილი — გიორგი ლაშა თამარის ძეა. ამის მხატვრული გარდასახვაა ეს სიტყვებიც: „არს ერთი ქალი საძეო. არ კიდე — გასათხოელი". ანალოგიურია თინათინის მდგომარეობა; ამიტომ გვესახება იგი თამარის ცხოვრების სასურველ სინამდვილედ, ხოლო ნესტანის სახის შექმნით რუსთაველმა წარმოგვიდგინა იდეალურობამდე აყვანილი შესაძლებელი სინამდვილე. ნესტანი მამის სურვილზე მაღლა დგას, მისი ოცნებაა: „მე და შენ დავსხდეთ ხელმწიფედ"... „შეგვფერობდეს ერთად ჯდომა"; იგი „მართალი სამართლის" გატანის (გამარჯვების) მსურველიცაა და აქტიური მებრძოლიც.

ვფიქრობთ, მამის იდეისადმი ღალატი, მისი სურვილის უთანაგრძნობით გამოწვეული ტკივილი უფრო გამოსჭვივის ნესტანის გოდებაში, ვიდრე მამა-შვილის სამუდამო „გათიშვით" მიყენებული ტრავმა:

> „მოვკედე, მამაო, მე შენთვის შვილი ყოველთა უარე[1]
> ვერცა გმსახურა ასულმან, ვერცა რა შეგაგუარე!"

ასევე გამზრდელ-გაზრდილის სამუდამო გაყრაზე მეტის მთქმელია ტარიელის „მოსანანიებელი" სიტყვები: ...„ღმერთსა მიჰმადლე, შემინდევ, რაცა შენ ჩემგან გწყენია".

სწორედ ამ საკითხების გაუთვალისწინებლობაა ცალსახოვანი მსჯელობის საფუძველი, რითაც გამოდის, რომ ტარიელი, ნაწარმოების ცენტრალური ფიგურა, მისაბაძი პიროვნება კი არა, პათოლოგიური არსება ყოფილა, რომლის არამართებულ ინტუიციას შეეწირა „ამდენი

---

[1] უარე ორმაგმნიშვნელოვანი სიტყვაა: 1. უარესი 2. ყველაფერზე უარის მთქმელი, არათანამოაზრე, უთანაგრძნობო. ჩვენი ფიქრით, აქცენტი მეორეზე უნდა იქნეს გადატანილი.

უდანაშაულო ადამიანი". ამაოდ „დაჰაშვრალან" ტარიელის მეგობრებიც, რაც მთავარია, რუსთაველი... „საწუხარ არს ესე"...

დასმულ საკითხზე მსჯელობისას არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სწორედ რუსთაველის ეპოქაში, თამარის გამეფებასთან დაკავშირებით, დაისვა ადამიანის, პიროვნების, როგორც საზოგადოებრივი არსების, როლისა და დანიშნულების პრობლემა, რომლის გენიალური გადაწყვეტა მოგვცა რუსთაველმა.

პოეტის ამ დიდ დამსახურებაზე მიგვანიშნებდა შ. ნუცუბიძე: რუსთაველმა უდიდესი ჰუმანისტური ამოცანა შეასრულა, როცა მიზნად დაისახა „გაერკვია საზრისი ადამიანის არსებობისა, ეჩვენებინა ცოცხალი, მგრძნობიარე, მოაზროვნე და მოქმედი ადამიანი", გამოსარჩლებოდა და დაეცვა ღირსეული პიროვნება.

ყოველივე ზემოთქმულის გაუთვალისწინებლობა და საკითხის მარტივად გადაწყვეტა უგულებელყოფს პოემის არა მარტო მსოფლიო, არამედ მის საქვეყნო მნიშვნელობასაც.

რ უ ს თ ა ვ ე ლ ი — თეატრი, ეპარანიზება

საქართველოს მკვლევართა ერთსულოვანი აზრით, რუსთაველის დროს ლექსები იწერებოდა არა პოეზიის ცალკეულ მოყვარულთათვის, არამედ უამრავ მსმენელთათვის. პოეტი მაინც ერთსა და იმავე დროს შემთხზველიც იყო და დეკლამატორიც; შემდეგ ტრადიციად გადაიქცა „ვეფხისტყაოსნის" წაკითხვა დიდი აუდიტორიის წინაშე. XIX საუკუნეში პოემის საუკეთესო მკითხველებად ითვლებოდნენ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, დიმიტრი ყიფიანი, ივანე მაჩაბელი, ბარბარე ჯორჯაძე, მამია გურიელი, და სხვები. ნაწყვეტებს პოემიდან კითხულობდა და დღესაც კითხულობს ბევრი ქართველი მსახიობი.

სხვადასხვა დროს რუსთაველი შთააგონებდა სხვადასხვა ჟანრის — ბალეტის, ოპერის, კინოს ხელოვანთ; იყო ცდა შეექმნათ პოემის სცენური ვარიანტი დრამატული თეატრისათვის.

სცენასთან რუსთაველის პოემის კავშირის საკითხის გამოკვლევას პირველად მოჰკიდა ხელი ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორმა დიმიტრი ჯანელიძემ. იგი გამოთქვამს ვარაუდს, რომ „ვეფხისტყაოსანს" კავშირი ჰქონდა XII საუკუნის თეატრ „სახიობასთან". მოგვიანებით, აღორძინების პერიოდში განსაკუთრებული შემთხვევების დროს თეატრებში წარმოადგენდნენ რუსთაველის, თეიმურაზისა და არჩილის საუბრის ინსცენირებას. ამასთან ფართოდ იყენებდნენ „ვეფხისტყაოსნის" ლექსს. ამრიგად, პოემის კავშირი თეატრთან XIX საუკუნემდე მხოლოდ იმით გამოიხატებოდა, რომ სრულდებოდა ან პოემის ნაწყვეტები, ან „საუბრები" რუსთაველთან.

„ვეფხისტყაოსნის ინსცენირება პირველად სცადა გიორგი ფირალიშვილმა (1768—1823) — გიორგი მეფის მდივანმა. იგი პეტერბურგში ცხოვრობდა და თარჯიმნად მუშაობდა საგარეო საქმეთა სამინისტროში. 1805 წელს მან დაწერა ხუთმოქმედებიანი ტრაგედია „ინდოეთის მემკვიდრე, ანუ სამშობლოს სიყვარული“. პიესის ხელნაწერი დაიკარგა, მაგრამ შემორჩენილი რეცენზიებით ვიგებთ მის ღირებულებას.

მოგვიანებით პოემა გაასცენიურეს ოქროპირ ბაგრატიონმა და გიორგი ერისთავმა. ო. ბაგრატიონის ტრაგედია „ვეფხისტყაოსანი“ 1853 წელს დაიბეჭდა მოსკოვში. ხუთმოქმედებიანი იყო აგრეთვე გიორგი ერისთავის ინსცენირება. მისი ტექსტი აჭრელებულია უამრავი პრაქტიკული მითითებებით, რაც აუცილებელი იყო პიესის სცენური დადგმისათვის.

XIX საუკუნის დამლევს ცნობილმა ქართველმა მსახიობმა კოტე ჯაფარიძემ დაწერა სამმოქმედებიანი პიესა „რუსთაველი“, რომელიც დაიდგა 1890 წლის 14 დეკემბერს. ავტორის ბენეფისის დროს, და უდიდესი წარმატება ჰქონდა. მოქმედ პირთა შორის იყვნენ თამარ მეფე, შოთა რუსთაველი, დავით სოსლანი, ზაქარია მხარგრძელი, რუსთაველის მეუღლე გაიანე და სხვები. პოეტი პიესაში ხალხის დამცველად არის გამოყვანილი. ეს ნაწარმოები 30 წლის განმავლობაში იდგმებოდა ქართულ სცენაზე.

ბევრ მწერალსა და დრამატურგს უცდია პოემის სცენური ვარიანტები. ქართული თეატრის რეჟისორის თანაშემწემ ალექსანდრე თამამაშვილმა დაწერა ხუთმოქმედებიანი დრამა პროზად — „ვეფხისტყაოსანი“, 1901 წელს კი პეტერბურგში გამოიცა როსტომ მყინვარის ლიტერატურულ-სცენური კომპოზიცია, რომელიც შედგებოდა 15 სურათისა და აპოთეოზისაგან. 1909 წელს პეტრე მირიანაშვილმა დაწერა პიესა, მაგრამ იგი არ დადგმულა. ეს პიესა გამოიყენა ლიბრეტოდ ოპერისათვის ლევან ფალიაშვილმა.

რუსთაველის უკვდავმა პოემამ გაიტაცა კოტე მარჯანიშვილი. სცენურ ლიტერატურულ მონტაჟზე მუშაობდა ცნობილი თეატრალურ მოღვაწეთა მთელი ჯგუფი — კონსტანტინე ანდრონიკაშვილი, მიხეილ ქორელი, აკაკი ფალავა, დოდო ანთაძე, და სხვები. შედგენილი იყო „ვეფხისტყაოსნის“ დადგმის გეგმა, განაწილებული იყო როლები, მაგრამ რიგი მიზეზების გამო „ვეფხისტყაოსანი“ არ დადგმულა.

რუსთაველის შესახებ სცენისათვის დაწერილ ნაწარმოებთა ავტორებს შორის არიან სანდრო შანშიაშვილი, ნიკოლოზ შიუკაშვილი, შალვა დადიანი, გიორგი ჟურული, დავით კასრაძე და სხვები.

უნგრელი მხატვარი მ. ზიჩი, რომელმაც „ვეფხისტყაოსანი“ დაასურათა, წერილობით აცნობებდა თავის ძმას (ანტალს), „თავადის ქალ-

მა..ბარათოვამ მთხოვა რაღაც ქველმოქმედების თვალსაზრისით, დამედგა ცოცხალი სურათები „ვეფხისტყაოსნიდან“... წარმოდგენაში მონაწილე პირები უმთავრესად თავადები და თავადის ქალები იყვნენ, მოკლედ, მთელი არისტოკრატია. მათი დახმარებით თეატრში დავდგი კიდეც ცოცხალი სურათები... წარმოდგენამ წარმატებით ჩაიარა. ყოველივე ეს პატარა ჩაგრული ერის დემონსტრაციას წარმოადგენდა. თეატრი მაყურებლებით იყო გაჭედილი, მათ აღფრთოვანებას საზღვარი არ ჰქონდა... უკანასკნელი სურათის შემდეგ იმდენჯერ გამიყვანეს სცენაზე, სათვალავი არ ჰქონდა... ალბათ ეს წარმოდგენა რეპერტუარს სამუდამოდ შერჩება“[1].

1882 წ. „ცოცალ სურათებად წარმოდგენილი „ვეფხისტყაოსნის“ წარმატება იმდენად დიდი იყო, რომ ზიჩი ქუთაისმაც მიიწვია“ („დ რ ო ე ბ ა“, 1882. № 29). თბილისში კი სანახაობისთვის მეთერთმეტე სურათი (რუსთაველის მიერ თამარისათვის „ვეფხისტყაოსნის“ შირთმევა) დაუმატებიათ. მონაწილეობდნენ: თ ა მ ა რ მ ე ფ ე — მ. იოსელიანი, რ უ ს თ ა ე ლ ი — დ. სარაჯიშვილი, თ ი ნ ა თ ი ნ ი — ს. ჩოლოყაშვილი, რ ო ს ტ ე ვ ა ნ ი — რ. ერისთავი, ფ ა რ ს ა დ ა ნ ი ვ. თარხნიშვილი და სხვ. ტ ა რ ი ე ლ ი ბარათაშვილი ნ ე ს ტ ა ნ — დ ა რ ე ჯ ა ნ ი — ნ. ოგლობლიო (ორბელიანის ასული), ა ვ თ ა ნ დ ი ლ ი — აფხაზი, დ ა ვ ა რ — ა. მესხიშვილი, ფ ა ტ მ ა ნ — ნ. ორბელიანი და სხვ.[2]

„შორეულ, ჩვენთვის ნაკლებად ნაცნობ სამყაროში გადავყავართ ქართული ეპოპეის „ვეფხისტყაოსნის“ ინსცენირებას, რომელიც გახორციელდა კრაკოვში რაფსოდიის თეატრში. ამ საინტერესო დადგმის ინიციატორი გახლდათ თეატრის ხელმძღვანელი დოქტორი მ. კოტლიარჩიკი... მადლიერნი ვართ თეატრისა. რომელიც დგამს ჩვენი მაყურებლისათვის უცნობ ნაწარმოებს. ასეთ დადგმას წარმოადგენს „ვეფხისტყაოსანი“, ეს სიტყვები ეკუთვნის რ. შილდოვსკის, რომელმაც გამოაქვეყნა რეცენზია „ვეფხისტყაოსნის“ პოლონურ დადგმაზე.

დ. არაყიშვილს დაუდგამს ოპერა „თქმულება შოთა რუსთაველზე“. 1937 წ. „ვეფხისტყაოსნის“ დადგმის თაობაზე საინტერესო ცნობა იყო გამოქვეყნებული 1939 წლის გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“; მოსკოვში ფრუნზეს რაიონის პიონერთა სახლის კოლექტივს დაუდგამს „ვეფხისტყაოსანი“. იგი ბევრგან უჩვენებიათ, მათ შორის მოსკოვის მეცნიერთა სახლში. შანდელშტანის სახ. კულტურისა და დასვენების პარკში და სხვ. რეცენზენტ ბ. ემელინოვის შენიშვნით, „ეს არის დიდი ქართველი პოეტის უკვდავი ქმნილების დრამატიზაცია

---

1. ი. რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, II თბილისის სახ. უნივერსიტეტი, 1978, გვ. 81—82, 101—102.

2. ნ. ურუშაძე, ვეფხისტყაოსანი და ქართული ხელოვნება, თბ., 1967, გვ. 61 — 62.

გასცენიურების პირველი ცდა...“ ამ დადგმისათვის სცენები გაუკეთებია საბავშვო მწერალს როზანოვს.

ი. ჯავახიშვილის ცნობით, 1964 წ. მონტე-კარლოში დაუდგამთ ბალეტი, რომელსაც საფუძვლად დასდებია რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ მოტივებზე აგებული კომპოზიტორ ა. მაჩავარიანის ნამუშევარი („ზარია ვოსტოკა“, 1966, 17. VII).

1966 წელს შეიქმნა ქართული სასწავლო ფილმი „შოთა რუსთაველი და „ვეფხისტყაოსანი“.

სრულმეტრაჟიან მეცნიერულ-პოპულიარულ ფილმზე „შოთა რუსთაველი და მისი ეპოქა“ უმუშავნიათ რეჟისორებს გ. ასათიანსა და ტ. ნათაძეს (გაზეთი „ზარია ვოსტოკა“, 1966. 9. XI).

„რუსთაველის საიუბილეო წელს (800) შეიქმნა სრულმეტრაჟიანი მეცნიერულ-პოპულიარული ფილმი „რუსთაველის ნაკვალევზე“, სცენარისტ ი. რურუას, რეჟისორ გ. პატარაიას, კინოოპერატორ გ. მელქაძის ისრაელსა და იორდანიაში ყოფნის შედეგად“ („მოლოდიოჟ გრუზიი“, 1966, 2, VI).

ქართულ კინემატოგრაფიას არაერთხლ მიუხედავს ამ ზოგადსაკაცობრიო პოეტის დიდი ქმნილებისათვის, ჯერ კიდევ 1926 წელს, როცა გამოჩენილმა რეჟისორმა ფრიც ლანგმა „ნიბელუნგები“ გადაიღო, გამოითქვა სურვილი, მისთვის შეეთავაზებინათ „ვეფხისტყაოსნის“ ეკრანიზაციაც. ეს არ მოხერხდა. ამ საქმეს ხელი მოჰკიდეს ამერიკელებმაც, მაგრამ. პოლ ანეგრის დიდი სურვილის მიუხედავად, ეს დადგმა მაინც არ განხორციელდა[1]. რუსთაველის 800 წლის საიუბილეო დღეებში ამ ოცნების ხორცშესხმაზე უფიქრიათ სიკო დოლიძესა და რეზო ჩხეიძეს, მაგრამ ფაქტი სახეზეა.. დღესაც, ეკრანიზაციის უდიდესი შესაძლებლობების მიუხედავად, ქართველი ხალხის სანუკვარი ოცნება ოცნებადვეა დარჩენილი... ვნახოთ რას გვეტყვიან თავისუფალი საქართველოს თავისუფალი შვილები... ერთს კი დავსძენთ: რუსთაველის ეკრანიზება გამოხატულება იქნება ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული ვითარებისა და ქართველი კაცის სრულყოფისაკენ სწრაფვისა...

---

1 ვისარგებლე რუსთაველის საიუბილეო წლებში გამოქვეყნებული სტატიებით.

ა. დადიანი, რუსთაველი და თეატრი (გაზეთი. „ლიტერატურული საქართველო“, 1965, ნოემბერი).

ს. დოლიძე, რუსთაველის გმირები ეკრანზეც უნდა ვიხილოთ (გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, 1965 22 იანვარი).

დ. ჯანელიძე, რუსთაველი და სახიობა, იქვე,

საცნობარო ბროშურით, რომელიც გამოაქვეყნა 1966 წელს, რუსთაველის დაბადების 800 წლისთავთან დაკავშირებით, თბ., 1966.

წიგნებით: რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, II, თბ.; 1978,

ნ. ურუშაძე, „ვეფხისტყაოსანი“ და ქართული სასცენო ხელოვნება თბ., 1967.

სარჩევი

შესავალი . . . 3
„ვეფხისტყაოსნის“ სწავლების ისტორია . . . 5
გარდაბაძული ასკის მოზარდის თავისებურებანი და „ვეფხისტყაოსნის“ სწავლებისას მასწავლებლის წინაშე მდგარი ამოცანები . . . 23
„ვეფხისტყაოსნის“ ძთავარი თემა, ძირითადი საკითხები და იდეები . . . 25
საორიენტაციო თემატიკური გეგმა, გაკვეთილის ტიპები (მომენტები) „ვეფხისტყაოსანზე“ მუშაობის გათვალისწინებით . . . 35
შესავალი მეცადინეობა. 1-ლი გაკვეთილი . . . 37
რუსთაველის ხალხური ბიოგრაფიიდან . . . 41
რუსთაველისადმი მიძღვნილი ტურნირი . . . 41
სტუმრად კახაბერთან . . . 43
მე-2 გაკვეთილი . . . 44
რუსთაველის გვარის, სახელისა და პორტრეტის შესახებ . . . 44
მე-3 გაკვეთილი. ამბავი როსტევან არაბთა მეფისა... . . . 51
მე-4 გაკვეთილი. ნახე არაბთა მეფისაგან მის ყმისა ვეფხისტყაოსნისა... . . . 53
მე-5 გაკვეთილი. წიგნი ავთანდილისა თავის ყმათა თანა... . . . 60
მე-6 გაკვეთილი. ამბავი ავთანდილისა, ასმათს რომ ეუბნების ქვაბშიგან... . . . 63
მე-7 გაკვეთილი. ტარიელისაგან თავის ამბის მბობა, ოდეს ავთანდილს უამბო... . . . 64
მე-8 გაკვეთილი. წიგნი ნესტან-დარეჯანისა საყვარელსა თანა მიწერილი პირველი... . . . 65
მე-9 გაკვეთილი. ტარიელისა და ნესტანის პირის-პირ შეყრა... . . . 67
მე-10 გაკვეთილი. წიგნი ნესტან-დარეჯანისა საყვარელსა თანა მიწერილი... . . . 68
მე-11 გაკვეთილი. ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის თათბირი და გამორჩევა... . . . 70
მე-12 გაკვეთილი. ამბის ცნობა ტარიელისაგან ნესტან-დარეჯანის დაქარგვისა... . . . 71
მე-13 გაკვეთილი. ფრიდონისაგან ნესტან-დარეჯანის ამბის მბობა... . . . 72
მე-14 გაკვეთილი. დათხოვა ავთანდილისა როსტევან მეფესთანა და ვაზირის საუბარი... . . . 76
მე-15 გაკვეთილი. ანდერძი ავთანდილისა როსტევან მეფის წინაშე, ოდეს გაიპარა... . . . 80
მე-16 გაკვეთილი. ცნობა როსტევან მეფისაგან ავთანდილის გაპარვისა... . . . 82
მე-17 გაკვეთილი. პოემა ავთანდილისაგან დაბნედილის ტარიელისა... . . . 84
მე-18 გაკვეთილი. აქა ტარიელისაგან და ავთანდილისაგან ქვაბს მისლვა და ასმათის ნახვა... . . . 89
მე-19 გაკვეთილი. ამბავი ავთანდილისაგან გულანშაროს მისლვისა... . . . 92
მე-20 გაკვეთილი. აქა ფატმანისაგან ნესტან-დარეჯანის ამბის მბობა... . . . 93
21-ე გაკვეთილი. წიგნი ფატმანისა ნესტან-დარეჯანის წინაშე მიწერილი... . . . 95
22-ე გაკვეთილი. წიგნი ნესტან-დარეჯანისა საყვარელთან მიწერილი... . . . 95
23-ე გაკვეთილი. წასლვა ავთანდილისა გულანშაროთ და ტარიელს შეყრა... . . . 97
24-ე გაკვეთილი. თათბირი ნურადინ ფრიდონისა... . . . 99
25-ე გაკვეთილი. ტარიელისაგან ზღვათა მეფისას მისლვა... . . . 100
26-ე გაკვეთილი. სამთაგანვე ქვაბსა მისლვა და მუნით არაბეთს წასლვა... . . . 103
27-ე გაკვეთილი. ტარიელისაგან ინდოთ მეფის სიკვდილის ცნობა . . . 105
28-ე გაკვეთილი. ქორწილი ტარიელისა და ნესტან-დარეჯანისა... . . . 106
29-ე გაკვეთილი. პოემის შინაარსის მაგისტრალური ხაზი, ანუ სიუჟეტური კომპოზიცია... . . . 109
30-ე გაკვეთილი. რაინდთა სახეები... . . . 111
31-ე გაკვეთილი. ავთანდილის დახასიათება . . . 115

32-ე გაკვეთილი. აეთანდილისა და ტარიელის შედარებითი დახასიათება 116
33-ე გაკვეთილი. ნესტანის დახასიათება (რქვე, 34-ე, 35-ე, 36-ე გაკვეთილების შესახებ)...
37-ე გაკვეთილი. ისტორიული სინამდვილე და მისი ასახვა „ვეფხისტყაოსანში", მეფეთა სახეები... 121
38-ე გაკვეთილი. მიჯნურობა „ვეფხისტყაოსანში" 131
პლატონური სიყვარული და მიჯნურობის რუსთველური კონცეფცია 132
რუსთველური სიყვარულის გაგება-შესწავლისათვის 141
39-ე გაკვეთილი. მეგობრობა „ვეფხისტყაოსანში" 151
მეგობრობისა და სიყვარულის ცნებათა ურთიერთმიმართებისათვის 151
რუსთველური მეგობრობის არსი... 154
რუსთველური მეგობრობის გაგება-შესწავლისათვის 159
მე-40 გაკვეთილი. პატრიოტიზმი „ვეფხისტყაოსანში" 165
გმირობის რუსთველური გაგება 165
გმირთა პატრიოტული აღტყინება 167
პატრიოტული მოტივის სწავლების გზები და საშუალებანი 179
41-ე გაკვეთილი. პოემის სხვა საყურადღებო საკითხები 183
ქალისა და მამაკაცის თანასწორობა 183
ვაჭართა საზოგადოება „ვეფხისტყაოსანში" 185
42-ე გაკვეთილი. რუსთაველის შეხედულება შაირობაზე (პოეზიაზე) 188
43-ე გაკვეთილი. პოემის მხატვრული მხარე 190
რუსთაველის ენა, პოეტიკა 190
რუსთაველის ლექსი 204
44-ე გაკვეთილი. რუსთაველი-ქართული რენესანსის მესვეური 209
რუსთაველის ჰუმანიზმი 211
რუსთაველის ღმერთის შესახებ 212
რუსთაველის რეალიზმი 223
რენესანსზე მოცემული მასალების მოსწავლეებამდე მიტანის გზები და საშუალებები 226
45-ე გაკვეთილი. დასკვნითი მუშაობა. რუსთაველის მნიშვნელობა და ადგილი მსოფლიოს ლიტერატურის ისტორიაში 230
ქართველი და უცხოელი მოღვაწეები რუსთაველის შესახებ „ვეფხისტყაოსნის" ხელნაწერებიდ, გამოცემები, თარგმანები 232
საწერ თემებზე მუშაობა. 236
ღონისძიებანი „ვეფხისტყაოსნის" გაღრმავებით შესწავლისათვის 247
მზადება „ვეფხისტყაოსანზე" მუშაობისათვის 247
რუსთაველი IX—XI კლასების პროგრამებთან დაკავშირებით 248
„ვეფხისტყაოსანი" და საწრეო მუშაობა 251
დანართი 269
„ფილოსოფოსნი წინანი"... ფილოსოფოსნი შემდგომნი და ჩვენი თანამედროვენი 269
პელიოკენტრიზმის საკითხისათვის 269
ეპპედოკლე 270
პლატონი 273
დიონისე არეოპაგელი 275
იოანე დამასკელი 278
იოანე პეტრიწი 279
„რუსთაველის მსოფლმხედველობის საკითხები" 282
„ვეფხისტყაოსნის" უზენაესი არსების მიმართებისათვის ქრისტიანულ ღვთაებასთან 290
„საღმრთოთა სახელთათვის" 290
ქრისტიანული და არისტოტელური რუსთაველის ეთიკურ შეხედულებებში 293
სიუხვის არისტოტელური გაგება „ვეფხისტყაოსანში" 295
ვაჟკაცობა 297
სხვადასხვა 297
მართალი სამართლის ქნებისათვის 299
ლოსევი და ქართული რენესანსის საკითხები 301
სწავლა-აზრდის იდეა „ვეფხისტყაოსანში" 308
ტარიელისა და ფარსადანის კონფლიქტი 318
რუსთაველი — თეატრი, ეკრანიზება 329

გამომცემლობის რედაქტორი ა. ფორდანია
მხატვრული რედაქტორი გ. აბრამიშვილი
ტექნიკური რედაქტორი ზ. მახარაშვილი
უფრ. კორექტორი ლ. კობახიძე
კორექტორი ლ. შვანგირაძე

სბ № 4716

გადაეცა წარმოებას 25.07.90. ხელმოწერილია დასაბეჭდად 27.02.92. ქაღალდის ზომა 60×90¹/₁₆. საბეჭდი ქაღალდი № 2 გარნიტურა ვენა ბეჭდვის ხერხი მაღალი ნაბეჭდი თაბახი 21. საღებავგატარება 21,25. საღრ.-საგამომცემლო თაბახი 19,81. ტირაჟი 5.000 შეკვ. № 54.

ფასი 40 მან.

გამომცემლობა „განათლება", თბილისი, გ. ჩუბინაშვილის ქ. № 50
Издательство «Ганатлеба», Тбилиси, ул. Г. Чубинашвили 50
1992

საქართველოს რესპუბლიკის ბეჭდვითი სიტყვის დეპარტამენტის
ქ. ქუთაისის პოლიგრაფიული საწარმოო გაერთიანება
ქ. ქუთაისი, რ. ჰავლავაძის პროსპექტი. 33.
Кутаисское полиграфическое производственное объединение
Департамента по печати Республики Грузия
г. Кутаиси, пр. Н. Чавчавадзе, 33.

НЕЛЛИ ГЕОРГИЕВНА РУХАДЗЕ

РУСТАВЕЛИ В ШКОЛЕ

(На грузинском языке)